ჰოუარდ ფასტი

თავისუფლების გზა

თარგმანი ინგლისურიდან
გივი ძვანია

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
სახელმწ. ბ. ახალგაზრდობის ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
19 ოქტომბერი 51

Howard Fast

FREEDOM ROAD

ვუძღვნი შავ, თეთრ, ყვითელსა
და ყავისფერ კაცებსა და ქალებს,
რომლებმაც სიცოცხლე გასწირეს
ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ნაწილი პირველი

არჩევნები

პ რ ო ლ ო გ ი

დამთავრდა ომი—გათავდა ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლა, იმ დროისთვის უდიდესი სახალხო ომი, მანამდე რომ არ ენახა ქვეყანას—და ლურჯფორმიანმა კაცებმა შინისკენ გასწიეს. დარეტიანებულმა, გაწამებულმა რუხფორმიანებმა თვალი მოავლეს თავიანთ მიწა-წყალს და დაინახეს, რა მოაქვს ომს.

ეპომეტოქსის სამსჯავრო სახლში გენერალმა ლიმ *) იარაღი დაყარა და ამით დასრულდა ყველაფერი. სამხრეთის თბილ მიწაზე ახლა ოთხი მილიონი შავკანიანი იყო თავისუფალი. გაჭირვებით მოპოებული თავისუფლება ძვირფასი რამაა. თავისუფალი კაცი ხვალინდელ დღეზე ფიქრობს და გუშინდელს არ ივიწყებს—ორივე მისია. შიმშილია და აღარსადაა ბატონი, რომ ლუკმა მოგიგდოს, მაგრამ გასწიე დიდი ნაბიჯით და ვერავითარი ბატონი ვერ გეტყვის, ნელა იარეო. ომის დასასრულს ამ შავკანიანებიდან ორასიათასი—რესპუბლიკის ჯარისკაცი იყო და ბევრი მათგანი ხელში იარაღით დაბრუნდა შინ.

გიდიონ ჯეკსონი ერთი ამათგანი იყო. მაღალი, ბრგე, ხელში თოფით და ზურგზე დაცრეცილი ლურჯი სამხედრო ფორმით, იგი დაღლილი დაბრუნდა მშობლიური კეროლაინის მიწაზე, კარუელის პლანტაციაში. დიდი თეთრი სახლი კვლავაც ისე იდგა, როგორც ახსოვდა, ომს არ დაეზიანებინა, მაგრამ ბაღები და მინდვრები

---

*) გენერალი რობერტ ლი (1807—1870)—მონათმფლობელური სამხრეთის არმიის მთავარსარდალი სამოქალაქო ომის დროს (1861—1865). 1865 წ. 9 აპრილს იგი 28-ათასიანი არმიით დანებდა ჩრდილოეთის გენერალს გრანტს, რითაც დასრულდა სამოქალაქო ომი. ეპომეტოქსი ქალაქია ვირჯინიის შტატში (შენიშვნები ყველგან მთარგმნელისაა).

ღვარძლსა და შამბს დაეფარა და კარუელებიც წასულიყვნენ, თუმცა არავინ იცოდა საით.

დაბრუნებული ყოფილი მონები კვლავ ძველ მონურ ბინებში იწყებდნენ ცხოვრებას, იმათთან ერთად, რომლებსაც მთელი ეს დრო ფეხი არ მოეცვალათ ამ ადგილიდან. მომდევნო თვეებში კიდევ ბევრი განთავისუფლებული მონა დაბრუნდა კარუელის პლანტაციაში, ცივ ჩრდილოეთიდან, სადაც თავისუფლების საძიებლად იყვნენ წასულნი, დაბრუნდნენ კავშირის არმიის რიგებიდან, დაბრუნდნენ ფიქვნარებისა და მიუვალი ჭაობების სამალავებიდან. ისინი იწყებდნენ ცხოვრებას გაურკვეველი და უცნაური გრძნობით, რომ ამიერიდან თავისუფალი იყვნენ.

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

რეიჩელ დაბრუნდა შინ გიდიონ ჯეკსონი არჩევნებიდან

ნოემბრის ამ გრილ დილას ყვავებმა ადრე გააღვიძეს რეიჩელი. იგი იწვა ლოგინში, ძველ საბანში გახვეული, მკერდზე ჯენის სითბოს გრძნობდა და ყურს უგდებდა ყვავების ჩხავილს. შორიდან მოისმოდა მათი სიმღერა: ყვა, ყვა, ყვა—სევდიანი, მაგრამ სასიამოვნო ხმა იმისთვის, ვისაც რეიჩელის მსგავსად წლიდან წლამდე ყოველ განთიადზე ესმოდა იგი; დარი და ავდარი ყვავებისთვის სულერთი იყო.

მკერდთან თბილად მოკალათებული გოგონა შეიშმუშნა და რეიჩელმა წასჩურჩულა: „მშვიდად იწექი შვილო, მშვიდად. და ყური უგდე იმ ბებერ ყვავებს, აბა, ყური დაუგდე!“

მაგრამ დღე იწყება—მას ვერ შეაჩერებ. თივის ლეიბი თბილი იყო და საამოდ ხრაშუნობდა; რეიჩელი სიამოვნებით დარჩებოდა კიდევ ლოგინში, მაგრამ, როცა მზემ უეცრად ნისლი გაარღვია, კარის ღრიჭოდან და კედლების დამანჭულ ფიცრებიდან შემოჭრილმა სინათლემ მთელი ქოხი აავსო. ჯეფმა გაიზმორა და ქუსლები იატაკზე დაჰკრა. რეიჩელთან ჩახუტებულ ჯენის გამოეღვიძა. თვალები ფართოდ გაახილა და უკან გადაგორდა; რეიჩელს ცივმა ჟრუანტელმა დაუარა იმ გამთბარ ადგილზე, სადაც აქამდე გოგონას ეძინა. მარკუსი ახმაურდა: ჰოი, ჰოი! ჯეფმა მუჯლუგუნი წაჰკრა მას და მერე ორივენი ბღლარძუნით გადაგორდნენ იატაკზე.

რეიჩელი თვალდახუჭული ცნობდა ყოველ ხმას, რომელიც თან მოჰქონდა დილას. ათასჯერ შეჰკითხვია იგი თავისთავს: რატომ იღვიძებს ადამიანი ასე ერთბაშად, ასე უხეშად?

რეიჩელი კიდევ ერთ წუთს მოებღაუჭა სიბნელეს, მერე წამოიჭრა და ბიჭების დასამშვიდებლად წარმოსთქვა:

— ჯეფ, ჩუმად!

ჯეფს ფეხებშუა მოემწყვდია მარკუსი. ჯეფი თხუთმეტი წლისა იყო, მაგრამ ტანად გიდიონს არ ჩამოუვარდებოდა, გოლიათის აღნაგობა ჰქონდა, სიმაღლით ექვსი ფუტი იყო, შოკოლადის ფერისა, რითაც უფრო დედას ჰგავდა, ვიდრე შავქლიავივით მბზინვარე გიდიონს, მაგრამ სახე მამისა გამოჰყოლოდა,—მოგრძო და ლამაზი. თორმეტი წლის მარკუსი ხმელი და პატარა ტანისა იყო. რეიჩელი ჯეფს შეუწყრა:

— ფეხები უშვი, შე მუტრუკო!

ჯენი შვიდი წლისა იყო. როგორც ყოველ დილით, გოგონა ახლაც უპირველეს ყოვლისა კარში გაიჭრა—სინათლეს მოწყურებული არსება! გარეთ მას თავგამოდებული ყეფით ძაღლი შეეგება.

ჯეფი ფეხზე წამოდგა; მარკუსმა მას მუშტები დაუშინა თითქოს კოდალა ჭარმაგ მუხას ნისკარტსა სცემსო. ჯეფი გიდიონივით ხათრიანი იყო, მაგრამ მას არ ჰქონდა ის რკინისებური შინაგანი სიმტკიცე, რომლითაც გიდიონი ყველასაგან გამოირჩეოდა. ჯეფი ძნელად თუ გაჯავრდებოდა, მაგრამ რაკი ბრაზი მოერეოდა, ცეცხლივით აინთებოდა; გიდიონის გულისწყრომა კი ყოველთვის დაფარული იყო.

— გარეთ გადით ორივე!—მიუბრუნდა ბიჭებს რეიჩელი.— გარეთ გადით ახლავე, გარეთ!

რეიჩელი უკვე იცინოდა. თავად პატარა ტანისა, იგი ყოველთვის გაოცებით ფიქრობდა იმაზე, რომ შავი ხორცის ამოდენა მასა მისი სისხლი და ხორცი იყო. თუმცა რა, მისი ქმარი ახოვანი კაცია, ესენი კი გიდიონის შვილები არიან.—სიამაყით ფიქრობდა იგი.

რეიჩელი აფუსფუსდა; ქოხი უკვე სავსე იყო მზის სინათლით. კარი გაიღო და ჯეფი შემოვიდა ჩინჩხვარით ხელში. თავი წვიმის წყლის კასრში ჩაეყო და ამოწუწულიყო. რეიჩელიც კასრისკენ გაემართა, თავი და ხელები წყალში ჩაჰყო და ჯენის დაუძახა:

— მოდი, ხელ-პირი დაიბანე, მოდი ახლავე!

ჯენის სძულდა წყალი. ერთი ხუთჯერ მაინც მოუხმო მას რეიჩელმა, სანამ დაბოლოს ხელი არ წაავლო და ხუჭუჭა თმიანი

თავი წყალში არ ჩააყოფინა; გოგონა ისე აყვირდა, თითქოს ეს ცივი წყალი სიკვდილს უქადდა მას.

როცა რეიჩელი ქოხში დაბრუნდა, ჯეფს უკვე ცეცხლი გაეჩაღებინა. რეიჩელმა ჯამი აიღო და შეჭამანდი დაამზადა, ჯეფმა კი ამასობაში იმდენი უბერა ცეცხლს, სანამ გავარვარებულ ნაკვერცხლებად არ აქცია იგი. ძაღლი ცეცხლის პირას იწვა—რას იზამ, ნოემბრის სუსხიან დილას ამას ვერ დაუშლი.

* * *

ათიოდე წლის წინათ კარუელის პლანტაციას ოცი თუ ოცდაორი ათასი აკრი ეპირა სამხრეთ კეროლაინის ბარაქიანი მიწისა—ეს იყო მისი დიდების მწვერვალი. ოკეანიდან ასი მილით დაშორებული, იგი გადაჭიმული იყო იმ მომცრო გორაკებზე, რომლებიც ქმნიან ფართო სამიჯნო სარტყელს ზღვისპირა ტაფობსა და მთიანეთს შორის. როცა იქ ბამბა მეფობდა, ერთ აკრზე ერთ ნახევარ ნაკრაულს ჰკრეფდნენ; კოკრების გაშლისას, სადაც თვალი მისწვდებოდა, თეთრად გადაპენტილი ზღვა იყო.

პლანტაციის დიდი სახლი ყველაზე უმალ ეცემოდა კაცს თვალში. სწორედ პლანტაციის შუაგულში იდგა იგი მაღალ გორაკზე, ოთხსართულიანი, ოცდაორი ოთახით და სვეტებიანი ტალანით, ბერძნული ტაძრის მსგავსად. საეტლო გზა ტირიფების ხეივანში მიდიოდა. ჭარმაგი მუხები გალავნად შემორტყმოდნენ სახლსა და ეზოს. ნახევარი მილით დაშორებულ მონების ბინებიდან თუ ახედავდი სახლს, იგი კიდევ უფრო წააგავდა ტაძარს, და როცა მის უკან ცაზე ღრუბლებს აშლიდა ქარი, ამ სანახაობას სიმშვენიერით ვერაფერი შეედრებოდა მთელს ამ მხარეში.

ასე იყო ძველად. ახლა კი, 1876 წელს ბამბა არ დათესილა კარუელის პლანტაციაზე. ამბობდნენ, დადლი კარუელი ჩარლსტონში ცხოვრობსო, ნამდვილად ეს არავინ იცოდა. ამბობდნენ აგრეთვე, კარუელის ორი ვაჟი ომში მოკლესო. ვალმა და გადასახადებმა პლანტაცია გაურკვეველი მოლოდინის იმ უცნაურ მდგომარეობაში ჩააგდეს, რომელსაც უკვე ამდენი დიდი მაჩული მოეცვა სამხრეთში. ამბობდნენ, თითქოს პლანტაცია ახლა მთავრობას ეკუთვნისო, და თითქოს კარუელის თითოეული ყოფილი მონა ორმოც აკრ მიწას და ერთ ჯორს მიიღებდა. ამგვარი ხმები ცეცხ-

ლივით ედებოდა ირგვლივ, მაგრამ არვის არ შეეძლო დანამდვილებით ეთქვა, თუ რისი გაკეთება იყო საჭირო. რამდენჯერმე ვიღაც თეთრები ამოვიდნენ კოლამბიიდან, მიიხედ-მოიხედეს და უკანვე წავიდნენ.

ასე იყო თუ ისე, განთავისუფლებული მონები პლანტაციაზე ცხოვრობდნენ. მრავალი მათგანი იქ იყო მთელი ომის განმავლობაში, მიწას ამუშავებდნენ და კარმიდამოს უვლიდნენ. სხვებმა, გიდიონის მსგავსად, პლანტაცია დატოვეს და კავშირის არმიაში გაიქცნენ. ზოგმა კიდევ სამალავებს მიაშურა. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც თავისუფლება გამოცხადდა, ყოფილი მონების უმრავლესობა ადგილზე დარჩა არა იმიტომ, რომ მათ ეშინოდათ ლტოლვილთათვის დაწესებულ სასტიკი სასჯელისა, არამედ უფრო იმიტომ, რომ მათ სხვა რაიმე ადგილი არ გააჩნდათ წასასვლელად; ეს იყო მათი კერა, მათი მიწა-წყალი, მათი ქვეყანა—და ასე იყო ოდითგანვე.

უკანასკნელი თაობის მანძილზე, კარუელები მეტწილად ჩარლსტონში ცხოვრობდნენ, პლანტაცია კი ზედამხედველებს ჰქონდათ ჩაბარებული.

დადლი კარუელმა მხოლოდ ერთხელ მოინახულა პლანტაცია, ეს იყო ომის მესამე წელს; წასვლისას მან სახლი დაკეტა და შინამოსამსახურენი თან წაიყვანა.

1865 წელს უკანასკნელმა ზედამხედველმა დასტოვა პლანტაცია და მას აქეთ მონები მარტო დარჩნენ. მათ უკვე აღარ მოჰყავდათ ბამბა. ბამბა ნაღდზე სავაჭრო კულტურა იყო, ხოლო მათ არც სჭირდებოდათ და არც არა გაეგებოდათ რა ნაღდი ფულისა. პლანტაციის დაბლობებში სიმინდი და ბრინჯი დათესეს, ბალჩებში ბოსტნეული მოჰყავდათ, ღორები და ქათმები მოაშენეს და ასე ცხოვრობდნენ.

ისინი უფრო ბედნიერები აღმოჩნდნენ, ვიდრე განთავისუფლებული მონების უმრავლესობა. რეგულარული ჯარის რაზმები სამჯერ მოვიდნენ და პირწმინდად მოაცარიელეს პლანტაცია, მაგრამ მონებმა მაინც გაიტანეს თავი იმ შიმშილობის დროს. დამარცხებით გამწარებულმა ჯარისკაცებმა მხოლოდ ოთხ მათგანს მოუღეს ბოლო, ხოლო ეს არც თუ ისე საშინელი იყო მასთან შედარებით, რაც ბევრ სხვა პლანტაციაზე დატრიალდა, სადაც განთავისუფლებული მონები ცხოვრობდნენ.

ახლა კი შორიდან, კონგრესი რომ ჰქვია, ბრძანება მოვიდა, რომ განთავისუფლებული მონები წასულიყვნენ და ხმა მიეცათ. თქმა არ უნდა, რა გაოცებას გამოიწვევდა ეს მთელს მხარეში!

პირველად მარკუსმა დაინახა არჩევნებიდან შინ მომავალი გიდიონი. მას კარგად დაამახსოვრდა ეს ამბავი. იგი, ეიკსელ კრაისტი და კიდევ რამდენიმე ბიჭი პლანტაციის სახლისკენ მიმავალ გზაზე თამაშობდნენ. როცა კარგა მაღლა ავიდნენ ფერდობზე, მათი მზერა ორ მილზე მაინც წვდებოდა მზიან და მტვრის ბუღიან სივრცეში გაჭიმულ შარაგზას. შარა—თითქოს კარი იყო რაღაც განუსაზღვრელისაკენ. ზოგი ამბობდა, დიდხანს რომ გაჭყვე ამ გზას, კოლამბიაში ჩახვალო; მაგრამ ეს თქმულება იყო მხოლოდ და ქვეყანაზე თქმულებას რა დალევს! მარკუსისა და მისი მეგობრებისათვის შარაგზა მიდიოდა და მიდიოდა—და რატომ უნდა მისულიყო იგი სადმე?

ოთხი დღის წინ გიდიონმა და ძმა პიტერმა შეჰკრიბეს ოცდაერთ წელზე მეტი ხნის ყველა მამაკაცი. წლოვანება ბევრ შემთხვევაში დაახლოებითი გამოანგარიშების საქმე იყო, რადგან საიდან უნდა სცოდნოდათ მათ,—ესა თუ ის კაცი ოცისაა, ოცდაერთის, ოცდაორის თუ რამდენის? წლოვანებას ზუსტად ვერ იტყვი, იგი სავარაუდო რიცხვებში უნდა გამოხატო. ძმა პიტერს მეხსიერების გადაქექვა დასჭირდა, რომ შავი ბალღების ურიცხვი დაბადებანი ერთმანეთისაგან განეცალკევებინა. დაბოლოს, ბევრი ხმაურისა და ქაქანის შემდეგ, მან, როგორც თავად გამოსთქვა, ხბორებიდან მოზვრები გამოჰყო, სულ ოცდაშვიდი კაცი, რომლებიც ხმის მისაცემად უნდა წასულიყვნენ.

— აბა, ამ არჩევნებისას რას იტყვი?—მიუბრუნდნენ ისინი გიდიონს განმარტებისათვის.

მარკუსმა ბუნებრივად ჩასთვალა ის ამბავი, რომ მათ ასეთი რამ გიდიონისთვის უნდა ეკითხნათ. სიკვდილისა და ღვთის შესახებ—ისინი ძმა პიტერს შეეკითხებოდნენ, ხოლო სხვა ყველაფერს—ყანის, ავადმყოფობის და დანარჩენ საქმეების შესახებ რჩევა-დარიგებას გიდიონს ეკითხებოდნენ.

ახლა კი აგერ ისინი არჩევნებიდან ბრუნდებოდნენ. მარკუს-

შა ორი მილის სიშორეზე დაინახა მტვრიან შარაგზაზე ნელი ნაბიჯით ამხანაგურად ერთად მომავალი კაცების ჯგუფი. მარკუსი ყვირილით დაეშვა ფერდობზე: „მოდიან! მოდიან! ჰეიი!“

დანარჩენი ბიჭები გუნდად მიჰყვნენ უკან. მათ ისეთი ყურთასმენის წამღები ყვირილი ასტეხეს, რომელსაც ერთ მილზე გაიგონებდა კაცი; ქოხებიდან ყველა კისრისტეხით გამოცვივდა გარეთ, რომ გაეგოთ რაში იყო საქმე. რეიჩელს ეგონა, სადმე მკვლელობა მოხდაო; მანამდე ვერ გამოიტანა აზრი მარკუსის სიტყვებიდან, სანამ ორჯერ კარგად არ მოსცხო.

— ვინ მოდის!

— მამი.

— გიდიონი?—შეეკითხა დაი მერი, და ვიღაცამ დაუმატა: „დიდება უფალს!“ რითაც უმრავლესობის განწყობილება გამოსთქვა. საიდუმლოებით იყო მოცული ეს ხმის მიცემა! ავის მომასწავებელი. მთელი მამაკაცობა წავიდა და უკაცოდ დარჩენილნი მარტოობის ნაღვლიანი გრძნობით ელოდნენ მათ პლანტაციაზე, მით უფრო, რომ დანამდვილებით არავინ იცოდა, რა უნდა ყოფილიყო ეს ხმის მიცემა. ქალები ახლა უფრო ხშირად იყვნენ ერთად, ვიდრე აქამდე, და თავსამტვრევი კამათი იმაზე, თუ რა უნდა ყოფილიყო ხმის მიცემა, ყოველი საათით უფრო ცხარე ხდებოდა.

ახლა ყველამ ხელი მოიჩრდილა და შარაგზას გაჰხედა. მართლაც—კაცები შინ ბრუნდებოდნენ. ისინი მოაბიჯებდნენ ნელა—და არც იყო გასაკვირი ამდენი მილის გამოვლის შემდეგ. რაც მთავარია, ისინი შინ ბრუნდებოდნენ. ვინც კი თვლა იცოდა—დასთვალა: თითქოს არც ერთი კაცი არ აკლდათ სათვალავში. რეიჩელი უკვე ხედავდა გიდიონს; მისი ზორბა ტანი კარგად გამოირჩეოდა დანარჩენებისაგან.

გიდიონს მართლაც რომ არ აკლდა ვაჟკაცის ახოვნება; ბუღასავით მოსული, ფართო, ღონიერი მხრები, წელში წვრილი და ხმელკანჭებიანი. იტყვიან ხოლმე, ასეთი კაცი ყველაფრით ბუღასა ჰგავს, ჭკუა მკლავებში აქვს წასულიო, მაგრამ გიდიონს ვერ მიუდგებოდა ასეთი ანდაზები. იგი ნებისყოფის კაცი იყო და ხალხი მას ტყუილად არ შეჰყურებდა თვალებში; მართალია, იგი ზანტი იყო მოძრაობაშიც და მოფიქრებაშიც, მაგრამ, თუ საჭიროება მოითხოვდა, სიმკვირცხლეც არ აკლდა. როცა თავ-

ში აზრი მოუვიდოდა, იგი ათასჯერ ასწონ-დასწონიდა მას და საბოლოოდ მოფიქრებული უკვე მისი მტკიცე აზრი იყო.

მან პირველმა მოაღწია ქოხებს. რეიჩელი მიხვდა, რომ მისი ნელი, მრუდე ნაბიჯი უკან მოტოვებულ მრავალ მილს ნიშნავდა. გიდიონს ხელში შაშხანა ეჭირა ისე, როგორც არმიაში ისწავლა ტარება. მხარზე ჩანთა ეკიდა—ალბათ ბავშვებისთვის ჰქონდა რამე შიგ. გვერდით ძმა პიტერი მოჰყვებოდა, მაღალი, ხმელი, უიარაღოდ, ისე, როგორც ეს ღვთის მსახურს შეჰფერის. მათ უკან მოსდევდათ: ორი ძმა ჯეფერსონები, ორივე შაშხანებით ხელში, პატარა ტანის ჰანიბალ უოშინგტონი და ჯერ კიდევ უგვარო კაცები: ჯეიმსი, ენდრიუ, ფერდინანდი, ალექსანდერი, ჰეროლდი, ბექსტერი და ტრუპერი. ნელ-ნელა მათაც მოუვათ თავში აზრი და გვარებს დაირქმევენ; ხუმრობა ხომ არაა—გვარს კარგი მოფიქრება უნდა, კაცები კი მეტწილად იოლად ვერ კმაყოფილდებოდნენ.

ახლა ჯეფი მოსწყდა ადგილს და კუნტრუშით დაეშვა გზაზე მათ შესახვედრად. ჯეფს უკან გოგო-ბიჭების და ქალების ჯგუფი დაედევნა. რეიჩელი დარჩა; მან ხელი ჩაავლო საყელოში მარკუსს და წაიყვანა, რათა ბიჭი ჭიდან ცივი წყლის ამოღებაში მოხმარებოდა: გიდიონს ხომ წყურვილი უნდა მოეკლა! ან კი რატომ უნდა გაქცეულიყო რეიჩელი სულელი ბავშვივით გიდიონის შესახვედრად? მათ ისედაც კარგად ესმოდათ ერთმანეთისა.

ნოემბრის ნაშუადღევის პირობაზე ცოტათი ცხელოდა, როცა გიდიონი და დანარჩენი კაცები ქოხებთან მოლასლასდნენ, მათ შავ სახეებს ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა და კრიალა ზოლებად რეცხავდა მტვერს.

რეიჩელის საზრიანობისთვის ნამდვილი ჯილდო იყო ის, რომ ნამგზავრნი ხარბად დაეწაფნენ სუფთა, ცივ წყალს და კიდევ და კიდევ უშვერდნენ მას ხის ტოლჩებს შესავსებად.

დამხვდურებს ცნობისმოყვარეობა ჰკლავდა და მღელვარე შეკითხვები სეტყვასავით წამოვიდა:

— რაა ეს ხმის მიცემა?

— რატომ არაფერი მოიტანეთ თან? სადაა ეს მოცემული ხმა?

— იყიდეთ ხმა?

— იყიდეთ, ფული გადაიხადეთ?

— რამდენი ხმა ნახეთ იქა, თეთრებთან?

— რამოდენაა ეს ხმა?

— რამდენია?

და ასე. სანამ ძმა პიტერმა უიმედო ხმით არ განაცხადა:

— ძმანო, დანო და ბავშვებო, ცოტა სიმშვიდე, ცოტა სიჩუმე და ყველაფერზე გიპასუხებთ.

კაცებმა თავიანთი ცოლები და ბავშვები გადაკოცნეს. გიდიონმა რეიჩელს მკლავები შემოაჭდო და გულისხმიერად, ნაზად აკოცა. ზოგი უკვე არიგებდა თან მოტანილ ტკბილეულს. ჩანთები გახსნეს. გიდიონმა ჯენის წითელი ნართიდან გაკეთებული ვარდი მოუტანა; მშვენიერი რამ იყო, თითქოს ნამდვილიაო, თანაც ნელსაცხებელის სურნელი ასდიოდა. ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს, ჩოჩქოლი ატყდა, მაგრამ ხმის მიცემის შესახებ კი არავინ არაფერს ამბობდა. ძაღლები ცოფმორეულებივით დარბოდნენ — ძაღლის წესზე ისინიც მოითხოვდნენ სიყვარულისა და ალერსის დიდ წილს. დაბოლოს, ძმა პიტერმა ხელები გაშალა და სიჩუმე მოითხოვა.

ხალხი მართლა დაწყნარდა. კაცები ჩაცუცქდნენ, ბავშვები — ზოგი დაჯდა, ზოგი წამოწვა ბალახზე, ქალებიც დასხდნენ, ანდა ერთმანეთთან ახლოს დადგნენ გულხელდაკრეფილნი.

— ძმა გიდიონი გიამბობთ ყველაფერს, — დაიწყო ძმა პიტერმა. — ეს ხმის მიცემა ჯვარისწერას ჰგავს, ან საშობაო ქადაგებას ყველასთვის. მთავრობა მაგარ მარჯვენას გვიწვდის მთავარანგელოზ გაბრიელივით და გვეუბნება — გამოაჩინეთ თქვენი თავი! ჩვენც ასე მოვიქეცით. მთავრობა გვეუბნება ჩვენ და, სულ ცოტა, ხუთას სხვა ზანგსა და თეთრს — ამოირჩიეთ დელეგატი! ჩვენც ასე მოვიქეცით, გიდიონი ამოვირჩიეთ.

გიდიონი ნელა წამოდგა, ხალხმა მას ცნობისმოყვარეობის გამომხატველი მზერა მიაპყრო. რეიჩელი ხედავდა, რომ გიდიონი შემკრთალი იყო. ქალი ცნობდა გადიონის ყოველ განწყობილებას: მისი სულის ყოველგვარ მოძრაობას. რას ნიშნავდა, რომ იგი ამორჩეული იყო? რაა დელეგატი?

— ჩვენ წავედით და ხმა მივეცით, — თქვა გიდიონმა. მას ბოხი ხმა ჰქონდა. რომელიც ახლა დინჯად ამოდიოდა ყელიდან, რადგან გიდიონი ერთმანეთში არეულ ამბებს გონებაში არჩევდა და წესრიგზე ალაგებდა.

— ხმის მიცემა — დაიწყო გიდიონმა...

* * *

მან მოიგონა, როგორ ჩავიდნენ ისინი რამდენიმე დღის წინათ ქალაქში ხმის მისაცემად. მათ თავად ვერ გაერკვიათ, რა უნდა ყოფილიყო ხმის მიცემა. გიდიონი და ძმა პიტერი, ორივე შეეცადა აეხსნა იგი, როგორც საკუთარი ბედის თავისნებაზე გადაწყვეტის უფლება. ისინი თავისუფალი ადამიანები იყვნენ და მათ ჰქონდათ ხმა; თუ საქმე მათ ცხოვრებას შეეხებოდა, ისინი ამ ხმას გამოიყენებდნენ — ესაა სწორედ ხმის მიცემა. მაგრამ ყველაფერი ეს აბსტრაქტული იყო და აბსტრაქცია თავგზას ურევდა მათ. ჯობია მოიცადონ და ნახონ, თუ რა გამოვა აქედან.

როცა ისინი ქალაქში ჩავიდნენ, გიდიონმა თავისთვის გაიფიქრა, რაც ქვეყანაზე ზანგები და თეთრებია, სულ აქ მოგროვილანო. მთავარ ქუჩაში ტევა არაა, სვეტებიანი სამსჯავრო სახლის ტალანი გაჭედილია, აქაც, იქაც—ყველგან უამრავი ხალხი და ყველა ხმის მიცემის შესახებ ლაპარაკობს, რაც შეუძლიათ ხმამაღლა. ნახევარი ამ ხალხისა შეიარაღებულია — თეთრებიც და შავებიც თოფით ხელში. კავშირის ჯარის ერთი რაზმი წესრიგის დასაცავად იყო გაშოყოფილი; ამის გამო, გიდიონი მადლობას სწირავდა ღმერთს; ძალიან ბევრი თოფი და ძალიან ბევრი ფიცხი კაცია ერთად შეყრილიო, ფიქრობდა იგი.

ძალიან ბევრი იყო ისეთი ზანგი, რომელსაც ეგონა, რომ ხმის მიცემა ორმოც აკრ მიწას ნიშნავდა და ჯორს, რომელსაც შინ წაიყვანდა; ძალიან ბევრი იყო ისეთი, ვინც ფიქრობდა, რომ ხმის მიცემა მას გაამდიდრებდა, ძალიან ბევრი,—ახლა ისინი ხმის მიცემის შემდეგ გაცბუნებულნი და გაბოროტებულნი, ცარიელ ხელებს დაჰყურებდნენ.

გიდიონი ცდილობდა მსმენელებისთვის მოეთხრო, როგორ იყო, მისი ჯერი რომ მოვიდა: ჭუჭყიანი, კედლებჩამონგრეული დარბაზი ძველი სამსჯავრო სახლისა, გრძელი მაგიდის ირგვლივ მსხდომი რეგისტრატორები უზარმაზარი გაშლილი წიგნებით, მათ უკან თვალსაჩინოდ გაფენილი შტატების დროშა ზოლებით და ვარსკვლავებით, გუშაგად მდგარი ექვსიოდე ჯარისკაცი, პატარა საკნები ხმის მიცემისათვის და საარჩევნო ყუთები; როგორ მისცეს მას ქაღალდის ფურცელი, რომელზედაც ეწერა: „კონსტიტუციური კონვენტის მომხრე“ და ქვემოთ: „კონსტიტუციური კონ-

ვენტის წინააღმდეგ“ და სულ ქვევით: „ხმა მიეცით ერთ-ერთს X დასმით, ნაჩვენებ უჯრედში“. მთელი დღე იანკები და ზანგები იმაზე ლაპარაკობდნენ ქუჩებში, რომ ყველა შავმა ხმა კონვენტს უნდა მისცესო. ამის გაგება ძნელი არ იყო; ისინი ამბობდნენ, კონვენტი ახალ ქვეყანას შექმნისო და სხვა ამდაგვარს. როცა გიდიონი ქაღალდს დააცქერდა, ერთმა რეგისტრატორმა დაღლილი, თავმობეზრებული კაცის ხმით უთხრა მას:

— კონვენტის მომხრე ან მის წინააღმდეგ. დასვი ნიშანი. საკანში შედი, მერე დაკეცე ფურცელი.

მეორე რეგისტრატორმა ხმამაღლა წაიკითხა: „ჯ-ანებში, გიდიონ ჯეკსონი“. მაგიდასთან მჯდომარე კაცებმა წიგნების ფურცლები გადაქექეს და ერთმა მათგანმა სთქვა:

— ხელი მოაწერე აგერ აქ, ან ნიშანი დასვი.

გიდიონმა კალამი აიღო და გაჭირვებით გამოიყვანა ბატისფეხური ასოები—„გიდიონ ჯეკსონი“,—თანაც შიშით ცახცახებდა, თუმცა ღმერთს უმადლოდა, რომ თავისი სახელისა და გვარის მოწერა იცოდა და ნიშნის დასმით არ მოუხდა თავის დამცირება. მერე საარჩევნო ფურცელი საკანში შეიტანა და ნიშნის დასმამდე მის წაკითხვას შეეცადა. სხვა დროს გიდიონი იტყოდა, ცოტა კითხვა ვიცი, მაგრამ ისეთი სიტყვები, როგორც „კონსტიტუციური კონვენტი“, მისთვის სანსკრიტული იყო. მან ჯვარი დასვა იქ, სადაც ეწერა „მომხრე“. ამის წაკითხვა მაინც შეეძლო, მაგრამ მისი სირცხვილის გრძნობა ისეთი რამ იყო, რომელიც მას დიდხანს ეხსომებოდა. ახლა კი მსმენელებს უამბო:

— ბალღებივით უვიცი და შეუსმენელი მივედით იქ. ძმა პიტერი ღმერთს ევედრებოდა სწორი გზა ეჩვენებინა ჩვენთვის.

— ალილუია,—ხმადაბლა ჩაილაპარაკა ზოგიერთმა.

— ერთი იანკი იყო, ის გველაპარაკა,—განაგრძო გიდიონმა.—ცხვრის ფარასავით დაგვანაწილა; ალბათ ერთი ხუთასი მაინც ვიდექით იქა, შეუსმენელი და უვიცი. „ამოირჩიეთ ერთი დელეგატიო“, გვითხრა და მერე საარჩევნო ფურცლები დაგვირიგა. ჯერ ერთმა ზანგმა ილაპარაკა, მერე მეორემ, მერე კიდევ ერთმა თეთრმა ილაპარაკა, წამოდგა ძმა პიტერი და თქვა: „ჩვენი კაცი გიდიონიაო“.

გიდიონმა მეტი ვეღარაფერი თქვა. ახლა უკვე ყველამ გაიგო, თუ როგორ გახდა გიდიონი დელეგატი; მათ ისეთი სიამაყე

იგრძნეს, რომლის მსგავსი აქამდე არაფერი გამოეცადნათ. მართალია, მათ ყველაფერი არ ესმოდათ, მაგრამ სიამაყეს მაინც გრძნობდნენ. ახლა ძმა პიტერმა განაგრძო თხრობა და უამბო მათ იმის შესახებ, თუ როგორ წავა გიდიონი ჩარლსტონს და როგორ მიიღებს მონაწილეობას კონვენტში. რეიჩელს ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. გიდიონი მიწას დასცქეროდა და ფეხით ბალახს სრესდა. მარკუსი და ჯეფი მხრებში გაიმართნენ; ისინი ერთი კვირა მაინც იქნებიან ისე გაამპარტავნებული, რომ თავი არავის გაუყადრონ.

„დიდება ღმერთსა“... წარმოსთქვა ძმა პიტერმა.

მათ უპასუხეს: „ალილუია!“

მერე პატარა ჯგუფებად დაიშალნენ; ყოველ მამაკაცს თავისი საუცხოო ამბავი ჰქონდა საკუთრად მოსათხრობი.

ღამით რეიჩელს გიდიონი კვლავ გაჰყვა. ისინი იწვნენ თივის ლეიბზე და ყურს უგდებდნენ ბავშვების თანაბარ სუნთქვას; ისინი ყურს უგდებდნენ ბაყაყების ყიყინს გუბეში და ღამის ფრინველთა ჭივილს.

— ნულარა სტირი,—შეევედრა გიდიონი ქალს.

— მეშინია!

— რატომ გეშინია?

— შენ წახვედი და მე ვწუხდი!

— ახლა ხომ დავბრუნდი!

— შენ ისევ წახვალ ჩარლსტონს,—თქვა რეიჩელმა და წარმოიდგინა რაღაც ზღაპრული ადგილი სულ სხვა ქვეყანაში.

— იქიდანაც დავბრუნდები,—წყნარად თქვა გიდიონმა.— რა უნდა ჰქონდეს ქალს სატირელი ამ მხიარულების დროს? ასეთი კარგი დრო ჯერ არ ყოფილა შავი კაცისთვის, ეს ნეტარი დროა, ჩემო ტკბილო. ახლო მომეკარ. აგერ, მზე ამოდის ჩვენთვის. მეც მეშინია, მაგრამ ეს შიში ჩემი ქალისა და ბალღების გამო კი არაა.

— რისიღა გეშინია?

— მე ერთი რეგვენი ზანგი ვარ,—საცოდავად თქვა გიდიონმა.— შავი კაცი ვარ. აბა მე რა გამეგება? კითხვა მე არ ვიცი და წერა, ჩემი სახელის მეტი.

— ძმა პიტერი არაა რეგვენი.

— მერე რა?

— იგი გამოდის და ამბობს, აგერ კაცი, თქვენი დელეგატი იყოსო. შენ რა გგონია, რატომ ამოგირჩიეს იმ ზანგებმა?

— რა ვიცი!

რეიჩელი ახლა წყნარად ტიროდა ბედნიერებისაგან. იგი ცრემლებით უხვი იყო, როცა სიხარული იპყრობდა და კარგი ამბები ხდებოდა. მან ქმარს წასჩურჩულა: „გიდიონ, გენაცვალე, გიდიონ, ხომ გახსოვს იანკის ჯართან ერთად საომრად რომ მიემგზავრებოდი? მაშინ, როცა ტირილით გული ამომივარდა, შენ მითხარი, ესაა ვაჟკაცის მოვალეობაო. ახლაც ასეა, გიდიონ.“

— როგორ?

რეიჩელმა ტუჩები გიდიონის ყურს მიადო და ღიღინით წასჩურჩულა: „ზანგი ველზე ბამბასა კრეფს, ბამბასა კრეფს, ფიქრი გოგოს დასტრიალებს, მას რომ უყვარს“...

და გიდიონს, ჩაეძინა აფორიაქებულ მოგონებებით, იმედითა და შიშით.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

როგორ ისაუბრეს გიდეონ ჯეკსონმა და ძმა პიტერმა

მეორე დილით მთელი ოჯახი ერთად შეექცეოდა საუზმეს. გიდეონმა თავმომწონედ გაიფიქრა, ცოტა ვინმეს თუ გააჩნია ყველაფერი ესაო: რეიჩელის დარი ცოლი, ორი ყოჩაღი ბიჭი და ისეთი მშვენიერი გოგონა, როგორიც პატარა ჯენი იყო. ბიჭები თავნება და შლეგები იყვნენ, მაგრამ თვითონაც ხომ ასეთი იყო თავის დროზე; მის ზურგს ასზე მეტი ნაჭდევი აჩნდა მათრახისა, რაც მის თავნებობას მოწმობდა.

ის იყო ხელი მოჰკიდეს ცხელ მჭადებს, რომელთაც გადასხმული ჰქონდა შაქრის შავი ბადაგი, როცა ღია კარში ძმა პიტერმა შემოჰყო თავი და მიესალმა მათ:

— დილა მშვიდობისა, ძმაო, დილა მშვიდობისა, დაო, დილა მშვიდობისა, ბავშვებო!

ბევრი ხვეწნა არ დასჭირებიათ, რომ ძმა პიტერი სუფრას მისჯდომოდა. ქოხში ახლადგამომცხვარი ჭადების ისეთი სურნელი იდგა, რომ კაცს ნერწყვი მოადგებოდა. ძმა პიტერი უხვი იყო საჭმლის ქებაზე; მერე მან ჯიბიდან შაქარყინული ამოიღო ბავშვებისათვის. რეიჩელის გულს კაცი ადვილად იგებდა, განსაკუთრებით მისი საჭმელების ქებით; ღვთის მსახურთა შორის კი ბევრი პანტა ვაშლივით მეავე გუნებისა იყო.

ჭამას რომ მორჩნენ, ძმა პიტერი ჯეფს შეეკითხა:

— შვილო, შეგიძლია თავი გაართვა გიდეონის სამუშაოს სახლში?

— მე მგონია, კი,—თავის დაქნევით მიუგო ჯეფმა.

გიდეონი და ძმა პიტერი ბეღელთან მივიდნენ, ძირს დასხდ-

ნენ, ზურგით ბეღლის ლარსებს მიეყრდნენ და ფეხები მიწაზე გაჭიმეს.

ამ ადგილს მზე ადგა, ველიდან დილის გრილი სიო უბერავდა. ძაღლი ზანტი ნაბიჯით მოვიდა და მათ გვერდით მოიკალათა. გიდიონი და ძმა პიტერი ბალახის ღეროებს აძრობდნენ და ნელ-ნელა ღეჭდნენ.

— როდის აპირებ წასვლას, გიდიონ?—შეეკითხა ძმა პიტერი.

— ჩარლსტონს?!

— ჰო.

როცა ცოტა ხანი გავიდა და გიდიონმა პასუხი დააყოვნა, ძმა პიტერმა კვლავ იკითხა:

— რისა გეშინია?

— რატომ გგონია, რომ მეშინია?

— აჰა, გამოიხედე, გიდიონ, აგერ მე და შენ, ჩვენ დიდი ხანია ერთმანეთს ვიცნობთ. შობის კვირაში ოცდათექვსმეტი წლისა შესრულდები. საიდანაა, რომ ასე კარგად მახსოვს? როცა დედაშენს ლოგინობის დრო დაუდგა, იგი გულაღმა იწვა, მუცელში შენა ჰყავდი და ღმერთს შეჰკიოდა, ო, იესო მაცხოვარო, ჩემი აღსასრულის დღე მოვიდაო. თოთხმეტისა ვიყავი მაშინ. მამაშენმა მითხრა, პიტერ, გაიქეცი, უფროსს უთხარი, სოფი კვდებათქო. მეც გავიქეცი და იმ ჯიმ ბლეიკმა—ზედამხედველი რომ იყო მაშინ, თქვა: არ მახსოვს, რომ ზანგი ქალი ლოგინობისას არ კვდებოდესო. გგონია, ექიმს დავუძახეთ? აბა, სწორედ! ჩვენი გადია ანა, ბებია ქალი, სამი დღე ებრძოდა ეშმაკეულს; სამი დღის შემდეგ შენ დაიბადე, დედაშენმა კი სული დალია. ჯიმ ბლეიკმა მათრახით ტყავი გამაძრო და მისტერ კარუელთან ღმერთს იფიცებდა, თითქოს მე არაფერი მეთქვას მისთვის. ასე მახსოვს შენი დაბადება. მახსოვს ის დღეები, ბამბის მინდვრებზე რომ ვმუშაობდით პაპანაქებაში. მახსოვს, იმაზე რომ ვლაპარაკობდით, თუ რისთვის ცხოვრობს ზანგი. შენა სთქვი: ასეთ სიცოცხლეს სჯობია კაცმა საუკუნო ძილს მისცეს თავიო; დიდება უფალს და, ეს მე ვიყავი, თვალი რომ აგიხილე და საშინელი ცოდვა დაგანახვე ამ სიტყვებში. ვისთან მიდი, როცა იანკებთან ერთად საბრძოლველად ეშურებოდი?

— შენთან მოვედი,—თავის ქნევით მიუგო გიდიონმა.

— მაშინ მითხარი: „რეიჩელს მიჰხედე, პატარა ბალღს მიჰ-ხედე“. მეც მივხედე.

— აჰა.

— ახლა ცხენივით ყალყზე დგები, როცა გეუბნები გეშინია-მეთქი.

— შენ მეუბნები, ჩარლსტონს წადიო,—ჩაიბუტბუტა გიდი-ონმა.—ზანგი ვარ, კითხვა მე არ ვიცი და წერა. ჩემი სახელის ასოებსაც ვერ ჩამოვთვლი ხეირიანად და შენ კი ჩარლსტონს წასვ-ლას მირჩევ, კონვენტზე, ისეთ ქალაქში, რომელიც სავსეა,—აგერ იქ დიდი სახლი რომაა,—ისეთი თეთრი სახლებით, სავსეა თეთრი ხალხით, რომლებიც წყეულ რეგვენ ზანგს დასცინიან.

ძმა პიტერი რაღაც ხახებს ავლებდა სილაზე; მერე წყნარად იკითხა:

— როგორ ჩახვედი ჩარლსტონს პირველად, გიდიონ?

— იანკებთან ერთად ჩავედი,—გაიხსენა გიდიონმა,—ლურჯი ფორმა მეცვა, ხელში თოფი მეჭირა და გვერდით ათი ათასი კაცი მომყვებოდა ალილუიას გალობით.

— მაშინ არ გეშინოდა. ახლა მარტო წასვლა გაკრთობს, არც ლურჯი ფორმა გაცვია, არც თოფი გაქვს ხელში, არც ალი-ლუიას გალობენ. მარტო კანონი უწვდის ხელს შავ ზანგს და ეუბნება, ჩემო შვილო, თავისუფალი ხარო.

გიდიონმა არაფერი უპასუხა და ძმა პიტერმა წყნარად გა-ნაგრძო:

— საღვთო წერილი ამბობს მოსეზე, „მას ეშინოდაო, მაგრამ ღმერთმა უთხრა, გაუძეხ ჩემ ხალხსო.

— მე მოსე არა ვარ.

— ხალხს წინამძღოლი სჭირდება, გიდიონ; ხმის მისაცემად რომ ვიყავი, ჩემ თავს ვუთხარი: კანონი ამბობს, ზანგი თავისუ-ფალია, კანონი ამბობს, ხმა მიეცი, კანონი ამბობს, ზანგო გამო-დი მონობიდან, ცხოვრება მოაწყვე, ზანგმა კითხვა არ იცის, წერა არ იცის, ფიქრიც კი არ იცის. ფიქრისთვის მონას მათრახით სცემდნენ, ან ქვემო მდინარეზე[1] ჰყიდდნენ. როცა მონა კითხვას ისწავლიდა, სამას წკეპლს უთავაზებდნენ. ზანგი ბებერ ძაღლივი-

---

[1] მდ. მისისიპი და მის ქვემო ტანთან მდებარე განაპირა სამხრეთის შტა-ტები.

თაა ახლა, სახლიდან გაგდებული, რომ თავისი საჯმელი თვითონვე იშოვნოს. მე ჩემს თავს შევეკითხე, ვინ წაუძღვება-მეთქი ამ ხალხს? რაგინდ მედიდურად იარონ და იტრაბახონ—ყველას ეშინია. ვინ წაუძღვება-მეთქი მათ?

— რაღა მე დამადე თითი?—ჰკითხა გიდიონმა.—რატომ შენ თვითონ არ წაუძღვები?

— შენ ხალხმა აგირჩია,—უპასუხა ძმა პიტერმა.—ამიერიდან ხალხის რჩეული იქნები.—ძმა პიტერი წამოიხარა, ძვალტყავა ხელი მუხლზე დაადო გიდიონს.—გამოიხედე, ძმაო გიდიონ, შენ ამბობ, კითხვა არ ვიციო. კითხვის უნარი დაბადებითვე არავის დაჰყოლია; კითხვას სწავლობს კაცი. შენც ისწავლი კითხვას, ისწავლი წერას. მე ცოტა რამ გამეგება წერისა, ერთი თხუთმეტი-ოცი სიტყვის დაწერა შემიძლია. ასე მოვიქცეთ, ამ სიტყვებს დავწერ და შენ დაისწავლე, ეს დასაწყისი იყოს...

გიდიონმა უმწეოდ გააქნია თავი.

— თუნდაც ლაპარაკი,—განაგრძო ძმა პიტერმა,—სიტყვები ერთმანეთს ეწყობიან! თეთრი ხალხი ამას გრამატიკას უწოდებს, ვისაც თავი აბია მხრებზე, ის სიტყვებს სწორად ამბობს, ჩემსავით ბებერი ზანგი კი ვერა. ეს როგორღა გინდა დაისწავლო?

— ღმერთმა უწყის,—თქვა გიდიონმა.

— ღმერთმა კი უწყის, მაგრამ მეც ვიცი. გულისყურით უნდა იყო, ყურს დაუგდებ თეთრი კაცის ლაპარაკს; წუთიც არ უნდა დაკარგო. შენით ისწავლი ყველაფერს. დრო მოვა, იქნებ წიგნის წაკითხვაც შესძლო. ქვეყანაზე ისეთი არაფერია, წიგნებში რომ ვერ ნახო—სახარების ჭეშმარიტებაც წიგნშია.

— კაცის ჭკუა სულ ყანის მოყვანაზე ფიქრობს,—თქვა გიდიონმა.—ამაზე მიდის მთელი დღის შრომა. როგორღა უნდა ჩაიდოს კაცმა თავში ამდენი სწავლა?

— რაკი ხიდს მიადექი, უნდა გახვიდე კიდეც. ჯერჯერობით ჯეფს შეუძლია გააკეთოს სახლის სამუშაო. მარკუსიც კარგი ბიჭია. იესო მაცხოვარს დაულოცნიხარ ოჯახში. ახალი ქვეყანა იქნება, გიდიონ, ახალი, ნათელი ქვეყანა.—მან გაიღიმა და თითი გაიშვირა ერთმანეთზე მიხორხლილ უფანჯრო ქოხებისაკენ.

— ეს მოგვაშორე თავიდან,—მან გრძელი, გამხდარი ხელები გულზე დაიკრიფა და თავი დახარა.—დიდება შენდა ღმერთო!

— რას ფიქრობ, რა უნდა იყოს ეს კონვენტი?—იკითხა გიდიონმა.

—კონვენტი კანონებს ადგენს. კონსტიტუცია ბიბლიის წიგნივითაა. არ შეიძლება, რომ ზანგებმა გარეული ტახებივით ირბინონ ქვეყანაზე. თეთრ ხალხს ზანგი სძულს. ზანგს თეთრი ხალხისა ეშინია. ეს არაა კარგი.

— როგორ უნდა გავარჩიოთ კარგი კანონი ცუდი კანონისაგან?

— როგორ არჩევ კარგ კაცს ცუდი კაცისაგან? როგორ არჩევ კარგ ქალს უზნეოსაგან?

— მაგის საზომი მაქვს!

— ჰოდა, აქაც გექნება საზომი,—თქვა ძმა პიტერმა.—რატომაა რომ არც კითხვა იცი, არც წერა? იმიტომ, რომ ზანგებისათვის არასდროს არ ყოფილა სკოლა. აი, დასაწყისი. დასწერე კანონი სწავლაზე—ეს კარგი კანონი იქნება. აგერ კარუელის მამული, ალბათ ოცი ათასი აკრი მაინც იქნება. ვის ეკუთვნის იგი? მისტერ კარუელს? მთავრობას? ზანგებს თუ თეთრ ხალხს? ზანგს მიწა უნდა, ასევე უნდა თეთრ ხალხსაც. მიწა საკმაოა ყველასთვის, ყველასთვის ბლომადაა, მაგრამ როგორ გინდა რომ გაანაწილო?!

— მე რა ვიცი?

— მოთმინება იქონიე, გიდიონ, ნუ ჩქარობ, დაიცადე!

— რატომ შენ არ მიდიხარ დელეგატად? — შეეკითხა გიდიონი.

— რატომ მე არ ამომირჩია ხალხმა? ვიცი, რატომ, გიდიონ. მე ერთი ბებერი ზანგი ვარ; რაც საზრიანობა მაქვს—ესაა. არაფერი მომემატება. დადგება დრო, შემომხედავ გიდიონ, და გაკვირვებით ეტყვი შენ თავს, როგორ იყო რომ ამ ბებერ ზანგს შეელასა ვთხოვდიო, ამ ბებერ უვიც ზანგსაო?!

— არასდროს არ ვიტყვი მაგას.

— ღმერთი გწყალობდეს, შეიძლება არცა თქვა, გიდიონ, მაგრამ შენ პატარა ბალღივითა ხარ. გავსება გინდა სახაპელასავით, ჭიდან წყალი რომ ამოაქვს. აბა დაიცადე და ნახავ!

გიდიონმა თავი გააქნია.—ნეტა კი მჯეროდეს ეს...

— გჯერა ეს თუ არა, სულერთია, გიდიონ. სულერთია, ასე იქნება, როგორც სახაპელა, რომელსაც ცივი, სუფთა წყალი ამოაქვს.

— რომ დასცინონ და მასხრად აიღონ ზანგი?

— რა თქმა უნდა, დაგცინებენ, გიდიონ, შვილო, როგორაა ჩვენ რომ ვიცინით, როცა ვინმე საწყალი ზანგი ჭაობებიდან მოდის და კითხულობს, ბატონი სადააო? თავისუფალი ხარო, ვეუბნებით მას, მას კი იმდენივე გაეგება თავისუფლებისა, რამდენიც ძაღლს. რა გასაკვირია, რომ ასეთ საწყალს დავცინოთ, მაგრამ დაცინვა უნდა აიტანო, ზიზღიც უნდა აიტანო. პირველად რომ მოგცემენ დელეგატის ჯამაგირს, როგორც იმ იანკიმ თქვა,—შესაძლებელია, ერთი დოლარი მოგცენ დღეში,—წადი და იმ დოლარით წიგნი იყიდე. შეიძლება შიმშილით სული გხდებოდეს, მაგრამ შენ მაინც წიგნი აიღე, სანთელიც იყიდე, რომ წიგნი მის სინათლეზე წაიკითხო და სიტყვებს დაუკვირდი.

გიდიონმა თავი დაუქნია. რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა ძმა პიტერი, მით უფრო იპყრობდა შიში გიდიონს ჩარლსტონის კონვენტზე ფიქრისა, მაგრამ ამავე დროს იგი განიცდიდა ისეთსავე გულისმომცარავ მშვენიერ მღელვარებას, როგორსაც პლანტაციიდან გაქცევისას გრძნობდა, როცა კავშირის არმიისკენ მიეშურებოდა.

— რა წიგნი ვიყიდო პირველად?

— მოქადაგე კაცი ბიბლიას იტყოდა, მაგრამ ბიბლია არაა ადვილი, გიდიონ, ისე გაებმები, როგორც დაბლანდულ ძაფში. პირველად სასწავლო წიგნი აიღე, ანბანი. შემდეგ, თუ გინდა, ანგარიშის წიგნი. ამასობაში შენ თავად გეცოდინება, რა წიგნი დაგჭირდება.

— აჰა,—დაეთანხმა გიდიონი.

— ყველაფერს კი ვერ იპოვნი წიგნებში,—შენიშნა ძმა პიტერმა.

— ეს როგორ?

— წიგნი მანამდე არ იწერება, სანამ რამე არ მოხდება. აგერ ეს ამბავი, ზანგი კაცი რომ თავისუფალია, აქამდე არ მომხდარა. ალბათ ამის მსგავსიც კი არაფერი მომხდარა მას შემდეგ, რაც მოსემ ისრაელის შვილნი ეგვიპტიდან გამოიყვანა. მოსეს წიგნი არა ჰქონდა, იგი ღმერთს მიუბრუნდა, ღმერთმა აუწყა, როგორც უნდა მოქცეულიყო.

— მე როგორღა გავიგო?

— გიდიონ, სიყვარულით უნდა აივსო გული, გულისხმიერება უნდა ჩაინერგო.

— მე კი ფიცხი ვარ,—გამოტყდა გიდიონი.

— ვინ არაა ფიცხი? ცოდვით შობილნი ვართ ყველა, ძმაო გიდიონ. ვინაა შენი ფიქრით ყველაზე ჭკვიანი კაცი ქვეყანაზე?

— ცოცხლებში თუ მკვდრებში?—ფრთხილად იკითხა გიდიონმა.

— გინდ ცოცხალი, გინდ მკვდარი.

— ჩვენი ეიბი,[1] მე მგონია.

— აჰა... საიდანაა, რომ ჩვენმა ეიბმა ყველაფერი იცოდა? საიდანაა, რომ მან მთელი ჩვენი ქვეყნის ზანგებს უთხრა, თავისუფალნი ხართო?

ალბათ დაინახა, რომ ასე სწორი იქნებოდა.

— შეიძლება, ასეც იყო, გიდიონ, შეიძლება. უფრო კი იმიტომ, რომ მისი გული სავსე იყო სიყვარულითა და სიბრალულით. როგორც ამბობენ, ჩვენი ეიბიც ნაძვნარ ტყეებში იყო გაზრდილი, აი შენსავით, მაგრამ გული ჰქონდა იმოდენა, როგორც აგერ ის პლანტაციის სახლი.

— მართლაც რომ დიდი გული ჰქონდა.—დაეთანხმა გიდიონიც.

— ახლა მსაჯულების საქმე ავიღოთ, გიდიონ. ვთქვათ შენთან ორი კაცი მოვიდა ჩვენების მისაცემად. ერთი—კოხტად, კარგად ჩაცმული ქალაქელი, რომელიც ამბობს, ქარი არა ქრისო; მეორე—ჩამოგლეჯილი, მშიერი; ის ამბობს, ქარი კარგა მაგრად ქრისო. შენ უნდა განსაჯო, ქარი ქრის თუ არა, როგორ განსჯი?

— ავწევ ხელს და ვნახავ, ქრის თუ არა.

— აგრე. ანდა ხალხს ჰკითხავ, ათს, თორმეტს. ნუ დაიჯერებ კაცის ჩვენებას მხოლოდ იმის გამო, რომ ეს კაცი ფარშავანგივით მედიდურად დადის, ან იმიტომ, რომ ლამაზად გააფენს ენას. ახლა, გიდიონ, ვიცი, რომ შენთვის ძნელია ეთერ ხალხზე გულის მობრუნება—ბევრი მათრახი გახსოვს ზურგზე და გული გაგქვავებია. ეს ტანჯვის და უბედურების ნიშანია. იცი რა, ამი-

[1] ეიბ (აბრაჰემ) ლინკოლნი (1809—1865)—ა. შ. შ. პრეზიდენტი 1861—65 წლებში; მისი მეთაურობით სამოქალაქო ომში ჩრდილოეთის შტატებმა დაამარცხეს სამხრეთი; მისი აქტით (1863 წ. 1 იანვარს) ზანგები განთავისუფლებულნი იქნენ მონობიდან.

ერიდან ადამიანის კანის ფერს მნიშვნელობა არა აქვს. კარგი კაცი და ცუდი კაცი შავებშიცაა და თეთრებშიც.

— მესმის,—თავის დაქნევით მიუგო გიდიონმა.

— ესაა სულ, მე მგონი,—დაფიქრებით წარმოსთქვა ძმა პიტერმა.—უფალი გფარავდეს! დე, იგი ყველგან თან გახლდეს, გიდიონ.

— ამინ!—თქვა გიდიონმა.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

როგორ წავიდა გიდიონ ჯუსონი ჩარლსტონს და რა გადახდა მას გზაში

დღეები გადიოდა და ახალი არაფერი ხდებოდა, ამიტომ გიდიონის არჩევა კონვენტის დელეგატად ისე მნიშვნელოვან მოვლენად აღარ გამოიყურებოდა. ხანდახან ორი-სამი დღე ისე გაივლიდა, რომ გიდიონს ერთხელაც არ გაახსენდებოდა ეს ამბავი. კაცმა რომ თქვას, რა საბუთი ჰქონდა მას იმისა, რომ დელეგატი იყო? თავდაპირველად, როცა ხმის მიცემის დროს ძმა პიტერმა თავისი დიდი სიტყვა დაამთავრა, ისე ჩანდა, თითქოს მათ ჯგუფში ყველა გიდიონს უპერდა მხარს; არც შემდეგ უთქვამს ვინმეს, რომ გიდიონის წინააღმდეგ მიეცეს ხმა, და, ბუნებრივია, გიდიონმა და ძმა პიტერმა დაასკვნეს, რომ გიდიონი იყო დელეგატი. მაგრამ არჩევნები ხომ ფარული კენჭისყრით მოხდა! მათ უთხრეს, რომ ბმების დათვლის შემდეგ დელეგატად არჩეულებს უწყებებს და სათანადო მანდატებს გაუგზავნიდნენ; მაგრამ აგერ ორი კვირა გავიდა უკვე; გიდიონი შიშისა და იმედის შუა მერყეობდა და ხშირად ეკითხებოდა თავის თავს, ხუთასამდე ან ექვსასამდე დათვლას ერთი კარგი დამთვლელი რამდენ ხანს მოუნდებოდაო. მერე კი გიდიონმა მთელ ამ ამბავზე ხელი ჩაიქნია; არც ერთი ჭკუათმყოფელი იანკი რეგვენ ზანგებს დელეგატებად არ მიიწვევდაო.

ზამთარი ახლოვდებოდა და საქმე იმდენი იყო, რომ გიდიონს მოცლა არ ჰქონდა. ზაფხულში თავის გატანა იოლია, ცხოვრება—უზრუნველი; ახლა კი საჭირო იყო, ხალხს კარზე მომდგარ სიცივეებზე ეზრუნა. მთელი კვირის განმავლობაში გიდიონი კა-

ცებს ხეებს აჭრევინებდა ტევრში, რომელსაც ქვედა ნაკვეთს ეძახდნენ. ძველად, როცა ამ ადგილს ზედამხედველი ჰყავდა, ახოდან მოკიდებული ზედმიყოლებით სჭრიდნენ ხეებს, არაფერს ზოგავდნენ და მერე წლობით ლპებოდა ორი ფუტის სიმაღლის ჯირკვები საჩეხში. გიდიონს არა ერთხელ უფიქრია ამაზე და ახლა მისი წინადადება იყო, მიწა გამოეთხარათ და ხეები ძირფესვიანად წაექციათ.

— ორმაგი შრომა იქნება,—თქვა ზოგიერთმა.—რისთვის?

— უფრო ადვილია ხის წაქცევა ძირფესვიანად, ვიდრე ჯირკის ამოთხრა?—უპასუხა გიდიონმა.

— ვის დასჭირდება ჯირკების ამოთხრა?

— ეს ჩვენ არ ვიცით,—თქვა გიდიონმა—ახლა არ ვიცით, მიწა ვის ეკუთვნის, მაგრამ როდისმე შეიძლება ეს მიწა ჩვენი იყოს.

— მაგაზე მაშინ ვიზრუნებთ, როცა მიწა ჩვენი იქნება.

ისინი ალბათ ნახევარ დღეს მაინც იკამათებდნენ ამ საკითხზე, გიდიონს რომ შთაგონება არ მოსვლოდა და წინადადება არ შემოეტანა, კენჭი ეყარათ. „თქმით კი თქვა, მაგრამ თვითონ არ სჯეროდა, რომ მისი წინადადება გასჭრიდა; იგი არ იყო დარწმუნებული, რომ ასეთი სასწაულთმოქმედი პრინციპის გამოყენება შესაძლებელი იყო ყოველდღიურ საქმიანობაში, როგორიც ტყის მოჭრაა. მაგრამ გიდიონის წინადადების შემდეგ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ეს აზრი ხალხს ჭკუაში დაუჯდა და გიდიონმაც მიმართა „ჰოსა“ და „არას“ მეთოდს. თუმცა მათ ერთხელ უკვე ეყარათ კენჭი კონვენტისათვის, ამ ამბის მექანიკა მაინც ახალი იყო და მთელ გადატრიალებას ნიშნავდა მათთვის. ბევრი იმსჯელეს იმაზე, ერთსა და იმავე კაცს მხოლოდ „ჰოს“ ან „არას“ თქმა შეეძლო, თუ ორივესი, იმისიცა და ამისიც. მაგრამ დაბოლოს პრინციპი სწორად იქნა გამოყენებული და წარმატებითაც: გიდიონის წინადადებამ ხეების ძირფესვიანად ამოთხრის შესახებ მნიშვნელოვანი უმრავლესობით გაიმარჯვა.

და კვლავ როცა უზარმაზარმა და ხარივით ღონიერმა ტრუპერმა უკმაყოფილება გამოთქვა, რომ იგი სამჯერ მეტ ხე-ტყეს ხერხავდა, ვიდრე მას ოდესმე დასჭირდებოდა, ხოლო ტანდაბალი ჰანიბალ უოშინგტონი კი თავისი წილის ნახევარსაც ვერ ამზადებდა—გიდიონმა ისევ კენჭისყრას მიმართა. მაგრამ ამჯერად ახალმა

წესმა იჩინა თავი: კაცებმა იარაღებს ხელი უშვეს და ერთად მუშაობის მთელი საკითხი განიხილეს. ზედამხედველობის დროს ერთად შრომა ჩვეულებრივი ამბავი იყო მათთვის, ახლა კი, როცა მათ სინამდვილეში შეიგნეს თავიანთი თავისუფლების ფაქტი, ერთად მუშაობის საქმე ბჭობის საგნად იქცა. რატომ თითოეულმა თავისთვის არ უნდა იმუშაოს? თუ თავისუფლება ამას არ ნიშნავდა, მაშ რა იყო იგი?

ახალი წესი, რომელიც მათ ძმა პიტერმა ურჩია, მდგომარეობდა საკითხის ყოველმხრივ აწონ-დაწონაში, სანამ მას კენჭს უყრიდნენ, ჰანიბალ უოშინგტონი ბრაზისაგან ანთებული პატარა დაღარული სახით ტრუპერს მიუბრუნდა.

— აქეთ მოიხედე! გაგვეცალე და ცალკე მოსჭერი ხე შენთვის! ანგარიშს აქ ადგილი არ ექნება, რასაც ერთად მოვჭრით— თანასწორად გავიყოფთ. იმისთვის მოდი, რომ მასხრად ამიგდო? შე ამძოვრებულო აყლაყუდა!

ტრუპერმა ნაჯახი შემართა. გიდიონმა და სხვებმა მოჩხუბრები გააშველეს. ძმა პიტერმა დაიყვირა: სირცხვილი თქვენ, რომ ასეთი რამის გულისათვის სისხლის დასაღვრელად მიიწევთ ერთმანეთზე!

ერთი საათი მაინც იქაქანეს, სანამ ხმა არ ჩაუწყდათ, და ამჯერად ცოტა დააკლდა, კინალამ ხმები თანაბრად არ გაიყო. შემდეგში გიდიონმა ძმა პიტერს უთხრა:

— ბევრი დავიდარაბა და შფოთი მოგველის.

— განა ადამიანი ასე არაა!

— მე კი თავი მტკივა და... ამოდენა კაცები ბავშვებივით კინკლაობენ და ყვირიან.

— აბა მათ რა გაეგებათ, გიდიონ.—ერთად იმუშაონ თუ ცალ-ცალკე. ისინი ბავშვებივით არიან ახლა. დიდ ამბებს ნუ ელი ჯერ. ერთი თუ ორი წელიწადია, რაც ზანგი მონობიდან გამოვიდა. დრო ნელა მიდის.

მაგრამ დროს სიძნელეები მოჰქონდა. არჩევნები მზის ამოსვლას წააგავდა, ელვარებით თვალს რომ გჭრის, შემდეგ კი—არაფერი, ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა. გიდიონმა შენიშნა, რომ ხალხმა მოუხშირა პლანტაციის დიდი სახლის ფანჯრებში ჭვრეტას. სახლი საესე იყო საუცხოო ნივთებით და ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ ახლა ამ ნივთების შესახებ. ამასთან დაკავ-

შირებით რაღაც გაბოროტებაც კი იგრძნობოდა ხალხში გიდიონის მიმართ. საქმე ისაა, რომ ერთი წლის წინათ, სამხრეთ კეროლაინის დემობილიზებულმა რაზმებმა პლანტაციაზე გამოიარეს, დიდ სახლში შეიჭრნენ, რაც უნდოდათ—თან წაიღეს, რაც არა—ირგვლივ მიმოფანტეს. სწორედ გიდიონი იყო, რომ ხალხს ნივთები დიდ სახლში უკანვე შეატანინა და კარ-ფანჯრები ფიცრებით ამოაჭედვინა. როცა მათ გიდიონს ჰკითხეს—რისთვისაო, მან უპასუხა: „ეს ნივთები საჩვენო არაა“.

„რა განსხვავებაა? ესეც ტანსაცმელია, ესეც სახლია“. „ჩვენი ტანსაცმელი, ჩვენი ქოხები—აუცილებელია ჩვენთვის, ესენი კი არა“.

ახლა გიდიონმა ვერცხლის კოვზი დაუნახა ხელში მარკუსს. საიდან უნდა ყოფილიყო ასეთი კოვზი, თუ არა დიდი სახლიდან?

რაშია მაშ საქმე? ალბათ მარკუსი სახლში შეიჭრა. ეს არ იყო ძნელი საქმე, რადგან ამ დიდ, უწესრიგოდ აშენებულ სახლს ათასი შესავალ-გასავალი ჰქონდა. გიდიონმა თავის სიცოცხლეში პირველად იგრძნო, რომ იგი მერყეობდა—არ იცოდა, როგორ მოქცეოდა თავის შვილებს. იგი დაფიქრდა: აქამდე თითქოს კარგად იცოდა, როგორი მოპყრობა იყო საჭირო ბავშვისათვის, ახლა კი მას ტანჯავდა მძაფრი, საშინელი გრძნობა თავისი უმწეობისა. გიდიონი ყოველ ღამით იჯდა ცეცხლის პირას და ხელში ძმა პიტერის მიერ ჩამოწერილი სიტყვების სია ეჭირა: Dur. ant. man, wumen, gel, yu, shurnuf, nigru, wide.[1] და ასე შემდეგ—ფაქტების ზღვა, რომელიც მას თავგზას უბნევდა და შიშით იპყრობდა. თუ აქამდე „სწორი“ და „მცდარი“ შეურყეველი, მტკიცედ განსაზღვრული ცნებები იყვნენ, ახლა მათ რაღაც იოლად ცვალებადი მნიშვნელობა მიიღეს, და ნაცვლად იმისა, რომ გიდიონს სათანადოდ დაესაჯა მარკუსი, მან ყოყმანით ჰკითხა ბავშვს:

— როგორ შედი დიდ სახლში, მარკუს?

— მე შიგ არ ვყოფილვარ.

ცხადი იყო, მარკუსი ტყუოდა. კი მაგრამ, მარკუსი ხომ ალალი ბიჭია,—გაიფიქრა გიდიონმა. თავსამტვრევ პრობლემებს სათვალავი არ ჰქონდა.

— ეს კოვზი საიდან გაქვს?—ჰკითხა გიდიონმა.

---

[1] ორი სიტყვის გარდა (man—კაცი, wide ფართო) არც ერთი სიტყვა არაა სწორად დაწერილი. უნდა იყოს this—ამგვარად, am not —არ ვარ, woman —ქალი, girl—გოგონა, sure enough—რა თქმა უნდა, negro—ნანგი.

— ვიპოვე.

— შენ ეს კოვზი არ გიპოვნია, მარკუს. გირჩევნია, მართალი მითხრა.

— ვიპოვე!

— მაშ მითხარი, სად იპოვე?!

მარკუსი ასეთ შეკითხვისათვის არ იყო მზად და ნელ-ნელა მთელი ამბავი გამომჟღავნდა: ბიჭები სამზარეულოს სარდაფიდან შეიპარნენ სახლში. დანარჩენებმა სხვა ნივთები—აბრეშუმი და ვერცხლეული წაიღეს და გადამალეს. გიდიონმა ვერ სცემა მარკუსს; მას არასოდეს დაუკარებია ხელი თავისი ბავშვებისათვის,— მისი ხალხი, საერთოდ, არ სცემდა ბავშვებს: გაწკეპვლა თეთრი ხალხის საქმე იყოს! გიდიონმა კარგად იცოდა, რა გემო ჰქონდა წკეპლას კაცის ზურგზე. გიდიონმა თავი მოუყარა ხალხს, წინ მარკუსი გამოიყვანა და ყველაფერი უამბო მათ; მისი ყოველი სიტყვა დანასავით ¦ჰკვეთდა ბიჭს. მერე ძმა სტივენმა იკითხა:

— რამდენ ხანს უნდა იდგეს ის დიდი სახლი იქა, ძმაო გიდიონ?

— თუნდაც მეორედ მოსვლამდე.

— ზანგი ბინძურ ქოხში უნდა ცხოვრობდეს, ეს წყეული დიდი სახლი კი ასე იდგეს ცარიელი?!

— თუნდაც მეორედ მოსვლამდე,—ჯიუტად გაიმეორა გიდიონმა.

იმ ღამეს რეიჩელმა სლუკუნით უსაყვედურა გიდიონს: „რატომ მოექეცი ბიჭს ასე, გიდიონ?“

— ისა ვქენი, რაც უნდა მექნა.

— ყველას თვალწინ ასე შერცხვენა?!

— მან ბოროტება მოიმოქმედა.

— როგორც ეტყობა, ბოროტების მეტი არა გამოდის რა ამ ხმის მიცემიდან.

— რაო?

— შენ ჩარლსტონს უნდა წახვიდე; ზანგები ჩივიან, იღრინებიან: არაფერი კეთდება, არაფერი არაა მოგვარებული.

გიდიონმა თავი მოიმძინარა. რეიჩელმა ლაპარაკი შეწყვიტა და გიდიონს დიდხანს ესმოდა მისი ჩუმი ქვითინი.

*
* *

ჯეფი, თხუთმეტი წლისა, ბორკილებს ღრღნიდა, აწყვეტას ლამობდა. იგი თავნება იყო და ტყის ნადირივით ჯანიანი. მის თვალში გიდიონი მოხუცი იყო უკვე ისევე, როგორც ძმა პიტერი; მათ ქვეყანა მარყუჟად გადააქციეს, ჯეფს სუნთქვას რომ უკრავდა. იგი საპყრობილეში გრძნობდა თავს, მას ბორკილების დამსხვრევა და თავისუფლად ყოფნა ეწადა. ამ პატარა თემში, სადაც წერა-კითხვა არავინ იცოდა ხეირიანად, სადაც თვალითაც ვერ ხედავდნენ გაზეთს, დრო ისეთივე ცვალებადი და პრიმიტიული აღთქმის საგანი გახდა, როგორც ოდითგანვე, მრავალი ათასი წლის მანძილზე იყო. საათიც კი არავის გააჩნდა. მაღლა, ზეცაზე მზე ირწეოდა—დროის მაცნე დიდი ფორთოხალი, და წელიწადის დროთა ნელი ცვლა მარტივ კალენდარს წარმოადგენდა. ჯეფი ახლა თხუთმეტისა იყო; ომის წინადრო სიზმარივით ბუნდოვანი დარჩა მის მეხსიერებაში. გაუთავებელი ლაპარაკი იმაზე, თუ რა დიდი განსხვავება იყო თავისუფლებასა და მონობას შორის, მასზე არ ახდენდა დიდ შთაბეჭდილებას. ქაოსში დაბადებულს, ბავშვობის ადრეული წლებიც ქაოსში გაეტარებინა.

ახლა იგი ყრმა გოლიათი იყო და მაინც ჯერ კიდევ ბავშვი. იგი გულნატკენი დარჩა შინ, როცა კაცები არჩევნებზე გაემგზავრნენ. ყოველი გზა სიმღერას მღეროდა მისთვის და იგი გრძნობდა, რომ ოდესმე რომელიმე მათგანს გაუყვებოდა და არაოდეს დაბრუნდებოდა უკან. გიდიონი ხშირად ამჩნევდა ბიჭის გულში ჩახშობილ ბორგვას. ამიტომ იყო რომ მან ნება დართო ჯეფს, მარტოკა ენადირნა ჭაობიან დაბლობებში. ჯეფი მთელი საათობით დააბოტებდა ჭაობებში და უსიტყვოდ მღეროდა ველურ სიმღერებს. არაფერი ისე არ აცხრობდა მის შმაგ ბუნებას, როგორც ნადირობა. როცა იგი ხეტიალში ცივ მორევს წააწყდებოდა, მას სხვისი თქმა არ სჭირდებოდა, რომ ირმის ნასვამი წყალი გამოეცნო. მას შეეძლო ზედიზედ ათი საათი წოლილიყო გარინდებით და მოთმინებით ეცადა რქა-ლამაზ ხარირემისთვის, ანდა ჭაობის მძვინვარე ტახისთვის. და ასეთ გრძელ მდუმარე საათებში ჯეფი თავს აძლევდა გაურკვეველ და უსასრულო ოცნებას.

ამ ოცნებაში იხატებოდა დიდი ქალაქები, რომლებიც მას თვალით არ ეხილა, ზღაპრული ქვეყნები, სხვათა ნაამბობში რომ

სმენია; ოცნებაში იგი ხედავდა შამა აბრამს, ღმერთის მსგავსად რაღაც გაურკვეველი სახისას, ციურ გალობას რომ ამბობდა. ხანდახან მის ოცნებაში იყო რაღაცა მწველი სურვილი, უცნაური მისწრაფება, რომელიც მის გულს ბურთივით კუმშავდა.

ერთხელ ჭაობში იგი ორ თეთრ კაცს წააწყდა. ამის შესახებ მას არაფერი უთქვამს გიდიონისთვის. ისინი ჯარისკაცები იყვნენ დახეულ, ტალახში ამოსვრილ რუხ ფორმებში. ჯეფის დანახვაზე მათ შეიგინეს და მყისვე თოფები შემართეს. ჯეფი გვერდზე გადახტა და ხეს ამოეფარა ორივე თოფი გავარდა, ჭაობმა გრიალით მისცა გამოძახილი. ჯეფისთვის რომ არ დაეცილებინათ, კიდევ ერთი ზანგი იქნებოდა მკვდარი, მეტი არაფერი; ლაფი ნელ-ნელა ჩაყლაპავდა, გალორწილი ფოთლები დაჰფარავდნენ წუმპეში პირქვე დამხობილს. და მერე დავიწყებას მიეცემოდა იგი სამუდამოდ. ეს შემთხვევა იყო სწორედ, მიჯნა რომ გაავლო ჯეფის ყრმობისა და ჭაბუკობის შუა; მას ადვილად შეეძლო მოეკლა ერთი ან მეორე, როცა ისინი ჭაობში გარბოდნენ, მაგრამ ჯეფმა არ ესროლა. იგი გაოცებული უთვალთვალებდა მხოლოდ, სრულებით არ გრძნობდა შიშს და ლამობდა მისწვდომოდა ამ საიდუმლოს—რატომ უნდა ნდომოდათ მათ ასე შეუბრალებლად მისი მოკვლა? ჯეფს არავისთვის გაუმხელია ეს ამბავი.

* * *

უკანასკნელი ზედამხედველის წასვლის შემდეგ, ეს პირველად იყო, რომ კარუელის პლანტაციაში წერილი მოვიდა. არჩევნების შემდეგ მრავალმა კვირამ გაიარა და ამიტომ არავის მოსვლია აზრად რაიმე კავშირი დაენახა ამ ორ ღირსშესანიშნავ მოვლენას შორის. ერთ ნაშუადღევს კოლამბიის შარაგზით პლანტაციას ეტლი მოადგა და ბებერი ფოსტმასტერი კეპ ჰოლსტინი აუჩქარებლად, ზლაზვნით ჩამოვიდა ძირს—ასეთი მანერით იგი ხაზს უსვამდა თავის დამოკიდებულებას ყოფილ მონებთან. კეპ ჰოლსტინი ფოსტმასტერი იყო შეუცვლელად მთელი ომის განმავლობაში: ჯერ აჯანყებულების დროს, მერე იანკების დროს, მერე კვლავ აჯანყებულების დროს და მერე ისევ იანკების დროს.

ეს იმიტომ კი არა, თითქოს კეპ ჰოლსტინი ლოიალური კაცი ყოფილიყოს,—იგი კონსტიტუციის შეუგნებელი მტერი იყო, რო-

მელიც თამბაქოს ღეჭდა, წვენს აწიტებდა, გარიჟრაჟიდან დაბინ-დებამდე კონსტიტუციას სწყევლიდა და არასოდეს არ მისალმებია კავშირის დროშას. მაგრამ ის ერთადერთი კაცი იყო, რომელმაც ყველას ასავალ-დასავალი იცოდა ომის ქაოსის წლებში და ომის შემდეგაც; ერთადერთმა მან იცოდა, ვინ იყო ცოცხალი და ვინ მკვდარი, ვინ იყო შინ დარჩენილი და ვინ იყო წასული ჩარლსტონს, კოლამბიას, ატლანტას ან კიდევ ჩრდილოეთისაკენ, და იგი იყო ერთადერთი, რომელიც რამდენიმე ათას განთავისუფლებულ მონას იცნობდა მთელ ამ მხარეში. და სამხედრო ხელისუფლებაც ითმენ-და მას ფოსტმასტერად, მიუხედავად იმისა, რომ იგი ცისმარე დღე მათ გინებაში იყო და ფიცავდა, იმ დღეს უნდა მოვესწრო, საკუთარი ხელით ერთი რესპუბლიკელი მაინც მოვკლაო. ახლა იგი ეტლით მოადგა კარუელის კარმიდამოს და დაიღრიალა:

— ჰეი, თქვე შავო ზანგო ნაბიჭვრებო!

ყველამ იცოდა, რომ ქვეყანაზე მისი შემშინებელი არაფერი დაიარებოდა. ხალხი—კაცები, ქალები და გოგო-ბიჭები მყისვე მოცვივდნენ და გარს შემოერტყნენ. მან თამბაქოს წვენი მტვერში გააფურთხა, ხელები მოიფშვნიტა და ჯიბიდან დიდი ყავისფერი კონვერტი ამოიღო, კონვერტს თვალი ალმაცერად შეავლო და მე-რე მკვახედ იკითხა:

— რომელი ხართ ამ ქურდბაცაცებიდან გიდიონ ჯეკსონი?

გიდიონი აქამდე ღიმილით შესცქეროდა პატარა მოხუცს. თავადაც არ იცოდა რატომ, მაგრამ მას რატომღაც მოსწონდა კეპი, მოსწონდა მასში ის, რასაც კარგად გამოხატავდა ძმა პიტე-რის შენიშვნა: „აგერ კაცი, ყველაზე უფრო ლოცვა რომ სჭირდე-ბა“. გიდიონი წინ წამოდგა; კეპმა, რომელიც კარგად იცნობდა მას, თავიდან ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა იგი და მერე ჰკითხა:

— შენ გიდიონ ჯეკსონი ხარ?

— აჰა.

— ხელი მოაწერე აქა.

— კარგით, ბატონო!

ჰოლსტინმა დალეული ფანქარი გაუწოდა გიდიონს:

— წერა იცი? თუ არ იცი, ზანგურად ნიშანი დასვი აი აქა.

— წერა ვიცი!—უპასუხა გიდიონმა. თავის სახელს მაინც მოაწერს! ხალხი ისე შემოაწვა გიდიონს ყოველი მხრიდან, რომ

შას სულის მოთქმა გაუჭირდა: კეპი თვალს არ აშორებდა გიდიონს, რომელსაც უკვე ასოები გამოჰყავდა. მას აქამდე არასოდეს უწერია საჯაროდ და ხალხი ახლა გულთბილ შენიშვნებს არ იშურებდა გიდიონის ოსტატობის გამო. მერე მოხუცი ეტლში ჩაჯდა. მოაბრუნა იგი, ჯორს მათრახი გადაუჭირა და იმავე გზას გაუდგა, რომლითაც მოვიდა.

გიდიონმა ნელა გადააბრუნა ყავისფერი კონვერტი. ხელმარცხნივ, მაღლა კუთხეში ბეჭდური ასოებით ეწერა:

"თ უ ა თ ი დ ღ ი ს გ ა ნ მ ა ვ ლ ო ბ ა შ ი ა რ ი ქ ნ ა ჩ ა ბ ა რ ე ბ უ ლ ი,

დ ა უ ბ რ უ ნ ე თ გ ე ნ ე რ ა ლ ე. რ. ს. კ ე ნ ბ ი ს, შ. შ. ს. ს. ძ.[1])

კ ო ლ ა მ ბ ი ა, ს. კ. მ. ს. ო."

გიდიონს თითქმის ყველაფერი ამის წაკითხვა შეეძლო, თუმც არ ესმოდა, რას ნიშნავდა პირველი ასოების ეს გრძელი წყება. ძმა პიტერმა გიდიონის მხრების უკნიდან გადმოჰხედა კონვერტს და სთქვა:

„გენერალი კენბი, ეს ახალი იანკია, თვალყურის დასაჭერად მოსული. ეს ს. კ. სამხრეთ კეროლაინას ნიშნავს. მ. ს. ო. იქნებ მეორე სამხედრო ოლქს ნიშნავდეს, როგორც მაშინ, როცა მოვიდნენ და გვითხრეს, არჩევნებზე წადითო. უფალმა უწყის, რას ნიშნავს ეს დანარჩენი ასოები".

მეორე კუთხეში ეწერა:

„ს ა მ ს ა ხ ურ ე ბ რ ი ვ ი ს ა ქ მ ე

ჯ ა რ ი მ ა გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, ს ა ფ ო ს ტ ო ხ ა რ ჯ ი ს თ ა ვ ი დ ა ნ ა ც ი ლ ე ბ ი ს მ ი ზ ნ ი თ,—100 დ ო ლ ა რ ი."

გიდიონის ირგვლივ თავმოყრილთაგან ვერც ძმა პიტერმა და ვერც ვერავინ ამ წარწერიდან აზრი ვერ გამოიტანა. კონვერტის შუაში მისამართი იყო:

გ ი დ ი ო ნ ჯ ე ქ ს ო ნ ს, ე ს კ ვ ა ი რ ს

კ ა რ უ ე ლ ი ს პ ლ ა ნ ტ ა ც ი ა

კ ა რ უ ე ლ ი, ს. კ. მ. ს. ო.

ძმა პიტერმა გიდიონის სახელი და გვარი ხმამაღლა წაიკითხა, მაგრამ ესკვაირზე შეფერხდა. მას არასოდეს არ ენახა ეს სიტყვა, წარმოდგენა არ ჰქონდა რას ნიშნავდა იგი და არც მისი გა-

---

[1] შეერთებული შტატების სამხედრო საოკუპაციო ძალები.

მოთქმა იცოდა. იგი ჩუმად შეეცადა გაეგო—ტუჩებს აცმაცუნებდა; ჰანიბალ უოშინგტონიც, რომელსაც ორიოდე სიტყვის წაკითხვა შეეძლო, შეეცადა წაკითხვას; ასევე სცადა მერიონ ჯეფერსონმაც, რომელსაც კავშირის არმიაში ყოფნისას რამდენიმე სიტყვის წაკითხვა ესწავლა; მაგრამ მთელი მათი სწავლა-განათლება ამით ამოიწურებოდა და ამიტომ იყო, რომ ისინი ახლა მხოლოდ ჩუმად დასცქეროდნენ წერილს. ბოლოს გიდიონმა სთქვა:

—როგორ გესმის ეს სიტყვა, ძმაო პიტერ?

ძმა პიტერმა თავი გაიქნია და ახლა ჰანიბალ უოშინგტონმა მოიკრიბა გამბედაობა: „შეიძლება რამე იყოს მისტერის, ან პოლკოვნიკის, ან რაღაც ამის მსგავსი“.

— მაშინ რატომ გიდიონის სახელის წინ არა სწერია ეს სიტყვა? რატომ უკან მოსდევს სახელს?

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, სანამ ძმა პიტერი დაარღვევდა მას:

— გახსენი, გიდიონ!

გიდიონმა ფრთხილად გახსნა კონვერტი. იგი სავსე იყო ქაღალდებით. ყველა ქაღალდს, ერთად, წერილი ჰქონდა გარედან შემოკეცილი, ზედ გიდიონის მისამართით ისევე, როგორც ეს კონვერტზე იყო დაწერილი. წერილში ეწერა:

„ამით გაუწყებთ, რომ თქვენ არჩეული ხართ კარუელ-სინკერტონის ოლქიდან (სამხრეთ კეროლაინა) დელეგატად შტატის კონსტიტუციურ კონვენტში, რომელიც მოწვეული იქნება ჩარლსტონში, ს. კ. მ. ს. ო, 1868 წლის თოთხმეტ იანვარს. აქვე თან ერთვის ინსტრუქციები და რწმუნების მანდატი თქვენთვის. ჩარლსტონში მაიორ ალენ ჯეიმსს ეუწყა თქვენი ამორჩევისა და დამტკიცების შესახებ, იგი ჩაიბარებს თქვენს მანდატს. შეერთებული შტატების მთავრობა დარწმუნებულია, რომ თქვენ საპატიოდ და ღირსეულად შეასრულებთ თქვენს მოვალეობას; შეერთებული შტატების კონგრესი გთხოვთ, რომ თქვენ კეთილსინდისიერად და ერთგულად შეიტანოთ თქვენი წვლილი სამხრეთ კეროლაინის შტატის რეკონსტრუქციის საქმეში.

ხელს აწერს

გენერალ ე. რ. კენგი

შ. შ. ს. ს. ძ. მ. ს. ო.

ეს ეწერა წერილში, მაგრამ რამდენი საათი გავიდა, სანამ ისინი აზრის გამოტანას შესძლებდნენ! ნაწილობრივ მაინც. უპირ-

ველეს ყოვლისა, გიდიონისთვის მისი დელეგატად არჩევა ახლა გროტესკი გახდა, კარიკატურა, რაც დაცინვად აქცევდა მათ ახლადმოპოებულ საამურ თავისუფლებას. შავი, შავი უმეცრება ფარავდა ყველაფერს. შავი, ვით მისი საკუთარი კანი, შავი ვით ღამე. ყველაფერი ეს ისეთივე ოინი იყო, როგორც ის სიზმრები, რომლებსაც იგი თითქმის ყოველ ღამით ხედავდა თავისუფლების ამ დღეებში, სიზმრები, თითქოს მას მხრებზე მათრახით სცემდნენ, სიზმრები, თითქოს იგი ალმურიან ბამბის ველზე მუშაობდა, სიზმრები, რომლებიც ისე გავდნენ ცხადს, რომ იგი ფრთხილად უნდა გამომძვრალიყო ლოგინიდან, კარებთან მისულიყო და თავისი თვალით დაენახა, რომ ველებზე ბამბა არ ეთესა. ახლა კი მას ცხადი სიზმრად ეჩვენა. იგი ძლიერმა სურვილმა შეიპყრო, გაქცეულიყო, სადმე გადაკარგულიყო.

ამასობაში ძმა პიტერი და ჰანიბალ უოშინგტონი წერილზე ოფლს ღვრიდნენ; ხალხს ინტერესი გაუნელდა, მზე ჩავიდა. გიდიონი ძმა პიტერსა და ჰანიბალს თავის ქოხში შეუძღვა და სამივენი ქაღალდებით ხელში ცეცხლის სინათლეს მიუსხდნენ: ჰანიბალ უოშინგტონმა თქვა:

— იქნება ჯობდეს, ეს ქაღალდები ქალაქს გავგზავნოთ და იანკის ავახსნევინოთ!

გიდიონმა ისეთი გაცოფებით დაიღრიალა „არა!“, რომ ყველამ გაკვირვებით შეხედა მას. მარკუსსა და ჯეფს არასოდეს ენახათ მამა ასეთ მდგომარეობაში და ისინი გაყუჩებულნი ისხდნენ; მაგრამ ჯეფისთვის ეს ამბავი რაღაცის დასაწყისი იყო. იგი ხედავდა სამ ვაჟკაცს, რომელთაც თემი ქვემოდან შეჰყურებდა, რომლებიც მაგრებიც იყვნენ, ღვთისმოშიშარნიც, რომელთაც იცოდნენ კარგი მოსავლის, ძროხის, ხბოს ან ღორის დაკვლა-გატყავების ამბავი, და სხვა მრავალი საიდუმლოებანი—იგი ხედავდა მათ, მოდუნებულს, და უმწეოდქმნილებს ერთი ნაფლეთი ქაღალდისაგან. ამ ქაღალდში ძალა იყო. ჯეფი ცოცხალი სახეებით აზროვნებდა; ახლა იგი ხედავდა დაბეჭდილ სიტყვას, მის ძალას, მის მშვიდ მიზანსა და განზრახვას. და ჯეფი მიხვდა, რომ იგი კითხვას ისწავლიდა, და პირველად თავის სიცოცხლეში მან საკუთარი უპირატესობა იგრძნო გიდიონთან შედარებით.

აგრეთვე პირველად თავის სიცოცხლეში მან იგრძნო რაღაც სიძულვილი გიდიონის მიმართ: მის ადგილას, იგი ასე არ გაბ-

რაზდებოდა, არც თავგზას დაკარგავდა კითხვის არცოდნის გამო. რეიჩელი ყველაფერს ხვდებოდა. იგი, საერთოდ, ისე ეხმიანებოდა ამ მამაკაცების შინაგან განცდებს, როგორც ხმატკბილი ჩანგი და ამიტომ იყო, რომ ახლა ყველაზე მეტად იგი ღელავდა. წინა ღამით მან მოხუც მემი კრისტის სპილენძის ფული მისცა, რომელიც დიდხანს განძივით ჰქონდა შემონახული. დედაბერმა, სამაგიეროდ, ავგაროზი გაუკეთა; იგი ქოხში იყო დამალული. ეს რომ გიდიონს გაეგო, გაჯავრებული წარბებს შეკრავდა; მას სძულდა ამგვარი ამბები და როცა კი შემთხვევა მიეცემოდა, გულგრილად უგულვებელჰყოფდა ხოლმე ყველაფერს, რაც ავი ბედის მომასწავებელი იყო. ძმა პიტერი კი ავგაროზებს არაქრისტიანულად სთვლიდა და წარმართობად აცხადებდა.

დაბოლოს სამმა კაცმა, როგორც იყო, დაასრულა წერილის ამოხსნა, ისინი მხოლოდ დაახლოებით თუ ჩასწვდებოდნენ ისეთი სიტყვების აზრს, როგორც იყო „რეკონსტრუქცია“ და „კეთილსინდისიერად“; ბევრი სხვა სიტყვა მათ მცდარად გაიგეს, მაგრამ წერილის არსს მაინც მიხვდნენ: გიდიონი ჩარლსტონს უნდა წასულიყო—ეს ნათელი გახდა. კონვენტის გაურკვეველი სახე სადღაც შორეულ მომავალში ინთქებოდა; შესაძლოა, იგი მუდმივი რამ იყოს, შესაძლოა პირიქით. გიდიონი უნდა დაეთმოთ, იგი მათ რიცხვს აღარ ეკუთვნოდა უკვე. დანარჩენი ქაღალდები და ფურცლები მათ შეათვალიერეს მხოლოდ; ამ ქაღალდებს გიდიონი თან წაიღებს და ბოლოსდაბოლოს მათი აზრიც გამომეღავნდება.

გიდიონმა იკითხა, რა რიცხვი იყო. ქოხის კედლების ღრიჭოებში ცივი ქარი ზუზუნებდა, იქნებ იანვრის თოთხმეტი იყო უკვე, ძმა პიტერს ფოსტის ბეჭედი მოაგონდა კონვერტზე.

— აგერ, აქ 2 იანვარი სწერია.

— ჩარლსტონში ფეხით ჩასვლას დიდი დრო დასჭირდება.— ამოიხვნეშა ჰანიბალ უოშინგტონმა: მან, ცოტა არ იყოს, შური იგრძნო გიდიონის მიმართ.

— ასე ვერ წავალ.—თქვა გიდიონმა და მოღუშვით დაიხედა დაგლეჯილ შარვალზე, ოდესღაც ლურჯ სამხედრო ხალათსა და ძველისძველ წაღებზე, რომლებიც არმიიდან მოჰყვა.

— მართალია, არ ვარგა.—დაეთანხმა ძმა პიტერი.—მე შავი სერთუკი მაქვს. ერთი სახელო გახეულია. რეიჩელი ამონემსავს; შეიძლება ცოტა ვიწროდ გექნეს, მაგრამ ჩაცმით ჩაიცვამ, გიდიონ.

— ფერდინანდს ერთი კარგი შარვალი აქვს.

— ტრუპერს გამოართვი ის წოწოლა აბრეშუმის ქუდი, სახლში რომ ინახავს. კარგი ქუდია, ცოტა დაჭმუჭნილია, მაგრამ მაინც ძალზე კარგი რამაა.

— გიდიონ, გენაცვალე, ხალათს გაგირეცხავ და გაგიმთელებ.—სთქვა რეიჩელმა.

ჰანიბალ უოშინგტონმა გულუხვობა გამოიჩინა:

— მე ძველი საათი მაქვს. ერთმა იანკიმ მაჩუქა ჯარში, გიდიონ,—ეს იყო მისთვის ყველაზე ძვირფასი განძი. გიდიონმა არაჩვეულებრივი სითბო იგრძნო ამ ხალხის მიმართ, რომელთაც ასე უყვარდათ იგი.

— აიღე, გიდიონ.—თქვა ჰანიბალ უოშინგტონმა,—არ მუშაობს და დროს ვერ გიჩვენებს, მაგრამ ძალზე ლამაზი საათია.

— ერთი ცხვირსახოციც უნდა გქონდეს.—დაასკვნა ძმა პიტერმა.—ზანგის საოფლე ხილაბანდი კი არა, არამედ ისეთი, გულჯიბეში რომ ატარო, თეთრ ხალხს რომ აქვს. მე მაქვს ერთი კარგი თეთრ-წითელი ჩითის ნაჭერი, რეიჩელი შემოქობავს, როგორც წესია.

* * *

ამგვარად, გიდიონ ჯეკსონი ფეხით გაუდგა გრძელ გზას ქალაქ ჩარლსტონისკენ. ორი დღის შემდეგ მას უკვე მრავალი მილით ჰქონდა უკან მოტოვებული კარუელის კარმიდამო და ახლა დილაადრიან იგი მიაბიჯებდა მტვრიან შარაზე. წოწოლა აბრეშუმის ქუდი საეჭვოდ გადაცურებულიყო გვერდზე და გიდიონი მგრგვინავი ბანით მიიმღეროდა თავისი ლეგიონის ძველ ლაშქრულს:

„ჩემს ფეხქვეშ ბალახი არ იზრდება
თავისუფლების გზაზე,
ჩემს ფეხქვეშ ბალახი არ იზრდება
თავისუფლების გზაზე,
მოხუცო ჯონ ბრაუნ,[1] ბაბუაჩვენო,
მოვდივართ,
მოვდივართ,
თავისუფლების გზაზე“.

რა შეუპოვარი სიმღერა იყო! სამხრეთ კეროლაინის გზაზე.

---

[1] ჯ ო ნ ბ რ ა უ ნ ი (1800—1859)—ცნობილი ამერიკელი აბოლიციონისტი

ამ სიმღერის თქმა სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა კაცს, მაგრამ ახლა გიდიონის განწყობილება არად აგდებდა ამ საშიშროებას. მას ასზე მეტი მილი ჰქონდა გასავლელი ჩარლსტონამდე, ასი მილი გაშლილ გზაზე. მაგრამ, გიდიონს მუხლი მაგარი ჰქონდა. ახლა, როცა არჩევანი უკვე გაკეთებული იყო, იგი საოცარ ბედნიერებას და სიმსუბუქეს გრძნობდა ტანში, თითქოს ბიჭი აკრძალულ მდინარეში სათევზაოდ მიდისო. შემდეგში ძველი ეპვები და წუხილი დაუბრუნდა გიდიონს, ახლა კი რა უნდა ეგრძნო ძველ მონას, თუ არა სიხარულის აღტყინება ასეთი გრძელი მოგზაურობის დროს?

სანამ გიდიონი გზას გაუდგებოდა, კამათი იყო იმაზე, თოფი მას თან უნდა წაეღო, თუ არა. მართალია, ხიფათი ბევრი იყო, მაგრამ იგი მაინც ძმა პიტერს დაეთანხმა: არ ივარგებდა თოფით ხელში კონვენტში გამოცხადება.

— ისე უნდა მიხვიდე, რომ მშვიდობა და სიყვარული გქონდეს გულშიც და სულშიც,—თქვა ძმა პიტერმა.

ასე იყო თუ ისე, გიდიონს გულჯიბეში შეერთებული შტატების მთავრობისაგან მოცემული მანდატი ჰქონდა: ვინ გაბედავდა ხმის გაცემას?! საოცარია, რა მოსდიოდა მის გულს, მის იმედებს— ერთი წუთით შიში იპყრობდა, მეორე წუთით ბედნიერების მღელვარე გრძნობა. ნაძვნარიდან, რომელიც გზას ორივე მხარეზე მისდევდა, ცივი ქარი ქროდა. მოხარშული ღორის ხორცი და მჭადები ღღლიაში ამოეჩარა გიდიონს: იგი სიმღერით მიაბიჯებდა და იმაზე ფიქრობდა, თუ რა გამოვიდოდა ამ კონვენტიდან. უცნაური ის იყო, რომ რაც უფრო მეტს ფიქრობდა იგი ამაზე, მით უფრო გარკვეულ სახეს იღებდნენ კონვენტიდან აღმოცენებული ახალი ქვეყნის და ახალი ცხოვრების ცნებები მისთვის. ყოველივე ამის წარმოდგენა საკმარისი იყო, რომ კაცს შეშინებოდა და თანაც ამაყად ეგრძნო თავი.

წინ, ცოტა მოშორებით, ნაძვნარი შეთხელდა. აქ ათიოდე აკრის ახოზე ქოხი იდგა. ეს იყო ებნერ ლეიტის მამული, ყოველ შემთხვევაში, მას მამულის სახელი შერჩა, თუმცა ებნერ ლეიტი და მამამისიც კარუელების მოიჯარეები იყვნენ. ლეიტი მაღალი, ხმელი, წითური კაცი იყო, თეთრკანიანი; იგი დინჯად ლაპარაკობდა და ქვეყანას ეპვის თვალით და უნდობლობით უყურებდა. მთელი მისი ცხოვრება სიდუხჭირე და წვალება იყო. ომამდე მას

თავისი სარჩო ძლივს მოჰყავდა ამ მიწაზე; როცა კარგი მოსავალი იყო, კარუელებს მიჰქონდათ, როცა ცუდი—მაშინ ლეიტი კიდევ უფრო ღრმად იფლობოდა კარუელების ვალში. ომის დაწყებისთანავე, იგი დადლი კარუელის რაზმს გაჰყვა. სამ წელიწად-ნახევარში მან ოთხი ჭრილობა მიიღო და იმდენი ბრძოლა გადახდა თავს, რომ მოსაგონებლად ეყოფოდა, მერე კი ტყვედ ჩავარდა და ომის ბოლომდე იანკების ტყვეთა ბანაკში იყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში მისი ცოლი და ოთხი ბავშვი როგორღაც არსებობდნენ, როგორ—არც მან იცოდა და არც მის ცოლს უნდოდა ამის მოგონება. ახლა იგი შინ იყო. მან უკვე ორჯერ აიღო მოსავალი; მდგომარეობა ცუდი იყო, მაგრამ წინანდელს ჯობდა. ყოველ შემთხვევაში კარუელებს მაინც დაავიწყდათ იგი. ასე იყო თუ ისე, მუცელი შედარებით სავსე იყო ახლა.

ებნერ ლეიტს ზანგები სძულდა შეუგნებლად იმ ტრადიციული სიძულვილით, რომელსაც ბავშვობიდანვე იყო შეჩვეული; ეს ჩვეულებრივი იყო. პლანტატორები მას სძულდა გარკვეულად, მთელი თავისი შეგნებით. მასა და გიდიონს შორის რაღაც მორიდებული შუღლი იყო. გიდიონი რომ მიუახლოვდა, ებნერი ღობესთან იდგა, ბარზე დაყრდნობილი.

— დილა მშვიდობისა, მისტერ ლეიტ!—მიესალმა მას გიდიონი.

— აბა ასეთ ურჯულო სიმღერას როგორ უნდა მღეროდეს ზანგი?!

— როცა გზაზე მივაბიჯებ, როგორაღაც მემღერება!—ღიმილით თქვა გიდიონმა.—იანკებს რომ მივყვებოდი გვერდით, ამ სიმღერას ვმღეროდი.

— ღმერთსაც შეუჩვენებიხარ.—უხალისოდ წარმოთქვა ებნერმა. ასეთ დილაზე გაგულისება ცოდვა იყო. მისი ბიჭები პიტერი და ჯიმი, ორივე ქერა, აბრეშუმივით ნაზი თმებით, მორცხვად მოადგნენ ღობეს.—ნეტავი ერთი თვალით მენახე, როცა იმ წყეულ იანკებთან იყავი,—განაგრძო ებნერმა,—ისე დაგცხრილავდი, როგორც აგერ ეს შავი სერთუკი, ზედ რომ გაცვია. როგორ მაიმუნივით გაკოჭილხარ გიდიონ?

— ჩარლსტონს მივდივარ, კონვენტში.

— კონვენტი! ღმერთმა დასწყეველოს, როგორ აირ-დაირია ყველაფერი!

— ხმის მიცემით ამომირჩიეს.

ებნერმა დაისტვინა და თქვა:

— ერთი ამას დამიხედეთ! ზანგი კონვენტზე, ჩარლსტონში! ეე მგონია, შენ უმალ ლინჩით გასამართლებას მოგიწყობენ, სანამ პირის გაღებას მოასწრებდე, გიდიონ.

— შეიძლება!—თავი დააქნია გიდიონმა,—მაგრამ მთავრობის ბოწერილობა მაქვს აგერ აქ, ჯიბეში. არჩევნებზე იყავი?

— ვიყავი, მაგრამ ზანგისთვის არ მიმიცია ხმა.

ისინი კიდევ ცოტა ხანს იდგნენ; ერთმა ბიჭუნამ გამბედაობა მოიკრიბა და ნელა მიუახლოვდა გიდიონს; გიდიონმა მას ნაზად გადაუსვა ხელი ქერა თმაზე. მერე გიდიონმა მშვიდობა უსურვა და კვლავ გზას გაუდგა. ებნერ ლეიტმა მას თვალი გააყოლა და თავისთვის წაიბუტბუტა.

— ჩარლსტონს მიდის. იესო მაცხოვარო, ვის უნახავს, ზანგი ჩარლსტონს მიდიოდეს კონვენტის სხდომაზე!

გიდიონმა იარა და, როცა მზე ზენიტს მიუახლოვდა, გზის პირას დაიბანაკა: ფიჩხით პატარა კოცონი გააჩაღა, ჭადითა და ხორცით დანაყრდა, მერე წამოწვა და დაახლოებით ნახევარი საათი ასე ისვენებდა. ამასობაში ცოტა დათბა კიდეც. ჩიტები მხიარულად ჭიკჭიკებდნენ, იქვე ახლოს ნაკადული ჟღურტულებდა და გიდიონმა სიხარულით გაიფიქრა, რომ წყურვილის მოკვლაც შეეძლო. იგი სავსებით ბედნიერი იყო.

დაბინდებისას გიდიონმა დასაძინებელ ადგილს დაუწყო თვალით ძებნა. თუ საჭირო იქნა, იგი ნაძვებში კოცონს დაანთებს და ყავისფერი წიწვის რბილ სარეცელზე წამოწვება; ამაზე უფრო ცუდ ადგილზე გაითევა ღამე. მაგრამ გიდიონი დაკარგულად თვლიდა ისეთ საღამოს, როცა ყურს ადამიანის ხმა და სიცილი არ ესმოდა; იგი სევდიანი მარტოობისთვის არ იყო გაჩენილი.

ახლა იგი მთელი დღის სიარულისაგან დაღლილი იყო, დიდი გზა განვლო, ოცდახუთი ან ოცდაათი მილი, დაახლოებით. გზად ერთ დაბაში გაიარა, მას შემდეგ კიდევ მრავალი მილი მოიტოვა უკან, კვიპაროსების ჭაობი ფიჩხით მოფენილ ბილიკით გადასერა და ახლა მის წინ ზღვისპირა დაბლობი იყო გაჭიმული. ცას დაისის ნაზი ბურუსი წამოეპარა და ჰაერი უკვე ცივად იკბინებოდა.

ასე, რომ, როცა გიდიონმა მინდორზე ქოხი დაინახა, მილიდან საამურად ამომავალი ლურჯი კვამლის ზოლი, კარებთან სი-

ლაში მოთამაშე სამი შოკოლადისფერი ბავშვი,—გულზე შვება იგრძნო. გიდიონმა ქოხის მიმართულებით მინდორი გადასჭრა; სახლიდან პატრონი გამოვიდა მის შესახვედრად; იგი ზანგი იყო, ასე, სამოცდახუთი წლისა, მაგრამ ღონიერი აღნაგობისა და ჯანსაღად გამოიყურებოდა, იღიმებოდა თანაც.

— საღამო მშვიდობისა,—თქვა მან.

— საღამო მშვიდობისა,—თავი დაუკრა გიდიონმა და თანაც გაიფიქრა, როგორ ერთნაირი იყვნენ ბავშვები ყველგან—მორცხვი ცნობისმოყვარე და უცხო კაცის დანახვით აგზნებულნი.

— რით შემიძლია გემსახურო?—იკითხა მოხუცმა.

— ჩემი სახელი გიდიონ ჯეკსონია, ბატონო. შორი გზით მოვდივარ, კარუელის პლანტაციიდან. ჩარლსტონს მივემგზავრები. ძალიან მადლობელი ვიქნები, თუ აგერ იმ ფარდულის კუთხეში ღამეს გამათევინებ. მაწანწალა ზანგი არ გეგონო, ლუკმა პურის მათხოვარი; ჩემი საგზალი თანა მაქვს ამ ფუთაში. მთავრობის ქაღალდებიც მიდევს ჯიბეში.

მოხუცი იღიმებოდა. გიდიონი გაჩუმდა, სული მოითქვა და დანარჩენი სწთქმელი, ჩარლსტონის კონვენტის შესახებ, უხმოდ ჩაყლაპა. მოხუცმა თქვა:

— ჩემი კარები ღიაა მგზავრისათვის და კერაზე ცეცხლს და ლუკმას არავის დავამადლი. ის ფარდული პირუტყვისთვისაა. ტახტს ვერ შემოგთავაზებ, საბანს კი გაგიშლი ცეცხლის პირას, თუ ხელს მოგცემს. რწმუნების ქაღალდს, ბატონო, მე არავის ვთხოვ. ჩემი სახელია ჯეიმს ალენბი.

— დიდად გმადლობ, მისტერ ალენბი.—თქვა გიდიონმა, რომელმაც მოხუცის ღიმილზე უფრო თავისუფლად იგრძნო თავი. ალენბი მას ქოხში შეუძღვა. ეს იყო ძველისძველი ძელური, ერთ დროს, ალბათ, დამოუკიდებელი მესაკუთრის ფერმა, რადგან მას ფანჯრებიც ჰქონდა და დარაბებიც, რასაც მონის ქოხში ვერ ნახავდით. ცეცხლთან ახალგაზრდა ქალი ჩაცუცქულიყო, იგი რაღაცას ურევდა ქოთანში. მათ შემოსვლაზე იგი წამოდგა, მაღალი, დასრულებული, ყავისფერი, გასაოცრად ლამაზი, თავი მაღლა ეჭირა ყელმოღერებით, თითქოს ლარნაკი უდგას თავზე და წონასწორობას იცავსო. მისი თვალები დიდრონი იყვნენ და ელვარენი; გიდიონმა ეს ბინდბუნდშიაც კი იგრძნო; მაგრამ რაღაც უცნაური იყო ყმაწვილი ქალის თვალებში, რაღაც უცნაური იმაში, რომ მას ერთხელ

არ შეუჩერებია მზერა გიდიონის სახეზე. ალენბიმ ქალს ხელი მოჰ-კიდა და უთხრა:

— ჩემო შვილო, ამაღამ ჩვენ სტუმარი გვყავს. მისი სახელია გიდიონ ჯეკსონი, იგი ჩარლსტონს მიემგზავრება. მას ჩვენთან ღამის გათევა ვთხოვე, მე მგონია, იგი წესიერი და კეთილი კაცი უნდა იყოს.

მოხუცის სიტყვებში და ყმაწვილი ქალის გახევებულ მზერა-ში, რომელიც სადღაც მის გვერდით იყო მიმართული, გიდიონმა იმის გასაღები იპოვა, რაც მას უცნაურად მოეჩვენა. იმის წარ-ჰოდგენაზე, რომ ყმაწვილი ქალი ბრმა იყო, მას ერთი წუთით სა-შინელების გრძნობა დაეუფლა და წონასწორობის აღსადგენად, ყურადღება ბავშვებზე გადაიტანა, რომლებიც ქალს კალთაზე ებ-ღაუჭებოდნენ, მერე ქოთნიდან მონადენ სურნელზე შეაჩერა ფიქრი და ბოლოს ქოხის ღარიბული, მაგრამ სუფთა მოწყობილობა შე-ნიშნა. შესაძლებელია, ქალი მოხუცის შვილი იყო; ყოველ შემთხ-ვევაში ასეთი ახალგაზრდა ვერ იქნებოდა ამ ბავშვების დედა. ახ-ლა გამოკითხვა შეუძლებელი იყო გიდიონისთვის, ყმაწვილმა ქალმა წარმოთქვა:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბატონო,—და მერე ცეცხლს მიუბრუნდა. გიდიონი ნაძვის ტოტებისაგან გაკეთებულ სკამზე დაჯდა; ალენბიმ მოკალული მათლაფები და კოვზები დაა-ლაგა მაგიდაზე. გარეთ უკვე ღამე ჩამოწვა. გიდიონი ადვილად პოულობდა საერთო ენას ბავშვებთან; მან ახლაც ჩქარა მოიგო მათი გული და მალე ერთი მათგანი ხელებზე ესვა, დანარჩენი ორი კი მის მუხლებზე იყვნენ მუცლით გადაკიდებულნი.

— მათ სიმღერები უყვართ!—თქვა მოხუცმა.

გიდიონმა სიმღერა წამოიწყო:

— კურდღელი რომ მაყვლის ბუჩქში უდარდელად ცხოვრობს, მღერის, მას ზეცა აქვს სახურავად, რაღად უნდა ისლის ჭერი...

* * *

გიდიონმა დაასრულა თავისი ამბის თხრობა ხმის მიცემისა და მისი დელეგატად არჩევის შესახებ. უკვე გვიან იყო, ცეცხლის ადგილას ნაკვერჩხლები ელვარებდნენ. ელენ ჯოუნსი, ყმაწვილი ქალი, კიბით სხვენზე ავიდა, სადაც მისი ლოგინი იყო გაშლილი. ერთ ბავშვს მასთან ერთად ეძინა მაღლა, ბიჭები—ჰემი და ჯეპე-

ტი—ერთ ტახტზე იწვნენ და უკვე ძილისთვის მიეცათ თავი. მოხუცი და გიდიონი ცეცხლს უსხდნენ.

— მაშ ასე, ახლა ჩარლსტონს მიდიხარ,—დაიწყო მოხუცმა.— ამდენი ხნის შემდეგ განთიადი უნდა დადგეს. როგორ მშურს შენი, გიდიონ ჯეკსონ, ღმერთო შემიწყალე, და როგორ მშურს შენი. მაგრამ როგორცაა, ასეც უნდა იყოს—ახალგაზრდა, მაგარ, იმედით სავსე კაცისთვის, შენისთანებისათვის...

— ჩვენთვის ყველასთვის!—შეაწყვეტინა გიდიონმა.

— ჰოო? შეიძლება, გიდიონ, როგორ ფიქრობ რამდენი წლის ვიქნები?

— ასე, სამოცდახუთის.

— სამოცდაჩვიდმეტის, გიდიონ. 1812 წლის ომში ვიბრძოდი ბრიტანელთა წინააღმდეგ. დიახ, მაშინ ნება გვქონდა ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისათვის გვებრძოლა. არა, გული როდი მტკივა, მაშინ ფიქრობდნენ, მონობა თავისთავად მოკვდებაო. ეს ის დრო იყო, როცა ბამბას დიდი შემოსავალი არ ჰქონდა კიდევ. მონები მაშინ უფრო პასუხისმგებლობის საქმე იყო. მათ მე განათლებაც კი მომცეს. შინამასწავლებელი გამხადეს; მათ მაშინ არ ესმოდათ, რომ, თუ კაცს განათლებას მისცემ, იგი მონად აღარ გამოდგება და თავისუფლების სენს სხვებსაც გადასდებს.

— ცოტა სწავლისათვის რას არ მივცემდი!—ჩაურთო გიდიონმა.

— მოთმინება იქონიე, გიდიონ. სწავლა და თავისუფლება ერთად მოდის ხოლმე. განა არ ვიცი? როცა ბრიტანეთთან ომი დამთავრდა, ბატონმა გაიგო, რომ მე დანარჩენ მონებს წერა-კითხვას ვასწავლიდი. როგორ გაბედეო?! როგორ შემეძლო არ მესწავლებინა? მაშინ მან ქვემო მდინარეზე გამყიდა, სხვების სამაგალითოდ, გიდიონ. სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, ცოტაოდენი სწავლის იმავე წყურვილს ვხედავდი ყველგან, წყურვილს, ორიოდე სიტყვა ამოეკითხათ ბიბლიაში, ორიოდე სიტყვის დაწერა შესძლებოდათ, წერილი მიეწერათ ვინმესთვის, ვინც უყვარდათ და ვინც ახლა წასული იყო სახლიდან. ასე მყიდდნენ, მათრახით მცემდნენ, მემუქრებოდნენ. განა სენი ამგვარად განიკურნება? მე წამიკითხავს ვოლტერი, პეინი, ჯეფერსონი, დიახ, და შექსპირი. მისი სახელი შენ არასოდეს გაგიგონია, გიდიონ, არც მისი ოქრო ხმა, მაგრამ გაიგონებ იცოდე, გაიგონებ. შემეძლო განა ჩუმად ვყოფილიყავი ჩემთვის?—გიდიონმა მდუმარედ გააქნია თავი.

— სამჯერ დავცოლშვილდი, გიდიონ, ყველა მიყვარდა, მაგრამ სამჯერვე გამყიდეს და ცოლს დამაშორეს. ბავშვებიც მყავდა, მაგრამ არც ერთი არ ვიცი სადაა, გიდიონ. ოთხჯერ გავექეცი პატრონს—ოთხჯერვე მიპოვეს, უკან მიმგვარეს და მათრახით მცემეს, სასიკვდილოდ კი არა მიმეტებდნენ, რადგან მე სიმდიდრეს წარმოვადგენდი მათთვის; მოზვერი მკვდარიც ფასობს ხორცად, ჩვენს ხორცს კი ფასი არ აქვს, თუ მასში სიცოცხლე არაა. ასეთ რამეებზე მე იშვიათად ვლაპარაკობ, გიდიონ; შენ გეუბნები, რადგან უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ შენ ჩვენი წარსული გახსოვდეს, ჩვენი ხალხის ტანჯვა. შენში, გიდიონ, გულისხმიერებაცაა, ძალაცა და ცეცხლიც... შენ ჩვენი ხალხის დიდი წინამძღოლი გახდები, მაგრამ არაფრად ეღირები, თუ ოდესმე დაივიწყებ ყოველივე ამას. ახლა გატყობ, გაინტერესებს ამ ბრმა გოგონას და ბავშვების ამბავი, გიამბობ.

— თუ არ გინდათ, თავი დაანებეთ, ნუ მეტყვით.—გააწყვეტინა სიტყვა გიდიონმა.

— მინდა, რომ გითხრა, გიდიონ, და ამიტომაც გიამბობ. ეს სამი ბავშვი უპატრონონი არიან. ეს ჩვენი საბრალო სამხრეთის მიწა სავსეა ობლებით, უპატრონო, დაკარგული ბავშვებით—შავი ხბორებით, რომლებსაც არასოდეს სცოდნიათ, რაა დედა და მამა, სავსეა ჯოგით, რომელიც ბედის ანაბარა დასტოვეს, როცა პირუტყვის ბაზარი დაინგრა. მე ალაბამაში ვიყავი მონა, როცა ომი დაიწყო. და როცა თავისუფლება მოვიდა, ჯერ ჩრდილოეთისკენ გავსწიე, მერე აღმოსავლეთისკენ; იანკის მხარეს კი არ მინდოდა წასვლა—მე ეს სამხრეთის მიწა მიყვარს, თუმცა ქვემო სამხრეთი კი არა, ბევრი წამება გამომივლია იქ. ვიფიქრე, იქნებ სადმე კეროლაინში ან ვირჯინიაში მასწავლებელი იყოს-მეთქი სიჭირო. გზაზე ამ ბავშვებს წავაწყდი და ავიყვანე. ასე მოხდა, გიდიონ, შენც შეგემთხვევა ასეთი რამ. ეს გოგონაც შემთხვევით ვნახე. ელენი თექვსმეტი წლისაა. მამამისი აზატი ზანგი იყო ატლანტაში, ექიმი. ეს ცალკე ისტორიაა; იგი მკვდარია ახლა—განსვენება მას. შერმანის[1] წასვლის შემდეგ ბევრი საშინელი ამბავი მოხდა. მე

---

[1] უილიამ შერმანი (1820—1891)—ჩრდილოეთის არმიის ცნობილი გენერალი სამოქალაქო ომში. 1864 წ. 16 ნოემბერს შერმანმა დასტოვა ქ. ატლანტა და დაიწყო ცნობილი „ლაშქრობა ზღვისაკენ".

არავის ვკიცხავ. აჯანყებულთა არმიის რამდენიმე ჯარისკაცმა — ბოროტი და კეთილი კაცი ყველა არმიაშია—გოგონას თვალწინ მოუკლეს მამა, ხიშტები გაუყარეს და თვალები დათხარეს. გესმის, იგი იანკებს ეხმარებოდა. ამას იმიტომ გიყვები, გიდიონ, რომ გულისხმიერება დაიმკვიდრო შენში და არა სიძულვილი. შენ ჩარლსტონს მიდიხარ იმისთვის, რომ კონსტიტუცია, ახალი სახელმწიფო, ახალი ქვეყანა, ახალი ცხოვრება შექმნა; მაშ ისიც უნდა გესმოდეს, თუ როგორ შეუძლიათ უბრალო ადამიანებს ეშმაკეული ბოროტების ჩადენა, რადგან მათ უკეთესი არაფერი იციან. მამის მოკვლის შემდეგ მათ ნამუსი აჰხადეს გოგონას. მალე იგი დაბრმავდა. მე ასეთი ამბების არა გამეგება რა—ელდას შეუძლია გამოიწვიოს სიბრმავე, თუ მას რაიმე სენი ჰქონდა თვალისა. ასეა თუ ისე, როცა იგი პირველად ვნახე, თავის ჭკუაზე არ იყო, იმის გაგებაც კი არ ჰქონდა, თუ თავად ვინ იყო; ტყეში ცხოვრობდა ნადირივით და ნადირივით ფრთხილი იყო. მაგრამ მე მომენდო, არ ვიცი კი რატომ, მეც იგი ჩემს პატარა ჯგუფს შეეუერთე.

მოხუცი გაჩუმდა. გიდიონი თვალდაშტერებით უმზერდა ნაკვერცხლებს და თან ხელებს იმტვრევდა.

— გიდიონ,—წყნარად წარმოთქვა მოხუცმა.

— ბატონო?

— გიდიონ, როცა მთავრობის მანდატი ჯიბეში ჩაიდე, შენ ამით ჩვეულებრივი კაციდან მსახურად იქეცი. კაცს, გიდიონ, შეუძლია თავი სიძულვილს მისცეს. მას შეუძლია ვინმეს მოკვლა, რაიმეს განადგურება მოინდომოს, როგორც ეს შენ გინდა ამ წუთში. მსახურს არ შეუძლია, იგი თავის ბატონს უნდა ემსახუროს. შენი ბატონ-პატრონი, გიდიონ, შენი ხალხია. ახლა ყური დამიგდე და დანარჩენსაც გიამბობ.

— ყურს გიგდებ!—წარმოთქვა გიდიონმა.

— ამ ქოხს წავაწყდი. ღმერთმა უწყის, სადაა ახლა ამის ძველი პატრონი—ალბათ ომში მოჰკლეს. ათასი ასე დაცარიელებული ქოხია ამ ჩვენს სამხრეთში. ორი წელია აქა ვცხოვრობ, ჩვენთვის სამყოფი სარჩო მომყავს. რამდენიმე ფრთა ქათამი მყავს; ორიოდე გარეული ღორისაგან გოუები მოვაშენეთ. რაც აქა ვართ, არავის შეუწუხებივართ. ელენი თითქმის საკუთარი ნორმალურია ახლა, მაგრამ ბრმად კი დარჩა. ცხოვრებას როგორ დაევმდურები, როცა ოთხი ყმაწვილი მყავს შეგირდად, რაიმე რომ ვასწავლო; დაბაშიც

წავედი სამუშაოდ; საშუალოდ დურგლობაც ვიცი, ხარაზობაც, თოქმაჩობაც და წერილის წერაც და ყოველი ხელობით ორიოდე პენი ვიშოვნე, რომ ტანსაცმელი და რამდენიმე წიგნი მეყიდნა.

ამ სიტყვებზე მოხუცი გაჩუმდა, კარგა ხანს გიდიონიც ჩუმად იყო. მერე იკითხა:

— და როცა მოკვდებით?

— ამაზე ბევრი მიფიქრია.—მიუგო ალენბიმ.—ესაა ჩემი შიში და უბედურება.

— ან, ვთქვათ, ავად გახდით, ანდა, ვთქვათ, შერიფი მოგადგათ და გითხრათ,—ქოხიდან გარეთ გაეთრიე, ჯანაბამდე გზა გქონიაო.

— ამაზედაც მიფიქრია, გიდიონ.

— მოიხედეთ,—ცოტა არ იყოს აღელვებული ხმით წამოიძახა გიდიონმა.—თქვენისთანა კაცი—მცოდნე კაცია. მოხუცი კი ხარ, სამოცდაჩვიდმეტისა, ეს მართლა დიდი ასაკია, მაგრამ თქვენ უავისფერი ხართ და კერკეტი, როგორც ძველი კაკალი. შესაძლებელია ხვალ მოკვდეთ, აბა კაცმა რა იცის ღვთის განჩინება, შესაძლებელია ათი, თხუთმეტი წელიწადი კიდევ იცოცხლოთ.

— საით უმიზნებ, გიდიონ?

— ერთი აზრი მომივიდა. აგერ მე, განთავისუფლებული ზანგი ჩარლსტონის გზაზე ქუსლებს ვიღლეტ, კონვენტის დელეგატობით ფარშავანგივით ვარ გაყინჩული, მაგრამ წერა მე არ ვიცი და კითხვა, უმეცრება გონებას მიხშობს. ამ სამხრეთის მიწაზე ალბათ ოთხი მილიონი ზანგი მაინც იქნება, ცოტაოდენი სწავლა რომ სწყურია. თავისუფლება დიდი რამაა, ერთ მილზე ზეცას წვდება, როგორც საამური, ტკბილი გალობა, მაგრამ რის მაქნისია ყველაფერი ეს კაცისთვის, რომელსაც უმეცრების გამო თავი მაღლა ვერ აუწევია? თქვენ სამ პატარა ბავშვს ასწავლით, ძალიან კარგი; იქ კარუელის კარმიდამოზე ჩემიანები ცხოვრობენ, მე მათზე ისევე ვფიქრობ, როგორც შენ შენიანებზე; სხვა ჩვენებური ზანგების მსგავსად, არც მათ იციან, რაა მათი და რა არაა მათი, არ იციან მიწა მათია თუ არა, ძველი მონის ქოხი მათია თუ არა. საიდან უნდა გაიგონ ყველაფერი ეს, როცა ერთი კაციც არაა მათ შორის, წერა-კითხვა რომ იცოდეს ხეირიანად?

გიდიონი გაჩუმდა, ნერწყვი გადაყლაპა და მერე ყოველი სიტყვის თქმაზე საჩვენებელ თითს იქნევდა: წადი იქ, შენი პატა-

რებიც თან წაიყვანე, ჩვენებს უთხარი, გიდიონმა გამომგზავნა-თქო: ძმა პიტერს მოელაპარაკე, ჩვენი მოძღვარია, უთხარი, რომ მასწავლებელი ხარ და ხალხს სწავლას მისცემ. კარგად მოგიელიან...

ალენბიმ თავი გაიქნია.

— ერთი ფიქრი, მეც ვიფიქრე ასე, გიდიონ, მაგრამ ძალიან მოვხუცდი, მეშინია; აქ ჯერ ბედს არ ვუჩივი. არსებობს „განთავისუფლებულთა ბიურო“, რომელიც ასეთ საქმეებზე ზრუნავს...

— გინდ მეორედ მოსვლამდე გიცდიათ და გინდ—„განთავისუფლებულთა ბიუროსათვის,“—ჩამოართვა სიტყვა გიდიონმა.—რისი ფიქრი გაქვთ? გაჰყევით ამ გზას, ვისაც არ უნდა ჰკითხო, ყველა მიგასწავლით კარუელის კარ-მიდამოს. მაშ ის აჯობებს, რომ ერთ დილით პატარებმა გაიღვიძონ და მკვდარი გნახონ? ისეთი არავინ გამოჩნდება რომ დაგასვენოს, გაგაპატიოსნოს, არავინ იქნება, რომ სუდარა გადაგაფაროს და ნაძვის კუბო გაგიკეთოს. ვინ გიპატრონებს, ის საბრალო ბრმა გოგონა?

მოხუცი მაინც უარზე იყო და გიდიონიც შეუბრალებლად უტევდა, სანამ დაბოლოს, როცა ცეცხლი თითქმის სავსებით ჩაქრა, ალენბიმ თავი არ დაიქნია და არა თქვა, კარგი, წავალო. იგი იჯდა, ოდნავ განათებული მბეუტავ ნაკვერცხლების მკრთალი შუქით, წელში მოხრილი და კისერი წინ წაეწია, თითქოს სიბნელეში ეძებსო სანუგეშო რწმენას. მერე იკითხა:

— ხომ სიზმარი ggონია ხანდახან, გიდიონ, ეს თავისუფლების საქმე?

— არა, სიზმარი როდია,—ჩაილაპარაკა გიდიონმა,—იანკებთან ერთად საომრად მივლია, ამ თავისუფლების ერთი ნაწილი საკუთარი ხელებით მომიპოვებია. ეს სიზმარი არაა!

* * *

მეორე დღეს ბევრი რამ მოხდა ისეთი, რამაც გიდიონი დაარწმუნა, რომ რამდენიმე საათი გაშლილ შარაგზაზე იგივეა, რაც სოფლური ფერმის ზანტი ცხოვრების მთელი თვე. გიდიონი ერთ ბიჭს მიეშველა, რომ გაჯიუტებული ჯორი ადგილიდან დაძრულიყო, სამაგიეროდ ორი მილი ბიჭის ორთვალათი გაიარა. მერე გიდიონმა თხუთმეტი წუთი მოხუც ქალთან ლაპარაკში გაატარა; ქალს ერთი კალათი კვერცხი მიჰქონდა დაბაში გასაყიდად და სანამ მათ ერთი გზა ჰქონდათ, კალათი გიდიონს მიჰქონდა. ვიღაც

თეთრმა დიასახლისმა მას სამხარი შესთავაზა შეშის დაპობის გასამრჯელოდ; საძროხე ფარდულიდან დიასახლისის ქმარი გამოვიდა და თქვა, პირველად ვხედავ ზანგი ასე მარდად აპობდეს შეშასო. სამხარი, რომელიც თეთრმა ქალმა გაუწყო გიდიონს, მშვენიერი იყო. გიდიონმა გაიფიქრა, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, და კონვენტის შესახებ კრინტი არ დაუძრავს. ცოტა ხნის შემდეგ, მან ერთ პლანტაციას ჩაუარა გვერდით; მინდორში ზანგები მუშაობდნენ, მათ თეთრი ზედამხედველი ადგათ თავზე. მუშებს საწრეტი თხრილი გაჰყავდათ ქვასავით მაგარ მიწაზე. „ხელფასზე მუშაობთ?"—გადასძახა მათ გიდიონმა. მუშებმა არაფერი უპასუხეს, ზედამხედველმა კი დაუყვირა: „აქედან გაეთრიე, შე შავო ნაბიჭვარო!"

გვიან ნაშუადღევს წვიმა წამოვიდა ჭექა-ქუხილით; გიდიონი თივის ძნის ქვეშ შეძვრა და სანამ წვიმის შხაპუნი არ შეწყდა იქ იყო. ძროხასაც აქვე შეეფარებინა თავი; გიდიონი იწვა ძროხის თბილ ფერდთან და თავისთვის ღიღინებდა:

— ბოჩოლებს მოვრეკავ, თეთრ ფუნჩულა ბოჩოლებს,
ბოჩოლებს მოვრეკავ, ჰოი, დედილო!

მაგრამ ასეთი პატივისცემა ვერაფრად მოუხდა მის შავ სერთუკს. გიდიონმა თანაყოლილი თივა ძლივს ჩამოიწმინდა, წოწოლა ქუდის გადარჩენა კი შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან მას აქამდეც ძლივს ედგა სული. ქუდს ცა გასძვრა და გიდიონი დიდხანს საგონებელში იყო—დაეხურა თუ არა ქუდი ასე ცაწაგლეჯილი. იგი გრძნობდა, რომ წოწოლა ქუდი ცის გარეშე გადაჭარბებული ფუფუნება იყო, მაგრამ მისი ასე უბრალოდ გადაგდება აუტანელი იქნებოდა მისთვის, ამიტომ ქუდი შემოინახა და შემდეგ ორ გემრიელ ვაშლში გაუცვალა ერთ მოხუც ზანგს.

იმ ღამეს გიდიონს ღია ცის ქვეშ ეძინა, ნოტიო მიწაზე, გაფენილ ნაძვის შტოების სარეცელზე. ეს არ იყო მაინცადამაინც კომფორტაბელური საწოლი, მაგრამ ახლა მისი გული აღმაფრენას მისცემოდა და გიდიონი გამოუთქმელი ცნობისმოყვარეობით ფიქრობდა თავის მისიის გამო.

მეორე დღეს გიდიონმა ზღვის სანაპირო დაბლობი გაიარა; მეოთხე დღეს კი ჩარლსტონის შენობათა სახურავებს მოჰკრა თვალი.

თავი მეოთხე

როგორ შრომობდა გიდიონ ჯეკსონი თავითა და ხელებით

ჩარლსტონში გიდიონ ჯეკსონი ისეთმა შიშის ზარმა აიტანა, რომელსაც ვერავითარი გონების ძალით ვერ დააღწევდა თავს. ეს იყო საშინელების გრძნობა ყველაზე უფრო ღრმა და მუქარით აღსავსე იდუმალების—თეთრი ადამიანის წინაშე. ეს იყო ბავშვობის მოგონება, როცა მას ერთხელ დიდი სახლის აივნისკენ მიუხმეს:

— აქეთ, ბიჭო,—გადმოსძახეს მას მაშინ, თითქმის ოცდაათი წლის წინათ. აივანზე კაცები და ქალები ისხდნენ; კაცებს მაღალყელიანი წაღები, შემოსხლეტილი შარვლები და მოხდენილი ქურთუკები ეცვათ, ქალების სამოსელი გიდიონის მეხსიერებაში დარჩა, როგორც მხოლოდ მშვენიერება. ერთ-ერთ ქალს ფეხსაცმელზე ტალახი მოსცხებოდა. გიდიონს კაცის ხმამ მოუხმო: „ბიჭო, აქ მოდი!“ შიშით აცახცახებულმა ბიჭმა ტალახი მოსწმინდა ფეხსაცმელს; კაცმა ვერცხლის ფული გადმოუგდო. გიდიონს ახლაც კარგად ახსოვს: იგი ფორთხვით მისწვდა ტალახში ჩავარდნილ ვერცხლს, ჩაბღუჯა და, როცა ყველამ ხარხარი ასტეხა, ბავშვი გაკვირვებული სახით შეაჩერდა მათ. იგი პატარა შავი ცხოველი იყო მათთვის, ამას გიდიონი მაშინ მიხვდა და ექვსი წლის ბავშვი შეაძრწუნა სრული მარტოობის საშინელმა, მტკივნეულმა შეგნებამ; მას წართმეული ჰქონდა იმედიც, რომელიც ყოველი ცოცხალი არსების განუყოფელი ნაწილია. ამ დროიდან თეთრი კაცი მისთვის გადარაზული კარიბჭე იყო და, თუმცა შემდეგში გიდიონი სულ ახლოს მივიდა ამ კართან, იგი მას სინამდვილეში არასოდეს შეუღია.

ახლა მას ამ კარზე ხელი ედო. ამჯერად იგი ჩარლსტონს

მოვიდა არა ისე, როგორც მაშინ, როცა თოფით ხელში სხვებთან ერთად მოაბიჯებდა მხარდამხარ, არამედ მარტოდმარტო და შიშით მოცული.

გიდიონმა ქალაქში გაიარ-გამოიარა. მას არც ფული ჰქონდა, არც საჭმელი და გამბედაობაც არ ჰყოფნიდა, რომ კონვენტის მოხელესთან გამოცხადებულიყო. იგი მშიერი იყო, დაღლილი და კარგად ხვდებოდა, თუ როგორ სასაცილოდ გამოიყურებოდა მისი გაცვეთილი ტანსაცმელი ახლა; გულის ჯიბიდან გადმოკიდებული ჭრელი ცხვირსახოციც კი ვეღარ ამხნევებდა მას:

სულაც რატომ წამოვედიო?—ეკითხებოდა იგი თავის თავს.— რატომ გავაბმევინე თავი ძმა პიტერს ამ მახეში? რა თქმა უნდა, იგი კონვენტზე ვერ გამოცხადდება. მაშ რა ჰქნას? შინ წავიდეს? ვთქვათ, შინ წავიდა და იქ კონვენტის შესახებ ჰკითხეს რამე—რას იტყვის მაშინ? რის თქმა შეუძლია? იცრუოს? თავისი ხალხი, ძმა პიტერი, რეიჩელი მოატყუილოს? და საიდან იცის, იქნებ მკაცრი სასჯელი მოელის იმ დელეგატებს, რომლებიც კონვენტს არ დაესწრებიან? ვთქვათ, იგი სამუდამოდ გადაიკარგება სადმე. მაგრამ რა ბრიყვული აზრია ეს? დასტოვოს რეიჩელი, ბავშვები, თავისი ხალხი, თითქოს ქვემო მდინარეზე გაეყიდოთ იგი, როგორც ძველად ხდებოდა? ჭკუა ხომ არ დაუკარგავს?

ფეხები თითქოს თავისთავად მიაბიჯებდნენ. მან დიდხანს იხეტიალა ვიწრო, ტალახიან შუკებში, სადაც ზანგები ცხოვრობდნენ, ნახა ომის შემდეგ ნაჩქარევად, სახელდახელოდ აგებული ქოხები და თეთრების მიერ მიტოვებული რამდენიმე სახლი, შედარებით უფრო ხეირიანად რომ გამოიყურებოდა. გიდიონმა ქალის ძახილი გაიგონა: „ერთი, ამ ულაყს შეხედეთ! სად მიდიხარ, კაცო?“ გიდიონმა თავად არ იცოდა, სად მიდიოდა. მან გაიარა ქალაქის ძველი ნაწილი, სადაც თეთრი ბერძნულტალანიანი ლამაზი სახლები ჩამწკრივებულიყვნენ გარშემო პატარა პალმებით, რკინაშენადული ჭიშკრებით და აივნებით. აქ მისთვის არავის შეუხედავს კეთილი თვალით, არავის გაუმეტებია კეთილი სიტყვა. ეს იყო გულჩათხრობილი ქალაქი, საშინელი დამცირება რომ სტანჯავდა, დამცირება, რომელიც მას გიდიონ ჯეკსონის მაგვარი ხალხის კონვენტმა აგემა,—და ყოველივე ამას გიდიონი ახლა ისე გრძნობდა, თითქოს ირგვლივ უღონო სიძულვილის ათრთოლებული კედელი ყოფილიყოს.

საღამო ახლოვდებოდა, როცა გიდიონმა ანაზდად ერთ კოპწია შენობას აჰხედა და იქ, შესავალის თავზე სიტყვა კ ო ნ ვ ე ნ ტ ი დაინახა, დიდრონი ამობურცული ასოებით დაწერილი. დანარჩენი წარწერა მან დიდი გაჭირვებით ამოიკითხა და ბოლოს მიხვდა, რომ ეს იყო ის ადგილი, სადაც კონვენტი უნდა შეკრებილიყო. შენობის წინ თორმეტიოდე იანკი იდგა მცველებად; ისინი ზარმაცად დაყრდნობოდნენ შაშხანებს და თამბაქოს ღეჭდნენ. იქვე ახლოს ზანგები და თეთრები პატარ-პატარა ჯგუფებად შეკრებილიყვნენ, ხელების ქნევით ლაპარაკობდნენ, და ზოგჯერ ხმას უწევდნენ, რომ ლამაზი სიტყვები ყველას გასაგონად წარმოეთქვათ. გიდიონს სირცხვილის ალმური მოედო, როცა შენიშნა, რომ მრავალი მათგანი კარგად იყო ჩაცმული: ზოგს ნაცრისფერი შარვალი და კუბოკრული პიჯაკი ეცვა, ზედაც საუცხოო მწვანე ყელსახვევი, ზოგს—მაღალყელიანი ჩექმები და თეთრი შარვალი, სხვები კიდევ თავიდან ფეხებამდე შოტლანდურ ჭრელ სამოსებში იყვნენ გამოწყობილნი. გიდიონი ოცნებასაც ვერ გაბედავდა ასეთ ტანსაცმელზე. მაგრამ არც ის გაჰხარებია გიდიონს, რომ ბევრს არ ეცვა მასზე უკეთესად, ხოლო ზოგი მასზე უარესადაც იყო ჩაცმული ულაზათო, უბრალო სამუშაო ტანსაცმელში, უყელსახვევოდ და უქუდოდ.

მან გზა განაგრძო. მიტინგ სტრიტს ჩაჰყვა ბატარეამდე, მერე აღმოსავლეთ ბატარეისაკენ მოუხვია. ომის განმავლობაში სასტიკად დაზიანებული ჩარლსტონი ამ დროს უკვე მნიშვნელოვანი ნავსადგური ხდებოდა ისევ. ნავსადგურში ხომალდები იდგნენ, დოკებში ისტ ბეი სტრიტის გასწვრივ ანძები ძველი სავარცხლის უსწორმასწორო კბილებივით გამწკრივებულიყვნენ. მზე ჩადიოდა უკვე და ბატარეის სანაპიროზე მიმავალი გიდიონი ხედავდა, როგორ ტორტმანებდა და ლივლივებდა წყალი წითლად და ოქროსფრად; ძველ სამტერის ფორტს ნავსადგურის ბურუსში ზღაპრული ვარდისფერი ჯავშანი ჩაეცვა და ბატარეის მთელ სიგრძეზე ჭარები დაჰქროდნენ შემზარავი ყივილით.

ყველაფერმა ამან მხოლოდ გააღრმავა გიდიონის სასოწარკვეთილება; მას შიოდა და სცივოდა, არც ფული გააჩნდა და არც ღამის გასათევი ადგილი. ისტ ბეი სტრიტზე ერთ ეზოში ბამბის ნაკრაულები იყო დახვავებული; გიდიონმა სამი მათგანისაგან მღვიმის მაგვარი რაღაც მოაწყო და შიგ შეძვრა. ახლა მას თავის

გასამხნევებლად სიმღერა კი არა, ღიღინიც არ შეეძლო. იგი დიდ-ხანს, დიდხანს იწვა ფხიზელი და დარდიანი, სანამ ჩაეძინებოდა.

* * *

მეორე დღეს, დილაადრიან გიდიონი ნავსადგურის ზანგი მტვირთავების ჯგუფს წააწყდა, ისინი დოკში ისხდნენ და ხომალდს ელოდებოდნენ, რომ ნავმისადგომთან მოეთრიათ. როცა გიდიონმა დოკს გვერდით ჩაუარა, მათ გიდიონს სერთუკში წაავლეს ხელი:

— აბა აქეთ გამოიხედე, ბიჭო, ქადაგი ხარ?

— დიაკონი იქნება, ეპვი არაა.

— ერთი, სერთუკს შეხედეთ, ბამბაში უგორავნია!

იმათმა როხროხა და გამჭირდავმა შენიშვნებმა ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინეს გიდიონზე; იგი იდგა დაღვრემილი და ჩუმად შესცქეროდა მტვირთავებს, რომლებიც ხმაურით შეექ-ცეოდნენ საუზმეს; ეს იყო მჭადი, შინ ამოყვანილი ყველი და ხახვი. გიდიონის სასოწარკვეთილება ისე აშკარა იყო და ისეთი ღრმა, რომ მათ ახლა დამცინავ სიტყვებს თავი გაანებეს და ერთმა მათ-განმა თქვა:

— დიაკონო, მჭადი აიღე!

გიდიონმა თავი გააქნია.

— მუშაობ?

გიდიონმა კვლავ თავი გააქნია.

— თეთრი უფროსი სამუშაოზე ყველას იღებს ორმოცდაათ ცენტად დღეში.

გიდიონმა თავი დაიქნია. კაცი ან მუშაობს, ან შიმშილით კვდება; თავად ბევრ რამეში ვერ ივარგებს, მაგრამ მას ორი ღონიერი მკლავი აქვს და ხარივით გამძლე ზურგი, რაც, სხვად თუ არა, ტვირთის სათრევად მაინც გამოადგება. კაცმა რომ თქვას, დღეში ორმოცდაათი ცენტი კარგი ფულია. რატომაც არა?

და მთელი დღის განმავლობაში გიდიონს აღარ გახსენებია თავისი ვარამი; სახეს ოფლის ნაკადული ჩამოსდიოდა, კუნთები მეტისმეტი დაძაბულობისაგან მძლავრად იბურცებოდნენ; ბოლოს მომუშავე ზანგებში აქა-იქ პატივისცემის გამომხატველი წამოძახი-ლები გაისმა:

— ნახე, რა ბუღასავით კაცი მოსულა ქვემო ჭალებიდან! ბამბის ტვირთვაც ასეთი უნდა!

გიდიონს სერთუკი გახდილი ჰქონდა, მაგრამ მთავრობის ქალალდებს როგორ მოიშორებდა! ისინი შარვლის ჯიბეში ედო და მათი ხეშეშად ტკაცუნი თავისებურ ნუგეშს ჰგვრიდა.

ახლა თითქოს მომავალი აღარც კი არსებობდა მისთვის, და გიდიონი შვების ღრმა და ნეტარმა გრძნობამ მოიცვა. შუადღეზე მტვირთავებმა საჭმელი შესთავაზეს მას, მაგრამ სიამაყის გრძნობამ გიდიონს ნება არ მისცა დასწვეოდა. დღის ბოლოს იგი არაქათგამოცლილი იყო და მხეცივით დამშეული, მაგრამ უკვე ორმოცდაათი ცენტი ჰქონდა.

იგი ორ მტვირთავს—ჯოს და ჰარკოს გაჰყვა კამბერლენდ სტრიტისკენ, სადაც ერთ ადგილას მოხუცი ზანგის ქალი გემრიელ საჭმელს აკეთებდა ერთად არეული ბრინჯის, გარნელა კიბოსა და მიწის ვაშლასაგან. ათ ცენტად ქალმა თეფშზე საჭმელი მთასავით დააზვავა და ორი სიმინდის ტაროც დაამატა გულუხვობის ნიშნად. გიდიონმა თავისი კერძი მთლიანად შეჭამა. კარგია, როცა ფული გაქვს საჭმელის საყიდლად; კუჭს გაივსებ და ტანში სითბოს იგრძნობ. ჯოს ერთი ქალი ეგულვებოდა, ცოდვილი და ავხორცი. გიდიონს ჰკითხა, თუ წამოხვალო; გიდიონმა თავი გააქნია და თითქოს რაღაცამ შეანჯღრიაო, ერთბაშად სინამდვილეს დაუბრუნდა; მოაგონდა რეიჩელი, მოაგონდა ძმა პიტერთან საუბარი და თავი ფიქრებით აევსო. სად წაიყვანდა მას ეს უცნობი და უიმედო გზა, რომელზედაც იგი ახლა იდგა?

ამავე საღამოს გიდიონმა როგორღაც თავი გაართვა შიშის გრძნობას და მიხვდა, რომ მისი გამოცხადება მაიორ ალენ ჯეიმსთან და მანდატის წარდგენა სავსებით უბრალო და ბუნებრივი იქნებოდა. შემდეგში გიდიონი ბევრს ეცადა მოეგონებია, როგორ მოხდა ეს გარდატეხა მასში, რომელ მიზეზს მოჰყვა ეს ამბავი შედეგად: მოხდა ეს იმის გამო, რომ მან ხუთ ცენტად გაზეთი იყიდა და ამაყად ამოიჩარა იგი იღლიაში, თუ იმის გამო, რომ, მან მისტერ ჯეკობ კარტერის სახლში ღამის გასათევი ადგილი იპოვა, ანდა იქნებ სხვა ამბების გამო, რაც მას იმ საღამოს შეემთხვა.

ჯეკობ კარტერი ხარაზი იყო, თავისუფალი ზანგი ომამდეც და ომის დროსაც, მუყაითი და პატივსაცემი, დიდი და ხანგრძლივი მომჭირნეობით მას თავი მონობიდან გამოესყიდა, ახლა ჩარლსტონის განაპირას პატარა ოთხთვალიანი სახლი ჰქონდა, რომელზედაც შემდეგი წარწერა იყო მიკრული: „ვიყვანთ მდგმურად

მხოლოდ კონვენტის დელეგატებს". გაზეთის გამყიდველმა მოასწავლა ეს ადგილი გიდიონს; მან გიდიონს „ბატონობით" მიმართა, ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ გიდიონმა გაზეთი იყიდა მისგან, მაგრამ რაც არ უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი, დაღონებულ გიდიონზე ამან კარგად იმოქმედა.

უკვე ბნელოდა, როცა გიდიონი კარტერის სახლს მოადგა. მან კარზე დააკაკუნა. კარი ოდნავ გაიღო და სიბნელეში ყვითელი სინათლის სხივმა გამოაშუქა. ქალის სახე უნდობლად დააცქერდა გიდიონს.

— რა გინდათ?

— ქალბატონო, გეთაყვა,—მიმართა გიდიონმა ქალს,—დასაძინებელ ადგილს ვეძებ; წარწერა დავინახე გარეთ. ეს კარტერის სახლია, ხომ?

— დიახ. თქვენ ვინა ხართ?

ამ დროს ქალის უკან მამაკაცი გამოჩნდა. მან ცოტა უფრო ფართოდ გააღო კარი და გიდიონს შედარებით ნაკლები უნდობლობით შეხედა.

— ჩემი სახელი გიდიონ ჯეკსონია, ბატონო. დელეგატი ვარ.

— დელეგატი?

— აჰა.—და გიდიონმა თავისი ტანსაცმლის გამო უბადრუკად იგრძნო თავი.—ძველი ტანსაცმელია,—წაილუღლუღა მან,—ქალაქურის ყიდვა ვერ მოვასწარი. სოფლიდან ჩამოვედი.

კარტერმა გაიღიმა და თქვა: „შემოდი შინ".

უთუოდ ეს შეხვედრა იყო კარტერებთან,—როცა მან პირველად შედგა ფეხი ქალაქელთა ბინაში,—გიდიონის შიში რომ გააქარწყლა. კარტერებმა მას პატარა, მაგრამ სუფთა ოთახი მიუჩინეს, საწოლი, ზედ ბამბის ლეიბით, როგორზედაც გიდიონი აქამდე არ წოლილიყო, და ნამდვილი ნავთის ლამპა. ყველაფერი ეს და ორჯერ ჭამა დღიურად ორი დოლარი ღირდა კვირაში. როცა გიდიონმა შიში გამოსთქვა, რომ შესაძლებელია კონვენტში მუშაობისათვის ორი დოლარი არ მიეცათ მისთვის კვირაში, კარტერებმა გაიღიმეს და დაარწმუნეს იგი, რომ მთავრობა არაფრით არ იკადრებდა დელეგატისათვის ხუთ დოლარზე ნაკლების მიცემას კვირაში, და, შესაძლებელია, ათიც კი დაენიშნა გასამრჯელოდ.

კარტერებს შვილი არ ჰყავდათ; ისინი შუა ხანს გადაცილებულნი იყვნენ. ომის წლებისა და ომის შემდგომი ორი წლის სა-

შინელებათა დროს, როცა ზანგების წინააღმდეგ ულმობელი „შავი კოდექსები“ იყო ძალაში, ისინი თავგანწირულობით და თავისებური გამბედაობით იბრძოდნენ, რათა თავისუფალი ზანგის და სახლის მესაკუთრის მცირეოდენი ღირსება შეენარჩუნებიათ. მაგრამ მაშინ, როცა სხვა თავისუფალი ზანგები ზიზღით უყურებდნენ კონვენტის დელეგატ უმეცარ სოფლელ შავებს, კარტერები თავიანთი უბრალოებით ისევე ეპყრობოდნენ გიდიონის მსგავსთ, როგორც საკუთარ მეგობრებს.

იმ ღამეს თავის ოთახში, რომელსაც ლამპის ყვითელი შუქი კარგად ანათებდა, გიდიონი გაზეთს შეება. მას ადრეც ენახა გაზეთი, მაგრამ ახლა პირველად გადაწყვიტა მისი წაკითხვა. შრიფტი წვრილი იყო და კითხვას აძნელებდა: გიდიონი იძულებული იყო უფრო ნელა ეკითხა, ვიდრე ჩვეულებრივად კითხულობდა; ყოველი სიტყვის ქვემოთ მას თითი ეჭირა, სანამ არ ამოიკითხავდა და მერე, თუ პირდაპირ ვერ გაიგებდა, დაახლოებით მაინც უნდა მიმხვდარიყო მის მნიშვნელობას. წაკითხულიდან, მეტნაწილად, მთლიანი აზრი ვერ გამოჰქონდა. ძალიან ბევრი იყო ისეთი სიტყვა, რომელიც მას არ გაეგებოდა. ძალიან ბევრი იყო გრძელი, ცარიელი ადგილიც. მაგრამ გიდიონმა დიდის გაჭირვებით მაინც ჩაიკითხა ბოლომდე სარედაქციო წერილი კონვენტის შესახებ. ეს წერილი ზანგებს გესლიანად მაიმუნებს ადარებდა, მომავალ ყრილობას—ცირკს, სამხეცეს და მაიმუნების საკრებულოს უწოდებდა. მერე გიდიონი გემის დაღუპვის ამბავმა გაიტაცა; ნაწყვეტ-ნაწყვეტი კითხვით მან ის ამბავიც შეიტყო, რომ მთელ შტატში, ყველგან, ზანგები კანონებს უხეშად არღვევდნენ თურმე, ბოროტმოქმედებას ჩადიოდნენ; გიდიონი გაკვირვებული იყო, რომ მასთვითონ ამის მაგვარი რამ არაფერი ენახა და არც არაფერი სმენოდა.

დაბოლოს, როცა დაღლილობისაგან თვალები ეხუჭებოდა, გიდიონმა ტანსაცმელი გაიხადა და რბილ ლოგინში დაწვა. საწოლს რკინის ზამბარები ჰქონდა და გიდიონმა მათ გამოსაცდელად ტანი რამდენჯერმე მაღლა აიტყორცნა: არაჩვეულებრივი სიამოვნება იგრძნო—თითქოს ჰაერში მიცურავსო: ღმერთს მადლობა შესწირა ასეთი იღბლისათვის და ასეთ ქვეყანაზე ოცნებაში, სადაც იგი და რეიჩელი ყოველ ღამეს ასეთ სარეცელზე გაატარებდნენ, გიდიონს მალე ჩაეძინა.

მეორე დღეს გიდიონი მაიორ ჯეიმსთან გამოცხადდა; მას ამის გამო წინასწარ ბევრი არ უფიქრია და არც შიში უგრძვნია შაინცადამაინც. მისის კარტერმა სერთუკი გაუწმინდა, დახეული ადგილები ამოუკერა და გაუუთოვა კიდეც. ჯეკობ კარტერმა გიდიონის მარცხენა ჩექმას, სადაც ფეხის თითი იყო უკვე გამოყოფილი, ნაჭერი დააკერა და მერე ორივე ჩექმა შავი საცხით გასწმინდა. კარტერმა რაც შეიძლება მორიდებულად ურჩია გიდიონს, უმჯობესი იქნება ჭრელი ცხვირსახოცი გულის ჯიბის ნაცვლად შარვლის ჯიბეში ჩაიდოო და ბოლოს დიდის გაჭირვებით გიდიონი იმაზედაც დაიყოლია, რომ, მას კარტერის ერთ-ერთი საკვირაო თეთრი პერანგი ჩაეცვა. კარტერს ასეთი პერანგი ორი ჰქონდა წლების განმავლობაში შემონახული, რომ კვირა დღეებში ჩაეცვა მხოლოდ, მაგრამ ისიცა და მისი ცოლიც გიდიონით მოხიბლული იყვნენ უკვე და, როგორც ეს მოხუცებს სჩვეიათ, მათ ისეთი მზრუნველობით დაუწყეს მოპყრობა გიდიონს, თითქოს იგი ყმაწვილი ბიჭი ყოფილიყოს.

მასპინძელმა გიდიონს ოთახში ცხელი წყლით სავსე დიდი ბადია შემოუტანა. ჯეკობი იჯდა და უსმენდა გიდიონს, რომელიც ახლა ერთი კვირის ჭუჭყს იფხეკდა და თანაც თავისი ცხოვრებიდან ნაწყვეტებს მოუთხრობდა, რათა დაეახლოვებინა ჯეკობი. პასუხად კარტერმა მას უამბო ჩარლსტონის, ზანგებისა და თეთრების ურთიერთობის და იმ ავის მომასწავებელი დაძაბულობის შესახებ, რომელიც კონვენტის მოწვევის გამოცხადებიდანვე არ ასვენებდა ქალაქს.

— ჩანს, რომ თითო თეთრ დელეგატზე ორი ზანგი დელეგატი მოდის,—თქვა კარტერმა,—თეთრები, მეტ წილად სკელაუგებს[1] რომ უწოდებენ, ისინი არიან, ჩრდილოეთის ხალხი, შავი დროებისათვის თვალთმაქცობენ. ეტყობა, კარგა ხანს შავი დროება იქნება, მეტი არაფერი. იქნებ შენიშნე კიდეც,—იანკის ჯარისკაცები არიან ყველგან!

— შევნიშნე.

— მე სულაც არ მომწონს ეს იანკის ჯარისკაცები,—თქვა კარტერმა.

---

[1] Scalawag—სამხრეთის თეთრი, რომელიც „რეკონსტრუქციის" პერიოდში ჩრდილოეთის პოლიტიკას უჭერდა მხარს, რესპუბლიკელობდა. პირდაპირი მნიშვნელობით უსაქმურ არამზადას ნიშნავს.

— რატომ?

— ერთი მითხარ, გიდიონ, რა ესაქმებათ მათ აქა? მითქვამს და ვიტყვი, საიდანაც მოსულან, იქით წავიდნენ!

— იანკის ჯარისკაცები რომ არა, არც თავისუფალი კაცი იქნებოდა, არც კონვენტი ჩვენში,—წყნარად მიუგო გიდიონმა.

კარტერი ამაზე აღარ შეჰკამათებია გიდიონს. უკანასკნელის ფიქრით კარტერი ღრმად ვერ უკვირდებოდა ამბებს, მაგრამ პატარა ხარაზის გულკეთილობა უზადო იყო და უანგარო. იგი ეკლესიის დიდი პატივისმცემელი იყო და საუბრის ორი მესამედიც ეკლესიას შეეხებოდა.

როდესაც გიდიონი კარტერების სახლიდან გამოვიდა, იგი კოხტად გამოიყურებოდა, შავი ყელსახვევი, შავი სერთუკი და თეთრი პერანგი, რომლებიც, მართალია, ცოტა ევიწროებოდა გიდიონს, მაგრამ თავიანთ მოვალეობას მაინც ასრულებდნენ; ხალხი თვალს აყოლებდა მის მაღალ ტანს, ფართო მხარ-ბეჭს, მისი სახის დიდ, დახვეწილ ნაკვთებს. გიდიონი დარწმუნებული იყო, რომ ხალხი მის თეთრ პერანგსა და ვიწრო შავ ყელსახვევს მოჰყავდა აღტაცებაში.

მაიორი ჯეიმსი შეშფოთებული იყო. თანდათან ცხადი ხდებოდა მისთვის, რომ კონსტიტუციური კონვენტი უთავბოლო, ცუდად ორგანიზებული საქმე იქნებოდა, და არა მარტო ეს: ჩარლსტონი დღითიდღე უფრო ემსგავსებოდა თოფის წამლის კასრს, რომელსაც ანთებული პატრუქი ჰქონდა შეერთებული.

მაიორი ჯეიმსი საეჭვო ნიშნებს უმალ ამჩნევდა, და ეს გასაგებიც იყო, რადგან ხანგრძლივი და სასტიკი ომის მანძილზე მას სამხრეთის ექვსიოდე ქალაქი მაინც ჰქონდა ნახული, იანკის რაზმებს რომ ეპირათ. მან იცოდა, რომ ქალაქი ცოცხალ ორგანიზმს წარმოადგენს, საკუთარი გულით და ჩვევებით, ხან ავი და პირქუში განწყობილებით, ხან კიდევ კარგი, მხიარული გუნებით. იმის მიხედვით, თუ როგორი იყო რეაქცია, ქალაქი საშიშად ჩაითვლებოდა ან პირიქით და, როგორც ზოგიერთი ადამიანი, გარეგნულად მყვირალა და ფიცხი რომაა, და ხშირად რომ მოსდის გული,—ისევე ქალაქი, რომელიც გაშმაგებით ბობოქრობდა და დუღდა, მაიორ ალენ ჯეიმსს ისე არ შეაშფოთებდა, როგორც ეს

წუნარი, მაგრამ თვალბედითი ჩარლსტონი. რაღაც ძალიან ბევრი დარაბა იყო მიხურული ქალაქში, ძალიან ბევრი ცნობილი პიროვნება მთელი დღეობით და ზოგჯერ კვირაობითაც კი არ გამოდიოდა სახლიდან. ისინი კი, ვინც გარეთ გამოდიოდნენ საქმის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო, ქუჩაში ჩქარი ნაბიჯით მიდიოდნენ, გვერდზე არ იხედებოდნენ და ძალიან ცოტას ლაპარაკობდნენ.

ყველაფერი ეს მაიორ ჯეიმსის თვალში სასიკეთოდ არ გამოიყურებოდა. ბევრი რამ ხდებოდა უთუოდ ამ მიხურული დარაბების მიღმა. რამდენი თოფი იყო ჩარლსტონში? რამდენი დატენილი დამბაჩა? მისმა უფროსმა, პოლკოვნიკმა ფენტონ გრეისმა, რომელსაც წარმოსახვის უნარი ღალატობდა, მას უთხრა: „რაც მოსასვლელია, მოვიდეს! როცა მოვა, დავაჩოქებთ და მაშინ გვეცოდინება, ვინ რა პოზიციაზეა. ასეა თუ ისე, თქვენ ძალიან ბევრს სვამთ და ძალიან ბევრს ფიქრობთ“. ასე იტყოდა სწორედ ყოველი ნამდვილი სამხედრო კაცი, ვისაც მაიორ ჯეიმსივით არ სწყუროდა მშვიდობიანი კონვენტი და სამხედრო ცხოვრებიდან სამოქალაქოზე გადასვლა და ალბათ დაწინაურება და ექვსი თვის შვებულებაც. მაიორ ჯეიმსს არ მოსწონდა სამხრეთი—ეს მტრის ტერიტორია იყო. იგი აქ არც თეთრებს ენდობოდა, არც შავებს, არც ერთის ესმოდა კარგად, არც მეორესი. იგი არ გრძნობდა სიყვარულს „ნიგერთა“[1] მიმართ, რომელთაც ომის დამნაშავედ სთვლიდა; არც თეთრი არისტოკრატებისათვის უცემდა მას გული სიყვარულით, ისინი ინსტიქტურად სძულდა ოჰაიოს საშუალო კლასის შვილს; რაც შეეხებოდა სამხრეთის მდაბიო გაღატაკებულ თეთრებს—ისინი ხომ მის ამხანაგებს ჟლეტდნენ—წყეული მეამბოხენი!

მაგრამ, როდესაც კონვენტის წევრებმა მოგროვება დაიწყეს, როცა ისინი მასთან მიდიოდნენ და მანდატები მოჰქონდათ, კონვენტის წარმატების იმედი თანდათან უქრებოდა. მაიორ ჯეიმსს. ეს რა ბრბო იყო! საძაგელი, უვიცი, ბინძური და ტლანქი ადამიანების ბრბო! ეს რა იდიოტური, გიჟური ცირკი მოახვიეს თავზე სამხრეთს იანკმა რადიკალებმა, სამნერებმა[2] სტივენსებმა[3] და მათმა

---

[1] nigger—დამცინავი სიტყვაა ზანგის (negro) აღსანიშნავად.

[2] ჩაოლზ სამნერი (1811—1874): ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, ორატორი.

[3] თედეუს სტივენსი (1792—1868): ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე აბოლიციონისტი.

მსგავსებმა! მინდვრის მუშები, ასი, ორასი მილი რომ გამოიარეს ფეხით, რადგან ბრიყვებმა არ იცოდნენ, რომ არსებობდა რკინიგზა და, როგორც დელეგატებს, მათ უფლება ჰქონდათ მატარებლით ემგზავრათ; დემობილიზებული ზანგი ჯარისკაცები, რომლებიც მას, მაიორ ჯემსს, უტოლდებოდნენ,—აქაო და ჩვენც გვცმია ლურჯი ფორმა და თოფი ხელში ჩვენც გვჭერიაო; კაცები, რომლებსაც არც წერა შეეძლოთ, არც კითხვა; ახმახი, უმეცარი თეთრი მთიელები, რომლებიც მონათმფლობელების სიძულვილით კავშირს უჭერდნენ მხარს; სკოლის შავი მასწავლებლები, რომლებთაც თავი სწავლულებად მოჰქონდათ, რადგან კითხვა და ანგარიში შეეძლოთ—მართლაც, საკვირველი იყო განა, რომ ჩარლსტონი დაგუბებული რისხვით დრტვინავდა?!

მაიორი ჯეიმსი უკვე რაღაც სიმართლეს ხედავდა მეამბოხეთა მტკიცებაში, რომ ზანგი სხვა არაფერი იყო, თუ არა ველური, ბავშვური ჭკუის მქონე. ამ შეხედულებას კარგად ადასტურებდა ახლა უზარმაზარი ზანგი, რომელიც კარუელ-სინკერტონის ოლქის დელეგატად წარსდგა მის წინაშე და რომელსაც ძველისძველი დაკერებული შარვალი, შავი სერთუკი და თეთრი პერანგი ეცვა, სივიწროვისაგან უკვე რღვევა რომ დაეწყო ნაკერავებში. ზანგის სახელი იყო გიდიონ ჯეკსონი, იგი ფეხით მოსულიყო ჩარლსტონს, მან თავისი სახელის და გვარის მოწერა იცოდა, სხვა არაფერი. კითხვა იცის?—ცოტა—ამაყი მწიგნობარი უთუოდ ასიოდე სიტყვისა! ესმის მას თავისი, როგორც დელეგატის, მოვალეობანი? კარგი, ცოტა სხვანაირად ვთქვათ: წარმოდგენილი აქვს მას კონვენტის მაღალმნიშვნელოვანება?

მაღალმნიშვნელოვანება? არა,—აბა რა თქმა უნდა, მას ამ სიტყვის არაფერი გაეგება. კაცი კიბის საფეხურებით უნდა ჩამოჰყოლოდა დაბლა ლექსიკონს და ერთმარცვლოვანი სიტყვებით განემარტა, რომ ეს იყო შტატის რეკონსტრუქციის საქმე, რომელიც ახალი კონსტიტუციის შედგენით უნდა დაწყებულიყო. ვის შეეძლო ეს? არა, ეს შეუძლებელი იყო. სასოწარკვეთილი ჯეიმსი პოლკოვნიკ გრეისთან მივიდა და განმარტება მოითხოვა:

— ნუთუ ასეთებიც უნდა დაუშვათ, ბატონო?

— დიახ, თუ კანონიერად არის არჩეული.

— მას ქალალდები აქვს, ისინი, ყველანი, კანონიერად არიან არჩეულნი, თუ ამას კანონიერი არჩევნები ჰქვია.

— მე არჩევნებს არ ვიძიებ. გთხოვთ გახსოვდეთ, ბატონო ჩემო, რომ ეს ზანგები ლოიალურნი იყვნენ ჩვენს მიმართ, როცა ჩვენ დიდ გასაჭირში ვიყავით,—ცივად მიუგო პოლკოვნიკმა. სიყვარული არ ეთესა ამ ორ კაცს შორის; აბოლიციონისტების ოჯახიდან გამოსული გრეისი თავისი ნებით იყო წასული სამხედრო სამსახურში.

— მე გაფრთხილებთ, ბატონო,—ეს ქალაქი არ მოითმენს, რომ მიწის მუშათა კონვენტი მართავდეს მას.

— მე კი, ბატონო, გეუბნებით,—წყნარად წარმოთქვა პოლკოვნიკმა გრეისმა,—რომ ეს ქალაქი სწორედ ისე მოიქცევა, როგორც ჩვენი მთავრობა უბრძანებს.

— აქაურები ამაყი ხალხია.

— ეს ისეთი სიამაყეა, რომელმაც ნახევარი მილიონი კაცი საფლავში ჩააწვინა,—მიუგო პოლკოვნიკმა.

მაიორი ჯეიმსი თავის ადგილზე დაბრუნდა და გიდიონის უფლება, სამხრეთ კეროლაინის შტატის კონსტიტუციურ კონვენტში მონაწილეობის მიღებისა, ხელისმოწერით დაადასტურა.

* * *

გიდიონი სამხედრო სამმართველოს კანტორიდან გამოდიოდა, როცა იგი კარგად ჩაცმულმა, მოყვითალო სახის ზანგმა გააჩერა; მან გიდიონს თავი ფრენსის ლ. კარდოზოდ გააცნო და მერე ჰკითხა:

— თქვენ კონვენტის წევრი ხართ?

— აჰა.

— საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებათ, თქვენთან ერთად რომ გამოვიაროთ?!

— რა ვიცი, რა უნდა მქონდეს საწინააღმდეგო,—ყოყმანით მიუგო გიდიონმა; იგი, ცოტა არ იყოს, ჩააფიქრა კარგი ქცევისა და კარგად ჩაცმული უცნობის ასეთმა მოტმასნებამ. ისინი ქუჩას დაბლა ჩაჰყვნენ; გიდიონი დროდადრო ირიბად თვალს ავლებდა უცნობს, ბოლოს კარდოზომ თავი ოდნავ დახარა და იკითხა:—ნება მიბოძეთ, სახელი გკითხოთ, ბატონო!

— გიდიონ ჯეკსონი.

კარდოზომ თქვა, რომ ისიც კონვენტის წევრი იყო, ჩარლსტონის ოლქიდან და მერე გიდიონს ჰკითხა, კონვენტის ზოგიერთ სხვა წევრს თუ შეხვდებოდითო. ისინი კარდოზოს სახლში შეიკრიბებოდნენ დღეს, დაახლოებით ნაშუადღევის სამ საათზე, და კონვენტის საკითხებზე იმსჯელებდნენ, ხომ არ შეხვედრია გიდიონი ჯერ რომელიმე დელეგატს?

— არა მგონია.—უპასუხა გიდიონმა.

— როცა კონვენტი შეიკრიბება, რა თქმა უნდა, შეხვდებით და გაიცნობთ, მაგრამ დღეანდელმა შეხვედრამ, შესაძლებელია, ზოგიერთი რამ გაარკვიოს. ჩემთან, დამერწმუნეთ, მისტერ ჯეკსონ, კარგი ხალხი იქნება.

— დიდი სიამოვნებით მოვიდოდი,—თქვა გიდიონმა.

— მაშ მოდით, მე მისამართს დაგიწერთ.

მან ბარათზე მისამართი დაწერა და გიდიონს გადასცა. მერე მათ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და გიდიონმა გზა განაგრძო; კარდოზოს მიმართვა—„მისტერ ჯეკსონ“ – შეხმატკბილებული ბგერებით სასწაულებრივად ეღერდა მის ყურებში. საყდრის სახოტბო გალობასავით იყო ყველაფერი, რაც მას ამ ბოლო დროს შეემთხვა; სულ ცოტა ხნის წინათ კი მას ქაღალდების წარდგენისა ეშინოდა. ხვალ კონვენტის გახსნის დღეა. გიდიონის გულს ახლა განუწყვეტლივ ბაგა-ბუგი გაჰქონდა. იგი მარდი ნაბიჯით მიდიოდა ქუჩაში და თავის თავს ეუბნებოდა: „მზის ნათელი ეფინება ქვეყანას. იესო ქრისტე მოგვევლინა. მონად დავიბადე და ალბათ გუშინდელ დღემდე მონა ვიყავი. ჩემი ბალღები, ისინიც ხომ მონებად დაიბადნენ. აბა ახლა შეხედე, აბა ერთი ახლა შეხედე!“

ქუჩაში თეთრი კაცი მოდიოდა სწორედ გიდიონის მოპირდაპირე მიმართულებით; იგი ჯიქურ მოუახლოვდა გიდიონს, ღრმად დარწმუნებული, რომ ზანგი გზას დაუთმობდა. გიდიონი კი ფიქრებში იყო წასული და ვერაფერს ვერ ამჩნევდა ქვეყანაზე. ისინი თავებით შეეხლებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ უკანასკნელ წუთში თეთრმა გვერდზე გადადგა ნაბიჯი და ხელში დაჭერილი ჯოხი მთელი სიგრძით გადაჰკრა გიდიონს ზურგზე. ამ დარტყმამ გიდიონი უმალვე სინამდვილეში გადმოისროლა; იგი იდგა გაოგნებული, კუნთებდაჭიმული, შერცხვენილი, ზურგზე დანაკრავი ეწვოდა, გულში იზრდებოდა რისხვა, რისხვა და სირცხვილის გრძნობა და სურვილი თეთრ კაცს სცემოდა მყისვე, მაგრამ იგი რაღაც

ახალმა გრძნობამ შეაჩერა, გულმა რაღაც უთხრა მას, ამასობაში თეთრმა კაცმა კუთხესთან მოუხვია და თვალს მიეფარა.

გიდიონმა გზა განაგრძო; ქვეყანა ძველ ადგილს დაუბრუნდა, მას აქა-იქ შეკეთება სჭირდებოდა კიდევ, იგი სრულყოფილი არ იყო ჯერაც და გიდიონი თავის თავს ეკითხებოდა: „რატომ უნდა მოქცეულიყო ის თეთრი კაცი ასე?“

გიდიონს ოცდახუთი ცენტი ჰქონდა ჯიბეში დარჩენილი. ფული დიდ გზას გადის; ფული არ ჰგავს არც ბრინჯს, არც კარტოფილს, არც მიწის სხვა რაიმე ნაყოფს, რომლის შესახებ კაცი ზუსტად იტყვის – დღეში ამდენი და ამდენი იკმებოდა და ბოლოს მარაგიც გათავდაო. ფულს მოქნილობა აქვს: გინდა—ამაში გაიხმარ, გინდა—იმაში, ანდა, შეგიძლია სულაც არ დახარჯო. გრილმა სასიამოვნო ამინდმა ჭამის მადა გაუღვიძა. გადახურულ ბაზარში იგი ერთ დახლთან შეჩერდა, სადაც ხახვიანი ბრინჯის მთელ თეფშს, ორთქლი რომ ასდიოდა, ხუთ ცენტად ჰყიდდენ. მერე გიდიონმა გაზეთი იყიდა და დოკებისკენ გაემართა. იქ იგი ბამბის ნაკრაულზე ჩამოჯდა და გაზეთი გაშალა; ზურგში მწარე ტკივილმა თითქმის სავსებით გაუარა. გიდიონი კითხვას შეუდგა, იგი კვლავ განიცდიდა დაბეჭდილი სიტყვის საკვირველებას, რაც თავისებურ აღტყინებას იწვევდა მასში და კანს მღელვარების ჟრუანტელით უსუსხავდა.

— ჯორჯიადან მოსული ცნობით, მოსალოდნელია უფრო მეტად სტაბილიზებული...—სიტყვა, რომელსაც გიდიონმა გონებაში ხაზი გაუსვა მომავლისათვის, იდუმალი რამ, რის გამოსათქმელადაც იგი ახლა ტუჩებს ამოძრავებდა: „სტაბ-სტალაბლ-არა, სტეი-ბილი“ და შემდეგ თვალი მომდევნო სიტყვას მოხვდა:—მაზანდა ბამბისა ნიუ-იორკის ბაზარზე...—რას ნიშნავდა „მაზანდა“ სიტყვა „ბაზარი“ მას ესმოდა—ადგილი, სადაც ყიდიან და ყიდულობენ, ნაცნობი სიტყვაა, მაგრამ ეს რა ბაზარი იყო ისეთი ნიუ-იორკში, სადაც ბამბა—ბამბის მაზანდად იქცეოდა, მაზანდასაც ყიდიან? გიდიონს თვალები აეწვა და რული მოერია; მან ჩასთვლიმა კიდეც შუადღის სითბოში, მაგრამ დროდადრო თვალებს ახელდა და კვლავ გაზეთს აცქერდებოდა. მისი მზერა ახლა შემთხვევით ასეთ სიტყვებს წააწყდა: „შავი ველურები კონგოდან“, მტვირთავები ყვირილითა და სიმღერით ეწეოდნენ თავიანთ მძიმე ტვირთს. კონგო კეროლაინაში იყო ნეტავი, თუ ჯორჯიაში? „ვე-

ლურები" ნაცნობი სიტყვა იყო მისთვის, ზანგს წითელკანიან ინდიელად რომ ხატავდა. ზღვის ყურეში, შორს, ერთი მთლიანად შეჭურვილი გემი წინ და უკან მოძრაობდა; ჭარების ლაშქარი თავგამეტებით დასდევდა მას. გიდიონმა მზეს აჰხედა და დაასკვნა, რომ დაახლოებით სამი საათი უნდა ყოფილიყო.

იღლიაში ამოჩრილი, სათუთად დაკეცილი გაზეთით გიდიონი კარდოზოს ბინაზე მოვიდა. მან თავაზიანად დახარა თავი, როცა იგი მისტერ ნეშს, მისტერ რაიტს და მისტერ დელანის ზეაცნეს. ყველანი შუახნის ზანგები იყვნენ, ჩარლსტონის მცხოვრებლები. გიდიონის ტანსაცმელის დანახვაზე მათ წარბი შეხარეს, იგივე განმეორდა მაშინაც, როცა გიდიონმა სოფლელი მონის დუნე კილოზე ერთმანეთზე გადაბმულად ორიოდე სიტყვა წარმოთქვა. გიდიონზე ყველაფერმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა; ეს ხალხი, კარგ, შავ ტანისამოსში გამოწყობილი კაცები განათლებულნი იყვნენ. გიდიონი უკვე ხვდებოდა, რომ განსაზღვრული წრეები შავსა და მუქი ფერის ტანსაცმელს ამჯობინებდნენ ღია, მხიარული ფერისას, როგორიც ზოგიერთ დელეგატს ეცვა. მისტერ ნეშმა განაცხადა:

— მისტერ ჯეკსონ, თქვენ უთუოდ მიღებული გექნებათ ზოგიერთი ინსტრუქცია თქვენი ამომრჩევლებისაგან.

— ჩვენ ვაღიარებთ ფორმულირებულ პროგრამის საჭიროებას,—დაურთო მისტერ დელანიმ.

— არ ვიცი,—ჩაილუღლუღა გიდიონმა.

მათ შორის კარდოზოს უფრო აღმოაჩნდა გულისხმიერი მიხვედრის უნარი.

— ეს მაღალფარდოვანი ლაპარაკია, მისტერ ჯეკსონ,—გაუღიმა მან გიდიონს.—როცა კაცი კანონმდებლობას იწყებს, ნახევარ ჭკუას შარვლის ჯიბეში იდებს და ცდილობს მეორე, აქამდე გამოუყენებელი ნახევარი მოიმარჯვოს, რომლის არსებობა თავადაც არ იცოდა.

გიდიონმა კვერი დაუკრა და თანაც გუნებაში გადაწყვიტა, რომ სიტყვა არ დასცდენოდა და მხოლოდ ყური ეგდო მათთვის. მისტერ რაიტმა სრული უიმედობა გამოსთქვა მომაელის გამო. იგი კარდოზოს მიუბრუნდა:

— კი მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ფრენსის, ოცდაათი დელეგატი მაინცაა ისეთი წერა-კითხვა რომ არ იცის.

გიდიონმა სიხარულით გაიფიქრა, რომ მას იღლიაში დაკეცილი გაზეთი ეჭირა. რას ფიქრობენ მასზე, რატომ სთხოვეს მოსვლა?

— მით უკეთესი.—თავის დაქნევით მიუგო კარდოზომ.

— თუ შეიძლება, გამაგებინე, რას ამბობს!

— ფრენსის უნდა დავეთანხმო.—თქვა ნეშმა.—წერა-კითხვის მცოდნეთ ამ ქვეყნად სასწაული არ მოუხდენიათ ჯერ.

— რა თქმა უნდა, ეს სოფისტიკაა. ჩვენს წინაშეა პრობლემა: კონსტიტუციის გამომუშავებაში მიწის მუშები მიიღებენ მონაწილეობას; რომ არაფერი ვთქვათ იმ მრისხანებაზე, რომელსაც ამბავი იწვევს თეთრ მოსახლეობაში; ჩვენს წინაშე დგას მეტად რეალური საკითხი სწორედ მიწის მუშების შესახებ. როგორ მოიქცევიან ისინი?

— მათთვის თავის გართმევა არაა ძნელი.

კარდოზომ ხუმრობის კილოზე წარმოთქვა:

— როგორ გგონიათ, მისტერ ჯეკსონ, იოლია თქვენთვის თავის გართმევა?

— ბატონო?..—გიდიონს ახლა ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს იგი მიზანში ამოეღოთ; დარცხვენილობას გულის წყრომა სცვლიდა.

— ნუ ჯავრობთ, მისტერ ჯეკსონ,—თქვა კარდოზომ.—თქვენ მონა იყავით?

— ვიყავი.

— მიწის მუშა?

— დიახ.

— როგორ უყურებთ ამ კონსტიტუციის საქმეს? სერიოზულად გეკითხებით, რა გინდათ, რომ იყოს კონსტიტუციაში, რომლის გამომუშავებაში თქვენ წილი გექნებათ?

გიდიონმა მათ თვალი შეავლო, ზორბა ტანის ნეში, ტანწერწეტა, თითქმის ნატიფი კარდოზო, კარგად ნასუქი მსახურივით ჩამრგვალებული და შემპარავი რაიტი; ოთახი, რომელშიაც ისინი ისხდნენ, ოთახი, რომელიც თავისი სიკოხტავით გიდიონის წარმოდგენას აღემატებოდა: ქსოვილით გადაკრული რბილი სკამები, ციყვის ფიტული, იატაკზე დაგებული ნოხი, კედლებზე ფერადი ფანქრით ნახატი სამი სურათი. როგორ მიაღწია შავმა კაცმა ყოველივე ამას? სადაა მისი ადგილი ამ ნივთებს შორის? ან სხვა

დელეგატებისა, რომლებმაც მთელი შტატი უხეშ სამუშაო წაღებში გამოიარეს?

— ნუ იწყენთ, მისტერ ჯეკსონ,—არ ეშვებოდა მას კარდოზო.

გიდიონმა თავი ჩაიქნია.

— მე არ ვდიდგულობ, ვიცი; თქვენ რომ კაცზე ლაპარაკობთ, რომელმაც წერა-კითხვა არ იცის, ზანგი, ფეხით რომ ჩამოსულა ბამბის მინდვრებიდან,—ეს მე ვარ სწორედ. რა მინდა კონსტიტუციისაგან? შეიძლება ის არა, თქვენ რომ გინდათ,—მე მინდა სწავლა, ყველასთვის, შავებისთვისაც და თეთრებისთვისაც. მინდა თავისუფლება, რკინის ბურჯივით საიმედო. მინდა, რომ ქუჩაში არავინ მკრავდეს ხელს გვერდზე გადასაგდებად. მინდა პატარა ფერმა, სადაც ზანგს მთელი თავისი სიცოცხლე შეეძლება ,თესოს და მოსავალი მოიწიოს. აი, ეს მინდა.

სიჩუმე ჩამოვარდა. გიდიონი შეკრთა და თანაც უმიზეზოდ რაღაც გამომწვევი და ამაყი სიძლიერე იგრძნო თავის თავში—კაცი, რომელმაც ბევრი სიტყვა თქვა, მაგრამ აზრიანი არც ერთი! ცოტა ხნის შემდეგ დანარჩენებმა გამომშვიდობება დაიწყეს, მაგრამ როცა გიდიონი წამოდგა, კარდოზომ მას სახელოში ხელი წაავლო და სთხოვა ერთი წუთით დარჩენილიყო, და როდესაც სხვები წავიდნენ, იგი გიდიონს მიუბრუნდა:

— გთხოვთ, ჩაიზე დარჩეთ, ცოტა კიდევ ვილაპარაკოთ, უჭკუობა იყო ხომ ჩემის მხრით, ამ ხალხს რომ შეგახვედრეთ?

— არა უშავს,—თავი ჩაიქნია გიდიონმა, მას უნდოდა წასვლა, მაგრამ არ იცოდა, როგორ მოეხერხებინა ეს. ოთახში კარდოზოს ცოლი შემოვიდა. პატარა ტანის მუქი ყავისფერი ქალი. გიდიონი მთასავით დააცქერდა მას ზემოდან.

— ყველანი ასე დიდები არიან მთებში?—ჰკითხა ქალმა გიდიონს საუბრის წამოსაწყებად და გიდიონმა, რომელიც ახლა მზად იყო ყველაფერზე შეტევით ეპასუხნა, მიუგო:

— მე მთიელი არა ვარ, ქალბატონო; შუაგულ შტატში ვცხოვრობ.

კარდოზომ თხოვნა გაიმეორა.

— არ დარჩებით? რამდენი რამ გვაქვს სალაპარაკო!

გიდიონმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

— მაშ ამ ამბავს ასე შევხედოთ,—დაიწყო კარდოზომ.—ჩვენ, თავისუფალი ზანგები, ცოტანი ვართ; შესაძლებელია ისე ახლოს

არ ვდგევართ ჩვენს ხალხთან, როგორც უნდა ვყოფილიყავით. ოთხ მილიონ მონასთან შედარებით ჩვენ სულ ცოტა ვიყავით; ჩვენ წიგნისთვის ხელი მიგვიწვდებოდა და ამიტომაც ერთგვარი სწავლა მივიღეთ: მაგრამ დამიჯერეთ, ერთის მხრით თქვენზე უფრო ჩვენ წარმოვადგენდით მონებს. ახლა ისეთი უცნაური მდგომარეობა შეიქმნა, რომ მისი სრული წარმოდგენა შეუძლებელია. კავშირის მთავრობა, რომელსაც ომში შექმნილი სამხედრო მანქანა უმაგრებს ზურგს, სამხრეთის ხალხს, თეთრსა და შავს ეუბნება, ახალი ცხოვრება ააშენეთ, თავიდან დაიწყეთო: ახალი კონსტიტუცია, ახალი კანონები, ახალი საზოგადოება შეჰქმენითო. ამას თეთრი პლანტატორები ეწინააღმდეგებიან, მაგრამ ისინი დამარცხებულნი არიან; დამარცხებულნი მაინც გაექცნენ ხმის მიცემას და ამის შედეგად ჩვენს შტატში შავებმა, გუშინდელმა მონებმა თავისი საკუთარი ხალხი ამოირჩიეს და კონვენტში გამოგზავნეს. გიდიონ, იცით, რომ ჩვენ, შავები, უმრავლესობას შევადგენთ, რომ ასოცდაოთხ დელეგატიდან სამოცდათექვსმეტი ზანგია? იცით, რომ მათგან ორმოცდაათზე მეტი ყოფილი მონაა? ახლა 1868 წელია; რა ხანია, რაც მონობიდან გამოვედით? ისრაელის შვილებმა ორმოცი წელი იარეს უდაბნოში.

ცოტა ხნის შემდეგ გიდიონმა წაილუღლუღა:

— როცა შიში მიპყრობს, საღვთო წერილს არ ვიხსენებ. მე ღვთის მოშიში კაცი ვარ, მაგრამ თოფი ავიღე ხელში და ჩემი თავისუფლებისთვის ვიბრძოლე მაშინ, როცა ყველაზე დიდი შიში მქონდა გულში.

— რაღას იზამენ ეს მიწის მუშები საკანონმდებლო საკრებულოში?

— რას იზამენ? ისინი შავი ველურები კი არ არიან, გაზეთი რომ ამბობს. მათ ცოლი ჰყავთ და შვილი და გულში სიყვარული აქვთ. ისინი იტყვიან რაა კარგი ჩემთვის, ჩემი ქალისთვის, ჩემი ბავშვისთვის და ამას მისცემენ ხმას. ისინი სწავლას არიან მოწყურებულნი, და ამისთვისაც ხმას მისცემენ.. მათ იციან რაა მონობა, და თავისუფლებას მისცემენ ხმას. ისინი მედიდურობას არ დაიწყებენ, ხელი მოჰკიდე და ღვთით წინ გაუძეღ—ისინიც გამოგყვებიან. მაგრამ ზურგზე მათრახს ნუღარ გადაუჭირებ; მათ უკვე იციან თავისუფლების გემო.

— ეს დიდ გამბედაობას მოითხოვს ჩემგან, გიდიონ.—დაფიქრებით წარმოთქვა კარდოზომ.

— მეც გამბედაობა დამჭირდა, რომ ამ კონვენტზე მოვსულიყავი.

— განა არ ვიცი! მიამბეთ რამე თქვენს შესახებ, გიდიონ!

გიდიონმა მოუთხრო ნელა, ბორძიკით. როცა მან დაამთავრა, დაბინდებული იყო უკვე. მას ყელი გამშრალი ჰქონდა, ისე იყო გასავათებული. წასვლის წინ კარდოზომ ორი წიგნი მისცა, ერთი—ჯელდონის „მართლწერის საფუძვლები“ და მეორე—ფიტ-ცროისა და ჯეიმსის „ინგლისური ენის სახელმძღვანელო“. ახლა პირველად თავის სიცოცხლეში გიდიონს ნამდვილი წიგნები ეჭირა ხელთ; ისე სათუთად ეჭირა ისინი თავის დიდ ხელებში, თითქოს კვერცხის ნაჭუჭისაგან ყოფილიყვნენ გაკეთებული. გიდიონმა მეხსიერებიდან ერთი სახელი ამოქექა და მერე კარდოზოს ჰკითხა:

— შექსპირის წიგნი გაქვთ?

კარდოზო ერთი წუთით შეყოყმანდა, მერე არც კი გაღიმებია, ისე მივიდა წიგნების პატარა თაროსთან „ოტელო“ გადმოიღო და გიდიონს გადასცა.

— გმადლობთ,—თქვა გიდიონმა.

კარდოზომ თავი დაუქნია მას და სტუმრის წასვლის შემდეგ ცოლს უთხრა:

— რომ გამცინებოდა, რომ გამცინებოდა! ღმერთო მიშველე, ძლივს შევი,ავე თავი! რა ცხოველები ვართ ყველა!

* * *

გიდიონმა კარტერს სთხოვა, კარდოზოს შესახებ მიამბეთ რამეო. იმ ფაქტმა, რომ გიდიონი კარდოზოს ბინაზე ყოფილიყო, თავისი წმინდა სოციალური მნიშვნელობით, რისი გაგებაც გიდიონს არ შეეძლო, კარტერზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

— იგი ნაწილობრივ ებრაელია,—თქვა კარტერმა,—ამიტომაა, ასეთი გვარი რომ აქვს. ამპარტავანი ზანგია.

გიდიონმა, რომელსაც მანამდე ებრაელი არ ენახა, თქვა:

— ისეთივე შესახედაობა აქვს, როგორც ყოველ შავს.

— მაგრამ მედიდურია,—დაურთო კარტერმა.

* * *

კარტერმა გიდიონს უთხრა, რომ მას ლამპა ეხმარა, და მერე, თვის ბოლოს, როცა დელეგატებს ალბათ უკვე მიღებული

ექნებოდათ ჯამაგირი, გიდიონი დახარჯული ნავთის ფულს გადაიხდიდა. ნახევარი ღამე გიდიონმა მართლწერის წიგნზე გაატარა; იგი გაზეთის კიდეზე იწერდა სიტყვებს, ხმამაღლა წარმოთქვამდა მათ და ცდილობდა სმენით დაეჭირა, რამდენად უცნაურად ჟღერდნენ ისინი. მისმა შეუჩერებელმა ბურდღულმა კარტერი ფეხზე წამოაგდო.

— ავად ხართ?—იკითხა კარზე მომდგარმა მასპინძელმა.

— ვსწავლობ,—ბოდიშის კილოზე უპასუხა გიდიონმა.

მართლწერის წიგნი გასაოცარი რამ იყო, მაგრამ სიტყვების მნიშვნელობას არ ხსნიდა და გიდიონი ფიქრობდა, ნეტავ თუ არის ისეთი წიგნი, რომელიც კაცს ეტყვის, ეს სიტყვა ამას და ამას ნიშნავსო. მან ინგლისური ენის წიგნიც გადაფურცლა; შემთხვევით ერთ პარაგრაფზე შეაჩერა თვალი:

„თუ საერთოდ შემოკლებითი—კრებითი ფორმები მოსაწონი არაა, ain't [1] მათ შორის უეჭველად ყველაზე უფრო ვულგარულია. ის მეტყველის განსაზღვრულ სოციალურ კლასზე მიუთითებს და აგრეთვე ნიშანია იმისა, სურს თუ არა ამა თუ იმ პიროვნებას, რომ იგი ჯენტლმენად ჩასთვალონ. ჯენტლმენი მოერიდება შემოკლებითი-კრებითი ფორმების ხმარებას, როცა ეს შესაძლებელია, და არავითარ შემთხვევაში, არასოდეს არ იხმარს ain't-ს. ეს ფორმა მით უფრო უკუსაგდებია, რომ მისი მნიშვნელობა ბუნდოვანია; კულტურული პიროვნება არ იხმარს სიტყვას, რომელიც შესაძლებელია ნიშნავდეს ან „არაა“ ან „არ ვარ“, ან „არ ხართ“ და სხვა. კულტურული პიროვნება მეტყველებაშიც ისეთივე ზუსტი იქნება, როგორც აზროვნებაში და პირად ჩვეულებებშია“.

გიდიონმა გადაწყვიტა, ამიერიდან ain't-ს ჭირივით მორიდებოდა, რაც უფრო მეტს კითხულობდა იგი ამ წიგნს, მით უფრო იზრდებოდა მისი შიში, მით უფრო მეტ მოწიწებასა და ძრწოლას ჰგვრიდა მას სწავლის საქმე. იგი დაბოლოს „ოტელოს“ მიუბრუნდა ერთგვარი იმედით, მაგრამ იმედის ნაპერწკალი მყისვე ჩაუქრა, როცა ეს სტრიქონები წაიკითხა:

„იაგო: ამაზე ვფიქრობ; მაგრამ ახლა უნდა გამოვტყდე, რომ ფანტაზია ამ ჩემს გოგრას ვეღარ სცილდება, ვით ბობოწვერა ფრაიზის შალს ჩაწებებული.“

---

[1] ain't პროვინციული კილოა, ზმნა „ყოფნას“ აღნიშნავს სამივე პირის უარყოფით ფორმაში და ორივე რიცხვში.

და გიდიონს ჩაეძინა თავის ტკივილით და ისეთი სასოწარ-კვეთილებით მოცულს, როგორიც მას აქამდე არ გამოეცადა.

* * *

კარდოზო გიდიონზე უფრო დიდხანს იწვა მღვიძარე. სამი წიგნისაგან დატოვებული სიცარიელე თაროზე, თითქოს ხარვეზი იყო მის ცხოვრებაში, ხარვეზი კაცობრიობის ისტორიაში—ადამიანის ცხოვრების მტკივნეულ და მდორე ნაკადში. როგორ მოხდა, რომ იგი გიდიონ ჯეკსონს შეხვდა? ვინ იყო ეს უზარმაზარი, მძიმედ მოლაპარაკე შავი კაცი, რომელიც კეროლაინის სოფლიდან, მონობიდან, სიბნელიდან მოსულა და რატომ გრძნობდა კარდოზო თავს ასე პატარად მის წინაშე? რა იყო ადამიანის საზომი? იგი, კარდოზო, თავისუფალ ადამიანად დაიბადა; მისი მეხსიერება ინახავდა გლაზგოუს უნივერსიტეტის განათლებას, ქალაქგარეთ გამართულ წვეულებებს მდიდარ ლონდონელებთან, დიდ კრებას, როცა იგი სამი ათასი ინგლისელის წინ სიტყვით გამოვიდა და ღირსეულად, დიდი პატივით იქნა მიღებული. მას მრავალი ოკეანე გადაუცურავს, დიდ, ცნობილ ადამიანებთან სტუმრად ყოფილა.

იგი მღვდლად იყო ნიუ ჰევენში და აბოლიციონისტები არაერთხელ შეკრებილან მის სახლში შეთქმულებათა მოსაწყობად. მის ვენებში თეთრისა და შავის სისხლი დიოდა; ზანგი და ინდიელი, ებრაელი და ქრისტიანი ერთმანეთში გადაქსოვილიყვნენ, ჩარლსტონის თეთრი მცხოვრებლებიც კი პატივისცემით ეპყრობოდნენ მას. იგი უფრო ახლოს იდგა პრინგლთან,[1] ვიდრე გიდიონ ჯეკსონი მასთან, კარდოზოსთან.

და მაინც იგი გიდიონ ჯეკსონში ხსნას ხედავდა, თუ საერთოდ, ხსნა შესაძლებელი იყო ასეთი არევ-დარევის წყვდიადში. ეეებერთელა, უსწავლელი შავი კაცი იმ მზეს შესცქეროდა, რომელსაც კარდოზო ვერ ხედავდა. კარდოზოს ძილი არ შეეძლო, რადგან მას ასეთი შიში ჰქონდა გულში და მისი მისწრაფებანიც უიმედოდ გამოიყურებოდნენ; იგი იწვა ფხიზელი და შურით ფიქრობდა განთავისუფლებულ მონაზე.

---

[1] თომას პრინგლი (1789—1834)—შოტლანდიელი პოეტი.

* * *

რაც უნდა ნელი ჩანდეს დროის მსვლელობა, დაბოლოს, რაც მოსასვლელია, მაინც მოდის,—კონვენტიც მოვიდა და გიდიონ ჯეკსონი ახლა დელეგატებს შორის იჯდა. მას მოეჩვენა, თითქოს ამ წუთში დრომ მსვლელობა შესწყვიტაო. ოცდათექვსმეტი წელიწადი უცხოვრია მას; შავმა წკმუტუნა ლეკვმა დაბადებისას დედა იმსხვერპლა. რაც ფეხი აიდგა, მას შემდეგ პირუტყვი იყო, რომელსაც სცემდნენ, ლონეს უზომავდნენ და ფასს ადებდნენ—ახლა კი იგი მათ შორის იჯდა, ვინც ახალ ქვეყანას აშენებდა. იგი იჯდა წყნარად, გაუნძრეველად, ხმაგაკმენდილი; მთელი ქვეყანა განაბული იყო. გიდიონს კალთაში ედო ერთმანეთზე მაგრად გადაჭდობილი ხელები, მუხლებს ერთმანეთს აჭერდა და საკუთარი გულის ბაგა-ბუგი ესმოდა; იგი სუნთქვასაც ძლივს ბედავდა. სუნთქვა მართლაც არ იყო ადვილი ამგვარად გაჭედილ დარბაზში; სკამების რიგები საფეხურებად იყვნენ განლაგებული ერთმანეთზე მიყოლებით, შავი და თეთრი სახეები მჭიდროდ გამწკრივებულნი, სოფლურ ტანსაცმელში და ქალაქურ ტანსაცმელში, კოპწია ტანსაცმელში და უფერულ ტანსაცმელში ჩაცმულნი, შავ სერთუკებში და ძველ სამხედრო ხალათებში ჩაცმულნი, მოხუცებულნი და ახალგაზრდები, მონებად დაბადებულნი და თავისუფალ ადამიანებად დაბადებულნი. სკელაუეგები, კარპიტბეგერები[1] და მზისგან გარუჯული იუნიონისტები[2]; მთებიდან მოსული მეამბოხეებთან ერთად ნაბრძოლი კაცები გვერდით უსხდნენ იანკეებთან ერთად ნაბრძოლთ. არა, მართლაც რომ ძნელი იყო სულის მოთქმა.

და თითქოს ეს საკმარისი არ იყოო, ჩარლსტონელებს სახლები მიეტოვებინათ და გაჭედილ დარბაზში შემოსვლას ლამობდნენ, ცირკი რომ ენახათ, „კუდაბზეკილი მაიმუნები“ და „შავი ბაბუინები[3].“ პრესაც აქ იყო: არა მარტო ადგილობრივი რეპორტიორები, არამედ ჯორჯიადან, ლუიზიანადან, ალაბამიდან და სამხრეთის სხვა შტატებიდან მოსული ზიზღითა და ბრაზით აღ-

---

[1] ჩრდილოეთის შტატების მკვიდრნი, რომლებიც სამოქალაქო ომის შემდეგ ზანგების ხმათა წყალობით პოლიტიკურ როლს თამაშობდნენ სამხრეთში.

[2] კავშირის (ფედერაციის) მომხრენი, ომში ჩრდილოეთის მხარეზე იბრძოდნენ.

[3] მაიმუნის ჯიში.

სავსე ჟურნალისტები, გამზადებულნი, რომ ეს სიგიჟე ერთხელ და სამუდამოდ დაესამარებინათ, გამოჯაგული ნიუ-იორკელი რეპორტიორები, რომლებიც ცდილობდნენ ამ ორომტრიალში ადგილობრივი კოლორიტის ისეთი თავისებურებანი დაეჭირათ, დიდი ქალაქის მკითხველები სათანადოდ რომ დააფასებდნენ; აქ იყვნენ აგრეთვე ბოსტონელი რეპორტიორები—აბოლიციონისტური სარედაქციო სტატიების ავტორები ახალ ინგლისიდან, და, რა თქმა ურდა, ვაშინგტონელი ხალხი, რომელიც განსაკუთრებით ყურმახვილი იყო ყველაფრის მიმართ, რაც დედაქალაქში მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა. დაუმატეთ ამას იანკის ჯარისკაცები, რომლებიც დარბაზს რკალად შემოჰკროდნენ, და თქვენ სათვალავში არ დაგაკლდებოდათ არც ერთი სულიერი, რომელსაც კი დარბაზი დაიტევდა.

მაგრამ საშიშროებისა და მღელვარების მოლოდინთან შედარებით, სესიის პირველმა დღემ მშვიდად და წესიერად ჩაიარა. სიის ამოკითხვა დაიწყო. გიდიონი ღონემიხდილი, თავზარდაცემული იჯდა, სანამ მის გვარზე ჩავიდოდნენ; მაგრამ, როცა მან „აქ ვარ“ დაიძახა და მერე თავმჯდომარემ მომდევნო გვარი ამოიკითხა, ვითომცდა არაფერიაო, რომ მისი ხმა მთელმა ხალხმა გაიგონა.

სიის ამოკითხვის შემდეგ სამხრეთ კეროლაინის ყოფილი გუბერნატორი ორრი წამოდგა მისასალმებელი სიტყვის სათქმელად. იგი სპეციალურად იყო მოწვეული, რაც დელეგატების მხრით ჟესტს წარმოადგენდა, ნიშნად იმისა, რომ კონვენტი მთელ საზოგადოებასთან აპირებდა თანამშრომლობას და არა განკერძოებით მუშაობას. დარბაზი გაიტრუნა; გიდიონი წინ გადაიხარა, რომ არც ერთი სიტყვა არ გამოჰპაროდა. დასაწყისი კარგი იყო. ორრი ლაპარაკობდა განათლების უაღრეს საპიროებაზე ყოფილ მონებისთვის. მაგრამ მერე მან სავსებით გარკვეულად განაცხადა, რომ დელეგატები შტატის არც განათლებულ ხალხს, არც სიმდიდრეს და პოტენციასაც კი არ წარმოადგენდნენ. ყალბი წარმოდგენის შედეგია მათი ლაყბობა—და ისინი მართლაც ლაყბობენო—საყოველთაო საარჩევნო უფლების შესახებ.

* * *

გიდიონმა ბევრი რამ ვერ გაიგო ამ სიტყვებიდან. მას თავის თავზე გული მოსდიოდა იმის გამო, რომ იგი ვერ წვდებოდა

სანახევროდ გამოთქმულ და სანახევროდ ნაგულისხმევ აზრებს, რომ ყოველი მესამე თუ მეოთხე სიტყვის მნიშვნელობა გაუგებარი რჩებოდა მისთვის. ნუთუ ორრი დასცინოდა მათ? ზიზღით უცქეროდა, თავს ესხმოდა მათ?

როდესაც ორრმა სიტყვა დაასრულა, აქა-იქ კანტი-კუნტად ტაში გაისმა. ყველაფერი თავის რიგზე მიდიოდა. მერე მომდევნო სხდომის დღის წესრიგი გამოიმუშავეს, რის შემდეგ გამოაცხადეს, რომ კონვენტის მუშაობა მეორე დღემდე შეწყვეტილი იყო.

გიდიონმა ყური მიუგდო ქუჩაზე შეგროვილ დელეგატების ერთ ჯგუფს; ისინი გაცხარებით ლაპარაკობდნენ. ყველანი სოფლელები იყვნენ, ძვალმსხვილი, ჩასკვნილი მიწის მუშები, რომელთა მხრები გუთანთან გატარებულ წლებზე მეტყველებდნენ. ერთი მათგანი—კუპრივით შავი მოგრძო სახის და მკვეთრთვალებიანი ხანში შესული კაცი ამბობდა:

— განათლება ჩვენ ვინ მოგვცა; აბა ვის აქვს განათლება ამ ჩვენს შტატში? რამდენი ოლქია ისეთი, ერთი სკოლაც რომ არა აქვს! მდიდარს რა ენაღვლება, სახლში მასწავლებელს მოიყვანს, შვილებს ევროპაში გააგზავნის. მაგრამ განა ესაა, ორრი რომ განათლებას ეძახის, ასეთი სწავლა? რამდენი ხანია ჩვენ რომ ასე ვართ?—თავისუფლების ორი წელიწადი და ერთი დღე კონვენტისა. მე გეკითხებით, რატომ უნდა ამ კაცს ჩვენი დაჩაგვრა?

ერთმა მაღალმა ძვალმსხვილმა თეთრმა ჯგუფის შუაგულისაკენ ნიდაყვებით გზა გაიკელია და ენის ბორძიკით თქვა ნელა, მთიულურ კილოზე:

— მიზეზი ბევრია, ძიაკაცო.

— მაინც რა?

— ძიაკაცო, რატომ თვალებს არ გაახელთ ზანგები? თუ ამ თანასწორობის საქმეს მხრებით არ შეეუდგებით, იგი წყალს ვერ დაიჭერს. თქმა არ უნდა, რომ ისინი ლაპარაკით ხმას ჩაგიწყვეტენ თქვენცა და მეც. შენ ზანგი ხარ, მე თეთრი ნაძირალა[1]. თეთრმა ნაძირალებმა მე ამომირჩია, ზანგებმა—შენ; შესაძლოა, რამდენიმე შენისთანამ მეც მომცა ხმა და რამდენიმე ჩემისთანამ—შენ. მე ზანგის მოტრფიალე არა ვარ, მაგრამ ფიქრი ისეთი მიყ-

---

[1] White trash—„თეთრი ნაძირალა", ასე უწოდებენ დღესაც ამერიკის ლატაკ ფერმერს; trash ნიშნავს ნაყარ-ნეყარს, ნაგავს, ნაძირალა თხლეს და ა. შ.

ვარს, რომ ორჯერ ორი ოთხი გამოვიდეს; ასეთი ფიქრი მეუბნება, რომ, თუ ჭკუით მივყვებით, ყველაფერს გავაკეთებთ; მაგრამ იმას კი აღარ მეუბნება, რომ ისინი ამიერიდან პირუტყვს არ დაგვიძახებენ.

— შენ რაღას აპირებ, თეთრო?—ჰკითხა მას ვიღაცამ.

— ჭკუა მოვიხმარო. ამ კონვენტიდან სკოლები გამოვიტანო და ხმის უფლება. კარგად ვიცი, რას იტყვიან ჩემი მტრები.

— მერე და სთქვან?

— სთქვან. მე კი ჩემსას ვიტყვი.

— მიწის შესახებ როგორღა იქნება? სკოლებში და ხმის მიცემაში რა ხეირია, თუ სარჩოს მოყვანის საშუალება არ გვექნება?

— მიწა,—თითქოს ღეჭვით წარმოთქვა თეთრმა.—აბა ერთი მიწა სთხოვე შენ იმათ, ძმობილო, დიდიან პატარებიანად ცემით ტყავს გაგაძრობენ. ეს კონვენტი მიწას ვერ მოგვცემს; მიწა თუ გვინდა, უნდა ვიმუშაოთ, ოფლი ვღვაროთ და ისე ვიყიდოთ.

— ალბათ ასი წელიწადი მაინც გვიმუშავნია ამ მიწაზე. მაზ ვინ მუშაობდა? ჩვენ არ ვთესავდით, ჩვენ არ ვიწევდით მოსავალს? ისინი კი წავიდნენ და ქვეყნის დანგრევა მოინდომეს. ვის აქვს ამ მიწაზე ჩვენზე მეტი უფლება?

— ეს უფლების საქმე არაა, ძიაკაცო, ეს საკუთრების საქმეა. მე ვარსკვლავებს არ დავუწყებ თოფის სროლას, სჯობია აგერ გორაკის ფერდობს დავუმიზნო.

კამათი თანდათან უფრო ცხარე ხდებოდა. გიდიონმა დაინახა, რომ თეთრმა კაცმა ჯგუფი დატოვა და გზას გაუყვა. გიდიონი მას აედევნა და მერე სახელოზე წაავლო ხელი.

— მისტერ!

თეთრი შედგა; გულგრილი ცისფერი თვალებით შეხედა გიდიონს და მერე თითქოს გზის გაგრძელება დააპირა. გიდიონმა იგრძნო რაღაც, რაც უცნობის შინაგან ბრძოლას მოწმობდა: სამხრეთის მკვიდრს, სამხრეთში დაბადებულსა და გაზრდილს სძულდა მონობის სისტემა, რომელმაც იგი უმიწაწყლო მათხოვრად აქცია, მაგრამ მას ზანგებიც სძულდა, რადგან ეკონომიურმა პირობებმა იგი ზანგების სოციალურ კლასში გადაისროლა; ახლა მას ღირსების ერთადერთ ნიშნად თეთრი კანი შერჩენოდა მხოლოდ.

— თუ შეიძლება, ბატონო, თქვენთან ლაპარაკი მინდა.— ჭიმართა გიდიონმა უცნობს.—მე გიდიონ ჯეკსონი ვარ.

— ჩემი სახელია ენდერსონ კლეი,—უხალისოდ დააქნია თავი თეთრმა და გზა განაგრძო. გიდიონი გვერდით გაჰყვა.

— მე არ მინდა,—წამოიწყო გიდიონმა.—მე არა... თავხედობად ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ გავიგონე, რაც თქვენ მიწის შესახებ თქვით. ძალიანაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, რომ ჩემს ხალხს მიწა ჰქონდეს. თქვენ გგონიათ, რომ ისინი არაფერს არ მოგვცემენ?

— ღმერთმა დალახვროს, არაფერსაც არ მოგვცემენ!

— მაშ როგორღა უნდა ვიცხოვროთ?

— ზანგო, ეს შენი საქმეა; როგორც გინდა, ისე იცხოვრე.

გიდიონი ცოტა ხანს მდუმარედ მიჰყვებოდა გვერდით კლეის; ბოლოს იკითხა:

— იქნებ ერთხელ კიდევ ვილაპარაკოთ ამაზე?

— რატომ არა!

— მიხარია, რომ გაგიცანით,—თქვა გიდიონმა.

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ გიდიონი შეუდგა წერილის წერას; ეს იყო მისი პირველი წერილი და იგი სასწაულივით განიცდიდა ყოველი დაწერილი სიტყვის საკვირველებას. იგი ცოლს სწერდა:

„ძვირფასო მეუღლე რეიჩელ!

გამუდმებით შენზე ვფიქრობ, შენს სურათს წარმოვიდგენ ხოლმე. ყოველთვის ვფიქრობ, რომ ლამაზი ხარ. როგორც მაშინ, როცა იანკებთან ერთად ვიყავი ომში, თავს დარდიანად ვგრძნობ, რადგან შენგან შორს ვარ. წიგნებით ვსწავლობ წერა-კითხვას და დელეგატი ვარ კონვენტში, რათა კარგი კანონები დავწეროთ. ჩემი ჯამაგირი ძალიან დიდია, 3 დოლარი დღეში და უფრო მეტ წილს ვინახავ. ძილის წინ ყოველ ღამით შენ და ბავშვებს გხედავთ და ვლოცულობ. რომ ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. ასე კარგად ვწერ წიგნის დახმარებით, მაგრამ ვსწავლობ კი. ერთხელ კონვენტში ჯამაგირის შესახებ ვილაპარაკე. ძალიან მეშინოდა, ამას კამათს უწოდებენ. თუ ჯეიმს ალენბი მოვიდეს თქვენთან, კარგად მოექეცით ღმერთი გწყალობდეთ. კიდევ მალე მოგწერ“.

ეს წერილი გიდიონმა დიდის ჯაფით რამდენიმე საათის განმავლობაში წერა შუალამემდე, თითოეულ სიტყვას ამოწმებდა და რვეულში იწერდა, რომელიც საამისოდ ჰქონდა ნაყიდი. წერილმა გიდიონს რეიჩელის, პლანტაციაზე დატოვებული თავისი ხალხის სიახლოვე აგრძნობინა. რას იფიქრებენ ნეტავ ისინი, როცა გაიგებენ, რომ მან კონვენტის კამათში მონაწილეობა მიიღო უკვე? იმიტომ კი არა, რომ მნიშვნელოვანი საკითხი იყო, არა, იგი არც აპირებდა ლაპარაკს, მაგრამ როგორღაც—კარგად ვერც კი იგონებდა, იგი ფეხზე იდგა და ლაპარაკობდა. ეს ის სხდომა იყო, როცა დელეგატთა ჯამაგირის საკითხი ირჩეოდა.

მისტერ ლენგლიმ გახსნა ბჭობა და თქვა, რომ დღეში თორმეტი დოლარი ზედგამოჭრილი იქნებოდა. „დელეგატები, უეჭველად, ღირსნი არიან ასეთი გასამრჯელოსი!“ დამსწრე რეპორტიორები გაშმაგებით წერდნენ: ზანგმა რაიტმა სიტყვა აიღო და თქვა, რომ ათი დოლარი საკმარისი უნდა ყოფილიყო. „კანონმდებლობისათვის საჭირო ღირსების გრძნობა ამით დაკმაყოფილებული იქნება“. ქანდარამ კიეინა დასცა და სპიკერმა ჩაქუჩის ცემით წესრიგი მოითხოვა. თეთრმა პარკერმა თერთმეტ დოლარამდე აუწია ჯამაგირს, რაც კონვენტის ოთხმოცდაათი პროცენტისათვის ფანტასტიკურ თანხას წარმოადგენდა, რადგან მთელი თავიანთი სიცოცხლე მათ ფიზიკურ შრომაში გაეტარებიათ, მრავალი მათგანი მონა იყო, მრავალი—დაქირავებული მიწის მუშა, ხალხი, რომელსაც ვერცხლის პენი წლობით არ ენახა. სამმა სკელაუეგმა ორ კარპიტბეგერთან ერთად მხარი დაუჭირა მისტერ ლესლის, ზანგ დელეგატს, როცა მან სიტყვა აიღო და დაიყვირა:

— მე ყაბულს ვარ, სამი დოლარი მივიღო დღეში ჩემი შრომისათვის. მე მინდა, რომ ეს ჩემი სიტყვები, შავი კაცის სიტყვები ოქმში ჩასწეროთ. მე ვფიქრობ—ესაა, რაცაა: ჩემი შრომა მეტი არ ღირს. გეკითხებით თქვენ, დელეგატებო, საკუთარ ჯიბიდან რომ გქონდეთ გადასახდელი ამგვარი საკრებულოს ჯამაგირი, რამდენის გადახდას მოისურვებდით? განა დოლარი და ორმოცდაათი ცენტი საკმარისი არ იქნებოდა? რასა ჰგავს ეს საქმე?—რვა, ცხრა, ათი დოლარი დღეში. ეს თაღლითობას. ჰგავს, მეტი არაფერი.

კანტი-კუნტი ტაშის ცემაში გაისმა ვინმე მისტერ მელროუზის სიტყვები:

— თავსლაფის დასხმაა ასეთი წინადადება, რომ ჩვენი კონვენტის წევრებს დღეში ერთი დოლარი და ორმოცდაათი ცენტი მიეცეს!

მაშინ იყო, რომ გიდიონმა სიტყვა მოითხოვა, მას სიტყვა მისცეს. ამ წარმოუდგენელ შეხლა-შემოხლაში გიდიონს თავი აღარ ახსოვდა; დარბაზში მისმა ბოხმა ხმამ დაიგუგუნა:

— ვუსმენ ამ ლაპარაკს—დღეში ათი დოლარიო, თერთმეტიო! გაზეთს ვკითხულობ, სადაც ჩვენ ყაჩაღებს გვიწოდებენ, გული ბრაზით მევსება. ჩვენ ყაჩაღები არა ვართ; მაშ საიდანაა ეს.—ამ სიტყვაზე მას უეცრად მოეჩვენა, რომ იგი საზარელ დანაშაულს ჩადიოდა; გიდიონმა იგრძნო, რომ მას ტანი ცეცხლით აენთო და მერე უმალ ცივმა ერუანტელმა გაურბინა. დანარჩენი სიტყვები უკვე გაუბედავი ბორძიკით გაისმა:

— მე ერთხელ ჩარლსტონს მოვედი—რამდენიმე წლის წინათ, იანკის არმიაში რომ ვიყავი,—რამდენს ვიღებდი მაშინ? დღეში ოც ცენტს, მეტს არა, მაგრამ თავისუფლებისთვის მაინც ვიბრძოდი. მონა ვიყავი, ხელფასი თვალით არ მინახავს. ჩარლსტონში კონვენტის დაწყებამდე მოვედი. ჭამა გინდა?—იმუშავე! მეც ზღვის პირს ჩავედი და ბამბა ვთრაქე ორმოცდაათ ცენტად დღეში, ეს კარგი ხელფასია. საიდანაა, რომ ათ დოლარს ვფასობ ახლა?

როგორღაც შიში დაავიწყდა გიდიონს და მან უფრო დარწმუნებული ხმით განაგრძო:

— შეიძლება მართლა ღირსების საქმე იყოს, როგორც სხვები ამბობენ; მაშინ სამი დოლარი კარგად ეყოფა იმ ღირსებას. ასე—განსხვავებაც იქნება დელეგატსა და დოკის მუშას შორის, თუმცაღა სინამდვილეში არაფერი განსხვავება არაა. მე კი მაინც არ ვღირვარ ათ დოლარად დღეში.

ასე ილაპარაკა გიდიონმა პირველად კონვენტის დარბაზში და წინადადებაც გაიყვანა.

თავი მეხუთე

როგორ იყო გიდიონ ჯუკსონი ერთი დიდი ჩვეულების საპატიო სტუმარი

კონვენტის სესიის დღეები კვირეებად იქცნენ, კვირეები თვეებად და გიდიონიც გათავისუფლდა შიშისა და უცხოობის იმ გრძნობისაგან, რომელიც მას პირველ სხდომაზე მოსვლისას ჰქონდა. ისევე, როგორც მისი ცხოვრების სხვა შემთხვევებში, ახლაც ბუნებრივი გახდა ის, რაც აქამდე არაბუნებრივი იყო, ჩვეულებრივად იქცა ის, რაც აქამდე უცნაური იყო. ეს თვისობრივი ცვლილება მის შინაგან ბუნებაში ისე მოხდა, რომ ცნობიერებამდე არ იყო საკვლევი; იგი არც ერთხელ არ შეჩერებულა, არ დაჰკვირვებია თავის თავს იმის დასანახავად, რომ იგი უკვე ის აღარ იყო, რასაც ამ წუთის წინათ წარმოადგენდა. ერთი და იგივე მოქმედება უნარს იმუშავებდა მასში. ძმა პიტერმა მას ერთხელ უთხრა, სხვების ლაპარაკს ყური დაუგდე, რადგან ადამიანს მეტ-ყველების მიხედვითაც აფასებენო. და სამი თვის განმავლობაში გიდიონი იჯდა კონვენტის დარბაზში და ყურს უგდებდა სხვათა ლაპარაკს. ზოგჯერ თვითონაც ლაპარაკობდა. და მაინცადამაინც საოცარი აღარ იყო უკვე მისთვის ის ამბავი, რომ მის ყოველ ახალ გამოსვლას ხალხი თანდათან უფრო მეტი ყურადღებით ისმენდა.

ყველაფერი ნაყოფს იძლევა. კარტერებთან მის პატარა ოთახში სამი წიგნი თორმეტად იქცა, მერე კი ეს რიცხვი გაორკეცდა. ყოველ ღამით, ისადილებდა თუ არა, გიდიონი შევიდოდა თავის ოთახში, მოიხურავდა კარს და ღამის ქვეშ პატარა მაგიდაზე გაშლიდა წიგნებს. სამ საათზე ნაკლებს იშვიათად თუ იმუშავებდა, ხანდახან კი ხუთ საათს, ანდა მთელი ღამე გათენებამდის. ასე იყო,

მაგალითად, როცა მან პირველად გაშალა „ბიძია თომას ქოხი“. ეს პირველი რომანი იყო მისთვის. როცა კონვენტის ერთმა წევრმა, სახელად დელარჯმა, ეს წიგნი შესთავაზა, გიდიონმა უარი თქვა: მოთხრობის წიგნებისათვის დრო არა მაქვსო.

— ეს,—უთხრა დელარჯმა,—ერთი იმ ფაქტორთაგანია, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს თქვენი აქ, კონვენტზე ყოფნა.

— წიგნმა?

— როცა ეიბ ლინკოლნი შეხვდა მისის სტოუს, რომელმაც ეს წიგნი დაწერა, ლინკოლნმა იკითხა: „ნუთუ ესაა ის პატარა ლედი, რომელმაც დიდი ერი ომის ცეცხლში ჩააგდო?“

გიდიონმა ღიმილით თქვა: „მე ვფიქრობ, შეიძლება ერთმაორმა სხვა ამბავმაც შეუწყო ხელი“.

— ჰო, მაგრამ აიღეთ წიგნი და წაიკითხეთ.

გიდიონმა წიგნი შინ წამოიღო, მაგრამ რამდენიმე კვირამ გაიარა, სანამ იგი მას შემთხვევით გადაშლიდა: მაშინ კი მის თვალწინ მთელი ახალი ქვეყანა გაიხსნა. კარტერები ეეედრებოდნენ: ღამით დაიძინე, თორემ უეჭველად ლოგინად ჩავარდებიო. წიგნის ზოგიერთი ადგილი გიდიონმა ცალკე ამოიწერა, როგორც გასაღები ისეთი ამბებისა, რომლებიც მას აქამდე აღელვებდნენ, რადგან გიდიონს მათი არა გაეგებოდა რა, და რომლებიც ახლა აშკარად გასაგები გახდნენ მისთვის; მაგალითად შემდეგი ადგილი:

„კარგად მოგეხსენებათ, რომ არისტოკრატს, რა ქვეყანაშიაც არ უნდა იყოს იგი, განსაზღვრული მიჯნის გადაღმა არავითარი ადამიანური სიბრალული არ გააჩნია. ეს მიჯნა ინგლისში ერთია, ბირმაში მეორე, ამერიკაში მესამე; მაგრამ სადაც არ უნდა იყოს იგი, არისტოკრატი ამ მიჯნას არ გადააბიჯებს. რაც თავის საკუთარ კლასში ტანჯვად და უსამართლობად ითვლება, ის სხვა კლასში ჩვეულებრივი, უმნიშვნელო ამბავია მისთვის. ასეთი მიჯნა მამაჩემისათვის ადამიანის კანის ფერი იყო. თ ა ვ ი ს თ ა ნ ა ს წ ო რ თ ა წ რ ე შ ი მასზე უფრო სამართლიანი და სულგრძელი ვერავინ იქნებოდა, მაგრამ იგი ზანგს კანის ფერის ყოველგვარ გრადაციაში სთვლიდა რაღაც შუალედ რგოლად ადამიანსა და ცხოველებს შორის და თავის ცნებებს სამართლიანობისა და სულგრძელობის შესახებ, მამაჩემი ამ ჰიპოთეზის მიხედვით აყალიბებდა...“

და ეს ადგილი:

„ალფრედი ისეთი პრინციპული დესპოტია, რომლის მსგავსი

შეორე არ ყოფილა ქვეყანაზე; იგი ამგვარ დაცვაზე არ აცხადებს პრეტენზიას, არა, იგი ამაყად, მედიდურად დგას იმ ძველებურ, კარგ და საპატიო ნიადაგზე, რომელსაც უ ძ ლ ი ე რ ე ს ი ს უ ფ ლ ე- ბ ა ჰ ქ ვ ი ა. იგი ამბობს, და ვფიქრობ, საკმაოდ სამართლიანად, რომ ამერიკელი პლანტატორი „ისევე იქცევა, მხოლოდ სხვა ფორ- მაში, როგორც ინგლისის არისტოკრატია და კაპიტალისტები იქ- ცევიან მათზე დაბლა მდგომ კლასების მიმართ.“ ესე იგი, როგორც მე მესმის, ისინი ითვისებენ მათ, მათ ძვალსა და ხორცს, მათ სულსა და გონებას საკუთარი მოხმარებისა და სარგებლობისათვის. იგი ორთავეს იცავს—და ვფიქრობ, რომ იგი ამაში თანამიმდევ- რული მაინცაა. იგი ამბობს: მაღალი ცივილიზაცია მასების ნომი- ნალური ან რეალური დამონების გარეშე შეუძლებელიაო. უნდა არსებობდეს, ამბობს იგი, მძიმე ფიზიკურ შრომაზე მიჯაჭული და ცხოველურ მოდგმისათვის განკუთვნილი დაბალი კლასი; ამგვარად, მაღალ კლასს საშუალება ექნებაო მოცალეობისა და სიმდიდრის შეძენისა იმისათვის, რომ ინტელექტუალურად განვითარდეს, წინ წავიდეს და დაბალი კლასის წარმმართველი სული გახდესო. ასე სჯის იგი იმიტომ, რომ, როგორც ვთქვი, იგი არისტოკრატადაა დაბადებული. მე კი არ მჯერა ეს, რადგან დემოკრატად დავიბადე“.

ყველაფერი ეს გიდიონმა გადაიწერა, დაისწავლა და, როცა კვლავ შეხვდა დელარჯს, მას უთხრა: „იმ წიგნს ვკითხულობ“.

— რაღაცას ხომ სწავლობთ?

— მე ყოველთვის ვსწავლობ ცოტა რამეს,—გაიღიმა გი- დიონმა.—მითხარით, ეს წიგნი ინგლისშიაც დაბეჭდეს?

— კი, და თარგმნეს კიდეც გერმანულ, რუსულ, უნგრულ, ფრანგულ, ესპანურ და მრავალ სხვა ენაზე. ევროპაში მუშა ხალხი მას თავის ბიბლიას უწოდებს.

— რას, წიგნს შავი მონის შესახებ?

— ანუ საერთოდ მონების შესახებ, გიდიონ.

* * *

ჯაფა დაეტყო გიდიონს; მას თავის სიცოცხლეში პირველად ასტკივდა თვალები. იგი გახდა, ჩამოხმა და ახლა უფრო მეტად იყო დაღლილი, ვიდრე მაშინ, როცა გუთანს ეკიდა, ან როცა დღე- ში ოცდაათ მილს გადიოდა არმიელებთან ერთად ფეხით. აქამდე,

მთელი თავისი სიცოცხლე, მას ეჩვენებოდა, რომ დრო საკმაო იყო ყველაფრისათვის, როცა მზის ამოსვლას და ჩასვლასთან ერთად დღეები ნელა სცელიდნენ ერთმანეთს ბამბის ველების ზანტი, მარტივი რიტმით; მარადჟამს ერთი და იგივე: უტეხი ნაძვნარები, პირქუში ჭაობები, მუშური სიმღერების მდორე და სევდიანი მელოდია. აქ კი ცხოვრება ნიაღვარი იყო, რომელიც არ იცდიდა; ყოველი დღე, ყოველი საათი მნიშვნელოვანი იყო. გიდიონმა რომ ლექსიკონი იყიდა, ორმოცდაათიათას სიტყვას შეიცავდა და სიტყვები ის იარაღი იყო, რომლითაც იგი ახლა მუშაობდა. ცოდნა უსასრულო რამ იყო და გიდიონი სასოწარკვეთილებით გრძნობდა, რომ იგი ზედაპირს ებღაუჭებოდა მხოლოდ. მთელი ერთი კვირა შეეწირა მიმატება-გამოკლებისა და ძირითადი გამრავლების შესწავლას; უძილოდ გატარებული მთელი ღამე დაიხარჯა ერთგვერდიან სიტყვაზე, რომელიც მას მეორე დღეს უნდა წარმოეთქვა განათლების შესახებ. აბა ერთი წარმოიდგინეთ ეს ამბავი— წარმოიდგინეთ, როგორ დგება დარბაზში გიდიონ ჯეკსონი და ამბობს:

„ამ დღეების განმავლობაში მე ვისმენდი, თუ როგორ კამათობდნენ ჩვენი დელეგატები განათლების შესახებ, რომელიც კანონივით სავალდებულო უნდა იყოს. მე მოვუსმინე ჯენტლმენებს, რომლებმაც თქვეს, სავალდებულო განათლებაზე ფიქრი უგუნურება და შეცდომა იქნებაო. ვინ იცის, შეიძლება ხალხი შიშველ-ტიტველი ივლიდა, კანონი რომ არ ყოფილიყო ტანსაცმლის ტარებაზე. მათ ტანთ უნდა ჩაიცვან, რადგან ასეთია კანონი, და ისინი ამას მალე შეეჩვევნენ. მე მგონია, მალე, ხუთ-ათ წელიწადში, ხალხი შეეჩვევა იმას, რომ, სურთ თუ არა, სკოლაში უნდა იარონ. რატომ იყო, რომ მონათმფლობელები მაშინვე გაჰყიდდნენ ხოლმე მონას, როგორც კი შეიტყობდნენ, რომ მან წერა-კითხვა იცოდა? მე გეუბნებით: იმიტომ, რომ მხოლოდ უმეცარი ხალხი შეიძლება იყოს მონები. დემოკრატია და თანასწორობა თავისთავად გასაგები ვერ გახდება კაცებისა და ქალებისათვის, რომელთაც არავითარი ცოდნა არა აქვთ ასეთი რამეების შესაგნებად, ხალხი ვერ იქნება თავისუფალი, თუ მან თავისუფლების აზრი არ იცის“.

მთელი ღამე ამ ორიოდე სიტყვის წერა; მერე, გამოსვლის შემდეგ, გრძნობა, რომ ყველაფერი ეს სავსებით შეუსაბამო იყო, ცუდად შეთხზული, რომ მან ვერ გამოსთქვა ის, რისი თქმის იმე-

დიც მას ჰქონდა, რისი თქმაც ეწადა... და მაინც, მიუხედავად ყველა ამისა, კარდოზო მიუახლოვდა მას და შეეკითხა:

— სად იმალებით, გიდიონ?

— ვიმალები?

— იმის თქმა მინდა, რომ ყოველი სხდომის შემდეგ თქვენი ლანდიც აღარ ჩანს.

— ვსწავლობ,—მიუგო გიდიონმა.

— ყოველ ღამით?

— ყოველ ღამით.

— არც დასვენება, არც გართობა,—ჩაფიქრებით თქვა კარდოზომ.—არავის არ ხედებით, ხომ? არც ესაა კარგი.

— სხდომებზე მოვდივარ.

— კი, მაგრამ მე მინდა, რომ თქვენ ზოგიერთ ვინმეს შეხვდეთ, თეთრსაც და შავსაც. მნიშვნელოვანია, რომ თქვენ თეთრ ხალხს იცნობდეთ, იცოდეთ, რას ფიქრობენ ისინი, რას ამბობენ, რას აკეთებენ. ჩვენ სულ უფრო და უფრო ახლოს მოგვიხდება თეთრ ხალხთან მუშაობა, გიდიონ.

— მეც ასე მგონია,—კვერი დაუკრა გიდიონმა.

— მოხვალთ ჩვენთან სადილად ხვალ?

— სადილად?—შეყოყმანდა გიდიონი, მაგრამ კარდოზო არ მოეშვა:—მოდით, ძალიან გთხოვთ—მოხვიდეთ.

— კარგი.

— მაგრამ ამაზე კი არ მინდოდა თქვენთან ლაპარაკი. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენმა სიტყვებმა სავალდებულო სწავლების შესახებ. ეს საკითხი მე უაღრესად მაინტერესებს, და ვფიქრობ, რომ, თუ ამაში დავმარცხდით, მაშინ საერთოდ მთელ კონსტიტუციაში დავმარცხდებით. ეს საკითხი მომავალ კვირაში კომიტეტს გადაეცემა. თანახმა ხართ, იმუშაოთ კომიტეტში?

გიდიონი დააცქერდა კარდოზოს. მაგრამ ამ უკანასკნელის თვალებში ხუმრობის ნასახიც არ ჩანდა. გიდიონი დასთანხმდა.

— მოხარული ვარ.—თქვა კარდოზომ.

* * *

რამდენიმე ხნის წინათ გიდიონმა დაასკვნა, რომ მას ერთი კოსტუმი მაინც უნდა ჰქონოდა. თუმცა ბევრი ამთელა მისის კარ-

ტერმა მისი შარვალი, მაგრამ იგი გაცვეთის ისეთ პროცესს განიცდიდა, რომელიც მალე უნდა დამთავრებულიყო მისი სრული განადგურებით. დღე არ გავიდოდა თითქმის ისე, რომ მისი სურთუკი, რომელიც მას კვლავინდებურად ძალზე ვიწრო ჰქონდა, ამა თუ იმ ნაკერავზე არ გამსკდარიყო. ჯეკობ კარტერმა ორ დოლარად შეუკერა მას ერთი წყვილი კარგი ფეხსაცმელი, მაგრამ კოსტუმის მდგომარეობა კრიზისს ნიშნავდა უეჭველად. მისის კარტერი ამბობდა, რომ გიდიონისათვის, დელეგატისათვის, დღითი დღე უფრო სამარცხვინო ხდებოდა კონვენტზე ამ ძველ კონკებში სიარული.

— ტანსაცმელი,—მიუგო გიდიონმა,—ფული ღირს. ბარემ უკეთეს რამეებზე დავხარჯავ ფულს.

— კაცი თავის ტანსაცმელში ფასდება,—განმარტა მისის კარტერმა. გიდიონმაც თავს დასძლია და მოხუც ძია ბედისთან გაემართა, რომელსაც რუტლეჯოს ავენიუზე, ჰენრის სახლის უკან, საკუთარი ქოხი ჰქონდა. ჰენრის სახლი გეორგიული ქალაქური სტილის უზარმაზარი თეთრი შენობა იყო. რაც ხალხს ახსოვდა, ძია ბედი ომამდე და ომის დროსაც ჰენრის მონა იყო. იგი სამოცდათხუთმეტი, შესაძლოა, ოთხმოცი წლისაც იქნებოდა. ჰენრებმა იგი თერძად გააწრთვნეინეს და ორი თაობის მანძილზე ბედი იჯდა თავის ქოხში მაგიდაზე, ფეხი ფეხზე ჰქონდა გადადებული და კერავდა ქალების სანადიმო სამოსელს, ფარჩის კაბებს, ჯენტლმენებისათვის კი ყავისფერი, რუხი და შავი დახვეწილი კამვოლური შალის და ფაქიზი მაუდის კოსტუმებს. რაც ემანსიპაცია მოხდა, იგი მაინც თავის ადგილზე დარჩა: ჰენრებმა მას ნება დართეს ქოხში ეცხოვრა; სამაგიეროდ მას კვლავ მათი ოჯახისათვის უნდა ემუშავნა. ამასთან ერთად, იგი ხანდახან კერძო სამუშაოსაც იღებდა ფულზე.

კარტერმა გიდიონი მასთან გაგზავნა. მოხუცმა ახედ-დახედა გიდიონს, თვალები დაახამხამა, და თქვა:

— თქმა არ უნდა, ბოლო არ გიჩანს. საიდან უნდა ვიშოვო ისეთი ნაჭერი, რომ შენოდენა ზანგს ეყოს?

— მაინცდამაინც კოსტუმი ნუ იქნება.—თქვა გიდიონმა,—იმ სიგრძე კი იყოს, რომ ჩაცმა შეიძლებოდეს.

— რაო, ორმოცი თუ ორმოცდაათი წელიწადი ჰენრის ოჯახს კოსტუმებს ვუკერავ, შენ კი ჭკუას მასწავლი, როგორ შევკერო კოსტუმი?!

გიდიონმა ბოდიში მოიხადა. ორი კვირის შემდეგ კოსტუმი მზად იყო: მშვენივრად შეკერილი, შავი, ფაქიზი მაუდის საუცხოო პიჯაკი და შარვალი, სულ ათ დოლარად. გიდიონმა რეიჩელს მისწერა:

„ძვირფასო მეუღლე რეიჩელ!

იძულებული გავხდი კოსტუმი მეყიდა, რადგან ჩემი ძველი ტანსაცმელი გაცვდა და სულ წავიდა ხელიდან. კოსტუმი ათი დოლარი დამიჯდა, ვიცი, რომ ეს დიდი ფულია, და მრცხვენია, მაგრამ აქ, ჩარლსტონში ყველაფერი ძვირია. ბედნიერი ვარ, რომ შევიტყვე ყველაფერი კარგადაა და მშვიდობაა თქვენთან და მისტერ ჯეიმს ალენბი ბედნიერია და ბავშვებს ასწავლის. ძალიან მეწყინა, მისტერ ალენბის წერილიდან რომ შევიტყვე, სინკერტონში ოთხი ზანგი რომ მოუკლავთ ავკაცებს, რომლებსაც ჩვენ ვძულვართ და ტერორს მიმართავენ, მაგრამ ასეთ ავკაცობას ბოლო მოელება, როცა კონსტიტუცია იქნება მზად და სამოქალაქო მთავრობა ჩვენს ლამაზ კეროლაინას კარგად მოაწყობს. მე კარგ ხალხს ვხვდები, და ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ მოთმინებაა საჭირო. აკოცე ჩემ მაგიერ ბავშვებს. უფალი იყოს თქვენი შემწე“.

გიდიონმა დოლარიანიც ჩადო წერილში, იგი ყოველდღე ასე იქცეოდა, ყოველდღე სწერდა რაღაცას რეიჩელს... და გიდიონმა ახალი კოსტუმი ჩაიცვა კარდოზოსთან გამართულ სადილისათვის.

* * *

იმ დროს, 1868 წელს, კარდოზოს მიერ გამართული სადილი ერთგვარ პაუზას წარმოადგენდა ისტორიაში ისევე, როგორც თვით კონვენტის მთელი ეს ამბავი ემსგავსებოდა პაუზას, ინტერვალს, იუნიონისტთა ხიშტებით გათხრილ ნაპრალს ამერიკის განვითარების ნაკადში. ჩარლსტონი, ეს მშვენიერი, მომხიბლავი, პალმების ფოჩით შემკული ქალაქი, სამხრეთის გვირგვინი და დიდება, უმწეოდ იყო განრთხმული. ომს გამოეშიგნა ქალაქი. დიდ, თეთრ გეორგიულ სახლებიდან ერთიც არ იყო ისეთი, სიკვდილსა და ეკონომიურ გაჩანაგებას თავისი კვალი რომ არ დაეჩნია. უზარმაზარი სიმდიდრე, რომელმაც თეთრი, თვალწარმტაცი სახლების ეს, მთელ ამერიკაში უბადლო თაიგული შეჰქმნა, ერთ რამეზე იყო

დაფუძნებული—შავი მონის ფართო ზურგზე. მონებში ფასობდა არა მარტო დაუშრეტელი სამუშაო ძალა, რომელიც ყოველი სიმდიდრის წყაროა; თავად მონები წარმოადგენდნენ კაპიტალს, ყველაზე უფრო მნიშვნელოვან კაპიტალს იმათგან, რასაც სამხრეთი ფლობდა. მონები ერთგვარად მანქანის პრიმიტიული ნაწილები იყვნენ, რომელთაც ყიდულობდნენ, ამრავლებდნენ და ყიდნენ, და ასეთ დენად მდგომარეობაში სამხრეთის ეკონომიკის ქვაკუთხედს შეადგენდნენ. მერე, გამანადგურებელი ომის პროცესში, იმ ომისა, რომელმაც დაამსხვრია სამხრეთის ფულადი სისტემა, ბლოკადაში მოამწყვდია მისი ნავსადგურები და მათ შორის ჩარლსტონიც, ომისა, რომლის მიზეზით ჯარები ოთხი წლის განმავლობაში თელავდნენ სამხრეთის მიწას კიდით-კიდემდე,—ამ ომის პროცესში მონები განთავისუფლდნენ: განთავისუფლდნენ ედიქტით, რომელსაც თეთრ სახლში ხელი მოაწერა დიდმა ადამიანმა. ეს იყო კავშირის არმიის ძლიერებაზე, მის თოფებზე დაყრდნობილი თავისუფლება.

ომის მომდევნო პერიოდში სამხრეთი დარეტიანებული და ღონემიხდილი იყო. უკანასკნელ გააფთრებულ შეტაკებაში ორასი ათასი შავი მონა იბრძოდა თავისუფლებისათვის; მათ ჩრდილოეთის სამხედრო ფორმა ეცვათ და ხელში ჩრდილოეთის იარაღი ეჭირათ. ახლა სამხრეთის ჯარები დაშლილი იყვნენ; სამხრეთის არაქათგამოლეული წინამძღოლები შესცქეროდნენ ამ რღვევას—ჟარბად გაჟღენთილმა შაქრის სახლმა ანაზდად ნგრევა დაიწყო. პლანტაციის მეფეებმა, რომლებიც ზურგს უმაგრებდნენ ომს, რომლებმაც მოამზადეს და განახორციელეს იგი, ხელები ნიდაყვებამდე ამოიბანეს სისხლში იმისათვის, რომ მათ ვეებერთელა ბამბის, ბრინჯის, შაქრისა და თამბაქოს იმპერიას დღე გაგრძელებოდათ, ახლა დაინახეს, რომ მოხდა შეუძლებელი—მონები განთავისუფლდნენ, მრავალი და მრავალი მილიონი დოლარის კაპიტალი ხელიდან გამოეცალათ მათ და ერთ ღამეში ჰაერივით გაუჩინარდა.

აქამდე კაცობრიობის ისტორიაში მთელ კლასს, ერის მმართველ კლასს ასეთი თავბრუდამხვევი სისწრაფით, ასე ერთბაშად, ალბათ არასოდეს დაუკარგავს მთელი თავისი საკუთრება. პლანტატორების პირველი რეაქცია სიჩუმე იყო, უილაჯო სიჩუმე შეძრწუნებისა, როცა ისინი თავზე დამტყდარ უბედურებას შეჰყურებდნენ მხოლოდ, აჯანყება მათ არ შეეძლოთ, რადგან ამის სა-

შუალება არ გააჩნდათ. ისინი საამისო გეგმებსაც ვერ დააწყობ-დნენ, რადგან აქამდე მათთვის შეუძლებელი რამ იყო მომავლის გათვალისწინება მონების გარეშე. ზოგ მათგანს უკვე დიდი სესხები ჰქონდა აღებული, რომელთა გარანტიას მათი სიმდიდრე—მონები წარმოადგენდა და როცა ეს გარანტია გაჰქრა, მათ იმპერიებსაც მოეღო ბოლო. უზარმაზარი პლანტაციები დაცარიელებული, გატიალებული იყვნენ, ანდა აქა-იქ ორიოდე ზანგი მუშაობდა—ისინი, რომლებიც იმავე მიწაზე დარჩნენ, რადგან სხვაგან არსად წაესვლებოდათ. ბევრი პლანტაცია საჯარო ვაჭრობით გაიყიდა ვალების ან გადასახადების დასაფარავად. ველები ნასვენ მინდვრებად იქცნენ; ბამბის ნათესების ფართობი შემცირდა, მრავალ ადგილას კი სავსებით გაქრა.

როდესაც პირველმა ელდამ გაიარა. პლანტატორები შეიშმუშნენ. ემანსიპაციის ეს ტაკიმასხარაობა, ფიქრობდნენ ისინი, ბოლომდე ვერ გათამაშდებაო; მონების ყოლა მონობაში შესაძლებელია; ზანგი ზანგია, დასაწყისიც ესაა და ბოლოც ეს იქნებაო; ერთი ამბავია, რაც უაშინგტონში ხდება,—სამხრეთის პრაქტიკული საჭიროებანი კი სხვაა. თითქმის ისტერიული ფაციფუცით შეუდგნენ ისინი კანონთა კრებულის, ე. წ. „შავი კოდექსების“ გამომუშავებას. ეს კანონები ზანგს ზუსტად ისეთსავე მდგომარეობაში აყენებდა იურიდიულად, როგორშიაც იგი ომამდე იყო. თავდაპირველად ეს იოლი ჩანდა, თეთრ სახლში ისეთი პრეზიდენტი იჯდა, რომელიც მათ მიჰყვებოდა, დიდსულოვნად უჭერდა მხარს ტერორს, რომელსაც ისინი ამყარებდნენ. ისინი ულიმოდნენ ერთმანეთს: „ტენესელი ჯონსონი გამოსადეგი კაცია“, ერთსა და იმავე დროს ისინი მას ზიზღითაც უცქეროდნენ და იყენებდნენ კიდეც. პლანტატორების წინ ერთხელ კიდევ გამოისახა მომავალი, იგივე მომავალი, რომელსაც ისინი ყოველთვის ხედავდნენ, ოთხ მილიონ შავ მონას რომ აწვა ზურგზე.

და მერე მათი ხუხულა დაინგრა. სასტიკმა, მრისხანე, რევოლუციურმა კონგრესმა, რომელმაც კაცობრიობისათვის ცნობილ ომებიდან ერთ-ერთი უსაშინელესი ომი გადაიხადა, გადასწყვიტა, რომ დაღვრილ სისხლს ფუჭად არ უნდა ჩაევლო. განრისხებულმა კონგრესმენებმა კინაღამ სამართალში მისცეს პრეზიდენტი; მათ ჯარები გაგზავნეს სამხრეთში და ახლადთავწამოყოფილ ტერორს ბოლო მოუღეს. მათ კანონით გააუქმეს მეამბოხე შტატები, ნაც-

ელად სამხედრო ოლქები დააწესეს და მთელ მოსახლეობას მოწოდებით მიმართეს, რათა დელეგატები აერჩიათ საშტატო კონვენტებში გასაგზავნად, კონვენტებში, რომლებიც ახალ საშტატო კონსტიტუციებს გამოიმუშავებდნენ და ისეთ ახალ დემოკრატიას შეჰქმნიდნენ სამხრეთში, რომლის პირობებში შავი და თეთრი მხარში ამოუდგებოდნენ ერთმანეთს, რომ ერთად ეშენებინათ ცხოვრება.

სამხრეთ კეროლაინაში შავი მოსახლეობა რიცხვობრივად სჭარბობდა თეთრს. ამ მეორე თავზარდამცემი დარტყმის პირობებში პლანტატორებს რჩებოდათ მოქმედების მხოლოდ ერთი გეზი, ერთი გეგმა: არჩევნებში მონაწილეობის მიუღებლობით გამოეხატათ თავიანთი ზიზღი. დე, უმეცარმა ზანგებმა და თეთრმა ნაძირალებმა ხმა მისცენ არჩევნებზე და შედეგი თავისთავად ჩაშლის კონგრესის ამ გაუგონარ და საზარელ გეგმას! შედეგმა, როგორც ეს მათ განზრახვას შეესაბამებოდა, ზანგებს დელეგატთა დიდი უმრავლესობა მისცა კონვენტში; მაგრამ შედეგი ერთგვარ მაინც გამრუდდა: ეს იყო ის, რომ ცირკის ნაცვლად შავებისა და თეთრების კონვენტი ნელა, მტკივნეულად, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც მტკიცედ იწყებდა მუშაობას, როგორც მყარი საკანონმდებლო ორგანო. კონსტიტუცია თანდათან იხაზებოდა.

ამასობაში კი ჩარლსტონში თეთრმა არისტოკრატებმა თავიანთი სახლების კარები დაკეტეს, დარაბები გადარაზეს და ლოდინი დაიწყეს. ქუჩებში მღელვარე იანკის ხიშტებმა ისინი ჯერჯერობით უძლური გახადეს. ამ მომენტში არ არსებობდა არც მომავალი, არც წასული, იმ ღრმა უცნაურ ნაპრალში, რომელიც ასეთი გახელებით იყო გათხრილი ისტორიის კალაპოტში, რაღაც ხდებოდა. ამ ნაპრალში ფრენსის კარდოზოს ბინაზე სადილი გაიმართა; ამ ნაპრალში გიდიონ ჯეკსონი ახალ, შავი ფაქიზი მაუდის კოსტუმში გამოეწყო. პლანტატორები კი იცდიდნენ.

* * *

კარდოზოსთან გამართული სადილის საინტერესო მხარეს შეადგენდა ის ვითარება, რომლის გამო მას შედეგად მოჰყვა მეორე დიდი სადილი, რომელზედაც გიდიონი საპატიო სტუმარი გახლდათ; ეს გამოიწვია იმან, რომ ამ საღამოს კარდოზოს ერთ-ერთი სტუმარი იყო სტივენ ჰოლმსი, კონვენტის დელეგატი და

ყოფილი მონათმფლობელი. გარეგნულად ჰოლმსი სკელაუეგად ჩაითვლებოდა, რაც ნიშნავდა სამხრეთელ თეთრს, რომელიც განთავისუფლებულ მონებთან და იანკებთან თანამშრომლობდა; სინამდვილეში იგი არ ეკუთვნოდა მათ რიცხვს. სკელაუეგები შეტწილად ღარიბი თეთრები იყვნენ; ჰოლმსი კი ადრეეც მდიდარი იყო და ახლაც. იგი ერთადერთი არ დაემორჩილა წესს, რომლის მიხედვით პლანტატორი განზე უნდა მდგარიყო და არავითარი მონაწილეობა არ უნდა მიეღო ამ უჩვეულო რევოლუციაში; თავისი ყოფილი მონების ხმებით იგი კონვენტში იქნა არჩეული. კონვენტში იგი მაყურებელივით იჯდა: თვალყურს ადევნებდა, უსმენდა მხოლოდ და არაფერს არ ამბობდა. იგი თანაბრად თავაზიანი იყო თეთრებისა და ზანგების მიმართ და იმ გამოცანად იქცა, რომლის ამოხსნა მტკიცედ განიზრახა კარდოზომ.

ერთი შეხედვით იგი თითქოს არავითარ საიდუმლოს არ ფარავდა. იგი უკანასკნელი მამაკაცი იყო სამხრეთ კეროლაინის ერთი ძველი ოჯახისა; მისი ძმა და ვაჟი ომში მოეკლათ. თავად ჰოლმსი მაიორი იყო, ჯეკსონთან და ლისთან ერთად ნამარი, მაგრამ მას არც წარმატება მოუხვეჭია და არც სახელი. ამბობდნენ რომ იგი თავიდანვე ომის წინააღმდეგი იყო, რომ იგი სამხრეთ შტატების გამოყოფას უკიდურეს სისულელედ და უიმედო საქმედ თვლიდა, ერთ დროს მდინარე კონგერიზე, კოლამბიის მახლობლად მას პლანტაცია ჰქონდა, მაგრამ ახლა იგი დედამისთან ერთად ჩარლსტონში ცხოვრობდა თავის სახლში, და სავარაუდო იყო, რომ ვალების ან გადასახადების წყალობით მამული მას აღარ ეკუთვნოდა უკვე; ასე იყო თუ ისე, იგი ამის შესახებ არაფერს ამბობდა.

ჰოლმსი ლამაზი კაცი იყო, მაგრამ მისი ფერმკრთალი სახე თითქოს ცდილობდა ამ შთაბეჭდილების შენელებას. მუცლის სენს ნაღვლის ჩაქცევა გამოეწვია და ამიტომ მის კანს სიყვითლე გადაჰკრავდა. მას ხშირი შავი თმები და მოგრძო სახე ჰქონდა. ტანად საშუალოზე მაღალი იყო, ფაქიზი მიხვრა-მოხვრისა, ლაპარაკობდა წყნარად და ყველაფრით ჯენტლმენობას ამეღავნებდა. მან დანარჩენებისაგან კარდოზო გამოარჩია მხოლოდ, რამდენჯერმე გაიბა მასთან საუბარი, ანიშნა მას თავისი დაინტერესება განათლებისა და მიწის საკითხებით და, როცა კარდოზომ, დაეჭვებულმა მის თანხმობაში, იგი სადილზე მიიპატიჟა, ჰოლმსი თავაზიანად დათანხმდა.

სწორედ ეს მიპატიჟება და თანხმობა იყო, კარდოზოს რომ აფიქრებდა: როდესაც ქალაქ ჩარლსტონში თეთრი კაცი შავთან ერთად სადილობდა, მთელი ქვეყანა გაბოროტებით თრთოდა; კარდოზოც ნაწილობრივ შიშის თრთოლვას შეეპყრო, როცა მან ყოფილი მონა გიდიონ ჯეკსონი ყოფილ მონათმფლობელ სტივენ ჰოლმსს გააცნო.

— ჩემთვის დიდი პატივია თქვენი გაცნობა, მისტერ ჯეკსონ,—სასიამოვნო, წყნარი ხმით წარმოსთქვა ჰოლმსმა, თითქოს ეს მისთვის სავსებით ჩვეულებრივი ამბავი ყოფილიყოს და თანაც გამომცდელი მზერა მიაპყრო გიდიონს. გიდიონი მართლაც რომ სანაქებო რამ იყო: კარგად შეკერილი შავი პიჯაკი მოხდენილად ადგა ფართო მკერდსა და განიერ მხრებს; სადა თეთრი პერანგი და შავზოლებიანი ყელსახვევი, მოკლედ შეკრეჭილი, წვრილად დახუჭუჭებული თმა, მსხვილ ნაკვთებიანი სუფთად გაპარსული სახე, რომელსაც სისავსე უფრო დაამშვენებდა, გიდიონი კი ახლა ისე იყო გამხდარი, როგორც არასოდეს არ ყოფილა აქამდე. და ჰოლმსმა წარმოიდგინა, რომ ერთ დროს ასეთი ვაჟკაცი საჯარო ვაჭრობაზე ისეთ ორომტრიალს გამოიწვევდა, რომ შენაძლევი ფასი თავბრუდამხვევ სპირალივით ავარდებოდა მაღლა, აუქციონერი კი ალბათ ხმამაღლა მოჰყვებოდა ძახილს „მეგობრებო და ჯენტლმენებო, თქვენ გესმით და შეგიძლიათ დააფასოთ ჯიში, აგერ აქაა ისეთი ბუღა, როგორიც აქამდე თქვენ თვალს არ უნახავს!“

— სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, ბატონო,—მიუგო გიდიონმა.

სუფრაზე მეოთხე იყო დოქტორ რენდოლფი, ისიც დელეგატი, მორჩილი ტანის, ჩქარა მოლაპარაკე, უკვისფერკანიანი, ჰოლმსის წინაშე იგი გიდიონზე უფრო, კარდოზოზე უფრო ნერვიულობდა; სეტყვასავით წამოსულ სიტყვებში მას ენა ებმებოდა. სუფრაზე ერთადერთი ქალი მისის კარდოზო იყო. იგი შეეცადა, რომ კაცებს თავი დაეღწია უხერხულობისაგან; ჰოლმსმა მხარი დაუჭირა მას და ისინი თავაზიანად გაესაუბრნენ ერთმანეთს. გაოგნებული გიდიონი თავისთავს ეკითხებოდა: „რას წარმოადგენს ეს კაცი? რატომ... როგორ... ვინ?“ ეს პირველი იყო მის სიცოცხლეში, რომ მან ხელი ჩამოართვა ჰოლმსის კლასის ადამიანს, პირველად დაელაპარაკა იგი ასეთს, როგორც კაცი კაცს, პირველად იჯდა იგი თეთრ კაცთან ერთად პურის საჭმელად. ცხადია, კარდოზოსათვის ეს ასე არ იყო, მაგრამ რენდოლფი? რენდოლფი დამფრთხალი

იყო. გიდიონი დაჩურთულ კაკაბს მიაჩერდა, რომელიც დიასახლისის უკან განჯინაზე, შუშის ზარის ქვეშ იდო. კედლებზე ნაუშიანი ქაღალდი იყო გაკრული, იგი ტვიფარებითაც მოეხატათ. კარდოზო ცხოვრებაში გამოსული კაცი იყო, მაგრამ გიდიონს არ შეეძლო არ შეემჩნია, თუ როგორი სიფრთხილით მიჰყვებოდა იგი ჰოლმსს საუბარში. „განათლება, ბატონო, მოგეხსენებათ, აუცილებლობას წარმოადგენს“.

— აუცილებლობას?—იკითხა ჰოლმსმა. მას სავსებით ნეიტრალურად ეჭირა თავი, იგი თავის აზრს არ გამოსთქვამდა, კითხვებს სვამდა მხოლოდ, და მისი ასეთი მუდმივი ჩრდილში დგომა ყველაზე უფრო ეფექტიური პირმოთნეობა იყო.

— უბრალოდ, ფაქტი რომ მოვიხსენიოთ, ოთხი მილიონი წერა-კითხვის უცოდინარი მონა შესაძლებელია. ოთხი მილიონი წერა-კითხვის უცოდინარი თავისუფალი ზანგი, ცხადია, შეუძლებელია.

— საინტერესო მიდგომაა,—აღიარა ჰოლმსმა.—თქვენ რას ფიქრობთ, მისტერ ჯეკსონ?

— მე ვფიქრობ, განათლება თოფსა ჰგავს,—მიუგო გიდიონმა.

— თოფსა ჰგავს?

კარდოზომ წარბები შეკრა, რენდოლფმა ჩანგალი აათამაშა. „გთხოვთ განაგრძოთ“, ღიმილით თქვა ჰოლმსმა. ჰოლმსის ღიმილში იყო რაღაც ისეთი, რომელსაც თითქმის ხელით მისწვდა გიდიონი: იმ ცვლილებათა შეფარდებით, რომელიც ნაწილობრივ მასში და ნაწილობრივ ჰოლმსში იყო მომხდარი, ძალთა თამაში. გიდიონმა ერთბაშად შესწყვიტა ცდა ჰოლმსის გამოცნობისა; არა, იგი ვერასოდეს ვერ გაიგებს ჰოლმსს.

— თოფსა ჰგავს,—თქვა გიდიონმა,—იქნებ უკეთესიცაა. თოფიანი კაცი აიღე: თუ გინდა, რომ იგი შენი მონა იყოს, თოფი უნდა წაართვა; უნდა გაბედო, შეიძლება მოგკლას, შეიძლება ვერა, მაგრამ თოფი კი უნდა წაართვა. რატომ?

— განა ცხადი არაა, რატომ?

— არაა ცხადი,—დინჯად განაგრძო გიდიონმა. იგი სიტყვებს ეძებდა, აზრებს ებრძოდა, ხელებით კი მაგიდის ძგიდეს ეჭიდებოდა.—უთოფო კაცი მონაა, ან არაა მონა; ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული.—თოფიანი კაცი არაა მონა; ეს ერთ რამეზეა დამოკიდებული—მის თოფზე. თოფი მას მანამ უნდა წაართვა, სანამ

აქეთ შემოგიტევდეს. ახლა განათლებაზე ვთქვათ, ნასწავლ კაცს მას ვერ წაართმევ; მე კი მჯერა, რომ კაცი, ვისაც ნამდვილად უსწავლია, მონა ვერ იქნება. განათლება, ერთი მხრით, თოფსა ჰგავს, სხვა მხრიდან რომ შეხედო, იგი თოფზე უკეთესია.

— მე არ ვიტყოდი სავსებით ასე,—გაიღიმა კარდოზომ.

— რა თქმა უნდა, თქვენ არ იტყოდით,—წყნარად წარმოსთქვა ჰოლმსმა.—მიუხედავად ამისა მისტერ ჯეკსონის ანალიზი უაღრესად საინტერესოა, ვინაიდან იგი განათლებას უყურებს თავისუფლებისა და მონობის დაპირისპირების თვალსაზრისით. მე მგონია, ეს გასაგებიცაა. მისტერ ჯეკსონ, თქვენ მონა იყავით, არა?

— მონა ვიყავი.

— მონობა ხომ გაუქმებულია?

გიდიონმა ნელა დაიქნია თავი დასტურის ნიშნად.

— მაგრამ განა ფიქრობთ, რომ კვლავ დაბრუნდება?—ფრთხილად იკითხა ჰოლმსმა.

— შესაძლებელია, დაბრუნდეს,—თქვა გიდიონმა და შემთხვევით მისის კარდოზოს შეხედა; ქალის თვალებში მან სრული ცხოველური შიში დაინახა...

სუფრიდან მალე აიშალნენ, მაგრამ ამ სადილს სხვა რამ მოჰყვა. ერთი კვირის შემდეგ ჰოლმსმა კონვენტის შენობიდან გამოსვლისას გიდიონი შეაჩერა და უთხრა:

— ჩემთან სახლში რამდენიმე სტუმარს ველი, იქნებ თქვენც მოხვიდეთ, მისტერ ჯეკსონ?

გიდიონი შეყოყმანდა, და ჰოლმსმა მის მოსანადირებლად დაურთო:

— მე მინდა, რომ თქვენ მოხვიდეთ, დამერწმუნეთ. ბოლოსადაბოლოს, ჩვენ ერთად უნდა ვიმუშაოთ...

გიდიონი დათანხმდა.

* * *

კონვენტი წარმატებით მუშაობდა. თავდაპირველ დაბნეულობიდან სხვადასხვა ღონისძიებათა გზით ნელინელ ჯერ პატარა, შემდეგ კი დიდი ამბები გამოდიოდა. პატარა საკითხებმა შესაძლებელი გახადეს შეთანხმება: გაუქმებულ იქნა დუელი; ხმათა დიდი უმრავლესობით გაუქმებულ იქნა დაპატიმრება ვალის გა-

დაუხდელობის გამო. დელეგატთა უმრავლესობა სწორედ თავიანთი გამოუცდელობის წყალობით იყო, რომ ახლებურად, საინტერესო მიდგომას იჩენდა კანონმდებლობის მიმართ; მათ უკან არ იდგა სამართლის, ზნე-ჩვეულებათა და სიყალბის ის დიდებული კოშკი, რომელიც მოკრძალებული შიშის ჩამნერგავია. რაც აქამდე გადაუჭრელი ჩანდა, ახლა ცხადი შეიქნა, ცხადი კი ძალიან ხშირად გადაუჭრელი ხდებოდა. მაგალითად, როდესაც კონვენტი ქალებისა და კაცების საზოგადოებრივ ურთიერთობის საკითხს შეეხო, მათ საუკუნეების მანძილზე მდგარი კედლები გაარღვიეს. ჭაობებიდან მოსულმა ერთმა თეთრმა დელეგატმა განაცხადა:

— ოთხ წელიწადს ვებრძოდი იანკებს და ამ ხნის განმავლობაში ჩემი ცოლი უვლიდა კარ-მიდამოს; ბავშვებს კვებავდა და მოსავდა, ხნავდა, თესდა, მოსავალს იღებდა. მე ამ ჯენტლმენებს ვეკითხები, მათ უნდათ, რომ მე ხმა მომცენ და ჩემ ცოლს არა?

გიდიონმა სიტყვა აიღო და თქვა:

— მე ცოლი მონობაში შევირთე, ჩვენ ფარულად ვიქორწინეთ, რადგან ჩემ ბატონს ჭკუაში არ მოდიოდა მონების ქორწინება. მის თვალში ჩვენ ორთავე თანასწორი მხეცები ვიყავით. მუშაობაშიც ჩვენ ორთავე თანასწორი ვიყავით, როცა ბამბის ველებზე თითქმის გრძნობის დაკარგვამდე ვღვრიდით ოფლს. თქმა არ უნდა, რომ ჩვენ თანასწორად ვიტანჯებოდით. ამიტომაც ვამბობ, ჩვენი კონვენტის თვალში მე და ჩემი ცოლი თანასწორი უნდა ვიყოთ.

ისინი ისე ახლოს მივიდნენ საყოველთაო ხმის უფლების აღიარებამდე, როგორც ძნელად თუ ვინმე მისულა მანამდე, და მხოლოდ წარმოდგენამ იმისა, რომ ასეთი ღონისძიება უაღრესად რადიკალური ბუნების იქნებოდა, ხელი შეუშალა მის დაკანონებას: მათ შეეშინდათ, ბოროტად არ გამოეყენებინათ ის ძალა-უფლება, რომელიც შორეულ უაშინგტონის კონგრესის მიერ ჰქონდათ მინიჭებული. მაგრამ მათი კამათის ნაყოფი მაინც იყო სამხრეთ კეროლაინის ისტორიაში პირველი კანონი განქორწინების შესახებ, კეთილგონიერი, უბრალო კანონი, რომლის გამო სამხრეთის გაზეთები აყაყანდნენ: შავმა ველურებმა ქვეყანა უკვე უნამუსობისა და გადაგვარების გზაზე დააყენოსო. მათი კამათის ნაყოფი იყო კანონი, რომელიც ამბობდა, რომ ცოლის ქონების გაყიდვა ქმრის ვალების გადასახდელად იკრძალებოდა—და ესეც ახალი რამ იყო

სამხრეთ კეროლაინისათვის. მათი კამათის ნაყოფი იყო ხანგრძლივი და არაჩვეულებრივად საღი მსჯელობა ხმის მიცემის მთელი საკითხის ირგვლივ, მსჯელობა, რომლის გამო გიდიონმა შეერთებული შტატების კონსტიტუცია იმდენჯერ წაიკითხა, რომ თითქმის ზეპირად დაისწავლა. სხვებთან ერთად იგი იბრძოდა შავებისა და თეთრების აბსოლუტურ თანასწორობისათვის არჩევნებში, დისკრიმინაციის ნამდვილ აღკვეთისათვის, და წინადადება გავიდა.

უკვე მარტი იდგა, გაზაფხული ახლოვდებოდა. არსად არ იყო ქვეყანაზე ისეთი ლურჯი ცა, როგორიც ჩარლსტონს ეხურა თავზე. ჯარები შემზარავი ყივილით დასტრიალებდნენ ნავსადგურს. ბურუსის მაგვარი თქრიალი წამოვიდა, მერე გადიღო და ცა კიდევ უფრო კრიალა გახდა. ერთმა დელეგატმა წინადადება შეიტანა, რომ ამ წელიწადისთვის „დიდების წელი“ ეწოდებინათ, მაგრამ მისმა წინადადებამ სიცილი გამოიწვია და იგი არ იქნა მიღებული; და მაინც ხალხმა იცოდა, რომ ეს წელიწადი არ ჰგავდა დანარჩენ წლებს. ნიუ-იორკის „ჰერალდის“ რეპორტიორი წერდა:

„აქ, ჩარლსტონში, ადგილი აქვს კაცობრიობის მთელ ისტორიაში ყველაზე უფრო წარმოუდგენელ, იმედებით აღსავსე და მაინც დაუჯერებელ ექსპერიმენტს“.

სამი ყოფილი ჯარისკაცი თავს დაესხა ხანშიშესულ ზანგ დელეგატს ჩარლზ კავურს; მათ იგი სასტიკად სცემეს, მაგრამ ჩარლსტონი გადაურჩა საშიშ აფეთქებას. პალმებზე მწვანე ნაყარმა იხეთქა, ბატარეიის სანაპიროზე მდგომ გიდიონს ზღვის ნაზი სიო ესალბუნებოდა, იგი უცქეროდა ხომალდებს, რომლებიც გაშლილ თეთრ იალქნებით დაცურავდნენ ნავსადგურში. გიდიონს ჰქონდა წიგნი, სახელად „ბალახის ფოთლები“, შიგ ეს სტრიქონები ამოიკითხა:

„მიწავ! შენ თითქოს რაღაცას ეძებ ჩემს ხელებში, სთქვი, ქოჩორა მოხუცო, რა გინდა?“

„რა გინდა?“ რეკავდა გიდიონის ყურებში: მას უნდოდა მთელი ქვეყანა, იგი აქ იყო, მასთან. ეს რომ კურთხეული წელიწადი იყო, მტვირთავებმაც კი იცოდნენ; ისინი მუშაობდნენ და თან სიმღერას არ სწყვეტდნენ. გიდიონი მარტოკა აღარ სწავლობდა ახლა. რვა დელეგატმა კლასი შეადგინა; ისინი კვირაში სამჯერ ხვდებოდნენ ერთმანეთს კარდოზოსთან ამერიკის ისტორიის და ეკონომიკის

შესასწავლად; კლასის წევრთაგან ორი თეთრი იყო. ერთხელ, როცა გიდიონი კონვენტიდან გამოდიოდა, მას ენდერსონ კლეი დაეწია:

— მოიცადე ერთ წუთს, ჯეკსონ!

გიდიონი შეჩერდა, მერე ისინი ერთად წავიდნენ, კლეი გიდიონზეც კი მაღალი იყო; მისი გრძელი ქერა თმა მზის სხივებზე თითბერივით ბზინავდა.

— ეს დღეები მე იმას ვფიქრობ,—რიხიანად წამოიწყო კლეიმ,—რომ შენ ჩვენთან ერთად იმუშაევებ, და არა ჩვენს წინააღმდეგ.

— ეს როგორ?

— აქამდე ჩემს სიცოცხლეში ასეთი რამ არ მომითმენია, რომ მთელი კვირეები ზანგებით გავსებულ სახლში ვმჯდარიყავ. დასაწყისში გავიფიქრე: სჯობს შინ წავიდე და ერთი ჯოჯოხეთი დავატრიალო, რაკი ზანგის ქვეყანაში ვცხოვრობთ-მეთქი.

— ასე არ უნდა ფიქრობდეთ,—წყნარად თქვა გიდიონმა.

— კარგი. ახლა თითქმის ვფიქრობ კიდეც, იქნებ შავისა და თეთრის ერთად ცხოვრება შესაძლებელიც იყოს—არ ვიცი. გინდა, ვილაპარაკოთ ამაზე?

— ამაზე ლაპარაკი მინდა,—ამიუგო გიდიონმა.

ერთხანს ისინი მდუმარედ მიდიოდნენ; ვერც ერთს ვერ მოეხერხებინა გაერღვია ის კედელი, რომელიც მათ შორის ასეთი მაღალი და ასე ძველისძველი იყო. მათ გაიარეს ჩარლსტონის ვიწრო ქუჩები, უკან მოიტოვეს კირით შეღებილი თეთრი კედლები, რომლებიც მათ უკან მდგარი სახლებისაგან მთელ ქვეყანას აცალკავებდნენ, და ახლა უხვად დაღვრილ მზეში მიაბიჯებდნენ. დაბოლოს კლეიმ თქვა:

— რას შვრება კაცი, როცა ახალი ქვეყანა მოდის? ან მონაწილეა მისი მშენებლობისა, ანდა პირიქით, მის დალეწვას ლამობს. მე კი არაფრად მეჯაშნიკება ხალხი, რომელიც ემზადება ყველაფერი მილეწ-მოლეწოს.

* * *

ეს დღეები გიდიონს ცოტა ეძინა. განათლების კომიტეტში მუშაობამ იგი კარდოზოს დაუახლოვა. მას არ სწყინდა ის ამბავი, რომ გამჭრიახი და კულტურული ზანგი მას სტვირად ხმარობდა.

პირველი განათლების ნაყოფი იყო, მეორე კი—ადამიანი, რომელმაც ეს-ესაა გემო გაუსინჯა სწავლას და უკვე მთვრალი იყო მით. ისინი ერთად, მხარდამხარ ელტვოდნენ ერთ მიზანს, რომელიც ერთგვარად საფუძველი უნდა ყოფილიყო ახალი კონსტიტუციისა,—საყოველთაო-სავალდებულო სწავლებას. მათ ბევრი უპერდა მხარს; მაგრამ, მეორე მხრით, ჰყავდათ მოწინააღმდეგენიც, რომლებიც აცხადებდნენ:

— კომპრომისზე წავიდეთ, მოვრიგდეთ! წერა-კითხვის უცოდინარ მთელ მოსახლეობას მაინც ვერ მოახვევთ თავს განათლებას.

— რატომ?

— არ გამოგყვებიან.

— მაშინ დავაკანონებთ ამას.

— მიწის მუშები სადღა გეყოლებათ, თუ მოსახლეობას ისეთ განათლებას მისცემთ, რომ ყველა ვექილი გახდეს?

— ყველა ვექილი როდია თუნდაც ახალ ინგლისში, სადაც წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი დიდია. ნასწავლი კაცი ისევ იმუშავებს მინდორში, როგორც უსწავლელი.

— თეთრები არ ივლიან სკოლაში ზანგებთან ერთად.

— მაშინ, ვისაც უნდა, მათთვის ცალკე სკოლებს ავაშენებთ. მაგრამ ყველა ბავშვებმა, თეთრმა და შავმა, სკოლაში უნდა იაროს.

— ეს სიგიჟეა. ჩვენ ქვეყანაში არასდროს არ ყოფილა აქამდე ასეთი კანონი.

— ჩვენ დავიწყებთ. სადმე ხომ უნდა დაიწყოს!

— კი მაგრამ, განა კეროლაინის ზანგები შესძლებენ იმას, რაც მთელ ქვეყნის უპკვიანეს ადამიანებს ვერ გაუკეთებიათ?

— ცდა ხომ შეგვიძლია.

დასასრულ კომიტეტმა ბილი კონვენტს წარუდგინა და რამდენიმე საათის განმავლობაში არ ცხრებოდა გააფთრებული კამათი. გიდიონმა შენიშნა, რომ მათ მხარს უპერდნენ სწორედ ისინი, ვისგანაც იგი ყველაზე ნაკლებად მოელოდა მხარის დაჭერას—ესენი იყვნენ სამხრეთის თეთრი დელეგატები, ნაძირალა ღატაკი თეთრები, რომელთა მიმართ გაზეთები კიდევ უფრო მეტი მძვინვარებით ჰყრიდნენ ცოფს, ვიდრე ზანგების მიმართ; ესენი იყვნენ უღირსი სკელაუეგები, მაღალი, ხმელი, ნელა მოლაპარაკე, ჩალისფერთმიანი კაცები, რომლებიც ჭაობებიდან და უღრან ნაძვნარიდან ღატაკთა, უმიწაწყლოთა სამარცხვინო მოდგმას გამოეგზავნა თა-

ვიანთ რჩეულებად. ენდერსონ კლეი წამოდგა და მისმა ხმამ დაიგრგვინა: „ღმერთმა დასწყეველოს, დიახ! თუ ერთადერთი გზა სკოლაა, სადაც შავი და თეთრი ერთად ისწავლის, მაშინ, თქმა არ უნდა, მე სკოლების მხარეზე ვარ! მე თუ შემიძლია ვიჯდე კონვენტის დარბაზში ზანგებთან ერთად, მაშინ ჩემ ვაჟსაც შეუძლია იჯდეს ერთ სკოლაში მათთან ერთად!“

და პი-დი-სვემპიდან მოსული კლეარ ბუნი ამბობდა: „მე ომში ვიბრძოდი. სამი წელიწადი ვიბრძოდი, სანამ ცოტა სწავლას შევიძენდი იმისათვის, რომ გაზეთი ან წიგნი წამეკითხა. ორი ძმა მომიკვდა—რისთვის? იმისთვის, რომ ერთ მუჭა წყეულ მონათმფლობელებს ძალა-უფლება შეენარჩუნებინათ! ჩვენ რა ვიცოდით, ღვთის წინაშე, ჩვენ არც შეგვეძლო გვცოდნოდა! ღმერთმა დასწყეველოს, მე ვამბობ, ხალხს სწავლა მივცეთ, სწავლა და ჯანაბას ყოველგვარი შედეგები! ჩვენი შტატის ხალხის წარმომადგენლები ვზივართ აქ და ყოველი ნათქვამი სიტყვის მოსალოდნელ შედეგებზე ფრჩხილებს ვიღრღნით.

გიდიონმა მოკლედ მოსჭრა:

— თავისუფლებას იოლად ვერ ინარჩუნებს კაცი,—თქვა მან.—მე ცოტა ისტორია ვიცი და რაც კი ვიცი, სულ იმას ამბობს, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლაა საჭირო. თავისუფლებისათვის ერთი დიდი იარაღი არსებობს—განათლება. ჩვენც უნდა შევიარაღდეთ.

მეორე დღეს კარდოზომ შეაჯამა ყველაფერი ეს: „გუშინდელ კამათში ზოგიერთმა ერთგვარად ღირსშესანიშნავი მოსაზრება გამოსთქვა იმის შესახებ, რომ ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ და კონსტიტუციაში ჩავწეროთ ყოველი შესაძლებელი ღონისძიება, რომელიც ჩვენს მოწინააღმდეგეებს დააშოშმინებს. არა მგონია, ჩემზე უფრო ვინმე შეეცადოს მათთან მორიგებას, მაგრამ ამ მხრით ჩვენ უაღრესი სიფრთხილე გვმართებს. უპირველეს ყოვლისა, არსებობს ისეთი ელემენტი, რომელიც ყოველთვის ჩვენი წინააღმდეგია, მიუხედავად იმისა, თუ ჩვენ როგორ ვიქცევით; ეს ელემენტი არასოდეს არ შეგვირიგდება. საქმე იმაში კი არაა, თითქოს ისინი წინააღმდეგი იქნებიან კონსტიტუციისა, რომელსაც ჩვენ უთუოდ გამოვიმუშავებთ. არა, ისინი იმის წინააღმდეგი არიან, რომ კონვენტში ჩვენ ვზივართ. მათი წინააღმდეგობა ისეთი ღრმა ბუნებისაა, რომ უნაყოფო იქნებოდა ჩვენის მხრით ყოველგვარი ცდა მათ-

თვის დამაკმაყოფილებელი კონსტიტუციის გამომუშავებისა. შემ-დეგ,—არიან ისეთები, რომლებიც გვთხოვენ, რომ ჩვენ ისეთი კონ-სტიტუცია შევქმნათ, რომელიც ჩვენს მტრებს ეამებოდა, რადგან, როგორც ისინი გვპირდებიან, თუ ჩვენ ასე მოვიქცევით, ჩვენი მტრები თითქოს ჩვენს მხარეზე გადმოვლენ მაშინ. მერე, არსებობს მესამე ჯგუფი, რომელსაც მართლა ეპარება ეჭვი იმაში, რომ ჩვენ შეგვწევს უნარი კონსტიტუციის გამომუშავებისა. მე მათ პატივს ვცემ და მჯერა, რომ, თუ ჩვენ შევძლებთ ჩვენი კონსტიტუციის დაფუძნებით რესპუბლიკური მთავრობისა და ლიბერალური პრინ-ციპების საიმედო საძირკველზე ღირსეული პასუხი გავსცეთ მათ, ჯგუფის შეგნებული ნაწილი უეჭველად შეგვირიგდება.

„სანამ ჩემს აზრს გამოვთქვამდე ამ საკითხზე, მე მინდა მას ჩამოვაშორო მთელი ეს ყალბი მსჯელობა იმ ფანტასტიური შედეგე-ბის შესახებ, რომლებიც, როგორც ზოგიერთი ჯენტლმენი არალო-გიკურად ფიქრობს, თითქოს აუცილებლად მოჰყვება სტატიათა ამ კარის მიღებას, თუ მასში იქნება სიტყვა „სავალდებულო“. მათი აზრით, იგი იძულებითს ხდის თეთრი და ზანგი ბავშვების ერთსა და იმავე სკოლებში სწავლას. ამის მაგვარი არაფერია ამ კარში, იგი უბრალოდ ამბობს, რომ განათლება უნდა მიეცეს ყოველ ბავშვს, მაგრამ როგორ—ეს უკვე მშობლებს რჩებათ გადასაწყვე-ტად; მშობლებზეა დამოკიდებული, მათი ბავშვი სახალხო სკოლა-ში ისწავლის თუ კერძო სკოლაში. ნებადართულია სკოლების არ-სებობა ცალკე თეთრებისათვის და ცალკე ზანგებისათვის და და-საშვებია, რომ, თუ რომელიმე ზანგი ბავშვი მოინდომებს თეთრე-ბის სკოლაში სწავლას, მას უნდა ჰქონდეს ამის უფლება. მე ეჭვი არ მეპარება, რომ უმეტეს ადგილებში ზანგები ამჯობინებენ ცალ-კე სკოლებს, განსაკუთრებით მანამდე, სანამ მათი რასის წინააღ-მდეგ არსებული უკუღმართი რწმენანი ნაწილობრივ მაინც არ იქნებიან დაძლეულნი“.

გიდიონმა თვალი მოავლო დარბაზს და შენიშნა რიგებად გამწკრივებული, ყურადღებისაგან დაძაბული სახეები, თეთრი და შავი, ერთნაირი გამომეტყველებით. ისეთი სახეები, როგორითაც მას შემდეგ არ გაევსოთ საკანონმდებლო დარბაზი, როცა ერთხელ გლეხებმა და ხელოსნებმა თავი მოიყარეს, რომ რევოლუცია გა-მოეცხადებინათ. ეს სახეები უნებლიეთ კვერს უკრავდნენ კარდო-ზოს სიტყვებს. სიყვარულის სითბო, ძალა, ძმობა; გიდიონს მოუნ-

და თავი მკლავებზე დაემხო და ცრემლებისათვის გზა მიეცა. იგი თავისთვის ფიქრობდა: შავი კაცი გზადაკარგულ ბავშვივითაა. მას არც ქვეყანა გააჩნია, არც მიწის ნაგლეჯი მისი საკუთრება რომ ერქვას; მაგრამ ისინი ახლა თავად ჰქმნიდნენ ქვეყანას. ამაღლებული ადგილი, სადაც სპიკერი იჯდა, წითელი, თეთრი და ლურჯი ქსოვილით იყო დაფარული, იმის უკან კი კავშირის ორი დიდი დროშა იყო. გიდიონმა მათ მიაპყრო თვალები. მის სმენას ახლა რენდოლფის მთრთოლვარე ხმა მისწვდა:

„ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, სამხრეთ კეროლაინის მკვიდრნი, შეკრებილნი კონვენტში, ამით წინადადებას ვიძლევით: რომ ლტოლვილთა, განთავისუფლებულთა და მიტოვებული მიწების საქმეთა ბიურომ არსებობა განაგრძოს სამოქალაქო ხელისუფლების აღდგენამდე; რომ დაარსებულ იქნას განათლების ბიურო სკოლების ეფექტური სისტემის შესაქმნელად“...

გიდიონის ახლოს მოხუცი ზანგი იჯდა და ტიროდა; იგი ნელი, არქაული რიტმით იქნევდა თავს, როცა ტაშის ცემამ დარბაზი აავსო და პრესის მუშაკები გასასვლელისაკენ გაეშურნენ, რომ კორესპონდენციები დაეწერათ; ერთი ასეთი კორესპონდენცია, მაგალითად, მეორე დღეს „ობზერვერში“ გამოქვეყნდა:

„გ ა თ ა ვ ხ ე დ ე ბ უ ლ ი შ ა ვ ე ბ ი ს წ ა რ მ ო უ დ გ ე ნ ე ლ ი
ნ ა ბ ი ჯ ი

გუშინ ცირკმა, რომელიც თავის თავს კონვენტს უწოდებს, უკუაგდო ყოველგვარი მერყეობა და მოიწონა წინადადება, რომელიც ბოლომდე მიიყვანს ჩვენი შტატის ნგრევას და გაღატაკებას. ყველა კლასის თეთრი და შავი ბავშვები ჯოგივით ერთად უნდა იქნენ შერეკილნი ერთსა და იმავე სკოლებში. სამხრეთის ქალთა პატიოსნება უკვე ოცი წლის ასაკამდე უნდა შეილახოს და შეირყვნას, ამ გათახსირებული სასკოლო სტრუქტურის შესანახავად კი პატიოსანი მოქალაქეები იშიმშილებენ და გაღატაკდებიან“...

და ასე დაუსრულებლად, სიტყვები, წერილები, რასაც გიდიონი ახლა შეჩვეული იყო უკვე, და რასაც იგი შეგნებულად მოელოდა ყოველდღე, როგორც კონვენტის სხდომის შედეგს, რადგან კონსტიტუციის სტრუქტურა თანდათან უფრო ნათელი ხდებოდა, რადგან იურიდიული სისტემა გარდაიქმნა და მოსამართლეები დაწიშვნის ნაცვლად ამორჩეულნი უნდა ყოფილიყვნენ, რადგან გაუქ-

მებული იქნა ყოველგვარი დისკრიმინაცია რასის და კანის ფერის გამო, რადგან სიტყვის თავისუფლება დაცული იყო კანონით, რადგან მიღებულ იქნა წინადადება, რომ თხოვნა გაგზავნოდა მთავრობას, რათა მას მიწის დიდი სამფლობელოები შეესყიდა და პატარა ნაჭრებად დაეყო. ამ უკანასკნელში თითქმის არავინ იყო დარწმუნებული; ის ამბავი, რომ ფედერალური მთავრობა ბოლოს მოუღებდა პლანტაციათა სისტემას, ყოველგვარ იმედს აღემატებოდა და მაინც—წინადადება მიღებულ იქნა პრინციპის გამო...

თითქოს მთელი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც გიდიონი პირველად კარტერებთან მივიდა. გიდიონი მიუჯდებოდა ხოლმე მათ სასადილო მაგიდას და ამ ორ მოხუცს მომავალს უხატავდა. მათ თვალში გიდიონი უკვე ისეთი რამ იყო, რომ შეეძლოთ მეგობრებთან დაეტრაბახებინათ: დელეგატი გიდიონ ჯეკსონი ჩვენთან ცხოვრობსო.

* * *

სტივენ ჰოლმსმა დედამისს უთხრა:

— ხვალ საღამოს სადილზე ჩვენთან ერთი ზანგი იქნება.

მოხუცმა, რომელსაც ეგონა, რომ ვაჟი მსახურს გულისხმობდა, ამაზე უპასუხა:

— ბუნებრივია, სტივენ.

— მე მგონია, ვერ გამიგეთ, ჩემო კარგო. სადილად, სუფრაზე, სტუმარს ვგულისხმობ.

ქალმა დაიწყო:

— ნეტავ არ ხუმრობდე, სტივენ. ხანდახან ისეთ რამეს იტყვი, რომ...

— დედა, მე სერიოზულად გეუბნებით. გაიგეთ, რას ვამბობ. მე ერთი ზანგი მოვიწვიე ხვალ სადილზე. შეიძლება ითქვას, როგორც საპატიო სტუმარი.

მოხუცი სკამზე დაჯდა და თვალები ვაჟს შეაშტერა, მან კი მოხუცის უკან ფანჯრიდან, სამტერის ფორტის ბუნდოვან გამოსახულებას დაუწყო ყურება. დედა შვილის გამომეტყველებაზე მიხვდა, რომ იგი ფიქრებს წაეღო. შეიძლებოდა ცოტა ხანს მასთან კამათი, მაგრამ ბოლოსდაბოლოს სტივენი მაინც არ მოიშლიდა თავისას. დედის შეგნება ვერ სწვდებოდა მისი ხასიათის სიმტკიცეს, რომელიც სრულყოფილი იყო, ინტელექტუალური და რამდენად-

მე შიშის მომგვრელიც. როცა სტივენის შესახებ ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, მოწონება იქნებოდა ეს მისი, თუ გაკილვა, დედამისს ვაჟის დასაცავად შეეძლო ეთქვა—და იგი მართლაც ასე ამბობდა ყოველთვის: —„თქვენ არ გესმით, გეთაყვა, სტივენი ისე იქცევა“...

მართა ჰოლმსი სამოც წელს უახლოვდებოდა და მოტეხილი იყო უკვე; იგი მზად იყო ეღიარებინა ფაქტი, რომ უდიდესმა სიხლის აბანომ ქვეყნის ერთი ნაწილი შთანთქა. ამიტომ იგი გადარჩენილ ნაწილს ებღაუჭებოდა. სტივენისთვის მიუღებელი იყო ფაქტი აუნაზღაურებელი დანაკარგისა და იგი არც არასოდეს მოებღაუჭებოდა დარჩენილს. როდესაც მან დედამისს უთხრა „ჩემო ძვირფასო, მე კონვენტში მივდივარ, რადგან ამ საშინელების წინააღმდეგ, თავს რომ დაგვატყდა, ბრძოლის ერთადერთი გზა არსებობს—ეს მისი გაგებაა, და ერთადერთი გზა მის გასაგებად იმაში მდგომარეობს, რომ მისი მონაწილე უნდა გახდე“.—მართა შეეცადა ამის გაგებას, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ვერ შესძლო. ასევე გაუგებარი იყო მისთვის, რასაც ახლა სტივენი ეუბნებოდა:

— დედა, ჩემთვის აუცილებელია, რომ სადილზე ზანგი მყავდეს. გთხოვთ, აუცილებლად ჩასთვალოთ ეს ამბავი, რაკი ვამბობ, აუცილებელია-მეთქი.

— კი მაგრამ, რატომ? რა მიზეზია ასეთი?

— მიზეზი მრავალია და უაღრესად სერიოზულიც. სიამოვნებით აგიხსნიდით.

— სტივენ, არ შემიძლია.

— როგორ არა, შეგიძლიათ და დამეთანხმებით კიდეც.

— სტივენ, თუ შენთვის აუცილებელია, თავი მასხრად გაიხადო, სკელაუეგად და პამპულად, ნუთუ არ შეგიძლია ჩემს გრძნობებს მაინც სცე პატივი?

— ჩემო ძვირფასო,—თქვა ჰოლმსმა,—არავის გრძნობებს ისე არ ვცემ პატივს, როგორც თქვენსას.

— ხალხი რას იტყვის?

— არაფერსაც არ იტყვის. პოლკოვნიკი ფენტონი აქ იქნება, მისის ფენტონი, სენტელი, რობერტ და ჯეინ დიუპრეები, კარუელი და გენერალი გენფრეტი მეუღლითურთ.

— მერე მათ იციან, რომ ზანგი იქნება სადილად?

— იციან.

— კი მაგრამ, შეიძლება გკითხო, ვინაა ეს პიროვნება, სტივენ?

— კარუელის ყოფილი მონა,—უპასუხა ჰოლმსმა.—მისი სახელია გიდიონ ჯეკსონი.

* * *

უკანასკნელ წუთებში გიდიონის წინაშე კედელი აღიმართა, მისი ბავშვობის, ყრმობისა და ჭაბუკობის კედელი, კედელი ათასი მოგონებებისა, როცა ეს ხალხი ზანგებს საქონლის ჯოგივით აშენებდა, და გიდიონი არ წავიდოდა, კარდოზოს რომ არ ეთქვა:

— წადით, გიდიონ. თქვენ წასვლას მნიშვნელობა აქვს. ჰოლმსმა თქვენ მიგიწვიათ ამ სამი მიზეზიდან ერთ-ერთის გამო: პირველი—იმისათვის, რომ შეიძლება მას გულწრფელად სურდეს ჩვენთან მუშაობა და ჩვენი გაგება,—ამაში მე ეჭვი მეპარება; იგი ჭკვიანია და ძველი მონათმფლობელი. მეორე იმისათვის, რომ გაგაპამპულოს—ამაშიც ეჭვი მეპარება; არა მგონია, რომ ადვილი იყოს თქვენი გაპამპულება, და არა მგონია, ჰოლმსი ისე ბავშვი იყოს, მას ასეთი ამბები ჰგვრიდეს სიამოვნებას. მესამე მიზეზი და ერთადერთი, რომლის დაჯერება შეიძლება, ისაა, რომ ჰოლმსს გუმანი აქვს ზანგების რაღაც საიდუმლო შეთქმულებაზე; ჰოლმსს სწადია მისი მიკვლევა, მიკვლევა იმისა, რაც, როგორც იგი შესაძლებელია ფიქრობდეს, მის ზურგს უკან ხდება. თუ საქმე ამაშია, ცხადია, თქვენ არაფერი გაქვთ დასამალავი.

გიდიონს არაფერი ჰქონდა დასამალავი, გარდა მისი შიშისა. ძველის-ძველი, ნაცნობი შიშისა, რომელიც ახლა გულისრევის მომასწავებელ გრძნობასავით იზრდებოდა მასში. კაცს შეუძლია თავის თავს ათასი რამ უთხრას: თავისუფლება მოვიდა და თეთრი და შავი ერთად იღწვიან იმისათვის, რომ ახალი ქვეყანა შეჰქმნან. ძველი- ბორკილები დამსხვრეულია, მონობა მწარე მოგონებად იქცა—ყველაფერი ეს შეიძლება ჩააგონო შენს თავს და მაინც კანზე დაღივითაა ამომწვარი შიში და მოგონებანი, რტყმევა, გაქცევა, ძველი სიმღერები—ხალხო, წავიდეთ! ხალხო წავიდეთ!—ზიზღი და სიძულვილი.

მან ნელი ნაბიჯით გაიარა ბატარეის სანაპირო, ბოლოს მიაღწია თეთრ სახლს, რომელიც ამაყად გადასცქეროდა ზღვას.

ალაყაფის კარებთან ზარს მოსწია და მის რეკვაზე გიდიონს გააჟრჟოლა. მოხუცმა ზანგმა მსახურმა კარი გაუღო და ცნობისმოყვარე თვალი შეაგება მას, მაგრამ არაფერი თქვა—უთუოდ წინასწარ იყო გაფრთხილებული. გიდიონმა ქვაფენილი გაიარა და უღონო ფეხებით, რომლებიც ძლივს იმაგრებდნენ ახლა მის ტანს, ვერანდის საფეხურებზე ავიდა. აქ მას სახლის კარები გაუღეს და გიდიონი შიგ შევიდა.

მისთვის პირველი იყო ასეთ სახლში ყოფნა, ასე განათებულ, სიცოცხლით სავსე, მტრულ და გამოუთქმელად მშვენიერ სახლში. ბავშვობისას მას რამდენჯერმე შეუდგამს ფეხი კარუელების სახლის სამზარეულოს ფლიგელში. მთავარ ოთახებში კი არასოდეს. გვიან, როცა იგი უკვე დავაჟკაცდა, მას გაუვლია კარუელების დაცარიელებულ, მკვდარ სახლში. ეს სახლი კი არ იყო ცარიელი, არ იყო მკვდარი, ლამპებისა და სანთლების კაშკაშა შუქი თვალს სჭრიდა გიდიონს. ფართო ტალანში ხის პანელი და ჩუქურთმები თოვლივით თეთრად კრიალებდნენ, ავეჯი წინა თაობის ათასნაირ ფაქიზ ხვეულებში იგრიხებოდა. ბურუსით მოცულ სიღრმეში კიბე სპირალურად ადიოდა მაღლა; უკან სატანასავით დაებჩინა ხახა სასტუმრო ოთახს. ღონემიხდილი გიდიონი უნუგეშოდ გრძნობდა თავს და იგი მაინცდამაინც ვერ მოიყვანა გუნებაზე ჰოლმსის გულთბილმა და სასიამოვნო მისალმებამ:

— დიდად მოხარული ვარ, რომ მოხვედით, ჯეკსონ.

გიდიონმა თავი დაუკრა მხოლოდ, მას ლაპარაკის ღონე არ შესწევდა. ჰოლმსი გაკაშკაშებულ სასტუმრო ოთახში შეუძღვა მას და გიდიონზე იქ მყოფმა ხალხმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქოს ამ სითბოში ყველანი ყინულიდან ყოფილიყვნენ გამოკვეთილნი: ძვირფას კაბებში მორთული ქალები, სასადილოდ შავ კოსტუმებში და თოვლივით თეთრ პერანგებში ჩაცმული კაცები, ვეებერთელა ჭაღის ციაგი და ელვარება, წითელი ხის მდიდრული ავეჯი (მასთან შედარებით კარდოზოს ავეჯი უბადრუკად გამოიყურებოდა), ვერცხლი და ბროლი. ჰოლმსმა სათანადოდ გააცნო გიდიონს იქ მყოფნი, მაგრამ არც ერთი არ წამოდგა და არც ერთმა არ გაუწოდა მას ხელი და როცა გიდიონი დადლი კარუელის წინ წარსდგა, რომელიც ერთ დროს მისი პატრონი იყო, თეთრ სახეს ოდნავადაც კი არ დატყობია, რომ გიდიონი იცნო,—ეს გასაგებიც იყო, რადგანაც გიდიონი მასთან მიწის მუშად იყო ნამყოფი და

მეტი არაფერი. ისინი საუბარში იყვნენ გართული, როცა გიდიონი ოთახში შემოვიდა და მისი გაცნობის შემდეგ, ბაასი კვლავ განაგრძეს, გიდიონი კი ჰოლმსს მიუტოვეს, რომელმაც ოდნავ ღიმილით თქვა:

— აპატიეთ, მათ, ჯეკსონ. ჩვენი ეგრეთწოდებული თავაზიანობა ზოგჯერ მოისუსტებს. რას დალევთ?

შავი მსახურები აჩრდილივით მოძრაობდნენ ოთახში. გიდიონს მართლაც რომ ბინდბუნდში და კოშმარულად ეჩვენებოდა ყველაფერი; ამიტომ იყო, რომ შემდეგში მისმა მეხსიერებამ ვერაფრით ვერ აღადგინა მთლიანი, გარკვეული სურათი. ახლა მან თავი გააქნია: „არაფერს, სრულებით არაფერს“.იგი იდგა ქვასავით გარინდებული, მთელ კანზე რაღაც სჩხვლეტდა თითქოს და იგი გრძნობდა, თუ როგორ ავლებდნენ მას მსახურები თვალს ირიბულად. იგი მახეში გაბმული ნადირი იყო, ჩიხში მოქცეული ლტოლვილი მონა იყო; იგი ძელზე მიკრული კაცი იყო უღვთოდ ნაცემი—და ყველაზე უფრო ცუდი, ყველაზე უფრო მწარე, ყველაზე უფრო საშინელი ის იყო, რომ იგი შიშს შეეპყრო.

და მას მთელ მარადისობად მოეჩვენა ის დრო, სანამ ისინი ბოლოს სასადილოდ არ გავიდნენ მეორე ოთახში.

მას ენახა, როგორ ჭამდა ხალხი; პლანტაციაზე მისიანები ერთ წესზე ჭამდნენ; კარტერები სხვანაირ წესზე ჭამდნენ; კარდოზოსთან კიდევ სხვანაირად; მაგრამ არც ერთი არ ჰგავდა ამ წესს, არსად არ ენახა მას ასეთი ლაშქარი თეფშებისა, ამოდენა და ასე უცნაური ვერცხლეული. ძნელი იყო მისთვის ჩანგლისა ან კოვზის ისე დაჭერა, როგორც მათ ეჭირათ; იგი ტლანქი იყო, ზოგი რამ ხელიდან უვარდებოდა; მას უნდა მოეცადა და თვალი ედევნებინა მათთვის და მათ იცოდნენ, რომ იგი მათ უთვალთვალებდა. რატომ გააბმევინა თავი მახეში ასე? ასჯერ და ათასჯერ ბრიყვი იყო იგი. მის თავში აზრები ისე დახტოდნენ ახლა, როგორც ციყვები გალიაში; რა მიზანი ჰქონდა ჰოლმსს? რას მოასწავებდა ეს ყოველივე? რისთვის? რა სარგებლობა ნახა ჰოლმსმა ამაში?

ამჟამად იგი მიხვდა, რომ მას ელაპარაკებოდნენ; იგიც ძლივ-ძლივობით პასუხობდა. ჰოლმსი ბიძგს აძლევდა საუბარს; იგი რაღაცას უმიზნებდა—რაღაცას, რაზედაც გიდიონს ხელი ვერ მიუწვდებოდა. გიდიონი გამოერკვა; თავისი ოცდათექვსმეტი წლის მანძილზე იგი პირველად ხედავდა ამ ხალხს, პირველად უსმენდა მათ

და იგი ახლა ბრაზმა შეიპყრო. ისინი ამბობდნენ სიტყვებს და ეს სიტყვები იგივე იყო, როგორთაც იგი თავად ხმარობდა. გიდიონი იგერიებდა მათ სიტყვებს. იგი ფრთხილად უსმენდა მათ და რასაც ისინი ამბობდნენ, მაინცდამაინც ჭკვიანური არ იყო. გიდიონი იძულებული იყო თვალის ერთ დახამხამებაში მთელი საუკუნე გადაელახა და ისეთი სისწრაფით შეგუებოდა ახალ პირობებს, რომ მას თავბრუ ეხვეოდა. ლატაკ თეთრს, ენდერსონ კლეის მათზე უფრო შესწევდა მშვიდი განსჯისა და საგნის არსში ჩაწვდომის უნარი. მათ ეგონათ, რომ ისინი ანკესს უდებდნენ გიდიონს, მაგრამ მისი ბოხი ხმა ნელა იძლეოდა პასუხებს; იგი ანკესზე არ წამოეგება, ჰოლმსი შეეტოლებოდა მას, სხვები კი—ვერა. ჰოლმსმა გაიღიმა, როცა პოლკოვნიკმა ფენტონმა თქვა:

— წარმოდგენილი მაქვს, ჯეკსონ, რა გართობაა თქვენთვის კანონმდებლის საქმიანობა, როგორც ახალი რამ დანარჩენ საქმიანობასთან შედარებით.

— ეს უფრო სახეიროა, ვიდრე ბამბის კრეფა,—მიუგო გიდიონმა.—დღეში სამ დოლარს გვაძლევენ.

— უფრო მეტი, ვიდრე ბევრ პატიოსან კაცს მიუწვდება ხელი დღესდღეობით.

— რა უნდა უყოს ამდენ ფულს ზანგმა?—გაოცებით იკითხა ჯეინ დიუპრემ. იგი ქერათმიანი იყო, ტანწერწეტა და ნაზი. მის სიტყვებზე ქმარმა წარბები შეჰკრა. ზედმეტი თანხმოვანი [1] ერთგვარი დათმობა იყო გიდიონის მიმართ იმის გამო, რომ იგი ამ სუფრაზე იჯდა.

— შეუძლია, დახარჯოს ტანსაცმელზე და საჭმელზე—თქვა გიდიონმა.—მაგრამ მეტ წილად სმაში ხარჯავს.

გიდიონი მეტად მარტივი ჩანდა და მათაც ვერ გაეგოთ ახლა, რას მოასწავებდა ყოველივე ეს. თუ შეიძლება ითქვას, მათი მდგომარეობა უფრო ძნელი იყო, ვიდრე გიდიონისა, რადგან ისინი გრძნობდნენ, რომ ჰოლმსი ერთობოდა ამ მდგომარეობით. შემდეგში ჯეინ დიუპრემ თქვა, რომ მას თითქმის გული აერია, რო-

---

[1] ქალმა ამ შემთხვევაში სიტყვა ზანგის აღსანიშნავად იხმარა არა დამცინავი „nigger“ (გამოითქმის—„ნიგე“), არამედ „nigra“, რომელიც უახლოვდება ლიტერატურულ „Negro“-ს და რომლის გამოთქმაში, წინაადმდეგ „nigger“-ისა, ისმის თანხმოვანი „რ“ („ნიგრა“).

ცა უყურებდა, თუ როგორ ჭამდა ის შავი, როგორ ხმარობდა ჩანგალს ნიჩაბივით.

გენერალმა გენფრეტმა თქვა:

— მე ვიტყოდი, ჯეკსონ, რომ განათლება კანონმდებლობის წინამძღვარ პირობად შეიძლება ჩაითვალოს. არ გიძნელდებათ კონვენტში მუშაობა?

— მძიმეა, – დაეთანხმა გიდიონი.

— მით უფრო, რომ, რამდენადაც ვიცი, თქვენ რამდენიმე წლის წინათ კარუელის მიწის მუშაკთაგანი იყავით.

— ვიყავი,—გაიღიმა გიდიონმა.

სენტელმა, რომელიც მთელ შტატში ერთ-ერთი უდიდესი პლანტაციის მფლობელი იყო, ორმოცდაათი წლის კაცი, მოგრძო სახისა, უტეხი, წვრილი თვალებით, შენიშნა: გიდიონი ქვეყანაზე გამოსულაო. გიდიონი დაეთანხმა: მეც ასე მგონიაო, მაგრამ თვით ქვეყანა იცვლებაო: „ცუდი მხრისკენ“, დაურთო ვიღაცამ.

— ეს,—თავის ქნევით თქვა გიდიონმა,—იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ უყურებთ მას.

— თვენ კითხვა იცით უთუოდ,—შენიშნა ერთ-ერთმა ქალმა.

— ცოტა კითხვა ვისწავლე, როცა ჯარში ვიყავი.

— როდის იყავით ჯარში?—იკითხა გენერალმა.

— იანკის იმ რაზმებს ვახლდი, ჩარლსტონში რომ შემოვიდნენ. გახსოვთ ზანგების ბრიგადები?

ოთახში პატრუქი ანთებული იყო უკვე და თოფის წამლის კასრთან შეერთებული. ჰოლმსმა ჩაახველა, გენერალი და დანარჩენთა უმრავლესობა კი გაქვავებულნი ისხდნენ; გიდიონმა ისინი კვლავ ყინულს მიამსგავსა. მის თავში ძველმა შაირმა გაირბინა: „ნოლი არაფერს არ ნიშნავს, სამსა კიდევ რიცხვი ჰქვია, ზანგი რჩება ცარიელი, ყველა თეთრსა ბატონს მიაქვს“. გიდიონი მიხვდა, რომ ეს მდგომარეობა ვეღარ გაგრძელდებოდა, რაღაც უნდა აფეთქებულიყო. მისის ჰოლმსმა ბოდიში მოიხადა და სუფრა დასტოვა. ოთახიდან მას თან გაჰყვა მისი თავშეკავებული ქვითინის ხმა; ჰოლმსი დაედევნა მას, მერე დაბრუნდა და სტუმრებს მიმართა:

— მოუტევეთ დედაჩემს—იგი ცოტა შეუძლოდაა.

გენერალი პირქუშმა დუმილმა მოიცვა; ფენტონი საერთო უსიამოვნების შესამსუბუქებლად გიდიონს მიუბრუნდა:

— თქვენ კარგ სამხრეთულ გვარს ატარებთ, ჯეკსონ. მაგრამ, როგორც ვიცი, ზანგები თავიანთ ბატონის გვარს ირქმევენ.

— ზოგი ირქმევს,—უპასუხა გიდიონმა.—მე გვარი არ მქონდა, სანამ ჯარში სერჟანტობა არ მომცეს. იანკი კაპიტანი მეუბნება: „გიდიონ, გვარი უნდა გქონდეს, ვინ იყო შენი მფლობელიო!“—გიდიონი შეჩერდა, თავი კარუელს დაუქნია და თანაც გაიფიქრა, რომ ამ წუთში, დამსწრე ქალები რომ არა, მას უთუოდ მოჰკლავდნენ,—მე ვეუბნები,—განაგრძო გიდიონმა,—იმ კაცის გვარს, რომელსაც მონად ვყავდი, არასოდეს დავირქმევ-მეთქი. ჯეკსონზე რას იტყვიო...

გიდიონმა ვერ დაასრულა თავისი ამბავი. კარუელი ფეხზე წამოდგა:

— აქედან გაეთრიე, შე შავო მურდალო!

გიდიონი შინისკენ მიდიოდა და რაღაც უცნაურ შვებას გრძნობდა. რამდენი რამ ჩანდა ადრე საიდუმლოებით მოცული, რომ დაბოლოს არარად იქცა, რამდენი შიში ყოფილა თურმე საკვსებით უსაფუძვლო. მთელი ქვეყანა რაღაც უდიდესი გამოუცნობის ნაწილი ჩანდა, ვიდრე ახლოს გასინჯავდი მას. მრუმე, ვერცხლისფრად მოლიელვივე ზღვის ყურე, აჩრდილთა სამყაროს რომ ჰგავდა, ხვალ მზეზე მოლაპლაპე წლის გარინდებული არე იქნება. ბორკილები, რომლებიც მის ხალხს ედო აქამდე, არასოდეს გაიჭედება კვლავ; მზის სინათლეზე არსად იყო ადგილი ამ ბორკილებისათვის. მცირერიცხოვანთა მიერ მრავალთა მართვა უბნელესი და უმძიმესი ცოდვა იყო, რომელიც ოდითგანვე აწვა ადამიანის მოდგმას, მაგრამ იგი წყლით სავსე ბუშტს მიაგავდა, რომლისთვისაც საკმარისი იყო კაცს ეჩხვლიტა, რომ წყალი სწრაფად გამოდენილიყო. გიდიონი წყნარად ღიღინებდა: „როცა ისრაელი ეგვიპტეს იყო—ხალხო, წავიდეთ!—ჩაგრული ისე, რომ არ გაეძლებოდა—ხალხო, წავიდეთ!“

* * *

ჰოლმსის სახლში ქალებმა სუფრა დასტოვეს, კაცები კი დარჩნენ და სიგარები გააბოლეს. გენერალმა თქვა:

— ჰოლმს, ამის პატიება შეუძლებელია.

— მეეჭვება.

— შენ თქვი, რომ რაღაც მოსაზრება გქონდა,—მკვახე, ცივი ხმით ჩაურთო სენტელმა.—შენი სიტყვით, სტივენ, ეს მოსაზრება საკმარისი იყო იმისათვის, რომ ჩვენ სადილად ზანგთან ერთად ვმჯდარიყავით. შენ ყოველთვის გქონდა საგანგებო მოსაზრებანი— და ჩვენც განებივრებდით. შენ გულჩათხრობილი იყავი და იდუმალებით მოცული, როდესაც კონვენტში წახვედი, და იმისთვის, რომ ზანგებს იქ დაესვი, საკმაოდ ულოკე მათ უკანალი; და მაშინაც გაიძახოდი, რომ ვითომ ესეც რაღაც მოსაზრებით იყო. მე, ჩემდათავად ყელში ამომდის შენი წყეული მოსაზრებანი.

— მოსაზრება,——უდარდელად დაიწყო ჰოლმსმა,—მიუხედავად ამისა, საჭირო რამაა, ამ საღამოს იგი, ცოტა არ იყოს, ვერ გეყოთ; იმ ზანგმა კი, თუ შეიძლება ითქვას, ყველა გაგაპამპულათ.

გენერლის ხმა:

— მე მგონია, გეყოფა, სტივენ!

— მე მგონია, რომ არა,—ჩაერია პოლკოვნიკი ფენტონი.— რასაც არ უნდა ფიქრობდეთ სტივენზე, ამ შემთხვევაში იგი მართალია: ზანგმა ყველანი გაგვაპამპულა. ამაზე უნდა დათანხმდეთ, ბატონებო.

— მე მოვითხოვ განმარტებას სტივენისაგან, ანდა...

ჰოლმსმა მას სიტყვა გააწყვეტინა:

— ღვთის გულისათვის, დიუპრე, დუელში ხომ არ აპირებ ჩემს გამოწვევას?! ეს კი მართლა მეტისმეტი იქნებოდა, ჩვენ რა, უსუსური ბალღები ვართ? იდიოტი ბრიყვები? ბატონებო, ამ საღამოს მე თქვენ მოგიწვიეთ იმიტომ, რომ გთვლიდით, ასე თუ ისე, ძლიერი ხასიათის ადამიანებად. ნება მიბოძეთ, შევინარჩუნო ცოტა მაინც ჩემი ილუზიებიდან...

— ჰოლმს!

— კარგი! დამაცადეთ ცოტა რამ ვთქვა! მე აქ ცირკი მოვაწყვე ამ საღამოს—ეს მართალია. მე ის ზანგი მოვიყვანე და ისიცა და თქვენც აუტანელ მდგომარეობაში ჩაგაყენეთ. ესეც მართალია. ვიცოდი, რაც მოჰყვებოდა ამას, მაგრამ არ მეგონა, რომ თქვენთან ერთად მაგიდასთან ერთადერთი ზანგის ჯდომა ასე ძლიერ წაგახდენდათ. ანალიზი გავუკეთოთ მდგომარეობას: მე გთხოვეთ, ხათრი გაგეწიათ ჩემთვის, ხათრი, რომელიც უაღრესად მნიშვნე-

ლოვანი იყო თითოეული ჩვენგანისათვის და ერთი საღამო გაგეტარებიათ კონსტიტუციურ კონვენტის ერთ შავ წევრთან ერთად. მე მოვაწყვე საღამოს წვეულება, რადგან მხოლოდ ამ გზით შემეძლო მიმეღწია ჩემი მიზნისათვის. მე ეს მიზანი არ გაგანდეთ წინასწარ, ვინაიდან იმ ეტაპზე მიზანი არც არსებობდა. ხომ გასაგებად ვლაპარაკობ? მაშ ცოტა ხანს კიდევ მომითმინეთ.

— როგორია თქვენი პოზიცია, პოზიცია მთელი კლასისა, რომელსაც მე ვეკუთვნი! როდესაც რეკონსტრუქციის შესახებ ფედერალური ბრძანების წინაშე აღმოჩნდით, თქვენ უგულვებელჰყავით იგი. თქვენ გაგულისდით—დიაღ, მთელ სამხრეთში ჩვენი კატეგორიის ხალხი გაგულისდა, უარი სთქვა რეგისტრაციაზე, უარი სთქვა ხმის მიცემაზე, საარჩევნო კამპანიაზე. თქვენ ზანგებს და თეთრ ნაძირალებს ველურები უწოდეთ და დაიჩემეთ—მთელ ამ ამბავს ერთ ღამეში თავისთავად ბოლო მოეღებაო. გჯეროდათ ეს, ბატონებო? მართლა გჯეროდათ ეს? ნუთუ ამ წყეული სისხლიანი ომის გადახდის შემდეგ თქვენ კიდევ ასეთი უსუსური წარმოდგენა გაქვთ ძალაზე? ადევნებთ კი თვალყურს ამ კონვენტის მსვლელობას? თვალყურის დევნებას, რომ ვამბობ, მე არ ვგულისხმობ მის შესახებ ჩვენი სულელური პარტიული გაზეთების კითხვას.

— განა საკმარისი არაა—წამოიწყო დიუპრემ, მაგრამ პოლკოვნიკმა ფენტონმა მას ბრაზიანად გააწყვეტინა.

— დიუპრე, გაჩუმდი! განაგრძე, სტივენ!

სახტად დარჩენილმა დიუპრემ პირის წკლაპუნით ჯერ ერთს შეხედა, მერე მეორეს. ჰოლმსმა ახალ სიგარას ბოლო მოაკვნიტა, მაგიდიდან აღებული სანთელით მოუკიდა მას, ერთი ყლუპი ბრენდი დაისხა და განაგრძო:

— როგორია ჩვენი მდგომარეობა ამჟამად, ბატონებო? ხომ გახსოვთ ჩვენი ქვეყანა, ქვეყანა, რომელიც მარტოოდენ ჩვენთვის არსებობდა რვა წლის წინათ? ეს—არც ისე დიდი დროა: მე მაშინ ოცდაექვსისა გახლდით, ახლა ოცდათოთხმეტი წლისა ვარ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა—საკმაოდ ახალგაზრდა იმისათვის, რომ ცხოვრების გემო მქონდეს; მგონი თქვენც ყველასა გაქვთ ცხოვრების გემო, ბატონებო. მახსოვს ჩვენი ქვეყანა მაშინ—და როგორია ჩვენი მდგომარეობა ამჟამად? ერთი რამ ჩვენ ყველას საერთო გვაქვს: ჩვენ პლანტაციების მფლობელები ვიყავით, ან ვართ; ჩვენ იმ საფუძველს, იმ ქვაკუთხედს წარმოვადგენთ, რომელზეც ეს ჩვენი

სამხრეთია დამყარებული. ერთი რამ გვაქვს კიდევ საერთო: ჩვენ ყველა ერთსადაიმავე ბედისწერის, ნგრევის, სრული, აშკარა ნგრევის წინაშე აღმოვჩნდით. მე დავკარგე პლანტაცია, რომელიც ჩვენს ოჯახს ასოცდაათი წლის განმავლობაში ეკუთვნოდა. დიუპრემ თავისი დაჰკარგა, ასევე კარუელმა—ვალები, გადასახადები, ომი, ემანსიპაცია, სხვები იმას ებღაუჭებიან, რაც დარჩენიათ, როცა ჩვენ ამ უაზრო ომში ჩავებით, მე ვიწინასწარმეტყველე შედეგი, ბრიყვები კი ბრალს მდებდნენ: არალოიალური ხარო, არალოიალური! ნუთუ აუცილებელია თავის მოტყუება? განა შემიძლია არალოიალური ვიყო იმის ძიმართ, რამაც მე შემქმნა, რაც მე თავად ვარ ჩემი სისხლით და ხორცით? სერიოზულად გეუბნებით, ბატონებო, ჩვენ უნდა გავერკვეთ ამ მდგომარეობაში, რომელშიაც აღმოვჩნდით. ამაშია ჩვენი ერთადერთი ხსნა.

გენერალმა, რომელიც მზერას აყოლებდა თავისი სიგარის ბოლს, იკითხა:

— სტივენ, ‘ბაშ შენ გვირჩევ, რომ ამ მაიმუნების ცირკში ჩვენც შევიდეთ?

სენტელმა კი დაუმატა:

— რანაირად? ჩვენ ვეცადეთ მოგვესყიდა ზანგები, ველაქუცებოდით მათ, ვემუქრებოდით. მათ მხოლოდ ერთი რამ ახსოვთ: ჩვენ მათი მფლობელები ვიყავით.

— რატომ მოიყვანე ის ზანგი აქ ამ საღამოს?—იკითხა ფენტონმა.

— ესაა, ბატონებო, სწორედ გასაღები. მე წინააღმდეგი ვარ გენერლის ტერმინოლოგიისა—მაიმუნების ცირკი. როდესაც ამგვარად ვფიქრობთ, ბატონებო, ამით ჩვენს თავს ვამარცხებთ. ეს კონვენტი არ გახლავთ მაიმუნების ცირკი; ესაა კრება შეუპოვარი და ჭკვიანი ადამიანებისა, რომლებიც მეტ წილად, მათი საკუთარი შეხედულებით, პატიოსნები არიან.

— უაზრობას ლაპარაკობ,—აღშფოთდა გენერალი.

— უაზრობას? დასწრებიხარ თუნდაც ერთ სხდომას?

— გაზეთებს ვკითხულობ.

— გაზეთები კი სტყუიან! დამერწმუნეთ, მე თითქმის ყოველ სხდომას ვესწრები—გაზეთები კი სტყუიან! ის ზანგი ნე მხოლოდ ერთი მოსაზრებით მოვიყვანე. ორი თუ სამი წლის წინათ, იგი სავსებით უვიცი იყო. ამის წინ რამდენიმე წლით ადრე იგი კა-

რუელის მონა იყო. ხომ ნახეთ იგი ამ საღამოს? განა მაიმუნი იყო? რა პოტენციაა იმ შავ ხალხში, რომელსაც ჩვენ ორასი წლის მანძილზე ვყიდულობდით და ვყიდდით? ჩვენ არ ვიცით, ბატონებო, და ვერც გაგვიბედია გავიგოთ, განა ასეთი ხალხი, როგორიც გიდიონ ჯეკსონია, იოლად დასთმობს მონაპოვარს? და ისინი არ არიან მარტო; ისინი სწავლობენ მუშაობას თეთრ ნაძირალებთან ერთად, რომლებსაც ჩვენ ზიზღით ვუყურებდით, სანამ საომრად არ დაგვჭირდნენ. ახლა კი ამ თეთრებს, ჩვენი გულისათვის რომ ომობდნენ, გონება ეხსნებათ. ბატონებო, როდესაც თქვენ კონვენტი ამ ზანგებს და თეთრებს დაუთმეთ, თქვენ ჩაიდინეთ მეორე უდიდესი უხეში შეცდომა ჩვენი დროისა; პირველი თვით ომი იყო. თქვენ ამბობდით: კონვენტი დაინგრევაო; იგი არ დაინგრა; უკვე ოთხმოცდაათ დღეზე მეტია, რაც კონვენტი მუშაობს, და მან კონსტიტუცია დაწერა უკვე. თქვენ ამბობდით: ერი აღშფოთებით აღსდგება და ამ ურჩხულს გაანადგურებსო; ერი არ აღსდგა აღშფოთებით; სამაგიეროდ იანკი რეპორტიორები სიმართლეს ავრცელებენ ჩვენს ქვეყანაში. როდესაც ომის შემდეგ ჩვენ ჩვენი უგუნური ტერორი გავამეფეთ—ჩვენი ახირებული შავი კოდექსები,—გვეგონა, რომ საკმაოდ გაბედული და ძლიერი ვიყავით, რომ ერისათვის, რომელმაც ეს-ესაა ბრძოლაში დაგვამარცხა, გამარჯვება ხელიდან გამოგვეგლიჯა. ჩვენ გამოვიყენეთ ის ბრიყვი ჯონსონი და გვეგონა, რომ ხალხი მას გაჰყვებოდა; ამის ნაცვლად კონგრესმა იგი გაანადგურა. ახლა ზანგები იმ სიმპათიას იმსახურებენ, რომელიც ჩვენ მსხვერპლად გავიღეთ, და ესეც, ბატონებო, ჩვენი დანაშაულია.

დიუპრემ თქვა:

— შენ დიდი წარმოდგენისა არა ხარ ჩვენზე, ჰოლმს.

— გულახდილად გეტყვით: არა ვარ. ერთის მნიშვნელობით მე უფრო დიდი წარმოდგენა მაქვს იმ ზანგზე, აქ რომ მოვიყვანე.

— მე კი თქვენ...

ფენტონმა მას სიტყვა გააწყვეტინა:

— ღვთის გულისათვის დიუპრე! — და მერე ჰოლმსს მიუბრუნდა:—რას გვირჩევ, სტივენ? შესწყვიტე მორალის კითხვა! ჩვენ ვნახეთ ის ზანგი და შენ შენი მიზეზი ახსენი უკვე. ახლა რას გვირჩევ?

— კარგი,—თავი დაიქნია ჰოლმსმა.—თქვენ ნახეთ ის ზანგი,

თქვენ მას ისე უნდა შეხედოთ, რასაც იგი წარმოადგენს—ნიმუში, რომელიც ანსახიერებს ჩვენი სამხრეთის ოთხი მილიონი ზანგის პოტენციას.

— ძალიან კარგი, განაგრძე!

— შევხედოთ ამ კონვენტს, რაა უკვე გაკეთებული. ჯერ ერთი, განათლება: იგი მთელ შტატში საყოველთაოდ და სავალდებულოდ გამოაცხადეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზანგები და თეთრი ნაძირალები ჩვენს წინააღმდეგ იბრძოლებენ თანაბარ პირობებში ჩვენთან შედარებით.

— ისინი მაინც ზანგები და თეთრი ნაძირალები იქნებიან!

— ღმერთო, შემიწყალე! ნუთუ შეუძლებელია, რომ სინამდვილე დაგანახოთ? ასეთი განათლების ერთი თაობა და... გარწმუნებთ, ჩვენგან ბუნდოვანი ხსოვნაღა დარჩება მხოლოდ. ახლა სხვა ამბავი: კონვენტმა წინადადება წამოაყენა და თხოვნა შეადგინა, რომ მიწა დანაწილებულ იქნას, პლანტაციები პატარ-პატარა ფერმებად დაიყოს. დაუკავშირეთ ეს ამბავი განათლებას და პლანტაციის სამგლოვიარო ზარს მიიღებთ. კონვენტმა დააკანონა რასისა და კანის ფერის თანასწორობა ყველაფერში—ჩაუფიქრდით ამას, ბატონებო. კონვენტი რწმუნებას იძლევა, რომ შავები თეთრებთან ერთად ისხდებიან მსაჯულებად, რომ შავი მოსამართლეები ჩაუდგებიან თავში სამსჯავროს. შევიგნოთ ეს ამბავი, მეგობრებო. კონვენტმა უზრუნველჰყო არჩევნები—ამით კი ჰქრება ძალა-უფლების კანონიერი გზით დაბრუნებაზე ყოველგვარი ოცნება, რომელიც შესაძლებელია, თქვენ კიდევ გაქვთ. და დასასრულ, ბატონებო, კონვენტი თეთრებსა და შავებს ყოველთვის ერთად მიმართავს: ყოველ კანონში, ყოველ ედიქტში, ყოველ წინადადებაში ღარიბი თეთრი—ზანგთან ერთადაა მოხსენებული. აღვიძებს თუ არა, ბატონებო, ეს ამბავი საპასუხო გრძნობას?

სიჩუმის ხანგრძლივი წუთები გენერალმა დაარღვია:

— მათ არ შეუძლიათ განახორციელონ ეს, ჰოლმს. ეს ამბავი ჩაიფუშება. შტატის ფინანსები ვერ აიტანს იმას. არჩევნებზე...

— არჩევნებზე ისინი ისევე გავლენ მთავრობაში, როგორც კონვენტში გავიდნენ.

— როგორიღაა ჩვენი პოზიცია, სტივენ?—იკითხა კარუელმა.

— ზუსტად რომ ვთქვათ—არავითარი.

— მათი თამაში რომ გავითამაშოთ?

— მერე რა უნდა შევთავაზოთ ამომრჩევლებს? დღეში ოცი ცენტი ხელფასად? მონობაში დაბრუნება? უმეცრება? არც პატარა ფერმები?

— სხვა გზაც არსებობს.

— კი, მაგრამ არა ეს გზა. ჩვენ გვქონდა ძალა-უფლება; ჩვენ ის დავკარგეთ; ჩვენი განზრახვაა მისი კვლავ დაპყრობა—ესაა სულ, მარტივად. ამ საღამოს თქვენ ნახეთ ის ზანგი. შესაძლებელია განა მასთან ლაქუცი, მისი ნებივრობა, მისი მოტყუება?

— არა,—დაფიქრებით წარმოსთქვა ფენტონმა,—მაგრამ მისი ჩამოხრჩობა კი შესაძლებელია.

— ჩვენ უკვე ვცადეთ ტერორი, მაგრამ მიზანს ვერ მივაღწიეთ, სტივენ, შენ ეს აღნიშნე,—შენიშნა გენერალმა.

— დიახ, მიზანს ვერ მივაღწიეთ, რადგან ეს იყო სულელური ტერორი და რადგან ყოველგვარი ტერორი, რომლის მიზანი ტერორია მხოლოდ, წინასწარაა განწირული. ჩვენ იანკის ხიშტების წინააღმდეგ ბრბოს ვამხედრებდით; ჩვენ ავაზაკობის ყმაწვილურმა ენერგიამ გაგვიტაცა, როცა ყოფილ ჯარისკაცებს ხელკეტებზე, ლინჩსა და ქურდობაზე ვაქეზებდით; და ჩვენ არ გვქონდა არც გეგმა, არც გარკვეული მიზანი და, მით უფრო, არავითარი ორგანიზაცია.

ფენტონმა ახალ სიგარას მოუკიდა. ერთ-ერთმა ქალმა კარი შემოაღო და იკითხა:

— აქ აპირებთ ჯდომას სამუდამოდ?

— ზანგმა მსახურმა უისკი შემოიტანა; ჰოლმსი მას მიუბრუნდა:

— მე მინდა, რომ, როცა წახვალ, მეტმა არავინ შეგვიშალოს ხელი.

სტივენის სიგარაზე გრძლად იყო ფერფლი; სტივენმა მას თითი შეახო და ფერფლი სუფრაზე დაეცა; მერე სტივენმა სული შეუბერა და გადაყარა იგი.

— ორგანიზაცია,—თქვა მან,—გეგმა და მიზანდასახულება.

ფენტონმა თქვა:

— კლენზე [1] იფიქრე, ალბათ, სტივენ.

დიახ, ცოტა ვიფიქრე ამაზე. თავიანთი არსებობის ამ ორიოდე წლის მანძილზე მათი საქმიანობა ვერაა ბრწყინვალე და ვერც

[1] კუ კლუკს კლენი—ფაშისტური ტიპის ტერორისტული ორგანიზაციაა, რომელიც დღესაც არსებობს ამერიკაში.

ერთსულოვნებაზე მიუთითებს. მაგრამ, ასეა თუ ისე, ორგანიზაცია მაინც არსებობს, და ჩვენის მხრით უფრო ჭკვიანური იქნებოდა გამოყენება იმისა, რაც მათ აქვთ, და მათთან ერთად მუშაობა, ვიდრე ჩვენი ძალების დაქუცმაცება და მათ საპირისპიროდ ახალი ორგანიზაციის შექმნა. თუ გადავწყვეტთ, რომ ასე მოვიქცეთ, მაშინ ყველაფერი ეს სასწრაფოდ უნდა მოხდეს, სანამ ისინი ბოლოს მოუღებდნენ მას, რაც მათში გამოსადეგია.

— მათ სამხედრო ხალხი ხელმძღვანელობს,—თქვა გენერალმა.

— ამაშია სწორედ საქმე—ეს ამბავი გვიშველის. აგერ დიუპრე უკვე კლენის წევრია, იგი დაგვეხმარება ამ მხრივ. ეს ჯვრების დაწვისა და თეთრი პერანგების ამბავი ტაკიმასხარაობაა, მაგრამ ესეც გამოსადეგია. სინდიოფალას ტიპი, მხდალი, ლაჩარი—ისინი პირშებურვილნი უფრო გულადი ხდებიან.

— მე არ მიყვარს ამგვარი ლაპარაკი.

— მართლა თუ, დიუპრე? შენ რა,—აპირებ თეთრი ხელსახოცი გადაიფარო თავზე და ღამ-ღამობით სულმოუთქმელად ირბინო? არა, ეს ამბავი იარაღია მხოლოდ. ეს უნდა შევიგნოთ. ამ იარაღის გამოსაყენებლად კი ჩვენ კაცები გვჭირდება, ათასობით. საიდან უნდა მოვიდნენ ისინი? ზოგი ყოფილ ჯარისკაცებიდან, მაგრამ ბევრი არა. რაც არ უნდა ვთქვათ ჩვენი ჯარების შესახებ, მათ მამაცობა მაინც ჰქონდათ. დიახ, და პატიოსნებაც, იმგვარი პატიოსნება, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ. ისინი ხალისით არ ჩაიცვამენ ღამის პერანგებს და ტერორზე, ჩამოხრჩობასა და მკვლელობაზე იოლად არ დაყაბულდებიან.

— მე არ მომწონს შენი გამოთქმები, სტივენ,—თქვა გენერალმა.

— სხვანაირად როგორ უნდა გამოვთქვა? ჩვენ თავს მაინც შეგვიძლია ვუთხრათ სიმართლე, არა? მაგრამ ხალხი საკმაოდ იქნება: ის არამზადები, რომელთაც ზედამხედველებად ვიყენებდით, ნაძირალები, რომლებიც მონებს ჰყიდდნენ და პირუტყვივით აშენებდნენ, ისეთები, რომლებიც კაცები იყვნენ, როცა ხელში მათრახი ეჭირათ და უამისოდ კი გულისამრევ ტალახს წარმოადგენდნენ, ისეთები, რომელთაც ერთადერთი ღირსება გააჩნდათ—თეთრი კანი. ბატონებო, ჩვენ ამ თეთრ კანზე სიმფონიას დავუკრავთ, მას კეთილშობილების სიმბოლოდ გავხდით. ჩვენ ამ თეთრ კანს მომგებიან საქმედ ვაქცევთ. სიბინძურის თხრილებიდან და მყაყე

ჭაობებიდან ამოვჩიჩქნით კანდიდატებს და მათ თავიანთ თეთრ კანს შევთავაზებთ, სამაგიეროდ, ბატონებო, ისინი ჩვენ იმას დაგვიბრუნებენ, რაც ამ უგუნურ ომში დავკარგეთ. დიახ, ყველაფერს დაგვიბრუნებენ.

— კი მაგრამ, როგორ, სტივენ?— ვერ გაეგო ფენტონს. — როდესაც ვსცადეთ...

— დიახ, მაგრამ ამჯერად ჩვენ ვიცით, რომ ნელა უნდა დავიწყოთ ორგანიზაციით, მხოლოდ და მხოლოდ ორგანიზაციით უნდა დავიწყოთ. ჩვენ შევდივართ კლუბში, ფულს ვაძლევთ მას, ბატონებო; დიახ, იმ ცოტაოდენი სახსრებით, რაც დაგვრჩენია, ხელს ვუმართავთ მას. ვიდრე საოკუპაციო ჯარები აქ არიან, არაფერს არ ვაკეთებთ—ესე იგი, ისეთს არაფერს, რაც საპასუხო მოქმედებას გამოიწვევდა მათის მხრით. რამდენიმე შემთხვევას—ზანგი, რომელსაც თავისი ადგილი უჩვენეს, გაუპატიურების შიში, ლინჩი—ასეთებს, ბუნებრივია, ადგილი ექნება და მაშინ კლუბი იმოქმედებს კიდეც. რეკლამისათვის,— თუ შეიძლება ითქვას, რომანტიკულად შებურვილი აჩრდილები, ღამეში რომ დაჰქრიან; მაგრამ მხოლოდ რეკლამისათვის. ჩვენ ვიცდით, ორგანიზაციულად ვეწყობით; არაფერს არ ვაკეთებთ ნაადრევად. ამავე დროს ისინი, ვისაც ჩვენ შორის საამისო უნარი გააჩნია, პოლიტიკაში ვერევით, მაგრამ არა როგორც ოპოზიცია, არამედ როგორც ხალხი, რომელსაც სურს რეკონსტრუქციონისტებთან ერთად მუშაობა. ასეთია სწორედ ჩემი განზრახვა; სხვებიც უნდა შემომიერთდეთ, ჩვენ ნელი ნაბიჯით მივდივართ და ვიცდით.

— მაგრამ რამდენ ხანს უნდა ვიცადოთ?—იკითხა გენერალმა.

— არ ვიცი, უთუოდ ორი ან სამი წელი, შეიძლება ხუთიც. მაგრამ ჩვენ მოვიცდით, სანამ დარწმუნებული არ ვიქნებით გამარჯვებაში, სანამ რეკონსტრუქტირებული სამხრეთი დიდი მნიშვნელობის საკითხი არ გახდება ნაციონალური პოლიტიკისა, სანამ უკანასკნელი იანკი ჯარისკაცი არ დასტოვებს სამხრეთს. მაგრამ ლოდინის დროს ჩვენ უქმად არ ვართ. ჩვენ ვიტანჯებით, მაგრამ არა ჰისტერიული ტანჯვით, არამედ მოთმინებით, ვაჟკაცურად და ამ დიდი ტანჯვის შესახებ ჩრდილოეთს ვატყობინებთ. ჩვენ სულიერად კი არ ვგოდებთ, არამედ უფრო ღირსეულად ვაცხადებთ, რომ უსამართლოდ მოგვექცნენ და როდესაც ვიტყვით, რომ კმარა, ჩვენ დაგვიჯერებენ. ჩვენ სიმპათიურად განწყობილ

ადამიანებს და მომხრეებს გავიჩენთ ჩრდილოეთში, სადაც ათასეგბია ისეთნი, რომლებიც ყოველთვის შემოგვნატროდნენ, შენატროდნენ, სწორედ იმას, რის წინააღმდეგაც იბრძოდნენ: ჩვენს პლანტაციების სისტემას, ჩვენს მონებს, ჩვენს მედიდურობას, ცხოვრების ჩვენებურ ყაიდას—შენატროდნენ ისე, რომ ამას მათი ყალბი და უხეირო სინდისის ქეჯნა ვერ ჰფარავდა. დიახ, და უფრო მეტიც: ებრალებოდათ ზანგი, მონა, ყმა, მაგრამ რა დარჩება ამ სიბრალულიდან, როცა ჩვენ მთელ ქვეყანას დავანახებთ, რომ ეს ზანგია სწორედ მჩაგვრელი, რომ შავი ველურები ჯენტლმენებსა და მანდილოსნებს ყველაფერს ართმევენ, რაც ძვირფასი, ადამიანური, კარგი და ღირსეულია მათთვის?

— მართლაც რომ ასეა,—წყნარად ჩაურთო გენერალმა.

— დიახ, ჩვენ ვიჩენთ მომხრეებს, აქ ვნერგავთ ჩრდილოეთის კაპიტალს. წარმოების ცენტრი ინგლისიდან ჩრდილოეთ ამერიკაში ინაცვლებს; ისინი გოდებას მოჰყვებიან ბამბისათვის; ჩვენ ცოტას მივცემთ, უმნიშვნელოს, რომ არ ეყოთ. ჩვენ მოვიზიდავთ მათ, მრეწველობას სამხრეთში და ჩვენს მომავალში მათ წილს დავუდებთ, წილს, რომელსაც უკვე მნიშვნელობა ექნება, რაკი ერთხელ დაივიწყებენ მორალისტურ სიგიჟეს, რომელმაც ისინი ომამდე მიიყვანა, რაკი ისინი ერთხელ დაიწყებენ იმის შეგნებას, რომ მათი ომი უსამართლობა იყო, ხოლო ჩვენ ის თავისუფლებისმოყვარე ხალხი ვიყავით, რომელიც ამერიკული თავისუფლების შესანარჩუნებლად იბრძოდა.

— მართლაც რომ ვიყავით,—დაურთო გენერალმა.

— და მაშინ კი, როცა ასეთი დრო დადგება,—იქნება ეს ორ წელიწადში თუ ხუთში,—ჩვენ დავარტყამთ მთელი ძალით, ძალითა და ტერორით, რადგან მხოლოდ და მხოლოდ ძალასა და ტერორს შეუძლია საკითხის გადაწყვეტა. იმ დროისათვის კი ჩვენ მიზანთან ვიქნებით უკვე მოსული; ჩრდილოეთს არაფერი არ ეცოდინება; იმ მცირეოდენს, რაც მათ ყურს მისწვდება, არ დაიჯერებენ. იმ დროისათვის კლენი მთელი ლაშქარი იქნება. და იგი გააცამტვერებს ყოველივე იმას, რაც ახლა ხდება, ისე ძირფესვიანად გააცამტვერებს, რომ კვლავ ვერასოდეს ვეღარ წამოყოს თავი. ბატონებო, ზანგი კვლავ მონა იქნება, ისე, როგორც ყოფილა, ისე, როგორც ეს მას ბედით უწერია. იგი იბრძოლებს, დიახ, მაგრამ არ იქნება შეკავშირებული, არ იქნება მზად ტერორისათვის, ძალადობისათ—

ვის, ჩვენ კი ვიქნებით. ზოგი თეთრიც იბრძოლებს მათ მხარეზე; მაგრამ უმრავლესობა, გარწმუნებთ, არ იბრძოლებს. ამაზე იზრუნებს შიში და თეთრი კანი, როგორც სიმბოლო კეთილშობილებისა. და, ბატონებო, როცა ეს დრო დადგება, ჩვენ გავიმარჯვებთ!

ლაპარაკისას სტივენ ჰოლმსი შინაგან ცეცხლსა და გზნებას ამჟღავნებდა; ამან შთაბეჭდილება გენერალზედაც კი მოახდინა, რომელიც მათ შორის, ალბათ, ყველაზე ნაკლებ მგრძნობიარე პიროვნება იყო; მაგრამ როდესაც ჰოლმსმა სათქმელი დაამთავრა, მისი ცეცხლი ჩაქრა; დასრულებული ცივილიზაციის ფერმკრთალმა და თავშეკავებულმა გარეგნობამ შთანთქა მისი გზნება. სიგარას მოუკიდა და, როდესაც დანარჩენებმა კარგა ბევრი ილაპარაკეს მისი გეგმის მხარდასაჭერად და წინააღმდეგ, ჰოლმსმა მათ მიმართა: „არ გავიდეთ მანდილოსნებთან?“

თავი მეექვსე

როგორ დამრუნდა გიდიონ ჯეკსონი შინ

ახლა ყველაფერი დასრულებული იყო; კონსტიტუცია დაიწერა, კანონები ჩამოყალიბებული იქნა ერთმანეთზე მიყოლებით, ბედნიერებისადმი ლტოლვის, თავისუფლებისა და ცხოვრების ცნებები ისე იყვნენ განსაზღვრულნი, როგორც ეს ამ კავშირში, ამერიკის შეერთებულ შტატებში შემავალი ერთ-ერთი შტატის ხალხმა მოისურვა. 1868 წლის გაზაფხული იყო, ახალი ნათელი წელი, ახალი ერა; და მღვდელმა ასე შეჰღაღადა უფალს:

— უფალო ღმერთო, მოწყალეო, ყოვლის შემსმენელო, მომტევებელო, გევედრებით, კურთხევა მოუვლინო ჩვენს საქმეს. ჩვენი შეცდომები უნებლიე იყო, რამეთუ მოკვდავნი ვართ და ბოროტებას და ცთუნებას ძალა აქვს ცოდვა ჩაადენინოს ყველა მოკვდავს...

მაშინ მთელი კონვენტი ფეხზე წამოდგა და გრძნობიერი, სიამაყით აღელვებული გალობა თქვა: „თავისუფლების ტკბილო ქვეყანავ, ჩემო სამშობლოვ, შენ გიმღერ, შენ!“

— როგორია თქვენი გეგმები?—ჰკითხა კარდოზომ გიდიონს.

— შინ უნდა წავიდე.

— დიდი დრო გავიდა, არა?

— ძალიან დიდი—გაიღიმა გიდიონმა.—უცნაური საქმე სჭირს შავ ხალხს, ფრენსის, ნაღვლიანი გული შინისკენ გვეწევა. ძველად, ავ დროში, ზანგს ქვემოთ მდინარეზე გაჰყიდდნენ და ეს სიკვდილზე უარესი იყო მისთვის. შინ დაბრუნების წყურვილი მკლავს.

— შემდეგ რას აპირებთ?

— ამაზე დიდიხანია ვფიქრობ,—დაყოვნებით წარმოსთქვა გიდიონმა.—ჩვენებმა იციან მიწის საქმე, იციან, როგორ უნდა მოიყვანონ ცოტაოდენი ბამბა, ცოტა სიმინდი; სხვა ბევრი

არაფერი, კარუელის ძველი პლანტაციაა, სადაც ისინი ცხოვრობენ ახლა, მაგრამ დიდხანს ვერ გასტანს ასე. მე ვიყავი მიწების საქმეთა უწყებაში. მივაკვლიე პლანტაციის მდგომარეობას; კარუელს ვალებში დაუკარგავს იგი, მერე მოვალეებს—გადასახადებში. მალე, ერთ მშვენიერ დღეს, მას საჯარო ვაჭრობაზე გაჰყიდიან; ჩვენები სადღა უნდა წავიდნენ მაშინ?

— სად და სადაც ამდენი ზანგია უმიწაწყლო, უსახლკარო და მშიერი. ესაა სწორედ პრობლემა, გიდიონ, ყველაზე დიდი პრობლემა, ჩვენს წინაშე.

— იქნებ რაიმე გავაკეთო; ბევრი არაფერი შემიძლია, მაგრამ შეეცდები ჩვენიანებს გზა მაინც ვუჩვენო, რომ მათ ცოტაოდენი მიწის ყიდვა შესძლონ; თუმცა ამაშიაც არ ვარ დარწმუნებული: შეიძლება იქნეს საშუალება, შეიძლება—არა, არ ვიცი, შინ კი წავალ და რამეს ვიღონებ.

— ამან იქნებ ცოტა ვინმეს უშველოს, გიდიონ, მაგრამ ეთელ პრობლემას რეალურად ვერ გადასჭრის.

— ვიცი.

— გიდიონ, გიფიქრია ოდესმე პოლიტიკაზე?

— როგორ?

კარდოზომ გაუბედავად გაიღიმა და გიდიონს მათი პირველი შეხვედრა მოაგონა: „მაშინ დავიწყე შეგნება იმისა,—თქვა მან,—რომ საჭირო იყო რწმენა მქონოდა თქვენისთანა ხალხისა“.

— რატომ ჩემისთანა ხალხისა?

— იმიტომ, რომ მთელ ამ შტატს, სინამდვილეში მთელ ჩვენს სამხრეთს, პატარა უმცირესობის გამოკლებით, რომელიც ჩვენს წინააღმდეგაა, ერთი მომავალი აქვს მხოლოდ—საკუთარი ღონით ფეხზე წამოდგეს, თქვენ ეს შესძელით უკვე, სხვამაც ბევრმა შესძლო. ჩვენ ხელს ვერ გიწყობთ, გიდიონ, რადგან ბევრ რამეში ჩვენსა და თქვენს შორის მთელი ზღვაა; მიუხედავად ჩვილი გულისა, თქვენ შეუპოვარი კაცი ხართ; მე კი სხვა გზას ვარჩევ. თქვენში მრავალი რამაა ისეთი, რაც მე არ გამაჩნია: დიდი ძალა, დიდი ღირსება. როგორ გამოიყენებთ ამ უპირატესობას?

— მაქვს კი?—გაიღიმა გიდიონმა.—იქნებ მაქვს, იქნებ არა, ნამდვილად რომ გითხრა, არ ვიცი. მინდა მოვისაზრო, მინდა ვისწავლო. უვიცი კაცი ვარ, ფრენსის; სამი თვის წინათ რომ მცოდნოდა, თუ რა უვიცი ვარ, მაშინვე დავანებებდი თავს ყველაფერს.

— გიდიონ, სანამ შინ წასვლას გადასწყვეტდეთ, დაფიქრდით ამაზე: რამდენიმე დღეში ჩვენი შტატის რესპუბლიკელი დელეგატები თავს მოიყრიან ერთად. მე ერთი მათგანი ვარ. დაფიქრდით ამაზე, გიდიონ, ეიბ ლინკოლნის პარტია აქ ფეხს მოიდგამს და ჩვენი შტატის არჩევნებში გაიმარჯვებს კიდეც—ეს ჩვენ კარგად ვიცით, კონვენტის ხმების შედეგი ხომ ვნახეთ!—ეს ნიშნავს შტატის კანონმდებლობას, მთავრობის მთელ სტრუქტურას, კონგრესმენებს, სენატორებს, ყველაფერს—სულ ქვემოდან მოყოლებული ზევით. ამის მონაწილე თქვენცა ხართ თავიდანვე; ჩვენი კონსტიტუციის ერთი ნაწილი, სულერთია, რაგინდ მცირეც არ უნდა იყოს იგი, თქვენი ხელებიდან გამოვიდა. ახლა საშუალება გაქვთ ამ საქმეს მიჰყვეთ. კანონები ცხოვრებაში გაატაროთ".

— როგორ?—ნელა იკითხა გიდიონმა.

— ზოგიერთ ჩვენთაგანს უნდა, რომ შტატის სენატში იჯდეთ, კანდიდატი იყოთ.

გიდიონმა თავი გააქნია.

— რატომ არა?

— არ გამოვა,—მიუგო გიდიონმა.

— გეშინიათ?

— უკვე აღარ მეშინია,—გაიღიმა გიდიონმა.—უბრალოდ, არ გამოვა, ვიცი, რაც ვარ. ერთი წლის ან ხუთი წლის შემდეგ კიდევ შეიძლება, მაგრამ ახლა არა, არ გამოვდგები, ფრენსის.

— თქვენ უფრო გამოდგებით, ვიდრე იმ ხალხის უმრავლესობა, რომელიც სენატში გავა.

— შესაძლებელია,—მხრები აიჩეჩა გიდიონმა.

— მოიფიქრებთ ამის შესახებ?

— არა, შინ უნდა წავიდე.

— რომ გითხრათ, ცდებით-მეთქი, გიდიონ?

— ის უნდა ვქნა, რაც ჩემი ფიქრით უკეთესია.

— თქვენთან კამათი ამაოა, ხომ?—მიხვდა ბოლოს კარდოზო.

— მგონი, რომ ამაოა.

— სამწუხაროა,—გულწრფელად თქვა კარდოზომ.

მათ ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს. ცოტა ხნის შემდეგ კარდოზომ თქვა: „თქვენთან შეხვედრა, გიდიონ, ბედნიერი მოვლენა იყო ჩემთვის".

— როგორ, ბატონო?
— იქნებ ოდესმე მეც შევძლო შინ დაბრუნება.

* * *

როდესაც გიდიონის წასვლის ჟამი მოვიდა, მისის კარტერი წრფელი ცრემლებით ატირდა. მას არ რცხვენოდა ამ ცრემლებისა. ქალმა გიდიონი გულში ჩაიკრა და ტუჩებში აკოცა. „თუ ჩარლსტონს მოხვალ კვლავაც, ჩვენთან გაჩერდი, გიდიონ“.

კარტერები გიდიონს თავზე დაჰფუსფუსებდნენ, მათ მთელი ყუთი გაამზადეს საჭმლით სავსე; იქვე იყო ერთი წყვილი ფეხსაცმელი, რომელიც კარტერმა რეიჩელისთვის შეკერა, შავი, მაღალყელიანი, ღილებიანი; გიდიონმა ფულის გადახდა მოინდომა. „არა, ეს პატარა საჩუქარია, მეტი არაფერი, გიდიონ შვილო“. მეორე საჩუქარი იყო ბიბლია. „სანუგეშებლად,—თქვა კარტერმა.—კარგი ყმაწვილი ხარ, გიდიონ, მაგრამ ღმერთი არ უნდა დაივიწყო“. გიდიონი ხვდებოდა, რა მარტოობაში იგრძნობდნენ თავს მოხუცები მისი წასვლის შემდეგ. მათ ახლა ნამდვილი საზეიმო სუფრა გაეშალათ: შემწვარი ქათამი, მოხრაკული გარნელები, ცხელი მჭადები, ბოსტნეული. იმდენი მეზობელი მოვიდა, რომ სახლში ტევა არ იყო. ყველაფერი ეს მოულოდნელი იყო გიდიონისთვის. ყველას უნდოდა ხელი ჩამოერთვა მისთვის; მიცვალებულის დასატირებლად არ დაიღვრებოდა ამდენი ცრემლი. აქამდე გიდიონის თვალში კონვენტი და კონსტიტუცია როგორღაც განცალკევებით არსებობდნენ, ხალხთან დაუკავშირებლად, მათი ცრემლის, სიცილისა და ამაყი სიხარულის გარეშე...

გიდიონმა ერთი ხაათი გაატარა ენდერსონ კლეისთან ერთად, რომელმაც მას უთხრა: „გიდიონ, მე ზოგიერთივით ჭკუას არ ვკარგავ სიხარულით და ალილუიას სიმღერით. ეს დასაწყისია მხოლოდ. ვთქვათ, ყველაფერი ეს ჩაიფუშა; მაშინ ჩვენ ხელახლა უნდა დავიწყოთ. აქა-იქ ყოველთვის იქნება ჩვენი ხალხი და ერთმანეთის ცნობა არ გაგვიჭირდება“.

— არ გაგვიჭირდება,—დაემოწმა გიდიონი და ხელი მაგრად მოუჭირა მაღალი, ხმელი, წითური კაცის მარჯვენას.

მოვლენები ამასობაში თავის გზით ვითარდებოდნენ და უკანტოვებდნენ გიდიონს. იგი უკვე გვერდზე იყო გამდგარი; ის პატა-

რა სამყარო კი, რომელიც გასული თხუთმეტი კვირის განმავლობაში მის ადგილსამყოფელს წარმოადგენდა, ცვალებადი ვითარების მღელვარე ნაკადმა გაიტაცა. მიუხედავად უაღრესად დიდი სურვილისა მალე ენახა თავისი ხალხი, გიდიონს გული წყდებოდა, როცა პატარა აბგას თავისი ტანსაცმლით ავსებდა და წიგნებს, რომლებიც ახლა უკვე საკმაოდ მოზრდილ გროვას შეადგენდნენ, ერთად ჭკრავდა. მას რკინიგზის ბილეთი აღებული ჰქონდა უკვე; არა, კარუელს იგი ფეხით აღარ ბრუნდებოდა, თუმცა, ერთგვარად მაინც შურით შესცქეროდა შავ კაცს, რომელმაც დიდი ნაბიჯით ას მილზე მეტი გამოიარა, სახლიდან ქალაქ ჩარლსტონს რომ მოსულიყო.

* * *

ნუთუ კარუელში არაფერი გამოიცვალა? მოხუც ზანგს, რომლის ჯორშებმული ძველთაძველი ეტლით გიდიონმა უკანასკნელი ოცი მილი გაიარა, არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა კონვენტზე, იმ დიდ მოვლენებზე, რომლებმაც მიწისძვრასავით შეარყიეს ჩარლსტონი და რომელთა მონაწილე გიდიონი იყო. „კონვენტი? არ გამიგონია“, და ამ კუთხის ახალი ამბები, რომელთა შესახებ იგი იუწყებოდა, ისეთივე იყო, როგორც ყოველთვის: დაბადება, სიკვდილი, სოფლური ცხოვრების მშვიდი დინება და მრისხანე შფოთი, ფარული, პატარა ვულკანივით რომ ამოხეთქავს ხოლმე ხანდახან. „მისის ბულერის ბიჭი დაბაში მიდიოდა, არაფერი დაუშავებია, თავისთვის მიდიოდა, თეთრებმა დაიჭირეს—ისინი ხუთნი იყვნენ—ჯოხებით სცემეს და მერე ჩინარის ხეზე ჩამოჰკიდეს“. „რატომ, რა ჩაიდინა ასეთი?“ „არაფერი, რამდენადაც ვიცით, თავისთვის მიდიოდა“. მოხუცმა ისიც უთხრა გიდიონს, რომ რკინიგზას დიდ ჭაობამდე მოეღწია და მის გასაყვანად შუაგულ ჭაობზე ჯებირებით გამაგრებული მიწაყრილის გაკეთებას აპირებდნენ თურმე. „მუშახელს ქირაობენ, დღეში დოლარს აძლევენ“. „ზანგს დღეში ერთ დოლარს?“ გაუკვირდა გიდიონს. „დღეში ერთ დოლარს. იანკებს გაჰყავთ ეს გზა“. „კარუელში როგორღა იყო საქმე?“ ჰკითხა მას გიდიონმა. მოხუცმა უპასუხა, „კარუელში საერთოდ იშვიათად ავდივარ და გასულ წელს კი სულაც არ ვყოფილვარო“. „რა ისმის მაინც?“ „რას ელი ასეთს, რა უნდა მოხდეს, ყმაწვილო?“ გაფიცხდა მოხუცი. „რატომ ხარ ასე სულწასული? მოიცა-

დე და თავად ნახავ. ცათა სასუფეველი არ დამკვიდრებულა—ამას კი გეტყვი. ძროხა ხბოს იგებს და ზანგის ქალი ორსულდება, სხვა რა უნდა მოხდეს?!“ გიდიონმა ცნობისმოყვარეობა გულში ჩაიკლა და ახლა იმას ისმენდა, თუ როგორი ამინდი იყო გასული ექვსი კვირის განმავლობაში კვირიდან კვირამდე. გაზაფხული უკვე დამდგარიყო; მშვენიერი ამინდი იყო. მიწაში მარცვალი ღივოდა. ყვავები ძველებური, ნაცნობი ჩხავილით მისდევდნენ შარას. სანადიროდ გამოსულ კაცს თოფი მკლავქვეშ ამოედო, მისი სეტერი კი წინ შლიგინით მიიკვლევდა გზას მობიბინე ბალახში.

და მერე, გვიან ნაშუადღევს, როცა გრძელი ჩრდილები დაღლილნი გაერთხნენ მიწაზე, გიდიონმა კარუელს მოაღწია. პირველად პლანტაციის დიდი სახლი გამოჩნდა გორაკზე ზვიადად წამოჭიმული; ერთი მხარე ჩამავალი მზის სხივებში ოქროსა და ვარდისფრად თინათინობდა, მეორე თეთრად იყო დაჩრდილული. დაღლილი ჯორი ნელა მიაბიჯებდა. „გრძელი გზა გამოვიარეთ; უკან ჯოჯოხეთურ სიბნელეში მომიწევს სიარული“, ჩიფილით თქვა მოხუცმა.

როგორც ყოველთვის, ახლაც წინ ბავშვები მორბოდნენ ყოველი მხრიდან წამოშლილნი—მდელოზე აფრთხიალებულ მწყერებივით; ისინი, რაც ძალა შესწევდათ, ისე ყვიროდნენ; მარკუსიც მათ შორის იყო; გიდიონს არ ახსოვდა იგი ასე მაღალი. დავაჟკაცებული ჯეფი დიდ მანძილზე ჩამორჩენოდა ბავშვებს, იგი მოდიოდა, არ მორბოდა, რაც საკუთარი ღირსების გრძნობით იყო უთუოდ ნაკარნახევი... და აჰა, გიდიონს უკვე გულში ჰყავდა ჩაკრული რეიჩელი, ცრემლს დაენამა მისი თვალები და ამიტომაც იგი დარცხვენილი იდგა შვილების წინაშე.

* * *

რეიჩელს გიდიონი კვლავ თავისთან ჰყავდა ახლა; დრო მისთვისაც გადაქცეულიყო რაღაც მოქნილ ცვალებადობად, რომელსაც რეზინასავით გინდა დიდზე გასჭიმავ, გინდა—ნებაზე მიუშვებ, რომ პატარა მკვრივ ხვეულად იქცეს. ეს სამი თვე მთელი საუკუნე იყო და რეიჩელმა რაღაც თავისებური ინტუიციით იცოდა, რომ უკან იგივე, ძველი გიდიონი არ დაბრუნდებოდა.

მისი შიში გაურკვეველი, ცვალებადი, აჩრდილის მაგვარი იყო; ამ შიშის არსი იმ უცნობ იდუმალებაში მდგომარეობდა, რო-

მელიც ჰორიზონტზე მდგარი მთის ციცაბო ფერდობით იწყებოდა. ყოველ მხრისაკენ ვრცელდებოდა და მთელ სამყაროს მოიცავდა. დასაბამი და დასასრული ყველაფრისა კარუელი იყო, რადგან სხვა ადგილები უცნობი იყვნენ მისთვის. დედამისი ვირჯინიადან მოიყვანეს და ჩარლსტონის ბაზარზე საჯარო ვაჭრობით გაჰყიდეს; მას ძუძუმწოვარა ბალღი ჰყავდა თან, რომელმაც ორმოცდაორი დოლარით ასწია მისი ფასი. ეს ბალღი რეიჩელი იყო. მის მეხსიერებას კარუელამდე არაფერი შემოენახა და კარუელის გარდა იქ არაფერი მოიძებნებოდა. ომმაც კი, რომლის გრიგალში მთელი სამხრეთი აფორიაქდა, ვერ დააჩნია დიდი კვალი ამ მიდამოს. ერთხელ კარუელის მდელოზე ლურჯფორმიანი დაქანცული კაცების გრძელი რაზმი გამოჩნდა, რაზმს წინ დაღლილ შავ ცხენზე ახალგაზრდა მხედარი მოუძღვებოდა; მას ღაჟღაჟა ლოყები, ლურჯი თვალები და მოყვითალო ქილვაშები ჰქონდა და ისიც დასვრილ ლურჯ ფორმაში იყო ჩაცმული. რეიჩელმა პირველად მაშინ ნახა იანკები, მხედარმა მას მხიარულად გასძახა: „ტურფავ, როდის მოჰკარი თვალი უკანასკნელად თქვენს მეამბოხეებს?“

რეიჩელმა ძლივს გაიგო ახალი ინგლისის კილოზე ცხვირში სხარტად გამოთქმული სიტყვები, მისი კაბის უკან მარკუსი იმალებოდა და რეიჩელს საზარელმა ფიქრმა გაუელვა თავში—ვაი თუ მარკუსი წაართვან, დაბლა მდინარეზე გაჰყიდონ, ან სხვა რამ...—ამის გაფიქრება, და რეიჩელი გაიქცა. როცა უკან დაბრუნდა, იანკები უკვე წასულიყვნენ. დროთა მსვლელობაში სხვა იანკებიც და ზოგჯერ მეამბოხეთა რაზმებიც გამოჩნდებოდნენ ხოლმე; ომის ზვირთები ჯერ ერთ მხარეზე სცემდა კარუელს, მერე მეორეზე. ერთხელ ამ ზვირთცემამ გაიტაცა გიდიონი, ჰანიბალ უოშინგტონი და სხვები—ისინი წავიდნენ, რომ იანკის თოფი აეღოთ ხელში და თავიანთი თავისუფლებისათვის ებრძოლათ. უზარმაზარი, იდუმალებით მოცული და პირდაღრენილი გარეშეეყნის უფსკრულმა შთანთქა ისინი და ორ ბავშვთან დარჩენილ რეიჩელს მათი დაბრუნების იმედში უნდა ეპოვნა რწმენა. გიდიონი ბუმბერაზი იყო და საიმედო, უტყუარი, როგორც მზის ამოსვლა და ჩასვლა; თუ სხვა ქალები ტიროდნენ, რეიჩელი ცრემლს არ აკარებდა თვალებს და თავისთავს ეუბნებოდა: „გიდიონმა თქვა, დავბრუნდებიო“. ამას შეეძლო რწმენის ჩანერგვა, მაგრამ შიშს სავსებით ვერ გააქარწყლებდა. მას რომ გიდიონი დაეკარგა, მთელი ქვეყანა შესწყვეტდა

არსებობას მისთვის. სხვა ქალები არ იყვნენ ასე, ცოდვაზე რომ ვთქვათ, ზოგიერთ დედაკაცს შეეძლო თავისი სხეული ცოდვით შეებილწა; რეიჩელი ხვდებოდა ამას, მას ესმოდა ისევნება და მარტოობის გრძნობა, რაც ამ უზნეობას იწვევდა; ზოგჯერ იგი წარმოიდგენდა ისეთ მდგომარეობას, ვითომ გიდიონს ღალატობდა და ასეთი წარმოდგენის მთელი ბუნდოვანება ღიმილს ჰგვრიდა მას, რადგან იგი გიდიონი იყო თავად და გიდიონი კი—იგი.

თუნდაც მათი შეუღლება ვთქვათ, როცა ისინი ღამით ძმა პიტერთან მივიდნენ საიდუმლო ჯვრისწერისათვის. მაშინ, როცა ამდენი კაცი და ქალი უბრალოდ აძლევდნენ ერთმანეთს სხეულ ს, რადგან იცოდნენ, რომ შეუღლება მათთვის ერთი დღის, ერთი თვის, ან ერთი წლის ამბავი იყო. არა კავშირი ღვთის წინაშე, არამედ ბედნიერების ხანმოკლე გაელვება მანამდე, სანამ მათ გაჰყიდდნენ, საქონელზე გასცვლიდნენ, გაათახსირებდნენ; მიუხედავად ამისა, რეიჩელმა და გიდიონმა მაინც იქორწინეს და ერთგულება შეჰფიცეს ერთმანეთს.

რეიჩელი ბედნიერი იყო, იმდენად ბედნიერი, რომ შესადარებლად იტყოდნენ ხოლმე: „რეიჩელივით...“ თუ ტოროლა საამურად მღეროდა, იგი რეიჩელივით მღეროდა. რეიჩელს ესმოდა ქმრის გულის ნადები. ღმერთი იღიმებოდა ალბათ, როცა მან რეიჩელს გიდიონი აჩუქა—ესეც იცოდა ქალმა. გიდიონის წასვლა ტანჯვა იყო რეიჩელისთვის, მაგრამ მან შეიცნო, იგი მიხვდა, რომ ეს ტანჯვა განუყრელი ნაწილი იყო იმ ბედნიერებისა, რომ მას გიდიონი ჰყავდა. რეიჩელის შეგნება არ ჰგავდა ქმრის შეგნებას. ბავშვობისას რეიჩელს სჯეროდა ისე, როგორც ყველა მის ტოლებს, რომ ხეთა ტოტების რხევა იწვევდა ქარს. როცა გიდიონმა უთხრა, რომ პირიქით იყო, მან დაიჯერა, რადგან გიდიონის სიტყვა საკმაო იყო. გიდიონს მიზეზი უნდა სცოდნოდა ყოველთვის; მისთვის არაფერი არ არსებობდა მიზეზის გარეშე. რეიჩელისთვის კი საკუთარი სისხლის თბილი ნაკადი კმაროდა მიზეზთა სანაცვლოდ; მას ბევრი რამ ესმოდა თავისი ღრმა და ძლიერი შეგრძნებათა მეოხებით და მისი ასეთი გაგება, ასეთი ცოდნა ხშირად გასაოცრად ზუსტი იყო ხოლმე.

რეიჩელისათვის აუცილებელი არ იყო ცოდნა ჩარლსტონის, კონვენტისა და ახლადშექმნილი ცხოვრების შესახებ, იმისათვის, რომ იგი ერთს მიმხვდარიყო—იქიდან დაბრუნებული კაცი ის არ

იქნებოდა, რაც იქ წასვლის წინ იყო. „ხალხო, წავიდეთ!..“ მისთვის იმას ნიშნავდა, რომ მას ყოველთვის ეყოლებოდა გიდიონი, ეყოლებოდა ბავშვები. რეიჩელი ამ სიტყვებში იმ შორეულ, მზით გაბრწყინებულ ჰორიზონტებსაც გრძნობდა, რომლებსაც ეს ფრაზა მის ქმარს ჰპირდებოდა. გიდიონის პირველი წერილები მან ჩარლსტონიდან მიიღო და დასაწყისში ძმა პიტერს ან ჯეიმს ალენბის უნდა წაეკითხა ისინი მისთვის. ამით გამოწვეულმა სირცხვილის გრძნობამ რეიჩელი აიძულა კითხვა ესწავლა; იგი ღამღამობით იჯდა სხვა ქალებთან და კაცებთან ერთად პატარა ქოხში და ალენბი მათ ასწავლიდა ისევე, როგორც ბავშვებს დღისით; რეიჩელი ნელა ითვისებდა, მას თავი სტკივოდა. გიდიონი თანდათან უფრო და უფრო შორდებოდა მას...

და მერე გიდიონი დაბრუნდა და კვლავ გულში ჰყავდა ჩაკრული იგი, და რეიჩელს ახლა ბევრად უფრო კარგად ესმოდა აზრი ამ სიტყვებისა:

„თავისუფლება გაჭირვებით მოპოებული რამაა“.

გიდიონის მოსვლის მეორე დღე კვირა იყო და ძმა პიტერმა კრება მოიწვია მზეში, მდელოზე. ხალხი ძალუმი ხმით მღეროდა: „შენი გზით მატარეო, უფალო, შენი გზით მატარეო“. ძმა პიტერმა ბიბლია გადაშალა და ესაიას წინასწარმეტყველებიდან წაიკითხა: „აჰა ღმერთი ჩუენი, აჰა უფალი, უფალი ძალისა თანა მოვალს და მკლავი უფლებისთანა, აჰა სასყიდელი მისი მის თანა, და საქმე წინაშე მისსა. ვითარცა მწყემსი მწყსიდეს სამწყსოსა მისსა, და მკლავთა მისთა შეკრიბეს კრავნი და მუცელ ქმნულთა ნუგეშინი სცეს“. „ამინ!“ დაემოწმა ხალხი ქადაგს. ბავშვები ერთ ადგილზე ვერ ისვენებდნენ, ერთმანეთს თმებს ჰქაჩავდნენ ან ძაღლებს უწრუწუნებდნენ. გიდიონი, რეიჩელი, ჯეფი, მარკუსი და ჯენი ერთად ისხდნენ. რეიჩელი გიდიონს ბალახზე ვერ დასვამდა ძვირფას ჩარლსტონულ ტანსაცმელში და ამიტომ რაღაც ნაჭერი გაეფინა მისთვის. გიდიონის მოკაზმულობით ყველა ამაყობდა. „ამინ“, კვლავ გაიმეორა ხალხმა. ჯეფი დროდადრო იქით იხედებოდა, სადაც ბრმა გოგონა ელენ ჯოუნსი იჯდა მისტერ ალენბისთან ერთად; გიდიონმა ეს შენიშნა და წარბები შეჰკრა. მერიონ ჯეფერსონის პატარა გოგონამ ტირილი დაიწყო; მერიონი დაიხარა და დაუყვავა: „იყუჩე, ბალღო, იყუჩე!“

— ალილუია,—კვერი დაუკრა ქადაგს ხალხმა, რომელიც ახლა სიტყვების ტაქტზე როკავდა. ძმა პიტერმა განაგრძო:

— დღეს ქადაგებას არ ვიტყვი, რადგანაც, დიდება უფალს, გიდიონი კვლავ ჩვენთანაა. კეთილმა ღმერთმა ინება თავისუფლება ებოძებინა ჩვენთვის, ჩვენი ღაღადი ისმინა; ღმერთმა ინება კურთხეული მიწა ებოძებინა ჩვენთვის, რძისა და თაფლის ბარაქიანი მიწა, მაშინ როცა სხვა ჩვენისთანა შავები შიმშილობენ და ფეხის დასაბიჯებელი ადგილი არ გააჩნიათ. კეთილმა ღმერთმა ინება ხმა მოეცა ჩვენთვის, ძმა გიდიონს თან ახლდა იგი იმ შორეულ ჩარლსტონ ქალაქში. როგორ იყო? ძმა გიდიონი იჯდა იქ, კონვენტის დარბაზში დიდ და მძლე ხალხთან ერთად; კეთილმა უფალმა ძალა მისცა მას, ვითარცა ჭაბუკ მეფე დავითს. დიდება ღმერთს!

— ამინ.—გაისმა ხალხის ხმა.

— ძმა გიდიონი დაბრუნდა; ჩემი ჩვეულებრივი ქადაგების ნაცვლად დღეს იგი ილაპარაკებს; გვეტყვის, რა მოხდა. ადექი, ძმაო გიდიონ, აქ გიმოდი, რომ მთელმა მრევლმა დაგინახოს.

და გიდიონმა ილაპარაკა. ილაპარაკა ისე მარტივად, როგორც შეეძლო; მან ხალხს მოუთხრო ყველაფერი, რაც თავს გადახდა, როგორ ჩავიდა ფეხით ჩარლსტონს, უამბო თავისი შიშისა და ეჭვების შესახებ, როგორ იმუშავა მტვირთავად, როგორ დაბინავდა კარტერებთან და ბოლოს როგორ დაიჭირა თავისი ადგილი კონვენტში. მან პირველად ახლა შესძლო მარტივად აეხსნა მათთვის არჩევნების მნიშვნელობა, რა იგულისხმებოდა რეკონსტრუქციის მთელ პოლიტიკაში, როგორც ეს კონგრესის მიერ იყო გათვალისწინებული, და როგორ ჩაიელიდა რეკონსტრუქციის პროცესი ახლა, როცა შტატის ახალი კონსტიტუცია უკვე შექმნილი იყო. გიდიონმა მოხაზა ის საკანონმდებლო აქტები, რომლებსაც კონსტიტუცია შეიცავდა, განმარტა ისინი, მაგრამ ამასთან ერთად მან მსმენელებს ისიც აუხსნა, თუ რა დიდი ნაპრალი იყო კონსტიტუციაში ჩაწერილი ძირითადი კანონებისა და ამ კანონების სინამდვილეში გატარების შუა. კონსტიტუცია ამბობდა, სამხრეთ კეროლაინის შტატში საყოველთაო სწავლება იქნებაო, მაგრამ საჭირო გახდებოდა ფულის მოძებნა, მასწავლებლების მომზადება, სასკოლო შენობის აგება—და სანამ ეს არ გაკეთებულა, ხალხმა მაინც უნდა ისწავლოს, როგორც მოახერხებს, რისი საშუალებაც არის. გიდიონმა მიუთითა იმაზე, რომ რასიული დისკრიმინაციის ამღმკვეთი კანონი კიდევ არ ნიშნავდა მის მოსპობას, რომ ამას მრავალი წელი მოუნდებოდა.

— ჩვენ, ხალხს რაღა?—გახაგრძო გიდიონმა.—როგორ იქნება ჩვენი საქმე მომავალში? მე ხან აქ შევყავი ცხვირი, ხან იქ და ზოგი რამ გავიგე. ეს მიდამო დადლი კარუელს დაუკარგავს და ხელში ვიღაც სხვას ჩავარდნია. იმ კაცს კი გადასახადებში წაუგია. ეს იმას ნიშნავს, რომ ადრე თუ გვიან ეს ადგილი საჯარო ვაჭრობაზე გამოვა და ვინც მეტს შეაძლევს, მას ერგება. მაშინ კი ჩვენ აქედან უნდა ავიბარგოთ, თუ ადრეევე რამეს არ ვიღონებთ. არ ვიცი, როგორ უნდა მოვიქცეთ; ამაზე ვიფიქრე, ძალიან ბევრიც ვიფიქრე და მგონია, რომ რაც არ უნდა ვიღონოთ, სულერთია, მაინც ფული გვჭირდება. ამის გამო გულს ნუ გავიტეხთ. უიმედობის მიზეზი მოკვდა, აღარ არსებობს უკვე; ახალი, ნათელი დროებაა ჩვენს წინ, ახალი, ნათელი დროება გვიახლოვდება.

* * *

აქ არ იყო ის აჩქარება და დროის სიმცირე, რასაც გიდიონი ჩარლსტონში განიცდიდა. მზე ჩადიოდა და ამოდიოდა; გიდიონის ახალი ტანსაცმელი შენახული იყო და ახლა იგი თავის ძველ სამუშაო შარვალს და ძველ პერანგს ატარებდა. მან მთელი ღამე გაათენა ბოსელში, სადაც ავადმყოფი ნეზვი ვაგლახად ლამობდა გოჭების მოგებას. კონტრასტები ისე შემაძრწუნებლად აღარ მოქმედებდნენ მასზე და მონათა ქოხებმა, რომლებიც დაბრუნებისას საშინლად მოეჩვენა გიდიონს, მის თვალში თანდათან ის ძველი სახე მიიღეს, რაც მისთვის ჩვეულებრივ, ცნობილ სანახაობას წარმოადგენდა.

ღამღამობით გიდიონი სანთლის შუქზე კითხულობდა, მეტწილად ხმამაღლა. მარკუსი, ჯეფი, ჯენი და რეიჩელი ისხდნენ და ყურს უგდებდნენ. ხშირად ალენბი მოვიდოდა ხოლმე ელენ ჯოუნსთან ერთად. ზოგჯერ ძმა პიტერი, ზოგჯერ კიდევ სხვა ვინმე. გიდიონი მათ უიტმანს და ემერსონს უკითხავდა, ჯონ ბრაუნის უკანასკნელ მქუხარე სიტყვებს და ჯონ გრინლიფ უიტიერის ლექსებს. გიდიონი კარგად კითხულობდა და პოეზია აღვივებდა მათ ფანტაზიას. ისინი ირწეოდნენ ლექსის რიტმზე და თან ფრთხილად ტაშის ცემას აყოლებდნენ. კითხვის დროს გიდიონს ჯეფი თვალს არ აშორებდა; გიდიონმა გუნებაში გადასწყვიტა, რომ მოკლე ხანში ბიჭს გამოლაპარაკებოდა და გაეგო, თუ რა იმალებოდა ამ

შავი თვალებისა და შავი სახის გულგრილი გამომეტყველების იქით. მარკუსი იოლად ეკიდებოდა ცხოვრებას; სიმკვირცხლე, რომელსაც იგი სწავლაში იჩენდა, ანცვიფრებდა ალენბის. მაგრამ ყველაფერი ეს დროებითი შესვენება იყო გიდიონისთვის და იგი ამ დროს უკვე ამჩნევდა, რომ მას სულ უფრო და უფრო ძლიერი მოუთმენლობა იპყრობდა. ძმა პიტერმა უთხრა: „გაიხსენე, გიდიონ, მე რომ გეუბნებოდი,—ისე აივსები-მეთქი, როგორც სახაპელა, რომელსაც ჭიდან სუფთა ცივი წყალი ამოაქვს“.

— მახსოვს.—დაემოწმა გიდიონი.

— შენ ჩარლსტონს წახვედი, იქ უფალმა ძალა მოგანიჭა. უკან დაბრუნდი და ახლა კავშირს აღარ გრძნობ შენს ხალხთან.

— ეს არაა მართალი,—თქვა გიდიონმა.

— ღმერთს რომ ზურგს შეაქცევ, გიდიონ, ღმერთიც ზურგს შეგაქცევს,—თქვა პიტერმა და მერე ჩაფიქრებით დასძინა სევდიან ხმაზე:—ასეა, გიდიონ.

— არა, არა, ამაში არაა საქმე, სხვა რამაა, უფრო მეტი. მე ყველაფერს მხოლოდ ჩემებურად ვუყურებდი, ძმაო პიტერ, ისე ვუყურებდი, როგორც შემეძლო—ჩემი გონების თვალით. მე ვნახე ხალხი ბორკილებში და ეს ბორკილები ღმერთმა კი არ დაამსხვრია, არამედ ხალხმა. მე ვნახე ცუდი ადამიანებიც, გულგრილი ადამიანებიც, რომელთაც თოფი აიღეს ხელში კეთილი საქმისთვის, რადგანაც კარგმა ხალხმა თავისი გაიტანა და სისხლისა და ტანჯვისაგან რაღაც გამოვიდა.

— სულის ხსნა, გიდიონ?

— იქნებ ხსნას მე ჩემებურად ვხედავ—სიმართლეში, სკოლებში, კანონებში, კარგ სახლებში, ამ ქოხების ნაცვლად ჩვენ რომ ვცხოვრობთ ახლა...

და რეიჩელი ღამით სასოწარკვეთილებით ეჩურჩულება ქმარს:

— გიდიონ!

— რა იყო?

— მითხარი, რომ გიყვარვარ, გიდიონ!

— აბა ვინ უნდა მიყვარდეს?

— მაშ რა მოხდა, გიდიონ? შენ გამოიცვალე, სხვანაირად ლაპარაკობ, სხვანაირად იქცევი. რა მოგვივა მე და შენ?

— არაფერი, ძვირფასო, არაფერი.

— მალე სულ გამომეცლები ხელიდან, სულ, გიდიონ.

— არა.

— ენა ერთს ამბობს, გული მეორეს.

— არა, არა,—ამხნევებს ცოლს გიდიონი. და კეპ ჰოლსტინმა კარდოზოს წერილი მოიტანა, სადაც ეწერა... „იფიქრე ამაზე, გიდიონ? დაუშვებელია, რომ შენ მანდ საკუთარ ნაჭუჭში იჯდე, როცა მთელ ქვეყანას მიწისძვრა აზანზარებს“.

ერთხელ ნაშუადღევს ისინი დასხდნენ, როგორც ძველად იცოდნენ ხოლმე—ზურგით ბეღლის კედელს მიეყრდნენ. წინგაშვერილი ფეხებით მტვერს აქოთებდნენ, კბილით ბალახის ღეროებს ღეჭდნენ—გიდიონი, ძმა პიტერი, ჰანიბალ უოშინგტონი, ალენბი, ენდრიუ და ფერდინანდი, რომლებსაც უკვე ლინკოლნი დაერქვათ გვარად.

— თითქოს წვიმას აპირებს.

— იქნებ ცოტა მოწვიმოს.

— პატარა წვიმა მოუხდება მიწას.

— მოუხდება.

— დასავლეთიდან მოდის.

— ზორბად მოდის.

— კარგი იქნება რამდენიმე აკრზე ბამბას დავთესდეთ,—თქვა გიდიონმა.

— ნეტავ თვალით არ მანახა ბამბის კუკური კვლავ და ბედნიერი ვიქნები.

— ტანჯვაა.

— ამ მიწის მარცვალი ბამბაა,—თქვა გიდიონმა,—მას ნაღდი ფული მოაქვს, ჩვენ კი ფული გვჭირდება.

— შენ ესა სთქვი!—შენიშნა ალენბიმ.

— ჰო, ჩვენ არაფერი არ გვეკუთვნის, არც მიწა, არც ეს ქოხები, ჩვენ რომ ვცხოვრობთ, არაფერი. დღემდე ყველაფერი არეული იყო, არავინ არ ირკვევდა საქმეს, არავინ არ კითხულობდა—რას აკეთებენ ეს ზანგები აქაო. როცა პირველი არჩევნები ჩატარდება, ჩვენ სამოქალაქო ადმინისტრაცია გვეყოლება და მაშინ კი ერთი აკრიც არ დარჩება აურიცხავად.

— ვინ აგვყრის ამ მიწიდან, გიდიონ?

— ვინც მას იყიდის.

— თეთრი კაცი მარტოკა ვერ დაამუშავებს მიწას. ზანგები დასჭირდება.

— კი, ზანგები დასჭირდება ღალაზე სამუშაოდ, როგორც თეთრები მუშაობდნენ ომის წინ. ყოველ აკრზე ბამბას დასთესენ და ზანგი სამათხოვროდ მიადგება, ვინძლო ლორის პატარა ნაჭერი მიუგდონ ბავშვების გამოსაკვებად. ძმა პიტერისა არ იყოს, ამ მიწას რძისა და თაფლის ბარაქა აქვს, მაგრამ რატომ? იმიტომ, რომ სიმინდი მოგვყავს, საკვები, რადგან უფულოდაც გაგვაქვს თავი. მაგრამ წიგნის წასაკითხავად რომ პაწაწა სანთელი გვჭირდება, ისიც ფული ღირს, ბავშვების სასწავლო წიგნიც ფული ღირს.

— გიდიონ, მთავრობა არ შეისყიდის მიწას ზანგებისათვის?— იკითხა ჰანიბალ უოშინგტონმა.

— შესაძლებელია, მაგრამ ვთქვათ—მთავრობამ შეისყიდა; მთავრობა ათასი კაცია, ისინი არ ჩქარობენ. ვინ იცის, იქნებ ამასობაში ერთი ან ორი წელიწადი გავიდეს, ან სულაც არაფერი გამოვიდეს. იქნებ მთავრობამ თქვას, აგერ დაბლა ჯორჯიასაკენ მიწაა, იქ დასახლდითო, ეს არ ივარგებს. ჩვენ აქ გვიცხოვრია, სწორედ აქაა ჩვენი კერა. ჩვენ ეს მიწა უნდა შევინარჩუნოთ.

— როგორ?

— ვიყიდოთ,—თქვა გიდიონმა,—ვიმუშაოთ, ფული ვიშოვოთ და მიწა ვიყიდოთ.

ამაზე ალენბიმ შენიშნა:

— ამას დიდი ფული დასჭირდება, გიდიონ.

— რა თქმა უნდა, მაგრამ ცდა ბედის მონახევრეა. ბანკები სესხს იძლევიან. ჰო, ზანგებსაც კი აძლევენ ხოლმე, თუ საქმე საიმედოდ იცნეს; ჩვენც მოგვცემენ, თუ ნახეს, რომ ჩვენი განზრახვა საქმიანია და თუ ცოტა ფული ჩვენც გვექნება. რკინიგზა ჭაობზე უნდა გავიდეს, იქ მუშახელი სჭირდებათ, დღეში დოლარს აძლევენ ზანგსაც და თეთრსაც. ვთქვათ, იქ წავედით, ასე—ექვსი ან რვა კვირა ვიმუშავეთ რკინიგზაზე...

— მოსავალი?

— დავბრუნდებით და ავიღებთ.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა, სანამ ბოლოს ძმა პიტერმა

არ თქვა:—სამწუხარო ამბავია, გიდიონ, კაცები დედაკაცებს დაა-შორო.

მაგრამ ჰანიბალ უოშინგტონმა მას სიტყვა ჩამოართვა: „გიდიონი მართალია“.

— კრებას მოვიწვევთ.—უთხრა მათ გიდიონმა.

* * *

ქალებისათვის ეს მართლაც სამწუხარო ამბავი იყო. ისინი ახლა ტანსაცმელს რეცხავდნენ ღელეში და შიგადაშიგ რეიჩელს გადახედავდნენ ხოლმე, რომელიც მდუმარედ აბაგუნებდა და ხეხავდა თავის სარეცხს. ცვლილება საკვალალო იყო; ამიერიდან უთუოდ ბევრი რამ შეიცვლებოდა. ეს კი, მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლების შედეგი იყო, ვარამსა და შფოთს იწვევდა. კარგი იქნებოდა, რომ ისინი ბავშვებივით ყოფილიყვნენ, ბავშვებივით, რომლებიც წყალში ტიტლიკანა ჭყუმპალაობდნენ ახლა; ჟივოდნენ, იცინოდნენ, ყვიროდნენ და არაფრის არ რცხვენოდათ; მაგრამ ისინი ხომ ბავშვები არ არიან! ჭაობში ციებ-ცხელება მძვინვარებს, კაცები დასნეულდებიან და ამოწყდებიან; ჭაობი თილისმით შეკრული ადგილია. რეიჩელი სარეცხს მდუმარედ უბაგუნებდა, სცემდა, სწურავდა; ანაზდად თვალი მოჭკრა, როგორ დაეცა ჯენი და გოგონას დაუყვირა: „ჯენი, ჯენი, ამოდი წყლიდან!“ და მერე გაჩუმდა. ქალებმა რაღაც უცნაურად გადახედეს მას...

ალენბიმ გიდიონს ჰკითხა: „ჯეფიც თან უნდა წაიყვანო?“

— ჰო, ვაჟკაცის ღონე აქვს უკვე.

— შენ ადგილზე მე არ წავიყვანდი.

— რატომ?

ისინი ბოსლის იმ განყოფილებაში იყვნენ, რომელსაც ალენბი სკოლად ხმარობდა; პირქვე დამხობილ ბაგას, რომელიც მაგიდობას სწევდა, თავანში გამოჭრილ სარკმლიდან სინათლის ფართო სვეტი ეცემოდა. მაგიდაზე იაფი ქაღალდის დასტა იდო და წაწვეტებული ნახშირის ჯოხები, და თუმცა ბავშვები წასული იყვნენ, ჰაერში იგრძნობოდა მათი სიახლოვე,—ბუნდოვანი გრძნობა, რომელშიაც გიდიონი ვერ გარკვეულიყო,—მათი წყურვილი და აგზნებული ლტოლვა. გიდიონი ერთხელ აქ გაკვეთილს დაესწრო და ნახა მოხუცის გასაოცარი მოთმინება. „პატარა ცხოველებს გვა-

ნან“, შენიშნა გიდიონმა მაშინ. „რა თქმა უნდა, მაშ რა გეგონა? მაგრამ სწავლობენ კი“. ბავშვების თავგამოდება აშკარა იყო, ალენბი კი მოთმინების მქონე, კარგი მასწავლებელი ჩანდა.

— რატომ?—ჰკითხა მას გიდიონმა და თან მოაგონდა, რომ აქამდე ვერ გამოელაპარაკა ჯეფს, როგორც ეს მისი განზრახვა იყო.

— ძნელია გითხრა—რატომ. იქნებ თუნდაც იმიტომ, რომ ჯეფი ცეცხლივითაა. იცი რა ხდება მასში, გიდიონ?

დარცხვენილმა გიდიონმა არაფერი უპასუხა.

— მან წერა-კითხვა უკვე იცის. ზღვის ღრუბელივითაა—ყველაფერს უმალვე შეისრუტავს ხოლმე. იგი მთელი ქვეყნის შესრუტვას ლამობს და ისე სწრაფად, რომ მაშინებს კიდეც. მან თავისი გულის წადილი იცის; უნდა ექიმი გახდეს.

— საიდან იცი?

— მითხრა.

— ჩემთვის არაფერი უთქვამს,—შენიშნა გიდიონმა.

— ჰკითხე კი ოდესმე?

გიდიონმა თავი გაიქნია და ალენბიმ განაგრძო:

— შეგიხედავს ოდესმე შენი თავისთვის და შეჰკითხვიხარ თავს ზოგ რამეს, გიდიონ? გახსოვს ის კაცი, რომელიც ჩარლსტონის გზაზე მიაბიჯებდა, ეს არც ისე დიდი ხნის წინათ იყო, მაგრამ შენ ის კაცი აღარ ხარ უკვე. შეჰკითხვიხარ თავს ოდესმე, თუ რა მოგდის, რა მოგვდის ჩვენ ყველას, რა ემართება ჩვენს ქვეყანას? როდესაც კონვენტში იჯექი და გეგმას იმუშავებდი იმის შესახებ, თუ რა უნდა გამოცვლილიყო, მოგივიდა თავში ერთხელ მაინც ის აზრი, რომ ეს ცვლილება მშობიარობის მწვავე ტკივილებს ემგვანება?

— ჯეფზე რას იტყვი?—ნელა იკითხა გიდიონმა.

— რას ვიტყვი? ჯეფი შენი ვაჟია. ჭაობში წაიყვან და დღეში ისიც მიიღებს ერთ დოლარს—მე იმის თქმა არ მინდა, თითქოს ეს ცუდი იყოს, მაგრამ ჯეფს შეუძლია ჩრდილოეთს წავიდეს სასწავლებლად; იქ ისეთი სკოლებიცაა, მაგალითად, ძესაჩუზეტში, სადაც ზანგის ბიჭს მიიღებენ, განათლებას მისცემენ, გაწრთვნიან.

— როგორ არ ვიცი,—წამოიღუღღუღა გაოგნებულმა გიდიონმა.

— ჩარლსტონში შენ მეგობრები გყავს. კარდოზოს შეუძლია გზა გასწავლოს.

— როგორ, ასე უბრალოდ გავგზავნო?—ვერ გამორკვეულიყო გიდიონი.

* * *

ჯეფს გოგონა ფიჭენარში დაჰყავდა; ბიჭი მას ბევრ რამეზე უამბობდა დიდი და მცირე საგნების შესახებ, ყველაფრის შესახებ, რაც გოგონას ირგვლივ არსებობდა. „აგერ შენს ფეხებთან გომბეშომ ხტუნვით გადასერა ბილიკი“. ჩამავალი მზის შესახებ ჯეფმა თქვა: „შტოებში ისე ჩანს, თითქოს დიდი, გაშლილი ვარდი იყოს“. ნიავს გოგონა თავად გრძნობდა, „თითქოს ვიღაც მეხება ხელით“, უთხრა მან ჯეფს. თავდაპირველად ელენს შიშის ზღუდე ერტყა ირგვლივ და ჯეფმა, რომელიც რაღაც სასწაულით ინსტიქტურად მიხვდა ამ შიშის მიზეზს, იგი სათუთად გაარღვია; ელენი ღრმა, წყვდიადით მოცულ გამოქვაბულში ცხოვრობდა, სადაც არც ფერები არსებობდა, არც სინათლე. ჯეფს ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს, ერთი სიტყვა არ უთქვამს ისეთი, რომელიც ამ ბრმა გოგონას შეაკრთობდა—იგი ჯეფისთვის მთელი ქვეყნის უმშვენიერესი ქმნილება იყო. ვაჟმა გოგონა მდელოზეც წაიყვანა, მის კანს მინდვრის ყვავილებისა და ბალახის სინაზე აგემა და ერთხელ მარწყვიც გაუსრისა ხელში. ალენბი იმ ქოხში ცხოვრობდა, რომელიც სპეციალურად მისთვის ააგეს. იგი არ იყო წინააღმდეგი, როცა ჯეფი მიდიოდა და ალენბის წიგნებს უკითხავდა ელენს, რომელიც ამ დროს სახლის სამუშაოს აკეთებდა. მოხუც ძია სექსტონისაგან, რომელიც გასულ წელს მოკვდა, ჯეფმა ზღაპრები იცოდა ჭაობის შესახებ, ჩიტების, ნადირთა და ქვეწარმავალთა შესახებ, რომლებიც ერთმანეთში საკუთარ ენაზე ლაპარაკობდნენ და საკვირველი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ჯეფმა ესეც უამბო ელენ ჯოუნსს. რეიჩელი ატყობდა, რომ ჯეფი შეყვარებული იყო, შას ესმოდა ვაჟის ტლანქი სინაზე, რითაც იგი ასე ჰგავდა გიდიონს. იცოდა, რატომ ჯავრობდა ჯეფი და რატომ სცემდა იგი მარკუსს ხელებზე, როცა უმცროსი ძმა ხუმრობით აღიზიანებდა მას. ეს ამბავი ანაღვლიანებდა რეიჩელს—ბრმა გოგონა, ბრმას მოვლა სჭირდება და როგორადაც არ უნდა მიუდგე, უსინათლო ქალი ტვირთია ვაჟკაცისათვის. ჯეფი კი უკვე თითქმის იმდენი ხნისაა, რამდენისაც გიდიონი იყო, როცა მან რეიჩელი შეირთო.

ალენბიმ დაამშვიდა იგი:

— ყველაფერი კარგად იქნება, რეიჩელ, დამიჯერე.

ტყეში, ნახევარი მილის მოშორებით იმ ადგილიდან, სადაც სამხრეთის მინდვრები თავდებოდა, ერთი აკრის ოდენა ადგილი იყო, რომელზედაც ხეები მოეჭრათ და რომელიც ახლა მცხუნვარე მზეს დარჩენოდა დავლად. ძერ-ქორები მოფრინდებოდნენ ხოლმე აქ, დაბალ ჯირკვებზე ჩამოსხდებოდნენ და თავის კანტურით ესალმებოდნენ ერთმანეთს; მინდვრის გველები მზეს ეფიცხებოდნენ, ნებივრად დახვეულნი. ჯეფს აქ მოჰყავდა ელენი. ისინი ისხდნენ ხოლმე ცხელ სილაზე, წაქცეულ ხეზე ზურგით მიწოლილნი და მშვენიერი მარტოობით ტკბებოდნენ. მთელი საათობით იჯდა ჯეფი და გოგონასათვის სიტყვებით ჰქმნიდა ქვეყანას, რომლის დანახვა მას არ შეეძლო—ცაზე დაგრაგნილი ღრუბელი, ლურჯყელა ჩხიკვი... და დროდადრო ჯეფი საკუთარი ოცნების სურათებს ხატავდა ელენისათვის.

ნელა, ძალიან ნელა და შეუმჩნევლად რაღაც ემართებოდა ელენს; ერთის მხრივ, ეს იყო იმის გამო, რომ იგი ახლა გულთბილ, მეგობრულ ხალხში ცხოვრობდა, როცა მთელი დღე ადამიანის ხმები ავსებდა სმენას, ბავშვების ჟრიამული და მოზრდილთა დაძახილი, დიდ მანძილზე რომ უხმობდნენ ერთმანეთს; მეორეს მხრივ, ეს ჯეფი იყო, რომელმაც ერთხელ მას უთხრა: „მიყვარხარ, ელენ, ტკბილო“. მეორეჯერ, როცა ჯეფმა იგი გულზე მიიკრა, გოგონა შეეეედრა: „ნუ, ნუ ჯეფ, გთხოვ“. და ჯეფი მიხვდა, თუ რას ნიშნავდა ცხოვრება ელენისათვის. ეს უცნაური, თავისებური რამ იყო: მას უნდა სცოდნოდა, მაგრამ ვის შეჰკითხოდა?

— რას გააკეთებ მომავალში?—შეეკითხა ერთხელ ელენი ჯეფს.

— რასაც მოვინდომებ, რაც გადაწყვეტილი მაქვს.

— მაინც რას?

— მამაშენივით მინდა ვიყო,—თქვა ჯეფმა. მან პირველმა გაბედა მამის შესახებ დალაპარაკებოდა ელენს.

— ექიმი?

— ჰო,—მიუგო ჯეფმა.

სოფლის თვალში ექიმი ურწმუნო, ლოთი კაცი იყო, თამბაქოსაგან გაყვითლებული წვერით; ერთხელ ვიღაც ქალი სიკვდილის პირზე იყო მისული და ჯეფს ესმოდა, თუ რა მღელვარე და

უაზრო მიეთმოეთი იყო ხალხში ექიმების შესახებ. მან დააპირა გიდიონისთვის ეკითხა ამის გამო,—მამამისმა უთუოდ ყველაფერი იცოდა,—მაგრამ ჯეფი იმდენად აღმერთებდა მამას, რომ ვერ შეუბედა მას ამაზე საუბარი. ბიჭმა ალენბის ჰკითხა:

— ექიმი,—რაა ექიმი?

— კაცი, რომელიც ავადმყოფებს მკურნალობს.

— მართლა?—რამდენიმე მილის მოშორებით ერთი საწყალი დედაბერი ცხოვრობდა ძეძვიანში. მან თილისმის ძალა იცოდა, ჯადოს ამზადებდა და ჰყიდდა.

— იმასავით?—უნდოდა გაეგო ჯეფს.

— არა, იმასავით კი არა, მეცნიერებით, როცა კაცს იმის ცოდნა აქვს, თუ რა იწვევს ავადმყოფობას.

ასე, ამგვარად დაიწყო ეს ამბავი და ახლა, როცა ჯეფს ხელიხელჩაკიდებული ელენი ფიქვნარში მიჰყავდა, მან გოგონას უთხრა:

— ჩემ გაგზავნას აპირებენ.

— შენ გაგზავნას? სად?

— ალბათ, ჩრდილოეთისკენ. სასწავლებლად, ექიმი რომ გამოვიდე.

ეს დაუჯერებელი რამ იყო; ელენმა ნაღვლიანად შესჩივლა ჯეფს, შენი წასვლის შემდეგ ვინღა იქნება ჩემთვისო, და ჯეფმა ნათლად წარმოიდგინა, თუ როგორ შეიკვრებოდა კვლავ წყვდიადი ელენის ირგვლივ, თითქოს აქამდე არც კი მოსვლია ეს აზრი თავში!

— მიყვარხარ,—თქვა ვაჟმა.—შენ, მხოლოდ შენ მიყვარხარ!

— გინდა კი წასვლა?

— მინდა,—საბრალო ხმით წამოილუღლუღა ჯეფმა.—ერთიდღეც იქნება მოვალ, უსათუოდ დავბრუნდები, გეფიცები, რომ დავბრუნდები!..

გიდიონმა მხოლოდ მაშინ გაანდო რეიჩელს ყოველივე, როცა კარდოზოსაგან პასუხი მიიღო. კარდოზო იწერებოდა: ამის მოწყობა შესაძლებელიაო. ჯეფი მასთან უნდა ჩასულიყო ჩარლსტონში, კარდოზო ფრედერიკ დუგლასს და ზოგიერთ სხვა მეგობარს მისწერდა ჩრდილოეთში. ჯერჯერობით ოცდახუთი დოლარიც საკმაო იქნებოდა და კარდოზო მოაგვარებდა ჯეფის გამგზავრებას ზღვით ბოსტონს, და მერე გიდიონმა რეიჩელს უამბო ყოველივე-

— რა სიშორესაა ეს ადგილი, ბოსტონი?

— ალბათ ათასი მილი იქნება,—მიუგო გიდიონმა.—ხომ გესმის, რას ნიშნავს, რეიჩელ, ჩვენი ვაჟი, მონობაში შობილი ბავშვი, ბოსტონს წავიდეს ექიმობის შესასწავლად?

რეიჩელმა თავი დაუქნია.

— როგორ გგონია, განა მე არ მინდა იგი აქ მყავდეს, ჩემთან ერთად?—შეშფოთდა გიდიონი.

რეიჩელმა პასუხად კვლავ გააქნია თავი, გიდიონმა ქალი გულზე მიიკრა;

— მოიხედე, გენაცვალე, ჩემო პატარა, დრო მოვა—შენი ბიჭით იამაყებ, ძალიანაც იამაყებ, ნახავ, რომ იგი დიდი, სახელოვანი ნაბიჯით გასწევს წინ.

— ვიცი,—მიუგო რეიჩელმა.

* * *

მაღალი, წვერიანი უფროსი, ტყავის წაღებში და ტალახში ამოგანგლულ სველ ტანსაცმელში ჩაცმული იანკი, რომელსაც, როგორც ჩანდა, ახლახან დაეღწია თავი მალარიის შეტევისაგან, გიდიონს მიუბრუნდა „შენ ლაპარაკობ ამათი სახელით?“ „დიახ“. „რამდენი ხართ?“ „ოცდაორი“, მიუგო გიდიონმა. „ბარი, ცული და წერაქვი. დღეში ერთი დოლარი. შვიდი დღე კვირაში—მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე. ხელფასს სამშაბათობით ვაძლევთ“. „კარგი“, თავი დაუქნია გიდიონმა. უფროსმა თვალით ფარდულზე ანიშნა, სადაც ხელფასს იძლეოდნენ და დასძინა: „ხელი მოაწერინე შენს ხალხს, ან ნიშანი დასვან“.

გიდიონი, ტრუპერი და ფერდინანდ ლინკოლნი მჭრელების გუნდში მოხვდნენ. ისინი ექვსი-რვა დუიმის სიმსხო მეორე ნაყარში შევიდნენ, მუხლებამდე წუმპეში ჩადგნენ და მთელი დღის განმავლობაში მათ ორლესულ ცულებს ჭახაჭუხი გაჰქონდათ. შავების უმრავლესობისათვის—მუშათა გუნდები კი შავებისაგან შედგებოდნენ—ეს მუშაობა რკინიგზაზე პირველი თავისუფალი შრომა იყო, რომელიც მათ ოდესმე გაეწიათ. როდესაც იანკის კომპანიამ მშენებლობისათვის საჭირო მუშახელის შესაგროვებლად დამქირავებელი კანტორები გახსნა ახლო მდებარე დაბა-ქალაქებში, ადგილობრივმა ვაჭრებმა თავი გადააქნიეს და დაასკვნეს: „დროის დაკარ-

გვაა. ზანგი ისე არ იმუშავებს, თუ ზურგზე მათრახი არ მოხვდა, ან თუ ვისიმე მონა არ იქნა". ისინი ამბობდნენ, რომ სამარცხვინო საქმე იყო ზანგისათვის დღეში ერთი დოლარის მიცემა; გააფუჭებენ, წაახდენენო ზანგებს, ვის გაუგონია ასეთი ხელფასი?! იანკი ინჟინრები და გუნდთა უფროსები მხრებს იჩეჩდნენ და მუშახელის დაქირავებას განაგრძობდნენ. „სულ ერთია,—ამბობდნენ ადგილობრივნი,— იმ ჭაობზე მიწაყრილის გაყვანა არ იქნება და ახია წყეულ იანკებზე!" მაგრამ რაგინდ უცნაური არ იყო ეს ამბავი, მიწაყრილი მაინც შენდებოდა. როდესაც მორებითა და ტოტებით ჯვარედინად ნაგები ძელური უკვალოდ შთანთქა ჭაობმა, ინჟინრებმა ხრეში ჩაჰყარეს და ხელახლა შეუდგნენ შენებას. როცა წვიმები დაიწყო და ჭაობი ტალახისა და კუპრის ნარევ ზღვად იქცა, კაცები წელამდე ლაფში იდგნენ და ძელებს ბრმად უშვებდნენ სავარაუდო ადგილზე. მერე კოლონები იერიშზე გადავიდნენ და აცახცახებული, ციებ-ცხელებით გათანგული კაცები სამკურნალოდ გარეკა სენმა; რიცხვი განცხადებებისა, მუშების დაქირავების შესახებ, კვლავ გაიზარდა. გულუბრყვილო ენთუზიაზმი, რომელმაც ეს მხარე მოიცვა, როცა ხმა გავრცელდა სამხრეთში რკინიგზა გაჰყავთო, მალე გაჰქრა; ყოფილი პლანტატორების, ზედამხედველებისა და მონებით მოვაჭრე ხალხისათვის რაღაც ავისმომასწავებელი კომპანია, საკუთრება ახალი ინგლისისა, ისეთივე გაუგონარი თავხედობით, ისევე მოურიდებლად იჭრებოდა ამ რკინიგზით მათ მიწაწყალზე, როგორც ომის დროს შერმანი გაიჭრა ზღვისაკენ.

შავებისათვის კი ეს ამბავი სხვა რამეს ნიშნავდა. გიდიონმა ახლა პირველად აუღო ალღო შრომის ურთიერთობას მთელ ცხოვრებასთან და ცივილიზაციასთან. ის და მისი ხალხი წლიდან-წლამდე მუშაობდა მონებად, არაფერი არ გააჩნდა, არაფერს არ იღებდა თავიანთ შრომისათვის სწორედ ისე, როგორც ჯორი ან ხარი მუშაობს ხოლმე. ახლა კი რკინიგზა იუწყებოდა იმ საქონლის შესახებ, რომლის ყიდვა მას უნდოდა; ეს საქონელი შრომა იყო; გიდიონი და მისი მეზობლები მოვიდნენ და თავიანთ შრომას ჰყიდნენ ერთ დოლარად დღეში. მათი შრომიდან იბადებოდა ახალი ნაყოფი, ოცნება, მიწაყრილი, ლაპლაპა ფოლადის რელსები, ღამეში ბღავილით მომავალი მატარებელი. ისინი წავლენ, როგორც თავისუფალი ადამიანები, ხელში საკუთარი ფულით და თავისი

მხრით ისინიც იყიდიან რამეს, უკან კი დასტოვებენ მას, რაც ღონესა და ოფლს შეუქმნია.

გიდიონმა არ იცოდა, შეიძლებოდა თუ არა რკინიგზის ასეთი ვაკისის გადაყვანა მონური შრომით; ერთი რამ კი აშკარა იყო მისთვის: მონები ამგვარად მაშინაც კი არ მუშაობდნენ, როცა ზურგს მათრახით უკრელებდნენ. მისი გუნდი საჯებირო ძელურისათვის ხეებს სჭრიდა და ასუფთავებდა. ორი კაცი მიადგება ხეს მოპირდაპირე მხრიდან, ერთი დაბლა სცემს ცულს, მეორე ცოტა ზემოთ, და მერე გაისმის ყვირილი და მგრგვინავი გამოძახილი ტყისა—„გზა მიეცით!“ წყალზე დაცემული ხის ტყლაშუნი, შტოების ჩამოჩეხვა—დაკვრა დაკვრაზე რიგრიგობით და მერე მორს რვა კაცი იღებს და ჯორშებმულ მარხილზე აგდებს. კაცები წელზევით შიშველნი მუშაობდნენ, მათი შავი ტანები ბზინავდნენ, კუნთები ტალღებივით დაგორავდნენ კანქვეშ. დასაწყისში ისინი მონის ძველ სამუშაო სიმღერებს მღეროდნენ, მაგრამ ეს აღარ ვარგოდა უკვე— რიტმი აღარ ეწყობოდა, ტემპი სხვანაირი იყო და ჩივილის თქმაც არ უნდოდათ უკვე სიმღერაში, და ამგვარად ახალი სიმღერები ჩაისახა თავდაპირველად უსიტყვოდ—მათ უნდა ემღერათ; პირველი სიტყვები ფიქრის უმარტივეს ძაფს გადმოსცემდნენ—„ბებერ ტყეს არ უყვარს ჩემი ნაჯახი“,—სიტყვებიც გაჩნდა, ჰანგიც დაიბადა.

გიდიონი გააზიზებულიყო თურმე. დაბინდებისას მას უკვე მთელი სხეული სტკიოდა და არავითარი სურვილი, არავითარი აზრი არ ჰქონდა თავში გარდა იმისა, რომ ფაცხაში ტახტზე დაგდებულიყო და დაეძინა. მუშაობა, ჭამა და ძილი—ეს იყო სულ, და გიდიონი თავისთავს ეკითხებოდა: „სადაა სწავლა, დასვენება, წიგნები ან სხვა რამე გარდა შრომისა ასეთ ცხოვრებაში?“ მონობიდან გამოსვლით ცივილიზაციის მთელი ერა იქნა უკან მოტოვებული, მაგრამ ნუთუ ადამიანი ამაზე გაჩერდება?

საჭმელს შეადგენდა დაბუღული ხორცი კარტოფილითა და ბრინჯით სამჯერ დღეში, რაც, მართალია, მეტისმეტად ერთფეროვანი იყო, მაგრამ არ დაიწუნებოდა. რიგში ჩამდგარი მუშები იღებდნენ თუნუქის მათლაფებზე დასხმულ კერძს. მათთვის მხოლოდ ჭამის დრო წარმოადგენდა ერთადერთ შესვენებას თოთხმეტსაათიანი სამუშაო დღის განმავლობაში. ისინი სახელდახელოდ აგებულ გრძელ ფარდულებში და ძველ სამხედრო კარვებში იძი-

ნებდნენ. მეოთხე გუნდის უფროსმა კელიმ მთავარ ინჟინერ რიდს უთხრა: „ჩემი გუნდი რომაა, ერთი ათი გუნდი მომეცი ასეთი და გზას თვით ჯოჯოხეთამდე გავიყვან“. ომში ინჟინრად ნამსახურმა რიდმა ამაზე მიუგო: „ცოტა დაიცა და მეორე ჯოჯოხეთი აქვე გექნება“.

მალე ციებ-ცხელების მორიგმა ტალღამ დაარტყა და რიდის სიტყვები გამართლდა: ჭაობი ჟამით მძვინვარე თონედ იქცა; კოღოების ლაშქარი მთელი დღე და ღამე ზუზუნით ღრიალებდა ჰაერში. გიდიონთან ერთად მოსული ჯორჯ რაიდერი ციებ-ცხელებით ჩაწვა და ოთხ დღეში სული დალია. ცხედარი ჰანიბალ უოშინგტონმა და ძმა პიტერმა წაიღეს შინ, რომ ქალები დასაფლავებას დასწრებოდნენ, ტირილით გული ეჯერათ და ამაში მაინც ეპოვნათ ცოტა ნუგეში. სულერთია როგორ, მაგრამ ადამიანმა მაინც თავისი უნდა ზღოს. გიდიონი ხრეშის ჩამყრელთა გუნდში გადაიყვანეს, მერე იგი ჰიკორის კაკლის ხეებიდან განძელებს სჭრიდა, და ერთხელ მათ სასტვენის ხმა გაიგონეს—ეს მუშა მატარებელი მობობღავდა წინ. ჭაობის წყალი დაიწრიტა, ტალახი გახმა და დასკდა; სიცხემ მოიმატა, მაგრამ მუშაობისათვის პირობები ახლა უკეთესი იყო. ჯვარედინად ნაგები ძელური ხრეშითა და ღორღით შეიმოსა და ფოლადის რელსებმა მუშა მატარებლისათვის ბილიკი გასჭიმეს. გიდიონი ლამობდა გაეგო ყველაფერი ეს და ამიტომ თავი უსკდებოდა ტკივილისაგან; ერთხელ მას ჰანიბალ უოშინგტონმა ჰკითხა:

— ზემოთ, გიდიონ, ჩრდილოეთში თეთრი ხალხიც ასე მუშაობს?

— ალბათ ზოგი მუშაობს.

— არც დასვენება, არც გართობა, არც დროსტარება?

— ალბათ.

— შენ გგონია, რომ ეს სწორია, გიდიონ?

— არ ვიცი; ვნახოთ, იქნებ გავიგო...

ეს ამბავი მოხდა მაშინ, როცა მამაკაცები სამუშაოდ იყვნენ წასულნი. ტრუპერს ქალიშვილი ჰყავდა, სახელად ჯესი; იგი თოთხმეტი წლისა იყო. ეს ამბავი მას შეემთხვა. გოგონამ მხოლოდ

ნაწყვეტ-ნაწყვეტად, უთავბოლოდ მოუთხრო მათ იმის შესახებ, თუ როგორ გაჰყვა იგი ძველ თამბაქოს გზას;[1] იგი ოცნებაში გაერთო თავისთავთან და გზას მიჰყვებოდა, როცა წინ ჯორშებმული ორთვალა შემოხვდა, რომელშიაც ორი თეთრი კაცი იჯდა. მათ გოგონას დაუყვირეს: „ჰეი, აქ მოდი!“ ჯესი მინდორზე გაიქცა, კაცები უკან დაედევნენ. გოგონა ძაღლმაყვალას ბუჩქებში შევარდა, დაეცა, კაცებმა იგი ბუჩქებიდან გამოათრიეს, ტანსაცმელი შემოახიეს და გააუპატიურეს. მერე იმაზე ლაპარაკობდნენ, მოეკლათ თუ არა, მაგრამ დაბოლოს გაუშვეს და ჯესი სირბილით მივარდა შინ შიშველი და შიშისაგან ნახევრად ჭკუაზე შემცდარი.

როდესაც ტრუპერმა ეს ამბავი შეიტყო, ლამის იყო თვითონაც ჭკუიდან არ შეიშალა; რისხვა მოერია, ეწადა სისხლი დაეღვარა, ჯოჯოხეთს იფიცებდა, თეთრი კაცი უნდა მოვკლაო. გიდიონი და ძმა პიტერი ცდილობდნენ გონზე მოეყვანათ იგი და ემუდარებოდნენ დამშვიდებულიყო; „უეჭველად ჩამოგახრჩობენ“. „ჩამომახრჩონ“. „მერე ამით ვითომ რას უშველი?“. „რამეს ვუშველი!“ ჯიუტობდა ტრუპერი. ბოლოს გიდიონმა დაგუბებული ბრაზით თქვა: „სისულელეს ამბობ, ასეთ რამეს როგორ იზამს კაცი?! შვიდი კვირაა ამ ჭაობში ვმუშაობთ—რისთვის? ერთი ჰკითხე შენს თავს, ტრუპერ,—რისთვის? კაცი ციებამ იმსხვერპლა, შინ წაიღეს და დამარხეს. ერთხელაც არ აგვიწევია თავი, რომ ლურჯი ცა დაგვენახა. რისთვის? აბა ჰკითხე შენს თავს!“

— რისთვის?—გაიმეორა გაშტერებულმა ტრუპერმა.

— ახალი ცხოვრებისათვის, ღმერთმა დაგწყევლოს, შეიგნე ეს ამბავი!

— თქმა არ უნდა, ბრტყელ-ბრტყელს ლაპარაკობ, გიდიონ, მედიდურად ლაპარაკობ, ხმას უწევ. ჩარლსტონს წახვედი და გადიდგულდი, ფართოდ ცხოვრობდი, გამოწკიპულ ზანგებთან და თეთრ ხალხთან იჯექი.

— შე სულელო, ჩარლსტონს იმიტომ წავედი, რომ იძულებული ვიყავი წავსულიყავ. წავედი და მეშინოდა, პატარად ვგრძნობდი თავს, რადგან იქ ბევრი რამ იყო შიშის მომგვრელი. ახლაც

---

[1] ძველ გზებს სამხრეთში დღემდე შერჩათ „თამბაქოს გზის“ სახელი, რაც ისტორიულად იმას ნიშნავს, რომ ამ გზებით თამბაქოს ეზიდებოდნენ ნავსადგურისაკენ.

არის, დიახ,—მან ტრუპერს ხელი მოჰხვია და თქვა:—გამოიხედე, კაცო, აქეთ. საზარელი ამბავია, რაც მოხდა, საკვალალო და საზარელი; პატარა გოგონამ ღრმა ჭრილობა მიიღო; მაგრამ ეს ჭრილობა მოშუშდება, ტრუპერ, ჭრილობები შუშდებიან. გოგონას დაავიწყდება. შენ თავად უნდა მიხვდე—რატომ, როგორ ხდება ასეთი რამ... შენ ცოლი გყავს, სხვა ბავშვებიც გყავს. ამ ჭაობის სამუშაოდან შინ თითქმის ათასი დოლარით დაგბრუნდებით,—გამიგონე, ტრუპერ, თითქმის ათასი დოლარით! ამდენი ფული ზანგს არასოდეს ჰქონია ჯერ ერთად მთელს ქვეყანაზე. ასეთი ფულით რაც გინდა იმას იზამ, გინდა ილოთებ, გინდა იმრუშებ. ასეთი ფულით ცოდვის საგნებს იყიდის კაცი, დიდებულსა და მშვენიერ რამეებს, ჭრელ ჩითის კაბებს, ტკბილეულს; ღმერთმა იცის, მეც არ ვიტყოდი ასეთებზე უარს, ტრუპერ,—ეს დიდი ცთუნებაა, მაგრამ მე კაცებს ველაპარაკე და მათ მითხრეს: „კარგი, გიდიონ, ეს ფული გადავდოთ და მიწა ვიყიდოთ.“ რატომ იქცევიან ასე ეს უმეცარი ზანგი მონები? რატომაა, რომ მათ ასეთი იმედი აქვთ, ასეთი რწმენა მომავლისა?

ტრუპერმა საბრალოდ გააქნია თავი.

— მე გეტყვი, რატომ. მომავალი ნელა ისახება, როგორც ხვალინდელი დღე, როცა მზე ჩავიდა და კაცს არ ეძინება. მაშინ იგი თავისთავს ეუბნება, ხვალინდელი დღე არასოდეს დადგება, მზე კვლავ აღარ ამოვა, ეს ღამე გაგრძელდებაო სამუდამოდ და კაცი ტრიალებს, ერთი მხრიდან მეორეზე ბრუნდება, ამ გრძელ მოსაწყენ წუთებს ითვლის და ითვლის, რადგან რული არ ეკარება თვალს. გეტყვი, რომ ეს დრო თითქმის გავიდა; ხვალინდელი დღე ნამდვილად მალე მოვა, თქმა არ უნდა. ყოველგვარი ძველი სიავე და ბოროტება ნელ-ნელა ჰქრება; ზანგს ლინჩებით ჰკლავენ, პატარა უმწეო გოგონას ნამუსს ჰხდიან—მაგრამ ეს ამბები თანდათან ისპობა.

* * *

გიდიონი რეიჩელს ჯეფის წერილს უკითხავდა. წერილში ჯეფი თავისი სასწავლებლის შესახებ ლაპარაკობდა. გიდიონს საოცრებად ეჩვენებოდა ის გარემოება, რომ მრგვალი, გულმოდგინედ გამოყვანილი ასოები მისი ვაჟის ერთადერთი ანარეკლი უნდა ყოფილიყო ახლა. იგი ცდილობდა ეს ნაპრალი გადაელახა უფრო

რეიჩელის, ჯენისა და მარკუსისათვის, ვიდრე თავისთვის. როდესაც ჯენიმ და მარკუსმა მოინდომეს ზუსტად გაეგოთ, თუ სად მდებარეობდა მესაჩუზეტსი, გიდიონს ამაზე ერთი პასუხის გაცემა შეეძლო მხოლოდ: შორს, ძალიან შორსაა; ეს ის ადგილია, სადაც იანკები ცხოვრობენო. „მხოლოდ იანკები?“ „ჰო, ალბათ მხოლოდ იანკები,“—მიუგო გიდიონმა ბავშვებს და განაგრძო:—„აგერ, აქ ჯეფი ქალაქზე ამბობს, ყური დაუგდეთ: „უორჩესტერი ლამაზია და ბევრი ხალხი ცხოვრობს; ასეთ ადგილს სიტი ჰქვია.[1] პირველად კაცს შეეშინდება კიდეც, მაგრამ მალე ეჩვევა ასეთ სიტიში ცხოვრებას“.

— როგორც ჩარლსტონია, არა?—იკითხა მარკუსმა, თუმცა მას მეტის-მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ჩარლსტონი.

— ჰო, ჩარლსტონივითაა ალბათ,—ყოყმანით თქვა გიდიონმა და მერე ისევ წერილს დაუბრუნდა.

— პრესბიტერიანულ უფასო სასწავლებელში თოთხმეტი მოსწავლეა, ყველა ჩემსავით ზანგი ბიჭები, მხოლოდ უმრავლესობა ობლები არიან, არც დედა ჰყავთ, არც მამა. ღირსეული ჩარლზ სმიტი და ღირსეული კლოდ საუთუიკი, რომელიც პრესბიტარიანელი კი არაა, არამედ იუნიტარიანელი, გვასწავლიან კითხვას, წერას, ანგარიშს, ლათინურს, ისტორიასა და გეოგრაფიას...

— რაა იუნიტარიანელი?

გიდიონმა არ იცოდა; სამაგიეროდ მას შეეძლო ეთქვა მათთვის, თუ რა იყო გეოგრაფია და რომ ლათინური—ენა იყო, რომელზედაც მრავალი ასეული წლების წინ ლაპარაკობდა ის ხალხი, რომელიც სხვა ქვეყანაში ცხოვრობდა. „ახლაც იმ ენაზე ლაპარაკობენ?“ გიდიონი ამაში არ იყო დარწმუნებული და არც ის იცოდა, აპირებდნენ თუ არა ჯეფის გაგზავნას იმ ქვეყანაში. გიდიონმა კითხვა განაგრძო:

— ჩვენ ვმეცადინეობთ და გვძინავს ოთახში, რომელიც სამოძღვარო ბინის უკანაა და რომელსაც ფლიგელი ჰქვია. ქალების კომიტეტი საჭმელს გვიმზადებს და მათ აქვთ ჩაბარებული ჩვენი

---

[1] City —ა. შ. შტატებში ასე თუ ისე მნიშვნელოვან ქალაქს ეწოდება, რომელსაც ადგილობრივი თვითმართველობა განაგებს; განირჩევა ტაუნისაგან (town), რაც დაბას ან პატარა ქალაქს ნიშნავს.

ტანსაცმელი: ტანსაცმელი სუფთაა და კარგი, სულ ცოტათია მხოლოდ ნახმარი. სამაგიეროდ ჩვენ ვმუშაობთ: ბალახს ვთიბავთ, ფანჯრებს ვრეცხავთ, ვგვით და ეკლესიას ვასუფთავებთ, რისთვისაც 10 ცენტს ვიღებთ სახარჯავად. თქვენ მენატრებით, მაგრამ აქ ბედნიერი ვარ. ელენს უთხარით, რომ ისიც მენატრება...

რეიჩელი თვალებზე მომდგარ ცრემლს იწმენდდა, მარკუსი და ჯენი კი ფიქრით ჯეფთან იყვნენ, მის ცხოვრებას იყოფდნენ ჩრდილოეთში, თანაც იმ მომხიბლავი ადგილების გამო დავობდნენ, რომელთა შესახებ ჯეფი იწერებოდა.

— ხედავთ,—თქვა გიდიონმა,—რა კარგი რამაა ეს მისთვის?—გიდიონს შესწევდა ძალა ჯეფის ოცნებას ადევნებოდა. წერილებში იგი ნამდვილად დაუახლოვდა ჯეფს, რასაც მათი ერთად ცხოვრების დროს არ ჰქონია ადგილი. ერთ-ერთ წერილში გიდიონმა ვაეს მისწერა:

— ის წიგნები წაიკითხე, ჩარლზ დიკენსი რომ სწერს. ისინი შენ ბევრ რაიმეს გასწავლიან კაცთა ძმობის და კარგი და ცუდი ხალხის შესახებ.

* * *

სანამ მიწის შესახებ დაიწყებდა მოლაპარაკებას, გიდიონი ებნერ ლეიტთან გაემართა. ერთ დილით მან აუჩქარებლად გაიარა გზა ებნერის კარმიდამომდე, ეზოსთან ჭიშკარს მიეყრდნო და ელოდა, როდის შენიშნავდა მას თეთრი მასპინძელი. სახლის კარებში მისის ლეიტი გამოჩნდა, მან თვალი შეავლო გიდიონს და უკან შებრუნდა. გიდიონს ჯიმი მიუახლოვდა ზლაზვნით და აუწყა, ებნერი ღორებს საკვებს აძლევსო.

— რა გქვია, ზანგო?—იკითხა ბიჭმა.

— გიდიონ ჯეკსონი.

— უწინ მინახავხარ.

— მართალია,—თავი დაუქნია გიდიონმა.—ალბათ გახსოვს, შარშან შემოდგომაზე ამ გზაზე რომ გამოვიარე.

— აჰა.

— რა ხნის ხარ, ბიჭიკო?—იკითხა გიდიონმა.

— ათისა.

— სწავლობ?

ბიჟმა გაიღიმა და თავი გააქნია: „არც მინდა“.

საღორე ბაკიდან ებნერი გამოვიდა და თავი დაუკრა გიდიონს.

— დილა მშვიდობისა!

— დილა მშვიდობისა, მისტერ ებნერ,—მიუგო გიდიონმა.— ვხედავ, შესანიშნავი ყანა გქონია. რამდენიმე აკრზე ბამბაც დაგითესავთ. შემოსავლიანი რამაა, წელს კარგა ბლომად მოგცემთ ფულს.

— თუ მოვკრიფე კი,—თქვა ებნერმა.

— მოკრეფთ.

— ძალიან კარგია, რომ ასე დაიმედებული ხარ,—თქვა ებნერმა,—იქნებ მოხვიდე და მომეხმარო!

— ვნახოთ, რატომაც არა.

ებნერმა შარვალი აიწია, გააფურთხა და ხელები საჯდომს აუსვ-დაუსვა.—გავიგე, რკინიგზაზე მუშაობდი, გიდიონ,—თქვა ებნერმა. ახლა მათ პიტერი და ებნერის პატარა, ექვსი წლის გოგონა მიუახლოვდა; გოგონა მამას ქამარზე ჩამოეკიდა და შუბლზე ჩამოყრილ წითური თმებიდან თვალს არ აშორებდა გიდიონს.

— მართალია.

— მგონია, რომ ვერაფერი საკადრისი უნდა იყოს ამპარტავან ზანგისათვის კონვენტში ჯდომის შემდეგ.

— იქნებ საკადრისია, იქნებ ვერა; გააჩნია, როგორ შეხედავ ამ ამბავს.—გაიღიმა გიდიონმა.

— როგორც ეტყობა, ზანგები ეპატრონებიან მთელ შტატს.

— მე არ ვიტყოდი ამას, მისტერ ებნერ.

— არ იტყოდი?

— შეიძლება შემოვიდე, მისტერ ებნერ? ყელი გამშრალი მაქვს და ერთ ჭიქა ცივ წყალს ძალიან დაგიმადლიდით.

— მე მოვიტან,— წამოიძახა პიტერმა და ჭისკენ მოკურცხლა.

— შემოდი,—მოკლედ თქვა ებნერმა და გიდიონს ფართოდ გაშლილი ხის ჩრდილისკენ გაუძღვა; ებნერი ჩაცუცქდა, გიდიონი მის გვერდით დაჯდა მიწაზე. პიტერმა თუნუქის ფიალათი წყალი მოიტანა; გიდიონმა შესვა და მადლობა თქვა. „კარგი ჭა გქონია“,— მოწონების ნიშნად თავი დაიქნია გიდიონმა.

— წყალს ცივად ინახავს, დაჩრდილული მაქვს,—თქვა ებნერმა.—ცივ ანკარა წყალს ვერაფერი შეედრება.

აივანზე ებნერის ცოლი გამოვიდა ისევ, ერთი წუთით კაცებზე შეაჩერა მზერა და შინ შებრუნდა. „კარგი დრო არც ისე ხშირად მოდის, რომ მას კაცმა ზურგი შეაქციოს“.

— გააჩნია, როგორ გესმის ეს ამბავი.

— მე ისე მესმის, რომ უკეთესი დრო დაგვიდგება, ვიდრე ომამდე იყო,—ნელა უპასუხა გიდიონმა.—შესაძლებელია პლანტაციის ხალხისთვის ძნელი სათოხარი გამოდგეს, მაგრამ წვრილ ფერმერს ბევრი შესაძლებლობა ექნება ისეთი, რაც წინათ არ ჰქონია.

— აჰა.

— როგორც იტყვიან,—გიდიონმა გამხმარი ბალახის ღერო ამოაძრო, ჩაფიქრებით ღეჭვა დაუწყო და განაგრძო:—კარგი დროება ერთია და ბრიყვის ედემი—მეორე. ებნერი არაფერს ამბობდა; მან მზეს აჰხედა, თითქოს ანგარიშობდა, რამდენი ხანი დაჰყოო უკვე გიდიონმა. გიდიონთან ებნერის მონადირე ძაღლი მივიდა, დაჰყნოსა მას და მერე მიწაზე გაიშხლართა. ბავშვები სადღაც წავიდ-წამოვიდნენ. სახლიდან ებნერის ცოლის ხმა მოისმა:

— პიტერ, მოდი აქ!

— საქმეს ასე შევხედოთ,—თქვა გიდიონმა,—რაც იყო-იყო; ერთ კაცს ვერ ნახავ ამ მიდამოში, რომ ომს დიდი გაჭირვება და მწუხარება არ მიეყენებინოს. შინ ქალები მუშაობდნენ, წვალობდნენ და იმედით ცხოვრობდნენ; მე და შენ დავბრუნდით, დავიმკლავეთ და ვთქვით, რომ ამ ვარამიდან რამე შეგვექმნა. ცოტაოდენი მარცვალი გვაქვს, ორიოდე სული პირუტყვიც გაგვაჩნია. ცოტა რამ სარჩო და ბოსტნეული მოგვყავს. თქმა არ უნდა, ერთი კაცის პირობაზე ბევრი მოგიხნავს, სიმინდი და ბამბა დაგითესავს; ვიცი, რომ წელში წყდები; ჰო, ყანა კი გაქვს, ისეთი ყანა, რომ კაცი იამაყებს, მაგრამ ვის ეკუთვნის ეს მიწა, შენ. რომ ხნავ, მისტერ ებნერ?

— ვის ეკუთვნის?—შეაჩერდა ებნერი გიდიონს.—ღმერთმა შემაჩვენოს, თუ ვიცოდე ან თუ დაგიდევდე—ვის ეკუთვნის! ერთ დროს ადლი კარუელის იყო, მგონი მან დაჰკარგა და ფერგიუსონ უაიტს ჩაუვარდა ხელში. ამბობენ, უაიტი ტექასში გადავიდაო.

— მართალია, მიწა გადასახადებმა წაიღეს, ყოველი ფუტი, ყოველი აკრი, რაც ერთხელ კარუელისა იყო.

— ძალიან კარგი, წაიღონ. ღმერთმა ხომ იცის, რომ გადასახადების ფული მე არ გამაჩნია.

— საქმეც ეგ არის,—წყნარად თქვა გიდიონმა.—კარუელის მამული საჯარო ვაჭრობით გაიყიდება კოლამბიაში ოქტომბრის თვეში. მე ეს ფედერალურ კომისრისაგან შევიტყვე. ალბათ, ათასათას აკრიან ნაკვეთებად გაჰყიდიან, ამაზე უფრო მცირე ნაკრებად არ დაანაწილებენ. და როცა გაიყიდება, სად უნდა წავიდეთ, მისტერ ებნერ? თუნდაც შენ, სად უნდა წახვიდე?

— სადაც ვარ, იქვე დავრჩები,—გულგრილად თქვა ებნერმა.—ვერცერთი წყეული იანკი ვერ მეტყვის, აქედან აიბარგეო, ვერცერთი წყეული ზანგთმფლობელი ვერ მეტყვის ამას. მთელი ომის მანძილზე თოფისთვის ხელი არ მიშვია—და რა ოხრობა მივიღე ამ ომიდან? არა, ჩემო ბატონო, აგერ აქ ვზივარ საკუთარ საჯდომზე და ვერავინ ვერ მეტყვის, სხვაგან წადიო!

— ბოდიშს ვიხდი, მისტერ ებნერ, მაგრამ აბა დაუკვირდი, რას ამბობ. ვერავინ ვერ გეტყვის, აიბარგეო,—ძალიან კარგი, მაგრამ სინამდვილეში სხვანაირადაა. შერიფი მოგადგება—რას იზამ? კანონს შეებრძოლები? პლანტატორს, რომელსაც ზურგში კანონი და წესწყობილება უდგას, შენ აჯობებ? როგორ შესძლებ ამას?

— მე ზანგისაგან ჭკუის სწავლება არა მჭირდება.

— კარგი, მაგრამ ერთი წუთით დამაცადე, მისტერ ებნერ, როგორ უყურებ ზანგებს—ეს შენი საქმეა და მე იმისათვის არ მოვსულვარ, რომ ამაზე დავა გაგიმართო. მაგრამ ერთს კი გეტყვი: რაც არ უნდა იფიქრო ზანგზე, იგი შენი მტერი არაა.

ებნერმა გიდიონს ცივად მიმართა:

— ღმერთმა დაგლახეროს, აქედან გაეთრიე.

— კარგი, წავალ,—ტუჩების მოკუმვით თქვა გიდიონმა,—წავალ, კარუელის მიდამო საჯარო ვაჭრობით გაიყიდება და მაშინ მთელ ქვეყანაზე გაბოროტდები. მაგრამ რას იზამ? ერთ რამეს გეტყვი, მისტერ ებნერ, სულერთია, გინდა ამის მოსმენა, თუ არა. მე და ჩემი ხალხი ჭაობში სამუშაოდ წავედით, რომ მიწის საყიდლად ფული გვეშოვნა. აქ, ჩვენს მხარეში უმიწაწყლო კაცი მონაზე უკეთესი ვერაა, და დიდი განსხვავებაც არაა, მისტერ ებნერ, ზანგია ეს მონა, თუ თეთრი კაცი. ჩვენ თითქმის ათასი დოლარი ვვაქვს ახლა. ისეთ ბანკირს რომ მოვძებნიდეთ, რომელიც გირავნობის

სიგელზე თანხას გვასესხებდა, მაშინ საჯარო ვაჭრობაზე წავიდოდით და რამდენიმე ათასაკრიან ნაკვეთს შევევაჭრებოდით. იმას რა აჯობებს, წახვიდე და შენი საკუთარი მიწის ნაკვეთისთვის ივაჭრო!

ებნერ ლეიტი ბარძაყებზე ირწეოდა ჩაცუცქული, მიწას დაშტერებოდა და თითით უცნაურ ხაზებს ავლებდა სილაზე. რამდენიმე წუთი გავიდა და თეთრი არაფერს ამბობდა. დასცქეროდა მხოლოდ თავის დიდ, უხეშძვლიან ხელებს, ფორთოხლისფერ თმას, რომელსაც ხეშეში მავთულის ხვეულებით დაეფარა კანი, დასცქეროდა იანკის ხიშტით დანაჭდევ . დაღს მაჯაზე. გიდიონი თვალს არ აშორებდა ებნერს და ლამობდა ოდნავ მაინც მიმწვდარიყო იმ შინაგან ბრძოლას, რომელსაც ებნერი ამ წუთში თავისთავთან განიცდიდა და რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე წინააღმდეგობებში ჰგლეჯდა მის გულს: ვინ სძულდა მას? რისთვის იბრძოდა იგი? რატომ? მკვლელობის, ლაშქრობათა და მკვლელობისაგან თავდაცვის წლების შემდეგ ადამიანი ის აღარაა უკვე, რაც მანამდე იყო. იგი შინ ბრუნდება, კვლავ სახნისს ჰკიდებს ხელს და ღორებს საკვებს აძლევს, მაგრამ იგი ის აღარაა, რაც მანამდე იყო.

— მე ფული არა მაქვს,—გაისმა დაბოლოს ებნერის დაღლილი ხმა, რომელშიაც მკვახე კილო გამქრალიყო უკვე.—ოთხი დოლარი და სამოცი ცენტი—ესაა სულ, რაც ჩემს სახლში მოიძებნება, გიდიონ.

— შენ არც გჭირდება ფული,—უპასუხა გიდიონმა.—მე მოსახლეებს ვეძებ, რომლებიც მიწის ყიდვაზე დათანხმდებიან. რაც ჩვენ ფული გვაქვს, საკმარისია საქმის დასაწყებად, თუ არა, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ საერთოდ არაფერი აო გამოვა ამ საქმიდან. კარუელის მიდამოზე ოცდაშვიდი ზანგის კომლია და შვიდი თეთრისა—ყველა ამ მიწაზე ვსახლობთ; როცა მიწა გაიყიდება, ჩვენ ყველამ გუდა-ნაბადი უნდა ავიკრათ, ან ღალაზე მომუშავე ხიზნები უნდა გავხდეთ. თითო კომლზე ასე ოთხმოცი-ოთხმოცდაათი აკრი რომ ვთქვათ,—ცოტა მეტი ან ცოტა ნაკლები,ეს კომლს გააჩნია,—ასეთ ნაჭერზე პატარა ბუჩქნარიც იქნება დასაწვავი, ცოტა საძოვარი, ცოტა სახნავი; მაშინ სამი ნაკვეთი, თითო ათასაკრიანი, გვეყოფა, ყველა ჩვენთაგანს შეხვდება საკუთარი ნაჭერი მიწა.

— მე რაღად გინდივართ—იკითხა ებნერმა,—რა გამიკეთე-

ბია თქვენთვის კარგი? მე ზანგის მოტრფიალე არ ვარ და არც წყეული სკელაუეგი, რომ მოხვიდე და უკანალი მილოკო.

— მართალია,—დაეთანხმა გიდიონი.

— მაშ რატომ მოხულხარ?

— კარგი, ყური მიგდე,—თქვა გიდიონმა,—მოდი საქმეს ასე შევხედოთ: ამ ჩვენს სამხრეთში ოთხი მილიონი ზანგია, რვა მილიონი თეთრი. აგერ, ჩვენს სამხრეთ კეროლაინაში კი შავი კაცი სჭარბობს. ის, რაც ძველად იყო, არასოდეს დაბრუნდება, ძველ წესრიგს ომმა მოუღო ბოლო. კონვენტით და არჩევნებით ჩვენი სამხრეთისათვის ახალი ცხოვრება მოდის. როგორი იქნება, მისტერ ებნერ, ეს ახალი ცხოვრება? აქედან, ამ ძველ დამპალ ქოხმახებიდან, რომლებშიაც ხალხი ომამდე ცხოვრობდა, ბევრს ვერაფერს დაინახავს კაცი ძველებური გაბოროტებით, ძველი სიძულვილით და ბნელი უმეცრებით. სადაა ეს ახალი ცხოვრება? მართალი თუ გინდა, იგი ასე უბრალოდ, მარტო სურვილით არ დამყარდება; არაფერი არ ხდება ასე. ყველაფერი შექმნილია. რკინიგზა ახლა ჭაობზე გადის, რადგანაც ხალხი წავიდა და იმუშავა—ლაპარაკით კი არ გაკეთებულა! იგივეა აქაც. კარგი მიწაა ეს ჩვენი მიდამო, ტკბილი, რძისა და თაფლის ბარაქით სავსე მიწაა, თუ კარგად დაამუშავებ. არც სიცივე იცის, როგორც იანკის მხარეში, არც სნეულებითაა სავსე, როგორც დაბლა მდინარის მხარეა. კარგი ხალხიც ცხოვრობს, კარგი თეთრი ხალხი და კარგი შავები...

— კარგი იყო, სანამ წყეულმა იანკებმა არ დააქციეს,—ჩაურთო ებნერმა.

— დააქციეს კი? ომი სავალალო რამაა, მწუხარება და გავერანება მოაქვს. შენ თოფი აიღე ხელში, მეც თოფი ავიღე და, ასე ვთქვათ, მე და შენ ერთმანეთს ვებრძოდით. რისთვის? მართალია, იანკები მოვიდნენ, ზანგები გაათავისუფლეს და ალბათ პლანტატორების ნახევარი გაჩანაგდა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს რამდენი პლანტაციაა სულ აქ? აბა ერთი მიიხედ-მოიხედე—ყველგან, სადაც თვალი მისწვდება, სულერთიანად კარუელის მიდამოა. მე, მე ზანგი მონა აღარ ვარ, თავისუფალი კაცი ვარ; შენი მდგომარეობა იგივეა რაც ომის წინ იყო, შეიძლება უკეთესიც. ომამდე იმედიც კი არ გვქონდა, რომ საკუთარ მიწას იყიდდი ოდესმე. კარგი მიწის ყოველი დუიმი რომელიმე პლანტაციის ნაწილი იყო, ღარიბ თეთრს დიდი ჭაობი თუ ექნებოდა ან ერთი მტკაველა

ფიჭვნარი, სადაც ორიოდე მარცვალი მოჰყავდა. იანკიმ მიწა დაგვიტოვა და ცოტა უფრო მეტი იმედი, ვიდრე ძველად გვქონდა.

ებნერი თითს სილაში ურევდა. „განაგრძე", თქვა მან.

— კარგი. რა უნდა იყოს მომავალი, თუ არა ის, რასაც ჩვენ თვითონ შევქმნით? იგი ცუდი არ იქნება, თუ შავისა და თეთრისთვის ერთნაირს გავხდით მას. ამ სიძულვილს ბოლო არ ექნება ჩვენ შორის, თუ მომავალი ჩვენთვის, ორთავესთვის არ იქნა. ჩვენ უფრო ძლიერი ვიქნებით მიწის საყიდლად, თუ შენ შემოგვიერთდები, თუ მაქს ბრომლი შემოგვიერთდება, თუ ძმები კარსონები და ფრედ მაკჰიუ შემოგვიერთდებიან.

— არ შემოგიერთდებიან.

— შესაძლებელია შემოგვიერთდნენ, მისტერ ებნერ. ქვეყანა იცვლება. ჩვენს კარმიდამოზე ახლა პატარა სკოლაც გვაქვს. შენი ბავშვები რატომ არ უნდა დადიოდნენ იქ? როდისმე მთავრობა მოვა და ნამდვილ კარგ სკოლას აგვიშენებს. ახლა კი შენს ბავშვებს არაფერი არ უშლის ხელს ჩემ ბავშვებთან ერთად იაროონ სკოლაში, რა ვუყოთ, რომ ისინი თეთრები არიან, ჩემები კი შავი.

ებნერმა თავი გააქნია.

— ეს ამბავი ისეთი რამაა, მისტერ ებნერ, რომ კაცმა კარგად უნდა ასწონდასწონოს. ვაღიარებ, რომ დროა საჭირო. მაგრამ არავითარი მიზეზი არ არსებობს, რომ შენ ამ მიწის თაობაზე არ შემოგვიერთდე.

— შეჩვენებული ზანგის წყალობა არ მჭირდება მე,—ჯიუტობდა ებნერი.

— წყალობა არაა, როცა საკუთარი ზურგის გამაგრება მინდა. მე რომ ბანკირთან მივიდე და ვუთხრა თეთრებს ამ საქმეში წილი უდევთ-მეთქი, მაშინ ბევრად უფრო მაგარი მექნება ზურგი.

— შესაძლებელია ასეც იყოს.—ებნერი ერთი წუთით შეჩერდა და შემდეგ დასძინა:—საიდან იცი, რომ მოგვყიდიან მიწას?

— მიწის აგენტს ველაპარაკე, იანკის, ის ამბობს, რომ საჯარო ვაჭრობა იქნება და ვინც მეტს შეაძლევს, მიწა მას დარჩება.

— ვინ იცის, იქნებ ტყუილს ამბობ.

— ვინ იცის,—თქვა გიდიონმა; მერე მათ ერთმანეთს შეხედეს და ებნერმა პირველად გაიღიმა.

— ვინ მიდის მიწის საყიდლად?

— ჩვენებს უნდათ, რომ მათი სახელით მე ვილაპარაკო. ეს არაა ჯერ გადაწყვეტილი. ამაზე შეიძლება მოვითათბიროთ.

— მეც შენ მოგანდობდი.

— მაშ შემოგვიერთდები?—იკითხა გიდიონმა.

— შემოგიერთდებით.

— სიხარულით ჩამოგართმევდი ხელს ამის გამო, მისტერ ებნერ,—თქვა გიდიონმა,—და ამაყადაც ვიგრძნობდი თავს.

ებნერ ლეიტმა თავის სიცოცხლეში პირველად ჩამოართვა ხელი ზანგს.

* * *

ძმებ კარსონებთან ორსაათიანი ლაპარაკის შემდეგ, გიდიონმა ისინიც დაითანხმა და სამოცდახუთი დოლარიც მიიღო მათგან საერთო თანხაზე დასამატებლად. მაქს ბრომლი გიდიონის ყოველ არგუმენტზე თავს აქნევდა—ზანგებთან საერთო არაფერი მაქვსო, და ამით საუბარი დასრულდა კიდეც. ფრედ მაკჰიუ დაყაბულდა, ასევე მოიქცა მისი სიძე ჯეიკ სატერი. გიდიონს სამი დღის ხვეწნა-მუდარა დასჭირდა საკუთარ ხალხთან.

— რად გვჭირდება თეთრები?—გაგულისებით კითხულობდნენ ისინი. ფული მათი იყო, განა ერთი მათგანი ამისათვის არ მოკვდა ჭაობში?

გიდიონმა მათ მდგომარეობა აუხსნა. იგი მოთმინებით იმეორებდა ერთსა და იმავეს. კიდევ კარგი, რომ ხალხის ნახევარი თავიდანვე მის მხარეზე იყო; დაბოლოს დანარჩენებიც დაიყოლიეს. გიდიონი გამარჯვებას ზეიმობდა, უკანასკნელი თვეების განმავლობაში იგი პირველად განიცდიდა კვლავ გამარჯვების მთრთოლვარე სიხარულს. ახლა მას რეიჩელი გულზე ჰყავდა მიკრული და თითქოს ძველი, დიდი ხნის უკან მოტოვებული ჭაბუკობა დაუბრუნდაო.

მერე, როცა ოთხმა დღემ განვლო მას შემდეგ, რაც გიდიონმა ებნერ ლეიტი მოინახულა, ეს უკანასკნელი გორაკზე ამოვიდა მათთან თავისი ორი ბიჭის თანხლებით და გიდიონს უთხრა:

— ჰელენს ველაპარაკე და მისი აზრით, ბავშვებმა ანბანი უნდა ისწავლონ.

ბიჭები ცქმუტავდნენ, ერთმანეთს მუჯლუგუნს სთავაზობდნენ,

და წკმუტუნებდნენ. ებნერმა მათ ხელი წაარტყა და უთხრა, ფრთხილად, თორემ მე ვიცი, რასაც გიზამთო. მას ახლა საკუთარი სირცხვილიც ეყოფოდა, რასაც იგი ზანგებთან მისი ამგვარი მოსვლის გამო განიცდიდა; გიდიონი ამიტომ შეეცადა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ებნერისათვის ეს უხერხულობა შეემსუბუქებინა.

— გმადლობ, მისტერ ებნერ, ეს დასაწყისი იყოს,—თქვა გიდიონმა.

ებნერმა თავი დაუქნია; იგი ცოტა ხანს კიდევ იდგა ჩუმად, მერე მიბრუნდა და გზას გაუდგა უკან.

თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე

როგორ იმოგზაურა შორეთს გიდიონ ჯეკსონმა და როგორ შოარიგა საქმე ისე, რომ არჩევანი მისი იყო

კოლამბიის „პირველი ნაციონალური ბანკის“ ვიცე-პრეზიდენტმა კარლ რობინსმა თავი გაიქნია და გიდიონს უთხრა, არა, არ მაინტერესებს, ხელს არ მომცემს, სრულებით არ მაინტერესებსო, და თანაც ოდნავ გაიღიმა, რომ თავისი სკეპტიციზმი დაედასტურებინა. მისტერ რობინსს მსხვილი მელოტი თავი ჰქონდა, ქერა თმით შემოქობილი, წვრილი ჭროღა თვალები და სქელი კოტოტი, რომელიც თავის ქალას თითქოს მუთაქად ემსახურებოდა. იგი მოთმინებით უხსნიდა გიდიონს:

— იცით რა, ჯეკსონ, საქმე ასე უბრალოდ არ კეთდება. ქაოსი გვექნებოდა, ასე უბრალოდ რომ ვწყვეტდეთ ყველაფერს. ჩემთან მოდიხართ ათასი დოლარით და მეუბნებით, რომ თქვენ ხართ ვიღაც ზანგებისა და თეთრი ნაძირალების, ჭრელი ბრბოს, წარმომადგენელი, კარუელის მიწაზე უკანონოდ მოკალათებული ხიზნების წარმომადგენელი, და წინადადებას მაძლევთ, რომ ბანკიდან სესხი მოგცეთ საჯარო ვაჭრობაზე მიწის შესაძენად. ეს სრულიად ფანტასტიკური რამაა.

— უბრალო სესხი კი არა,—შეედავა გიდიონი,—ნასესხები ფული საგირაო თანხა იქნება.

— დაიცადეთ, ჯეკსონ,—გააწყვეტინა სიტყვა რობინსმა,—საღად განსაჯეთ თქვენ თვითონ. ახლა ცუდი დროა, ძნელად თუ ვინმე გაბედავს საერთოდ გირაოს აღებას, მით უმეტეს ისეთ მამულზე, რომელიც არ არსებობს, აბა ორიოდე მაწანწალა ზანგი რა გარანტიას უნდა წარმოადგენდეს?

— გთხოვთ, ბატონო, მისტერ რობინს,—შეეეედრა გიდიონი,—ჩვენ მაწანწალები როდი ვართ; მთელი ჩვენი სიცოცხლე იმ მიწაზე ვცხოვრობთ, იმ მიწას ვამუშავებთ, სამჯერ საკუთარი მოსავალი ავიღეთ. რომ მოხვიდოდეთ და საკუთარი თვალით ნახავდეთ კარუელის მიდამოს, დარწმუნებული ვარ, აზრს გამოიცვლიდით.

— ზანგებისაგან ჭკუის სწავლებას ჩვეული არ ვარ,—მიუგო რობინსმა.

— მისტერ რობინს, ბატონო, ამიტომ არ მითქვამს. ნამდვილს მოგახსენებთ, მერწმუნეთ, ბატონო! ჩვენ პატიოსანი ხალხი ვართ, ჩვენი ერთადერთი იმედი ორიოდე აკრი მიწაა.

— სრულიადაც ვერ ვხედავ ამ პატიოსნებას,—მოთმინების ფიალა აევსო მისტერ რობინსს. მან საათს დახედა და თავი დაუქნია მცველს, რომელიც ცოტა მოშორებით იდგა ტიხრის უკან.— თუ კეთილსინდისიერებასა და მუშაობის სურვილს გამოიჩენთ, ვინც არ უნდა იყიდოს ის მიწა, ყველას იქვე დაგტოვებთ და საჭუშაოს მოგცემთ. მართალი თუ გინდათ იცოდეთ, მე არ მომწონს ის იდეა, რომ ზანგებს საკუთარი მიწა ჰქონდეთ; ეს მათ გააფუჭებს მხოლოდ. უკაცრავად, ჯეკსონ, მაგრამ საქმეები მაქვს.— და ამ მომენტში მცველიც მოვიდა, გიდიონს ხელი მოჰკიდა მკლავში და გარეთ გაიყვანა.

* * *

რეიჩელი გიდიონს ანუგეშებდა:

— ყველაფერი კარგად იქნება, გიდიონ, დაიმახსოვრე ჩემი სიტყვა; ნახავ, თუ საქმე კარგად არ დამთავრდეს.

გიდიონს სადღაც, გონების კუნჭულში ესმოდა ცოლის სიტყვები და ამავე დროს ფიქრობდა: რამდენია, ნეტავ, ზანგებში კიდევ ისეთი, რომლებიც ასევე ფიქრობენ, როგორც ეს—მხოლოდ დღევანდელ დღეზე, და ხვალინდელზე კი არასოდეს არ ზრუნავენ! ძვალ-რბილში გამჯდარი მონობა ისეთი რამაა, რომ მას ერთი ხელის მოსმით ვერ მოიშორებ თავიდან, იგი ბორკილებზე უარესია. აგერ გიდიონი უბადრუკი, ბეჩავი დაბრუნდა კარუელს, რეიჩელს კი უხარია, რაკი ქმარი შინა ჰყავს. ცოლის სიტყვებზე გიდიონმა ბრაზიანად წამოიწყო: „ვერ ხედავ?..“ მაგრამ სიტყვა

გასწყვიტა, როცა რეიჩელმა განაგრძო: „საქმე კარგად დასრულ-დება, რაკი შენ ხელი მოჰკიდე, გიდიონ, გენაცვალე“.

გიდიონს ღიმილი მოერია. იგი შეჰყურებდა რეიჩელს: ეს მრგვალი ნაკვთები, ქალური სინაზე, ბრტყელი ღაწვები, პატარა, ოდნავ ზეაწეული ცხვირი, სუსტი პრიალი კანისა, რომელზედაც ცეცხლის გიზგიზი ირეკლებოდა, უმწეო კილო მის ხმაში, როცა იკითხა: „რატომ დამცინი, გიდიონ!“

— არ დაგცინი, გენაცვალე,—და გიდიონს ნათლად წარმოუდგა მიზეზობრივი კავშირის მთელი უცნაურობა, რომელიც ასე არაჩვეულებრივად ართულებდა ცხოვრების სიმარტივეს. აგერ ეს ქალი, მისი ცოლი, რომელიც მას ასე მხურვალედ, ასე ღრმად უყვარდა ამ წუთში, მისი არსებობა დაკავშირებული იმ საბრალო შავ კაცთან, რომელიც დიდი ხნის წინათ აფრიკის სანაპიროს მოჰგლიჯეს; ამ ქალის არსებობა დაკავშირებული ჯეფთან, მასთან—გიდიონთან,—დაკავშირებული იმ განუწყვეტელ სიცოცხლით მფეთქავ ნაკადთან, რომელსაც კაცობრიობა ჰქვია, რომელიც მაღლა ისწრაფის, მარად რაღაცას ელტვის, ზეიმობს და იტანჯება...

— რაზე ფიქრობ, გიდიონ?—იკითხა რეიჩელმა. ჯენი მამას მკლავებზე აუცოცდა. მარკუსი ბუხართან იწვა, რეიჩელმა ახლა გოგონას მიმართა:—შენი დაწოლის დროა, ჯენი.

— ახლა რაღა გიამბო, მტრედო?—ჰკითხა გიდიონმა ჯენის.

— მელაკუდას ამბავი.

— მელაკუდაზე! რაც ვიცოდი, ყველაფერი გიამბე უკვე, ჩემმა მზემ,—თქვა გიდიონმა.

— რატომ არასოდეს არ შეხვედრია მელაკუდა ჯავშანა-კუს?—არ ეშვებოდა ჯენი მამას.

— ვინა თქვა არ შეხვედრიაო?—დაიწყო გიდიონმა,—მელა-კუდა ძალიან გამჭრიახი, ყველაზე უფრო გამჭრიახია ფიჭვნარში. ამიტომაც იგი არად აგდებს ჯავშანა კუს. ჩვენს კუს ისეთი სქელი ჯავშანი აცვია, რომ არავის არ ჰგონია, თუ იგი გამჭრიახია.— რეიჩელი შესცქეროდა გიდიონს და ცალი ყურით ისმენდა მის ზღაპარს; მარკუსიც არ იჩენდა დიდ ყურადღებას. ძველი ზღაპარი ყოველთვის ასეა: დიდ ყურისგდებას არ მოითხოვს, მოსმენა კი მაინც სასიამოვნოა—მასში არის თავისებური მომხიბლაობა.

კარებზე მოაკაკუნეს და რეიჩელმა ჯეიმს ალენბი შემოიწვია შინ. ალენბი დაჯდა და სანამ გიდიონი ზღაპარს დაამთავრებდა,

ჩუმად იყო, ზღაპრის დასასრულს გიდიონი ყოველთვის იმ წუთისათვის შემოინახავდა, როცა ჯენი ჩაიძინებდა. გოგონას არ უნდოდა ხელი გაეშვა მამისათვის, როცა გიდიონმა იგი ლეიბზე დააწვინა. მარკუსს პატარა ცხოველივით საამურად მოეკალათებინა ცეცხლის პირას და სთვლემდა. ალენბიმ ჯერ ამინდზე თქვა ორიოდე სიტყვა, მერე რეიჩელი შეაქო, კარგად გამოიყურებაო, და ბოლოს შენიშნა:

— რაც კოლამბიაში მოხდა, მოულოდნელი არ იყო ჩემთვის, გიდიონ!

— მეც ასე მგონია.

— რას ფიქრობ, როგორ უნდა მოიქცე ახლა?

— ალბათ, ჩარლსტონს წავალ.

— უკეთესად არც იქ შეგხვდებიან.

— მაშინ წავალ ბოსტონს, ნიუ-იორკს, ფილადელფიას,— მიუგო გიდიონმა.

„ქვეყნის დასასრულს",—გაიფიქრა რეიჩელმა. ალენბიმ კი თქვა:—ამ მიწას ხომ ჩაიგდებ ხელში, გიდიონ?

— ვეცდები.

— მე მგონია, ჩაიგდებ ხელში, გიდიონ,—გაიმეორა მოხუცმა—შენ რომ ჩემს ქოხში ღამე გაათიე, მას შემდეგ, სწორედ გითხრა, მჯერა, რომ შენ შენს გზას ბოლომდე გაჰყვები. რამ უნდა შეგაჩეროს, გიდიონ? მე მგონია, ვერაფერი ვერ შეგაჩერებს. ოღონდ ნურაფერს იზამ მარტო იმისთვის, რომ ძალა შეგწევს. ძალა თავისთავად ფუჭია. შინ დაბრუნებას ნუ მოიშლი.

— რისი თქმა გინდა ამით?

ალენბიმ მხრები აიჩეჩა და გაიღიმა.

— მე ერთი ყბედი მოხუცი ვარ, გიდიონ, და, შეიძლება, ზედმეტსაც ვყბედობ... თუ ზემოთ წახვალ, ჩრდილოეთში და იანკებს ნახავ, ერთი რამ არ დაგავიწყდეს: ისინი ყველანი ერთი ცომიდან გაკეთებული როდი არიან. ზოგ მათგანს შავი კაცი უფრო სძულს, ვიდრე რომელიმე სამხრეთელს; ასეთებისათვის, ჩვენ ვართ უცხონი, უცნაური შავკანიანი არსებანი. იმ სამხრეთელებისათვისაც კი, რომელთაც ვძულვართ, ჩვენ უცხონი არა ვართ; მათთვის ჩვენ ამ მხარის ისეთსავე განუყოფელ ნაწილს წარმოვადგენთ, როგორც ფიჭვნარები, ბამბა და თამბაქოა. შენ ისეთ იანკებსაც შეხვდები,—მართალია ცოტას,—რომლებიც რაღაც საოცრად, უცნაუ-

რად არიან გარდაქმნილი; ისინი შენთან ერთად მოუსხდებიან სუფრას, ხელს ჩამოგართმევენ და შენი კანის ფერს მნიშვნელობა აღარ ექნება. ასეთ ხალხს ენდე, გიდიონ, გულიც გაუხსენი; ორი თაობის მანძილზე ისინი ჩვენი განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ, რადგან მათ სწამდათ ადამიანთა ძმობა; ყურს ნუ ათხოვებ ტყუილებს, რომლებსაც მათ შესახებ გაიგონებ.

გიდიონმა თავი დაუქნია. მოხუცი დაიხარა, გიდიონს მუხლზე დაადო ხელი და თქვა:

— ზედმეტად ნუ იამაყებ, გიდიონ; თუ რამე შემოგაძლიონ, აიღე. ქვეყანაზე რომ არ იყვნენ ისეთები, რომლებიც იღებენ, და ისეთები, რომლებიც იძლევიან, ჩვენ ახლა ველურებივით ვიქნებოდით. შენ უფრო მნიშვნელოვანი საქმეებისათვის მიდიხარ, მაგრამ თუ სადმე წააწყდე წიგნებს, ცოტა ქაღალდს, გრიფელის დაფებსა და ცარცს—ჩვენ ყველაფერი ეს ძალიან გვჭირდება, გიდიონ.

— კარგი, დავიმახსოვრებ,—თქვა გიდიონმა.

* * *

გიდიონი სწავლას განაგრძობდა. კოლამბიაში სამოც ცენტად იყიდა ბლეკსტოუნის[1] „ინგლისური კანონების კომენტარიები“— ერთი ძველი და ყდაშემოცვეთილი წიგნი. ენდერსონ კლეიმ მას გამოუგზავნა პეინის[2] „ადამიანის უფლებანი“,—ესეც ძველი, ფურცლებაპრეხილი, და თუმცა წიგნი ბუნდოვანი, შეუფერებელი იყო გიდიონის ცოდნისა და გამოცდილებისათვის, მაგრამ იგი მისთვის საკვირველების უშრეტ წყაროდ იქცა, და მარად მის გაოცებას იწვევდა. ალენბის ედგარ პოს რამდენიმე ლექსი ჰქონდა, რომლებიც მან გიდიონს მისცა, მაგრამ მათი კითხვისას გიდიონი დაიბნა, შეწუხდა: „არც ერთი არაა ცოცხალი“, დაასკვნა მან. სამაგიეროდ ემერსონით იგი უფრო ბედნიერი იყო და ალენბიმ ურჩია: „კარგი იქნება მას რომ შეხვდებოდე, გიდიონ“.

* * *

შემოდგომა ახლადდამდგარი იყო, როცა გიდიონი ჩარლსტონს ჩავიდა და კვლავ კარტერებთან გამოცხადდა. კარტერებმა იგი

---

[1] უილიამ ბლეკსტოუნი (1723—1780)—ინგლისელი იურისტი.

[2] თომას პეინი (1737—1809)—ამერიკის რევოლუციის მოღვაწე.

დიდი სიხარულით მიიღეს. მერე გიდიონი ფრენსის კარდოზოს მიადგა. კარდოზომ რაღაც უცნაური ღიმილით ჩამოართვა მას ხელი და უთხრა:

— მაშ, ასე, თქვენ კვლავ აქა ხართ, გიდიონ.

— დიახ.

— ოდნავ უფრო ხნიერი და ოდნავ უფრო გამოცდილი.

— ისიცა და ისიც ცოტათი,—დაეთანხმა გიდიონი. იგი გაშეშებული იჯდა კარდოზოს სასტუმრო ოთახში და ხელები მუხლებსშუა ჩაეწყო; წინ ღვინით სავსე ჭიქა ედგა და რამდენიმე ტკბილი ნამცხვარი ეწყო. ოთახი მას ახლა უფრო პატარად ეჩვენებოდა, ვიდრე ახსოვდა: ასევე პატარად მოეჩვენა მას თვით კარდოზოც. გიდიონი ფრთხილი სიდინჯით ლაპარაკობდა; კარდოზო არაფერს ამბობდა, სანამ გიდიონმა კოლამბიის ბანკირის შესახებ არ ჩამოაგდო საუბარი.

— გაგიკვირდათ მერე ეს ამბავი, გიდიონ?

— არა, ძალიან არ გამკვირვებია. დაახლოებით ამას მოველოდი კიდეც.

— ალბათ,—შენიშნა კარდოზომ, — იგივე ამბავი მოხდება აქაც. იცით რა, გიდიონ, მისი საზომით რომ მივუდგეთ, რობინსი არც თუ ისე უსამართლოდ მოგექცათ. რა შეგიძლიათ თქვენ შესთავაზოთ მას? ორიოდე დოლარი ნაღდი ფული, პატიოსანი სიტყვა, სავარაუდო მხარის დაჭერა რამდენიმე ღატაკი ზანგისა და თეთრი კომლისაგან და მეტისმეტად ბუნდოვანი მომავალი, რომელიც უფრო თქვენ ოცნებაში არსებობს.

— მომავალი ყოველთვის ოცნებაშია,—შენიშნა გიდიონმა.

— ასეა თუ ისე, გეთანხმებით. მაგრამ ნუთუ ვერ ხედავთ, გიდიონ, რომ ეს მიწის პრობლემა ყველგან დგას, მთელს სამხრეთში, რომ ეს ერთადერთი დიდი პრობლემაა, რომელზედაც დამოკიდებულია ჩვენი მომავალი. როგორ უნდა გადაიჭრას ეს პრობლემა? გასული წლის მარტში თედეუს სტივენსმა კონგრესს წარუდგინა თავისი კანონპროექტი მიწის განაწილების შესახებ. როგორი იყო მისი წინადადება? იგი მოითხოვდა მეამბოხეთათვის დიდი პლანტაციების ჩამორთმევას, მათ დანაწილებას და თითოეული თავისუფალი მიწათმოქმედისათვის ორმოცდაათი დოლარისა და ორმოცი აკრი მიწის გადაცემას სამოსახლოდ. დაიცადეთ ერთი

წუთით, მე მინდა ზუსტად წაგიკითხოთ, რა თქვა თეოდორ სტივენსმა ამის შესახებ.

კარდოზო საწერ მაგიდასთან მივიდა, რაღაც ქაღალდები გადაქექა, მობრუნდა და წაიკითხა:

„ეს გეგმა უეჭველად გამოიწვევს სამხრეთის სისტემისა და ადათ-წესების რადიკალურ გარდაქმნას. მისი მიზანია გადატრიალება მოახდინოს მოსახლეობის შეხედულებებსა და განწყობილებებში. ამან, შესაძლოა, შეაშინოს გონებაჩლუნგი ადამიანები და შეაშფოთოს სუსტნერვებიანი ხალხი. ასე მოქმედებს ხოლმე პოლიტიკური და ზნეობრივი ხასიათის ყოველი დიდი პროგრესული ცვლილება. სამხრეთის შტატები ყოველთვის დესპოტიზმისა და არა სახალხო მმართველობის განსახიერება იყო. ნამდვილი უფლებრივი თანასწორობის არსებობა შეუძლებელია იქ, სადაც მთელი მიწა რამდენიმე ათასი კაცის საკუთრებაა. როგორ იარსებებენ რესპუბლიკური დაწესებულებანი, თავისუფალი სკოლები, თავისუფალი ეკლესიები, თავისუფალი საზოგადოებრივი ურთიერთობა ისეთ საზოგადოებაში, რომელიც მდიდრებისა და ყმების ნარევს, ერთი მხრით, ოციათასაკრიანი მამულებისა და მეფური სასახლეების მფლობელთა და, მეორე მხრით, პატარა ქოხების მობინადრეთა ნარევს წარმოადგენს?“

კარდოზო ახლა გიდიონს მიუახლოვდა და ხელები გაშალა:

— კარგი, ესეც ასე. სტივენსის სიტყვით, ჩვენ ჩვენი კონვენტითა და ახალი კონსტიტუციით წინააღმდეგობაში მოვექეცით, რადგან, რის მაქნისია ჩვენი ლამაზი იდეები, თუ თავისუფალი საფუძველი არ ექნება? ასეთი საფუძველი კი უნდა იყოს მიწის მესაკუთრე თავისუფალი ფერმერები, უმიწაწყლო ყმებისა და მოჯამაგირეების ნაცვლად.

— თქვენი წინადადება როგორიღაა?—შეეკითხა კარდოზოს გიდიონი.—მე რამდენიმე მათგანისათვის მაინც მაქვს გეგმა, პრაქტიკული გეგმა, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია.

— ჩემი გეგმა კი თორმეტი მილიონისთვისაა,—გაიღიმა კარდოზომ. მან ხელები უკან დაიწყო და ისე მიაწვა სავარძლის ზურგს.—გასულ თვეში თედუეს სტივენსის სახით ჩვენ დიდი და შესანიშნავი მებრძოლი მეგობარი დავკარგეთ. მაგრამ მან გზა გვიჩვენა, გზა—განვუმარტოთ ხალხს მდგომარეობა; უზრუნველვყოთ მისი საარჩევნო ხმის უფლება, შევიტანოთ მასში განათლება, პა-

ტიოსანი წარმომადგენლები მივცეთ მას და მერე ლეგალური საშუალებებით ვიბრძოლოთ ჩვენი შტატის საკანონმდებლო ორგანოებსა და კონგრესში მიწის საყოველთაო კანონიერი განაწილებისათვის.

— მანამდე კი ხალხი უნდა იტანჯებოდეს,—თქვა გიდიონმა.

— მართალია, ხალხი დაიტანჯება და ჩვენ უნდა შევუმსუბუქოთ მას ეს ტანჯვა, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, მაგრამ საერთო მდგომარეობასთან შედარებით ჩვენ ბევრის გაკეთებას ვერ შევძლებთ.

— ასეა თუ ისე,—თქვა გიდიონმა,—მიწის ყიდვა გადაწყვეტილი მაქვს. თუ აქ ვერ ვიშოვნე ფული, ბოსტონში, ან ნიუ-იორკში მოვახერხებ რამეს.

სკამის ზურგზე მიყრდნობილი კარდოზო ცოტა ხანს მდუმარედ მისჩერებოდა გიდიონს, მერე დაჯდა და თქვა:

— მოდი, ასე მოვრიგდეთ, გიდიონ. მე ვიცნობ ისააკ უენტს, ბოსტონელ ბანკირს. იგი ძველი აბოლიციონისტი და ისეთი კაცია, რომ ყოველ დოლარს არ მისტირის. წერილს გაგატანთ მასთან, ვფიქრობ, რომ ამ წერილს საკმაო წონა ექნება მის თვალში. ფრედერიკ დუგლასთანაც გაგატანთ წერილს, შესაძლებელია იგი დაგეხმაროთ ამ საქმეში, თუ სხვაგან არაფერი გამოვიდა. სამაგიეროდ, უნდა აღმითქვათ, რომ მომავალ არჩევნებში შტატის საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატობის კანდიდატი იქნებით.

— ხვალ რომ გითხრათ პასუხი?—იკითხა გიდიონმა.

— კეთილი, მოდით ხვალ სადილად!

მეორე დღეს გიდიონმა ჩარლსტონის ბანკირები მოინახულა. ერთი მათგანი პოლკოვნიკი ფენტონი იყო, რომელსაც გიდიონი სტივენ ჰოლმსის სადილზე შეხვდა. როცა კვლავ კარდოზოსთან მივიდა, გიდიონი უკვე მოელოდა მის შეკითხვას:

— როგორაა საქმე?

— როგორც თქვენ მოელოდით,—ოდნავი ღიმილით მიუგო გიდიონმა.

— იმედია, მხიარული ზანგის რეპუტაცია მაინც არ შეგილახავთ? იგი ბედნიერია სიმდიდრეშიაც და სიღარიბეშიაც.

— ასეცაა,—უხალისოდ თქვა გიდიონმა,—თავს უბედურად არა ვგრძნობ.

— კანდიდატობაზე რას იტყვით?

— თუკი ვინმეს ვუნდივარ,—დაყაბულდა გიდიონი,—უარს არ ვიტყვი. ვეცდები აღარ გავიხსენო—ვინ ვიყავი ერთი წლის, ან ხუთი წლის წინათ.—და მერე დაურთო:

— ის, რაც კანონებისა და კანონმდებლობის შესახებ წავიკითხე, მაფიქრებინებს, რომ მათზე ბევრად უფრო ცუდის დაწერა მგონი ვერც კი შევძლო.

— მოხარული ვარ, გიდიონ!—თქვა კარდოზომ.

— მე კი არა. ხომ ხედავთ, მე ჯერ კიდევ გამოყრუებული ზანგივით ვლაპარაკობ. თუ შესაძლებელია, კარგი იქნებოდა მალე წავსულიყავი ჩრდილოეთისაკენ, თუნდაც ხვალვე.

— რატომაც არა, ხვალვე გაემგზავრეთ.

* * *

მატარებელი, რომელსაც გიდიონ ჯეკსონი ღამით უოშინგტონიდან ჩრდილოეთისაკენ მიჰყავდა, გრიალით შეიჭრა ახალ ქვეყანაში, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ყველაფერი, რაც მან აქამდე თავისი ოცდაჩვიდმეტი წლის ცხოვრების მანძილზე გადაეტანა—ქარიშხალი და მიწისძვრები,—მოხდა მისთვის ცნობილ ქვეყანაში, სამხრეთის მიწაზე, რომელმაც იგი შობა, ძუძუ აწოვა და გამოზარდა, რომელიც მას სცემდა, ტანჯავდა და აწამებდა, და მაინც აქამდე ეს მიწა მისთვის ერთადერთი იყო; იგი იცნობდა მას, გამოფიტულს, ბნელსა და უმეცარს, იცნობდა მის გაევრანებულ ნიადაგს და ტიალ ცხოვრებას, იცნობდა დიდ ფეოდალურ სახლებს, რომლებიც მრისხანედ დაჰყურებდნენ თეთრი მოჯამაგირეებისა და შავი მონების ქვედა სამყაროს. და ისე კარგად იცნობდა, რომ სამხრეთის რომელ კუთხეშიც არ უნდა ყოფილიყო იგი, ყველგან ერთსადაიმავე სითბოს, რაღაც შინაურულს გრძნობდა. ამ ახალ ქვეყანაში კი ყველაფერი სხვანაირი იყო. უოშინგტონი, უზარმაზარი თეთრი სასახლეებისა და ტალახიანი ქუჩების ქალაქი, ისეთი რამ იყო, რომლის მსგავსიც კი არასოდეს ენახა გიდიონს. ახლა იგი რკინიგზის ვაგონში იჯდა თეთრ ადამიანებს შორის; ისინი გაზეთებს კითხულობდნენ, ურთიერთშორის მასლაათობდნენ და არც ერთი არ იყო წინააღმდეგი, არც ერთი არაფრად არ აგდებდა იმ ამბავს, რომ მათ შორის შავი კაცი იმყოფებოდა. შემოდგომა ახალი დამდგარი იყო, აქ კი უკვე ციოდა. წვიმა გან-

რისხებით და ველურად უტყლაშუნებდა ფანჯრის მინებს. გიდიონს ესმოდა მკვეთრად, აჩქარებით წარმოთქმული ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები:

— გრანტი[1] გენერალია და არა სახელმწიფო მოღვაწე!

— მერე და რაა ცუდი, მისტერ, იმაში, რომ გენერალი იყოს პრეზიდენტი.

— არ მომწონს.

— ოჰო! იქნებ თქვენ ისევ ჯონსონი გინდათ?

— ჩემს მაგიერ ნუ ლაპარაკობთ, მისტერ, ჩემი აზრი მე თვითონ ვიცი.

— რაღაც არა ჩანს.

— ხორბალი, ხორბალი სამოცდაორი ცენტია!

— ეს თქვენი „ჰერალდია", მისტერ? შეიძლება წავიკითხოთ?

— მე ჩიკაგოში ორი ვაჟი მყავს. ორივეს ძალიან კარგად აქვს საქმე.

მათ ლაპარაკში გიდიონმა ჩასთვლიმა. გამოეღვიძა, როცა ვაგონის გამყოლმა აყროლებულ ნავთის ლამპებს ჩამოუარა და ჩააქრო. პლუშგადაკრული საჯდომი მაგარი იყო და არც თუ საოიამოვნო. მატარებელი, გაივლიდა თუ არა ორიოდე მილს, გაჩერდებოდა; მერე კვლავ იდგამდა ფეხს ბორძიკით. ხალხი შემოდიოდა ვაგონში, ზოგი გიდიონის გვერდით ჯდებოდა—თეთრიკაცი, თეთრი ქალი, ახალგაზრდა გოგონა... მერე დგებოდნენ და მატარებლიდან ჩამოდიოდნენ.

მეორე დღეს თვალწინ ჩაიქროლა ჯერზის დაბლობებმა, შემდეგ უშნოდ გაჭიმულმა ულაზათო ქალაქმა ნიუ-არკმა და ბოლოს უკანასკნელმა სადგურმა—ჯერზი სიტიმ, რომლისაგანაც ნიუ-იორკს მხოლოდ მდინარე ჰყოფდა. ბორანზე გიდიონი, მოაჯირზე ხელჩაჭიდებული, თვალებს აცეცებდა; მდინარეზე ნავები გუბეში გაფანტულ ნაფოტებს წააგავდნენ; ბორნები და გემები ისეთ სქელ, შავ კვამლს სტოვებდნენ წყალზე, თითქოს თეთრ კრიალა ქაღალდზე ნახშირის ზოლები გაუვლიათო; აქვე იყო ათასნაირი ზომის აფრიანი ნავები, პატარა გაგულისებული ბუქსირები, კარჭაპების ქარავნები, ხოლო მდინარის გაღმა—დიდძალი სახლები. მათგან ერთი

---

[1] ულისეს გრანტი (1822—1885)—გენერალი, ა. შ. შ. პრეზიდენტი 1869—1877 წ.

პეშვი რომ ჩამოგეპრა ჩარლსტონი გექნებოდა, მეორე პეშვი და— კოლამბია. ნიუ-იორკი არაა ქალაქების დედოფალი, სამაგიეროდ ვეებერთელა, ძუძუს მაწოვებელი დედაა. ამას გულისხმობდა სწორედ უიტმანი—ურიცხვი ათასების სისხლი და ხორცი.

გიდიონი შესცქეროდა ყოველივე ამას და აგონდებოდა იანკის არმიები, რომლებიც დინჯი შეუპოვრობით კვალდაკვალ მისდეედნენ მტერს. არა ერთხელ გაურღვევია მტერს მათი რიგები, მაგრამ ისინი ყოველთვის ხელახლა ერთდებოდნენ. გაჟირვებით, ალალმართლად და უშნოდ სწავლობდნენ ისინი ომის ხელოვნებას, მაგრამ ბოლოს მაინც მთელი სამხრეთი შეარყია, ყველგან დაიგუგუნა თავისუფლების საბრძოლო ჰიმნმა. აი, სწორედ ისინი იყვნენ მის თვალწინ, ეს პატარა, უფერული ადამიანები, რომლებსაც ახლა ბორანი გაეკვსოთ, ეს ქუჩებში მოფუსფუსე ხალხი. ირგვლივ კი უწესრიგობა, ფუსფუსი, ჩოჩქოლი, ხმაური, გრიალია; სანაპიროებზე ზვინებად დახვავებული საქონელი, ჭუჭყიანი ქუჩები, ხელურმების მწკრივები, სავაჭრო ფარდულები, ეკიპაჟები, ეტლები, ოთხთვალები, ფურგონები ერთმანეთს რომ უსწრებდნენ ქვაფენილზე. კვამლის ზეწარი წითელი აგურის სახლებზე, სხვადასხვა ენებზე ჟრიამული. ათასი ეროვნების ადამიანები იყვნენ აქ, და არავინ არ აქცევდა ყურადღებას მაღალ შავ კაცს. მატარებლის წასვლამდე გიდიონს ორსაათნახევარი ჰქონდა თავისუფალი. იგი მდინარის სანაპიროდან ფინანსიურ კვარტალამდე ავიდა. გაიარა ცარიელი ადგილები, სადაც აქა-იქ საჩქაროდ აგებული ვეებერთელა საცხოვრებელი სახლები იდგნენ განმარტოებით. დღეს ისეთივე აუტანელი სიცხე იდგა, როგორც გუშინ. არაბუნებრივი სიცივე იყო. ეს იყო ამინდი, რომელიც ეხამებოდა ამ შფოთიან, თავხედ, ბინძურ, უბადრუკ და თავისთავისადმი რწმენით აღსავსე უზარმაზარ ქალაქს, რომელიც უკვე ქვეყნის ერთ-ერთ საოცრებად ქცეულიყო. მოწვიმა; მალე გამოიდარა. ქუჩებს ჭუჭყიანი წყლის ნიაღვრები მისდევდა იქ, სადაც ქვაფენილი ეგო! სხვაგან კი ტალახის ტბები დგებოდა. მზეზე გარუჯული ბიჭები თხრილებში ნაფოტებს აცურებდნენ; ზოგი ყვირილით დარბოდა ტროტუარზე და გაზეთებს ჰყიდდა. გიდიონი აკვირდებოდა ქალაქს და ლამობდა მის გაგებას. ეს ის ქალაქი იყო, სადაც ასიოდე ზანგი იმსხვერპლა გაცოფებული ბრბოს რისხვამ. ეს, აგრეთვე, ის ქალაქი იყო, სადაც ათასობით მუშებმა ხელსაწყო იარაღები დაჰყარეს, საკუთარი

ფულით იყიდეს სამხედრო ფორმა, თოფები და ასეული მილი გაიარეს სამხრეთისაკენ იმისათვის, რომ შავი კაცი თავისუფალი ყოფილიყო, თუმცა მათ არა გაეგებოდათ რა ომისა და ხოცვა-ყლეტისა. ეს ის ქალაქი იყო, რომელიც წლების განმავლობაში ზედიზედ გზავნიდა ლეგიონებს ბრძოლის ველზე, და სწორედ ამ ქალაქშივე ხდებოდა უსაშინელესი აჯანყებანი ომისა და სამხედრო კანონების წინააღმდეგ. გიდიონი აკვირდებოდა, ჰკვირობდა და ყველაფერი, რასაც ხედავდა, ხალისს უკარგავდა მას...

* * *

ბოსტონი უფრო უბრალო იყო, უფრო ჰგავდა ისეთ ქალაქებს, რომლებსაც გიდიონი იყო შეჩვეული. ზღვის პირას მდებარე წყნარი, ხშირი ამწვანებული ხეებით მოჩრდილული ქუჩა, სადაც ისააკ უენტი ცხოვრობდა, ძლიერ წააგავდა ჩარლსტონის ქუჩებს. სახლები მოძველებული იყო და ამიტომ ძლიერ მშვიდობიანად გამოიყურებოდნენ; სუფთა თეთრი საღებავის ქვეშ დამსკდარი და ჭიანაჭამი კედლის ფიცრები მოჩანდა. გიდიონმა გაუბედავად დაკაკუნა კარზე ჩაქუჩით. კარი გაუღო გახამებული თავსახვევითა და წინსაფრით მორთულმა ქალიშვილმა და თავაზიანად ჰკითხა გიდიონს, ვინ გნებავთო. „მისტერ ისააკ უენტი, თუ შეიძლება". „შემობრძანდით, ბატონო", თქვა მსახურმა,—ცისფერთვალებიანმა და სელისფერთმიანმა მსახურმა ქალმა ვერმონტულ კილოზე.

გიდიონმა ქუდი მოიხადა და შევიდა. იქვე კარის უკან პატარა ვესტიბული იყო. ერთმანეთის პირდაპირ ოვალური ფორმის ორი სარკე ეკიდა, წითელი ხის ჩარჩოებში. წითელი ხის ოთხსკამი პროპორციულად იყო დადგმული, ასევე ორი პატარა შავი მაგიდა ჩინურად მოხატული და ლაქით დაფარული. მსახურმა კაკლის ხის კარები გააღო. გამოჩნდა მშვენიერი ძველებური კიბე, რომელიც სასტუმრო ოთახს სასადილოსაგან ჰყოფდა. ოთახები დიდრონი იყო, მაგრამ დაბალჭერიანნი, რითაც სამხრეთის მაღალჭერიან ოთახებისაგან განსხვავდებოდა. გიდიონი მიხვდა, რომ ყველაფერი ეს ჰოლმსის სახლის მოწყობილობასავით სიმდიდრის ნიშანი იყო, მაგრამ სხვაობაც დიდი იყო: მიუხედავად იმისა, რომ მას აქ არავინ ელოდა, მისი მოსვლა მაინც არავის გაჰკვირვებია. მსახურმა მას მიმართა:

— დაბრძანდით, ბატონო, მისტერ უენტს მოვახსენებ, რომ თქვენ აქა ხართ. როგორ ბრძანეთ თქვენი სახელი?

— გიდიონ ჯეკსონი.

— მისტერ გიდიონ ჯეკსონი, სხვა არაფერი?

— მისტერ ფრენსის კარდოზოს წერილით.

— კეთილი,—თქვა მსახურმა,—დაბრძანდით!—მისი თავაზიანობა უბრალო, პირდაპირი და ჩვეულებრივი იყო. ქალი არ ცდილობდა, რომ გიდიონს თავისუფლად ეგრძნო თავი და გიდიონი თავს მაინც უფრო თავისუფლად გრძნობდა, ვიდრე ოდესმე უგრძვნია თეთრი კაცის სახლში. მან თვალი მოავლო ოთახს: ბუხრის აქეთ-იქით ორი დიდი კომფორტული სავარძელი შენიშნა, მყისვე უკუაგდო ფიქრი, რომელიმე მათგანზე დამჯდარიყო. მერე ნაბიჯი გადადგა ტახტისაკენ, რომელიც კედელთან იყო მიდგმული მის პირდაპირ, მაგრამ გადაიფიქრა; ბოლოს დაჯდა ფართო ჩიპენდეილისებურ სკამზე, ხოლო მერე, როგორც კი ნაბიჯის ხმა მოესმა, ფეხზე წამოხტა. ნაშუადღევის ხუთი საათი იყო დაახლოებით და გიდიონი შეეჭვდა—ვაი თუ შეცდომა იყო უენტის სანახავად ამ დროს მოსვლა. როცა ისააკ უენტი ოთახში შემოვიდა, იგი გახევებული იდგა უხერხულ პოზაში.

ისააკ უენტი პატარა ტანის კაცი იყო; მისი მელოტი თავი ძლივს სწვდებოდა გიდიონის ზოლებიან ყელსახვევს. მას პატარა მოყვითალო ულვაშები, თხელი ტუჩები და წვრილი, მოგრძო ნიკაპი ჰქონდა. ახლა მას საშინაო ჟაკეტი, შავი შარვალი და აბრეშუმის ფოსტლები ეცვა; მაგარ თეთრ საყელოზე შავი ყელსახვევი ჰქონდა. იგი მარდად, ჩიტისებრი გოგვით მიიჭრა გიდიონთან, სწრაფად გაუშვირა ხელი და თქვა:

— რაა თქვენი სახელი? ჯეკსონი? გიდიონ ჯეკსონი? გოგომ მითხრა, რომ თქვენ ვილაცის წერილი გაქვთ, დაავიწყდა კი ვისი. საკვირველია, ის როგორ ახსოვს, რომ მხრებზე თავი აბია.

— წერილი, ბატონო, ფრენსის კარდოზოსაგანაა,—მიუგო გიდიონმა.

— კარდოზოსაგან? თქვენ სამხრეთიდან ხართ?

— სამხრეთ-კეროლაინიდან,—უპასუხა გიდიონმა.

— კეთილი. რასა იქმს კარდოზო? უნდა დიდი კაცი გახდეს პოლიტიკაში? სადაა წერილი?

გიდიონმა წერილი გაუწოდა. უენტმა სწრაფად გახია კონვერტი, წერილი გადაიკითხა და მერე ისევ გიდიონს შეაცქერდა.

— კარდოზოს უდიდესი წარმოდგენა აქვს თქვენზე,—თქვა მან.—რატომ არ დაჯდებით? დალევთ რამეს?—მან თავით ანიშნა ერთ-ერთ სავარძელზე ბუხართან და სურასა და ორ ჭიქას წაავლო ხელი. გიდიონი დაჯდა.

— ეს ხერესია,—თქვა უენტმა.—გიყვართ ხერესი?

გიდიონმა თავი დაუქნია.

— კი თუ არა,—მხრები აიჩეჩა უენტმა,—შავებს მეტწილად არაფრად ეჭაშნიკებათ მაგარი სასმელები. არ არიან შეჩვეული. არ ჰქონდათ საშუალება, გემო გაესინჯათ. ჩვეულება—ეს ყველაფერია. მე წინათ უისკის ვსვამდი, ახლა ხერესს ვსვამ. უისკი ახლაც გულით მინდა, მენატრება, მაგრამ ჯანმრთელობა მღალატობს. სიგარას არ ინებებთ?

გიდიონმა თავი გაიქნია.

— კარგი. საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვთ მე რომ მოვწიო? არა, თუმცა რას დავეძებ, თუნდაც წინააღმდეგი იყოთ. როცა ჩემი ცოლი ცოცხალი იყო, მხოლოდ ნასადილევს ვწევდი ამ საოხრეს. მან გრძელი შავი სიგარა ამოიღო და მოუკიდა, სავარძელში ღრმად ჩაეფლო, ფეხები გასჭიმა და ბუხრის პირბალისაკენ გააბოლა.

— აქ წერია,—მან წერილზე ანიშნა,—რომ თქვენ კონვენტში იჯექით. უნდა მიამბოთ ამის შესახებ. გაზეთებიდან ვერაფერი ვერ გავიგე. ჯერ თქვენს მიწის გეგმაზე მელაპარაკეთ. არა, სადილისთვის შემოვინახოთ ეს ამბავი. მე მინდა, რომ ექიმმა ემერიმ მოუსმინოს, იგი აქ იქნება; იმდენად სულელია, რომ ყველაფრის აწონდაწონა უყვარს. ახლა კონვენტის შესახებ მიამბეთ.

გიდიონმა უამბო. ამ პატარა კაცთან გიდიონი თავს მყარ, სწორ ნიადაგზე გრძნობდა, დამშვიდებული იყო. უენტი იფურთხებოდა, კამათობდა, არ ეთანხმებოდა გიდიონს, მოთმინებიდან გამოდიოდა და უყვიროდა კიდეც სტუმარს, მაგრამ ყოველთვის როგორც ტოლი—ტოლს. გიდიონი თითქოს შავი აღარ იყო; მან, თავის სიცოცხლეში, პირველად ახლა დაივიწყა სავსებით თავისი კანის ფერი. თავის სიცოცხლეში პირველად ელაპარაკებოდა იგი ისეთ ადამიანს, რომელსაც, ხანგრძლივი და მოფიქრებული ფსიქოლოგიური პროცესის შედეგად, ისეთი წრთვნის შედეგად, რო-

შელიც, ალბათ, მის ბალღობაშივე დაიწყო, ნათელ და მარტივ ცნებებში ჰქონდა შეთვისებული რასული დემოკრატიზმი. უენტისათვის გიდიონი სუბიექტურად ადამიანი იყო; სხვანაირად ფიქრი მისთვის ისევე შეუძლებელი იყო, როგორც საშუალო ამერიკელისათვის შეუძლებელია ლათინურ ენაზე აზროვნება. როდესაც საუბარი მიწის საკითხსა და კონვენტში მის ირგვლივ გამართულ კამათს შეეხო, უენტმა ყვირილი დაუწყო გიდიონს:

— ეჰ, რა სულელი იყავით, ჯეკსონ, თქვენცა და ყველა დანარჩენიც! სტივენსი ხომ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო მაშინ! ჰკითხეთ მას რჩევა? სთხოვეთ ვინმეს უოშინგტონში მხარი დაეჭირა თქვენთვის? არა, მარტო დააპირეთ ცივილიზაციის გარდაქმნა! ყველაფერი ეს კარდოზოს ბრალია! კულტურული ბრიყვები! ჭკუანაკლები ხალხი! რას იზამ, თქვენ ხელიდან გაუშვით ისტორიული შესაძლებლობა! ეს სწორედ ის მომენტი იყო, როცა შეიძლებოდა ერთბაშად მოგეღოთ ბოლო პლანტაციებისათვის. განა თქვენ ეს გააკეთეთ?

როდესაც იგი ამგვარად უყვიროდა გიდიონს, იგი უყვიროდა თავის ტოლს, არა შავ კაცს, არა თეთრს, არამედ თავის ტოლ ადამიანს. აქ არ იყო თავაზიანობა, ან რაიმე ზღუდეები. ყოველივე ეს გასაგები გახდა გიდიონისათვის, როცა უენტმა უთხრა მას:

— მე აბოლიციონისტების ოჯახიდან ვარ, მისტერ ჯეკსონ. შესაძლებელია, მე ამ ხალხის საუკეთესო წარმომადგენელი არც ვიყო. მაშინ საჯდომი არ ამიწევია ზევით, როცა სხვები იბრძოდნენ. მაგრამ ცოტა რამ მეც გავაკეთე; ჩემმა ფულმა სარგებლობა მოიტანა. ალბათ, არ იცით, რომ მოხუცი ოსავატომელი ბრაუნი სწორედ აი აქ იჯდა, სადაც თქვენ ზიხართ ახლა, და მთხოვდა ფულს, იარაღს, თოფის წამალს, მებრძოლებს. დიახ, მას უნდოდა ღვთის რისხვასავით მოვლენოდა მთელს სამხრეთს და აღეგავა მონობა პირისაგან მიწისა. ფულიც და იარაღიც მივეცი. ეს, თითქოს, ათასი წლის წინათ იყო; ამ საშინელი სენის მოსპობა მაშინ ადვილად გვეჩვენებოდა. მერე კი სისხლისაგან ვიცლებოდით მთელი ოთხი წლის განმავლობაში. სწორედ აქ იჯდა მოხუცი ბრაუნი თავისი წვერით და თვალები უგიზგიზებდნენ. გინდათ გაიგონოთ მისი სიტყვები? მე მახსოვს ეს სიტყვები: „უფალ ღმერთს არ დავვიწყებივართ, მისტერ უენტ,—თქვა მან,—მაგრამ ჩვენ, მისტერ უენტ, ჩვენ საბრალო, პატარა, შეშინებულმა მღოლავმა

არსებებმა დავივიწყეთ უფალი ღმერთი, ერთა ცისათა, ჩვენი მამების ღმერთი, რომელმაც ისრაელის შვილნი ეგვიპტიდან გამოიყვანა". ასეთი იყო მისი სიტყვები, ჯეკსონ. იგი, თქვენ რომ ზიხართ ახლა, იქ იჯდა, ემერსონი—აქ; მე ფეხზე ვიდექი. უალდომ და მე ერთმანეთს გადავხედეთ. იცით რა, ჯეკსონ, მოხუცი ჯონ ბრაუნი დიდი კაცი იყო, დიდი კაცი, რომელიც ვერ გაიგეს. მოხუცმა იცოდა, როგორ უნდა ჩაენერგა რწმენა ხალხისათვის. მე მორწმუნე არ ვარ და უფრო მეტად მომაქვს თავი ჩემი ათეიზმით, ვიდრე თვით ექიმ ემერის, მაგრამ იმ წუთებში, როცა მოხუც ოსავატომელს ვუსმენდი აი აქ, მეც ვიწამე ღმერთი; იგი, ჩემი წინაპრების ღმერთი, დიადი და მრისხანე, ღვთიური მოხუცი, რომელიც პილიგრიმებს მოჰყოლოდა ჩვენს ქვეყანაში, თითქოს ჩემს გვერდით იდგა. ხომ არ გაწყენინეთ, მისტერ ჯეკსონ? თქვენ, იქნება, მორწმუნე ხართ? ზანგებში ბევრია მორწმუნე.

— მე არაფერი მწყენია თქვენგან,—დინჯად მიუგო გიდიონმა. მათ ცოტა კიდევ იბაასეს; მერე უენტმა გიდიონს მცირე ხნით წამოწოლა ურჩია სადილობამდე.

— ასეთი ჩვეულება მაქვს. სიბერეში შევდივარ. თქვენ ახალგაზრდა კაცი ხართ, ჯეკსონ, მაგრამ ცოტა თვალის მოტყუება არც თქვენ გაწყენთ.

გიდიონმა შენიშნა:

— ჯერ არ მომიძებნია ბოსტონში გასაჩერებელი ადგილი და იქნებ თქვენ მიმასწავლოთ სასტუმრო ზანგებისათვის.

— რა თქმა უნდა, თქვენ ჩემთან გაჩერდებით,—თქვა უენტმა.

გიდიონი შეეცადა შეპატიჟებას, მაგრამ უენტმა ყურიც არ ათხოვა მის სიტყვებს.

— დუგლასი ჩერდება ჩემთან,—თქვა მან,—და არ მგონია, თქვენი დასაწუნი იყოს აქ რამე.

მერე მსახური ქალი შემოვიდა და გიდიონს მისთვის განკუთვნილი ოთახისაკენ გაუძღვა, ზემო სართულზე.

* * *

— ომის მომდევნო ორი წლის შედეგი,—თქვა გიდიონმა,—ჩვენი გამოღვიძება იყო. ბოროტი შავი კოდექსებით უნდოდათ ჩვენი

დაბრუნება უკან, პირდაპირ მონობაში. იცით, პლანტატორები ფიქრობდნენ, რომ კავშირის გამარჯვების უგულვებელყოფა ადვილი იქნებოდა მათთვის და ისინი თითქმის არც ცდებოდნენ. მაგრამ ეს ამბავი აღარ განმეორდება. ჩვენ მტკიცე და ალალი კავშირი შევკარით ღარიბ თეთრებთან; ჩვენ ერთად ვდგევართ ახლა და ფხიზლად ვართ. ძალაუფლება ჩვენს ხელთაა და მას ვერავინ წაგვართმევს!

სუფრას სამნი უსხდნენ. ბანკირი ისააკ უენტი, ექიმი ნორმან ემერი, უკვე სახელმოხვეჭილი პიონერი მუცლის ღრუს ოპერაციებისა, რითაც მან ბოსტონსაც გაუთქვა სახელი და გიდიონი. ემერი მაღალი, ხმელი კაცი იყო, შავთვალა, წაწვეტებული წვერით, ცხვირზე შავ ლენტზე გამობმულ პენსნეს ატარებდა; მისი ცივი, გულგრილი გამომეტყველება შეცდომაში შეიყვანდა კაცს. იგი ნათესავი იყო, ან ცოლის მხრით იყო დამოყვრებული ლოუელებთან, ემერსონებთან და ლოჯებთან. ემერი გამჭრიახი გონებისა და მახვილი ჰუმორის პატრონი იყო და გამუდმებით უჭრიდა ხოლმე სიტყვას უენტს, როგორც ეს გიდიონმა შეატყო. ექიმი ჰუმანური ადამიანი იყო, მაგრამ თავის ჰუმანურობას იოლად არ ხარჯავდა. ისიც და უენტიც ქვრივები იყვნენ; მათ შორის გულთბილი, მაგრამ უფრო ზომიერი მეგობრობა იყო.

— კი მაგრამ რა საშუალებით აპირებთ ძალაუფლების შენარჩუნებას, მისტერ ჯეკსონ?

— სამი საშუალებით,—უპასუხა გიდიონმა ემერის.—ჯერ ერთი, არჩევნებით. რაც არ უნდა მოხდეს, ამაში ყოველთვის დავამარცხებთ პლანტატორებს; მათს თვითეულ ხმაზე ჩვენ ოცი ხმა გვექნება. მეორე, ჩვენ განათლებას მივიღებთ. სულ დიდი—ათი წელიწადი გვჭირდება, რომ განათლებული ბავშვების მთელი თაობა აღვზარდოთ. ბატონო ექიმო, ეს იქნება ჩვენთვის ყველაზე დიდი იარაღი. პლანტატორებმა თვითონ გვასწავლეს ეს გზა, როცა ისინი დანაშაულად სთვლიდნენ, თუ მონას განათლების სურვილი ექნებოდა, თუნდაც თავისით რომ ესწავლა რამე. მესამე საშუალება მიწაა, რაზედაც უკვე მოგახსენეთ. იქ, სამხრეთში, ჩვენ ყველანი მიწის მუშა ხალხი ვართ; ქარხნები, თქვენსავით, არა გვაქვს, მიწა გვარჩენს. თუ კაცს ხელში სახნისი უჭირავს, ლუკმაპური მაინც არ გამოელევა. როცა მიწა გვექნება, როცა მას გავანაწილებთ, როცა ჩვენში თავისუფალი ფერმერები გვეყოლება,

როგორც თქვენშია, მაშინ ჩვენც საკუთარ ფეხზე დავდგებით და ხმამაღლა, მტკიცედ ვილაპარაკებთ. თუკი ერთხელ დავეპატრონეთ მიწას, მას არასოდეს აღარ დავთმობთ.

— ძალიან კარგი,— თქვა უენტმა.— ვთქვათ, ეს თქვენი უტოპია ახალ სამხრეთზე, ეს თქვენი მშვენიერი ოცნება სკოლებზე განხორციელდა. ემერი, გინდა ცოტა კონიაკი?

— ხომ გითხარი, რომ შენს გულს კონიაკი ვნებს. მომბეზრდა ერთსა და იმავეზე ლაპარაკი.-

— კარგი ერთი, ჩემ გულზე არ ღირს ლაპარაკი. ვთქვათ, ჯეკსონ, რაც თქვენ გვითხარით, ესეც იქნება, მაგრამ ყველაფერი ეს მომავლის პოლიტიკური გეგმაა. ბიზნესი სულ სხვაა. თქვენ რომ ჩემთან მოწყალების სათხოვნელად მოსულიყავით, შეიძლება ხელი გამომეწოდნა, შეიძლება არა. ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული. ხომ გესმით, მე გულჩვილი, სენტიმენტალური კაცი არა ვარ.

— მე მგონია, მას ეს ამბავი ესმის, ისაა,— შენიშნა ემერიმ.

— მაგრამ თქვენ მოდიხართ ფანტასტიკური გეგმით. თქვენს ხალხს ცოტაოდენი ფული უშოვნია; ამ ფულით განგიზრახავთ მეტად სახიფათო ავანტურა მიწის ირგვლივ, ავანტურა, რომელსაც სულ მცირე თხუთმეტი დოლარი საგირაო თანხა დასჭირდება ყოველ დოლარზე, რომლის დაბანდებასაც თქვენ მთავაზობთ და რისი იმედი უნდა მქონდეს? ერთი მუჭა ყოფილი მონების, რამდენიმე ღატაკი თეთრის, რომლებიც ცოტა ხნის წინათ მეამბოხეთა არმიაში იყვნენ, და კეთილი ზრახვების? თქვენ მთხოვთ, დავაბანდო ფული აბსოლუტურად უცნობ საქმეში. გონივრულია ეს, ჯეკსონ? თქვენ თვითონ განსაჯეთ.

მან სიგარას მოუკიდა; ემერი სავარძლის ზურგზე გადაწვა და ოდნავი ღიმილით უთვალთვალებდა გიდიონს. უიმედობა გავარვარებულ სიმძიმედ დააწვა გიდიონს. ასეთი შორეული გზა გამოვლო, ფულის ნაწილი უკვე დახარჯა, დოლარის შოვნისათვის კაცი წელში უნდა გაწყდეს, ერთმა სიცოცხლეც შესწირა ამ დოლარს. მარტო რკინიგზის ბილეთი რამდენი დოლარი ღირს?! ასეთი შორეული გზა გამოუვლია და შესძლებს კი ამაზე უფრო შორს წასვლას? ნუთუ კარდოზო სავსებით სწორი იყო? ნუთუ ყოველი პროგრესი ტანჯვა-წვალების ნაყოფია. უსასრულო ტანჯვის ნაყოფი? ნუთუ საწყალმა კაცმა მარად და მარად უნდა ატაროს ეს ჭაშინელი ტვირთი?

— შესაძლებელია, არ იყოს გონივრული,—დაიწყო გიდიონ-მა.—მე ბევრი არაფერი მესმის ამ საქმისა, თითქმის არაფერი მესმის, მაგრამ მე ვიცი ბამბისა და ბრინჯის საქმე. მთელი ჩემი სიცოცხლე იმას ვუყურებდი, თუ როგორ იზრდება ბამბა, როგორ სკდება კოკორი, როგორ კრეფს მას მინდორში ზანგი. მიჩვენე ბამბის მარცვალი და ხარისხს გეტყვი. მიჩვენე ბრინჯის მარცვალი და გეტყვი სადაა მოსული, მაღლობში თუ დაბლობში. ეს კი ვიცი, დამიჯერეთ. და ერთი რამ ვიცი კიდევ: აქ თქვენ, იანკეებს, შეგიძლიათ ბამბიდან ქსოვილის გაკეთება. ამ თქვენ ახალ ინგლისში ყველგან ფაბრიკები შენდება. როგორ გინდათ მოქსოვოთ, თუ ბამბის მომყვანი არავინ იქნება? გინდათ, რომ პლანტატორებმა მოიყვანონ? ამას დიდი დრო დასჭირდება; მათ ჯერ ჩვენ უნდა გაგვტეხონ, რომ ბამბა ძველებურად მოიყვანონ. და როგორი იქნება ბამბის ფასი, თუ რამდენიმე პლანტატორი გაუწევს მას კონტროლს? თქვენ მეკითხებით, რა გარანტია უნდა მომცეს ჩვენმა ხალხმა. სწორედ ეს: ჩვენს ქვეყანას ბამბა სჭირდება, მთელ ქვეყანას სჭირდება ბამბა. ოთხი წელიწადია ბამბის კარგი მოსავალი არ ყოფილა. ახლა მასზე დიდი მოთხოვნილებაა. მიეცი ჩემ ხალხს მიწა, გაუშვი, მაგალითი გიჩვენოს, გაუშვი, მთელ კეროლაინას დაანახოს, თუ რისი გაკეთება შეიძლება. ბრინჯის მოყვანაში ზანგმა უკვე დაგვანახა თავისი შესაძლებლობა კუნძულებზე, სანამ მთავრობამ ზურგი არ შეაქცია და მიწა არ წაართვა მას, ის მიწა, რომელიც ზანგებმა ბრძოლაში წაართვეს მეამბოხეებს, ჩვენი ქვეყნის დანგრევა რომ ეწადათ. თუ თქვენ ამას იზამთ, თუ არ შეგეშინდებათ, მაშინ სხვებიც გაბედავენ. ხუთი წელიწადი გვადროვეთ ჩვენს საკუთარ მიწაზე და გავწყდებით და ბამბას მაინც დავთესავთ, გავწყდებით და მას მაინც მოვკრეფთ. ვალს გადაგიხდით ყოველ ცენტს და სარგებელსაც მოგცემთ. გინახავთ ოდესმე ზანგების მუშაობა? თუ ყოფილხართ ქვემოთ, სამხრეთში, ძველი მონობის დღეებში, მაშინ ნახავდით, როგორი მუშაობა შეუძლიათ ზანგებს, როცა ზურგზე მათრახს სცემენ. მაგრამ ერთს გეტყვით: თავისუფალი ზანგი თავის საკუთარ მიწაზე ორჯერ უფრო კარგად იმუშავებს. ეს კარგად ვიცი. დამიჯერეთ, მისტერ უენტ, მოწყალების სათხოვნელად არ მოვსულვარ, მიტომ კი არა, თითქოს ვამპარტავნობდე; მოხუცმა მასწავლებელმა, ჩვენს ბავშვებს რომ ასწავლის, ასე მითხრა: გიდიონ, არ გაამაყდე; ბავშვებს წიგნები

სჭირდებათ, ქალალდიც, თუ ვინმემ შემოგაძლიოს, აიღე, სიამაყით უარს ნუ იტყვიო. მაგრამ ეს ამბავი სხვაა; ეს, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, მოწყალება არ იქნება.

გიდიონმა დაამთავრა; არასოდეს არ ულაპარაკნია მას აქამდე თეთრ ხალხთან ასე მხურვალედ და ამდენი. იგი დარცხვენილი იჯდა, თავს უხერხულად გრძნობდა და უაზროდ დასცქეროდა სუფრას. ექიმი ემერი თავის ფრჩხილებს ათვალიერებდა. ჩამოვარდა ხანგრძლივი სიჩუმე, რომელსაც მხოლოდ კუთხეში მდგარი დიდი ძველებური საათის ტაკა-ტუკი არღვევდა. მერე უენტმა სიგარის ფერფლი დარეკა და იკითხა:

— რამოდენაა კარუელის მამული, ჯეკსონ?

— ოცდაორი ათას აკრზე მეტია ცოტათი.

ემერიმ დასტვინა; უენტმა ნელა გააქნია თავი.

— სამხრეთს სულ არ ვიცნობთ, არაფერი ვიცი,—თქვა მან,—რაც ვიცოდით, ისიც გვავიწყდება. ეს წყეული ომიც კი დავიწყებას ეძლევა უკვე.

— ინგლისში,—შენიშნა ემერიმ,—ამოდენა მიწა მთელ საჰერცოგოს უდრის, კარგა მოზრდილ საჰერცოგოს.

— როგორი მიწაა?

— ნახევარი მაინც იქნება კარგი სათესი,—უპასუხა გიდიონმა,—დანარჩენი ბუჩქნარია, ფიჭვის ტყეები, ცოტა საძოვარი და ერთი ნაწილი ჭაობი.

— სახლი ხომ არის?

— პლანტაციის დიდი სახლია. კარუელები იქ მხოლოდ ხანდახან ცხოვრობდნენ; მეტწილად ჩარლსტონში იყვნენ.

— როგორ ფიქრობთ, იყიდის ვინმე იმ სახლს, როგორც გამოსადეგ რამეს?

გიდიონმა თავი გაიქნია.

— ძალიან დიდი სახლია. იმ პლანტატორებს, რომლებმაც მიწა შეინარჩუნეს, ძლივს გააქვთ თავი. არა მგონია, რომ საამისო თავისუფალი ფული ჰქონდეს ვინმეს ჩვენს შტატში.

— იცით რამდენადაა შეფასებული მთელი მამული—მიწა, სახლი და ყველაფერი?

— ფედერალურმა აგენტმა, ომამდელი შეფასებით, მონები რომ გამოვაკლოთ, ოთხას ორმოცდაათი ათასი დოლარი თქვა. როგორც ვარაუდობენ, საჯარო ვაჭრობაზე აკრი ხუთ დოლარად

გავა. აპირებენ მთელი მამული ოცდაორ ნაკვეთად დაჰყონ; თითო ნაკვეთი ათასაკრიანი იქნება. ზოგი ნაკვეთი მეტად გაიყიდება, ზოგი კიდევ ნაკლებად.

— თქვენ სთქვით, რომ დაახლოებით ოცდაათი ოჯახი ხართ. სამი ათასი აკრი კარგი საქმე იქნება. მე ვიცნობ ზოგიერთ მასაჩუზეტსელს, კარგი ფერმა რომ მოუწყვია ოც ან ოცდაათ აკრზე და ბანკშიაც გადაუნახავს ფული. აქაური მიწა კი ვერაფერი შვილია.

— მართალია, ბატონო,—დაეთანხმა გიდიონი,—ჩვენი მიწა კარგია, მაგრამ ნაკვეთში დაახლოებით ნახევარი თუ იქნება სახნავ-სათესი. ხალხი კი გასწმენდს ზოგან, მაგრამ ეს ხანგრძლივი სამუშაოა. გარდა ამისა, ჩვენ იქ სხვანაირი მეურნეობა გვაქვს, ვიდრე აქ თქვენებურ ხალხს. თქვენ რძის მეურნეობას მისდევთ, ჩვენ კი, გარდა სიმინდისა და ბოსტნეულისა, რაც სარჩოდ გვჭირდება, გარდა ორიოდე ღორისა, ნაღდი ფულის მომტანი მარცვალი უნდა ვთესოთ. ბამბა კი ფულს ვერ მოიტანს, თუ თხუთმეტოც აკრზე მაინც არ დასთესე.

— როგორ უნდა გაასაღოთ ბამბა?

— ერთ ძველ ჯინს ვიყიდით, ერთ საჯორგავს—ასეთები ბლოთად იშოვება. რკინიგზა უკვე კეთდება და მატარებელზე დასატვირთავად მხოლოდ ათ მილზე მოგვიხდება ბამბის გადაზიდვა.

— ჯორები გყავთ?

— გვყავს რამდენიმე. შეიძლება, კიდევ ვიყიდოთ.

უენტი ემერის მიუბრუნდა და შეეკითხა:

— რა აზრისა ხარ, ექიმო?

— მე მინახავს, რომ შენ უფრო უიმედო საქმეზე გადაგიყრია ფული.

— ერთ-მესამედში შემოგვიდგები?

— მე ბანკირი არა ვარ,—გაიღიმა ემერიმ.

— ჩემზე მეტი ფული შენა გაქვს. რად გინდა, საიქიოს მაინც ვერ წაიღებ!

— არა უშავს რა, სააქაოსაც გამომადგება.

— მე რომ გარანტია მოგცე, მაშინ შემოგვიდგები მესამედში?

— თუ შენ იძლევი გარანტიას, ჩემი მესამედი რაღად გინდა?

— მე მინდა კომპანიონი—მორჩილებით თქვა უენტმა.—ამაზე უფრო სულელურ საქმეში არასოდეს შემიტოპავს.

— ვერც შენ წაიღებ ფულს საიქიოს,—შენიშნა ემერიმ.

— მართალია. ყური მიგდეთ, ჯეკსონ; თქვენ მე სამჯერ უფრო ძვირი მიჯდებით, ვიდრე მოხუცი ოსავატომელი დამიჯდა და ჯერ არც კი ვიცი, ღირხართ თუ არა თქვენ მის ნახევრად მაინც, როგორც ადამიანი. კარგი. თხუთმეტი ათასი დოლარის ჩეკს გამოგიწერთ. მადლობას ნუ მიხდით. საქმე გადაწყვეტილია. ახლა, მოდით, გვიამბეთ რამე თქვენს შესახებ.

* * *

უენტი რთული ბუნების ადამიანი იყო. ემერის წასვლის შემდეგ იგი გარიჟრაჟამდე იჯდა და გიდიონს ესაუბრებოდა. ხალათში გახვეული ჩია კაცი ზედიზედ ეწეოდა გრძელ შავ სიგარებს, ბლომად სვამდა კონიაკს და გიდიონს ეუბნებოდა:

— სამოცდაშვიდი წლისა ვარ, შვილო, და სრულიად მარტოხელა. სწორედ ამიტომ უფრო ვიყურები უკან. შენი ხნის რომ ვიყავი, გიდიონ, რევოლუციის ჯარისკაცები ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ; მაშინ ახალ ინგლისში მაგარი ხალხი ვცხოვრობდით. დაუფიქრდი ამას. ჩვენ აქ ღვთის სიტყვითა და ღვთის კანონით მოვედით, ხელში კომბალი გვეჭირა და ტუჩებს ღიმილი არ გვიხსნიდა და ჩვენ საარსებო ლუკმა გამოვგლიჯეთ ამ პირქუშ და ხრიოკ მიწას. დიდი საქმეები მოვიმოქმედეთ, გიდიონ; საკრებულოებში დემოკრატია ცოცხალ ძალად იქცა, იგი სუნთქავდა ჩვენს შორის. ძველი წინასწარმეტყველები მოგვყვებოდნენ გვერდით და როცა ჩვენი ფერმერები და მეთევზეები რევოლუციის ომში იბრძოდნენ, ზურგში მათ ცოცხალი და სამართლიანი ღმერთი ედგათ. ახლა ეს ყველაფერი დავიწყებულია, ასე არაა? მე მალე მოვკვდები, მოკვდება ემერიც, უალდო სულ უფროდაუფრო ხუცდება, თორო[1] განდეგილად ცხოვრობს, უიტიერი სადღაც გადაიკარგა, ლონგფელოუ რაღაც სისულელეებს მიედმოედება. სადღაა ჩვენი დიდება? ეს ბრუკლინელი უიტმანი ველურივით ღმუის, თუმცა ხმამაღლა და საკმაოდ გასაგებად; სხვებიც არიან; ჩვენ კი ვზი-

[1] ჰენრი თორო (1817—1862)—ამერიკელი პუბლიცისტი და ფილოსოფოსი.

ეართ და საკუთარ ჭიპებს დავცქერით. სულ პატარა ნაპერწკალი-ღა შეგვრჩენია, გიდიონ. მოხუცი თედ სტივენსი სწორად მოიქცა, როცა ახალი ინგლისი დასტოვა და პენსილვანიაში გადასახლდა. მაგრამ ნუ დაივიწყებ, რომ, სანამ ვცხოვრობდით, დიდ საქმეებსაც ვაკეთებდით. „ჩემმა თვალებმა იხილეს დიდება უფალი ღმერთის ქვეყნად მოსვლისა“.—ასეთი იყო ჩვენი სიმღერა. ახლა ზემოთ წამომყევი.

გიდიონი მას გაჰყვა. უენტი ნელი, დაღლილი ნაბიჯით ადიოდა კიბეზე; იგი შეჩერდა შესასვენებლად და სულის მოსათქმელად. ისინი შევიდნენ ერთ ოთახში, რომელიც უენტის ვაჟისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი და, როგორც გიდიონმა შეატყო, მასში დიდი ხანია არავის ეცხოვრა. აქ იყო ერთმანეთზე შელაგებული წიგნების ზვინები, უბის რვეულები, მინერალების კოლექცია, ბუსორი ფიტული, ფანქრით დახატული გოგონას სურათი, ლაკროსის ორი ჩოგანი, ინდოელთა მოკასინები და ორანძიანი ნავის ოსტატურად გამოჭრილი მოდელი. უენტმა თქვა:

— იგი უილდერნისში დაიღუპა, გიდიონ, ბრძოლის მეორე დღესვე. მე ველაპარაკე მისი ასეულის მეთაურს და მან მიამბო ყოველივე. ბიჭი სამჯერ დაიჭრა: ორჯერ მკლავში, ერთხელ თავში, და მაინც განაგრძობდა ბრძოლას. გიდიონ, ალბათ ათასჯერ მაინც ვმჯდარვარ დაბლა ბუხართან და მიცდია გამეგო, მიცდია მივმწვდარიყავ მას, თავი მის ადგილას წარმომედგინა და შემეგნო, რატომ უნდა დარჩენილიყო იგი საბრძოლო მწყობრში, როცა დაფლეთილი იყო, სისხლისაგან იცლებოდა და ფეხზე კვდებოდა. გიდიონ, შენ ახალგაზრდა კაცი ხარ, მაგრამ რაღაც არის შენში. შენ შენი ხალხის წინამძღოლი იქნები. ჩვენ უნდა გაგვიგო, გიდიონ! რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენთან ნუ გასწყვეტ კავშირს.

— რაც არ უნდა მოხდეს,—თავი დაუქნია გიდიონმა.

— კარგი. ახლა კი სულ უნდა შეეკრათ ეს წიგნები, უკლებლივ. მისი სათამაშოები და საბავშვო წიგნები თავანზეა, შეგიძლია ისინიც წაიღო.

— ამათი წაღება უხერხულია,—დაიწყო გიდიონმა.

— სისულელეა. ამ ოთახში ერთი წელიწადია არ შემოვსულვარ. ჩემი ბიჭის სახეს, რაც მე მეკუთვნის, გულში ვინახავ, ხოლო ეს ნაგავი არ მჭირდება. თქვენ კი გამოგადგებათ და ასეც უნდა იყოს. რაკი თქვენს საქმეში თხუთმეტი ათასი დოლარით შემოვდი-

ვარ, გრიფელის ოციოდე დაფისა და ერთი კოლოფი ცარცის მომატება როგორმე არ გამიჭირდება. მხოლოდ მითხარი, სად გავგზავნო და დანარჩენზე თვითონ ვიზრუნებ.

გიდიონი შეეცადა მადლობა გადაეხადა მისთვის, მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო. გიდიონი იწვა ძველებურ ბალდახინიან საწოლზე. დაქანებული ჭერი მთვარის შუქით განათებულ ფანჯარას ებჯინებოდა. იგი დიდხანს ფიქრობდა ყველა იმ საოცარ ამბებზე, რაც მის ირგვლივ მოხდა; გაკვირვებით ფიქრობდა იმაზე, თუ რა სხვადასხვანაირი ადამიანები ცხოვრობდნენ ქვეყანაზე, თავი რომ დავანებოთ კიდეც მათი კანის ფერს, რამდენნაირი მიმართულებით მიდიან ისინი ცხოვრებაში. გიდიონის გული ციურ სიმღერას მღეროდა წყნარად, მშვიდად. ლოგიკური და მეცნიერული ანალიზით ყველაფერზე შეიძლება პასუხის გაცემა გარდა ერთისა: რატომაა, რომ თუნდაც რამდენიმე ადამიანი მაინცაა ისეთი, რომლებიც ერთადერთ ბედნიერებას და სულიერ საზრდოს კაცთა ძმობაზე ოცნებაში პოულობენ.

მეორე დღეს, სანამ უორჩესტერში წავიდოდა ჯეფის სანახავად, გიდიონმა ექიმ ემერის დისპანსერში შეიარა. სადღა იყო გუშინდელი თავაზიანი და სალუქი ჯენტლმენი?! თეთრხალათიანი საქმიანი მეცნიერი ორ ახალგაზრდა ასისტენტთან ერთად ავადმყოფებს იღებდა, რომლებითაც სავსე იყო ოთახიც და ტალანიც. ბოსტონის ამ ნაწილმა გიდიონს მოაგონა ნიუ-იორკი; ქოხები, მიღრეცილ-მოღრეცილი სახლები, ჭუჭყიანი ქუჩები, სიღატაკე, ღარიბი ირლანდიელები, ღარიბი პოლონელები, ღარიბი იტალიელები. ემერის დისპანსერი წარმოადგენდა შეკეთებულსა და სუფთა კრემისფერი საღებავით თავიდან ბოლომდე შეღებილ ძველ სახლს. გიდიონი მისაღებ ოთახში იჯდა და თვალს არ აშორებდა ექიმს და მის ავადმყოფს—მკერდჩავარდნილ, მრუდეკიდურებიან ბიჭს.

— ხედავთ, ჯეკსონ?—რვა წლის შიშველ ბიჭუნას ხელები გულზე დაეკრიფა და ცახცახებდა.—არ ვიცით, რა სენია; ყოველ კვირაში მოდის ათი-თორმეტი ასეთი ავადმყოფი და მხოლოდდამხოლოდ ღარიბი ხალხიდან. მე თვითონ გამოუგონე სახელი. maleficio paupertatis[1] ბევრისმეტყველი სახელწოდებაა!

---

[1] სიღატაკის სენი (ლათ.)

მან ხელი გადაუსვა ბიჭუნაპ.—კარგი, შვილო, ჩაიცვი. იცით რა, ჯეკსონ, საზოგადოების სნეულებანი სხვადასხვა სახეს იღებენ. ჩვენ ვიბრძოდით თქვენი ხალხის განთავისუფლებისათვის, მაშინ როდესაც აქვე, ცხვირწინ, საკუთარი სიბინძურის ორმო იზრდებოდა. ეს ხომ სირცხვილია, დიდი სირცხვილი, რომ ჩვენ, ცივილიზებულებს ვუწოდებთ თავს, და, ამავე დროს არ შეგვიძლია უფასო წამალი მივაწოდოთ ხალხს, არ შეგვიძლია თუნდაც მცირე სამეცნიერო კვლევა-ძიება ვაწარმოოთ იმისათვის, რომ გავიგოთ ეს შავი მაგია, მედიცინა რომ ეწოდება. აქ, ამ მდიდარ ქვეყანაში ხალხი სნეულდება და იხოცება შიმშილის გამო, სუფთა ჰაერისა და მზის სინათლის ნაკლებობის გამო. ქველმოქმედება, რომელსაც მე ვეწევი, ჯეკსონ, საზიზღარი ხორცმეტია და ხანდახან ვფიქრობ კიდეც, რომ ჩემი სახელოვანი მეზობლები ამ ქალაქში სწორად იქცევიან, როცა ქისას მაგრად უკრავენ პირს.

მერე ემერიმ ჯეფის შესახებ ჰკითხა გიდიონს:

— დარწმუნებული ხართ, რომ მას მართლა უნდა ექიმი ვახდეს?

— ვინ იცის? ის ხომ ჯერ კიდევ ბავშვია,—მიუგო გიდიონმა,—მაგრამ ნიჭიერია. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ჩემი ვაჟია.

— ჰო, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი განათლების მიღება მისთვის სინამდვილეში შეუძლებელია. ჩვენი სამედიცინო სასწავლებლები აქ ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ შესაძლებელია შავი კაცი ავად გახდეს და ავადმყოფს უმკურნალოს. თავის დროზე, როდესაც თქვენ თქვენს უტოპიას განახორციელებთ კეროლაინაში, ვფიქრობ, რომ ამაზედაც იზრუნებთ, მაგრამ ეს მომავლის საქმეა. ჯერჯერობით კი, თუ იგი გამოცდას ჩააბარებს, შეუძლია ედინბურგის უნივერსიტეტში შევიდეს, შოტლანდიაში.

— შოტლანდიაში?—გიდიონმა ყოყმანით გაიქნია თავი.—ძალიან შორსაა, არა?

— კარგა შორსაა. საბედნიეროდ, ევროპაში ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ რომ შავი კანი ადამიანს დაბალ არსებად აქცევს.

— არ ვიცი,—მერყეობდა გიდიონი,—იგი ჯერ სულ ბავშვია... მისი გაგზავნა მარტო, ასეთ შორეულ ადგილას... ალბათ მთელი წლით...

— სულ ცოტა, სამი წლით მაინც,—შეაწყვეტინა სიტყვა

ემერიმ და თანაც ცნობისმოყვარეობით დააცქერდა ტკივილის გამოხატულებას ზანგის სახეზე. გიდიონი მერყეობდა, იგი გაუბედავად ეძებდა გამოსავალს:—მე კარგად მესმის,—დაიწყო მანენის ბორძიკით,—რაკი მისთვის ასე სჯობს, ცხადია... მაგრამ რეიჩელი, დედამისი...

— მაშინ მე გირჩევდით,—მხრების აჩეჩვით თქვა ემერიმ,—რომ თავი დაანებოთ მის ექიმობაზე ფიქრს.

— კი, მაგრამ მას სწორედ ექიმობა სწადია,—თქვა გიდიონმა.

— ამას ფულიც დასჭირდება.

— როცა სამხრეთში დავბრუნდები,—თქვა გიდიონმა,—მე ალბათ, ჩემს კანდიდატურას წამოვაყენებ არჩევნებში,—იგი კვლავ შეყოყმანდა.—კონვენტში სამ დოლარს გვაძლევდნენ დღეში, დოლარსა და ორმოცდაათ ცენტს როგორმე გადავდებ,—ეს საკმარისი იქნება?

ემერი მიბრუნდა, „საკმარისი იქნება“, გაისმა მისი წყნარი პასუხი. იგი ფანჯარასთან მივიდა და გარეთ გაიხედა, მერე ისევ გიდიონისაკენ მიბრუნდა:

— ყური მიგდეთ, ჯეკსონ, სადაა ახლა თქვენი ბიჭი?

უორჩესტერის პრესბიტერიანულ სკოლაში.

— ვიცი ეს სკოლა. იქ წერა-კითხვის მეტს ბევრს ვერაფერს ისწავლის. რამდენი ხანია იქაა?

— ოთხი თვეა...

— ექვს თვემდე გააჩერეთ. თქვენა სთქვით, რომ იგი თექვსმეტისაა. ორი თვის შემდეგ აქ მოვიდეს და ერთ წელიწადში მე მას უფრო მეტს ვასწავლი, ვიდრე ისინი ათ წელიწადს შეასწავლიან. იცოდეთ, რომ თავის შესანახავი ფული მან თვითონვე უნდა იშოვოს. მე ბიჭი მაინც მჭირდება იატაკის დასაგველად, ლაბორატორიის დასარეცხად, იარაღებისა და ჭურჭლის დასაწმენდად. მე ისეთი ცუდად გამომცხვარი აბოლიციონისტი არა ვარ, როგორიც უენტია. თუ ბიჭი საკმაოდ ნიჭიერი გამოდგა, თუ ოდნავ მაინც გამოიჩენს სათანადო მიდრეკილებას, თუ მუყაითი იქნა, მე მას ორ წელიწადში ისე გავწვრთნი, რომ ედინბურგში გამოცდები ჩააბაროს. ხოლო თუ ასეთი არ გამოდგა...

* * *

ულრჩესტერში ღირსეულ ჩარლზ სმიტის კაბინეტში გიდიონმა ექიმ ემერის ნათქვამი გაიმეორა. წყნარი, რბილი, მორიდებული ბუნების სმიტმა თქვა: „დიახ, ჯეფი კარგი ბიჭია, ძალიან კარგი, მეტად პატიოსანი, არავის არ აყენებს რაიმე უსიამოვნებას, მაგრამ გიდიონმა უნდა გაიგოს, რომ განათლება ნელი პროცესია, მომქანცავი პროცესი; გიდიონმა უნდა გაიხსენოს, რომ სულ მცირე ხნის წინათ ბიჭმა არც წერა იცოდა, არც კითხვა. მართალია იგი მიმბაძველობის დიდ უნარს იჩენს და სწრაფად ითვისებს ყველაფერს, მაგრამ მედიცინა ისეთი პროფესიაა, რომელიც უმაღლეს განსწავლულობას მოითხოვს. განა გადაჭარბებული თვითდაჯერებულება არაა ემერის მხრით იმის თქმა, რომ მას ორ წელიწადში შეუძლია ბიჭის მომზადება ედინბურგისათვის?“— გიდიონს არ შეეძლო პასუხი გაეცა ამ შეკითხვაზე.—და განა საჭიროა დავასკვნათ, რომ მედიცინა ერთადერთი გზაა, რომლითაც ახალგაზრდა კაცს თავისი ხალხის სამსახური შეუძლია? რა იქნება, რომ იგი მქადაგებელი გამოვიდეს? ბიჭუნას უსათუოდ აქვს სულიერი მიდრეკილებანი და განა ეს მოწოდება არ არის?

— არ იფიქროთ, რომ მე მადლიერი არ ვიყო; თქვენ მისთვის ბევრი რომ გააკეთეთ, ეს მე კარგად მესმის.—განა ღირს უთხრას სმიტს, თუ რას ნიშნავს როგორც მისთვის, ისე რეიჩელისათვის ჯეფის უნახავობა ხუთი წლის განმავლობაში? ესმის კი თეთრ ხალხს, თუ რას ნიშნავს ბავშვი შავი კაცისათვის?—მაგრამ მას უნდა ექიმი გახდეს... დეე, ისე მოიქცეს, როგორც მას სურს.

— ბუნებრივია, თუ ბიჭი ნამდვილადაა გარკვეული თავის მისწრაფებაში.

— მე მოველაპარაკები მას,—თქვა გიდიონმა.

ჯეფი უფრო მაღალი მოეჩვენა გიდიონს, ვიდრე ახსოვდა. იგი უფრო მაღალიც იყო და უფრო მეტადაც მიაგავდა მამას. ამ მსგავსებას მამა-შვილი ახლა უფრო ადვილად ხედავდნენ, რადგან მათ უკვე კარგახანს არ ენახათ ერთმანეთი. გიდიონს გაუადვილდა შვილთან ლაპარაკი, რაც აქამდე მისთვის ძნელი იყო. ახლა, ამ ნაშუადღევს, ისინი ერთად მიაბიჯებდნენ. ჯეფი ბევრ ვინმეს იცნობდა ქალაქში და შემხვედრებს ამაყად აცნობდა გიდიონს: „ეს მამაჩემი გახლავთ“. გიდიონი უკვე შეჩვეული იყო იმას,

რომ ადამიანები იცვლებიან. იგი ისეთ ქვეყანაში ცხოვრობდა, სადაც ყველაფერი იცვლება, არა მარტო ადამიანები, და ჯეფში მომხდარი ცვლილებაც გაუკვირვებლად შეაფასა მან.

ისინი ქალაქს გასცდნენ და ახლა თემშარაზე მიაბიჯებდნენ. ნეკერჩხალი გაწითლებულიყო უკვე. მინდვრები სწორკუთხედებად იყვნენ დაყოფილნი; მიწა ძველი და ჩაფიქრებული ჩანდა: წითელი ბოსლები, სუფთა თეთრი სახლები, ქვებით დაწინწკლული მწვანე საძოვრები.

— მოგწონს აქაურობა?—ჰკითხა გიდიონმა.

ჯეფმა მიუგო, რომ აქაურობა მოსწონს; არა მარტო იმიტომ, რომ აქ ხალხი კარგად ეპყრობა მას, არა, ეს ამბავი უფრო ღრმაა. ადამიანები არც აქ არიან წმინდანები; ზოგიერთი მათგანი აქაც შავ პირუტყვს დაგიძახებს. ქალაქელებიდან ბევრს სძულს შავები და მუდამაც სძულდათ, მაგრამ აქ მაინც თავს სულ სხვანაირად გრძნობ, სამხრეთთან შედარებით.

გიდიონმა თავი დაუქნია. ეს ამბავი მასაც ესმოდა, თუმცა მისთვის აქ ცხოვრება გადასახლებაში ყოფნას დაემსგავსებოდა. ძნელი იყო ახსნა რატომ, მაგრამ ეს ქვეყანა მისთვის ცივი იყო.

— ბეჯითად ვსწავლობ,—თქვა ჯეფმა.

— ძალიან კარგი.—მერე, რამდენიმე წუთის შემდეგ, გიდიონმა ჰკითხა შვილს:—გიფიქრია იმაზე, თუ რა უნდა გააკეთო სკოლის დამთავრების შემდეგ?

— მინდა ექიმი გამოვიდე,—მიუგო ჯეფმა.

ისინი გორაკის თხემზე გავიდნენ. მათ დაბლა მზე უკვე ჩადიოდა. ფერმერი ძროხებს მოერეკებოდა საძოვრიდან; მისი ძაღლი შეუსვენებლივ წკავწკავებდა.

— დავბრუნდეთ,—თქვა გიდიონმა.

ისინი ნელა მოდიოდნენ. ჯეფი შეეცადა დალაგებით გამოეთქვა თავისი აზრი. გიდიონი ჩუმად იყო. „ჩვენ ახალი ხალხი ვართ—თქვა ჯეფმა.—ხომ გესმის, რისი თქმა მინდა? გიდიონმა თავი დაუქნია.—მე ვგულისხმობ მას, რომ თეთრი ბიჭი იმას აკეთებს, რაც უნდა, ან რასაც დაუნიშნავენ, მას არ სჭირდება მზადება იმისათვის, რომ ხალხს ემსახუროს“.

გიდიონმა კვლავ თავი დაუქნია.

— მე ასე ვფიქრობ,—განაგრძო ჯეფმა.—მე აქ ვსწავლობ, ხოლო მარკუსი, კერი, ლინკოლნი და სხვა დანარჩენები აქ არ

არიან. გამოდის, რომ, მე განსაკუთრებული ბედი მეწია და, ჩემის აზრით, ეს ბედი მაკისრებს რაღაც მოვალეობას, სამსახურს, რისთვისაც უკან უნდა დავბრუნდე და ჩვენებს ვუთხრა: შეხედეთ, აი ეს შევიძინე და თქვენთან მომაქვს; კაცი ავადაა, შეიძლება მოვარჩინო-მეთქი.

გიდიონმა თქვა: „ღირსეულ სმიტს უნდა, რომ შენ მოქადაგე გამოხვიდე. განა ეს ხალხის სამსახური არ არის?"

— შეიძლება,—დაეთანხმა ჯეფი,—მაგრამ ძმა პიტერი, ჩემი ფიქრით, ძალიან კარგი მოქადაგეა. ქადაგება მეცნიერება არაა. ღირსეული სმიტი კეთილი კაცია, კარგი ადამიანი, მაგრამ ქადაგება ჩემი საქმე არაა.

გიდიონმა უამბო ემერის შესახებ, დისპანსერის შესახებ. ემერის წინადადება გააცნო და აუხსნა, თუ როგორ შეიძლება, რომ ზანგი ედინბურგის უნივერსიტეტში ექიმი გახდეს. დაძაბული, სუნთქვაშეკრული ჯეფი ხარბად იჭერდა მამის სიტყვებს. გიდიონმა საქმის ორივე მხარე გადაუშალა ვაეს: შესაძლებელია, ემერიმ გადაიფიქროს, შესაძლებელია, ორი წელიწადი საკმაო არ აღმოჩნდეს ჯეფის გასაწრთვნელად და ემერის მთელი ეს ამბავი მობეზრდეს.

— ორი წელიწადი საკმაო იქნება,—თქვა ჯეფმა.—ღმერთმანი, საკმაო იქნება. ყველაფერს გავაკეთებ, რასაც ემერი მეტყვის, დღე და ღამე ვიმუშავებ. ისე დავუგვი და დავუსუფთავებ ყველაფერს, რომ სარკესავით კრიალებდეს. გეუბნები, მამა, ღმერთმანი, არ გამიჭირდება. ყველა ამბობს, რომ ჩემზე ღონიერი ერთი ბიჭიც არაა მთელ ქალაქში. მისტერ ჯარვისს ოთხთვალა თხრილში გადაუვარდა, მე მარტო ავწიე და გამოვიტანე. იმ თეთრი ექიმის სამუშაო ვერ გამტეხს; ოღონდ ამიყვანოს და მთელი დღეობით ვიმუშავებ მისთვის და ვისწავლი კიდეც.

ისინი გზას განაგრძობდნენ. გიდიონი უკვე იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ ეთქვა ეს ამბავი რეიჩელისთვის. მას უნდოდა ხელი მოეხვია ჯეფისათვის, გულში ჩაეკრა იგი, მაგრამ ვერ გაბედა. იგი უდიდეს, გაურკვეველ სიამაყეს გრძნობდა. რა კარგი იქნებოდა ჩამოჯდომა სადმე ჯეფთან ერთად, გულის გადაშლა მისთვის, ყველაფრის თქმა, რაც მას აქვს სათქმელი. მოულოდნელად გაისმა ჯეფის სიტყვები:

— გამიშვი, მამა, ხომ გამიშვებ?

— კარგი,—დათანხმდა გიდიონი.

თითქმის უკვე ბნელოდა და მათ ფეხს აუჩქარეს პასტორის სახლისკენ. ჯეფი აღგზნებული იყო, მოზღვავებული ენერგია ბობოქრობდა მასში. გიდიონს კიდევ უფრო უნდა მოემატებინა ნაბიჯი-სათვის, რომ მას არ ჩამორჩენოდა.

გამომგზავრების წინ გიდიონმა ვაჟს უთხრა:

— ჯეფ, ბიჭო, მე და შენ, ორივე, ძველი დროის სიბნელი-დან გამოვედით; მანძილის შესახებ ჩვენ ძველებურად ვფიქრობთ, ვანგარიშობთ—რამდენს გაივლის კაცი ერთ დღეში, და სიშორე სევდით გვივსებს გულს, მაგრამ ეს სწორი არაა; რამდენიმე დღე, ჯეფ, და შენ აქა ხარ, ანდა კეროლაინაში. თუ ჩემი ჩამოსვლა მოგინდეს, შემატყობინე და ჩამოვალ. თუ სახლი მოგენატროს, არ შეგეშინდეს, მომწერე და სამგზავრო ფულს გამოგიგზავნი.

მან ჯეფს საჩუქრები გადასცა. მათ ხელი ჩამოართვეს ერთ-მანეთს და მერე გიდიონმა ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში პირველად აკოცა თავის ვაჟს.

* * *

დაბრუნდა თუ არა კარუელს გიდიონი—კაცი, რომელმაც უდიდეს გამარჯვებას მიაღწია, თითქმის შეუძლებელი შესძლო,—მაშინვე აქაური უბედურების ამბავი შეიტყო. ის-ის იყო მიესალ-მა თავისიანებს და ხელში აიყვანა ჯენი, რომ ანაზდად თვალს რამდენიმე გარუჯული ბოძი მოხვდა იმ ადგილას, სადაც ბოსელი ეგულებოდა, ქოხების ნაცვლად კი ორი საკვამლე მილი აზიდუ-ლიყო ჰაერში. ყველა ჩუმად იყო, დაღვრემილი, შეშფოთებული სახეებით; რეიჩელი გიდიონს მიეკრო.

— მარკუსი სადაა?—დაიგმინა გიდიონმა.

მაგრამ მარკუსი კარგად იყო; აგერ, მისკენ მოიწევდა. „რა-შია საქმე?—იკითხა გიდიონმა.—როდის მოხდა ეს ამბავი? რო-გორ?" იგი სიკვდილის უცნაურმა, თითქმის მისტიკურმა გრძნო-ბამ შეიპყრო; მან ირგვლივ მიმოიხედა—აკლდა თუ არა ვინმე მათ შორის? მერიონ ჯეფერსონს მკლავი ჰქონდა შეხვეული, ჰანი-ბალ უოშინგტონის ცოლს, ადას, ხელში გიდიონის აქ არყოფნის დროს დაბადებული ჩვილი ბალღი ეჭირა. სიცოცხლე და სიკვდი-ლი ერთად მიაბიჯებდნენ.

— მითხარით, რა მოხდა!—კვლავ იკითხა გიდიონმა.

მაშინ ენდრიუ შერმანის ცოლს, ლუსის, ტირილი აუვარდა; ენდრიუმ მას დამშვიდება დაუწყო, ეფერებოდა:

— კარგი, ლუსი, კმარა.—და გიდიონი მიხვედა, რომ მომკვდარიყო ლუსის ბიჭუნა, ცხრა წლის ჯეკი, რომელიც დედის სიამაყე იყო, თავისი ღია ყავისფერი კანითა და არაჩვეულებრივი სილამაზით, რაც სამხრეთ კეროლაინის ორი „საუკეთესო ოჯახის“ სისხლის ნაყოფს წარმოადგენდა. გიდიონმა ძმა პიტერს შეხედა და ამ უკანასკნელმა წყნარად წარმოსთქვა: „უფალმა გვაჩუქა და უფალმა წაგვართვა“.

— როგორ მოხდა?..—იკითხა გიდიონმა.

ძმა პიტერი მოჰყვა ამბავს; სხვებიც ეშველებოდნენ, რომ არაფერი გამორჩენოდათ. ზოგი ამის მოწმე იყო, ზოგი—იმის. გიდიონის წასვლის შემდეგ მეოთხე დღეს მოხდა ის, რის შესახებაც მათ აქამდეც სმენოდათ, მაგრამ რაც ჯერ არავის ენახა კარუელის მიდამოებში. დაახლოებით საღამოს ცხრა საათზე ისინი ბრუნდებოდნენ მწუხრის ლოცვიდან, რომელიც ძმა პიტერმა ბოსელში მოაწყო, რადგან გარეთ ცოტა ციოდა. იმ საღამოს ძმა პიტერმა 99-ე ფსალმუნზე იქადაგა—ეს მას არასოდეს დაავიწყდება: „ღაღადებდით წუთისა ყოველი ქვეყანა, მონებდით უფალსა სიხარულით“. ისინი ბოსლიდან გამოვიდნენ, მაგრამ მაშინვე არ წასულან შინისაკენ—პატარ-პატარა ჯგუფებად დაიყვნენ და ცოტა ხანს ასე იდგნენ, როგორც, საერთოდ, წირვის შემდეგ სჩვევია ხალხს. და მერე მათ დაინახეს: დასავლეთით, საძოვრების გადალმა, გორაკზე, უზარმაზარი ჯვარი ერთბაშად აინთო და გიზგიზებდა. ეს ამბავი პირველად ერთმა დედაკაცმა შენიშნა, დაიკივლა და მაშინ სხვებმაც მიაქციეს ყურადღება.

ქალებმა წივილ-კივილი ატეხეს, ზოგიერთი ბავშვი შიშისაგან ცუდად გახდა. დიახ, გიდიონს წარმოდგენილი ჰქონდა როგორ მოხდა ეს: ჯერ წყნარი დაისი და შემდეგ ერთბაშად ალმოდებული ჯვრის საშინელი გამოსახულება. მამაკაცებმა მაინც მალე შოახერხეს ქალებისა და ბავშვების დაწყნარება. ძმა პიტერმა დარწმუნებით განაცხადა, წმინდა ჯვრის ნიშანი, გინდ სისხლში იყოს იგი და გინდ ცეცხლში, ბოროტებას არავის უქადისო. ზოგმა ამ სიტყვებში ნუგეში ჰპოვა; დანარჩენებმა, ვისაც უკვე სმენოდა კუ კლუკს კლენის შესახებ, ტუჩები მოკუმეს და სიტყვა არ დაუძ-

რავთ, სანამ ჯვარი მთლად არ დაიწვა, ფეხი არავის მოუცვლია, მერე კი შინისკენ გაემართნენ, თუმცა ბევრი მათგანი ჯერ კიდევ შეშფოთებული იყო.

— მერე,—განაგრძო ახლა ჰანიბალ უოშინგტონმა,—გავიფიქრე: ჯვრები თავისთავად არ იწვის, თუ ვინმემ, საერთოდ, ცეცხლი არ მოუკიდა-მეთქი; არა, ჩემო ბატონო, რაღაც ძალიან უცნაური ჩანდა ეს ამბავი და ტრუპერს ვუთხარი, იმ გორაკთან მივიდეთ, ჩვენი თვალით ვნახოთ-მეთქი.

მათ თოფები აიღეს ხელში, საძოვარს გარს მოუარეს და მეორე მხრიდან მიადგნენ გორაკს. იქ არავინ იყო, ფიჭვის ორი მორიდან გაკეთებული დანახშირებული ჯვარი დახვდათ მხოლოდ; ჰაერში ნავთის მაგარი სუნი იდგა და მიწაზე თივა იყო მიმოფანტული. ძნელი არ იყო იმის მიხვედრა, რაც აქ მომხდარიყო. ვიღაცამ ჯვარი დაასო, თავიდან ბოლომდე თივით დაძენძა, ნავთი გადაასხა და ცეცხლი წაუკიდა. რაღაც ბავშვური, უგუნური და თანაც საშინელი იყო ეს ამბავი; ამგვარი ამბები მათ ადრეც სმენოდათ, და ახლა ამ სანახაობამ გააოცა და ნამდვილ საშიშროებაზე უფრო მეტად შეაშფოთა ისინი.

როდესაც შინ დაბრუნდნენ, ნახეს, რომ მამაკაცები მათ ელოდებოდნენ. ჰანიბალ უოშინგტონმა ნახული უამბო მათ. ალენბიმ თქვა:

— ჩვენ აქ, კარუელში ჯერ არ განგვიცდია სამხრეთის ეს არამზადობა. ამ დროს ებნერ ლეიტი და ძმები—ფრენკი და ლესლი კანსონები ამოვიდნენ შეიარაღებულნი; სიბნელეში გაისმა მათი ძახილი: „ჰელო, ჰელო, გამოგვეხედეთ!“ მათაც დაენახათ ჯვარი თავიანთი სახლებიდან და ამბის გასაგებად ამოვიდნენ.

— ალბათ, არაფერიც არაა,—თქვა ჰანიბალ უოშინგტონმა.

— იქნებ ეს ის კლენია, ან იქნებ ვინმე მეზობელთაგანმა ისულელა.

— არა მგონია, რომ ვინმე აქაურმა გააკეთოს ასეთი ბრიყვული რამ.—თქვა ებნერ ლეიტმა. ამის შემდეგ ბევრი ილაპარაკეს, ბევრი იკამათეს იმაზე, თუ როგორ მოქცეულიყვნენ, კაცმა რომ თქვას, არაფერის გაკეთება არ შეიძლებოდა. ახლა, უყვებოდნენ რა გიდიონს ამ ამბავს, მათ უნდოდათ დარწმუნებულიყვნენ, რომ გიდიონს ესმოდა მათი მაშინდელი მდგომარეობა. რა უნდა ექნათ ასეთი სისულელის წინაშე? ვიღაცამ თქვა, მოდი, დარაჯე-

ბი დავაყენოთო, და ამაზე ვიღაც მეორემ სავსებით სამართლიანად მიუგო: ჩვენ კანონის მორჩილი ხალხი ვართ და ცივილიზებულ ქვეყანაში ვცხოვრობთო. სხვას რომ თავი დავანებოთ, ყოველ ღამე დარაჯების დაყენება შეუძლებელი იყო.

— ხომ მართალია, გიდიონ? — ყოყმანით იკითხა ახლა ძმა პიტერმა.

— მართალია,—თავი დაუქნია გიდიონმა.—მერე რა მოხდა?

რა და ყველა დასაწოლად წავიდა; მართალია ჩვეულებრივზე გვიან, მაგრამ ბოლოსდაბოლოს ყველამ დაიძინა. შუაღამე დიდი ხნის გადასული იყო, როცა ეს ამბავი მოხდა. ახლა ყველას ერთი და იგივე ჰქონდა საამბობი, თუ როგორ გამოეღვიძათ ფლოქვების თქარათქურზე. ქალებიდან ზოგმა ყვირილით გამოიღვიძა—საშინელი სიზმარი ეგონათ; ზოგი მამაკაცი ლოგინში დარჩა შეშინებული. ჰანიბალ უოშინგტონმა, ენდრიუ შერმანმა, ფერდინანდ ლინკოლმა და ტრუპერმა, რომლებსაც გატენილი თოფები ლოგინებთან ჰქონდათ დატოვებული, თქარათქურის გაგონებაზე თოფებს ხელი დასტაცეს და გარეთ გაცვივდნენ. გარეთ გამოვიდნენ აგრეთვე ძმა პიტერი, ალენბი და კიდევ ათიოდე სხვა, მაგრამ თოფი არც ერთ მათგანს არ ჰქონდა. ყველას მეხსიერებაში ერთი და იგივე სურათი იყო: ცხენებს მოაჭენებდნენ თეთრ სუდარებში გახვეული შეიარაღებული მხედრები, სულ თორმეტნი იყვნენ, თუმცა ეს ამბავი თავდაპირველად შეუმჩნეველი დარჩა. მხედრების ნახევარს ხელში დღვილით გაჟღენთილი ჩირაღდნები ეჭირა და იმ დროს, როცა ზანგები გარეთ გამოცვივდნენ, ძველი, გამხმარი ბოსელი უკვე იწოდა, თივა ტკაცატკუცით ისროდა მაღლა ალის გრძელ ენებს. ძროხები და ჯორები თავზარდაცემული ღრიალებდნენ. ტრუპერმა აღიარა, რომ პირველად მან გაისროლა. მან თქვა, რომ ჯორების ხმის გაგონებაზე დაუფიქრებლად ესროლა ერთ-ერთ თეთრ სუდარიანს, მაგრამ დარწმუნებული იყო,— და სხვებიც ასე ფიქრობდნენ,—რომ ბრაზისაგან გაცოფებულმა დაუმიზნებლად გაისროლა და ვერაფის ვერ მოახვედრა. უმალვე, ალბათ ამ გასროლის გამო, თეთრსუდარიანებმა ცხენები მიაბრუნეს, ჩირაღდნები ქოხებთან დაჰყარეს, უწესრიგო ბათქი მისცეს და გაჰქუსლეს.

— ხომ გაიგე, გიდიონ,—თქვა ახლა ალენბიმ,—რა მხდალი არამზადებიც იყვნენ! ერთმა გასროლამ გააქცია ყველანი. დიდი რამ ეგონათ ეს თეთრი პერანგები ეს ავაზაკური თავდასხმა ღა-

ბით, ეს ცეცხლწაკიდებული ჯვრები, მაგრამ, დაინახეს თუ არა, რომ ჩვენ იარაღი გვაქვს, შეეშინდათ, კურდღლებივით მოჰკურცხლეს. მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ შევნიშნეთ ბნელში გაშოტილი ჯეკი შერმანი—როყიო ტყვია შუბლში მოხვედროდა; ჩვენ ვცდილობდით ცეცხლი ჩაგვექრო, პირუტყვი გადაგვერჩინა და ვერც კი შევამჩნიეთ საბრალო ბავშვი, მას კი ხმის ამოღებაც არ შეეძლო.

ლუსი შერმანი კვლავ აქვითინდა, დანარჩენი ძმა პიტერმა უამბო გიდიონს. მოკლული ბავშვის დანახვამ ყველა შეაძრწუნა და ვეღარავინ ებრძოდა ცეცხლს რიგიანად; საქონელი გადაარჩინეს, მაგრამ ბოსელი და ორი ქოხი კი მთლად ერთიანად დაიწვა. ცეცხლის დანახვაზე ებნერ ლეიტი, ფრედ მაკჰიუ, მისი ვაჟი, ჯეიკ სატერი და ძმები კარსონები მოცვივდნენ. ჰანიბალმა გაიხსენა, როგორ შეხედა ებნერ ლეიტმა მოკლულ ბავშვს და როგორ შეიგინა—ასეთი გინება მათ აქამდე არ გაეგონათ კაცის პირიდან. „იცი რა, გიდიონ,—აღელვებული ხმით თქვა ჰანიბალმა,—ამან ერთი ეპვი გაგვიფანტა. ღმერთო გვიშველე, რა არ ვიფიქრეთ! ყველა თეთრზე მივიტანეთ ეპვი, მაგრამ, როცა ისინი მოვიდნენ, მივხვდით, რომ ჩვენი ეპვი ტყუილი იყო. ამით ბავშვს სიცოცხლე ვერ დაუბრუნდებოდა, მაგრამ რაღაც შვება მაინც ვიგრძენით.“

— მერე რაღა ჰქენით?—იკითხა გიდიონმა და მის ხმაში ისეთი შეგუებებული ბოღმა გაისმა, თითქოს სხვა ვინმე ლაპარაკობსო.

ამაზე ალენბიმ მიუგო:

— რა უნდა გვექნა, გიდიონ? მეორე დღეს ებნერ ლეიტმა ჯორი შეკაზმა და დაბაში ჩავიდა. გავიგეთ, რომ მან შერიფს რაღაც მოსთხოვა, შერიფმა კი მას, თურმე, სიცილი დააყარა. გაგიგონია, ვინმე ჯესონ ჰიუგარი, ძველ დროში რომ მონებით ვაჭრობდა?

— გამიგონია.

— ჰოდა ებნერს ყური მოუკრავს ლაპარაკისათვის, რომ აქაური კლენის მეთაური ის ყოფილა, ებნერს პირში მიუხლია მისთვის ეს ამბავი, მას კი ებნერისთვის მურდალ ზანგთა მოტრფიალე უწოდებია; ჩხუბი ამტყდარა მათ შორის და, თურმე, ებნერს იგი, ცოტა დააკლდა, ხელში კინაღამ შემოკვდომია. მათ გარშემო ხალხი მოგროვილა; ებნერს დამბაჩა უძვრია და დაუძახ-

ნია—აბა ვის უნდა პირველი იყოსო; ჩარლი კენტი, რომელიც ომის დროს რაზმში ებნერთან ერთად იყო, მას ამოდგომია გვერდში. მერე ებნერი თავის ჯორზე შემჯდარა და შინ დაბრუნებულა. მეორე დღეს ჰანიბალმა ოთხთვალა გაამზადა; ორივე წავედით კოლამბიას და იქ მაიორ შელტონს ველაპარაკეთ.

— შელტონმა რაღა გითხრათ?

— ასე თქვა—ზომებს მივიღებთო. მათ გამოთქმა ჰქონიათ ასეთი, გიდიონ,—ზომებს მივიღებთ.

კოლამბიაში მაიორმა შელტონმა გიდიონსაც იგივე უთხრა:

— შეგიძლიათ დამშვიდდეთ და დარწმუნებული იყოთ, რომ სათანადო ზომებს უკვე ღებულობენ.

შელტონი მაღალი კაცი იყო, მოჭუტული თვალების ცივი გამოხედვით, მას ცხრა წლის წინათ დაემთავრებინა უესტ პოინტი. ის საკმაოდ ახალგაზრდა იყო იმისათვის, რომ დამღურებოდა თავის ბედს, რომელმაც იგი ამ მიყრუებულ სამხრეთში გადმოკარგა და თანაც ისეთ პოლიციურ თანამდებობაზე, რომლითაც იგი იმათ გაბოროტებას იმსახურებდა, ვისაც პატივს სცემდა და იმათ სიმპათიას, ვინც მას ეზიზღებოდა.

— როგორია ეს სათანადო ზომები?—შეეკითხა გიდიონი.

— სამხედრო ზომები, რომელთა შესახებ მე არც განზრახვა მაქვს და არც მოვალე ვარ თქვენთან ვილაპარაკო. თქვენი საჩივარი მიღებულია; ძიება წარმოებს.

— ჯერჯერობით კი მოკლული ბავშვი მოკლული რჩება და საქმე ამით მთავრდება.

— არა, რა თქმა უნდა, საქმე ამით არ მთავრდება,—მოუთმენელი ხმით თქვა შელტონმა.—ნუ ცდილობთ ჩემი სიტყვები უკუღმა განმარტოთ, მისტერ ჯეკსონ. რამდენადაც მე საქმის ვითარება მესმის, ბავშვის მკვლელობა შემთხვევით მოხდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ დამნაშავეთა შესაპყრობად.

— შემთხვევით! — წამოიძახა გიდიონმა. — შემთხვევით იყო, რომ იმ თეთრხალათიანმა ბანდიტებმა ჯვარი დასწვეს, სოფელს თავს დაესხნენ, ბოსელს ცეცხლი წაუკიდეს, ბოსელს, რომელიც

ჩვენ კი არ გვეკუთვნის, მაიორო შელტონ, არამედ ამჟამად შეერთებული შტატების მთავრობის საკუთრებაა. როგორი შემთხვევითი ამბავია ეს?

— სამწუხაროა...

— ალბათ, ძალიან სწუხართ! დაგაინტერესათ კი კლენის აქაურმა ორგანიზაციამ? გამოარკვიეთ, დაჰკითხეთ ისეთებს, როგორიცაა ჯესონ ჰიუგარი? გააკეთეთ რამე ამის მსგავსი?

— ნუ მიყვირით, ჯეკსონ! მე არ ვაპირებ ციბრუტივით ვიტრიალო, რამდენი ზანგი აქ მოვა მფარველობის სათხოვნელად და კივილს მორთავს!

გიდიონმა თავშეკავებული ხმით მიმართა:

— მომისმინეთ, ბატონო, მე მოთმინებიდან არ გამოვდივარ და არც გამოვალ. მე თქვენ არაფერს არ გთხოვთ. მე ვლაპარაკობ ჩვენს უფლებებზე. ჩვენი ქვეყნის კონგრესმა სამხედრო მფარველობა დააწესა ამ ოლქისათვის, სანამ სამოქალაქო სამართალი დამყარდებოდეს. ან თქვენ უნდა გაგვიწიოთ ეს მფარველობა, ან ჩვენ თვითონ დავიცავთ თავს. მეც ვიბრძოდი ომში, უფროსი სერჟანტი ვიყავი ზანგების ორმოცდამეთოთხმეტე მასაჩუზეტსის ლეგიონში. ჩვენ მესანგრეების და მშენებლების ბატალიონის მუშები კი არ ვიყავით; ჩვენ ამ შტატის თავისუფალი ზანგები და ლტოლვილი მონები ვიყავით. ცხრა ბრძოლა გადავიხადეთ და ყოველ ათ კაცში რვა მსხვერპლი გახდა, ზოგი მოკლეს, ზოგი დაიჭრა. გახსოვთ, როგორ შევუტიეთ ვაგნერის ფორტს? ოთხასი მოკლული დაგვრჩა ჩვენი ლეგიონიდან მის ბასტიონებზე და მათ შორის პოლკოვნიკი შოკ. მეამბოხეებმა მისი გვამი აკუწეს და საერთო საფლავში ჩააგდეს ზანგებთან ერთად იმიტომ, რომ იგი—თეთრი ჯენტლმენი, უსპეტაკესი თეთრი ჯენტლმენი—ზანგების ლეგიონს სარდლობდა. გახსოვთ ჩვენი სიმღერა: „ცათა კარები ფართოდ გაიღო პოლკოვნიკ შოსთვის“. ამ ამბებზე ლაპარაკი არ მიყვარს, ისინი წარსულს ჩაბარდნენ, ავ წარსულს, მაგრამ გეუბნებით: თუ თქვენ არ გაგვიწევთ მფარველობას, მაშინ ჩვენ თვითონ დავიცავთ ჩვენს თავს.

მაიორმა შელტონმა მკაცრად წარმოსთქვა:

— მე ბოლოს მოვუღებ წესრიგის ყოველგვარ დარღვევას, თეთრების მიზეზით იქნება იგი გამოწვეული, თუ შავების.

— ჩვენ კი ჩვენით დავიცავთ თავს,—მიუგო გიდიონმა.

მერე დაბრუნდა თუ არა კარუელს, გიდიონმა თავი მოუყარა ყველა შავსა და თეთრ მამაკაცს და გამოუცხადა:

— თქვენ იცით, რა გამოვიდა ჩემი მგზავრობიდან ჩრდილოეთში; ბოსტონელმა ბანკირმა ისააკ უენტმა თხუთმეტი ათასი დოლარის ჩეკი მომცა. მიწა უნდა ვიყიდოთ და უნდა შევინარჩუნოთ კიდეც. ეს ბოროტება, რომელიც უკვე თავსა ჰყოფს, ჩვენს წინააღმდეგ იმოქმედებს. მე წინადადება შემომაქვს: დავიცვათ ჩვენი უფლებები. შეექმნათ ჩვენი საკუთარი მილიცია, რომელიც კვირაში ერთხელ მიიღებს წრთვნას, სანამ ამის საჭიროება იქნება.

დიდი კამათი ატყდა. ფრენკ კარსონმა პირდაპირ თქვა, წრთვნა ზანგის ხელქვეით, ჭკუაში არ მიჯდებაო. სტიუარტის ყოფილ ჯარისკაცს არაფრად ეჭაშნიკა გიდიონის გეგმა. წრთვნის ხელმძღვანელად გიდიონმა დაასახელა ფრედ მაკჰიუ, რომელიც ომის დროს უნტეროფიცერი იყო. კენჭი უყარეს და მაკჰიუც დათანხმდა. მან ჰანიბალ უოშინგტონი და ებნერ ლეიტი აირჩია თანაშემწეებად. ალენბიმ ეჭვი შეიტანა მთელი ამ ამბის კანონიერებაში, მაგრამ ამაზე გიდიონმა უპასუხა, რომ ისინი მხოლოდ იარაღის ტარების იმ უფლებით სარგებლობენ, რომელიც კონსტიტუციით აქვთ მონიჭებული. რაც ომი გათავდა ისინი ყველანი ისედაც ატარებენ იარაღს და მათი ორგანიზებული წრთვნა გაფრთხილება იქნება ღამისპერანგოსანთა ბანდებისათვის, რომ ისინი იოლ დავლას არ წარმოადგენდნენ მათთვის. გიდიონი თითქმის არ ცდებოდა: ამის შემდეგ დიდმა დრომ გაიარა, სანამ კლენი კვლავ მოაწყობდა თავდასხმას კარუელის მიდამოებში.

* * *

ბრმა გოგონამ ელენ ჯოუნსმა ჯეფის შესახებ ჰკითხა გიდიონს და გიდიონმაც ყველაფერი უამბო: როგორ იმუშავებს ჯეფი ექიმ ემერისთან და როგორ წავა მერე, თუ შესაძლებელი იქნა, ედინბურგს. ედინბურგი დედამიწის მეორე მხარესაა, დასაკარგავში. გიდიონი ახლა მიხვდა, რომ გოგონას ჯეფი უყვარდა. რატომ ვერ ამჩნევდა გიდიონი ამდენ რამეს საერთოდ? გოგონამ თქვა: „შეიძლება ხუთი წლითაც წავიდეს“. და მის ხმაში ისეთი ნაღველი გაისმა, თითქოს ყველაფერი დაკარგული იყო მისთვის. „შეიძლება“, დაეთანხმა გიდიონი და მერე შეეცადა გოგონასთვის მდგომარეობა შეემსუ-

ბუქებინა, გულში კი გაიფიქრა: როგორ მოუვიდა ჯეფს, ეს ამბავი ასე შორს რათ წაიყვანა? ამ ბოლო დროს გიდიონი ხშირად ფიქრობდა ჯეფზე, განსაკუთრებით, როცა ხედავდა, თუ როგორ ღლაბუცობდნენ სხვა ბიჭები გოგონებთან, როცა ხედავდა, თუ როგორ სწრაფად, ლერწამივით იყრიდა ტანს მარკუსი.

ელენი მოვიდოდა და რეიჩელს მოუჯდებოდა ხოლმე გვერდით. მათ ბევრი რამ ჰქონდათ სასაუბრო. რეიჩელი ჯეფის შესახებ იშვიათად ელაპარაკებოდა გიდიონს. „ეკვი არაა, მისთვის ასე სჯობია“, თქვა ერთხელ გიდიონმა და რეიჩელმაც უსიტყვოდ მიიღო ეს ჭეშმარიტება. გიდიონი ხედავდა, რომ დროთა ვითარებასულ უფრო და უფრო აშორებდა მას რეიჩელისაგან. ამით შეშფოთებული, იგი ზოგჯერ ცდილობდა განსაკუთრებული სინაზე, განსაკუთრებული სიყვარული გამოეხატა და წვრილმანებშიც კი ყურადღება გამოეჩინა რეიჩელისადმი. ასეთ შემთხვევებში რეიჩელი ეტყოდა ხოლმე გიდიონს: „ჩემზე ნუ სწუხარ, გიდიონ, ნუ!“

— რეიჩელ, გენაცვალე, მიყვარხარ.

მაგრამ იგი ახლა ამ სიტყვებსაც სხვანაირად ამბობდა. ყველაფერი ამჟღავნებდა გიდიონში მომხდარ ცვლილებას: მისი ლაპარაკი, მსჯელობა, მიმოხვრა, საქციელი. რეიჩელი, ყურს მოჰკრავდა თუ არა ქალების ლაპარაკს მისი და გიდიონის შესახებ, განსაკუთრებული მონდომებით მოჰყვებოდა ხოლმე გიდიონის ღირსებების ქებას. იგი მათ ეუბნებოდა, გიდიონის მსგავსი მეორე არ მოიძებნებაო ქვეყანაზე; ეკვს, აღფრთოვანებას ანდა შურს აღვივებდა მათში. მაგრამ ამით თავისთავს მაინც ვერ იმშვიდებდა. ღამით გამოეღვიძებოდა ხოლმე და მთელი საათობით იწვა გაუნძრევლად გიდიონის გვერდით. ერთხელ თითქოს რაღაცამ ჩასძახა ყურში გიდიონს, რომ რეიჩელს არ ეძინა.

— რა მოგივიდა, გენაცვალე?

— არაფერი.

— მაშ დაიძინე!

რამდენიმე წუთის შემდეგ რეიჩელმა თქვა: „ჯეფი წასულია, ღმერთო! მე ბავშვი მინდა“.

— ორი კარგი ბიჭი გვყავს და ერთიც გოგონა,—თქვა გიდიონმა.

— მე ბავშვი მინდა. სიცარიელეს ვგრძნობ.

— როგორც ღმერთი ინებებს—წაიჩურჩულა გიდიონმა.

— ბავშვის გაჩენა ჩვენს ნებაზე არაა დამოკიდებული.

— შენ ღმერთი არ გწამს.

— გენაცვალე, გენაცვალე!

— შვილი მათ უჩნდებათ, ვისაც სიყვარული აქვთ.

— მიყვარხარ, გენაცვალე, დამიჯერე, მთელი ჩემი გულით მიყვარხარ,—თქვა გიდიონმა.

— ჯეფი წასულია,—საცრდავი ხმით თქვა რეიჩელმა.—წასულია, მორჩა და გათავდა.

*

გადაწყდა, რომ მიწის სასყიდლად საჯარო ვაჭრობაზე წავიდოდნენ ებნერ ლეიტი, გიდიონი და ჯეიმს ალენბი. რწმუნებულად გიდიონი დანიშნეს. იანკი-ვექილმა დანიელ გრინმა, რომელიც ახალი დაბანაკებული იყო კოლამბიაში, გიდიონს კარუელის მამულის გეგმა უშოვნა. საჯარო ვაჭრობამდე დარჩენილი დრო კარუელებმა გეგმის კირკიტს მოანდომეს და ათასნაირად ყოფდნენ მიწას. მათ წარმოდგენაც კი არა ჰქონდათ იმაზე, თუ როგორ დაანაწილებდნენ მიწას მთავრობის მიწის მზომელები ათასაკრიან ნაკვეთებად. მაგრამ ისინი ცდილობდნენ ყოველგვარი შესაძლებლობა გაეთვალისწინებინათ. გიდიონი, ებნერი და ფრენკ კარსონი მთელი კვირის განმავლობაში დააბოტებდნენ კარუელის ოცდაორათასაკრიან მამულში. მათ ისეთი ადგილები აღმოაჩინეს, რომელთა არსებობა აქამდე უცნობი იყო მათთვის. ფრენკ კარსონმა აზრი გამოსთქვა, რომ იმ ადგილას, სადაც ღელე შვიდ ფუტზე ეშვებოდა, იაფი დაჯდებოდა წისქვილის აგება და სიმინდს თვითონ დაფქვავდნენ. ისინი მაღალი ხშირფოთლებიანი ჭადრების ტევრს წააწყდნენ. აქ მშვენიერი ადგილი იქნებოდა საცხოვრებლად. როდესაც ებნერ ლეიტმა შვიდას აკრზე გაჭიმულ ჭაობზე თქვა, ეს კი არაფრად გვჭირდება და უნდა მოვერიდოთო, გიდიონმა მოითხოვა კარგად დაეთვალიერებინათ ეს ადგილი. ჭაობში ახალგაზრდა მეორედ ნაყარი ხეები აღმოჩნდა, მათი აჩეხა ადვილი იქნებოდა. მიწა შავ და არაჩვეულებრივად პოხიერ, მსუქან ნეშომპალს წარმოადგენდა. „აქ წელიწადში ბრინჯის ორი კარგი მოსავალი მოვა; თუ კაცს ბრინჯი აქვს, შიმშილი ვერას დააკლებს“, თქვა გიდიონმა. ოცნებით აღგზნებულმა გიდიონმა მათ აუხსნა, რომ ამ ჭაობზე გაყვანილი

ფიჩხფენილი დაახლოებით ოთხი მილით შეამოკლებდა მანძილს რკინიგზამდე. ფრენკ კარსონმა მსუქანი მიწა თითებში მოსრისა, გაიღიმა და თქვა: „სწორედ იმ ბორცვზე, ჭადრებში ავიშენებ სახლს. ამ საოხრე ბამბის ნაცვლად ბრინჯს დავთესავ და ხალას ფულს ჩავიჯიბებ. ღმერთმა დასწყევლოს, კაცი არ მინახავს, რომ ბამბას გაებედნიერებინოს“. „მე ბამბას დავთესავ,—თქვა გიდიონმა,—ჩვენს ქვეყანაში ბამბას დიდი გასავალი ექნება, მინდა ვნახო, როგორ გაიშლება კოკრები და ვთქვა, ჩემია-მეთქი“. „ასეთ დაბლობში ციება იცის“, დაურთო ებნერმა.

მათ გზა განაგრძეს. მრავალი მილის მანძილზე გადაჭიმული ფიჭვნარის შემდეგ ისინი გორაკებზე ამოყოფდნენ თავს და მაშინ მათ ფეხქვეშ თვალუწვდენელ ოკეანეს ემსგავსებოდა გაშლილი ჭალები. ფრენკ კარსონი უცხო გაოცებით უყურებდა ამ სანახაობას და მერე წყნარად თქვა: „სხვაც ბევრი მინახავს მიწა, მაგრამ ასეთი არასოდეს. მე მას ისე ვუყურებ, როგორც პაპაჩემის პაპა უყურებდა ალბათ, როცა აქ პირველად ამოვიდა ნელი ნაბიჯით, ერთ მხარზე თოფი ჰქონდა გადაკიდებული, მეორეზე კი მცირე საგზალი“.

ამგვარად, საჯარო ვაჭრობამდე დარჩენილ დროში მათ თითქმის მთელი მამული მოიარეს ფეხით. ყველგან მოსავალს იღებდნენ; 1868 წელი ბარაქიანი შემოდგომით იწურებოდა. სახელდახელოდ აგებული ბეღლები სიმინდის ყვითელი ტაროებით აივსო. პირუტყვი და მისი საზამთრო საკვები ფარდულებში იყო მოთავსებული. თეთრების მიერ მოყვანილ ბამბას კარგი მაზანდა ჰქონდა და ერთ ღამეს ხალხმა პირველი საბარგო მატარებლის ყურისწამღები სტვენა გაიგონა.

ოქტომბრის ოცდაორს გიდიონმა, ებნერ ლეიტმა და ჯეიმს ალენბიმ თავიანთი ოთხთვალა კოლამბიის ერთ-ერთ თავლაში დააყენეს და საჯარო ვაჭრობაზე თავმოყრილ ხალხს შეუერთდნენ. შორიდან გიდიონს ხელი დაუქნია დანიელ გრინმა, რომელიც იმისთვის იყო დაქირავებული, რომ მათ მაგივრად ეწარმოებინა ვაჭრობა: იგი გზას იკვლევდა მათკენ და ზღვა ხალხში ხან გამოჩნდებოდა და ხანაც ინთქებოდა. ვექილს კუბოკრული კოსტუმი ეცვა, თავზე თეთრი ჭილის ქუდი ეხურა და პირში მსხვილი, შავი სიგარა ჰქონდა გარჭობილი.

— სალამი, ჯეკსონ, სალამი!—მისი ჯიბეები ნახაზებითა და მინდობილობის ქაღალდებით იყო დატენილი.

საჯარო ვაჭრობას ხალხი შტატის ყველა კუთხიდან მოაწყდა. უკანასკნელ დღეებში ეწვიმა და ახლა შტატის მთავარი ქალაქის ატალახებულ ქუჩებში ოთხთვალების, ეკიპაჟებისა და შეკაზმული ცხენებისაგან ტევა არ იყო. აუქციონერის კათედრა კაპიტოლის კიბეზე მოეწყოთ. კაპიტოლი უზარმაზარი, ნახევრად დაუმთავრებელი ქვის შენობა იყო. ზედ გორაკის თავზე წამოყუდებული, და ყოველ მხარეზე გადაჰყურებდა მრავალი მილის მანძილზე გაშლილ ჭალებს. სახელდახელოდ დამზადებულ სტენდებზე გაკრული იყო გადასახადებში ჩამორთმეული მამულების რუკები, რომლებზედაც გასაყიდი ნაკვეთები ფერადი ფანქრით შემოეხაზათ. სტენდებს ყოველი ჯურის ხალხი მისეოდა: ჩარლსტონელი ჯენტლმენები, მოჯამაგირე ზანგები, იანკი სპეკულანტები, მთიანი რაიონებიდან მოსული ფერმერები და პლანტატორები ისეთი შორეული შტატებიდანაც კი, როგორც ნიუ-ორლეანსი და ტექასია; აქვე იყვნენ მორგანის წარმომადგენლები, იუნიტარიანული ეკლესიის წარმომადგენლები და ორი ინგლისური სამიწათმფლობელო კომპანიის წარმომადგენლები. ასთექვსმეტი ათასი აკრი მიწა უნდა გაყიდულიყო.

გიდიონს ვიღაცამ სახელოზე მოსწია. მობრუნდა თუ არა, მისი თვალები სტივენ ჰოლმსის ოდნავ მომღიმარ თვალებს შეხვდა. გიდიონმა მას ებნერ ლეიტი და ჯეიმს ალენბი გააცნო და ჰოლმსიც ძალდაუტანებელი თავაზიანობით მიესალმა მათ.

— მიწის საყიდლად მოსულხართ, გიდიონ?—იკითხა ჰოლმსმა.

— დიახ.

— მაშ, ორივე ერთ საქმეზე ვყოფილვართ. მე დადლი კარუელის, პოლკოვნიკ ფენტონისა და ნაწილობრივ საკუთარი სახელით ვმოქმედებ.

— კარუელის მიდამო გაინტერესებთ?—რაც შეიძლება უბრალო, ბუნებრივი ხმით შეეკითხა გიდიონი.

— შესაძლოა, ანდა რამე სხვა კარგი ნაკვეთი. დადლის არ უნდა იმ სახლის დაბრუნება, იგი მას ზედმეტ ტვირთად აწვა ყოველთვის. გავიგე, რომ სესხს ეძებდით ჩარლსტონში.

— სესხი ბოსტონში მივიღე,—მიუგო გიდიონმა.

— მართლა? მოდით, ერთმანეთის წინააღმდეგ ნუ ვივაჭრებთ.

უცნობებიც ბლომად არიან. გიდიონ, თქვენი ხალხი იყო ცოტა ხნის წინათ, რაღაც უსიამოვნება რომ შეემთხვა?..

— კლენთან,—დაურთო გიდიონმა.

— ეს არამზადები, წყეული თეთრი ნაძირალები...—თქვა ჰოლმსმა.—მოხარული ვარ, რომ შეგხვდით, გიდიონ, თქვენი შეხვედრაც სასიამოვნოა, ბატონებო.

მოშორდა თუ არა მათ ჰოლმსი, ლეიტმა შენიშნა:

— ასეთებს კოჭებში ვატყობ, გიდიონ, ოფიცერი იყო, ხომ?

— მე მგონია.

— კარგი ვაებატონი უნდა იყოს. ვინ იცის, რამდენი ზანგი ჰყავდა ძველად! ეტყობა, საკუთარ დედას არ დაინდობს.

ცოტა ხნის შემდეგ საჯარო ვაჭრობაც დაიწყო და ამ წუთიდან მოყოლებული გიდიონისა და მისი მეგობრებისათვის, ისევე როგორც ხალხის უმეტესობისათვის, ყველაფერი უიმედო დომხალად იქცა. ორი აუქციონერი რიგრიგობით გაჰყვიროდა: „მეოთხე ნაკვეთი, ჩიპდენი, ოცდაორი, ჩრდილოეთი და სამხრეთი, მთავრობის ფასი ორი დოლარია, რვაასი აკრი—ორი დოლარი, ორი დოლარი, ორი დოლარი! გადის, გადის, გადის, სამი დოლარი, სამი დოლარი და ათი ცენტი, თხუთმეტი ცენტი, თხუთმეტი ცენტი“... გრინი პირში გარჭობილი მოღრეცილი, ჩამქრალი სიგარით აქოშინებული მივარდა გიდიონთან და უთხრა: „შეხედეთ ამ გეგმას! ნაკვეთები აღნიშნულია, სულ ოცდასამი. თითოეული ცოტა-თი ნაკლებია ათას აკრზე! სახლი ცალკე გადის ორასაკრიანი ნაკვეთით. მთავრობის მინიმუმი აკრზე დოლარია!“

გიდიონმა, ლეიტმა და ალენბიმ ბრბოს თავი დააღწიეს და გეგმას დააცქერდნენ. „ამოირჩიეთ სამი ნაკვეთი,—უთხრა მათ გრინმა,—და მერე დანარჩენებიდან თანმიმდევრობით შემცვლელები“.

— როგორ?

— როგორ და ჯერ საუკეთესო მიწა. მას აღვნიშნავ A-თი: — მათ თითით უჩვენეს სამ ყველაზე უფრო სასურველ ნაკვეთზე.— ახლა, აქედან დაწყებული, თანდათანობით, იმ შემთხვევისათვის, თუ პირველები ვერ დავითრიეთ.—გიდიონმა და ებნერმა სწრაფად ასწონ-დასწონეს დანარჩენი ოცი ნაკვეთის კარგი და ცუდი და თანმიყოლებით დანომრეს ისინი.

— უმაღლესი ფასი ხუთი დოლარია?

— ხუთი დოლარი,—კეერი დაუკრა გიდიონმა,—მაგრამ ეცადეთ, უფრო იაფად იყიდოთ.

— რაც შემიძლია...—თავი დაუქნია გრინმა და უკანვე შეძვრა ხალხში. აუქციონერის ხმა კვლავ მონოტონურად ზუზუნებდა. ყოველი მხრიდან გაისმოდა მოვაჭრეთა შეძახილები შენაძლევი ფასის შესახებ. მიწის აგენტები ნიდაყვებით იკვლევდნენ გზას ამაღლებული ადგილისაკენ. ვაჭრობა დილის ცხრა საათზე დაიწყო; შუადღეზე იგი კვლავ გრძელდებოდა, კარუელის მამულის ჯერი კი კიდევ არ მოსულიყო. მერე, ორ საათზე, კარუელის პირველ ნაკვეთს მოხვდა ჩაქუჩი. გიდიონის ყურადღება ვერ ასწრებდა ყველაფრის დაჭერას, რაც იქ ხდებოდა, ხუთი საათისთვის კი ყველაფერი დამთავრდა. ქანცგამოლეული, მოთენთილი, მაგრამ ტრიუმფალურად მომღიმარე ვექილი ხალხიდან გამოძვრა: „ჩვენია!“

— რომელი?

— ორი იმათგანი, რომლებიც A-თი აღვნიშნეთ.—ვექილმა დაჭმუჭნილი გეგმა სასიარულოდ დაგებულ ფიცრებზე გაშალა და იქვე დაიჩოქა. გიდიონი, ებნერი და ალენბი თავზე დაადგნენ. „ეს ორი ზუსტად ოთხ-ოთხ დოლარად, აკრი“. ლეიტმა სიხარულის კიჟინა დასცა, ხტოდა და ბარძაყებზე ირტყამდა ხელებს. „ღმერთმა დასწყევლოს, ღმერთმა დასწყევლოს, გიდიონ, ამას შეხედე! სწორედ ის ბორცვია, ჰადრებიანი! აგერ ის ტაფობი“! გიდიონსაც ბედნიერების ღიმი უთამაშებდა პირზე; მან გრინის გვერდით ჩაიჩოქა. „მესამე სადღაა?“

— თქვენ რომ მეოთხე ნომერი დააწერეთ შემცვლელებში, იმის ფასი, საკვირველია, მაგრამ ხუთ დოლარამდე ავიდა აკრზე. დარწმუნებული ხართ, რომ კარგად იცნობთ იმ ადგილებს?

— ღმერთმა დასწყევლოს, ვიცნობთ, მაშ!—მიუგო ებნერმა.—კეთილი, ის ნაკვეთიც კარგია, ძალიან კარგი.

— პირველ ორ ნაკვეთში შვიდიათას სამასი, კარგი საქმეა. გიდიონ, შესანიშნავი საქმეა, პირდაპირ ნაჩუქარია. მესამე—ოთხიათას შვიდას ორმოცდაათ დოლარად. აჰა, თქვენი მიწაც. თითქმის სამი ათასი აკრი...

* * *

შინ ტრიუმფით ბრუნდებოდნენ. მოხუცი ჯეიმს ალენბი ჯორს მიერეკებოდა, გიდიონი და ებნერი ჩახლეჩილი ხმით მღეროდნენ:

„იასამანი ნორჩია და დილის ცვარში ჰყვავისო; მე შენზე ვფიქრობ, ლამაზო, და სეედამ მომკლას ლამისო“. ებნერმა ორ დოლარად ერთი ხელადა არაყი იყიდა და იგი და გიდიონი მთელ გზაზე, კოლამბიდან დაწყებული, მას შეექცეოდნენ, სანამ არ გამოწრიტეს. გიდიონი კარგი მსმელი ვერ იყო. იგი იშვიათად სვამდა და ისიც მეტად ფრთხილად. ხელადის სამ მეოთხედს ებნერი გეახლათ, დანარჩენს გიდიონი, მაგრამ ახლა ორივე დიდების თანაბარ მწვერვალზე გრძნობდა თავს. გიდიონი გამვლელებს უყვიროდა: „ხვალინდელი დღე ჩვენ გვეკუთვნის, ეჭვი არაა, იგი ჩვენია!“ კარუელში ალენბი მოჰყვა კოლამბიის ამბავს. რეიჩელმა გიდიონის დანახვაზე გაიცინა.

მეორე დღეს ძმა პიტერმა საგანგებო კრება მოიწვია. გიდიონს კი ცალკე ეს უთხრა: „უფალ ღმერთს რომ დაივიწყებ, ძმაო, თავმდაბლობის ნაცვლად ურცხვი და თავხედი რომ იქნები, ეჭვი არაა, უფალი ღმერთიც დაგივიწყებს“ და მერე უფრო ლმობიერი ხმით განაგრძო:

— გიდიონ, შენ ხალხის წინამძღოლი უნდა გახდე; იცოდე, რომ ეს ზეცით მოვლენილი გამოცდა იქნება შენთვის. მორჩილად მიიღე იგი, გიდიონ. როცა სიკეთეს შერები, ეს იმიტომ, რომ ხალხი მოგენდო. მე დიდი ხანია მოგენდე. ნუ გამიცრუებ ამ რწმენას, გიდიონ. შენ ახლა მცოდნე კაცი ხარ, სულ მაღლა და მაღლა მიდიხარ. ერთი დაბლაც დაიხედე, გიდიონ, დაბლაც დაიხედე“.

— მაპატიე,—თქვა გიდიონმა.—მერწმუნე, ძმაო პიტერ, რომ ვწუხვარ.

— ვიცი, გიდიონ, რომ სწუხარ! შენ კეთილი გული გაქვს, მაგრამ ყური დამიგდე: გულში ჩაიხედე და ღმერთი იპოვე. იპოვე ღმერთი და მას მიენდე.

— შენ შენი გზა გაქვს,—რბილად თქვა გიდიონმა,—მე ჩემი. შენზე მეტად, ძმაო პიტერ, არავის არ ვცემ პატივს მთელ ქვეყანაზე, დამიჯერე.

— უნდა დაგიჯერო, . გიდიონ,—წყნარად წარმოსთქვა ძმა პიტერმა. მერე კრებაზე ასე მიმართა ხალხს:—რიცხვთა წიგნში სწერია: „და შენ გამოხვედი ქვეყნით გამომდინარის რძისა და თაფლისა და შეიყუანენ ჩუენ, და მომცენ ჩუენ ნაწილი იგი აგარაკთა და საყურძნეთა...“—იგი ნელა და გარკვევით ქადაგებდა-

უმიწაწყლოთა ქვეყანაში მათ მიწა ჰპოვეს. ღვთის წყალობა ხედათ მათ წილად და იგი აგრეთვე ზეგარდმო ნიშანიცაა, რამეთუ ათასი თვალი შეჰყურებდეს, როცა შავი კაცი ერთ ნაჭერ მიწას შეიძენს. „ღირსეულად მოიხმარეთ იგი“—დაასრულა ქადაგება ძმა პიტერმა.

კრების შემდეგ მიწის განაწილებას შეუდგნენ. დაყოვნება არ ივარგებდა, რაკი ამ ადგილიდან აყრა, თავთავიანთ ნაკვეთებზე დასახლება და საზამთროდ რამე თავშესაფართა აგება გადაწყვეტილი იყო. გიდიონი ადრევე გრძნობდა, რომ მიწის განაწილება ძნელი იქნებოდა, მაგრამ იმის წარმოდგენა მაინც არ შეეძლო, რაც ახლა ხდებოდა: მამაკაცები ჩხუბობდნენ, გაცხარებით დაობდნენ, უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ, მიწის ნაკვეთებს ერთმანეთს ადარებდნენ, ეშინოდათ მოტყუებული არ დავრჩეთო. ერთმანეთს რას არ ეძახდნენ, თეთრები შავების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, შავებიც ინსტიქტურად მხარში ამოუდგნენ ერთმანეთს თეთრების წინააღმდეგ, და ასე გრძელდებოდა აურზაური, სანამ, დაბოლოს, გიდიონმა არ დაიღრიალა:

— გეყოფათ! ღმერთმა დაგწყევლოთ, ყველა გასულელდით! აქამდე მოგვიღწევია და ახლა მზად ხართ ყელი გამოსჭრათ ერთმანეთს! ერთი კაცი ამოვირჩიოთ, კენჭი ვუყაროთ; დე, მან გაანაწილოს მიწა. ვინ გინდათ, რომ იყოს?

მათ გიდიონი უნდოდათ, მაგრამ მან უარი თქვა. მერე ალენბი და ძმა პიტერი დაასახელეს; სამი ხმის უმეტესობით ძმა პიტერი გავიდა. ტრუპერმა მას ჰკითხა: „კი, მაგრამ შენ ვინღა უნდა ამოგირჩიოს მიწა?—ამაზე ძმა პიტერმა მიუგო:—რაც გადარჩება, სულ ერთია“, მაშინ მათ ერთმანეთს გადახედეს, შერცხვათ და უხერხულად გაიღიმეს. ამის შემდეგ საქმე უკეთ წავიდა.

* * *

დროთა ვითარებამ ის მოიტანა, რომ როცა კვლავ ხმის მიცემის დრო დადგა, ეს ამბავი ბუნებრივი და მარტივი იყო ამ ხალხისათვის; ბუნებრივი იყო აგრეთვე ისიც, რომ ისინი არ უფიქრდებოდნენ იმ ათასნაირ წვრილმან ამბებს, რომლებიც მათში ცვლილებებს იწვევდა. ერთი წლის წინათ ისინი შეიარაღებული წავიდნენ ხმის მისაცემად, ახლა კი საქმე სხვანაირად იყო. ქვეყანა გამოიცვალა; ხალხიც გამოიცვალა; მომავალი აწმყოდ იქცა მათ-

თვის და ისინიც მომავლის ნაწილი გახდნენ. შავები და თეთრები ერთად გაუდგნენ ქალაქის გზას ნოემბრის პირველ სამშაბათს, დილაადრიან. ჰაერი მოახლოებული ზამთრის სუსხით იკბინებოდა. მტვრიან შარაზე ქარი ხმელ ფოთლებს ერეკებოდა. შავებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ერთსულოვნად მიეცათ ხმა რესპუბლიკელებისათვის. ებნერ ლეიტმა კი თქვა, რომ იგი, ასეა თუ ისე, ხმას დემოკრატებს მისცემს. ასე მოიქცა პაპამისი, ასე მოიქცა მამის პაპაც და მას არ უნდოდა ეღალატნა ამ ჩვეულებისათვის. მიუხედავად ამისა, ხმის მისაცემად მაინც ყველა ერთად შევიდა ქალაქში.

ნაწილი მეორე

ბრძოლა

თავი მერვე

როგორ ინახულა გიდიონ ჯუსონმა ერთი დაღლილი კაცი

გიდიონმა საათი ამოიღო და დახედა. სამს ოცი წუთი აკლდა; იგი ორი საათიდან აქ იცდის. იმედი ჰქონდა, რომ მიღების შემდეგ ხუთ საათსა და თექვსმეტი წუთისათვის რკინიგზის სადგურზე იქნებოდა ჯეფის შესახვედრად, რომელიც ნიუ-იორკიდან მოდიოდა. რა გაეწყობა! ჯერჯერობით კიდევაა იმედი, რომ დროზე მოასწრებს სადგურზე გასვლას და ჯეფს შეხვდება. კაცმა რომ თქვას, გიდიონს ძალიან ცოტა აქვს ახლა აქ სათქმელი და დარწმუნებულიცაა, რომ რაც არ უნდა თქვას, დიდ შედეგს მაინც არ გამოიღებს.

გარეთ თებერვლის დღე იყო, თოვდა. თოვლის დიდი, სველი ფანტელები ფანჯრის მინებზე ეფინებოდა და უმალვე ცივი წყლის ბურთებად მიგორავდა დაბლა. გიდიონმა ტყაეის სავარძელში მოიკალათა და ხელები კალთაში ჩაიწყო. ახლა მან იგრძნო, თუ რა სიამოვნებით დაიძინებდა; დიდხანს, დიდხანს იძინებდა ისე, როგორც უკანასკნელი თვეების განმავლობაში ერთხელაც არ უძინია, არაფერზე არ იფიქრებდა, მერე კი მხნე და ენერგიით სავსე გამოიღვიძებდა. თუმცა რა მხნეობა უნდა ჰქონდეს ორმოცდახუთი წლის კაცს? გიდიონმა თავი გაიქნია, გაიღიმა და ჯეფზე დაიწყო ფიქრი—სხვა რამეზე ფიქრს, ისა სჯობია ჯეფზე იფიქროს. ჯეფი რეალობა მაინცაა. იგი მატარებლიდან ჩამოხტება და დიდი, მტკიცე ნაბიჯით გამოსწევს მისკენ. ვაი თუ არა? იქნებ ყოყმანით შედგეს და ცქერა დაუწყოს გიდიონს, და იქნებ მათ შორის სრულებით არაფერი არ იყოს საერთო? მაგრამ ეს შეუძლებელია; შვიდი წელიწადი ასე არ სცვლის ადამიანს.

მაგრამ ედინბურგში გატარებული შვიდი წელიწადი, რომლის განმავლობაში ბეჩავი შავი ბიჭი მედიცინის დოქტორად იქცა, უბრალო საქმე ხომ არაა!

გიდიონს მოაგონდა ის დღე, როცა ექიმმა ემერიმ საკითხის გადაწყვეტა მას მიანდო და ჩაეცინა. რას ფიქრობდა მაშინ ემერი? გიდიონმა რაღა უთხრა მას? რაღაც ფულის შესახებ—ძვირი ეღირება თუ არაო. რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ! რვა წელიწადი? ცხრა? კარგი იქნებოდა უფრო ახლოს გაეცნო ემერი, უფრო ახლოს გაეცნო უენტი; ახლა ორივე მკვდარია. გიდიონმა მეხსიერებაში აღადგინა ის სურათი, როცა იგი დისპანსერში იდგა, ემერის ელაპარაკებოდა, აცახცახებულ შიშველ რახიტიან ბავშვს შეჰყურებდა, და ძველი მოგონებები თანდათან გაცოცხლდნენ, სანამ ამ სურათების დინება არ დაარღვია კუთხეში მდგარი ძველებური მაღალი საათის რეკვამ: ერთი, ორი, სამი. ჩასძინებია! მის წინ მდივანი იდგა.

— პრეზიდენტს ახლა შეუძლია თქვენი მიღება, მისტერ ჯეკსონ.

გიდიონი ადგა, თვალები დაახამხამა და კაბინეტში შეჰყვა მდივანს. გრანტი თავის მაგიდას უჯდა, წელში მოხრილი, დაღლილი, თვალებდაწითლებული. ეს იყო დამარცხებული, გზააბნეული კაცი, რომელიც უიმედოდ, უხალისოდ შესცქეროდა მომავლის გრძელ და უშინაარსო წლებს. მან თავი დაუკრა გიდიონს და თქვა:

— დაბრძანდით, გიდიონ!—და მერე მდივანს მიუბრუნდა:— არ მინდა, რომ ვინმემ შეგვიშალოს ხელი.

— თუ სენატორი გორდონი...

— უთხარით, რომ ჯანაბამდის გზა ჰქონია! მასთან ლაპარაკი არ მსურს, გაიგეთ? მე მინდა, რომ არავინ შეგვიშალოს ხელი!—მდივანმა კარი გაიხურა. პრეზიდენტმა გიდიონს მიმართა:— სიგარას ინებებთ? არა ხომ? დამავიწყდა, რომ არ ეწევით. შეიძლება მოვწიო?

მან სიგარას ბოლო მოაკვნიტა, ასანთი გაჰკრა და დიდი, ღრმა ნაფაზი დაარტყა. გიდიონი შეჰყურებდა პრეზიდენტს, ეს უკანასკნელი კი თვალს არიდებდა მას. ხანს ერთბაშად და შეუბრალებლად გაეტეხა ულისის სიმპსონ გრანტი; თვალები ჩაცვენოდა და წვერში ჭაღარა გამორეოდა. თამბაქოს წევაც კი ნერვიული

ჰქონდა, მკვეთრი, დაძაბული მოძრაობებით; როცა გიდიონს ელაპარაკებოდა, თითქოს ყეფდა:

— ვიცი რისი თქმაც გინდათ.

— მაშინ რატომ დამრთეთ ნება მოვსულიყავი და მეთქვა?— რბილად შეეკითხა გიდიონი.

— რატომ?—და გრანტმა დაფეთებული თვალები გიდიონს მიაპყრო. გიდიონმა თანაგრძნობა და სიბრალული იგრძნო ამ გატეხილი, უმწეოდქმნილი კაცის მიმართ, რომელიც ცოტა ვინმეს თუ ესმოდა, ასევე ცოტას უყვარდა, მაგრამ გამოსადეგი იყო ბევრისთვის; რომელიც ბევრსა სძულდა, ბევრს ეზიზღებოდა, და რომელიც ბედისწერისა და გარემოების წყალობით უნუგეშო და განმარტოებულ დიდებამდე ამაღლდა.

— რატომ მოხვედით აქ?—დაქანცული ხმით იკითხა გრანტმა.

— იმიტომ, რომ თქვენ ჯერ კიდევ შეერთებული შტატების პრეზიდენტი ხართ,—ფრთხილად მიუგო გიდიონმა.—იმიტომ, რომ თქვენ ჩემი მეგობარი ხართ, და მე თქვენი.

— მაშ მე მეგობრები მყავს?

— და იმიტომაც,—განაგრძო გიდიონმა,—ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს თქვენი ქვეყანაა და თქვენ იგი ისე გიყვართ, როგორც ცოტა ვინმეს თუ უყვარს ჩვენს შორის; თქვენ იგი ისეთი სიყვარულით გიყვართ, რომელიც გასაგებია ჩემთვის, იმგვარად, რასაც არაფერი აქვს საერთო იმ უსინდისო და ცრუ კაცუნების აზროვნებასთან, რომლებსაც თავი არ დაუზოგავთ, რომ ეს ქვეყანა დაეღუპათ. ხომ გახსოვთ ევერეტ ჰეილის მოთხრობა „უთვისტომო ადამიანი“. გახსოვთ, როგორ მივიდა ფილიპ ნოლანი თავისი სამშობლო ქვეყნის სიყვარულამდე და გაგებამდე?

გრანტმა სევდიანად გაიღიმა;—ქადაგების წაკითხვას ხომ არ აპირებთ ჩემთვის, გიდიონ?

— არა, მე ვაპირებ ჩვენს ქვეყანაზე გელაპარაკოთ, გელაპარაკოთ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელადაა, როცა მე შესაძლებლობა მომეცა შეერთებული შტატების პრეზიდენტს ველაპარაკო. ორი კვირაა თქვენს ნახვას ვცდილობ.

— არ მცალოდა, გიდიონ.

— არ გცალოდათ, ბატონო პრეზიდენტო.—თქვა გიდიონმა.—ღმერთო გვიშველე! რამდენი მოსახერხებელი გამოთქმები

გვაქვს: არ მცალია, დაკავებული ვარ, ათასი საქმე მაქვს გასაკეთებელი!.. ჩვენი მტრები რატომღა არიან მოცლილნი? რატომ?

— სულ ერთი და იგივე!—ცივად ჩაილაპარაკა გრანტმა.

— თქვენ ამის ხელმეორედ გაგონება არ გსურთ. გირჩევნიათ კიდეც რომ გაგეცალოთ. ვნახოთ, იქნებ სხვანაირად გამოვთქვა. თავი რომ დავანებოთ იმას, რასაც გაზეთები ამბობენ და რასაც ისტორიის წიგნები იტყვიან ამ რვა წლის შესახებ, როცა თქვენ პრეზიდენტი იყავით, სიმართლე რაღაა?

— თქვით, ნუ გეშინიათ, რომ სათამაშო ვიყავი!—ხმას აუწია გრანტმა.

— მე არ ვიტყოდი ამას. ღმერთო ჩემო! ბატონო პრეზიდენტო, ეს, ჰო, ეს ქვეყანა ჩვენი სამშობლოა. მოდი, მოწაფის ენით ვილაპარაკოთ, ესეც საკმარისია. ეს ჩვენი სამშობლო მხარეა, მისთვის ვიბრძოდით, მისთვის ვცხოვრობდით; ვცხოვრობდით იმისთვის, რასაც ვაჟკაცებმა თავი შესწირეს გეტისბურგთან. ჩვენ სამშობლოს გარეშე არ ვარსებობთ, არც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ერთ მთლიანს ჰქმნის, მაგრამ მაინც რაა სამშობლო? — გიდიონი შეყოყმანდა, მერე განაგრძო:—რაა ამერიკის შეერთებული შტატები? ეს ოცნებაა, იდეალია, ქაღალდის ფურცელია, კონსტიტუცია რომ ჰქვია, კოალიციაა, თუ რაა? გაიძვერებია, მექრთამეებია? ყაჩაღებია? ეს მორგანია, ჯეი გულდია თუ სენატორი გორდონი? თუ ეს ის კაცია, ქუჩაში რომ დგას და „თეთრ სახლს“ შეჰყურებს? —ახლა გიდიონი უფრო ბორძიკობდა ლაპარაკისას:—ეს ეპისკოპალური თუ კონგრეგეციული ეკლესიაა? ეს ლოცვაა, ბრიყვის ხუშტურია, თუ ორმოცდაათი მილიონი ადამიანი? ეს კონგრესია? მთელი ეს წლები, რაც მე კონგრესში ვზივარ, ამაზე ვფიქრობ, როცა პატარა კაცუნებს ან დიდ ადამიანებს ვუცქერ, როცა პეტერსონის მსგავს ბრიყვებს ან სამნერის მსგავს გმირებს ვუსმენ. ან იქნებ ეს მე და თქვენ ვართ და ის, რაც ჩვენშია შეზრდილი, განუყოფელი ჩვენგან? რადგან ამერიკა, ხომ ისაა, რაც ჩვენ ვართ, რაც ჩვენ გაგვაჩნია, რაც ჩვენ შეგვიქმნია, რაზედაც გვიოცნებია!

გრანტის სიგარა ჩამქრალიყო. მსხვილ, მოკლე თითებში ჩაებღუჯა იგი პრეზიდენტს და უაზროდ დაშტერებოდა. მერე ნელა, თითქოს მექანიკურად გადააქნია თავი.—ჩემი საქმე გათავებულია, გიდიონ.

— თქვენ პრეზიდენტი ხართ.

— რამდენიმე დღე კიდევ.

— ეს კი საკმარისი დროა, რომ მათ დაარტყათ!

— რომ არ ვიცი, გიდიონ?! დავიღალე!—უილაჯოდ თქვა გრანტმა,—გათავებულია, მინდა შინ წავიდე და მოვისვენო. რამდენი ხანია ტალახში მათრევენ! მინდა შინ წავიდე და ყველაფერი დავივიწყო!

— ვერ დაივიწყებთ,—თქვა გიდიონმა.

— შესაძლოა, მე სოლომონი არა ვარ, მე ღმერთი არ ვარ განკითხვისა. ეს ამბავი მე არ მითხოვნია. ომში ბრძოლებს იმიტომ ვიგებდი, რომ თავის წაგების არ მეშინოდა. მაგრამ განა პრეზიდენტობისათვის ეს საკმაო იყო? გამოვდგებოდი მე ამით მათ ბინძურ, გათახსირებულ პოლიტიკურ თამაშში?

— ბრძოლა არ დამთავრებულა,—შენიშნა გიდიონმა.

— კი, მაგრამ, როცა არ ვიცი ვინაა მტერი? როცა არ ვიცი ვინ იბრძვის ჩემს მხარეზე?

— კი, მაგრამ, როცა მაგ სკამზე, თქვენ რომ ზიხართ ახლა, ჰეიზი[1] მოიკალათებს და სისხლის მორევი დატრიალდება,—მაშინ ადვილად მოისვენებთ?

— ღმერთმა დასწყევლოს, გიდიონ, ფაქტები მიჩვენეთ. ჰეიზი რესპუბლიკელია, მეც რესპუბლიკელი ვარ, ასევე თქვენც. იგი კანონიერი გზით იქნა არჩეული პრეზიდენტად. სულ უბედურებას წინასწარმეტყველებთ, ამის ატანა შეუძლებელია. ცხოვრება თავისი გზით წავა; ჩვენი ქვეყანა იცოცხლებს.

— კარგი,—თქვა გიდიონმა და ფეხზე წამოდგა.

— მიდიხართ?

— დიახ!

— რისი თქმა გინდოდათ?

— რატომ სწუხდებით? მნიშვნელობა არა აქვს.

— ღმერთმა დასწყევლოს, სთქვით!—დაიღრიალა გრანტმა,—სთქვით და გაათავეთ!

— გინდათ მომისმინოთ?

— პრიმადონობას თავი დაანებეთ და სთქვით.

— კარგი,—თავი დააქნია გიდიონმა.—ისინი წინასწარ მორიგდნენ.

---

[1] რუთერფორდ ბირჩერდ ჰეიზი (1822—1893)—ა. შ. შ. პრეზიდენტი 1877—1881 წ.

— საბუთი სად გაქვთ?

— საბუთი მაქვს, ბატონო,—დამშვიდებით მიუგო გიდიონმა.—დამიგდებთ ყურს ცოტა ხანს?

— ყურს გიგდებთ.—გრანტმა სიგარას მოუკიდა. გიდიონი კვლავ დაჯდა. გრანტის მაგიდაზე საათი ოთხის თხუთმეტ წუთს აჩვენებდა.

— ცოტა ძველი ამბებიდან დავიწყებ.—წამოიწყო გიდიონმა. გარეთ კვლავ თოვდა. დიდრონი თეთრი ფანტელები ფრთხილად ეშვებოდა ფანჯრის მინებზე და უმალვე დნებოდა. პრეზიდენტის კაბინეტში უკვე ბნელდებოდა. ერთადერთი ლამპა ყვითელი სინათლის წრეს ფენდა მის მაგიდაზე და რაც უფრო მატულობდა სიბნელე ოთახში, პრეზიდენტის სახე მის უფრო დაღლილი და უფერული ხდებოდა. მისი სიგარის ბოლი სინათლის წრეში იჭრებოდა, იკლაკნებოდა, ლამპის შუშას გარს ეხვეოდა და მაღლა ადიოდა.—გახსოვთ სამხრეთ კეროლაინის კონვენტი? ცხრა წლის წინათ იყო.

— მახსოვს.

— ეს ამბავი, ასე ვთქვათ, რეკონსტრუქციის დასაწყისი იყო. მე კონვენტის დელეგატი ვიყავი. ორი წლის შემდეგ შტატის სენატში ვიჯექი ერთი ვადით, და ხუთი წლის წინათ კი კონგრესში ამირჩიეს. თუ ამ გზას მივიღებთ მხედველობაში, მე მგონია, შემიძლია გარკვეული ცოდნით ვილაპარაკო იმაზე, რაც მოხდა. სიტყვა „რეკონსტრუქცია“, რომელიც ყოველივე იმის აღსანიშნავადაა ხმარებაში, რაც 1868 წლიდან მოყოლებული სამხრეთში ხდებოდა, მეტისმეტად ზოგადია, უაზროა. არსებითად საქმე რეკონსტრუქციის პრობლემაში კი არ მდგომარეობდა, ან იმაში, თუ როგორ უნდა მიეღოთ კავშირში მეამბოხე შტატები ხელახლა. ყველაფერი ეს მე უკვე განვაცხადე პალატაში; არაერთხელ მილაპარაკნია ამის შესახებ განვლილ ხუთი წლის განმავლობაში. ახლაც ვამბობ, ალბათ ისტორიისათვის, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან დიდი დრო გაივლის, სანამ ზანგი, როგორც თავისი ხალხის წარმომადგენელი, შეერთებული შტატების პრეზიდენტთან დაჯდება კვლავ.

გრანტმა სიგარიდან ფერფლი გადარეკა; ახლა მისი სახე ჩრდილში იყო მიმალული.

— რას წარმოადგენს რეკონსტრუქცია? რა იყო იგი აქამ-

დე, რა შინაარსი ჰქონდა მას თავდაპირველად? რატომ ჩაიშალა იგი? მე თქვენ გეკითხებით, რადგან თქვენ ის ერთადერთი კაცი ხართ ჩვენს ქვეყანაში, რომელსაც შეუძლია სამშობლოს სიცოცხლე დაუბრუნოს და ამავე დროს იმ გამოუთქმელ ტანჯვასა და უბედურებას გადაარჩინოს იგი, რაც მომავალში მოელის.

რეკონსტრუქცია ახლის დასაწყისი იყო და ძველის აღსასრული. პლანტაციების მონათმფლობელური სისტემა ის ფეოდალური მოვლენა იყო, რაც ჩვენი ქვეყნის ხალხში ზიზღს იწვევს; იგი სულ რამდენიმე წლის წინათ ამხედრდა იმ მიზნით, რომ მთელი ჩვენი ქვეყანა დაეპყრო და დაემორჩილებინა. იგი უნდა განადგურებულიყო, თორემ თავად გაანადგურებდა დემოკრატიას. იგი განადგურებული იქნა და მისი ნგრევის პროცესში ჩემმა ხალხმა თავისუფლება მიიღო. განვაგრძო?

— განაგრძეთ!—თქვა გრანტმა.

— ძალიან კარგი. რეკონსტრუქცია ამ საშინელი ომის შედეგი იყო. იგი არსებითად გამოცდა იყო დემოკრატიისა, გამოცდა იმისა, შესძლებდნენ თუ არა ერთად არსებობას, ერთად მუშაობას და ახალი ცხოვრების ერთად შენებას განთავისუფლებული ზანგები და განთავისუფლებული თეთრები. განთავისუფლებულიმეთქი, რადგან ღარიბი თეთრი ომამდე ისეთივე მონა იყო, როგორიც შავი. მე ვამტკიცებ, რომ ამ გამოცდამ წარმატებით ჩაიარა, რომ სამხრეთში დემოკრატიამ ფესვი გაიდგა, ფესვი გაიდგა მიუხედავად დამახინჯებებისა და შეცდომებისა, მიუხედავად უქკუო ყოყოჩობისა და ბრიყვული ტრაბახისა! ჩვენი ხალხის ისტორიაში ეს პირველად იყო, რომ შავები და თეთრები ერთად ჰქმნიდნენ დემოკრატიას სამხრეთში. თქვენ ამის საბუთი გაქვთ. ესაა სკოლები, ფერმები, მართლმსაჯულება, მთელი თაობა წერა-კითხვის მცოდნე მხნე ახალგაზრდობისა, მაგრამ ყველაფერი ეს იოლად არ კეთდება და ბოლომდე არც გაკეთებულა; პლანტატორებმა თავიანთი არმია შექმნეს—ათასობით შეკრიბეს თეთრპერანგოსანი არამზადები. მათ იარაღი არ დაუყრიათ. ბატონო პრეზიდენტო, თქვენ თავად აღნიშნეთ, რომ მხოლოდ კავშირის ჯარის ყოფნა უზრუნველჰყოფს წესრიგს სამხრეთში. მე გეუბნებით: რა დღესაც რუთერფორდ ბ. ჰეიზი თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგება, ჯარი იმ დღესვე იქნება გამოყვანილი სამხრეთიდან და კლენი დაარტყამს; სხვადასხვა ფორმებში, მაგრამ დარტყმით კი ყველგან

დაარტყამს; და ისეთი ტერორი იმძვინვარებს, როგორსაც ჩვენი ქვეყანა ჯერ არ მოსწრებია—მკვლელობა, ნგრევა, ცეცხლი, ძარცვა-გლეჯა, სანამ ჩვენს მიერ შექმნილი დემოკრატიისაგან ნაკვალევიც კი არ დარჩება. ასი წლით დავიხევთ უკან და მრავალი თაობის მანძილზე ხალხი ვარამსა და სიკვდილს ვერ დააღწევს თავს.

გრანტის ხმა ისე უილაჯოდ გაისმა, თითქოს შორი მანძილიდან მოდისო:—კიდეც რომ დავიჯერო ყველაფერი, რაც თქვენ თქვით, გიდიონ,—მე კი არ მჯერა,—რა გამოსავალი არსებობს? მუდამ ჟამს ხომ ვერ ვიყოლიებთ ჯარს სამხრეთში?

— მუდამ ჟამს კი არა, კიდევ ათი წლით მხოლოდ, რომ საშუალება გვექნეს შავებისა და თეთრების ის თაობა დაგვივაჟკაცდეს, რომელმაც უკვე ისწავლა ერთად მუშაობა და ერთმანეთისათვის მხარის დაჭერა. მერე კი დედამიწის ზურგზე ვერავითარი ძალა ვერ წაგვართმევს მას, რაც ჩვენ აგვიშენებია.

— არ მჯერა ეს ამბავი, გიდიონ, არ მჯერა თქვენი ფანტასტიკურად გაზვიადებული წარმოდგენა კლენის ძლიერებაზე. ეს 1877 წელია!

— თქვენ საბუთი გინდოდათ,—თქვა გიდიონმა,— საბუთიც მაქვს.—მან რაღაც ქაღალდები ამოიღო ჯიბიდან და ლამპასთან გაშალა მაგიდაზე.—აქაა არჩევნების სტატისტიკა. საერთო ხმათა რაოდენობა ტილდენისათვის 4.300.000 შეადგენს. ჰეიზისათვის—4.030.000, ეს პირველი სიცრუეა; მე ვამტკიცებ, რომ ნახევარი მილიონი ზანგისა და თეთრის ხმა, რომელიც სამხრეთში რესპუბლიკელთა ბილეთისთვის იყო მიცემული, განადგურებული ან გაყალბებული იქნა, ანდა სულაც არ დათვალეს. არა, ამის დამტკიცება საბუთით არ შემიძლია; მაგრამ ზოგს რამეს კი დაგიმტკიცებთ. სინამდვილეში სულერთია—ტილდენიცა და ჰეიზიც, ორივე სინდისგარეცხილი ადამიანია და სავალალო მაჩვენებელი იმისა, თუ სანამდის დაეცა ჩვენი პოლიტიკური სისტემა; ორივენი ერთ თარგზე არიან გამოჭრილი.

— ჯერჯერობით,—თქვა გრანტმა, — მხოლოდ უსაფუძვლო ბრალდებებს აყენებთ. მეტი აღარ მინდა ამის მოსმენა, გიდიონ.

— თქვენ ბრძანეთ, რომ მომისმენთ. საბუთსაც მალე გიჩვენებთ. ნება მომეცით ჯერ ფაქტები ჩამოვთვალო. ჩვენი კონგრესიც კი, რომელსაც ქვეყანაზე ყველაზე უფრო დემოკრატიისა და

ხალხის ეშინია,—ისიც კი მომცემს ფაქტების ჩამოთვლის ნებას, როცა სიტყვას ავიღებ. ამას მალე მოვრჩები. ხუთი საათის და თექვსმეტი წუთის მატარებლით ნიუ-იორკიდან ჩემი ბიჭი ჩამოდის, რომელიც დიდი ხანია არ მინახავს; გარწმუნებთ, რომ მანამდე დავასრულებ ჩემ სათქმელს.

ლამპის ყვითელი შუქის წრის მიღმა მთელი ოთახი ბნელში იყო ჩანთქმული ახლა.—განაგრძეთ,—თქვა გრანტმა.

— გადავიდეთ ამომრჩეველთა მიერ მოცემულ ხმებზე. დემოკრატმა ტილდენმა 184 მიიღო, რესპუბლიკელმა ჰეიზმა —166. ერთი ხმაც რომ მიეღო ტილდენს, იგი იქნებოდა პრეზიდენტი; მაგრამ ჰეიზმა პრეტენზია განაცხადა სამხრეთ კეროლაინის, ლუიზიანის და ფლორიდის ხმებზე, რაც სწორედ საკმარისი იქნებოდა 185 ხმის შესაგროვებლად, რომ იგი გასულიყო პრეზიდენტად. და ჰეიზი არ სტყუოდა—ამ შტატების ხმები მას ეკუთვნოდა. როგორც მოგახსენებთ, ეს ხმები გააყალბეს, ანდა სავსებით მოსპეს. როგორი სიტუაცია შეიქნა? წარმომადგენელთა პალატაში უმრავლესობა დემოკრატებისაა, სენატში—რესპუბლიკელების; პირველი ტილდენის გაყვანას აპირებს, მეორე—ჰეიზის და მთელი ქვეყანა მეორე სამოქალაქო ომზე გოდებს, ხმა ვრცელდება უოშინგტონზე სამხრეთელთა მოსალოდნელი გამოლაშქრების შესახებ. ბატონო პრეზიდენტო, დაიჯერეთ თქვენ ეს ამბავი? დაიჯერეთ, რომ ამ ორ უსინდისო ადამიანს შორის მართლა იყო განსხვავება?

— ღმერთმა დაგწყევლოთ, გიდიონ, ისევ იმას მეუბნებით!

— ახლა გადავდივარ დასაბუთებაზე, ბატონო პრეზიდენტო: ნება მომეცით ეს საბუთი წარმოგიდგინოთ და მერე კი წავალ; მე მგონია, ჩვენ ორივენი ვამთავრებთ მოღვაწეობას. როგორც თქვენ ბრძანებთ, თქვენ მხოლოდ ორიოდე დღე დაგრჩენიათ პრეზიდენტობისა და არც მე დამრჩენია ბევრი დრო.

— განაგრძეთ,—ჩაიბუტბუტა გრანტმა.

— დიახ, ეტყობა ჩვენმა სამხრეთელმა დემოკრატებმა იცოდნენ, რომ ორივე ისინი ერთი ტიპისა იყვნენ. მათ ტილდენი თავიდან მოიშორეს—მეტად სახათაბალო საქმე იყო: მათ ერთხელ გაბედეს სამოქალაქო ომის გაჩაღება და დამარცხდნენ; ახლა ისინი მზად არ იყვნენ, რომ კვლავ გაებედათ ასეთი ავანტურა. მათ ამჯობინეს ჰეიზს მორიგებოდნენ: ჰეიზი მიიღებდა სამხრეთ კეროლაინის, ფლორიდის, ლუიზიანის ხმებს და აგრეთვე, უფრო

დაიმედებულნი რომ ყოფილიყვნენ, ორეგონის ხმებსაც. სამაგიეროდ ჰეიზი პატარა, უმნიშვნელო დათმობაზე წავიდოდა, მათ სასარგებლოდ: სამხრეთ კეროლაინასა და ლუიზიანაში მათ გადასცემდა სადავეებს და სამხრეთიდან გამოიყვანდა კავშირის ჯარს. ნუთუ ასეთ წვრილმანს უნდა დაებრკოლებინა კაცის პრეზიდენტობა? დაებრკოლებინა რესპუბლიკური პარტია, ლინკოლნის პარტია ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისაგან? აი საბუთი: მისტერ ჰეიზის ორი მეგობრის—სტენლი მეტჰიუსისა და ჩარლზ ფოსტერის მიერ დაწერილი წერილი. წერილი გადმოგვცემს იმ მოლაპარაკების არსებით მხარეს, რომელსაც ეს ორი აწარმოებდა ჯორჯიელ სენატორთან ჯონ ბ. გორდონთან და კენტუკელ კონგრესმენთან მისტერ ჯ. იანგ ბრაუნთან. ეს გახლავთ ზუსტი პირი, რომელიც მისტერ ფოსტერის ერთმა ზანგმა მსახურმა გადაიღო და მე მომიტანა; შემიძლია დავიფიცო. წაგიკითხავთ:

„იმ საუბრის გამო, რომელიც გუშინ თქვენთან გვქონდა და რომლის დროსაც განხილული იქნა გუბერნატორ ჰეიზის პოლიტიკა სამხრეთის ზოგიერთი შტატის სტატუსის მიმართ, სასურველია, მოგახსენოთ შემდეგი: შეგიძლიათ აბსოლუტურად დარწმუნებული ბრძანდებოდეთ იმაში, რომ ჩვენი მისწრაფებაა გუბერნატორი ჰეიზი ისეთ პოლიტიკას დაადგეს, რომელიც სამხრეთ კეროლაინისა და ლუიზიანის მოსახლეობას უფლებას მისცემს თავიანთი საქმეები საკუთარი წესით განაგონ, რაც მარტოოდენ შეერთებული შტატების კონსტიტუციას და მისგან გამომდინარე კანონებს დაექვემდებარება; მისი მთავრობის პოლიტიკა რომ სწორედ ასეთი იქნება, ამაში ჩვენ სავსებით ღრმად ვართ დარწმუნებული, რადგან კარგად ვიცნობთ გუბერნატორ ჰეიზს და მის შეხედულებებს“.
—აი საბუთი, ბატონო პრეზიდენტო!

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა; დაბოლოს გრანტმა ყრუ ხმით იკითხა: — რატომ არ გინდათ პალატაში ამხილოთ ეს ამბავი?

— იმიტომ, რომ ამის დედანი ხელთ არა მაქვს; იმიტომ, რომ ნამდვილ მხილებას ვერ წარვადგენ, თუმცა მზად ვარ ათას სახარებაზე დავიფიცო ამ ამბის ჭეშმარიტება; არ შემიძლია საწყალი ზანგის, მოხუცი მსახურის ჩვენება დავუპირისპირო შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჩვენებას. მე რომ პალატაში წამოვდგე და ის ვთქვა, რაც თქვენ გითხარით, ჩვენი კულტურული

არისტოკრატი დეპუტატებიდან ათი მაინც მორთავს ღრიალს—ამ წყეულ ზანგს, ამ თავხედსა და მატყუარას ლინჩი მოუხდებაო!

— მე რატომღა უნდა დაგიჯეროთ?

— იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალი ბეწვზე ჰკიდია; იმიტომ, რომ, როცა რევოლუციაში ვიბრძოდით, როცა სამოქალაქო ომში ვიბრძოდით, ამით ჩვენ ამაყად მივაბიჯებდით დიდების გზაზე, როგორც ჩემი ხალხი ამბობს,—ალილუიას გზაზე. ამ გზაზე ჩვენთან ერთად იყო ყველა კეთილშობილი ადამიანი, ვინც ჩვენამდე ცხოვრობდა ისტორიაში. ჩვენი სახე ღვთისკენ იყო მიპყრობილი. გესმით, ბატონო პრეზიდენტო? ახლა ჩვენ ამ გზის დატოვებას ვაპირებთ. ამიერიდან ჩვენი სახე წყვდიადისკენ იქნება მიქცეული. რამდენი ხნით, ბატონო პრეზიდენტო? რამდენი უნდა მოკვდეს, სანამ შესაძლებელი გახდება, რომ ჩვენ მთავრობას სახალხო, ხალხის მიერ უფლებამოსილი და ხალხისთვის შექმნილი ვუწოდოთ?

— არც ასე ცუდადაა საქმე...—დაიწყო გრანტმა.

— ცუდადაა!

გრანტი სკამის სახელურებს დაეყრდნო და მძიმედ წამოდგა; ლამპის შუქზე გადაიხარა, გიდიონს დააცქერდა, მერე სწრაფად მოშორდა მაგიდას და გულმოსული ნაბიჯით გაიარა ოთახში.

— ესაა სულ?—შეეკითხა მას გიდიონი.

— მე რისი გაკეთება შემიძლია?—წამოიძახა გრანტმა და გიდიონისაკენ შემოტრიალდა.—ეს თქვენი ნაამბობი გიჟური ზღაპარი მართალიც რომ იყოს, ღმერთო დიდებულო, მე რისი გაკეთება შემიძლია?

— ყველაფრის. თქვენ ჯერ კიდევ პრეზიდენტი ხართ. უთხარით ხალხს ეს ამბავი. პრესკონფერენცია მოიწვიეთ ხვალვე. ისეთი გაზეთები კიდევ არის, რომ ამის დასაბეჭდად გამბედაობა ეყოთ. დე, ჰეიზმა დაამტკიცოს ბრალდების სიყალბე. სააშკაროზე გამოიტანეთ მთელი ეს სიბინძურე, ხალხს დაანახვეთ; ხალხი მიხვდება, როგორ უნდა მოიქცეს. ჩვენ, ამერიკელები, არა ვართ ცუდი ხალხი; ჩვენ უმეცარი ხალხი არა ვართ. არაერთხელ შეგვირყევია ქვეყანა; ცუდიც გაგვიკეთებია, მაგრამ კარგი უფრო მეტი. კონგრესში გამოდით და სიმართლე მოითხოვეთ.

გრანტმა თავი გააქნია.—გიდიონ...

— გეშინიათ?—დაიყვირა გიდიონმა,—რას ჰკარგავთ? ვისაც

ის დღეები ახსოვს, როცა თქვენ გამარჯვებისაკენ მიგყავდათ ხალხი, ყველა მხარს დაგიჭერთ. დანარჩენები კი...—გიდიონს ხმა გაუწყდა...

მან თავი მოუყარა ქაღალდებს და ჯიბეში ჩაიდო.—კარგი, წავალ.

გიდიონის წასვლის შემდეგ გრანტი დიდხანს იჯდა მაგიდასთან, სახე ხელებში ჰქონდა ჩამალული და გაშტერებით მისჩერებოდა დახურულ კარებს.

* * *

გვიან იყო, როცა გიდიონი სადგურზე მივიდა. მატარებელი უკვე ჩამომდგარიყო, სადგურის ბაქანზე გიდიონმა ჯეფი დაინახა, მაღალი, მხრებგანიერი ჭაბუკი, თითქოს გიდიონის გამოსახულება იყოო სარკეში. იგი ჯიბეებში ხელებჩაწყობილი იდგა ორი აბგის შუა. მათთვის ზედმეტი იყო მეხსიერების მოშველიება; არც გარეგნულ ცვლილებებს ჰქონდათ რაიმე მნიშვნელობა—მათ ერთმანეთს შეხედეს და ერთმანეთი იცნეს, და მიუხედავად იმისა, რომ ორივე მრავალი წლით ხნიერი იყო ახლა, ისინი ადრინდელზე უფრო ჰგავდნენ ერთმანეთს. მამა და შვილი ერთმანეთს მიუახლოვდნენ, ხელი ჩამოართვეს. გიდიონმა მომდგარი ცრემლი გადაყლაპა, ჯეფმა ნელა გაიღიმა და მამას მკლავზე წააელო ხელი.

— უფრო დიდი მეჩვენები,—თქვა ვაჟმა.

— შენც დიდი ხარ,—თავი დააქნია გიდიონმა.

— ცნობით კი მიცანი.

— ჰო, კარგია, რომ დაბრუნდი, ჯეფ.

— მიხარია, რომ დავბრუნდი,—თქვა ჯეფმა. გიდიონი აბგების ასაღებად დაიხარა.—მე წამოვიღებ,—არ დაანება ჯეფმა.

— ერთი მე, ერთი შენ.

— კარგი,—გაიღიმა ჯეფმა და თან ცნობისმოყვარეობით შეავლო თვალი გიდიონს, ვითომ სხვათაშორის, მაგრამ თავიდან ფეხებამდე ჩაათვალიერა იგი და თან შეეცადა, რომ გიდიონს მის მზერაში მოწონება ეგრძნო. ისინი ერთად იდგნენ, ტოლებად, ორი ახოვანი ვაჟკაცი; მათი მიხვრა-მოხვრა ნელი, გაუბედავი იყო, რადგან ორივენი ცდილობდნენ ამდენი ხნის უნახაობის შემდეგ ყოველი მოძრაობა, ყოველი ფიქრი და სურვილი ერთმანეთისთვის

შეეხამებინათ. მათ გაიარეს ბაქანი, სადგურის შენობა და ჯეფმა დაგვიანებით იკითხა დამნაშავის კილოზე:—დედა როგორაა?

— კარგად,—მიუგო გიდიონმა და დაურთო:—ებერდებით.—შენ არ გეტყობა.—თქვა ჯეფმა. გიდიონს კები უცდიდა; ისინი შიგ შეძვრნენ; ორმა ახმახმა სხეულმა მთლიანად ამოავსო ვიწრო კები. ირგვლივ თოვლი თეთრ სათევზაო ბადესავით რიალებდა. —უოშინგტონი მე თბილი ადგილი მეგონა,—თქვა ჯეფმა,—პირველად ვარ აქ.—ჰო, პირველად,—მოაგონდა გიდიონს და მეხსიერებაში გაირბინა უკანასკნელმა წლებმა, რომელთა განმავლობაში ეს უშნოდ გაჭიმული, პრანჭია ქალაქი მდინარე პოტომაკზე მისი ცხოვრების ნაწილს შეადგენდა. კები დაიძრა და მათ მოესმათ დაჭედილი ფლოქვების რბილი თქაფუნი თოვლზე.

— ეს ორი წელიწადია ერთი პატარა სახლი მაქვს აქა,—თქვა გიდიონმა.

— დედა?

— შარშან სცადა,—უპასუხა გიდიონმა.—მე მგონია, კარუელში უფრო კარგად გრძნობს თავს.

— ისევ კარუელს ეძახით?

— კარუელს,—ცოტა არ იყოს, გაოცდა გიდიონი,—ჰო, არასოდეს არ გვიფიქრია სხვა სახელი გვეწოდებინა. ვიწროდ ხომ არ ხარ?—მუხლებზე მათ აბგები აწვებოდათ.

— ძალიან კარგად ვზივარ,—იყო ჯეფის პასუხი.

— მშიერი იქნები.

— ცოტათი.

— შინ ვისადილებთ, ჩვენ ორი ვიქნებით მხოლოდ, არავინ არ მომიწვევია.

ჯეფს ვერ გაეგო, რატომ თქვა მამამისმა ეს სიტყვები.

* * *

გიდიონის სახლი პატარა ხუთოთახიანი ხის შენობა იყო, თეთრად შეღებილი. სიბერისაგან სულერთიანად დამჭკნარი ზანგის ქალი ალაგებდა ოთახებს და საჭმელს უკეთებდა გიდიონს. გიდიონი მას დიდედა ჯოუნს ეძახდა.—დიდედა ჯოუნ,—მიმართა ახლა მას გიდიონმა,—ეს ჩემი ვაჟია, ჯეფი.—რამოდენა ბიჭი გყოლიათ, რა მშვენიერი, მისტერ ჯეკსონ. უნდა ამაყობდეთ.—ვამაყობ კი-

დეც,—მიუგო გიდიონმა. სადილი უბრალო იყო: ცხელი სუპი ცერცვისა, დაბეგვილი ხორცი, მწვანილი და ერბოიანი ღომი.— რამდენი ხანია ღომი არ მიჭამია,—გაიღიმა ჯეფმა.

— შოტლანდიაში, მართალია, ვერ ჭამდი,—გაახსენდა გიდიონს. იგი, რა თქმა უნდა, არ მოელოდა, რომ ჯეფი შეხვედრისთანავე გადაუხსნიდა თავის გულს მამას. ეს თანდათან უნდა მოხდეს და იმდენად, რამდენადაც ნელ-ნელა ყველაფერი გაქრება, რაც მათ ჯერ კიდევ აშორებს ერთმანეთისაგან. შვიდი წელიწადი დიდი დროა. მათი მეტყველებაც სხვადასხვა იყო ახლა: ჯეფის გამოთქმა უფრო მკვეთრი იყო და თანაც რაღაც საინტერესო უცხო კილო გადაჰკრავდა.

— ერთი წელიწადი ექიმ კენდრიკთან ვმუშაობდი; უფასო დისპანსერი აქვს მაღაროებში. კარგი გამოცდილება მივიღე: უბედური შემთხვევები, დამსხვრეული კიდურები, ცეცხლისგან დაშავებულნი, რთული ჭრილობები და ინფექციები, ხუნაგი, წითელა და მრავალი წვრილმანი, რაც ასე ძნელი თავგასართმევია დასაწყისში.

— თეთრებს ექიმობდი?

— მთელს საგრაფოში ერთადერთი ზანგი ვიყავი. ამაშია განსხვავება.

— კარგად გეპყრობოდნენ?

— სულ სხვანაირად, ვიდრე აქ. უფრო ცნობისმოყვარეობას ვიწვევდი. ისინი მარტივი ხალხია და მათი შიში და ეჭვებიც მარტივია. ადვილია მათში გარკვევა და მათი გაფანტვაც.

ისინი გიდიონის კაბინეტში შევიდნენ; პატარა ოთახი წიგნებით იყო სავსე და მისაღები ოთახის მაგიერობასაც სწევდა. ისინი დასხდნენ, ფეხები ნაკვერცხლებით გავარვარებულ ბუხრისკენ გაიშვირეს და საუბარი გამართეს, რაც ახლა უფრო ადვილად ხერხდებოდა. ჯეფმა ესეც კი თქვა:

— იცი რა,—დიდ სიამაყეს ვგრძნობ.

— რის გამო?

— იმის გამო, რომ შენ კონგრესში ხარ. არ ვიცი, როგორ გამოვთქვა, მაგრამ ეს დიდებული ამბავია.

გიდიონის თვალები ჩაფიქრებას გამოხატავდნენ.—ეს გარემოების შედეგია. ადამიანს პირობები ჰქმნიან. შეიქმნა ვითარება, რომელსაც, ასე თუ ისე, უნდა გარდავექმენი და გარდამქნა კიდეც.

ჯეფმა მას არჩევნების შესახებ ჰკითხა და გიდიონმაც ჯერ ნელა, შემდეგ და შემდეგ კი სულ უფრო მეტი მღელვარებით უამბო მას ყველაფერი, თავიდან ბოლომდე აუხსნა მოვლენათა თანმიმდევრობა უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში და ისიც უთხრა, თუ როგორ იყო დღეს პრეზიდენტის სანახავად. „არაფერი არ გამოვიდა",—დაასრულა გიდიონმა.

— დარწმუნებული ხარ? განა შეიძლება რამე ამგვარად დასრულდეს, ასე უეცრად, თითქოს ყუმბარა აფეთქდაო? ხდება ხოლმე ასე?

— უეცრად კი არა,—თქვა გიდიონმა, ასეთი დასასრული დიდი ხანია მზადდება. რვა წლის წინათ, თუ ცოტა უფრო ადრეც, კლენი ჩვენებს დაესხა თავს კარუელში. თავდასხმა უხამსი, ლაჩრული იყო. ბოსელი გადასწვეს და ერთი პატარა ბიჭი მოჰკლეს. მაგრამ ეს მაშინ დასაწყისი იყო მხოლოდ. ჩვენი განადგურება მათ თავიდანვე ჰქონდათ გადაწყვეტილი. ის იყო ომი დამთავრდა, რომ ისინი, ვინც იგი დაიწყო, ახალი ომისთვის შეუდგნენ მზადებას; ახალი ომი ამჯერად სხვანაირი იყო: ღამეში მოთარეშე ჯარები, იატაკქვეშა ორგანიზაცია, დაშინება, მუქარა, ტერორი. ახლა ეს მზადება უკვე დამთავრებულია; ისინი მზად არიან.

— დაუჯერებელია.

— ნეტავ მე თავად არ მჯეროდეს,—თქვა გიდიონმა,—მაგრამ არ ვცდები.

— რას აპირებ?

— ჯერ კიდევ არ ვიცი, მინდა მოვიფიქრო. ყოველ შემთხვევაში შინ უნდა წავიდე. მათთან მინდა ვიყო.—ჯეფმა თავი დაუქნია.—მე მგონია, ჩემთვის ეს იქნება სწორი,—განაგრძო გიდიონმა,—მაგრამ აუცილებელი არაა, რომ ის, რაც ჩემთვის სწორია, შენთვისაც სწორი იყოს. გესმის, ჯეფ?

— რისი თქმა გინდა?

— მე ამ რამდენიმე დღეში წავალ,—მიუგო გიდიონმა.—არ მინდა, რომ შენ ჩემთან ერთად დაბრუნდე კარუელს, არავითარი აზრი არ ექნება შენს წასვლას. თუ ყველაფერი კარგად იქნა, გაზაფხულზე...

— რას ლაპარაკობ?—ამხედრდა ჯეფი.

გიდიონმა თავი გადააქნია.—ნუ ფიცხობ, ჯეფ, მომისმინე; ერთი დრო იყო, შენ ჩემი გესმოდა.—გიდიონი ერთი წუთით წა-

მოდგა. თავისი გრძელი თითები მოიფშვნიტა, ვაჟისკენ დაიხარა და მერე კვლავ აჩქარებით დაჯდა. იგი იჯდა მდუმარედ, მზერა სივრცეში გახევებოდა, ცეცხლის შუქი ეცემოდა მისი გრძელი, გამხდარი სახის ამობურცულ ნაკვთებს. ჯეფმა შეხედა მამას და დაინახა, თუ როგორ მოკუმულიყვნენ მისი დიდი, სავსე ტუჩები, როგორი დაღლილობა გამოკრთოდა ღრმად ჩაცვენილ, დაწითლებულ თვალებიდან; გიდიონი უფრო ხნიერი ჩანდა, ვიდრე ორმოცდახუთი წლის კაცია ჩვეულებრივ, უფრო ხნიერი, ვიდრე ეს ლოგიკური და გასაგები იყო ჯეფისათვის. ფართო მხრები, რომლებიც ხშირად უნახავს ჯეფს თავის ბავშვობაში, გაშიშვლებულნი რომ იწვოდნენ თაკარა მზეში, როცა რკინის კუნთების ერთმანეთში გადაწნულ ფენებს, საოცარ ღონეზე რომ მეტყველებდნენ, ოფლი ფარავდა, ეს ფართო მხრები ახლა მოხრილნი, მოდუნებულნი იყვნენ. მოკლე, წვრილად დახუჭუჭებულ თმას, რომელიც თავს შემოსხლეტილ ქუდივით ჰფარავდა, ჭაღარა გარეოდა. ჯეფი გრძნობდა, რომ ეს კაცი კვლავაც გამოუცნობი დარჩა მისთვის. თხუთმეტი წლის ბიჭი რბილი თიხაა. მას შემდეგ ცხრა წელი გავიდა—დრო ზელდა ამ რბილ თიხას, მაგრამ არაფერი დაუმსხვრევია მასში. ჯეფი სწავლობდა, იზრდებოდა, სრულდებოდა, ჭრილობებს ღებულობდა, იშუშებდა მათ. მან მეცნიერებაში იპოვა თავისი ღმერთი; მიკროსკოპში ადამიანის კანს ფერი კი არ აქვს, არამედ ერთმანეთზე კოხტად მიწყობილ ურიცხვი უჯრედებისაგან შედგება. მთელი ქვეყანა გონიერი საწყისის სამეფო იყო. ერთმა კაცმა, სახელად დარვინმა ის ბურუსი გაჰფანტა, რომელიც ადამიანამდე არსებულ უთვალავ საუკუნეებს ფარავდა. მოტეხილი ფეხი განსაზღვრული წესით უნდა იქნეს მიდგმული იმისათვის, რომ შეხორცდეს და ამ წესისთვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რა ფერისაა, შავია თუ თეთრი კანი, რომელიც ფეხს გარს აკრავს. ერთხელ ტორფის ჭაობში, განმარტოებულ ქოხში ჯეფმა თეთრი ქალი მოალოგინა, ახალდაბადებულ ბალღს სულის ამოსათქმელად მიუტყაპუნა და დაინახა, თუ როგორ დაიჭყვირა ბალღმა—ეს დაბადების მშვენიერი ტანჯვის ხმა იყო. ქვეყანა სავსებით გასაგებია; სიცარიელეში მსრბოლავი პლანეტა თავდასაცავად ატმოსფეროს გარსშია ნაზად გახვეული. ადამიანები ბოროტებას იმიტომ იჩენდნენ, რომ არ უწყოდნენ, მაგრამ ვინც თავის სიცოცხლეს ცოდნისთვის სწირავს, მეცნიერული ცოდნისთვის, მას შიში არ ექნება.

ამას გრძნობდა იგი თავის თავში, მაგრამ მამამისს რა ემართებოდა? ჯეფს მოაგონდა ახოვანი მიწის მუშა, ჩარლსტონის გზას რომ გაუდგა, კონვენტზე მიმავალი დელეგატი, თავზე—დაჭმუჭნული წოწოლა აბრეშუმის ქუდი, გულის ჯიბიდან გადმოკიდებული ჭრელი ცხვირსახოცი. მაშინ უკან სხვა ადამიანი დაბრუნდა, მაგრამ რა ტანჯვით იშვა ეს მეორე ადამიანი? როგორმა შინაგანმა კონვუსიებმა შეჰქმნეს გიდიონ ჯეკსონისაგან მესამე და მეოთხე კაცი? კაცი, რომლის შესახებ ექიმმა ემერიმ თქვა: „ესაა ნამდვილი სადიადე, ამ სიტყვის არსებითი მნიშვნელობით, ჯეფ, დაიხსომე. მეცნიერული განსაზღვრანი არ არსებობენ. როცა ლოგიკა ვეღარ გიშველის, მამაშენზე იფიქრე“. ჯეფი ახლა მასზე ფიქრობდა სწორედ, კაცზე, რომელიც სამხრეთ კეროლაინის შტატის სენატში მჯდარა, რომელიც შეერთებული შტატების კონგრესის წევრი იყო და რომელმაც ჯორჯიას წარმომადგენლის საპასუხოდ ის განცხადება გააკეთა, დღეს ყოველმა ამერიკელმა ბავშვებმა ზეპირად რომ იცოდა:

„დიახ, როგორც ჯორჯიელი დეპუტატი ბრძანებს, სულ ცოტა ხნის წინათ მე მონა ვიყავი. დღეს კი ჩვენი ქვეყნის კონგრესში მე, როგორც თავისუფალი ადამიანი, მას პასუხს ვაძლევ. ეს ამერიკის აღთქმაა, ბატონებო, ჩემი ამერიკული აღთქმა. ჩემთვის საჭირო არაა, რომ პატრიოტულ გრძნობებზე ვილაპარაკო. ის ფაქტი, რომ მე აქ ვიმყოფები, უკეთესად ახასიათებს ქვეყანას, რომელსაც მე ვემსახურები, ვიდრე ადამიანის მიერ წარმოთქმული ან დაწერილი სიტყვები“.

ეს განცხადება ჯეფმა შოტლანდიის ჟურნალებში ნახა გადაბეჭდილი; პარლამენტის ერთ-ერთმა წევრმა თემთა პალატაში წაიკითხა იგი; ამ განცხადების გამო საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში სამი საათის განმავლობაში არ დამცხრალა მძაფრი კამათი, გერმანიაში, უნგრეთში და რუსეთში მუშათა არალეგალურმა რევოლუციურმა ჯგუფებმა ეს განცხადება გადათარგმნეს და ათასეულ ეგზემპლარებად გაავრცელეს.

ახლა, უყურებდა რა გიდიონს, ჯეფმა იგრძნო სიბრალული და თანაც სიამაყე, იგრძნო დიდი მისწრაფება, დიდი სურვილი ახლოს მისულიყო ამ კაცთან, მამაშისთან, გაეგო იგი და თავადაც გასაგები გამხდარიყო მისთვის. მაგრამ ჯეფში ძლიერი იყო საკუ-

თარი ინდივიდუალობის გრძნობა, გიდიონისაგან განსხვავებული, მასთან შედარებით წინ წასული ინდივიდუალობისა.

— გისმენ,—თქვა ჯეფმა,—სხვა ამბავია, როგორ მოვიქცევი, შენ კი ყოველთვის მოგისმენ.

— მე კარუელს ვბრუნდები,—დაიწყო განმარტება გიდიონმა. იგი ნელა, წყნარად ლაპარაკობდა, — რადგან ჩემი ადგილი იქაა. მთელი ჩემი არსება, ჯეფ, შვილო, ყველაფერი, რაც ვიყავი და რაცა ვარ, ჩემს ხალხთან მაკავშირებს. მე მათი შვილი ვარ, ძალას ისინი მაძლევენ. დიდი დრო გავიდა სანამ ამას შევიგნებდი. მე ნიჭი მაქვს, ცოდნა მივიღე, ლაპარაკი ვისწავლე, ბევრ რამეს ჩავწვდი, მაგრამ ჩემში არაფერი არ იყო ისეთი, რაც ამავე დროს მათი ნაწილიც არ ყოფილიყოს. მათთან უნდა დავბრუნდე, რადგან უდიდეს ბედნიერებას ეს მომანიჭებს სწორედ. კაცის ბუნება კი ასეთია, ჯეფ,— გინდ პატარა საქმეებს აკეთებდეს, გინდა დიდს, ყველაფერში ბედნიერებას ელტვის. შენი საქმე კი სხვანაირადაა. დიდ ხანს იყავი წასული, გასწავლეს, გაგწრთვნეს და დღეს ექიმი ხარ. ექიმი კარგ წიგნსა ჰგავს; მისი დანიშნულება, მისი ღირებულება აღემატება იმ შრომასა და ენერგიას, რომელიც მის შესაქმნელად დახარჯულა. ჩემი დანიშნულება და ღირებულება იმით განისაზღვრება, რაც ხალხისაგან მიმიღია, შენი კი არა. რა ცუდადაც არ უნდა წავიდეს საქმე, ჩემი ხალხი მეორე გიდიონ ჯეკსონს იპოვის, როცა ამის საჭიროება დადგება. შენი საქმე კი სხვანაირადაა. შემიძლია, როგორც კაცს, ისე გელაპარაკო; ამით ვამაყობ, ეს ჩემი ბედნიერებაა. როცა მე დღეს პრეზიდენტ გრანტს ვუთხარი, დარწმუნებული ვარ მრავალი წელი გაივლის სანამ შავი კაცი დაელაპარაკება-მეთქი პრეზიდენტს,—მე ისა ვთქვი, რაც მჯერა; მე ისიც მჯერა, რომ მომავალი წლების განმავლობაში შენსავით განსწავლული ზანგები ცოტა გვეყოლება. აქ დარჩი; შეგიძლია ამ სახლში იცხოვრო, ავადმყოფები აქაც ბლომად იქნებიან. შენი დაბრუნება ჩემთან ერთად კი ზარალი იქნებოდა მხოლოდ.

როდესაც გიდიონმა ლაპარაკი დაამთავრა, ისინი ერთხანს ჩუმად ისხდნენ. ჯეფმა ჩიბუხი გამოფერთხა, ხელახლა აავსო, მაშით პატარა ნაკვერცხალი აიღო ბუხრიდან და რბილ, სურნელოვან თამბაქოს დაადო. გიდიონმა ცოტაოდენი ღვინო დაისხა. დაბოლოს ჯეფმა თვალი მოავლო ოთახს და თქვა: „კარგი ოთახია, თბილი. სიამოვნებით წავიკითხავდი ზოგიერთს ამ შენი წიგნებიდან“

გიდიონმა თავი დაუქნია.

— წიგნების კითხვას ყოველთვის მეორე დღისთვის ვდებ— როცა დრო მექნება-მეთქი. დრო კი არასოდეს არაა.

— არის,—თქვა გიდიონმა.

— მითხარი,—შეეკითხა მას ჯეფი,—თუ საქმე ისე წავიდა, როგორც შენ ვარაუდობ, იბრძოლებთ?

— არ ვიცი,—თქვა გიდიონმა.

— მარკუსი მწერდა, როცა ვინმე ავად ხდება, მოხუც ექიმ-ლიდს ეუძახითო. ხან მოდის და ხან არა თურმე.

— მეტწილად მოდის.

— ამიერიდან აღარ მოვა,—თქვა ჯეფმა,—თუ მართალია, რაც შენ მიამბე, ამიერიდან იგი აღარ მოვა.—ჯეფი ადგა, ფანჯარასთან მივიდა და ფანჯრის მინაზე დაცვარული ორთქლი მოსწმინდა.—ისევ თოვს,—შენიშნა მან,—უცნაურია, რომ ამდენი ხანია წასული ვარ და სხვა ადგილის სიყვარული კი მაინც ვერ ვისწავლე. გაჩვენებდა ხოლმე ალენბი ჩემს წერილებს, ელენისთვის რომ უნდა წაეკითხა მას?

გიდიონმა თავი გააქნია. „მოხუცი გასულ თვეში გარდაიცვალა. მე მეგონა, შენ იცოდი ეს!“

— არ ვიცოდი,—თქვა ჯეფმა.—მამა, მეც შენთან ერთად მოვდივარ!

* * *

უოშინგტონიდან წასვლის წინ უკანასკნელი საქმეების მოგვარებაში გიდიონი რაღაცნაირ კომპრომისს იჩენდა; ეს იყო, ერთი მხრით, რწმენა, რომ იგი სამუდამოდ სტოვებდა უოშინგტონს და, მეორე მხრით, ბუნდოვანი იმედი, რომ შესაძლოა კვლავ ჩამოსულიყო საგაზაფხულო სესიაზე. დროდადრო ფიქრობდა კიდეც, ჯეფი უთუოდ მართალია, რომ ქვეყანა ასე უბრალოდ ყუმბარასავით ვერ აფეთქდებაო. სახლი მან უცვლელად დასტოვა და დიდედა ჯოუნს დაუბარა, თვალი გეჭიროსო. კონგრესში იგი კომიტეტის სხდომას დაესწრო და ვერც კი შეამჩნია, როგორ შეტოპა მიწაზე რკინიგზათა უპირატესობის კანონის ირგვლივ გამართულ კამათში. რას იზამ, ადამიანის ხვედრი ასეთია და გიდიონიც აკეთებდა ჩვეულებრივ ამბებს: იცვამდა, ჭამდა, წვერს იპარსავდა,

იძინებდა. ერთხელ, ჯეფის ჩამოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ, მდივანმა მოახსენა, სენატორ სტივენ ჰოლმსს თქვენი ნახვა სურსო.

— გთხოვთ გადასცეთ სენატორ ჰოლმსს,—მიმართა მდივანს გიდიონმა,—რომ სრულებით არ მცალია; უოშინგტონიდან წასვლამდე რამდენიმე დღე დამრჩენია და არავის არ ვღებულობ.

მდივანი უკანვე მოვიდა და მოახსენა, სენატორი ჰოლმსი დაჟინებით თხოულობს თქვენს ნახვასო.

— კარგი,—თავი დააქნია გიდიონმა.—შემოვიდეს.—ჰოლმსი შემოვიდა; გიდიონი არც კი წამოიწია სკამიდან, არც ხელი გაუწოდა. მომღიმარე ჰოლმსმა ნაზად დაუსვა ხელი თავისი ქუდის ხაოს, პალტო ფრთხილად გაიხადა, ჯოხი და ხელთათმანები გიდიონის მაგიდის კუთხეზე დააწყო და დაჯდა.

— რა გნებავთ?—იკითხა გიდიონმა.

— მე მინდოდა თქვენი ნახვა, გიდიონ, რადგან ჩვენ ორივე ცივილიზებული ადამიანები ვართ და ამ საფუძველზე შეგვიძლია ზოგ რამეზე მოვითათბიროთ; ბრიყვებით, იდიოტებით, კაცუნებით და ჭკუამოკლე ხალხით სავსე ქვეყანაში ჩვენ ორს მაინც შეგვიძლია სიმართლე ვაღიაროთ, მდგომარეობა ავწონ-დავწონოთ და ამის შესაბამისად აუღელვებლად მოვრიგდეთ კიდეც.

— თქვენ ასეთი შესაძლებლობა გწამთ, არა?—შეეკითხა სენატორს გიდიონი. აგერ აქ იჯდა ეს ტანწერწეტი, თავაზიანი კაცი და არავითარ უხერხულობას არ გრძნობდა. მას საუცხოოდ ეცვა და ძველებურად მშვიდი, აუღელვებელი მიხვრა-მოხვრა ჰქონდა; წლებს ვერაფერი დაეკლო მისი ფაქიზი, კრიალა და ოდნავ მოყვითალო კანისთვის; ასკეტური სახე გამოუცნობიც იყო, მიმზიდველიც და როგორღაც ეხმაურებოდა კიდევ გიდიონის ყოველ სიტყვას, მის განწყობილებას, ეს იყო სწორედ ცივილიზაციის პროდუქტი.

ამავე დროს იგი თავისებურად ალალმართალი კაცი იყო, არაჩვეულებრივად ალალმართალი და პირდაპირი თავის არაჩვეულებრივად ყალბ და თვალთმაქც გარემოცვაში. და მაინც ამ წუთში გიდიონმა მის მიმართ ისეთი ზიზღი იგრძნო, როგორიც მას არასოდეს ეგრძნო მანამდე ცოცხალი არსების მიმართ—გულისამრევი ზიზღი და სიძულვილი; გიდიონ ჯეკსონი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე—მონობაშიც და თავისუფალ მდგომარეობაშიც—სიძულვილს გაურბოდა, რომელიც ცდილობდა გაეგო, თუ

რის გამოა, რომ ზოგი კარგი ადამიანია და ზოგი ცუდი, ზოგი ლმობიერია და ზოგი გულქვა, რომელიც მაშინაც კი, როცა ზურგს მათრახით უპრელებდნენ, იმას ცდილობდა, რომ ამის მიზეზი გაეგო, ლოგიკა და რაღაც ჟეშმარიტება ეგრძნო ამაშიაც, ეს გიდიონ ჯეკსონი, რომელიც იბრძოდა და ჰკლავდა ისე, რომ სიძულვილს არ განიცდიდა მათ მიმართ, ვისაც ებრძოდა, ვისაც ჰკლავდა—ეს კაცი, გიდიონ ჯეკსონი, ახლა უყოყმანოდ მოჰკლავდა სტივენ ჰოლმსს და არავითარ სინანულს არ იგრძნობდა ამის გამო. და გიდიონმა გაიმეორა: „თქვენ ასეთი შესაძლებლობა გწამთ, არა?“

— მწამს, გიდიონ,—მშვიდად მიუგო ჰოლმსმა; და მერე სრული გულწრფელობით დაურთო:—გარწმუნებთ, გიდიონ, რომ მე ჩემი კლასის იმ მცირერიცხოვან ჯგუფს ვეკუთვნი, რომელიც ელდანაცემი უკან არ იხევს ადამიანის ფერადი კანის წინაშე. ხომ გესმით, მე, ძირითადად, გონიერი და ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანური არსება ვარ; ასევე თქვენც. ჩვენ კარგად გვესმის, რომ საზოგადოებაში განსაზღვრული კრიტერიუმებია დაწესებული. უნდა გამოვტყდე, რომ ხშირად თავს უფლებას ვაძლევ ჩემს უტვინო მეგობრებს,—თავცარიელ იდიოტებს დავცინო, რომლებიც თქვენი რასის ყველა ადამიანს და ჩემი რასის ძალიან ბევრ წარმომადგენელსაც დაბალი ჯიშის არსებებად სთვლიან. ღმერთმა იცის, რომ მე კარგად მესმის მათი ფასი, მაგრამ მე მათთან ვარ დაკავშირებული, გიდიონ, ნაწილობრივ წარმოშობით, ნაწილობრივ ჩემი საკუთარი სურვილით. ჩვენებმა ბევრი რამ დაჰკარგეს ომის წყალობით, არა მარტო ძალა-უფლება, რაც თავისთავად პატარა ამბავი არაა, არამედ ის მატერიალური დოვლათი, რომელიც ძალაუფლების შედეგია, თავისებური ყაიდა ცხოვრებისა. მე მინდოდა ყველაფერი ეს დამებრუნებინა და ამისათვის დიდი სიფრთხილით ვიბრძოდი.

— და ყველაფერი დაიბრუნეთ?

— არა სავსებით,—აღიარა ჰოლმსმა...—ზოგი რამ კიდეევაა მოსაგვარებელი, მაგრამ ნაწილობრივ ჩვენ უკვე გივიმარჯვეთ. თავის მოკატუნება რა საჭიროა! თქვენ კარგად იცით, რატომაა, რომ რუთერფორდ ჰეიზია სწორედ ახალი პრეზიდენტი, და ისიც იცით, რომ მას ჯენტლემენობა მაინც ეყოფა იმისათვის, რომ თავისი სიტყვა შეასრულოს. ასეა თუ ისე, რესპუბლიკურმა პარტიამ ჩვენთან ზავი ჩამოაგდო და ზოგი რამ უეჭველად გაკეთდება.

— თქვენ პირდაპირი და ჭკვიანი კაცი ხართ,—თქვა გიდიონმა, რომელიც ნამდვილი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა ახლა ჰოლმსს.

— თქვენ ამით ამაყობთ, არა?

— ნაწილობრივ, დიახ!

— და თქვენ აქ ნიშნის მოსაგებად არ მოსულხართ, თქვენ მეტისმეტად ცივილიზებული ხართ, რომ ასეთი რამ იკადროთ.

— მეტისმეტად ცივილიზებული, გიდიონ, მეტისმეტად ცივილიზებული, რომ შავი კაცის ირონიამ რაიმე შთაბეჭდილება მოახდინოს ჩემზე. და მე მგონია, რომ თქვენც მეტისმეტად ცივილიზებული ხართ, რომ ჩემი გარეთ გაგდება იკადროთ.

— მზად ვარ მოვისმინო, რისი თქმაც გსურთ,—წყნარად უპასუხა გიდიონმა.

— მეც ასე ვიფიქრე, რომ მომისმენდით. გადაკრულ სიტყვებს თავი დავანებოთ. მე აღფრთოვანებული ვარ თქვენით. მე თქვენ თვალყურს გადევნებდით კონვენტის დროს და მომდევნო წლების განმავლობაში. გასაოცარი ევოლუცია მოხდა. თქვენ დიდი უნარისა და შესანიშნავი ნიჭის კაცი ხართ; ჭკვიანი ხართ, თუნდაც ის ფაქტი, რომ ყოფილი მონა, რომელიც უმეცარი სოფლელის ლუღლუღით მეტყველებდა, იმ კულტურულ ადამიანად იქცა, რომელსაც ახლა მე ველაპარაკები—თავისთავად დაუჯერებელი რამაა. მე თქვენ გისმენდით კონგრესში; ხშირად აღფრთოვანებაში მოვდიოდი; თქვენი ენამჭევრობა, რომელსაც კეთილგონიერებისა და გრძნობიერების ესოდენ იშვიათი კომბინაცია ახასიათებს, უაღრესად დიდ შთაბეჭდილებას ახდენს და არაჩვეულებრივად აღელვებს ადამიანს.

— ეს პირმოთნეობაა,—შენიშნა გიდიონმა,—განაგრძეთ.

— მე ვფიქრობ, თქვენ რომ იმ საოცარი და სულელური დოკუმენტის დედანი გქონოდათ, რომელიც პრეზიდენტ გრანტს უჩვენეთ, შესაძლებელია, კონგრესში გამოიტანდით მას და ისტორიის მსვლელობას შესცვლიდით. თუმცა ვინ იცის; პალატაში უმრავლესობა ჩვენს პარტიას ეკუთვნის, და საეჭვოა, რომ ერთმა კაცმა ერთის ხელის დაკვრით შესძლოს, ასე თუ ისე, შესამჩნევად შესცვალოს ისტორიის მსვლელობა.

— მაშ თქვენ ამის შესახებაც იცით? რაც არ უნდა ითქვას, მუშაობა ზედმიწევნით ორგანიზებული გქონიათ.

— ზედმიწევნით ორგანიზებული უნდა ვყოფილიყავით, გიდიონ, ჩვენ დამარცხებული მხარე ვიყავით. ჩვენი ქვეყანა ოკუპირებული ქვეყანა იყო.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ის თქვენი ქვეყანაა?

— არსებითად, დიახ. იგი რამდენიმე რჩეულ ადამიანს ეკუთვნის, რომელთაც უნარი აქვთ მართონ იგი. ამაზე უნდა დათანხმდეთ, გიდიონ. არც გადაგვარებულ თეთრ ნაძირალას, რომელსაც ჩვენ კლენში ვიყენებთ, და არც დაბეჩავებულ, ბავშვური ფსიქიკის ზანგ მიწის მუშას არ გააჩნია მმართველობის ნიჭი. ამიტომაა, რომ მე თქვენ მოგმართავთ გულწრფელი და ლოგიკური წინადადებით. სხვა გზებიც არსებობს, მაგრამ რამდენად უფრო მარტივი იქნება, თუ თქვენ ჩვენთან გადმოხვალთ, თუ ზოგიერთი თქვენი კოლეგა ჩვენ შემოგვიერთდება, ზანგი თქვენ გამოგყვებათ. უწინაც მოგყვებოდათ და შემდეგშიც გამოგყვებათ. საბოლოო ჯამში ჩვენი გზა საუკეთესოა. მერწმუნეთ, მე არ მიყვარს ძალის ხმარება, მაგრამ, თუ აუცილებელი გახდა, ძალასაც გამოვიყენებ; რამდენად უკეთესი იქნება, ისე განვახორციელებდეთ ჩვენს მიზნებს, რომ მასიურ ძალადობას არ მივმართოთ. მიზანი კი ქვეყანაა, სადაც დოვლათიანი ცხოვრება და წესრიგი ყველას საკეთილდღეოდ იქნება შექმნილი, სადაც მიწის მუშას საკმელი არ შემოაკლდება და სახვალიო ლუკმაპურზე ფიქრი ძილს არ გაუტეხს.

— ამას მე მთავაზობთ?!—თითქოს სმენამ უმტყუნაო, გაოგნებით იკითხა გიდიონმა.

— თანახმა ხართ?

— იმაზე, რომ ჩემი ხალხი უკან მონობაში დაავაბრუნო?!

— თქვენი ნებაა, როგორ გამოთქვამთ.

— თქვენ წარმოუდგენელი რამ ხართ,—წყნარად თქვა გიდიონმა.— მე ეს მაშინვე უნდა გამეგო, როცა თქვენს სახლში მოვედი. მაგრამ მე თქვენ ადამიანად გთვლიდით. მე ყველა კაცს ადამიანად ვთვლიდი. ვერ მივხვდი, რომ თურმე შესაძლებელია ადამიანის გონება განუკურნებელი სენით დაავადდეს. არ მესმოდა, რომ ზოგიერთნი დაავადებულნი არიან და შეუძლიათ თავიანთი სნეულებით დედამიწა გახრწნან. ჩვენ ყველა ჩავდივართ შეცდომებს, ხომ ასეა? ჩემის აზრით, ჩემი ბანაკის ხალხმა ერთი უდიდესი შეცდომა ჩაიდინა: როდესაც ომში მიწა სისხლით ირწყვებოდა, მათ ეგონათ, რომ ბოროტება უკვე გასრესილი იყო, მაგრამ დაავადებულთა,

სნეულთა და გათახსირებულთა სისხლი სრულებით არ დაღვრილა. მარტოოდენ კარგი, კეთილი ადამიანების სისხლი დაიღვარა, რომლებიც მოატყუილეს და სასაკლაოზე გარეკეს. ჩვენ თქვენისთანები ცოცხალი დავტოვეთ...

გიდიონს აქამდის არ ენახა სენატორ ჰოლმსის გაბრაზება: მოკუმული ტუჩები, რამდენიმე ვერტიკალური ნაოჭი მაღალ ფაქიზ შუბლზე. სენატორი ჰოლმსი ადგა, პალტო ჩაიცვა, ქუდი დაიხურა, ხელთათმანები და ჯოხი აიღო მაგიდიდან.

— მე მიმაჩნია, რომ ეს თქვენი პასუხი გახლავთ,—თქვა მან.

— შეგიძლიათ ასე მიიჩნიოთ,—დაეთანხმა გიდიონი.

* * *

მეორე დღეს გიდიონი და ჯეფი სამი საათის მატარებელს უნდა გაჰყოლოდნენ სამხრეთისაკენ. გიდიონს ბევრი არაფერი მიჰქონდა თან: პატარა აბგა და ტყავის ჩანთა, რომელშიაც უიტმანის ლექსების ძველი წიგნი ჰქონდა, ჩარლს სამნერის მიერ სიკვდილის წინ ნაჩუქარი, მისივე სურათი ავტოგრაფით და ერთი რვეული. გიდიონს განზრახული ჰქონდა მოხსენება დაეწერა ჰეიზტილდენის მთელს აფიორაზე და ფიქრობდა, რომ დროის მოსაკლავად მატარებელშივე შეუდგებოდა მუშაობას.

ჯეფთან ერთად მან მთელი ბაქანი გაიარა მატარებლის ბოლომდე. „უკანასკნელ ვაგონში“,—თქვა მან.

— რატომ?

— არ იცი, ხომ?—მიხედა გიდიონი და ვაჟს შეხედა.—გახსოვს, რომ გითხარი, ყველაფერი ეს უეცრად არ ხდება-მეთქი, ყუმბარის აფეთქებასავით. ხომ გესმის, ეს ამბავი დიდი ხანია მოდის.

ისინი უკანასკნელ ვაგონთან მივიდნენ; ეს იყო ძველისძველი და საპატიო ვეტერანი რკინიგზის სამსახურისა. ფანჯრები ჭუჭყიანი ჰქონდა, ორი მათგანი ფიცრებით იყო ამოვედილი. კარებზე წარწერა მარტივად ამბობდა: „ზანგებისათვის“. ჯეფმა წაიკითხა და მამას მიუბრუნდა:

— არა, არა, ეს შეუძლებელია! ეს საზიზღრობაა, გესმის; საზიზღრობაა! შენ კონგრესის წევრი...

— შედი ჯეფ,—თქვა გიდიონმა.—ეს ახალი ამბავი არაა. საყოველთაოდ ხდება; კაცი ეჩვევა.

ისინი შიგ შეეიდნენ და ხის ძველ მერხზე ერთად ჩამოსხდნენ. ვაგონი ზანგებით ივსებოდა. თავის დროზე მატარებელიც დაიძრა. გიდიონმა თქვა:

— ბოლოს და ბოლოს, ეს მხოლოდ ცოტა ხნით; მალე შინ ვიქნებით, კარუელში.

თ ა ვ ი მ ე ც ხ რ ე

როგორ დაბრუნდნენ ჯარუელს გიდიონ ჯეკსონი და მისი ჯაჟი

სადგურზე მათ მარკუსი შეხვდათ. ჯეფისთვის სავსებით უცხო იყო ეს ლამაზი და კოხტა ზანგის ბიჭი, ჯეკსონებს შორის ყველაზე უფრო ლია ფერისა. გიდიონს იგი მხრებამდის წვდებოდა, მაგრამ პროპორციული აღნაგობის იყო: წელში ვიწრო, ბეჭებში ფართო და ისეთი მსუბუქი და მოქნილი მიხვრა-მოხვრისა, რომ ჯეფს უმალვე რაღაც გარეული ნადირი მოაგონდა—უშიშარი, მარდი და სრული მთლიანობის განსახიერება. მას ლურჯი შარვალი და ყავისფერი ტყავის კურტაკი ეცვა და ერთცხენიან ეტლთან დარდიმანდულად იდგა: მან გიდიონს ფართოდ გაუღიმა, ხელი დაიქნია და მერე დაუფარავი ცნობისმოყვარეობით შეუდგა ძმის შესწავლას.

— გამარჯობა, შვილო,—მიესალმა ვაჟს გიდიონი და საბარგო ყუთში აბგების ჩალაგება დაიწყო. იმ უბრალოებით, რომლითაც მამა-შვილმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვა, ჯეფმა შეატყო, რომ მათ შორის რაღაც განსაკუთრებული გულთბილი ურთიერთობა იყო.

—კარგი ამინდი შეგხვდათ,—შენიშნა მარკუსმა და მერე,—ჰელლო, ჯეფ! ვერა მცნობ, არა?

— გაზრდილხარ,—აღიარა ჯეფმა. მან თავისი აბგებიც გიდიონის ბარგთან ერთად ჩააწყო და მერე ძმას ხელი ჩამოართვა; ისინი იდგნენ და ერთმანეთს შეჰყურებდნენ. მარკუსი იღიმებოდა. გიდიონმა ეტლს შემოუარა, თანაც ვაჟებს უცქეროდა. უხაროდა და ბედნიერად გრძნობდა თავს, რომ ორივე ვაჟი თავისთან ჰყავდა, აგერ, აქ, ერთად: ზორბა ტანის სერიოზული ჯეფი, რომელსაც ლამაზი ბიჭი შესცინოდა პირში.

— ეტლს მე წავიყვან,—თქვა გიდიონმა,—დასხედით!

— ექიმო ჯეკსონ! — გაიღიმა მარკუსმა.

— სწორია,—მიუგო ჯეფმა.—ღმერთო ჩემო, რამდენი წლის ბარ?

— ესეც დაგავიწყდა? ოცის.

— ოცის,—გაიმეორა ჯეფმა.

— დასხედით.—თქვა გიდიონმა. მარკუსმა ჯეფს მიმართა: „ჯერ თქვენ დაბრძანდით, ექიმო!“ „აბა“,—დააჩქარა ისინი გიდიონმა. სამივენი ერთად მოთავსდნენ და ჯეფმა მარკუსს ხელი მოჭხვია. „როგორ გრძნობდი თავს შოტლანდიაში?“ „მოწყენილად“,—მიუგო ჯეფმა. მარკუსმა უკმაყოფილოდ შენიშნა: „უცხოელივით ლაპარაკობ, დარჩები?“ „ალბათ“. „ჩვენთან ყველაფერი გამოცვლილი დაგხვდება,—თქვა მარკუსმა,—უქმად არ ვმსხდარვართ“.

გიდიონი ყურს უგდებდა მათ. დიდებული რამ იყო ძველებურ ეტლში ვაჟებთან ერთად ჯდომა, როცა ხელში სადავე გიჭირავს და პატარა შავ ფაშატს მიერეკები. მარტის მშვენიერი, კრიალა დღე იყო; არც ციოდა, არც ცხელოდა, ისეთი ამინდი იდგა, რომელიც გაზაფხულის მომასწავებელია. გაზაფხული კი სამხრეთ კეროლაინაში ისეთი იცის, რომ ქვეყანაზე მას ვერაფერი შეედრება. ფაშატი ხუთი წლისა იყო. იგი ორი წლის წინათ, ზაფხულზე იყიდა გიდიონმა. მორჩილი ტანისა იყო, ისეთი მკვირცხლი და ისეთი თოხარიკი, თითქოს მიცურავსო. გიდიონს უყვარდა ეტლის მართვა; უოშინგტონში ზამთრის გრძელი თვეების განმავლობაში იმაზე ოცნებობდა, თუ როგორ მოიკალათებდა ფაშატის უკან და ყურს დაუგდებდა ფლოქვების თანაბარ თქარუნს. როდესაც ეტლმა მტვრიანი თემშარიდან ძელფენილზე გადაუხვია, რომელიც კვიპაროსების ჭაობს ჰკვეთდა, გიდიონმა ამაყად უთხრა ჯეფს:

— ეს ჩვენ გავაკეთეთ ოთხი წლის წინათ. რკინიგზამდე სანახევროდ ამოკლებს მანძილს.

— ჩვენ ბევრი სხვა რამეც გავაკეთეთ,—შენიშნა მარკუსმა და ხმაში ვერ დამალა კმაყოფილების ოდნავ მედიდური კილო. ჯეფი ხომ აქ არ იყო; იგი სხვა საქმეში იყო გართული; მარკუსიც არ იტყოდა უარს მის საქმიანობაზე! გიდიონმა ვაჟებს ალმაცერად გადახედა და თქვა: „ჯეფი დასარჩენად მოდის შინ“.

— მართლა? კარუელში ძალიან მოსწყინდება.

გიდიონმა ჯეფს უამბო, როგორ გაიყვანეს ეს ძელფენილი. კარუელების უმრავლესობა რკინიგზის ვაკისზე იყო ნამუშევარი და საქმის ტექნიკა პრაქტიკულად იცოდა. ეს ისარივით სწორი ხაზი გზისა მათ თავად გაიყვანეს, ინჟინრის დაუხმარებლად, მთელი ერთი მილი და ნახევარი. „როდესაც ეს ამბავი პალატაში გაკვრით აღვნიშნე,—თქვა გიდიონმა,—ჩემი კოლეგებიდან მხოლოდ ერთმა გამოიჩინა ინტერესი: მან მკითხა, მთავრობის კუთვნილ მიწაზე მშენებლობის უფლება ვინ მოგცათო“.

მარკუსმა მამას შეხედა, ჯეფი ღიღინებდა: „მამა სანადიროდ მიდის, ღმერთო ხელი მოუმართე“...

— ეს კიდევ გახსოვს?

— სხვაც ბევრი რამ მახსოვს,—თქვა ჯეფმა.

* * *

ჯენი გაზრდილიყო, დაქალებულიყო, კაბის ქვეშ სავსე მკერდი ებურცებოდა; ჯეფმა დასა და დედას ხელები მოჰხვია „რამოდენა ხარ, რამოდენა!“ „იმოდენა ვარ, როგორიც ვიყავი“,—გაიღიმა ჯეფმა. რეიჩელი მოზღვავებულ ბედნიერებისაგან ტიროდა. მას გიდიონზე მეტად დასტყობოდა ხანში შესვლა. იგი ნაზად უსვამდა ხელს ჯეფს სახეზე. თითებით უვარცხნიდა ხუჭუჭ თმას.

გიდიონი და მარკუსი მოშორებით იდგნენ. ვაჟმა მამას უთხრა: „გაზეთებში წავიკითხე“...

— ჰო.

— როგორ მოხდა? ნუთუ ეს იმას ნიშნავს, რომ?...

— მეც არ ვიცი კარგად.—გააწყვეტინა სიტყვა გიდიონმა.— ამაზე მერე ვილაპარაკოთ.

— ეტყობა იქ, უოშინგტონში, არ გვიცნობენ, თუ ჰგონიათ, რომ ჩვენი გაქრობა ერთი კალმის მოსმითაა შესაძლებელი.

— ამაზე მერე ვილაპარაკოთ.

— არ გვიცნობენ,—ჩაილაპარაკა მარკუსმა.

ჯეფი წაიყვანეს და ყველაფერი ანახეს. თითქოს მათთვისაც ყველაფერი ახალი გახდა ერთბაშად. სახლი უბრალო, ხუთოთახიანი ხის შენობა იყო, გარედან თეთრად შეღებილი. საკვამლე მილი წითელი აგურისა იყო. „გამომწვარი აგურია“,—განმარტა ჯენიმ. რეიჩელმა სამზარეულო უჩვენა; კედელზე მოკალული ქვაბების

მთელი კომპლექტი ეკიდა, სხვადასხვა ზომის სუფთა, კრიალა ქვაბები, პატარებიდან მოყოლებული დიდებით გათავებული; აქვე იყო რკინის ზედადგარი; მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავი წყლის საქაჩავი ტუმბო იყო. რეიჩელმა კამკამა ცივი ჭის წყალი ამოქაჩა. „აბა ერთი გასინჯე, ჯეფ!“ ჯეფმაც გასინჯა—ერთი ჭიქა შესვა და წყალი შეაქო. „სხვა სახლებიც ასეთია, სხვების?“—იკითხა ჯეფმა. „შენ კონგრესმენი ხარ და...“

— სახლებიც ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც მათი პატრონები. ბედს არ ეუჩივით. მიწა ყველასათვის ბარაქიანია, ვისაც იგი უყვარს და ვინც მუშაობა იცის.—ჯეფს აინტერესებდა მონების ძველი ბინების ბედი. გიდიონმა უთხრა, ისევ იქა დგანანო დაცარიელებულნი. „არავინ არ ცხოვრობს ახლა იქ?“ „არავინ“,—უპასუხა გიდიონმა.—„არც დიდი სახლი დასჭირდა ვინმესს—არავინ არ იყიდა“. მამის ხმაში ისეთი კილო გამოერია, რომ ჯეფმა გამომცდელი მზერა მიაპყრო მას. მარკუსმა შენიშნა: „თუ ექიმი მოიცლის, დიდი სახლიც მოვინახულოთო შემდეგში“.

რეიჩელმა აღარ იცოდა რა ექნა: ჯეფისთვის გამზადებული ქათამი და ცხელი მჭადები გამოეტანა, თუ ჯერ დანარჩენი ოთახები ეჩვენებინა მისთვის. რკინის ზამბარებიან ნამდვილ საწოლებზე არაფერს ეტყვის, დე, ჯეფმა თავის თვალით ნახოს. და რეიჩელი ვაეს საწოლ ოთახისაკენ გაუძღვა.

— ელენი სად ცხოვრობს?—იკითხა ჯეფმა.

— ძმა პიტერთან, ალენბის ბავშვები ყველანი ძმა პიტერთან არიან.

— ძალიან გაუჭირდა, როცა მოხუცი გარდაიცვალა?

— ელენი აქ მოვიდა,—თქვა მარკუსმა.—აქ უნდოდა დარჩენა.

— მერე მაინც წავიდა?

— ჰო, წავიდა.

— იცოდა, რომ მე მოვდიოდი?

— კი, იცოდა, ყველამ იცის, მალე აქ მოელენ.

რეიჩელი საწოლს გაშლილი ხელებით დააწვა, მერე აუშვა. „ისეთი ფაფუკი და ტკბილია, თითქოს ბალღი იყოსო აკვანში. აბა აქ მოშინჯე, ჯეფ!“ ჯეფი დოშაკს დააწვა. „აბა ერთი ზედ დაჯექი!“ ჯეფი დაჯდა და დედას გაუღიმა. „რას გაჩერებულხარ, აბა ერთი შეხტი!“ ჯეფიც რამდენჯერმე შეხტა, მერე წამოდგა და რეიჩელს მკლავები მოხვია. რეიჩელს ახლა სამზარეულოსკენ

უწევდა გული. მან სწრაფად გაატარა ჯეფი მეორე საწოლ ოთახშიც და სასტუმრო ოთახში შეიყვანა. ეს იყო ვიქტორიანული რბილი ავეჯით, მაგიდითა და გიდიონის წიგნებით სავსე პატარა ოთახი; მერე ყველანი სამზარეულოში დაბრუნდნენ და მაგიდას შემოუსხდნენ. ჯეფმა დიდად შეაქო დედამისის ნახელავი მჭადები. „შოტლანდიაში მჭადს არ ჭამენ?“ არაო, უპასუხა ჯეფმა, იმ მხარეში არ იციან მჭადი რა არისო. რეიჩელის საამებლად ჯეფი თავს ძალას ატანდა და ბევრსა ჭამდა. რეიჩელმა კვლავ ტირილი დაიწყო; იგი შეჰყურებდა ჯეფს, სახეზე ხელს უსვამდა. „კარგი, დედა, ახლა რაღა გატირებს, ყველაფერი კარგადაა“, მაგრამ რეიჩელი ცრემლს ვერ იმაგრებდა.

გიდიონი და მარკუსი აივანზე გავიდნენ. „დედაშენი მეტისმეტად ღელავს“,—შეწუხებული ხმით თქვა გიდიონმა. აქამდე რეიჩელს არასოდეს გამოემჟღავნებინა ასე აშკარად შვილთან დაშორებით გამოწვეული გულისტკივილი, წყურვილი ჯეფის სიახლოვისა. „ცხენს გამოვხსნი“,—თქვა მარკუსმა.

— ელენთან მოინდომებს წასვლას.

— ვითომ?

— მე ასე მგონია.

— კი მაგრამ ყველანი აქ აპირებენ მოსვლას; სჯობია აქ მოიცადოს. ცხენს გამოვხსნი.

გიდიონმა თაეი დააქნია. მარკუსმა ცხენი წაიყვანა: გიდიონი აივნის სვეტს მიეყრდნო, გულს რაღაცნაირი კაეშანი შემოსწოლოდა. ეს დასაწყისი უნდა ყოფილიყო და ამის ნაცვლად დასასრული აღმოჩნდა. მან გამწარებით გადააქნია თავი; არა, სულელი უნდა იყოს კაცი, რომ ასე იფიქროს, უოშინგტონი ერთია—მშიერი, უილაჯო და პატივმოყვარე კაცუნებით სავსე გახრწნილი ქალაქი, ეს კი სხვაა, ეს მისი სახლ-კარია. უოშინგტონი კი არაა ამერიკა, არამედ ეს კარმიდამო მრავალ მილიონზე გადამრავლებული, ეს პატარა ხის სახლი, შინაურული, სადა ავეჯით სავსე, ეს მუხები და თეთრი აკაციები, რომლებიც სახლს თავზე დასდგომიან და მზისაგან იცავენ, მთის ფერდობები, ველები, სადაც მალე ბამბა, სიმინდი და თამბაქო აყვავდება, გუთანი, რომელიც აგერ იქ, სახლიდან რამდენიმე ასეული იარდის მოშორებით მიუტოვებია მარკუსს თავდაყირა, პირზე შერჩენილი მარტის მძიმე, სველი მიწით,—ყველაფერი ეს მისია, მისი საკუთრება. ამისთვის

ებრძოდა, მონობაში იყო, იშრომა; ამის იმედით ცხოვრობდა; კაცი იმ მიწას ვერ მოშორდება, რომელსაც მისი სისხლი უგემნია, რომელზედაც მას თავისუფალი ნაბიჯი გადაუდგამს; როცა კაცს ფესვები მიწაში აქვს გადგმული, იგი მაგრად დგას.

* * *

მარკუსი სახლში შევიდა და ჯეფს უთხრა: „მოდის". და თავით კარებისაკენ ანიშნა. ჯეფი მარტო გავიდა გარეთ. სახლისკენ საღამოს ჩრდილებში ძმა პიტერი მოაბიჯებდა; მას ელენის მკლავზე ეკიდა ხელი. მას შემდეგ, რაც ჯეფმა იგი უკანასკნელად ნახა, ძმა პიტერს წვერი მოეშვა; იგი ახლა სამოც წელს იყო მიახლოებული; ხმელ და მაღალ ტანს პატრიარქალური იერი ამშვენებდა, წვერი სულ თეთრი ჰქონდა; იგი კოპლობით მოდიოდა. გიდიონის თქმით, ძმა პიტერი ბოლო ხანებში ხშირად ავადმყოფობდა. მიწის მუშა და ძველი მონა ორმოცდახუთი წლის შემდეგ თითქმის აღარაფრისთვის აღარ ვარგოდა უკვე. ძმა პიტერის ძვლებსაც რევმატიზმი მორეოდა; ციებ-ცხელებას დაეძაბუნებინა იგი და უკიდურესი ჯაფის გაუთავებელი საათები წარსულში გაგანიერებულ გულზე აღბეჭდილიყო. მის გვერდით მომავალი ყმაწვილი ქალი კი ისეთივე იყო, როგორც ყოველთვის, როგორც ჯეფს ახსოვდა იგი, ესაა მხოლოდ—უფრო მომწიფებული, უფრო დაძრგვალებული ნაკვთებით, უფრო დასრულებული, მაგრამ მაინც ისეთი, როგორც ჯეფს ახსოვდა იგი,—ყელმოღერებული, შავად მოელვარე ნაწნავები ზურგზე სცემდნენ.

ჯეფი მათკენ გაემართა. ძმა პიტერი და ქალი შედგნენ. ჯეფმა დაინახა, რომ მოხუცი ელენისკენ დაიხარა და ხმადაბლა რაღაც უთხრა. ქალი გაუნძრევლად იდგა. ძმა პიტერმა ჯეფს გაულიმა და თქვა:

— კეთილი იყოს შენი დაბრუნება, ჩემო შვილო!

ჯეფი რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე შეჩერდა; ელენის სახე მისკენ იყო მიპყრობილი. მერე ჯეფი მასთან მივიდა, ხელი ხელში მოჰკიდა და უთხრა:—ელენ, გამარჯობა, გახსოვარ?—ქალმა თავი ოდნავ დააქნია.

— მე სახლში შევალ და ძმა გიდიონს მივესალმები,—თქვა ძმა პიტერმა.—თქვენ კი, როცა გესიამოვნებათ, მაშინ წამოდით.

ჯეფმა თავი დაუქნია. მოხუცი წავიდა. ჯეფი ადგილიდან

არ იძროდა, ელენის ხელი კვლავ თავის ხელში ეჭირა; არც ქალი შერხეულა. იგი იდგა წყნარი, ტანში გამართული, მწვანე ჩითის კაბა ეცვა, მხრებზე ლურჯი მოსასხამი, შავი წინდები, შავი ფეხსაცმელი. ბოლოს ქალმა თქვა: „არ გამოვცვლილვარ, ჯეფ? ისეთი ვარ, როგორც შენ გინდოდა, რომ გენახე?"

— სწორედ ისეთი.

— არავითარი ცვლილება არაა, ჯეფ?

— ცვლილება ყოველთვისაა ხოლმე, მაგრამ შენ ისეთი ხარ, როგორც მე მინდოდა, რომ მენახე.

— წლები მომემატა, ჯეფ.

— ორივეს მოგვემატა.

ჯეფმა მას მკლავში მოჰკიდა ხელი და ისინი წავიდნენ. ვაჟმა ქალი ფერდობზე ჩაიყვანა და მერე ორივენი მარკუსის მოხნულ მინდვრისკენ გაემართნენ. როგორც ძველად, ჯეფი ახლაც იმაზე ელაპარაკებოდა ელენს, თუ როგორ ჩადიოდა მზე. ჯეფი სავსე იყო კარუელით; განცდები ახრჩობდნენ მას. ჭარბი ემოციური აღქმა ხელახლა ხსნიდა ქვეყანას მის წინაშე, თითქოს ყრმობის დღეებს დაუბრუნდაო იგი. შოტლანდიის კვამლიანი, ნისლიანი, ბურუსის ჟანგით შეპმული ცა მეხსიერებაში ბუნდოვანად შერჩენილი წარსულის ნაწილი იყო უკვე; აქ ცა მარტის სილურჯით კამკამებდა, ჩამავალ მზის სხივებში ოქროს, ფორთოხლის, ვარდის ფერებით მოხატული; მიწა აქ თბილი, წვნიანი და ნაზი იყო: ჯეფი და მისი მსგავსნი—ხრიოკი, ტიტველი მთებისთვის არ იყვნენ გაჩენილნი. ბოლოს და ბოლოს იგი მაინც შინ დაბრუნდა: ჯეფს, ისე როგორც გიდიონს, საარსებო ძალას და ნუგეშს ჰგვრიდა მშობლიურ მიწაზე დაბრუნება. ახლა იგი ელენს ცას აღუწერდა, კარუელისა და არა შოტლანდიის ცას. ჯეფი ხნულზე დაიხარა, მძაფრი სურნელის მიწა თითებში მოსრისა და ელენს ხელისგულზე დაუყარა. „რამ სიშორეესაა შოტლანდია?"—უნდოდა გაეგო ელენს: და ჯეფმაც აუხსნა, რომ შოტლანდია აქედან ოთხი ათასი მილით მაინც იქნებოდა დაშორებული. ასეთი მანძილი ელენის წარმოდგენას აღემატებოდა; ეს იყო მხოლოდ მანძილი და მეტი არაფერი, რაღაც უსასრულო.

— რა კარგია, რომ დაბრუნდი. მაგრამ შენ ახლა სხვანაირი ხარ, ჯეფ, მამაკაცი ხარ, ექიმი ხარ, მამაჩემიც ექიმი იყო. იცოდი, ჯეფ?

— რა თქმა უნდა, ვიცოდი.

ისინი ფერდობს აუყვნენ სახლისკენ. გზაზე იმ ადგილას შეისვენეს, სადაც მარკუსს სკამი გაეკეთებინა. დაისის ბინდში გორაკის თავზე მდგარი სახლი პატარა, სათამაშო კოლოფს მიაგავდა. იქიდან მოისმოდა მოსულთა ლაპარაკის გაურკვეველი ხმა. გორაკის მეორე მხარეზე, სახლისკენ მიმავალ ორღობეში არ წყდებოდა ცხენის ფეხის თანაბარი თქარუნი. ზემოდან ვიღაცამ გადმოსძახა:

— ჯეფ-ოუ! სად ხართ?

— ჩვენ გვეძახიან,—თქვა ელენმა.

— ახლავე ავალთ.

ისინი ისხდნენ, ბნელდებოდა, სადღაც განუწყვეტლად ყეფდა ძაღლი. დაბოლოს ჯეფმა თქვა:

— გიფიქრია იმაზე, რომ როცა დავბრუნდებოდი, ცოლად გამომყვებოდი?

— გინდა შემირთო?

— მინდა,—თქვა ჯეფმა.

— უსინათლო ქალი?

— ოდესმე იმასაც ვისწავლი, რომ თვალის სინათლე დაგიბრუნო.

— ჩვენ გვეძახიან.—უთხრა ქალმა ვაეს.

ჯეფმა ელენს ხელი მოჰკიდა და სახლისკენ გაუძღვა.

მთელი კარუელი აქ იყო. დაფალმანდებული ცხენები და ჯორები თავლის შემორაგულის გასწვრივ ჩამწკრივებულიყვნენ. ქალებს ბავშვებიც თან მოეყვანათ; მათ შორის ისეთებიც იყვნენ, რომლებიც ჯეფს ნახული არ ჰყავდა. ოთახებში და აივანზე ტევა არ იყო. ჯეფს ხალხი გარს ეხვევოდა; უფროსები იმდენ შეკითხვებს აყრიდნენ, რომ ჯეფი პასუხის გაცემას ვერ ასწრებდა. ჭაბუკები, ჯეფის გამგზავრებისას რომ ბავშვები იყვნენ, ცალკე ჯგუფად იდგნენ. გოგოები თვალს არ აშორებდნენ მას. ქალები რეიჩელთან ერთად იცრემლებოდნენ. ჯეფი გაოცებული იყო იმ ამბით, რომ ზანგებს შორის ამდენი თეთრი ერია, რომლებიც თავისუფლად, ყოველგვარი უხერხულობის ან უცხოობის გარეშე მასლაათობდნენ მათთან.

ზოგ მათგანს ჯეფი იცნობდა—ახმახსა და წითურ ებნერ ლეიტს; დაბალ, ჩასკვნილ წვრილთვალა ფრენკ კარსონს; სხვებს არ იცნობდა. მათ შორის იყვნენ მისი ტოლი ჭაბუკები—ყაჭისფერთმიანი, მზისაგან დამწვარი ბიჭები, რომლებიც ცნობისმოყვარეობით, მაგრამ ყოველგვარი მტრობის გარეშე ათვალიერებდნენ მას. ახალი მასწავლებელიც აქ იყო—როდ-აილენდელი იანკი, სახელად ბენჯამინ უინთროპი. მან ჯეფს მიმართა: „თქვენი აქ ყოფნა, ექიმო ჯეკსონ, განუზომელ სარგებლობას მოუტანს მთელ თემს. ვფიქრობ, რომ დარჩებით“. „მინდა დავრჩე“,—თავი დაუქნია ჯეფმა. ერთმა ჩია ტანის ხმელხმელმა თეთრმა, სახელად ფრედ მაკჰიუმ ჯეფს უთხრა: „ქალი შეუძლოთ მყავს; იქნებ მოხვიდეთ და ნახოთ?“ „ხვალ მოვალ“,—დათანხმდა ჯეფი. „ისე სტკივა მუცელი, თითქოს შიგ გველი ჰყავდეს“,—თქვა მაკჰიუმ; „მოვალ“,—გაიმეორა ჯეფმა.

მარკუსს აკორდეონი ჰქონდა. იგი აივნის კიდეზე ჩამოჯდა და დაუკრა: „დედამ სახლში დამაბრუნა, ატლანტაში, ეხ, ატლანტაში“. მის გარშემო შემოკრებილი ახალგაზრდები მიწაზე ფეხის ბაკუნს და ტაშის ცემას აყოლებდნენ სიმღერის რიტმს. გიდიონმა სამი ხელადა არაყი გახსნა. ყველას უნდა დაელია. რეიჩელი და დანარჩენი ქალები ღუმელთან ტაფებსა და ქვაბებს დასტრიალებდნენ. ბნელ ველებს კი სიმღერა გუგუნით ედებოდა: „დედამ სახლში დამაბრუნა, ეხ, ატლანტაში“...

ძმა პიტერმა გიდიონს უთხრა: „ჩვენც მივიღეთ ჩვენი ჯილდო, ჩვენც გვეღირსა ბედნიერება“. „ამინ“,—კვერი დაუკრა ზოგიერთმა.

* * *

მეორე დღეს ჯეფმა მარკუსს უთხრა:

— წამომყევი.

— ზოგი მოცლილია, ზოგმა კი უნდა იმუშაოს.

— მუშაობისათვის გეყოფა დრო.

— წაყევი,—უთხრა გიდიონმა,—სახნავად მე წავალ.—გიდიონს ისევ თავისი ძველი პერანგი ეცვა.—წაყევი,—უთხრა მან მარკუსს. მარკუსმა ფაშატი ეტლში შეაბა და ძმები სკოლისაკენ გაემართნენ. სკოლა ერთოთახიანი ხის შენობა იყო, თეთრად შე-

ღებილი, ერთ ბოლოში სამრეკლო ჰქონდა მიშენებული და ამგვარად სკოლაც იყო და საყდრის მაგიერობასაც სწევდა. ოცდაათამდე სხვადასხვა ასაკის გოგო-ბიჭები უსხდნენ მერხებს; უინთროპის პრობლემა მეტად რთული იყო: სხვადასხვა ასაკის ბავშვებისათვის მას სხვადასხვა საგნები უნდა ესწავლებინა და ამავე დროს წესრიგიც უნდა დაეცვა. ისედაც გაწვალებული, იგი ახლა განსაკუთრებულმა მღელვარებამ შეიპყრო და თანაც ესიამოვნა, რომ ჯეფი ასე მალე მოვიდა სკოლის სანახავად. სტუმრების გამოჩენამ დისციპლინას ბოლო მოუღო და უინთროპი, უხსნიდა რა ჯეფს თავის მეთოდებს, ცდილობდა ამავე დროს წესრიგი აღედგინა კლასში. ჯეფმა შეიტყო, რომ როცა უინთროპი ერთ ასაკობრივ ჯგუფს გაკვეთილს უხსნიდა, მეორე ჯგუფი ამ დროს მიცემულ დავალებას ასრულებდა.

— ძნელია,—აღიარა უინთროპმა.—ორი მასწავლებელი და ორი ოთახი ბევრად უკეთესი იქნებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ზოგჯერ ასეთი მდგომარეობაც სასარგებლოა. მაგალითად, როცა მე უფროს მოწაფეებს ლიტერატურაზე ველაპარაკები, უმცროსებსაც არ ვნებთ ამის მოსმენა.

— რა თქმა უნდა, არ ავნებთ,—დაეთანხმა ჯეფი.

— მოგეხსენებათ, რომ მე შედარებით ახალი კაცი ვარ აქ. მოხუც მისტერ ალენბის, რომელიც ჩემი წინამორბედი გახლდათ, თავისი საკუთარი მეთოდები ჰქონდა. გასაგებია, რომ ისინი ვერ იქნებოდნენ ნამდვილად თანამედროვე ხასიათისა.

— კი, მაგრამ, როცა გამახსენდება, რომ სკოლის შენობაც კი ოცნება იყო ერთ დროს...

ძმებმა გზა განაგრძეს. ჯეფმა თქვა:

მაკჰიუს სახლთან უნდა გავჩერდეთ, იცი სადაა?

— ვიცი. ცოლი რომ ავად ჰყავს იმიტომ?

— მაკჰიუს უნდა, რომ მე გავსინჯო.

— მაშ ასე, ახლა ჩვენ ექიმიც გვყავს!

— უარესი რამეც ხდება ხოლმე,—მიუგო ჯეფმა.

— შესაძლებელია.

ჯეფმა ძმას შეხედა, მაგრამ მარკუსმა მეტი აღარაფერი თქვა.

მაკჰიუს სახლი პლანტაციის ძველი სახლის მახლობლად იყო, პატარა შენობა, მაგრამ მზრუნველი ხელი ეტყობოდა. სახლის

ირგვლივ მაკჰიუს ბუჩქები დაერგო, რაც ჩვეულებრივი არ იყო იმ მხარეში. იგი ცხოვრობდა ცოლთან ერთად განმარტოებით, თითქმის არავისთან არ ჰქონდა მისვლა-მოსვლა. არც შვილები ჰყავდათ. როცა ჯეფი სახლში შევიდა და მიხვდა, რომ ავადმყოფს არავითარი მოვლა არ ჰქონდა, მაკჰიუს ჰკითხა: „რამდენი ხანია, რაც ავადაა?"

— ერთი წელიწადია ხანგამოშვებით ავადმყოფობს. ბოლო დროს ლოგინიდან ვეღარ დგება. წუხელი აღარ უყვირია, მხოლოდ კვნესოდა და სლუკუნებდა.

იგი ჯეფს საწოლ ოთახში შეუძღვა, სადაც ორმოცი წლის ვამხდარი, ფერწასული ქალი იწვა.

— ეს გიდიონის ბიჭია, ჯეფი. ინგლისში სწავლა მიიღო და ახლა ექიმია. კარგი ბიჭია, სალი, გაგსინჯავს. სალი, გენაცვალე.

ქალი არაფერს არ ამბობდა, იწვა მხოლოდ და უაზროდ მიშტერებოდა ჭერს.

— თქვენ გარეთ გადით, თუ შეიძლება,—სთხოვა ჯეფმა მაკჰიუს. მისი გასვლის შემდეგაც არ განძრეულა ქალი. ჯეფმა მას მიმართა:

— გთხოვთ, ქალბატონო. მე ექიმი ვარ, იქნებ რითიმე გიშველოთ.

— თუ შეგიძლია, ესაა.

ჯეფმა ავადმყოფს მუცელი გაუსინჯა; ქალი ტკივილისაგან დაიკლაკნა და გმინვა აღმოხდა. ოთახიდან გამოსულ ჯეფს მაკჰიუ ელოდებოდა.

— ექიმი ლიდი თუ გყავდათ ქალაქიდან?

— მყავდა.

— რა თქვა?

— თქვა, მოკვდებაო,—წაიბუტბუტა მაკჰიუმ.

— გაიგო კი რა სჭირს?

— ექიმ ლიდს კაცი ვერაფერს ვერ ჰკითხავს,—თქვა მაკჰიუმ.— კარუელელები არ მოვწონვართ. თქვა, მოკვდებაო, ეს იყო და ეს.

იქვე მდგომმა მარკუსმა ჯეფს ჰკითხა:

— შენ იცი, რაც სჭირს, ჯეფ?

— მე მგონია, ვიცი. მე მგონია, ეს ის უნდა იყოს, რასაც ტიფლიტს უწოდებენ—ერთ-ერთი ნაწლავის ანთება. პატარა, თითისმაგვარი წანაზარდისა. ხშირად ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო მასში ანთების პროცესი იწყება და თუ ზომები არ იქნა მი-

ღებული, ანთება განგრენაში გადადის. განსაზღვრულ საფეხურზე ყინული შველის. ამ საფეხურზე კი ვეღარ.

— გამოდის, რომ ვერ გადარჩება. არა?—იკითხა მაკჰიუმ.

ჯეფმა თავი დააქნია.

— ნუთუ ვერაფერს ვერ იღონებ? იესო მაცხოვარო, ნუთუ ვერაფერს ვერ იღონებ?

— მახსოვს, როცა ექიმ ემერისთან ვიყავი,—თქვა ჯეფმა,— მაშინ ვნახე, როგორ ამოჭრა დოსტაქარმა ეს ნაწლავი. ავადმყოფი მორჩა; მაგრამ ოპერაცია დოსტაქარმა გააკეთა. მეორე ასეთი ოპერაცია არასოდეს არ მსმენია. ედინბურგში აღიარებენ, რომ ტიფლიტი უიმედო რამაა.

— შენ შესძლებდი ასეთი ოპერაციის გაკეთებას? —ჰკითხა მას მარკუსმა.

— არ ვიცი...

— ღმერთმა დასწყეველოს, ცდა ხომ შეგიძლია? სულერთია მაინც სიკვდილი ელის!

— არ ვიცი, როგორ,—თქვა ჯეფმა,—ცდითაც ვერ ეცდება კაცი, თუ კი არ იცის, როგორ.

— რატომ არა?

ჯეფი მარკუსს შეაცქერდა, მაკჰიუ თვალს არ აშორებდა ძმებს; მას ზედა ტუჩი უთრთოდა.

— ჯეფ, გამოიხედე,—თქვა მან.—გიდიონს დიდი ხანია ვიცნობ; ერთი დრო იყო, მეუბნებოდნენ, ღმერთმა დაგწყეველოს, მაკჰიუ, იმ ზანგს ჩამოშორდიო. ხომ იცი, როგორც იციან ხოლმე, —ბარათი გამომიგზავნეს, ზედ სისხლი იყო,—იმ ზანგს ჩამოშორდიო. მერე გიდიონი მოვიდა ჩემთან და მიწის ყიდვაზე მელაპარაკა; მეც მას გავყევი. ყოველთვის მასთან ვიყავი. ეიკენში არჩევნების მეთვალყურედ წავედი. ეს მაშინ, როცა ერთი თეთრი კუპრში ამოსვარეს და ბურტყლში ააგორეს იმისათვის, რომ ზანგებს ხმა მისცა. გიდიონს ჰკითხე, ერთი ჰკითხე, თუ უკან დამიხევია. ჰკითხე როგორ ვუთხარი იმ მამაძაღლ ჯესონ ჰიუგარს...

— კარგი,—დააქნია თავი ჯეფმა.—თქვენს ცოლს თავი რომ დავანებო, მას რამდენიმე დღის სიცოცხლე დარჩენია კიდევ და მთელი ეს დრო ტკივილი დასტანჯავს, საშინელი ტკივილი. მარკუს, ეტლით შინ გაეშურე, ჩემი პატარა ჩანთა მომიტანე, რამდენიმე სუფთა ზეწარი და პირსახოციც წამოიღე; დედას უთხარი

წამოგყვეს. უისკი გაქვთ?—მიუბრუნდა იგი მაკჰიუს, უკანასკნელმა თავი დააქნია,—კარგი. შედით, ავადმყოფს დაუყვავეთ და უისკი მოასმევინეთ, რამდენჯერმე ცოტა-ცოტა, ოღონდ ეცადეთ არ აწყინოს, არც იმდენი მისცეთ, რომ დათვრეს—სულ ნახევარი ფინჯანი, მეტი არა. დაიცადეთ ერთი წუთით! ჯერ ცეცხლი დაანთეთ ღუმელში და წყალი აადუღეთ. ვისთან უფრო მეგობრობს თქვენი ცოლი ქალებიდან?

— ელენ ლეიტთან, — მიუგო ფერწასულმა, შეშინებულმა მაკჰიუმ.

— ისიც მოიყვანე, მარკუს. ავადმყოფს წამოდგომა შეუძლია? გესმით მაკჰიუ რა უნდა გავაკეთო? თქვენ ცოლს მუცელი უნდა გაეუჭრა და დაავადებული ნაწლავი ამოვკვეთო. ეს ამბავი ძალიან მტკივნეულია, საყურებლადაც კი მძიმე იქნება, თუ გაკეთებაა, ახლავე, დაუყოვნებლივ უნდა გავაკეთო.

მაკჰიუმ თავი დააქნია.

— მე თქვენი ნებართვა მჭირდება; მე მინდა, თქვენ თქვათ, რომ თანახმა ხართ.

— თანახმა ვარ,—ამოილუღლუღა მაკჰიუმ.

— გაიგეთ—ეს ისეთი რამაა, რაც აქამდე არ გამიკეთებია. არც კი ვიცი, როგორ უნდა გავაკეთო. ერთი შეცდომაც რომ დაეუშვა, თქვენი ცოლი ვერ გადარჩება. სწორადაც რომ გავაკეთო ოპერაცია, შესაძლებელია განგრენა მაინც დაიწყოს და ავადმყოფი მოკვდეს. ყოველი ოპერაცია ასეთ რისკს ნიშნავს, აქ კი, ამ პრიმიტიულ პირობებში კიდევ უფრო უარესია.

— თანახმა ვარ,— გაიმეორა მაკჰიუმ.

* * *

ჯეფის დაბრუნებას გიდიონი აივანზე ელოდებოდა. თენდებოდა. ჯეფმა დაღლილი ხმით ჰკითხა მამას:

— არ გიძინია?

— არა; ათას რამეზე ვფიქრობდი, ქალი კიდევ ცოცხალია?

ჯეფმა თავი დააქნია.

— ახლა წყნარად სძინავს. მგონი კარგად უნდა იყოს. არა, ნამდვილად კარგადაა.

— წადი, ეცადე დაიძინო.

ჯეფმა გაიღიმა და თავი გააქნია. იგი აივნის კიდეზე ჩამოჯდა გიდიონის გვერდით. დღის სინათლე მატულობდა. ბოლოს მზის დისკომაც ამოჰყო თავი. სადღაც მამალმა დაიყივლა. ჯეფმა წუნარად თქვა:

— ღმერთო ჩემო, წარმოგიდგენია, მთელს მსოფლიოში მხოლოდ ორ კაცს აქვს ეს ოპერაცია გაკეთებული! წარმოგიდგენია, რა ადვილი ყოფილა თურმე, როცა იცი! წარმოგიდგენია—ეს მე გავაკეთე აქ, ცარიელი ხელებით, გესმის, ცარიელი ხელებით!

— მეც ამაზე ვფიქრობ,—თქვა გიდიონმა.

— იცი, რამდენი კვდება ყოველწლიურად ტიფლიტით? — ალბათ ათასები. სოფლის ექიმი მას მუცლის მწვავე გვრემას უწოდებს, ან მოწამლვას, ან სიმსივნეს. ეს კი ტიფლიტია.

გიდიონმა თავი დაუქნია და მხარზე ხელი დაადო ჯეფს.

— შენ კი არ გინდოდა, რომ მე აქ ჩამოვსულიყავი.

— არ მინდოდა და მიზეზიც მქონდა, ჯეფ,—აღიარა გიდიონმა.

— არაფერი მიზეზი არ არსებობს.—თქვა ჯეფმა,—როცა პატარა ბიჭი ვიყავი, შურით გიყურებდი. შენ გიჟივით იყავი, ახალ ქვეყანას აშენებდი. ახლა შურით აღარ გიყურებ; მე მგონია, გიცნობ. ახლის შენება მე უნდა გავაგრძელო, აქ უნდა ავაშენო.

— წადი, ეცადე დაიძინო.

— ახლა ძილი არ შემიძლია,—გაიღიმა ჯეფმა,—ღმერთო ჩემო, როგორ შეიძლება ახლა ჩემი ძილი?

* * *

ერთი კვირის შემდეგ ჯეფმა და ელენმა იქორწინეს. მთელმა კარუელმა სკოლის პატარა შენობაში მოიყარა თავი. დიაკონის ახალ შავ სამოსში გამოწყობილმა ძმა პიტერმა თქვა: „ჯეფ ჯეკსონ, ირთავთ თქვენ ამ ქალს?“ გიდიონი უყურებდა ყოველივე ამას და გულში ფიქრობდა, რა ნელა, მაგრამ ბეჯითად მიდისო დრო. მან თავი მოხუცად იგრძნო, იგრძნო, რომ თავისი დრო მოქმული ჰქონდა უკვე. გიდიონი იდგა, რეიჩელისთვის ხელი მოეხვია და ყურს უგდებდა ძმა პიტერის ხმას—სანდომიან, მტკიცე, ტკბილად მოღუღუნე ხმას, რომელიც მას მთელი სიცოცხლის მანძილზე თან ახლდა... ჯეფმა სამოსახლოდ მიწის პატარა ნაკვეთი აირჩია სკო-

ლის მახლობლად. ეს ნაკვეთი მთელი თემის საერთო საკუთრებას წარმოადგენდა. მათ მიწის ერთი ნაწილი თავიდანვე გამოჰყვეს სკოლისა და სასაფლაოსათვის და ახლა ჯეფი ხუმრობდა: „კარგია, რომ ორივესთან ახლოს ვიცხოვრებ“. სახლის საშენ მასალას გიდიონმა მოუყარა თავი, კარუელის მკვიდრთ უკვე მშენებლობის დიდი გამოცდილება ჰქონდათ მიღებული. ხე-ტყე მათი საკუთარი იყო: უზარმაზარი ძელები, სურნელოვანი ფიჭვის ყავარი, დუიმის სამი მეოთხედის სისქის ფიცრები იატაკისათვის, შიგნიდან მოსაპირკეთებლად კოტიანი მუხის ფიცრები. ყველაფერი ეს ხე-ტყის სახერხ ქარხანაში დაამზადეს და მერე მოზიდეს. ჰანიბალ უოშინგტონმა ბუხარი და ღუმელი ამოაშენა, იგი ამ საქმის კარგი ოსტატი იყო. ჯეფი მთელი საათობით გეგმებს ხაზავდა: ავადმყოფების მისაღები ოთახი ნათელი უნდა ყოფილიყო. საჭირო იყო ადგილი ორი საწოლის დასადგამად და გარდა ამისა დიდი ოთახი, რომელიც ოდესმე საოპერაციოდ დასჭირდებოდა ჯეფს. დაბოლოს მან გიდიონს უთხრა: „კარუელში ყველაზე დიდი სახლი ეს გამოდის!“

— ასეც უნდა იყოს,— დაემოწმა გიდიონი.

— ფული საიდან უნდა ვიშოვოთ?

— მე მგონია, საამისო ფული მეც მექნება, — გაიღიმა გიდიონმა.

— შენ მეტს ვეღარ გამოგართმევ. მთელი ეს წლები შენ მაძლევდი.

— შენს ადგილას ამაზე არ შევწუხდებოდი, ჯეფ. შენ ხელსაწყო იარაღები გჭირდება. ხომ ასეა? ავეჯი, საწოლები და სხვა ნივთები.

— ყველაფერ ამას ბევრი ფული დასჭირდება.

— როგორმე მოვახერხებთ. ზოგ რამეს ალბათ კოლამბიაშიც იშოვის კაცი, მაგრამ, ჩემის ფიქრით, ჩარლსტონში უფრო სარფიანად ვიყიდით. მალე უნდა წავიდეთ.— სხვა მიზეზებიც იყო, რომ გიდიონს ჩარლსტონს უნდოდა წასვლა, მაგრამ ფიქრობდა, რომ ორივეს—მისი და ჯეფის—ერთად წასვლა აჯობებდა. ჯეფი და ელენი ჯერჯერობით გიდიონთან ცხოვრობდნენ; ელენსა და რეიჩელს შორის იმთავითვე ღრმა ურთიერთობა და ურთიერთგაგება დამყარდა, რაშიაც გიდიონი არ ერეოდა. ერთხელ ჯეფმა მამამისს ჰკითხა: „უკმაყოფილო ხარ ჩემით, ელენი რომ შევირთე?“

— კაცმა ის უნდა შეირთოს, ვინც უყვარს,— მიუგო გიდიონ-

მა და შეეცადა თავის თავიც დაერწმუნებინა ამ სიტყვების ჭეშ-მარიტებაში. იგი ცდილობდა სხვა ამბებიც ეწამა. მხოლოდ შემ-დეგში მიხვდა გიდიონი, რომ სამყარო, რომელსაც იგი 1877 წლის მარტში ხედავდა, მეტწილად ილუზია იყო. განა უცნაური არ იყო გიდიონ ჯეკსონისთვის იმის რწმენა, რომ მზე ერთ ადგილზე იდგა და დრო არ მოძრაობდა? ამაზე უფრო უცნაური კიდევ ის ფაქტი იყო, რომ ამ რამდენიმე კვირაში მან ამდენი ბედნიერება იგემა, ბედნიერება, რომელსაც მრავალი წვრილმანი აყენებდა ჩრდილს, მაგრამ მაინც ნამდვილი ბედნიერება იყო. უკანასკნელი ათიოდე წლის განმავლობაში გიდიონმა ახლა პირველად გადასდო წიგნები გვერდზე; არ უნდოდა არც კითხვა, არც სწავლა, არც ფიქრი რამეზე. თავისი სამუშაო ოთახი მან ჯეფს დაუთმო ავად-მყოფების მისაღებად. რომელთა რიცხვი თანდათან მატულობდა და თავად მთელ დღეებს მუშაობაში ატარებდა მარკუსთან ერთად.

გიდიონსა და მარკუსს კარგად ესმოდათ ერთმანეთის, თუმცა მათ შორის დიდი განსხვავება იყო. მარკუსს აკლდა ის თავგანწი-რული ლტოლვა წინ, რაც გიდიონსა და ჯეფს ახასიათებდა; მათ-თვის მთელი სამყარო უსასრულო შემეცნების საგანი იყო, მარკუ-სის სამყარო-კი ვიწრო და გასაგები, ერთის მნიშვნელობით უფრო დასრულებული. მარკუსი ცოდვილი იყო, ძმა პიტერი სევდიანად აღიარებდა ამ ფაქტს, მაგრამ ესმოდა კი იგი. მარკუსს უყვარდა ქალი საერთოდ, დედაკაცის ტანი, ძუძუ-მკერდი და თეძოები, უყვარდა მოურიდებლად, სირცხვილის გარეშე, მაგრამ ამ სიყვა-რულში არ იყო ავხორცობა. მარკუსში ჩქეფდა ცხოველური ჯანი და შინაგანი თავისუფლება, იგი სიცოცხლის ნექტარით სავსე თასი იყო. ტანმორჩილი და ხმელი უფრო გამძლე იყო მუშაობაში, ვიდრე გიდიონი; იგი თეთრებთან ერთად სვამდა, მათებურად; ლესლი კარსონის ვაჟს ჯოს არ ჩამოუვარდებოდა სმაში და ნახე-ვარგალონიან დოქ არაყს ბოლომდე დასცლიდა. მას უყვარდა ცე-კვა. მისი აკორდეონი ძველ მუსიკას ახლებურად აჟღერებდა; მარ-კუსი უკრავდა ჭაობის ყველა ძველ სიმღერებს, სიდუხჭირის მკვნე-სარე ჰანგებს, მაგრამ მის თითებში ისინი როგორღაც ახლებურად ჟღერდნენ; იგი მათ ახალ რიტმს, ახალ სიცოცხლეს აძლევდა.

მარკუსი აღმერთებდა გიდიონს. მან იცოდა ბამბის საქმე, მაგრამ გიდიონმა უკეთესად იცოდა იგი; მან იცოდა მიწის ავკარ-გი, მაგრამ აქაც გიდიონის წინაშე ჰხრიდა თავს. მამა და შვილი

სამჭედლო ქურასთან მუშაობდნენ, ურმის თვალზე ახალ ფერსოს აგებდნენ. წელამდე შიშველი გიდიონი მჭედლის ოსტატობით სცემდა უროს. ორმოცდახუთ წელს ღონე ვერ წაერთმია მისი მკლავებისთვის ჯერ და უროს ყოველი დარტყმა გუგუნით ავსებდა გარემოს. „დაჰკარ“, მღეროდა ბიჭი და გრდემლზე რკინას აბრუნებდა. „დაჰკარ, დაჰკარ, დაჰკარ!“ და გიდიონიც მთელი ძალღონით სცემდა, სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. მათ დარჩენილი ბზე და თივა ახალ ხაროში გადაიტანეს; ერთად, შეხმატკბილებულად მუშაობდნენ ფიწლებით, ერთად მღეროდნენ: „ზურგი მტკივა, მოვხუცდი და დავიღალე“. ორლესული ცულების მარდი, ღონიერი ცემით მათ მალე გასწმინდეს სათესად ერთი დაჭაობებული ადგილი. ბოლოს ისინი გემრიელი სიცილით შინისკენ მილასლასებდნენ ჭუჭყიანნი, მაგრამ მეტად კმაყოფილნი თავიანთი თავით.

— შენ ხანში ეს ვერაა მაინცადამაინც ჭკვიანური ამბავი...— შენიშნა ერთხელ ჯეფმა.

— ჩემ ხანში...—გაიღიმა გიდიონმა.

— სხვაა, ასე რომ გემუშავნა მთელი ეს დრო, მაგრამ, როცა თითქმის მთელი წელიწადი მაგიდასთან ზიხარ...

* * *

გიდიონმა და მარკუსმა სანადიროდ წასვლა გადასწყვიტეს ერთი დღით. გიდიონმა შაშხანა გაამზადა იმ იმედით, რომ ირემს წააწყდებოდა სადმე; მარკუსმა კი ფილთა—კურდღლებითაც კმაყოფილი ვიქნებიო. ორ ფორეჯა პოინტერს დაუსტვინეს, ჯიბეები პურით დაიტენეს და ცინცხალი დილის სუსხში ველებს გაუყვნენ. ისინი მხიარულად ღიღინებდნენ ძველ სიმღერას: „მამა სანადიროდ მიდის, ღმერთო ხელი მოუმართე“... ძაღლები შეხურდნენ და მდელოებზე წინ და უკან დაიწყეს სირბილი. მამა-შვილი ცოტას ლაპარაკობდნ ერთმანეთში; თითქოს როგორღაც ბუნებრივი იყო, რომ მათ ერთმანეთისთვის ასე ცოტა ჰქონდათ სათქმელი; ისინი ისეც კარგად ეწყობოდნენ ერთმანეთს.

შეღამებული იყო, როცა ისინი შინ დაბრუნდნენ. გიდიონს ირემისთვის თვალიც არ მოუკრავს, სამაგიეროდ მარკუსის ჩანთაში ორი მსუქანი კურდღელი იყო. მან ისინი ბოსლისკენ წაიღო,

რომ გაეტყავებინა, გამოეშიგნა და რამე სასანსლავით ძაღლებიც დაეჯილდოებინა. გიდიონი სახლისკენ გაემართა, კართან მას ჯეფი უცდიდა. ვაჟს ისე გაჰქვავებოდა სახე, თითქოს გრანიტისაგანააო გამოკვეთილი. თვალებში ისეთი მომნუსხველი მზერა იყო, რომელიც გიდიონს არასოდეს ენახა აქამდე. ჯეფი მამამისს სასტუმრო ოთახში შეუძღვა. იქ ებნერ ლეიტი იჯდა, დიდი წითელი ხელები მუხლებზე შემოეჭდო.

— რა ამბავია?—იკითხა გიდიონმა.

ებნერ ლეიტმა რაღაც უცნაურად შეხედა გიდიონს.

— ღვთის გულისათვის, რა მოხდა?—კვლავ იკითხა გიდიონმა. ჯეფმა მას ხელით საწოლ ოთახისკენ ანიშნა; იქ რეიჩელი იჯდა, გაშტერებული, უაზრო გამომეტყველებით. საწოლზე ვიღაცა სუსტად კვნესოდა და ოდნავ იკრუნჩხებოდა; მთელი სხეული ბანდებით ჰქონდა შეხვეული. „მაკჰიუ“—წაიჩურჩულა გიდიონმა. „ჰო, ისაა“,—თქვა ჯეფმა.

გიდიონი საწოლთან მივიდა და მწოლარეს ჩასძახა: „ფრედ, ჰელლო, ფრედ!“ მაკჰიუ კი ისევ ისე იწვა, სუსტად კვნესოდა და ოდნავ იკრუნჩხებოდა. გიდიონმა მისი ხელი ხელში აიღო. „ფრედ, გიდიონი ვარ“.

როდესაც გიდიონი და ჯეფი სასტუმრო ოთახში დაბრუნდნენ, მარკუსიც შემოვიდა. „სცემეს?“—იკითხა გიდიონმა.

— თუ ამას ცემა ჰქვია მხოლოდ!

— ცოლი?

— მოკვდა,—წყნარად თქვა ებნერ ლეიტმა.—იმ მამაძაღლებმა მოკლეს. იმ მურდალმა ნაბიჭვრებმა ლოგინიდან გადმოათრიეს და მოკლეს.

— ვინ?—კბილებში გამოცრა გიდიონმა.

ჯეფმა მას ყველაფერი უამბო, რისი გაგებაც კი მათ შესძლეს ნაწამებ, ნახევრად შეშლილ მაკჰიუს სიტყვებიდან. წინაღამით ექვსი თეთრადშებურვილი კლენელი მისულა მასთან სახლში. მაკჰიუ და მისი ცოლი საწოლიდან გადმოუთრევიათ, ყური არ უთხოვებიათ მაკჰიუს ვედრებისათვის, რომ მისი ცოლი ავად იყო და ამას ვერ გადაიტანდა. მათ ცოლ-ქმარი ბოსელში შეუთრევიათ, მაჯებით ნივნივზე ჩამოუკიდებიათ და მათრახით უცემიათ.

— არა მგონია, რომ მაკჰიუს ცოლს დიდი ტანჯვა განეცადოს,—თქვა ჯეფმა.—ალბათ უმალვე გრძნობა დაჰკარგა. ჭრილობა

გაეხსნებოდა და ამით მოკვდებოდა. ფრედი კი ეკიდა და თითქმის დღის სამ საათამდე უყურებდა ამ საშინელებას, სანამ ჩვენ არ მოვნახეთ ორივე.

— გადარჩება?—ჰკითხა გიდიონმა ჯეფს.

ჯეფმა მწარედ გაიღიმა და მიუგო: „ეს აკადემიური შეკითხვაა, იგი თავის ჭკუაზე არაა და აღარც ხელები უვარგა. მუშაობას ვერასოდეს ვეღარ შესძლებს“.

— მე რაც მინდა, რომ ვქნა, შენ კარგად იცი, გიდიონ,— თქვა ებნერ ლეიტმა,—მაგრამ მაინტერესებს, შენ რას აპირებ.

— ახლა ხომ დროა, რომ ხალხს ყველაფერი უთხრა?—თქვა ჯეფმა.

— მე მეგონა, რომ ზედმეტი იყო.

— ჩემის ფიქრით, ახლა დროა, რომ ყველაფერი უთხრა მათ,—თქვა ჯეფმა.

— კარგი. ხვალ,—თავი დააქნია გიდიონმა.—ხვალ შევიკრიბოთ.

* * *

მარკუსს აივანზე ჯეფი ელოდებოდა. შეადგა თუ არა მარკუსმა ფეხი, ჯეფმა მას მკლავში წაავლო ხელი და გააჩერა: „მარკუს!“

— რა იყო?

— რას მემდური?—ჰკითხა მას ჯეფმა.

— გემდური? არაფერსაც არ გემდური.

— მაშ ასე უნდა ვიყოთ?

— ძალიან კარგად ვართ,—მიუგო მარკუსმა.

— რა დავაშავე?

— არაფერიც არ დაგიშავებია.

— მაშ იმიტომ, რომ მე წასული ვიყავი და შენ დარჩი? ესაა მიზეზი?

— არა.

— მაშ რა?

— არაფერი,—თქვა მარკუსმა.—რამდენჯერ უნდა გითხრა? არაფერი!

— კარგი, გული ნუ მოგდის.

— არ მომდის.

— ხომ გახსოვს, როცა ბავშვები ვიყავით, სხვანაირად იყო.

— ბავშვებისთვის ყველაფერი სხვანაირადაა.

— შენ გგონია, რომ მე გიდიონის წინააღმდეგ მივდივარ?

მარკუსი ჩუმად იყო.

— ასე გგონია, არა?

მარკუსი კვლავ ჩუმად იყო.

— იცი, რა მოგველის? გითხრა მამამ, რა მოგველის? რაც მისი აზრით მოსალოდნელია?

— მე არ მიკითხავს და არც მას უთქვამს რამე,—თქვა მარკუსმა.

— მას ჰგონია, რომ ამას ყველაფერს ბოლო მოეღება—იცოდი შენ ეს?

მარკუსმა თავი დააქნია.

— რას აპირებ, რა უნდა ქნა?

— მან იცის, რაც უნდა ქნას,—მიუგო მარკუსმა.

* * *

სკოლის შენობა შავი და თეთრი მამაკაცებით გაივსო. მათ სამუშაო ტანისამოსი ეცვათ; ლურჯი შარვლები, ლურჯი კომბინეზონები, ტყავის მძიმე ფეხსაცმელები, ყავისფერი ან წითელი პერანგები. თეთრების ყელზე და მაჯაზე მზით დამწვარი კანი მიჯნას ავლებდა; სახეები ქარდაკრული ჰქონდათ. შავების კანი სხვადასხვანაირი იყო: შავქლიავის ფერით დაწყებული, გათავებული სპილოს ძვლის ფერით. მასწავლებელ უინთროპისა და თვრამეტ-ცხრამეტი წლის ყმაწვილების ჩათვლით, ოთახში ორმოცდაათ კაცზე მეტი იქნებოდა. მათ შორის ერთი ექიმი იყო, ერთი ქადაგი, ერთი მასწავლებელი, ერთიც კონგრესმენი; დანარჩენების მთავარ საქმიანობას მიწათმოქმედება შეადგენდა. უმთავრესად მათ ბამბა მოჰყავდათ, თამბაქოც, ცოტა ბრინჯი და სიმინდი; მსხვილფეხა საქონელიც ჰყავდათ, აგრეთვე ღორები და ცხენები. ისინი შეადგენდნენ თემს, რომელსაც კარუელი ჰქვიოდა, და ეს ისეთი რამ იყო, რაც ათი წლის წინათ არსად არ არსებობდა, და არც ახლა მოიძებნებოდა სადმე მისი მსგავსი სამხრეთის ფარგლებს გარეთ.

მონობამ, ომმა, სიკვდილმა და ნგრევამ შეაკავშირეს ისინი.

მათ არაფრისაგან—ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით—შეჰქმნეს ყველაფერი ეს; მათ შეეძლოთ ირგვლივ მიმოეხედათ და ეთქვათ, რომ ისიც, ესეც, ყველაფერი მათი ხელით იყო გაკეთებული, მათ თვითონ შეჰქმნეს ყველაფერი: სკოლაც, სახლებიც, წისქვილიც, სახერხი ქარხანაც, იდეებიც კი, რადგან მანამდე არაფერი ეს არ არსებობდა. საუკუნეების დიდი მანძილი ფეოდალიზმისა და დემოკრატიის შორის მათ ერთი გრძელი ნაბიჯით გადალახეს.

ამაზე ფიქრობდა ახლა გიდიონ ჯეკსონი, როცა მათ წინაშე იდგა, უყურებდა მათ, სწონიდა თითოეულს, იგონებდა სახეებს, იგონებდა ცხოვრების სხვადასხვანაირ გზებს, თითოეულ მათგანს რომ გაევლო. აი, ჯეფი მშენებლობის სურვილს შეუპყრია—და გიდიონმა უეცრად სასოწარკვეთილებით წარმოიდგინა, თუ რამდენი რამის აშენება შეეძლო კიდევ ადამიანს! მან ხალხს მიმართა:

— თქვენ ყველა მიცნობთ. უწინაც ხშირად მილაპარაკნია თქვენთან.—ისინი იცნობდნენ გიდიონს, რამდენჯერ მიუციათ მისთვის ხმა, ოც-ოც მილზე მიდიოდნენ ფურგონებით ყოველ მხარეს და ხალხს ეუბნებოდნენ, რომ გიდიონ ჯეკსონისთვის მიცემული ხმა ტყუილად არ დაიკარგებოდა.—იცით, რა მოუვიდა ფრედ მაკჰიუს. ამ დილით მისი ცოლი დავმარხეთ. ჩვენს პატარა სასაფლაოზე, აქვე გარეთ, ოთხი ადამიანი წევს, რომლებიც ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ, რომლებიც გასული რვა წლის განმავლობაში კარუელში იქნენ მოკლულნი. ეს საშინელებაა. საშინელებაა—სიცოცხლე მოუსპო ადამიანს, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს ეს გამოწვეული, მაგრამ ისინი, ვინც თავისუფალი ადამიანების დასაშინებლად მათ მკვლელობას მიმართავენ, მხეცები ხდებიან. თქვენ იცით, რისთვის სცემეს მაკჰიუს, რისთვის მოჰკლეს წამებით მისი ცოლი. ერთი მიზნით მხოლოდ—იმისთვის, რომ აქაური, კარუელელი თეთრები გააფრთხილონ, ამიერიდან ნება არ გაქვთ შავებთან ერთად იცხოვროთ ან მათთან ერთად იმუშაოთო.

— რად სჭირდებათ ეს ამბავი ჩვენს მტრებს? რატომაა აუცილებელი, რომ აქ თეთრებმა ზანგი შეიძულონ, ზიზღით უყურებდნენ მას, დაამცირონ იგი და რომ სამაგიეროდ ზანგს თეთრისა ეშინოდეს, გაურბოდეს, არ ენდოს მას? ნუთუ იმიტომ, რომ თეთრი და ზანგი მართლაც შეუთავსებელნი არიან, რომ მათ არც მუშაობა და არც ცხოვრება არ შეუძლიათ ერთად? მაგრამ კარუელმა—და სამხრეთში ათასი კარუელია—სულ საწინააღმდეგო დაამ-

ტკიცა. ნუთუ იმიტომ, რომ ზანგები თეთრებს შებილწავენ და სისხლის აღრევა მოხდება, როგორც ამას კლენი მთელს სამხრეთში გაჰყვირის? მაგრამ ჩვენ აქ თითქმის ათი წელიწადია ვცხოვრობთ და ასეთი არაფერი მომხდარა. სკოლაში ჩვენი ბავშვები ერთად სხედან და ასეთი არაფერი მომხდარა. მაშ რა მიზეზია? რაა ეს დიდი ცოდვა, რომელიც ჩვენ აქ კარუელში ჩავიდინეთ, რომელიც შავებმა და თეთრებმა ყველგან მთელს სამხრეთში ჩაიდინეს, როცა მათ მარჯვენა ერთმანეთს გაუწოდეს? საჭიროა ვიცოდეთ ყველამ, შავებმაც და თეთრებმაც.

— მეგობრებო, მე თქვენი შეშინება არ მინდა. ღმერთია მოწამე, უოშინგტონში საკმაო მიზეზი მქონდა, რომ შემშინებოდა, მაგრამ, როცა კარუელს დავბრუნდი, ყველაფერს სხვანაირად შევხედე. რწმენა დამიბრუნდა, ეს ჩემი სახლია, ეს ხალხი ჩემი მეგობრები არიან-მეთქი. ისინი მიცნობდნენ, როცა მონა ვიყავი, როცა ჩემს პატრონს დადლი კარუელს გავექეცი, მიცნობდნენ მაშინაც, როცა უკან დავბრუნდი, როგორც მრავალი თქვენთაგანი, დავბრუნდი უზარმაზარ მამულში, რომელმაც პატრონი დაჰკარგა, დაჰკარგა ზედამხედველები, მათრახები და ძალადობა. მივიხედ-მოვიხედე და ვთქვი: აი, გონიერება, აი, სიკეთე ადამიანის ცხოვრებისა-მეთქი; მთელი ის ბოროტება, რაც ასე მაშინებდა, აქ შეუძლებელია, სადაც ჩვენ ასეთი რამ აგვიშენებია-მეთქი. ასე ვუთხარი ჩემს თავს. და ცოტა ხანს ბრიყვივით ედემში მეგონა თავი.

— ყველაფერი ეს გათავდა, მეგობრებო. მე მინდა ახლა სიმართლე გითხრათ, მინდა, რომ თქვენ გაიგოთ, თუ რატომ წევს სახსრებამოვარდნილი, სამუდამოდ გაფუჭებული მკლავებით და ჭკუადაკარგული მაკჰიუ ჩემს სახლში და რატომაა მისი ცოლი მკვდარი. მინდა გითხრათ, რატომ იყო, რომ, როცა მე და ჩემი ვაჟი უოშინგტონიდან მოვდიოდით, იძულებული ვიყავით განსაკუთრებულ ვაგონში გვემგზავრა, რომელსაც სიტყვა „ზანგებისათვის“ ეწერა. მინდა გითხრათ, რატომაა, რომ მთელს სამხრეთში ტექასიდან ვირჯინიამდე ტანჯვის გოდება გაისმის და, რაც მთავარია, მინდა, თქვენ იცოდეთ, თუ რატომ იქნება, რომ თეთრი კაცი ამიერიდან ისე დაუწყებს ღრენას შავს, როგორც მგელი ცხვრებს; რატომ გადაიქცევა სიზმრად—თუ ჩვენმა მტრებმა გაიმარჯვეს—ის ამბავი, რომ კარუელისთანა ადგილი ოდესღაც არსებობდა.

— როგორ მოხდა, რომ კარუელელებიდან არავინ არაა კლენის წევრი? როგორ მოხდა, რომ მთელს სამხრეთში პატიოსანი მშრომელი ფერმერები თავიანთ მიწას ამუშავებენ და კლენში არ შედიან? თუ კლენი მართლაც აღშფოთებული, ტანჯული და მიწასთან გასწორებული სამხრეთის მართალი პროტესტის გამოხატულებაა, როგორც ამას ჩვენი გაზეთები გაიძახიან, ვინ შედის მასში? საიდან წარმოიშვა იგი? ვინ დაარსა? თუ მას მართლა სურს ველურ ზანგებისაგან იხსნას სამხრეთი, რატომაა, რომ მის მსხვერპლთა შორის თითოეულ ზანგზე ორი თეთრი მოდის? რატომაა, რომ აქ, კარუელში მოვიდა და ფრედ მაკჰიუს ავადმყოფი ცოლი მოკლა?

— დიდხანს მოვუნდი იმის მიხვედრას, თუ რას წარმოადგენს კლენი, როგორ მოქმედებს იგი, რატომ იქნა იგი დაარსებული. ახლა კი ვიცი და ასევე იცით თქვენც. კლენს მხოლოდ ერთი მიზანი აქვს—დემოკრატიის განადგურება სამხრეთში, თავისუფალი ფერმერის მოსპობა და ამ გზით განხეთქილების ჩამოგდება შავსა და თეთრს შორის. შავი—უმიწაწყლო მოჯამაგირედ იქცევა და მისი მდგომარეობა დიდად არ იქნება განსხვავებული მონის მდგომარეობისაგან, რომელსაც იგი ომამდე წარმოადგენდა, და სწორედ იმიტომ, რომ ზანგი ასეთ მდგომარეობაში ჩავარდება—სინამდვილეში მონა იქნება, თუმცა გარეგნულად მონა არ ერქმევა,—თეთრსაც მასთან ერთად დააჩოქებენ. თეთრებიდან რამდენიმე გამდიდრდება და გაძლიერდება, როგორც ომამდე იყო. მაგრამ მხოლოდ რამდენიმე. დანარჩენების ხვედრი კი სიღატაკე, შიმშილი და სიძულვილი იქნება, ისეთი სიძულვილი, რომელიც მთელს ერს სენივით მოედება.

— აი რა შესცოდა მაკჰიუმ კარუელში. იგი იმისთვის აწამეს, რომ ებნერ ლეიტმა, ჯეიკ სატერმა, ფრენკ კარსონმა, ლესლი კარსონმა, უილ ბუნმა—ყველა აქაურმა თეთრმა ეს ამბავი კარგად ჩაიბეჭდოს ჭკუაში და, როცა ანგარიშის გასწორების დღე დადგება, წესიერად მოიქცნენ. ახლა თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ. გამოსავალი არის და არც არის. შედით კლენში, დაეხმარეთ მას, წინააღმდეგობას ნუ გაუწევთ—ეს საკუთარი თავის დაღუპვა იქნება. თქვენ კარგად იცნობთ მათ—მურდალ, გახრწნილ, გადაგვარებულ არამზადებს, რომლებიც მონებით ვაჭრობდნენ, ზედამხედველებად მსახურობდნენ, მათრახის ოსტატები იყვნენ, მუქთახორები, თავზეხელაღებულნი, გაიძვერები, თვალთმაქცები, შერიფებად რომ

მუშაობდნენ,—ადამიანებს, რომლებსაც დიდი გული მიეცათ, რაკი ხელში თოფი დაიჭირეს, მაგრამ გულადობა მაინც არ ეყოთ, რომ ფრონტზე გამოჩენილიყვნენ და ისე გაეწირათ თავი, როგორც ათასობით სამხრეთელმა გასწირა სამშობლოს სიყვარულის გამო. მათი დაწვრილებით დახასიათება ზედმეტია; როცა მათ სალი მაკ-ჰიუ ლოგინიდან გადმოათრიეს, ხელებით ძელზე ჩამოჰკიდეს და ცემით სული ამოხადეს, მათ ამით საკმაოდ დაახასიათეს თავიანთი თავი. ისინი ჩვენი ქვეყნის ნაძირალებს, ჭუჭყს წარმოადგენენ. თი-თოეულ მათგანზე ჩვენს სამხრეთში ასი პატიოსანი და კეთილი ადამიანი მოდის; მაგრამ ეს ნაძირალები შეკავშირებულნი არიან; პატიოსანი და კეთილი ადამიანები კი—არა; მათ ფული აქვთ; მათ საქმეს უოშინგტონში დაქირავებული აგენტები იცავენ; სათავეში ხელმძღვანელებად მდიდარი პლანტატორები უდგანან. ჩვენ არა-ფერი ეს არ გაგვაჩნია და ამის გამო ჩემთავად ღმერთს მადლო-ბას ვწირავ.

— როგორ მოვიქცეთ? ვიცი, მაგალითად, რა ხწადია ჩემს მეგობარს ებნერ ლეიტს—მას უნდა თოფი აიღოს ხელში და ჯე-სონ ჰიუგარი მოკლას. მაგრამ ეს გზა ჩვენ არ გამოგვადგება. ჭკუა დავკარგოთ და ჩვენც მკვლელობას მივყოთ ხელი, როგორც ისინი ჩადიან?—არა, ასეთი გზა არ გამოგვადგება.

— მაშ სხვა რა გზა დაგვრჩენია, გიდიონ?—დაიყვირა ებნერ ლეიტმა.—რატომ არ გვეუბნები, რა მოხდა უოშინგტონში.

— გეტყვით. უოშინგტონში ჩვენ გაგვყიდეს. გაგვყიდა რეს-პუბლიკურმა პარტიამ, პარტიამ, რომელსაც მე ვეკუთვნი, ეიბ ლინკოლნის პარტიამ; გაგვყიდა პრეზიდენტობის ფასად. ეს ფასი პლანტატორებმა გადაიხადეს. სამაგიეროდ, როცა ჰეიზი პრეზი-დენტობას შეუდგება, კოლამბიიდან, ჩარლსტონიდან—მთელ სამხ-რეთიდან ჯარებს გაიყვანენ. კანონ-სამართალი კლენი იქნება.

— მაშ შენ ამას აღიარებ?

— ვაღიარებ. მე გითხარით, რომ სიმართლეს გაგიმეღავნებ-დით. მაგრამ როგორ უნდა მოვიქცეთ? ჭკუა დავკარგოთ? მკვლე-ლობას მივყოთ ხელი, ჩვენი რიგები ჩვენვე დავანგრიოთ? მათი საქმე გავაკეთოთ, სანამ ისინი მომზადდებოდნენ ამის გასაკეთებ-ლად?—გიდიონი შეჩერდა და ხალხს თვალი მოავლო.—გინდათ ასე მოვიქცეთ?—კვლავ იკითხა მან.—თუ ასე გინდათ, მაშინ მე აქ ზედმეტი ვარ. გაგშორდებით.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოწვა, ბოლოს ფრენკ კარსონმა თქვა: „განაგრძე, გიდიონ, გვითხარი რას ფიქრობ.“

— კარგი. გახსოვდეთ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ძლიერნი ვართ. აგერ, ამ ოთახში ორმოცდაათი ვიმყოფებით; იარაღი გვაქვს, ტყვია-წამალი გვაქვს, სამხედრო წვრთნა ერთად მიგვიღია, ერთად ვმუშაობდით. მე მგონია, თავდაცვას შევძლებთ, თუ ჭკვიანურად მოვიქცევით. მეორე მხრით, მარტოოდენ თავდაცვა ვერ გვიშველის; დიდებით მოსილნი რომ დავიღუპოთ—ეს ხსნა არ იქნება. ჩვენ სხვებიც უნდა დავიკავშიროთ; ჩვენისთანები ათასობით არიან მთელს სამხრეთში. მე უკვე შეთანხმებული ვარ, რომ ჩარლსტონს წავიდე და ფრენსის კაოდოზოსა და ზანგების სხვა მეთაურებს შევხვდე. თეორების მეთაურები ენდერსონ კლეი და არნოლდ მარფიც იქ იქნებიან. იქნებ კლენის გასაფრთხილებლად რაიმე საშუალება გამოვნახოთ ერთად. ვერაფერს ვერ დაგპირდებით; თავად არ მაქვს იმედი. არ ვიცი, მაგრამ ნება მომეცით ვცადო. სხვა ამბები მერედაც მოესწრება. ნება მომეცით ვცადო. ჯესონ ჰიუგარს ხელს ნუ ვახლებთ; მისი მოკვლა ვერ შესცვლის მდგომარეობას. თუ მომცემთ საშუალებას...

კაცები ჩუმად ისხდნენ; მერე რამდენიმემ თავი დააქნია. „კარგი,—წყნარად თქვა ებნერ ლეიტმა,—სცადე“.

ელენმა ვერ დაიძინა, მთელი ღამე მეორე ოთახიდან ფრედ მაკჰიუს სუსტი გმინვა მოისმოდა, თითქოს რაღაც ცხოველი ღმუისო. ამ ხმამ ელენის მეხსიერებაში წარსულის საშინელება გააცოცხლა. მას აგონდებოდა ამბები, რომელთა მოგონება არ უნდოდა; მას აგონდებოდა ის დღეები, როცა ტყეში იმალებოდა, აგონდებოდა სიკვდილი და განწირულების ყვირილი. ელენი იწვა ლოგინში სმენადაძაბული და ცახცახებდა. მეტის გაძლება შეუძლებელი იყო და მან ჯეფი გააღვიძა.

— რა იყო, გენაცვალე, რა მოხდა?—შეეკითხა ჯეფი.

— მეშინია.

— საშიში არაფერია.

— მეშინია...—და ქალმა ჯეფის ტანს დაუწყო მოსინჯვა. მისი ხელები გრძნობდნენ ჯეფის მაგარსა და ვიწრო თეძოებს,

კასრივით მოყვანილ ფართო გულმკერდს, მოდუნებული კუნთების ფენებს, რომლებიც მთელ სხეულს ფარავდნენ, მის ყელს, ნიკაპს, თვალებს, ტუჩებს. ღამის წყვდიადში ორივე ერთ არსებას შეადგენდა. ქალი ვაეს მიეკრო და წასჩურჩულა: „ჯეფ, ჯეფ, ჯეფ!“

— ხომ იცი, რომ აქ ვარ, ელენ, შენთან. ყოველთვის შენთან ვიქნები.

მაგრამ ელენს მაინც ეშინოდა. იგი იწვა გატრუნული და ყურს უგდებდა გმინვას, რომელიც ნაწყვეტ-ნაწყვეტად, მტკივნეულად აღმოხდება ხოლმე ავადმყოფს ძილში. უეცრად წყვდიადის უძირო სიღრმემ ჩაითრია ელენი, წყვდიადის ჭამ, რომელშიაც ადამიანები იძირებოდნენ, უჩინარდებოდნენ; ადამიანები კი არა, აჩრდილები, ალენბი და სხვები გამოჩნდებოდნენ და კვლავ ჭქრებოდნენ. ელენი მთელი ძალღონით მიეკრა ჯეფს, მაგრამ ამაოდ.

— მე არ უარვყოფ, რომ თქვენი დასკვნები არსებითად ჭეშმარიტებას შეიცავენ; ძე წინაა̆ღმდეგი ვარ მხოლოდ იმ დრამატიული ფორმისა, რომელშიაც თქვენ მათ ასურათებთ.—უთხრა კარდოზომ გიდიონს.

— მე მაინტერესებს არა აბსტრაქციები, არამედ გამოვლინების ფორმა, რადგან სწორედ მის პირობებში მიხდება ცხოვრება.

— ამაში მე გიდიონს ვეთანხმები,—შენიშნა ენდერსონ კლეიმ.

კარდოზოსთან სასტუმრო ოთახში რვანი ისხდნენ: ხუთი ზანგი და სამი თეთრი. ოთხი მათგანი სამხრეთ-კეროლაინელი იყო, ერთი ჯორჯიელი, ორი ლუიზიანიდან და ერთიც ფლორიდელი. უკვე სამი საათი გაეტარებინათ ლაპარაკში, მაგრამ რაიმე გადაწყვეტილებამდე მაინც ვერ მისულიყვნენ. ზოგიერთ მათგანს საბრძოლო განწყობილება ჰქონდა, დანარჩენები შეშინებული იყვნენ. მათ შორის ოთხი მაინც იყო ისეთი, რომელიც ამ შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა, რომ ლაპარაკით გული ეჯერებინა. მათი სიტყვები თითქოს წრეხაზზე ტრიალებდნენო—ისევ და ისევ თავიანთ მიღწევებზე ლაპარაკობდნენ, რა მოიგეს, რა გააკეთეს, სანამ გიდიონმა მკვახედ არ ესროლა:

— ეს ამბები, მე გეუბნებით, დამთავრდა, წარსულს ჩაბარდა, მორჩა. სადღეისოდ მათ არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვთ.

— უკაცრავად, მაგრამ ეს ციფრები?—ათეული ზანგი და ღარიბი თეთრი პალატაში, სენატში, შტატების მთავრობებში, გუბერნატორებადაც კი.

— გეუბნებით, ეს ამბავი დასრულდა-მეთქი,—გაიმეორა გიდიონმა.

— ვითომ რა მიზეზით?—მშვიდად იკითხა კარდოზომ, თითქოს მისი მშრალი, წყნარი ხმა თავისთავად არგუმენტი ყოფილიყოს მაშინ, როცა არავითარი არგუმენტი არ არსებობდა.—გიდიონ, არავინ,—და თქვენ ეს კარგად იცით,—არავინ ისეთი პატივისცემით არ გიყურებთ თქვენ, როგორც მე; მაგრამ განა თქვენი დასკვნები ემპირიულნი არ არიან, სხვა რომ არაფერი ვთქვათ მათ შესახებ?

— ნუთუ შეუძლებელია შედეგების გათვალისწინება, როცა ერთს ლინჩს უწყობენ, მეორეს აწამებენ, მესამეს ემუქრებიან, როცა სენატორი ჰოლმსი უკვე ყველაფერში გამომიტყდა? ამის თქმა გინდათ? უსაფუძვლოდ განგაშს ვცემ, არა?

— ნაწილობრივ, დიახ!

— თუნდაც თქვენ, ფრენსის; ერთი წლის წინათ სახელმწიფო ხაზინადარი იყავით; დღეს აღარ ხართ. რა ძალამ იმოქმედა? როცა ვამბობ, ამიერიდან პალატაში ჯდომის უფლება აღარ მექნება-მეთქი, ნუთუ ესეც შემოწმებას საჭიროებს? ნუთუ სავსებით ბეცი ვარ? ეს რომ ასე იყოს, ფრენსის, დღესაც მონა ვიქნებოდი და ოთხი მილიონი შავი კაციც მონები იქნებოდნენ.

კაპრა, პატარა ტანის ხანში შესული ზანგი, რომელიც ერთ დროს ფლორიდის წარმომადგენელი იყო კონგრესში, საუბარში ჩაერია:

— გიდიონ, თქვენს პირად ღირსებებს არავინ უარყოფს.

— ჩემი პირადი ღირსებები ფეხებზე მკიდია!

— კი მაგრამ, გიდიონ, შენ გვეუბნები, რომ რესპუბლიკურმა პარტიამ არჩევნებში გამარჯვებაზე გასცვალა რეკონსტრუქციის მთელი საქმე; პარტიას ხომ ჩვენ შევადგენთ! მას სიცოცხლეს ვწირავთ; პარტია ჩვენთვის იბრძოდა, თავისუფლება მოგვცა. შენ კი უსაბუთოდ ცილს სწამებ. შენ ამბობ, ათ დღეში სამხრეთიდან ჯარებს გაიყვანენო,—საბუთი კი არ გაქვს. ამბობ, ისეთი ტერორი დადგება, რომ რაც აგვიგია, ყველაფერი განადგურდებაო. საბუთი სად გაქვს?

— უკვე ნადგურდება,—დაქანცული ხმით თქვა გიდიონმა.— მიმოიხედეთ ირგვლივ. ამ მატარებელში ზანგი ვერ იმგზავრებს, ამ სკამზე ზანგი ვერ დაჯდება, მხოლოდ თეთრი და თეთრი; ამ სკოლაში ზანგს არ ღებულობენ—სკოლა ჩვენი აშენებულია, ახლა კი ზანგს შიგ არ უშვებენ; ამ სასამართლოში ზანგი ვერ იქნება მსაჯულთა შორის—პროტესტს აცხადებს დამცველი იურისტი. შარშან მოსამართლედ ზანგი იყო, ღარიბი თეთრი იყო,—დღეს პლანტატორია, ან მისი ლაქია და იგიც აკმაყოფილებს დამცველის პროტესტს. ზანგს ასამართლებენ, მსაჯულთა შორის კი ერთი ზანგი არაა.

— უნდა ითქვას, რომ ეს მართლაც ასეა,—დააქნია თავი კარდოზომ.—არსებითად ჩვენ იძულებული შევიქენით კომპრომისზე წავსულიყავით.

— კომპრომისია ეს?—გაიღიმა ენდერსონ კლეიმ.—შეგიძლიათ თქვენ, ფრენსის, დასთმოთ ჰაერი, რომელსაც სუნთქავთ, საკვები, რომელიც გასაზრდოებთ? ეს ამბები ჩვენი არსებობის აზრია, ჩვენი სისხლი და ხორცი! შეუძლებელია კომპრომისი იმ მამაძაღლთან, რომელსაც შენი სისხლი სწყურია!

— თქვენი მსჯელობა თეთრი კაცის მსჯელობაა. აბა ზანგს ჰკითხეთ...

— ღმერთმა დასწყევლოს, ამის მოსმენა უკვე აღარ შემიძლია! რაც ჩვენ გვაბადია, მხოლოდ იმიტომ, რომ შავები და თეთრები ერთმანეთს მხარში ამოუდგნენ. გიდიონი ბართალია; თქვენებურად, რომ ვიფიქროთ, სათითაოდ დავიოუპებით ყველანი, ეშმაკის კერძი გავხდებით.

ეიბლსი, რომელიც სამი წლის წინათ სახელმწიფო მდივანი იყო, გიდიონს შეეკითხა:

— კი მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა გავეყიდეთ პარტიას ჩვენ, როგორც თქვენ ამბობთ? რა მიზნით?!

— იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენი დანიშნულება უკვე შევასრულეთ, პლანტატორები წელში გავტეხეთ. უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა სამრეწველო ქვეყნად იქცა; მსოფლიოში ყველაზე დიდი მრეწველობა დღეს ჩვენ გვაქვს. დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი ჩრდილოეთის ხელშია. აქ, სამხრეთშიაც კი იხსნება ქარხნები. დე, პლანტატორებმა თავიანთი ყმები უკანვე დაიბრუნონ,—ამით ჩრდილოეთს არაფერი დაუშავდება.

— სახალხო პარტია?

— დღეს არავითარი სახალხო პარტია აღარ არსებობს,— წაიდუდუნა კლეიმ.

— იმის გაკეთება, რასაც თქვენ მოითხოვთ, გიდიონ, მაინც შეუძლებელია,—გაისმა კარდოზოს უილაჯო პასუხი.—ზანგებისა და ღატაკი თეთრების მილიცია აღვადგინოთ მას შემდეგ, რაც იგი უკვე გაუქმებულია? როგორ? აშკარად კანონის საწინააღმდეგოდ?

— ხალხი თვითონაა კანონი.

— გიდიონ, ასეთ პრიმიტიულ მოსაზრებას მე თქვენგან არ მოველოდი. ხალხის ნება მხოლოდ სათანადო პროცესის საშუალებით იქცევა კანონად.

— სწორედ ამ პროცესის შედეგადაა კონსტიტუციაში ჩაწერილი ხალხის უფლება,—იარაღი ატაროს და მილიცია იყოლიოს!

— შეიძლებოდა საკითხი უზენაეს სასამართლოს წინაშე დაგვესვა. ამას თვეები დასჭირდება. თქვენი წინადადებაა კონვენტი მოვიწვიოთ იმისათვის, რომ სამხრეთის ყველა პრორეკონსტრუქციული ძალა გაერთიანდეს,—სწორედ ეს გამოიწვევს შფოთსა და ძალადობას, გიდიონ.

— აჰა! მაშასადამე, რაკი ჩვენ თავდასაცავად ხმას ვიმაღლებთ, ამით შფოთსა და ძალადობას ვუწყობთ ხელს!

— დიახ.

— და თუ მიუხედავად ამისა,—თქვა გიდიონმა,—შფოთი და ძალადობა მაინც იქნა, როგორც ეს მართლაც არის სინამდვილეში?

ეიბლსმა თავი გადააქნია:

— რა აზრი აქვს, ჯეკსონ, ასეთ ლაპარაკს? სულ ერთსა და იგივეს ვიმეორებთ და ვიმეორებთ!

— ყველა ამ აზრისა ხართ?—იკითხა გიდიონმა. მას არაქათი აღარ ჰქონდა უკვე; ბოლოს და ბოლოს ყველაფერს დასასრული აქვს და აქ დასასრული ეს იყო.—მაშ ეს დასასრულია, ბატონებო? იცით, ერთია, როცა ჩვენს ქვეყანაში ყველა გაზეთი სიცრუეს გაჰყვირის, თითქოს ჩვენ ოქროს საფურთხებლებს ვხმარობდეთ, მილიონებს ვფლანგავდეთ ჩვენი საკანონმდებლო დარბაზის კედლების სარკეებითა და ოქროს ვარაყით შესამკობად, თითქოს ჩვენ ათასებს ვცინცლავდეთ უმწეო ქვეყანას ქრთამების სახით, თით-

ქოს სამხრეთის ჭაბუკებსა და ქალიშვილებს ვრყვნიდეთ და კარ-პიტ-ბეგერების, ფულზე გაგიჟებული ბოროტი იანკების ტიკინები ვიყოთ,—ეს ერთი ამბავია, ბატონებო; მაგრამ სხვაა, როცა აქ ვზივარ და თქვენ მეუბნებით, თავდასაცავად ხმას ნუ ამოვიღებთო. ნუ შევეცდებით, რომ ამ ჩვენს ორგზის წყეულ სამხრეთში ერთობას მივაღწიოთო. მე მიყვარს ჩემი ქვეყანა, ბატონებო,—არ მინდოდა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ იძულებული ვარ,—მიყვარს იმიტომ, რომ ის ჩემი საკუთრებაა, იმიტომ, რომ იგი კეთილია ჩემს მიმართ, იმიტომ, რომ მან მე ღირსების გრძნობა, გამბედაობა და იმედი შთამინერგა. ნუთუ, ბატონებო, აქაც მარტოკა ვარ?

ყველანი ჩუმად ისხდნენ, ზოგი იატაკს დასჩერებოდა, ზოგი გიდიონს უყურებდა ყოყმანით, ენდერსონ კლეი ოდნავ იღიმებოდა.

— მაშ ყველა მისტერ ეიბლსს ეთანხმებით?

ისევ დუმილი.

— და ყველაზე უფრო საინტერესო ამაში ისაა,—წყნარად განაგრძო გიდიონმა,—რომ რასაც თქვენ ებღაუჭებით ახლა, მალე დავიწყებას მიეცემა. დავიწყებას მიეცემიან ზანგები, რომლებიც პალატაში და სენატში ისხდნენ. ის შავებიც, ვინც სკოლებსა და სამართალს ჰქმნიდნენ,—ყველაფერი, მეგობრებო. ჩვენ ადამიანებად აღარ ჩაგვთვლიან; ისე გაგვასწორებენ მიწასთან, რომ ადამიანობას დავკარგავთ. თეთრს ისევე შევიძულებთ, როგორც მას ვეძულებით. ჩვენსავით გაწამებული, დაბეჩავებული ხალხი დედამიწაზე მეორე არ იქნება. და რამდენ ხანს ვიქნებით ასე, მეგობრებო, სანამ კვლავ ვიხილავდეთ მცირეოდენ მზის სინათლეს? რამდენ ხანს? თქვენს თავს შეეკითხეთ.

* * *

გიდიონმა ენდერსონ კლეის სთხოვა, წამომყევით, ჯეფი მინდა გაგაცნოთო. ისინი ერთად მიდიოდნენ ჩარლსტონის მზიან ქუჩებში, რომლებსაც ორივე მხრით კვლავ თეთრად შეღებილი კედლები მისდევდა. გაზაფხულის ისეთი დღე იყო, რომელიც გიდიონს დიდი ხნის წინათ ამავე ქალაქში გატარებულ დღეებს აგონებდა. პალმების გაფურჩქნილ კენწეროებს გაზაფხულის ნორჩი ქოჩორი ამშვენებდა. ირგვლივ ჩიტების ჟღურტული ისმოდა; მზის სხივებზე ლაპლაპებდა მათი ფერადი ბუმბული. ცის ფირუზს აქა-იქ ნაზი

ბურუსის ზოლები გადაჭკროდა. ყველაფერი ეს გასული წლების განმავლობაში იმდენჯერ ენახა გიდიონს, რომ მისთვის მშობლიური იყო. მშობლიურობის ეს გრძნობა ახლა მას კაეშანს უნელებდა. ქალაქის მშვენიერება და სიდინჯე, მისი ფაქიზი, კულტურული იერი თავისთავად, უბრალოდ, ძალდაუტანებლად უნერგავდა კაცს სიმშვიდის რწმენას.

— წინათ ვფიქრობდი, რომ აქ სიამოვნებით დასახლდებოდა კაცი,—თქვა ენდერსონ კლეიმ.

— კარგი ადგილია საცხოვრებლად.

— იცით რა, გიდიონ,—წამოიწყო ცოტახნის შემდეგ კლეიმ,—ერთი მხრით ისინი მართალი იყვნენ, თქვენ კი არა. ისინი ასე გააგრძელებენ ცხოვრებას, თქვენ კი...

— ასე გააგრძელებენ ცხოვრებას და ნელ-ნელა გამოიცვლებიან კიდეც—ჩაფიქრებით თქვა გიდიონმა.—ხელს ყოველწლიურად უფრო მეტად მოუჭერენ მათ, ჯერ ამას წაართმევენ, მერე იმას; ისინი ვერც კი შეამჩნევენ. ეს უკეთესია?

— მე არ ვამბობ, რომ უკეთესია.

— მაგრამ თქვენ თავიდანვე უიმედოდ სთვლიდით ყველაფერს, არა?

— იცით რა, გიდიონ, ჩვენ არაფერი არ ვიცოდით, საქმეს ცარიელი ხელებით შევუდექით, ბნელში აქეთ-იქით ვაწყდებოდით. ერთი აზრი გვიტრიალებდა თავში: გვეშენებინა. გვეშენებინა სკოლები, სასამართლოები, საავადმყოფოები, გზები, ხალხიც კი ახალი გვინდოდა შეგვექმნა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ყველა, თეთრებიც და ზანგებიც, ცოტა სიგიჟემ შეგვიპყრო, როცა ჩვენს წინაშე გაშლილი თავისუფლება დავინახეთ. მშენებლობა შეადგენდა ჩვენს აზრს. სხვებს დანგრევა ეწადათ და ისინი ამისთვის შეკავშირდნენ კიდეც. ათი დღე ვერ იკმარებს იმისათვის, რომ ჩვენც შევკავშირდეთ, გიდიონ; ერთი წელიწადიც კი მცირე დროა.

— მაშ რა ვქნათ?

— რა უნდა ვქნათ,—ვიბრძოლეთ—მხრები აიჩეჩა კლეიმ.—ვიბრძოლეთ იმიტომ, რომ ადრეც გვიბრძოლნია, იმიტომ, რომ ბრძოლისთვის გაწრთვნილი ვართ. მაგრამ მათ ესეც გათვალისწინებული აქვთ. ბრძოლა ცალ-ცალკე მოგვიხდება მარტოკებს.

ბატარეის სანაპიროზე მათ ჯეფი უცდიდა. „ჩემი ვაჟი, ექიმი ჯეკსონი“,—თქვა გიდიონმა. „ჯეფ, ეს ენდერსონ კლეი გახლავს,

ჩემი ძველი კარგი მეგობარი". ჯეფმა მაღალ თეთრ კაცს ხელი ჩამოართვა.

— გავიგე, რომ ხელსაწყოებისთვის ჩამოსულხართ ჩარლსტონში, ექიმო.

— კარუელში ერთ პატარა საავადმყოფოს ვაშენებთ.

— მინდა გაისად კარუელში გეწვიოთ,—თქვა კლეიმ.

— ცხრა წელიწადია გვემუქრებით,—გაიღიმა გიდიონმა,— ყოველ წელს საგაისოდ სდებთ.

— მართალს ამბობთ. გაისად კი აუცილებლად ჩამოვალ, გიდიონ.

ისინი წყლის მხარეს გადავიდნენ და ნელი ნაბიჯით გასწიეს. კლეი და ჯეფი შოტლანდიის შესახებ ბაასობდნენ, მედიცინის შესახებ, იმაზე, რომ მთელ შტატში ერთი სათანადოდ მოწყობილი საავადმყოფოც არ იყო. „გვადროვეთ, ჩემო შვილო, და ნახავთ",—დაასკვნა კლეიმ.

— ეს პლანტაციის სახლები რომაა, როგორც კარუელში, მაგალითად, — თქვა ჯეფმა, — ცარიელი დგას უსარგებლოდ. აი, ასეთი შენობებია სწორედ საავადმყოფოებისათვის საჭირო: დიდი სუფთა შენობები, ქალაქიდან მოშორებით.

გიდიონმა ენდერსონ კლეის შეხედა.

— პოლიტიკის კაცი ამაზე უკეთესს რას გააკეთებდა,—დაასრულა ჯეფმა.

— ვერაფერს,—დაეთანხმა კლეი.—გავიგე, თქვენ ახლახან შეგირთავთ ცოლი. მომილოცავს.

— გმადლობთ,—უპასუხა ჯეფმა; ერთი წუთის შემდეგ კი დაურთო:—არ ვიცი, რა გამოვიდა თქვენი სხდომიდან, და უცნაურია, რომ არც თუ ძალიან მაინტერესებს. იცით რა, ჩვენ ჩვენს გზას გავაგრძელებთ და კაცი, რომელიც „თეთრ სახლში" ცხოვრებისთვის სულს ჰყიდის, ვერ შეცვლის ამ ამბავს.

ისინი ნელა მიაბიჯებდნენ. ჩამავალი მზე უცნაური ფერების ბრწყინვალეებას აძლევდა ნავსადგურის წყალს. ჭარები შურდულივით ეშვებოდნენ წყლის ზედაპირამდე და მერე ამაყად მიჰქროდნენ ზემოთ. სანაპიროს მოაჯირზე პატარა, თითქმის შეუმჩნეველი წარწერა იყო მიკრული: „მხოლოდ თეთრებისათვის". ნავსადგურში კვამლში გახვეული გემი შემოდიოდა. გემს უკან ნავი მოჰყვებოდა, შიგ ბიჭები ისხდნენ, ისინი მხიარულად იცინოდნენ. ქუჩაზე ეტლმა

ჩაიარა რახრახით. რკინის მოაჯირის გადაღმა ბალახში ორი ბავშვი თოკზე ხტებოდა.

* * *

კარუელში ამდენი წლის განმავლობაში პირველად ჩამოვარდა სიწყნარე. გიდიონისთვის იგი მოულოდნელი იყო და უცნაური—თითქოს მას აღარაფერი ჰქონდა გასაკეთებელი.

იმ დღეს, რა დღესაც გიდიონი შინ დაბრუნდა, მასთან ძმა პიტერი მივიდა; მან შორიდანვე შენიშნა აივნის კიდეზე ჩამომჯდარი გიდიონი, რომელსაც თავი ხელებზე დაეყრდნო, იდაყვები კი მუხლებზე ჰქონდა დაბჯენილი. „მთელი საათობით ასეა, დაღვრემილი",—უთხრა ძმა პიტერს მარკუსმა.

— საღამო მშვიდობისა, ძმაო პიტერ,—უპასუხა გიდიონმა მოხუცის სალამს.

— დაიღალე გიდიონ?—ჰკითხა ძმა პიტერმა.

— აჰა.

ძმა პიტერმა შავი სადიაკვნო კაბის კალთები აიკეცა და გიდიონის გვერდით ჩამოჯდა. მან იქვე მიაყუდა თავისი ჯოხი, რომელიც ბოლო ხანებში მისი განუყრელი თანამგზავრი იყო და წოწოლა შავი ქუდიც გვერდით დასდო. მერე ფეხები გაჭიმა, ამოიხვნეშა და თქვა: „შორი გზაა თქვენამდის. ძველებურად ვეღარ მიჭრის მუხლი".

— მართალია.

— ვერა, ვეღარ მიჭრის, გიდიონ.

გიდიონმა არა უპასუხა რა. აივანზე რეიჩელი გამოვიდა, ძმა პიტერი წამოდგა, „იჯექით, ნუ სწუხდებით. თქვენი ნახვა ძალიან სასიხარულოა".

— გმადლობ, ჩემო დაო.

— ვახშმად დარჩებით?

— დაერჩები, რა გაეწყობა. დიდი მადლობა,—თქვა ძმა პიტერმა. რეიჩელმა გიდიონს შეხედა, რომელიც მის გამოჩენაზე არც კი მობრუნებულა; ძმა პიტერმა თავი გადააქნია. რეიჩელმა აივანზე ერთი წუთი დააყოვნა და მერე სახლში შევიდა. ძმა პიტერი კვლავ აივნის კიდეზე ჩამოჯდა.—შესანიშნავი ქალია და რეიჩელი. მისი დამზადებული საჭმელი განსაკუთრებულად გემრი-

ელია, დიდი სიამოვნებაა მის სუფრაზე ჯდომა. როცა უოშინგ-ტონში ხარ, გიდიონ, ძალიან მაკლიხარ თვალში.

— ჰო.

ცოტა ხნის შემდეგ ძმა პიტერმა განაგრძო: „ხმა ამოიღე, გიდიონ, მოგიხდება; გულის გადაშლა ყველას უმსუბუქებს ვარამს. დამიჯერე, ლაპარაკი ნაღველს გაგიქარვებს. ასე ცუდად წავიდა საქმე ჩარლსტონში, ასე ცუდად?"

— თითქმის.

— მერე რა? განა შესაძლებელია რამე იყოს უიმედოდ ცუ-დი? კეთილი ღმერთი გვაძლევს და კეთილი ღმერთი გვართმევს, ყველას თავისას მიუზღავს. შენ რწმენა არ გაქვს, გიდიონ.

გიდიონმა ოდნავ გაიღიმა და თქვა: „ნეტავ საქმე რწმენაში იყოს".

— მაშ როგორ? კაცი ამ ქვეყნად შიშველი მოდის, პატარა ბალღი, და შიშველი სტოვებს მას. ქვეყანა განჩინებაა, გამოცდაა, გიდიონ. მე ღმერთზე არ ვლაპარაკობ—დიდი ხანია ხელი ავიღე, რომ შენ მორწმუნედ გიგულვო. შენში დიდი ძალაა დაგროვილი, გიდიონ, მაგრამ ალბათ უფრო მეტიც იქნებოდა, რწმენა რომ გქონოდა. კარგი, მაშინ ადამიანებზე გელაპარაკები. ღმერთს და-ვეხსნათ, გიდიონ, იგი ამას არ გვიწყენს, მას თავი დავანებოთ და ადამიანებზე ვილაპარაკოთ. ადამიანები ხომ გწამს, გიდიონ?

— ადამიანები?

— ჰო, ადამიანები, გიდიონ.

გიდიონმა დაფიქრებით შეხედა მოხუცს. ძმა პიტერმა თავის წოწოლა შავ ქუდს მტვრის ცახე მოაშორა. ქუდი მისი მრევლის საჩუქარი იყო. ოთხი წლის განმავლობაში გამუდმებით ამ ქუდს ატარებდა ძმა პიტერი, გარდა წვიმიანი დღეებისა და იგი ისევ ახალივით გამოიყურებოდა.

— მე მგონია მწამს,—იყო გიდიონის პასუხი.—არ ვიცი.

— როგორ თუ არ იცი? შეიძლება ადამიანს ცოდვების მძიმე ტვირთი აწვეს მხრებზე, მაგრამ როგორღაა, რომ ზანგი ერთ დღეს მონა იყო და მეორე დღეს თავისუფალი გახდა?

— და მერე ისევ მონა.—შენიშნა გიდიონმა.

— ასე გგონია? ვთქვათ, ყველა დავიხოცეთ, გიდიონ, ყველა, ვინც აქ ვართ. როგორ ფიქრობ, არაფერი არ დარჩება ჩვენს შემდეგ ცოტათი უფრო მეტი, ვიდრე ჩვენამდი იყო? შენ გგონია ჰალილუიას სიმღერა ვერასოდეს ვეღარ დაიგუგუნებს?

გიდიონი სდუმდა, საღამო ნელა ეპარებოდა ქვეყანას; დასავლეთით მზე ჩაიძირა. მინდვრიდან მარკუსი ამოვიდა, აივანზე მსხდომარეთ გადახედა და სახლში შეევიდა. ბოლოს გიდიონმა თქვა: „ვახშამი მალე მზად იქნება, ძმაო პიტერ“.

— ძალიან კარგი. იცი რა გითხრა, ჩემი ხნის მოხუცის პირობაზე კარგი მადა მაქვს. სიარული შვრება ამას. შედი, ძმაო, და მეც მალე გეახლები.

გიდიონი წამოდგა და სახლში შევიდა. სამზარეულოში ჯეფი იყო; მას ის-ის იყო დაემთავრებია ტუმბოსთან ხელის დაბანა.

— ძმა პიტერი იქნება ვახშმად, გიდიონ,—თქვა რეიჩელმა.

— ვიცი.

ჯეფი სამზარეულოდან გავიდა. რეიჩელი გიდიონისკენ მიტრიალდა, ერთ წუთს უსიტყვოდ მისჩერებოდა და მერე მიუახლოვდა.

— გიდიონ!

— რა იყო?

რეიჩელი ახლოს მივიდა, ხელით მის პერანგს შეეხო და მერე მკლავზე ჩამოუსვა: „ყველაფრის ატანა შემიძლია, გიდიონ,—წყნარად თქვა ქალმა,—მაგრამ შენი ვაგლახობის ყურებას ვერ ვუძლებ. მე რისი მაქნისი ვარ, მაგრამ შენი ვაგლახობის ყურებას ვერ ვუძლებ“.

გიდიონმა მას ხელები მოხვია და ისე ჩაიკრა გულში, რომ რეიჩელს სული შეუგუბდა. დათვურად და თან რაღაც განწირულების გრძნობით ეჭირა მას რეიჩელი თავის მკლავებში; ქალის ხმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაისმა: „ვერ ვუძლებ, გიდიონ, ვერა“.

— რეიჩელ, რეიჩელ, გენაცვალე!

— გაიღიმე, გიდიონ, გაიღიმე!

მან გაუღიმა ცოლს და რეიჩელი ქმრის მკერდზე მოეშვა, თითებით კი მის პერანგს ებღაუჭებოდა.

* * *

მეორე დღეს დილით გიდიონი ჯეფთან და ელენთან ერთად იდგა და ჰანიბალ უოშინგტონს უყურებდა, რომელსაც აგურებით ახალი სახლის საკვამლე მილი ამოჰყავდა. ქალაქიდან მომავალმა ებნერ ლეიტმა ოთხთვალა შეაყენა, სადავეები დაჰყარა, ძირს ჩამოვიდა და გიდიონთან მივიდა.

— სად ისწავლე ეს ხელობა?—ჰკითხა მან ჰანიბალ უოშინგტონს.

— მამაჩემისაგან ვისწავლე. აგერ იმ დიდ სახლში შვიდიენ მილი მისი ამოყვანილია.

— რას მეუბნები!

— ნამდვილად,—მიუგო ჰანიბალ უოშინგტონმა.—დიდი ხანი კი გავიდა მას შემდეგ.

— როდის ააშენეს ის სახლი?

— ტყუილი რომ არ ვთქვა, ორმოცდაათი წელი მაინც იქნება მას შემდეგ გასული.

— კაცს ეგონება, თითქოს ყოველთვის ასე იდგაო იქ,—თქვა ებნერმა და გიდიონს სახელოზე მოჰკიდა. გიდიონი მას ოთხთვალას უკან გაჰყვა. აქ კი თეთრმა თქვა:—ქალაქიდან მოვდივარ, გიდიონ, ეტყობა, შენ მართალი იყავი. პრეზიდენტი იმ მამაძაღლ, იმ წყეულ უეიდ ჰემპტონს მორიგებია. კოლამბიაში ჯარმა წასასვლელი ბრძანება მიიღო; ათ აპრილს მატარებელს დაასხდებიან და ჩრდილოეთისკენ გაუტევენ.

— ვინა თქვა?

— ვინა და აგერ ამ გაზეთს დახედე,—უპასუხა ებნერმა, მან ოთხთვალაში ხელი მოაფათურა, გაზეთი ამოაძრო და გიდიონს შემდეგ სათაურზე მიუთითა: „სამხრეთ კეროლაინა მეორეჯერ თავისუფლდება!“—აი აქ სწერია მთელი ამბავი, ქალაქში დიდი მითქმა-მოთქმაა. ჯესონ ჰიუგარი სამხედრო ფორმაში დაიბღინძება, კოლამბიაში გამარჯვების პარადზე აპირებს გამოსვლას. შენ მითხარი, აყალ-მაყალი არ ასტეხოო; მეც წყნარად ვიყავი ჩემთვის და იმ მამაძაღლ ჰიუგარს ვუყურებდი. ნეტავ სად იბრძოდა ერთი? ვინ მოსთვლის რამდენ ბრძოლაში მე ვყოფილვარ იმ ტიალ ომში, მაგრამ ჰიუგარის გვარის კაცი თვალით არ მინახავს.

გიდიონი გაზეთს კითხულობდა; გამალებით, ნერვიულად ავლებდა თვალს სტრიქონებს: „ჩვენს გუბერნატორთან შეგობრული შეთანხმების შედეგად პრეზიდენტმა ჰეიზმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომელიც სამხრეთში საბოლოოდ ამყარებს დემოკრატიას და თვითმართველობას. ფედერალური ჯარის უკანასკნელი ნაწილები ათ აპრილს იქნებიან გაყვანილნი“.

— აბა სეირი მაშინ ნახე,—ჩაიბუზღუნა ებნერ ლეიტმა.

— რაო?

— იცი რა, გიდიონ, პაპაჩემი დასავლეთში უნდა გადასახლებულიყო. ტყუილად კი არ მოვიდა ერთხელ მოხუცი დანიელ ბუნი და ეხვეწებოდა, კენტაკში გადმოდიო. არა და არა—გაჯიუტდა პაპაჩემი, ვითომ იმანაც ჭკუა გამოიჩინა! იესო მაცხოვარო, ნეტავ გადასულიყო, გინდა კენტაკში, გინდა ილინოისში, სადმე, თუნდაც ჯანაბას იქით, ოღონდაც აქაურობას გასცლოდა. ნეტავ იმ ანკარა წყნარი ოკეანის ნაპირას დასახლებულიყო, ნეტავ...

— გაჩუმდი.—შეაწყვეტინა მას სიტყვა გიდიონმა და თავით იქითკენ ანიშნა, სადაც ელენი იდგა. ჰანიბალ უოშინგტონი და ჯეფი მათ მისჩერებოდნენ.

— რას აპირებ, გიდიონ?

— დღეს ექვსი რიცხვია, არა? ოთხი დღე დაგვრჩენია. კოლამბიაში უნდა წავიდე. იქ რას ვიზამ, არ ვიცი. რამეს ვეცდები მაინც.

* * *

კოლამბიაში სამტერის ქუჩაზე „უესტერნ იუნიონის“ განყოფილებაში გიდიონმა დეპეშის დაწერა გაათავა და მოხელეს მოაჯირზე გადააწოდა იგი. მოხელე ცხრამეტი წლის ბიჭი იყო ძიძიბებიანი სახისა.„ხმამაღლა წაიკითხეთ, თუ შეიძლება“,—სთხოვა მას გიდიონმა. ბიჭმა ზანგს აჰხედა და არაფერი უპასუხა.

— წაიკითხეთ-მეთქი, გთხოვთ.

ბიჭმა წაიკითხა:

„რუთერფორდ ბ. ჰეიზს.

თეთრი სახლი.

უოშინგტონი კ. ო.

ბატონო პრეზიდენტო, უმორჩილესად გთხოვთ გადასდოთ კოლამბიიდან ფედერალური ჯარის გაყვანა, წრტ ზანგებისა და ღარიბი თეთრების მილიციის გაუქმების გამო, რეკონსტრუქციის მომხრენი ფედერალურ დაცვაზე არიან დამოკიდებულნი. წრტ არსებობს არეულობის და ტერორის საშიშროება. წრტ აქ ლოიალურ რესპუბლიკებისათვის გაუგებარია კავშირის ყველა მომხრეთა უყურადღებოდ მიტოვება სამხრეთში. გთხოვთ თანაგრძნობას და შველას, გიდიონ ჯეკსონი.

სამხრეთ კეროლაინის წარმომადგენელი“.

— რამდენი უნდა?—შეეკითხა ბიჭს გიდიონი.

ბიჭი შეყოყმანდა, მერე უპასუხა: „ათი დოლარი“.

გიდიონი ერთი წუთით მას დააცქერდა. მერე ფული გადაიხადა და გარეთ გავიდა, ბიჭი ტელეგრაფისტთან მივიდა და კვეხნით თქვა, „ერთი ზანგი არ მინახავს, რომ დეპეშის ფასი იცოდეს“.

— ღმერთმა დაგწყევლოს, ნახავ თუ ამისთვის შენი თავი აქედან არ გავაგდებინო! რამდენი მოგცა?

— ათი.

— ნახევარი ჩემია, ღმერთმა დაგლახვროს. მომეცი დეპეშა,— ბიჭმა გადასცა; ტელეგრაფისტმა თვალი გადაავლო, დაისტვინა და ახლა მეტი ყურადღებით დაუწყო კითხვა, „ვინ მოგცა ეს დეპეშა?“

— ვიღაცა ვეებერთელა ზანგი იყო.

— იცი რა, მოსამართლე კლეიტონს წაუღე; უთხარი, არ ვიცი, გავგზავნო თუ არა-თქო. კრინტი არსად დასძრა!

ოც წუთში ბიჭი უკანვე მოვიდა. „მოსამართლემ დეპეშა დაიტოვა, მე კი ერთი დოლარი მაჩუქა“.

— ნახევარი ჩემია!

— მოსამართლემ თქვა, ენას კბილი მაგრად დააჭირეთ, თორემ მე თქვენ გაჩვენებთ სეირსო.

ტელეგრაფიდან გიდიონი ფედერალური ჯარის უფროსის პოლკოვნიკ ჯ. ლ. უილიამსის სანახავად გაემართა. პოლკოვნიკს ამ დღეს მოცლა არ ჰქონდა და გიდიონს საათნახევარი მოუხდა ცდა, სანამ მასთან შეუშვებდნენ. „წარმომადგენელო, ბოდიშს ვიხდი. მთელ სამხრეთს დღეს მოუნდა ჩემთან ლაპარაკი“,—თქვა პოლკოვნიკმა.

— ვიცი,—თავი დააქნია გიდიონმა.—ალბათ ჩემი საქმეც იგივეა. აქაა პირი დეპეშისა, რომელიც მე პრეზიდენტს გავუგზავნე. შესაძლოა პასუხი ერთ დღეში მოვიდეს, ან ათი დღე დაგვიანდეს; ძალიან გთხოვთ პასუხის მოსვლამდე ჯარს მთლიანად ნუ გააგზავნით.

პოლკოვნიკმა დეპეშა წაიკითხა და თავი გადააქნია: „ბრძანება მივიღე“.

— ვიცი, რომ ბრძანება მიიღეთ, პოლკოვნიკო,—გააწყვეტინა სიტყვა გიდიონმა.—მე პირადად ჩემთვის არა გთხოვთ ამ წყალობას. ეს ამბავი მრავალი და მრავალი ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის საქმეა.

— ძალიან ვწუხვარ,—თქვა პოლკოვნიკმა,—მაგრამ არ შეიძლია.

— იცით, რა მოჰყვება თქვენი ჯარების აქედან გაყვანას?

— რა შედეგსაც არ უნდა მოველოდე,—თქვა პოლკოვნიკმა,—ბრძანებას მაინც უნდა დავემორჩილო. თუ ოლქის უფროსს გენერალ ჰემპტონს მიმართავთ.

— ამაო იქნებოდა,—თქვა გიდიონმა.—არ იზამს. ვიცი, თუ რას ნიშნავს ბრძანება. მეც ვიყავი არმიაში, პოლკოვნიკო.

— ამაოა.

— ხომ იცით, რომ პრეზიდენტი უყურადღებოდ ვერ დასტოვებს ჩემს დეპეშას?

— სამხედრო სამართალში მიმცემენ.

— უოშინგტონში მე ცოტა გავლენაც მაქვს.

— არ შემიძლია ამის გაკეთება!—ხმას აუწია პოლკოვნიკმა.—მერწმუნეთ, ბატონო ჩემო, რომ როგორადაც არ უნდა მინდოდეს, მაინც ვერ ვიზამ. ხომ არ გგონიათ, რომ ბრმა ვიყო? მაგრამ მე სამხედრო კაცი ვარ და არა პოლიტიკოსი!

ერთ წუთს გიდიონი მდუმარედ იდგა, დაძაბული, გულშემოყრილი. შეძრწუნებული, მერე მან პოლკოვნიკს თავი დაუკრა და თქვა: „ბოდიშს ვიხდი.“

— მეც ბოდიშს ვიხდი,—იყო პოლკოვნიკის პასუხი.

და გიდიონი ოთახიდან გავიდა.

კოლამბიაში იგი ათ რიცხვამდე დარჩა და ხშირ-ხშირად აკითხავდა ტელეგრაფს. ცხრაში მან მეორე დეპეშა გააგზავნა, ათში იგი მატარებლისკენ მიმავალ რაზმებს უყურებდა, მერე კი კარუელს დაბრუნდა.

*

თხუთმეტ აპრილს ნაშუადღევს კარუელელებმა ქალის კივილი გაიგონეს. ამაზრზენი, გულისგამგმირავი შეცხადება მთელ კარუელს ედებოდა. ხალხი ყოველმხრიდან ამ ხმის მიმართულებით გაეშურა. ტყეში მათ დაფეთებული, თავზარდაცემული ბიჭი შემოხვდათ, რომელიც სლუკუნით ამბობდა: „ცხენი დაბრუნდა... ის დაბრუნდა... ხალხი ამ ბიჭს—ჯუდი ჰეილს—მამამისის ფერმისკენ გაჰყვა. მამამისი, ზიკ ჰეილი, ერთი უსიტყვო ზანგი იყო, წყნარი

მეოჯახე, კარგი მეურნე და კარუელელთა შორის ბამბიდან ყველაზე მეტ შემოსავალს ის იღებდა. ფერმაში კარუელელებს ფრენი ჰეილი, ზიკის ცოლი, დაუხვდათ; იგი, თითქმის ჭკუადაკარგული, ხმამაღლა ჰკიოდა. იქვე ოთხთვალა იდგა ცხენებშებმული და როცა მოსულებმა შიგ ჩაიხედეს, ენაჩავარდნილნი შემოტრიალდნენ.

ნაწყვეტ-ნაწყვეტად მთელი ამბავი გამოირკვა. ზიკ ჰეილი ქალაქში წასულიყო ფეხსაცმელების შესაძენად და მისი ბიჭისათვის, რომელიც ამ დღეს ათი წლის გახდა, საჩუქრის საყიდლად. როგორც ჩანს, უკან გზაზე მას თავისი ოთხთვალა ნელა მოჰყავდა; გაზაფხულის მშვენიერი შუადღით სტკბებოდა: ასე იყო თუ ისე, ყოველთვის, თუ კი დრო ამის შესაძლებლობას აძლევდა, ზიკს ცხენი ნაბიჯით მიჰყავდა ხოლმე, განსაკუთრებით, როცა ჰაერში სიცხე იგრძნობოდა.

სადღაც, ქალაქიდან მომავალ გზაზე, ნელა მოძრავ ოთხთვალას ვიღაც მიუახლოვდა და ორლულიანი სანადირო თოფი ზიკს თავში დაახალა. თოფის ხმაზე დაფეთებული ცხენი ერთბაშად გაჰენდა და ზიკი ოთხთვალას უკანა ნაწილში გადავარდა. მთელი გზა ფერმამდის ცხენს ჰენებით გაევლო. იქ კი ფრენი ჰეილმა ოთხთვალაში ჩაიხედა და დაინახა, რას უშვება კაცს ორლულიანი თოფის დახლა ახლო მანძილიდან.

ზიკ ჰეილი დამარხეს და ამის შემდეგ კარუელში მცხოვრები მამაკაცები უკანასკნელი ცხრა წლის განმავლობაში პირველად წავიდნენ სამუშაოზე მხარზე თოფგადაკიდებულნი.

თ ა ვ ი მ ე ა თ ე

როგორ იმრძოდა გიდიონ ჯეკსონი ჯეთილი საქმისათვის

1877 წლის თვრამეტი აპრილის დილა იყო. მინდვრებზე გაწოლილი ნისლი რძესავით იღვრებოდა კვიპაროსების ტევრებში. მთელი ღამის ნადირობის შემდეგ, ოთხი პოინტერი გასავათებული მილასლასებდა შინისკენ. მათ მამლები თავგამოდებული ყივილით ეგებებოდნენ, თავზე კი ყვავები დასტრიალებდნენ საგანთიადო ჩხავილით—ყვა, ყვა, ყვა. მერე ფერმებზე ძროხების წველასა და სხვა ჩვეულებრივ დილის სამუშაოს შეუდგა ხალხი. მათი ფიქრები ახლაც იგივე იყო, რაც უხსოვარ დროიდან დილის საქმიანობის განუყრელ ნაწილს შეადგენდა: კარგი ამინდი იქნება, თუ დახუთული, ძროხა ალბათ კვლავაც შეეცდება სარძეო ქოთნის გადაბრუნებას წიხლით—ამას ლამობდა იგი ყოველთვის; ეს ჩერჩეტი ძაღლი აღარ დაიღლება ნეტავ უსაქმო ყეფით მინდვრის ბოლოში? რა უბრალო და თანაც კარგი და სასიამოვნოა ყვავების ხმა—სულ ერთი და იგივე, ტკბილი მშობლიური სევდის მომგვრელი ყოველ დილას; საუზმეზე ღორის ხორცი იქნება, შემწვარი ქათამი და ღომი, თუ რა? სანამდე უნდა არწყიოს ასე ამ ავადმყოფმა ხბომ? ვაი თუ ისევ გამიდგეს წელში ქარები...—ამ ფიქრებიდან არც ერთი არ იყო მაინცდამაინც რთული ან მნიშვნელოვანი, მაგრამ არც თუ სულ უმნიშვნელო იყვნენ ისინი. გორაკის თხემზე მზემ თავი ამოჰყო და მისი სინათლე მთელი სიდიადით ერთბაშად მოეფინა არე-მარეს. მთაგორიან ადგილებში მზის სხივები უხვად ანათებდნენ ფერდობებს ერთ მხარეზე, მეორე მხარე კი ჩრდილში რჩებოდა. დაბლობებში ნისლი იდღვიბებოდა და თანდათან ქრებოდა, მხოლოდ ჭაობიანი ხვრელების წყლიან ზედაპირზე რჩებოდა კიდევ. სპილენძის ფერი, შავი და ჭრელი გველები კმაყოფილი

მიიკლაკნებოდნენ სითბოსაკენ. მსუქანი კუებიც მზის სინათლეზე გამოვიდნენ; კურდღლები ძაღლ-მაყვალას ბუჩქებში მიიმალნენ; ციყვები გამალებით დახტოდნენ ძველ ახოვან კაკლის ხეებზე; ირმებმა კი უსიერ ტევრებს მიაშურეს დასასვენებლად.

* * *

კარუელში დილამ ხალხს საუზმეზე მოუსწრო. კარუელელებს სახლის სამუშაო უკვე მოელიათ და ახლა გემრიელად შეექცეოდნენ ცხელ კოკრებს, შოთებს, ბადაგს, თეთრსა და მკვრივ კარაქს, რომელსაც წყლის წვეთები შერჩენოდა ზედაპირზე, ღორის ხორცს, შვრიის ფაფას, კვერცხებს, შესაძლებელია შემწვარ ქათამს ან ახალ თევზსაც, არაჟანიან ნადღვებ რძეს, მოხრაკულ კარტოფილს, ღორის ქონზე მოტაფულ ღომის ნაჭრებს, რაც წინა დღით იყო გადარჩენილი—ეს საპეული სხვადასხვანაირ კომბინაციაში შეადგენდა კარუელელთა საუზმეს, რაც მაინცდამაინც უხვი არ იყო იმათთვის, ვისაც ორი-სამი საათი უკვე მუშაობაში გაეტარებინა. სასკოლო ზარმა ბავშვებს მოუბმო, ისინი სკოლისკენ მოკლე ბილიკებით გაემართნენ—გზებს ზედმეტად სთვლიდნენ. დილის რვა საათზე მათში უკვე სიცოცხლე ჩქეფდა; ისინი სირბილით მიეშურებოდნენ და კოქებამდე ეფლობოდნენ ხნულში, ერთმანეთს უკიჟინებდნენ, გორაკებზე ყვირილით არბოდნენ, ნაძვნარში კინკრიჟებს ესროდნენ ერთმანეთს. მათი არაჩვეულებრივი დაუოკებელი და მოულოდნელობით სავსე ენერგია ბენჯამინ უინთროპისთვის ყოველ დღე საფრთხეს წარმოადგენდა. მასწავლებელი მთელი ძალღონით რეკავდა სასკოლო ზარს, ვინძლო ამით მაინც გაემხნევებინა თავი და ფილოსოფიურად ფიქრობდა იმაზე, რომ წესიერი და წყანარი მოწაფეების მოვლა ყველას შეეძლო. იგი ფიქრობდა ფრენკ კარსონის თექვსმეტი წლის გოგონაზე, რომელიც მთელი დღე უტეხად მისჩერებოდა მას თავისი დიდი, ციმციმა ლურჯი თვალებით, იგი ფიქრობდა ყველაფერზე, რაც თავად მასში ხდებოდა. როდესაც განათლების კონგრეგაციულმა განყოფილებამ იგი კარუელში გაამწესა, მასწავლებლის მოღვაწეობის შესახებ მას ასე უთხრეს: ეს საღვთო საქმეაო. რამდენიმე თვე გავიდა და უინთროპი მიხვდა, რატომ მიანდო თავისი მოვალეობა ღმერთმა სხვას: ნუგეშს უინთროპი რამდენიმე ჩინებულ მოწაფეში

პოულობდა. ესენი იყვნენ: ჰანიბალ უოშინგტონის ბიჭი ჯემი, ებნერ ლეიტის გოგონა და ორი თუ სამი კიდევ სხვა. დღეს იგი უფროს ჯგუფს ემერსონს გააცნობს. „ემერსონს",—გაიმეორა მან თავისთვის. იგი იდგა სკოლის წინ, ყურს უგდებდა ბავშვების ჟრიამულს და გასცქეროდა მზის სხივებში გახვეულ ველებსა და ტყეებს. „ემერსონს",—მტკიცედ უთხრა მან თავის თავს.

საუზმეზე გიდიონი მარკუსს ელაპარაკებოდა და თან იმაზე ფიქრობდა, თუ რა მოქნილი იყო ადამიანის ბუნება, რა ადვილად იღებდა უცნაურ ბუნებრივ იერს და რა სრულყოფილი იყო უნარი თითქმის ყოველგვარ პირობებთან შეგუებისა. იგი მარკუსს ეუბნებოდა:

— შენს ადგილზე ერთ აკრს თამბაქოს მივუმატებდი და არა ბამბას.—და მამა-შვილმა საუბარი განაგრძო, ვითომ აქ არაფერიაო, კარის წყრთილზე კი ორი შაშხანა იყო მიყუდებული მათი წასვლის მოლოდინში.

— ჩვენი მხარე არ ვარგა თამბაქოსთვის.

— მაინც კარგი თამბაქო მოგვყავს,—თქვა გიდიონმა.—მართალია, პიდმონტისას და ვირჯინიისას ვერ უტოლდება, ეს უნდა ვაღიარო, მაგრამ ბაზარზე მაინც კარგად გადის. ახალი რაღაც, სიგარეტებს რომ უძახიან, კიდევ უფრო გაზრდის თამბაქოს მოთხოვნილებას.

— ნიადაგისთვის ცუდია.

— ბამბაც ცუდია. ნიადაგი ორივე შემთხვევაში იფიტება, თუ ხან ერთი არ თესე, ხან მეორე, ან თუ სულაც არ დაასვენე. რამდენი წელიწადია ამას გავიძახი!

— ჩემი საქმე რომ იყოს, სიმინდს დავთესავდი,—თქვა რეიჩელმა.

— ჩვენ ხომ მეცხოველეობას არ მივსდევთ.

— მაინცდამაინც ის უნდა გავაკეთოთ, რასაც ჩვენი წინაპრები აკეთებდნენ?

— ნაშუადღევს საყიდლებზე მინდა წავიდე,—თქვა ჯენიმ.

— ქალაქში?

— აჰა.

მარკუსმა თავი გააქნია.

— რატომ?

— ამ კვირის ბოლოს ზოგი სხვაც აპირებს წასვლას. მაშინ წადი,—უთხრა ქალს გიდიონმა.

— დღეს კარგი ამინდია...

— შინ დაეტიე,—თქვა მარკუსმა.

— შენს ბრძანებაზე არ დავდივარ, შინ რატომ უნდა დავრჩე, შენ რომ მეუბნები, იმიტომ?

— შინ დაეტიე!

ჯენიმ ტირილი დაიწყო. მის გვერდით მჯდომარე ელენმა მას მოფერებით ხელი წელზე დაუსვა. ჯერ გიდიონი წამოდგა, მერე მარკუსი. ოთახიდან გასვლისას გიდიონმა შაშხანებს გადახედა. წუთით შეყოყმანდა. მერე ერთ მათგანს ხელი წააღლო, მხარზე გაიდო და გარეთ გავიდა.

* * *

ათ საათზე ჯეფი მერიონ ჯეფერსონთან იყო. მერიონის ცოლს, ლუიზს, ხელები დამუწუკებოდა; სერიოზული არაფერი იყო, მაგრამ ტკივილი და ქავილი ღამით ძილს უფრთხობდა. ჯეფმა ქალს დასაამებელი მალამოს შეზავება აუხსნა და მერე აივანზე საუბარი გამართა მერიონთან. ბავშვობაში ჯეფი მერიონის საყვარელი ბიჭი იყო, ახლა კი ექიმის სახით პირდაპირ ღმერთს წარმოადგენდა მისთვის. ასე იდგნენ ისინი სხვადასხვა ამბებზე საუბრით გართულნი, როდესაც მეზობლად მდებარე ფერმიდან ტრუპერი მოვარდა სირბილით. იგი შედგა, აქოშინებულმა ერთი ღრმად ამოისუნთქა და თქვა:

— ჯეფ, აი ეს არის დავინახე, რომ ჯესონ ჰიუგარი და შერიფი ბენტლი მამათქვენის ფერმისკენ გაემართნენ. მაღლობზე ვიდექი და შერიფის ორთვალა რას გამომეპარებოდა! მეორე კი ჯესონ ჰიუგარი იყო, თუნდაც ხატზე დავიფიცებ.

— მერე რა, ასაღელვებელი აქ არაფერია,—დაამშვიდა იგი ჯეფმა.

— ვინ იცის, იქნებ არის, იქნებ არა,—თქვა მერიონმა.—მოდი, თქვენი ეტლით ჩვენც იქ წავიდეთ.—ის სახლში შევიდა თოფის გამოსატანად. შეშინებულმა ცოლმა ჰკითხა:—რა მოხდა? რას ჩადიხართ?

არაფერიც არ მომხდარა,—გაიღიმა მერიონმა.— შერიფი წასულა გიდიონისკენ. ჩვენც იქ მივდივართ ყოველ შემთხვევისათვის.

— აყალმაყალს ნუ მოახდენთ, მერიონ. ისედაც ბევრი უბედურება დაგვატყდა თავს.

— მართალია, დაგვატყდა, — წყნარად მიუგო მერიონმა ცოლს.—აქ არავითარი აყალმაყალი არ იქნება. მაინც, მე მგონია, სჯობს, ებნერ ლეიტთან გადახვიდოდე და ეტყოდე, გიდიონთან შერიფი ასულა-თქო.

* * *

საუზმის შემდეგ გიდიონი და მარკუსი ერთი მაღალი ფიჭვის ჭრაში იყვნენ გართულნი. ხეს ირგვლივ მიწა გამოუთხარეს და მისი მსხვილი სველი ფესვები ჩაჩეხეს. ხის ჭრა კარგი სამუშაო იყო ასეთ გრილ დილას; კაცი მთელი თავისი არსებით ნაჯახის ცემას ეძლეოდა და ამით შესანიშნავად იქარვებდა ბოლმას, გადაჭქონდა რა იგი უსულო საგნებზე, რომლებიც ასეთ მოპყრობას არად აგდებდნენ. წაქცეულ ფიჭვს მთელი გაზაფხულისა და ზაფხულის განძავლობაში იქვე დატოვებდნენ. როცა ფოთოლი ცვენას დაიწყებდა, მაშინ ფიჭვი უკვე ხმელი იქნებოდა და ადვილი დასაჭრელი, გამზადებული იმისათვის, რომ ოთხფუტიან მორებად დაეხერხათ, რომლებსაც ცეცხლი ქაღალდივით ეკიდებოდა. ახლა ფიჭვი უკვე მზად იყო წასაქცევად, მისი მაღალი ტანი აქეთ-იქით შექანდა და ამ დროს მარკუსმა თვალი მოჰკრა შერიფის ორთვალას, რომელიც ჭაობიდან გამოვიდა და მათი სახლისკენ აღმართს შეუდგა. მარკუსმა ნაჯახი დააგდო და გიდიონს ხელით ორთვალაზე ანიშნა.

— შერიფია?—იკითხა გიდიონმა.

— მის ორთვალას ჰგავს. წავალ და ვნახავ.

გიდიონმა თავი დაუქნია; მათ თოფები აიღეს და ჩქარი ნაბიჯით გაემართნენ სახლისაკენ. როდესაც გზა გორაკის თხემს მოეფარა, ისინი სირბილზე გადავიდნენ და აქოშინებულებმა სწორედ დროზე მიაღწიეს სახლს, ორთვალა ერთი-ორი წუთის მისული თუ იქნებოდა. ჯოსენ ჰიუგარი და შერიფი ერთად ისხდნენ მკლავებდაკაპიწებულნი; ორივეს ტყავის ულახელოები კურტკები ეცვა, ორივეს ბუხლებზე ორლულიანი თოფები ედო. აივანზე მღელვარე,

შეშფოთებული რეიჩელი იდგა; გიდიონისა და მარკუსის დანახვაზე მან შვებით ამოისუნთქა.

— დილა მშვიდობისა, შერიფო,—თქვა გიდიონმა. აივანზე ჯენი და ელენი გამოვიდნენ და რეიჩელს უკან ამოუდგნენ. ჯეკსონების ფორეჯა პოინტერმა ფრაკუსმა მარკუსს დაუწყო თამაში, მაგრამ, როცა მიხვდა, რომ მისთვის არავის სცხელოდა, არავინ აქცევდა ყურადღებას, დაწვა და იქ მყოფთ ყურდაცქვეტით დაუწყო ცქერა. მარკუსი იდგა იღლიაში ამოდებული თოფით, დაძაბული, ოდნავ მოხრილი, და მხოლოდ რეიჩელმა იცოდა, რომ იგი ახლა ჯერჯერობით უვნებელ, მაგრამ ასაფეთქებლად გამზადებულ თოფის წამალს მიაგავდა. შერიფმა გიდიონს თავით შაშხანაზე ანიშნა და ჰკითხა:

— სანადიროდ ხომ არ მიდიხარ, გიდიონ?

— რატომ არა!—მკვახედ მიახალა მარკუსმა,—მაგრამ როცა მამაჩემს ელაპარაკებით, მისტერ-თქო, ასე მიმართეთ, ხომ გესმით?!

— მისტერ,—გაგრძელებით წარმოსთქვა ჯესონ ჰიუგარმა,—მისტერ!..

— აი, ასე.

— კარგი, მისტერ,—გაიღიმა ჰიუგარმა.

— რითი შემიძლია გემსახუროთ, შერიფო?—წყნარად იკითხა გიდიონმა.

— აი, ეს მესმის,—თავი დააქნია ბენტლიმ.—ჩემი ანგარიშით, შენ ჭკვიანი კაცი ხარ, გიდიონ, და, ღმერთმანი, თუ არც ესაა დიდი ღირსება ჩვენს დროში, მაშინ აღარ ვიცი, რას ქვია საერთოდ ღირსება. რა საჭიროა აღელვება?! საქმე მაქვს და სწორედ ამ საქმისათვის ამოვედი თქვენთან, თქვენ კი თოფებით ემუქრებით კანონის წარმომადგენელს. ღმერთმანი, გიდიონ, ეს ვერაფერი საქმეა ზანგისათვის. ეს კარგს არაფერს მოიტანს...

— ხმა ჩაიწყვიტე!—შესძახა მას მარკუსმა.

— გამოიხედე, ბიჭო,—თქვა ჰიუგარმა,—აქეთ გამოიხედე, შე ზანგო ნაბიჭვარო,—ჰიუგარმა თითი თოფის ორივე ჩახმახს გამოსდო.—აბა ერთი გაგინძრევია ეგ შენი ფილთაა თუ რაღაც და აქვე ნაწლავებს დაგაყრევინებ!

რეიჩელმა ძლივს გასაგონად წამოიკივლა. გიდიონმა მარკუსს ისე მაგრად ჩაავლო მხარში ხელი, რომ ბიჭს მისი თითები რკინის კლანჭებად მოეჩვენა.

— დამშვიდდით, მისტერ ჰიუგარ,—თქვა გიდიონმა.—შფოთისთვის არავითარი მიზეზი არ არსებობს. შერიფმა ბენტლიმ ეს კარგად იცის. მან იცის, რომ ჩვენ კანონის მორჩილი ხალხი ვართ და უსიამოვნების მიზეზი არასოდეს არ მიგვიცია მისთვის. თუ ჩვენ ახლა თოფებს ვატარებთ, იმიტომ კი არა, თითქოს კანონს არ ვცემდეთ პატივს, არამედ იმიტომ, რომ ამ რამდენიმე დღის წინათ ერთი ჩვენი მეზობელი მოკლეს.

— იცი რა გითხრა, გიდიონ, — თქვა ბენტლიმ,—როცა ზანგი ყოყოჩობას იწყებს, ამას შფოთი მოჰყვება. თქვენი სიტყვით ისე გამოდის, თითქოს ის ზანგი თავისთვის მიდიოდა გზაზე და არავის არაფერს უშავებდა, მერე ვიღაც მიუახლოვდა მას და უმიზეზოდ მოკლა. ღმერთმანი, ეს ზღაპარია, გიდიონ, უაზრო ზღაპარია. ღმერთმა შეაჩვენოს და ვინ იცის, თავად რას ჩადიოდა იმ დროს? ღორის ტილს ფეხზე დაისვამ და თავზე აგაცოცდებაო.

— ამიტომაც მოვედით,—დაეთანხმა შერიფს ჰიუგარი.

— რატომ მოხვედით?—იკითხა გიდიონმა.

— ღმერთმა დაგწყევლოს, შეკითხვით, ჩვენ შეგეკითხებით, შენ კი გვიპასუხე!

— დამშვიდდით, ჯესონ,—დინჯად თქვა შერიფმა.—გიდიონს შეკითხვის უფლება აქვს; ჩვენ მის მიწაზე ვიმყოფებით, კანონით ასეა. მაგრამ შეკითხვის უფლება ჩვენცა გვაქვს. ჩვენი სურვილია წყნარად და მშვიდობიანად მოვაგვაროთ საქმე. გუშინ ნაშუადღევს, გიდიონ, სამი ზანგი მიადგა კლარკ ჰასტინგის სახლს უკანა კარზე. კლარკი დუქანში იყო; სალი და პატარა გოგონა შინ იყვნენ. ერთ-ერთი ზანგი დაშაქრული ენით ამბობს: მის სალი, გეთაყვა, მშივრები ვართ, იქნებ ცოტა რამ გამოიმეტოთო. ჰოდა, ხომ იცი, კლარკს ზანგი არასოდეს არ გაუსტუმრებია ხელცარიელი; სალიც გულუბრყვილოდ მიდის, რომ რამე მონახოს ზანგებისათვის, კლარკის ცხრა წლის გოგონა კი იქვე დგას და მათ შესცქერის...

სწორედ ამ წუთში ჯეფი, ტრუპერი და მერიონ ჯეფერსონი მოვიდნენ ეტლით. გიდიონი მათ დანახვაზე გამხნევდა. მერიონი და ჯეფი ეტლიდან გადმოხტნენ: ტრუპერი კი შიგვე დარჩა: მას ხელში თავისი სპენსერის შაშხანა ჰქონდა შემართული, სწორედ ის, რომელსაც იგი ომში ხმარობდა, და აუჩქარებელი, ბოხი ხმით წარმოსთქვა: მოაშორე თითი თოფის ჩახმახს, ჰიუგარ.

ჰიუგარს სახეზე წამოანათა; შუბლზე სქელი ძარღვი გაებერა, ჩასხმული ტანი დაძაბული იყო.

— ჩქარა-მეთქი!—გაიმეორა ტრუპერმა.

ბენტლიმ ჰიუგარს წასჩურჩულა:—ნუ ბრიყვობ, შეასრულე, რასაც გეუბნება.—მხარზე თოფგადაკიდებულმა ებნერ ლეიტმა გუთნიდან გამოხსნილი უბელო ცხენი მოაჭენა.—შეასრულე, რასაც გეუბნება,—გაუმეორა ბენტლიმ ჰიუგარს.

ჰიუგარმა თითები გაშალა.

თოფი ძირს დადე, ფეხებთან,— თქვა ტრუპერმა,—თქვენც, შერიფო!—

— როგორ. მიბედავ!

— ფეხებთან-მეთქი!

შერიფმა და ჰიუგარმა თოფები ძირს დააწყეს. ებნერ ლეიტი ორთვალას გარშემო მდგომთ შეუერთდა. ჭაობიდან მომავალი გზის მოსახვევში ფრენკ კარსონის ოთხთვალა გამოჩნდა. ჰიუგარმა თქვა:

— ზოგიერთი ამბავი უნდა გავიხსენოთ, ლეიტ.

— მე კარგად მახსოვს.

— შერიფი გვეუბნებოდა,—თქვა გიდიონმა,—თუ რატომ მოვიდა აქ.—გიდიონმა შერიფის ნათქვამი გაიმეორა.—განაგრძეთ, ბატონო,—მიუბრუნდა იგი შერიფს.—ჩვენ გვინდა ამბავი ბოლომდე მოვისმინოთ.

მათ ახლა ფრენკ კარსონი შემოუერთდა. ბენტლიმ, რომელიც ირგვლივ შემოკრებილთ თვალს არ აშორებდა, განაგრძო: „პატარა გოგონა იქვე იდგა და ზანგებს უცქეროდა. უცებ ერთმა ზანგმა მას ხელი სტაცა, კაბა შემოახია. გოგონამ კივილი მორთო. ამის გაგონებაზე სალი მოვარდა. მეორე ზანგმა სალის დაარტყა. ქალი მიცოცდა მაგიდასთან, სადაც კლარკი თავის რევოლვერს ინახავდა, მაშინ კი ზანგებმა იკადრეს მოკურცხლვა.

— ჩვენ რაღა შუაში ვართ?—იკითხა გიდიონმა.

— სალიმ იცნო ზანგები, სამივე აქაურია, კარუელელი.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ებნერ ლეიტის სიცილი გაისმა. „ამ სისულელეს...“ დაიწყო ჯეფმა.

— გაჩუმდი,—გააწყვეტინა მას სიტყვა გიდიონმა,—პასუხს მე გავცემ—თქვა მან და ბენტლის მიუბრუნდა:—რა გინდათ,რომ ჰქნათ?

— ჩვენ ის სამი ზანგი გვინდა, გიდიონ.

— რა ბრალდებით?

—ძალადობისათვის და გაუპატიურების ცდისათვის.

— ვინ არიან ისინი, ბრალს ვისა სდებთ?—შეეკითხა შერიფს გიდიონი.

— ჰანიბალ უოშინგტონი, ენდრიუ შერმანი და კიდევ ერთი ზანგი, რომელიც სალის დუქანში უნახავს კარუელელ ზანგებთან ერთად, მაგრამ სახელი არ ახსოვს.

— კარგი,—თქვა გიდიონმა.—თქვენს ნაამბობს თავი დავანებოთ, იგი ჩვენ არ გვეხება, მაგრამ ერთი კვირაა არც ჰანიბალ უოშინგტონი და არც ენდრიუ შერმანი ქალაქში არ ყოფილან. მთელი გუშინდელი დღე ჰანიბალ უოშინგტონი სკოლის შენობაზე მუშაობდა, აგურის კედელს აშენებდა. ენდრიუ შერმანი ხნავდა,—ოცი მოწმე ჰყავს ამისა, ეს ხალხი დაადასტურებს ჩემს ნათქვამს. ასე, რომ თქვენი ბრალდებები უსაფუძვლოა, შერიფო, კარუელიდან გუშინ ქალაქში ერთი კაციც არ ყოფილა.

— ზანგის მოწმეობა ჩვენ არ გვჭირდება,—თქვა ჰიუგარმა.

გიდიონმა ტუჩები მოკუმა. ებნერ ლეიტი ორთვალასთან მივიდა:

— მე ზანგი არა ვარ, ჰიუგარ, კარგად შემომხედე!

— არც შენი მოწმეობა გვჭირდება.

— დიდი ხანია შენი მოკვლა მაქვს გადაწყვეტილი, შე მურდალო, შე ძაღლის ნაშობო, შენა!—წყნარად წარმოსთქვა ებნერმა.

— ასეთი ლაპარაკით შორს ვერ წავალთ. ჩვენ შფოთი არ გვინდა, გიდიონ,—თქვა ბენტლიმ.

— არც ჩვენ გვინდა.

— მაგრამ ესენი უნდა დავაპატიმრო და ქალაქს წავასხა. მოწმეებიც და სასამართლოც მიუდგომელი და ალალმართალი იქნება.

— ალალმართალი მოწმეები აქვე არიან,—თქვა გიდიონმა.

— დამნაშავენი უნდა დავაპატიმრო. გინდათ ხელი შემიშალოთ?

— თუ გნებავთ, ხელის შეშლა უწოდეთ,—უპასუხა გიდიონმა.

— სწორედ ასე ვუწოდებ. ჩვენ აქ მშვიდობიანად მოვედით კანონისა და წესრიგის დაცვის საქმეზე, თქვენ კი გარს შემოგვერტყით და შეიარაღებულ წინააღმდეგობას გვიწევთ. ეს ძალიან სერიოზული საქმეა, გიდიონ.

— თქვენ უკან ხელცარიელი უნდა დაბრუნდეთ,—თქვა გიდიონმა.—თუ გნებავთ, პირდაპირ გეტყვით, შერიფო: მე ვაცხადებ, რომ თქვენ სტყუით. მე ვაცხადებ, რომ არცერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი ამ თქვენს სულელურ ზღაპარს, რაც თქვენ აქ მოჩმახეთ, არ დაიჯერებს. მე ამას საჯაროდ ვაცხადებ...

— მესმის,—თავი დაუქნია შერიფმა.—თავხედი ზანგის ხმა ხუთ მილზე მესმის, ყნოსვითაც ვგრძნობ მას. ამ დამნაშავეებს, გიდიონ, მაინც ხელში ჩავიგდებ, თუნდაც მთელი ოლქის ფეხზე დაყენება მომიხდეს.

— თუ მთელი შტატის?—გააწყვეტინა სიტყვა გადიონმა.— თუ ყველა იმ გათახსირებული არამზადისა, ვისზედაც კი ჰიუგარს ხელი მიუწვდება? ჯერჯერობით კი კარუელიდან გაგვეცალეთ, ბენტლი. ჩვენს მიწაზე დგეხართ. აქედან გაეთრიეთ!

მამაკაცები მჭიდრო გროვად იდგნენ და გასცქეროდნენ ორთვალას, რომელიც უკან მიმავალ გზას დაადგა. ერთი წუთით სიჩუმე ჩამოვარდა, მერე ებნერ ლეიტმა გინება დაიწყო—ხმადაბლა, ნიაღვარივით წამოვიდა გინების მთელი ლექსიკონი. ჯეფმა თქვა: „ჩემის აზრით, საჭირო არ იყო მათთან ასეთი ლაპარაკი“:

ფრენკ კარსონმა მხრები აიჩეჩა. „ეჰ, სულერთია, ეს უკვე დიდი ხანია მზადდებოდა და როგორც არ უნდა ელაპარაკო მათ, ამით არაფერი შეიცვლება“.

— ეს ერთი კვირაა ყოველ დღე ამის მოლოდინში მეღვიძებოდა,—გულჩათხრობით თქვა გიდიონმა.—მთელი ერთი კვირა, ყოველ დღე ამაზე ფიქრობ კაცი. ყოველ ცისმარე დღე, და აჰა, ერთ ჰშვენიერ დილას სრულდება კიდეც.

ბავშვები წყნარად, მორჩილად იდგნენ; ვერ გაეგოთ, თუ რატომ დაითხოვეს ისინი, როცა სასწავლო დღის ნახევარიც არ იყო გასული; ისინი უცქეროდნენ, როგორ შედიოდნენ მამაკაცები სკოლის შენობაში. რამდენიმე მოზრდილი ბიჭიც შიგ შეძვრა მათთან ერთად; ისინი არავის შეუჩერებია. მერხებზე დამსხდარ მამაკაცთა ნახევარს მაინც რაიმე იარაღი ჰქონდა თან. ყველა ნელა მოძრაობდა, სწორედ იმგვარად, როცა ადამიანს უჭირს ერთმანეთს შეუთავსოს აზრი, მოქმედება და იმედები. დარბაზის განაპირას ბენჯამინ უინთროპი იდგა და თვალს ადევნებდა ამ მამაკაცებს. იგი შეშფოთებულიც იყო და შეშინებულიც. იგი ახალგაზრდა იყო; უილიამსის კოლეჯი მან 1873 წელს დაამთავრა. წარ-

მოშობით იგი ეკუთვნოდა ახალი ინგლისის საშუალო რელიგიურ ოჯახს, რომელიც წინაპრად რაცხდა ძველ გუბერნატორს, თუმცა ეს უკანასკნელი ცოტა სხვანაირად წერდა თავის გვარს და სიყვარული, რომელსაც იგი,—ასეთი კარჩაკეტილი ოჯახიდან გამოსული,—კაცობრიობის მიმართ გრძნობდა, უფრო განყენებული იყო, ვიდრე ქმედითი. ნებისყოფის დიდი დაძაბვა, თავისთავთან განუწყვეტელი ბრძოლა უხდებოდა მას იმისათვის, რომ აქ დარჩენილიყო, ამ მისთვის უცხო, წყნარ და მაინც თავნება ხალხში. ახლა იგი თვალს ადევნებდა მათ და მათსავით გრძნობდა, რომ ყველაფერი გათავებული იყო. მისი მუშაობა დამთავრდა; იგი დღესვე წავიდოდა სადგურზე, თუ შესაძლებელი იყო და მატარებელს გაჰყვებოდა.

ძმა პიტერმა კრება შემდეგი სიტყვებით გახსნა: „ძმანო, ჩვენ დღეს აქ შევიკრიბენით შიშითა და რისხვით მოცულნი. ღმერთი იყოს ჩვენი შემწე, რომ სწორი გზა აგვარჩევინოს და თუ სწორ გზას დავადგებით, ღმერთმა ძალა მოგვანიჭოს, რომ მოთმინებით გავყვეთ ამ გზას ბოლომდე. გიდიონ, ილაპარაკე“?

გიდიონი უკანა რიგებში იჯდა; იგი წამოდგა და ძმა პიტერს უპასუხა: „ეს საქმე მარტო ჩემი გადასაწყვეტი არაა, სხვაზე უკეთესს მე ვერაფერს ვიტყვი. ჩემს მეზობელზე მეტი მე არა ვიცი რა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, დე, ხალხმა თვითონ ილაპარაკოს“.

ყველამ გიდიონისკენ მიაბრუნა თავი. იგი უფრო ხნიერად გამოიყურებოდა, ვიდრე ოდესმე. ჰანიბალ უოშინგტონმა წამოიწყო: „იქნებ სჯობდეს, რომ შენ ილაპარაკო, გიდიონ, მთელი ჩვენი ხალხის სახელით; კაცი ჩვენია, ან არაა ჩვენი, შენ ჩვენი ხარ, გიდიონ, ყოველთვის ჩვენთან იყავი. ცოდვები შენცა გაქვს, ღმერთია მოწმე, მაგრამ თავდაბალი ხარ და სადა, მიდი, ილაპარაკე“.

— სალაპარაკო ბევრი არაფერია,—თქვა გიდიონმა.—თქვენ ყველამ იცით, რაც მოხდა, ისიც იცით, რატომ; იცით, რომ, თუ ისინი სამ ჩვენთაგანს წაიყვანენ და ჩამოახრჩობენ, ეს დასაწყისი იქნება მხოლოდ.

ენდრიუ შერმანმა დაღლილი ხმით თქვა:

— მე არ მინდა, რომ ყველას დავატეხო თავს უბედურება, გიდიონ. განა ისე კი ცოტა უბედურება გვჭირს? იქნებ არც კი

ჩამომახრჩონ. ვთქვათ, ქალაქს წავედი, შემხედავენ და იტყვიან: არა, ეს ის ზანგი არაა, ან კი როგორ უნდა თქვან, რომ მე ის ზანგი ვარ, რომელსაც იქ რაღაც ჩაუდენია? არც გუშინ და არც წინა კვირაში ქალაქში არ ვყოფილვარ, ჩემს ეზოს არ გავცილებივარ.

— ჩამოგახრჩობენ,—თქვა ებნერ ლეიტმა,—ეჭვი არაა, რომ ჩამოგახრჩობენ.

— ჩამოგახრჩობენ, — დაადასტურა გადიონმა. — ამიერიდან მე არავითარ გადაწყვეტილებას არ მივიღებ, თქვენ თვითონ უნდა გადაწყვიტოთ. ხოლო შემდეგ თუ კი მოისურვებთ, რომ მე გიხელმძღვანელოთ, ყაბულსა ვარ, მაგრამ გადაწყვეტით კი თქვენ გადაწყვიტეთ. ამ ამბავის შესახებ კი... აბა რა მეთქმის... რამე ხომ უნდა მოეჩმახა, რამე ისეთი ხერხი ხომ უნდა ეხმარათ, რომ მათ მოქმედებას კანონიერების სახე მაინც ჰქონოდა. ბოლოს და ბოლოს სულ რვა დღეა, რაც ისინი ძალა-უფლებას დაეპატრონენ. რვა დღის განმავლობაში შეუძლებელია ყველაფრის გაცამტვერება, რაც ჩვენ რვა წელიწადს ვაშენეთ.

— რა ვქნათ, გიდიონ?—იკითხა ფრენკ კარსონმა.

— ეს თქვენ უნდა გადასწყვიტოთ. მე მგონია, ისინი ამაღამ მოგვადგებიან, ამაღამ თუ არა—ხვალ მაინც, მაგრამ ორი კაცი კი არ მოვა, არამედ ბევრად უფრო მეტი. მაშინ ისინი ჩვენი განადგურების საქმეს შეუდგებიან, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ აღარც კანონიერების ფორმალური გამოყენება დასჭირდებათ. რაც შეეხება იმას, თუ როგორ უნდა მოიქცეთ, ამისათვის რამდენიმე გზა არსებობს: შეგიძლიათ შინ დარჩეთ. მაშინ ორ-ორს, სამ-სამს მოუღებენ ბოლოს; შესაძლოა ყველანი ვერ დახოცონ და ზოგიერთი თქვენთაგანი კიდევაც გადარჩეს. შეგიძლიათ გაიქცეთ და სადმე პლანტაციაში იმუშაოთ ქირაზე—ლუკმაპურის, ერთი ნაჭერი ლორისა და დასაძინებელი ადგილისათვის და თუ ენას კბილს დააჭერთ, სიცოცხლეს შეინარჩუნებთ. თეთრებისათვის საქმე ცოტა უფრო სხვანაირადაა. მათ შეუძლიათ ჯესონ ჰიუგარს შეუერთდნენ... თუმცა, არა მგონია, რომ მან ისინი მიიღოს. არა, ბევრად უკეთესი არც თეთრების მდგომარეობაა. არის კიდევ ერთი გამოსავალი: დარჩეთ აქ, მხარი მისცეთ ერთმანეთს და იბრძოლოთ!

— ეს ქვეყანა ჯერ კიდევ ამერიკის შეერთებული შტატებია!—წამოიძახა ჯეფმა.—ჯერ კიდევ არსებობს ჩვენში კანონი და

ჯერ კიდევ არსებობენ სასამართლოები! ღმერთო ჩემო! ბატონო, ნუთუ აუცილებელია, რომ ჩვენი თავი ჩვენვე გავანადგუროთ?

— აუცილებელი არაა,—უპასუხა მას გიდიონმა,—მე სხვა გამოსავალიც გითხარით. არჩევანს ხომ მე არ ვაკეთებ, რვა დღეა, კანონის ნაცვლად ძალადობა მოქმედებს; სასამართლოები ჩვენ არ გვეკუთვნის, და მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა ამერიკაა, ჩვენ საბრძოლო ძალა გაგვაჩნია. განადგურება? არ ვიცი. როდესაც მოხუცმა ოსავატომელმა ბრაუნმა ცხრამეტი კაცით ჰარპერს ფერი დაიკავა, მას ნაკლები ძალა გააჩნდა და ნაკლები იმედი ჰქონდა, ვიდრე ჩვენ მოგვეპოვება ახლა, მაგრამ მან მთელი ჩვენი ქვეყანა შეარყია, გამოაღვიძა ხალხი, თვალები აუხილა მას. მე ბრძოლას იმიტომ კი არ გირჩევთ, რომ დავიხოცოთ; მე მინდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ვიცოცხლოთ! მე მინდა ვიბრძოლოთ ისე, რომ მთელმა ქვეყანამ დაინახოს, რაც აქ ხდება.

— სხვა გამოსავალიც უნდა არსებობდეს, თქვა ჯეფმა.

— რა გამოსავალი?

— უოშინგტონში რომ წახვიდე?

— მე იქ უკვე ვცადე, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

— კვლავ რომ სცადო?

— კვლავ არაფერი გამოვა და გვიანაც იქნება. ხვალ უკვე გვიან იქნება.

უილ ბუნმა ზანტი, წყნარი ხმით თქვა:

— ვთქვათ, ბრძოლა გადავწყვიტეთ, გიდიონ. მე ეს მომწონს, ჩემიანებისათვის თავს არ დავზოგავ, როგორც მე მესმის, სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ, მაგრამ როგორ? ჩვენ ხომ არმიას არ წარმოვადგენთ? ადგილი კი სამიათას ხუთასი აკრია, ამდენი ფერმები ცოტა არ იყოს, გაფანტული ვიქნებით, ძალიან გაშლილი.

— ამაზე მეც ვიფიქრე, — დაეთანხმა გიდიონი.— ღმერთია მოწმე, რომ ეს უკანასკნელი დღეები სხვა არაფერზე მიფიქრია. თუ ჩვენ გადავწყვეტთ ვიბრძოლოთ, მაშინ ქალები და ბავშვები ისეთ ადგილას უნდა მოვათავსოთ, სადაც უშიშრად იქნებიან, კარგა ხნის განმავლობაში იქნებიან უშიშრად, მანამდე, სანამ ყველაფერი არ მოწესრიგდება. ასეთი ადგილი აქვეა, საკმაოდ დიდი და დასაცავადაც ადვილი—მე კარუელის დიდ სახლზე ვლაპარაკობ. იგი გორაკზე დგას და აქაურობას ზემოდან დაჰყურებს...

— რაც ვთქვი, კმარა,—დაამთავრა გიდიონმა.—ახლა თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ.

* * *

ერთი საათის შემდეგ გადაწყვიტეს კიდეც. მათი გადაწყვეტილება ნაყოფი იყო მათი ძლიერებისა და სისუსტისა, მათი რისხვისა და მათი შიშის, მათი ტანჯვისა და ტკივილებისა, მათი წარსული შრომისა, რომელსაც მეხსიერება ვერ ივიწყებდა. როცა აყალმაყალი დაცხრა. ებნერ ლეიტი გიდიონს მიუბრუნდა: „ვიბრძოლებთ, გიდიონ, გაგვიძღვები“?

— თუ კი გინდათ...

— გვინდა.

გიდიონმა დარბაზს თვალი მოავლო და მერე თავი დააქნია. იგი მძიმე ნაბიჯით გაემართა წინ და ხალხის წინაშე წარსდგა. ძმა პიტერი მას მისჩერებოდა; მოხუცის თვალებში განუზომელი ტკივილი გამოკრთოდა. გიდიონმა საათს დახედა და თქვა:

— ახლა თითქმის სამი საათია. რაც გასაკეთებელია, დაღამებამდე უნდა გავაკეთოთ. არ ვიცი, ამაღამვე მოგვადგებიან თუ არა, შესაძლოა, რამდენიმე დღე დაიგვიანონ. ჩემი წინადადებაა: ცოლ-შვილი დიდ სახლში გადავიყვანოთ და იქ საკვები და საბნები მივზიდოთ. დღისით, როცა ჩვენ ჩვენს მიწებზე ვიმუშავებთ, მათთან მცველებს დავტოვებთ. ის მაინც გვეცოდინება, რომ ისინი უშიშრად არიან. სასკოლო ზარი განგაშის ნიშნად გამოვიყენოთ, მაგრამ სკოლის შენობა, ალბათ, არ დაგვჭირდება...

იგი ბენჯამინ უინთროპს მიუბრუნდა:—არ ვიცი, როგორ უყურებთ თქვენ ყოველივე ამას, მისტერ უინთროპ. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, თქვენ არ გეხებათ. ჯერჯერობით იძულებული ვიქნებით მეცადინეობა შევწყვიტოთ...

უინთროპმა უხერხულობისაგან ხელების ფშვნეტა იწყო და უპასუხა: „მე ძალადობის მომხრე არა ვარ, მისტერ ჯეკსონ, თქვენს განზრახვას ვერ მოვიწონებ, თუმცა ეს ჩემი საქმე არაა. მაგრამ დაუშვებელია, რომ ბავშვები მთელი დღეობით უმეთვალყურეოდ დარჩნენ. ისიც მაშინ, როცა ყველანი ერთ ადგილას იქნებიან თავმოყრილი“...

— სხვა გამოსავალი არ არის.

უინთროპმა მორჩილად განაცხადა: „კარგი, ცოტ ხანს კიდევ დავრჩები თქვენთან, სანამ მდგომარეობა მოწესრიგდებოდეს. დასაწყისში ყოველთვის უწესრიგობაა“...

— თუ დარჩებით, თქვენი დიდი მადლობელი ვიქნებით.—გიდიონი კვლავ ხალხს მოუბრუნდა.—რაც ტყვია-წამალი გაქვთ, იმ სახლში აიტანეთ. მე გირჩევდით აგრეთვე წამოგეღოთ სიმინდის ფქვილი, შაშხი და ასეთები, რაც ადვილი გადასაზიდავია...

სკოლის შენობიდან ისინი ისეთივე ნელი ნაბიჯით და თითქმის უხმოდ გამოვიდნენ, როგორც მოსულიყვნენ. თითოეულმა მათგანმა თავის ბავშვებს მოუყარა თავი და თან წაასხა. ზოგი ფეხით გაუდგა გზას შინისკენ, ზოგიც ცხენით. გარეთ გამოსვლისას ტრუპერმა გიდიონი შეაჩერა და უთხრა:

— ჩემს სახლ-კარს ვერ მივატოვებ.

— რატომ?

უზარმაზარი ტანის შავმა კაცმა, რომელიც გიდიონზე მაღალიც და განიერიც იყო, ადამიანის ამ ვეებერთელა და ზანტმა მასამ თავი გააქნია.

— ვერ მივატოვებ, გიდიონ,—გაიმეორა მან.

— შენი საქმეა,—მიუგო გიდიონმა.

ტრუპერმა ნელ-ნელ ამოალაგა სიტყვები: „მე შენსავით როდი ვარ, გიდიონ. როცა მონა ვიყავი, მათრახს ყველაზე მაგრად მე მირტყამდნენ: შე აყლაყუდა შავო ნაბიჭვარო, შე ლენჩო შავო ნაბიჭვარო, შე წყეულო შავო ნაბიჭვაროო და სულ მუდამ ასე.

მისტერ დადლი კარუელმა ორლეანსში საჯარო ვაჭრობაზე მიყიდა. ყველაზე მეტი ფასი ჩემში გადაიხადა. ყველაზე მეტადაც მე მამუშავებდა. დილას, შუადღეზე, ღამით—სულ მამუშავებდა. ბედნიერი დღე არ გამთენებია, ბედნიერი ღამე არ მახსოვს. თუ ვინმეს სცემდნენ, ზედამხედველი იტყოდა ხოლმე: მაგალითისთვის მაგ შავ ნაბიჭვარსაც მოსცხეთ, არაფერი დაუშავდებაო.

ტრუპერმა პერანგი გადაიძრო: „შეხედე ამ ზურგს, გიდიონ“, ძმა პიტერი და კიდევ რამდენიმე სხვაც შედგნენ, რომ საუბრისთვის ყური დაეგდოთ; მათ შეხედეს ტრუპერის ზურგს, რომელიც მათრახის ნაჭდევებით იყო დაღარული და რელიეფურ რუკას წაგავდა.

— ჩემს სახლ-კარს ვერ მივატოვებ, გიდიონ. მე და ჩემი დედაკაცი წელში ვწყდებით და მიწას ვამუშავებთ, ჩემ საკუთარ მიწას! არც ბატონი მყავს, არც ზედამხედველი- ხანდახან მინდა დავიჩოქო და ამ მიწას ვემთხვიო, ნამდვილს ვამბობ. საკუთარი სახლი მაქვს; დავჯდები ხოლმე და დედაკაცი საჭმელს მომიტანს.

მიწის ქოხი კი არაა, დილეგი კი არაა—ჩემი საკუთარი სახლია! მე ჩემს სახლში დავრჩები, გიდიონ. მას ვერავინ დამატოვებინებს.

— შენი ბავშვები?—შეეკითხა ძმა პიტერი.

— ისინიც ჩემთან დარჩებიან. არაფერი დაუშავდებათ.

რვა წლის წინათ გიდიონი გაცხარდებოდა, ხვეწნას დაუწყებდა, ახლა კი მან უთხრა: „კარგი, ტრუპერ, თუ ასე გინდა, კარგი, ასე იყოს“.

18 აპრილს, გაზაფხულის მთელი ამ გრძელი დღის განმავლობაში, კარუელელები თავიანთი ფერმებიდან დიდ სახლში გადადიოდნენ. ქალები ოთხთვალებს ლოგინებით, ქვაბ-ქოთნებითა და სურსათით ავსებდნენ; თან მიჰქონდათ აგრეთვე განძად მიჩნეული ზოგიერთი პატარა ნივთი—კალენდარი, ბიბლია, საკერავი კალათი, თაბაშირის სტატუები. ახლა უკვე ბევრს აღარ ლაპარაკობდნენ იმ ამბავზე, რაც კვირეების განმავლობაში ბეჭობის საგანი იყო. ბავშვების მარტივ, მდორე ცხოვრებაში ეს უჩვეულო ამბავი მიწისძვრას უდრიდა; ისინი აღელვებულნი იყვნენ, მაგრამ არაბუნებრივად ყუჩობდნენ.

ნერვები ყველას დაძაბული ჰქონდა. მამაკაცები მოთმინებას კარგავდნენ უმნიშვნელო წვრილმანების გამო, იმის გამო, რომ ვიღაცას სხვა ადგილას დაედო ხერხი ან ჩაქუჩი, იმის გამო, რომ ბავშვი ფეხებში ებლანდებოდა. ქალები უმიზეზოდ კაპასობდნენ; მაგრამ დიდ და ერთადერთ მნიშვნელოვან ფაქტს ყველანი უსიტყვოდ, უცრემლოდ იღებდნენ. ოთხთვალაზე დატვირთული ოჯახი ნელა მიემართებოდა გორაკისაკენ; გზაში მეორე მხრიდან მომავალთ უქნევდნენ ხელს.

ოთხთვალები ნელნელა იყრიდა თავს დიდ სახლთან, როდესაც ყველა მოგროვდა, საღამოვდებოდა უკვე; ძველი ტალანიანი თეთრი შენობა ოქროსა და ვარდისფრად ელვარებდა ჩამავალი მზის სხივებში.

გიდიონმა თან წამოიღო რამდენიმე წიგნი, ხოლო ჯეფმა თავისი ქირურგიული ხელსაწყოები და ჩარლსტონში ნაყიდი წამლების ნაწილი. თივის დიდ ფურგონში ლოგინი გაშალეს და სა-

ბრალო ფრედ მაკჰიუ მოასვენეს. მთელი იარაღი თან წაიღეს: გიდიონის ძველი სპენსერი, მარკუსის საკავალერიო კარაბინი, ორი სანადირო თოფი და ერთიც კოლტის სისტემის გრძელლულიანი რევოლვერი, რომელიც ერთი წლის წინათ იყიდა უოშინგტონში გიდიონმა. თან წაიღეს საუკეთესო სამზარეულო ჭურჭელი და თითქმის მთელი თეთრეული ლოგინისა; რეიჩელს უნდოდა დაეტოვებინა იგი, ენანებოდა მშვენიერი თეთრეული. გიდიონი წლების განმავლობაში იძენდა მას თანდათანობით, რადგან იცოდა, რარიგ უყვარდა რეიჩელს ფაქიზი თეთრი ზეწრები და ქათქათა ბალიშისპირები, მაგრამ ჯეფმა ყოველგვარი განმარტების გარეშე უთხრა დედას „ყველა წამოიღე“!

— რას ფიქრობ?—ჰკითხა ებნერ ლეიტმა თავის ვაჟს, ცხრაშეტი წლის ჯიმს,—ეს ის დრო არაა, ათი წლის წინათ რომ იყო. მე გიდიონთან ვარ დაკავშირებული, ეს კავშირი ჩვეულებად გვექცა უკვე. შენთვის არაა სავალდებულო.

ერთი წლის წინათ გიდიონის დახმარებით ებნერმა მეორე ნაკვეთი, ასი აკრი მიწა იყიდა ჯიმისთვის—როცა ცოლს შეირთავდა და ცალკე დასახლდებოდა. ახლა ჯიმმა ეს ამბავი გაახსენა მამას.

— ვიცი. შენ არ გაგძრობია ზურგზე ტყავი ამისთვის.

— შენთან ერთად წამოვალ.

ებნერმა თავი დაუქნია ვაჟს და მხარზე მოჰხვია ხელი. ეს მამის მხრით სიყვარულის იშვიათი გამოვლინება იყო. ბიჭი მხრების მოძრაობით განთავისუფლდა მამის მკლავისაგან და დედის დასახმარებლად სახლში შეავიდა.

ძმა პიტერი და ალენბის ნაშვილები ბიჭები პირველნი მოვიდნენ დიდ სახლში. ჟამთა მსვლელობას დიდად არ გამოეცვალა სახლის გარეგნობა, საღებავი გამოხუნებულიყო მხოლოდ და აქა-იქ ამძვრალიყო. შორიდან ის მაინც ისევე ლამაზად და დიდებულად გამოიყურებოდა, როგორც წინათ, მაგრამ, როცა ახლოს მიხვიდოდი, შენიშნავდი, რომ ფანჯრები ჩამტვრეული იყო, კარები ცალ-ცალ კილოებზე ეკიდა და ირგვლივ სარეველა ბალახს თავისუფლება ეპოვა. მთელი ავეჯეულობა საჯარო ვაჭრობით იყო გაყიდული, მაგრამ ცარიელი ოთახები მაინც ინარჩუნებდნენ ძველი სიდიადის იერს. დიდი, ცენტრალური კიბე, წითელი ხის მოაჯირებითა და მუხის საფეხურებით, კიდევ უფრო დიად შთაბეჭდილებას

ახდენდა ამ სიცალიერეში. ძველებური, ხელით მოხატული შპალერი ნაფლეთებად ეკიდა, მაგრამ ფერი კი ძველი შერჩენოდა. საუცხოოდ მოჩუქურთმებული კაკლის ხის პანელები თითქოს მოთმინებით ელოდნენ იმ დროის დაბრუნებას, როცა მათ ახლოს კარადები, სკამები და დივან-სავარძლები იდგნენ.

წლობით დაგროვილ ჭუჭყსა, გამხმარ ფოთლებსა და ნაგავს შორის, რაც ცარიელ ოთახებში მოთამაშე ბავშვებს შემოეტანათ, ძვირფასი პარკეტი მოჩანდა.

ძმა პიტერის ქონება რამდენიმე ნივთით განისაზღვრებოდა და ამიტომ მისი გადაბარგება სწრაფად მოხდა. მას თან მოჰყვა სამი ბიჭი, რომლებიც მისტერ ალენბის სიკვდილის შემდეგ მასთან ცხოვრობდნენ. მათ მოსვლისთანავე ცოცხებს დასტაცეს ხელი და სახლის დასუფთავებას შეუდგნენ. ბიჭებს მალე სხვებიც მიეშველენ. ათეული წლების განმავლობაში დაგროვილი ნაგვის გარეთ გატანა არც ისე ადვილი იყო, მაგრამ, როცა ოჯახების უმრავლესობამ დიდ სახლს მიაღწია, იგი ცოტად თუ ბევრად უკვე დასუფთავებულ-მილაგებული იყო. მოსულებს გიდიონი აბინავებდა. თუმცა სახლში ოც ოთახზე მეტი იყო, მაგრამ ყველა ცალ-ცალკე მაინც ვერ მოთავსდებოდა და, მაშასადამე, ერთად ცხოვრება მოუხდებოდათ. გიდიონმა გადაწყვიტა დიდ სამეჯლისო დარბაზში მამაკაცთა საერთო დასაძინებელი მოეწყო. ქალები და პატარა ბავშვები მან საწოლ ოთახებში გაანაწილა ისე, რომ ოჯახები, რამდენადაც შესაძლებელი იყო, არ გათიშულიყვნენ. ზოგ შემთხვევაში მან ოჯახს ცალკე ოთახი მიუჩინა, როგორც, მაგალითად ჯეიკ სატერის ოჯახს, რომელსაც ბებია, ჯეიკის ცოლი, და და სამი ქალიშვილი შეადგენდნენ. მამაკაცების ნაწილი, მოზრდილ ბიჭებთან ერთად, სასადილო ოთახში დაიძინებდა; დღისით ეს ოთახი სასკოლო მეცადინეობისათვისაც უნდა გამოეყენებინათ. სურსათი სამზარეულოს საკუჭნაოში შეინახეს და გიდიონმა გამოჰყო რამდენიმე ქალი, რომელთაც სურსათის განაწილება და საჭმლის დამზადების მეთვალყურეობა დაევალა. ქალების მეორე ჯგუფს სახლის დალაგება-დასუფთავება დაეკისრა. მამაკაცები ჩამტვრეულ ფანჯრებზე ქაღალდებს აკრავდნენ, ხოლო ჰანიბალ უოშინგტონი და კიდევ ორი სხვა ცისტერნში ჩაძვრნენ და მის დასუფთავებას შეუდგნენ. რაკი ცისტერნი ორ ფლიგელს შუა, სამზარეულს კართან იყო მოთავსებული, გიდიონს აზრად მოუვიდა მისი გამოყენება საჭირო

წყლის შესანახავად, რათა კასრების იმედით არ ყოფილიყვნენ. მზის ჩასვლისას ცისტერნი უკვე სუფთა იყო და ბიჭები, ჰანიბალ უოშინგტონის მეთაურობით, უკვე ვედროებით ეზიდებოდნენ წყალს ჭიდან მის ასავსებად. ამასობაში გიდიონმა ექესი ოთხთვალა გაგზავნა შეშის მოსაზიდად.

ზოგიერთმა, ვისაც პატარა ბავშვები ჰყავდა, ძროხაც მოიყვანა და მათთვის რამდენიმე დღის სამყოფი თივაც მოზიდა. კარუელის ძველი ბოსლები და თავლები დიდი ხნის წინათ დამწვარიყო; ამიტომ, გიდიონმა ცხენები და ძროხები შენობის ორ ფლიგელს შუა მოათავსებინა და გამოსასვლელი ოთხვალებით გადააღობინა.

საოცარი იყო, რამდენი რამ გაკეთდა დაბინდებამდე. ასეთმა წარმატებამ ყველანი უზომოდ გაახალისა. უინთროპის გარდა, მათ შორის უცხო არავინ იყო. ერთმანეთს ყველანი იცნობდნენ ან დაბადებიდან, ანდა მრავალი წლის ახლო ურთიერთობით. თითოეული მათგანის განსაკუთრებული ზნე და ჩვევები მათთვის არ იყო გამაღიზიანებელი, როგორც სხვებისათვისაა ხოლმე ჩვეულებრივ. ახალი ვითარება—ის, რომ ისინი ერთად იყვნენ, ერთმანეთის ჭირ-ვარამს იზიარებდნენ და შეეძლოთ ჩვეულებრივზე უფრო დიდხანს, შუაღამემდე ესაუბრათ, მხნეობასა და ხალისს მატებდა მათ. ოთახებში დარჩენილი იყო ძველი ჭაღები და ამ ღამეს სანთლებს არ ზოგავდა გიდიონი. მთავარ ჭაღებში მან 24—24 სანთელი აანთებინა; მათი ძლიერი შუქი ათასნაირად ციმციმებდა ბროლის წახნაგებზე და მხიარულებას ჰფენდა ირგვლივ.

გიდიონმა მამაკაცები კომიტეტებად დაჰყო. სახლის სადარაჯოდ საკმარისი იყო ათი კაცი; თუ ყველანი, მოზრდილი ბიჭების ჩათვლით, შენაცვლებით იმორიგეევებდნენ, თითოეულ მათგანს კვირაში ერთ დღეს მოუწევდა დარაჯობა. მათთვის შეუძლებელი იყო ფიქრი იმაზე, რომ ასეთი მდგომარეობა ერთ კვირაზე მეტს გასტანდა; ასეთი შესაძლებლობის გათვალისწინება სულიერ დეპრესიას გამოიწვევდა; მათი საზრუნავი ხვალინდელი და ზეგინდელი დღე იყო. ერთი კომიტეტი ცხენებს მოუვლიდა, მეორე—თავისებური სასამართლო უნდა ყოფილიყო: პირველ ღამეს, შესაძლოა, ყველაფერი კარგად ჩაივლიდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ერთად ცხოვრება ალბათ ზოგიერთის ნერვებზე იმოქმედებდა და საჭირო გახდებოდა საკინკლაო და სადავო საქმეების გარჩევა. ათასი წვრილმანი იყო ისეთი, რომლის გაკეთება ბავშვებსაც შეეძლოთ; ეს

მით უფრო იყო საჭირო, რომ მათ ცელქობისათვის დრო აღარ დარჩენოდათ.

ყუთებისა და ფიცრებისაგან გიდიონმა რაღაც მაგიდის მსგავსი მოაწყო. ბევრს თან სკამებიც წამოეღო, რაც მეტად საჭირო აღმოჩნდა ერთგვარი კომფორტისათვის. როდესაც პირველი ვახშმის ერთად მომზადებითა და ერთად ჭამით გამოწვეული ჩოჩქოლი დაცხრა, გიდიონი მაგიდას მიუჯდა და დეპეშების წერა დაიწყო. მას უნდოდა ერთი დეპეშა „ნიუ-იორკ ჰერალდის“ რედაქტორისათვის გაეგზავნა; ბენეტს თავისი რეპორტიორები ჯოჯოხეთში გაუგზავნია ხოლმე ისეთი ამბების შესატყობად, რომლებიც ნახევარიც არ ღირან იმ ამბისა, რაც, შესაძლებელია, ახლა კარუელში დატრიალებულიყო. მეორე დეპეშას იგი პრეზიდენტს გაუგზავნის, მესამეს—სახელმწიფო მდივანს, მეოთხეს—ფრედერიკ დუგლასს, ზანგების ძველ, პატივცემულ ლიდერს. ერთი დეპეშა გიდიონმა კარდოზოს სახელზე შეადგინა. მასში იგი აღწერდა საგანგაშო მდგომარეობას და უკანასკნელად მოუწოდებდა სამხრეთის ყველა პატიოსან ადამიანს გაერთიანებულიყვნენ და ერთსულოვნად ემოქმედათ. იგი სწერდა: „ფრენსის, ძალიან გთხოვთ, ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ მარტო არ ვართ, რომ სამხრეთში ათასობითაა კეთილი და სამართლიანი ადამიანები, რომლებსაც აღაფრთოვანებს და შეაკავშირებს ის ფაქტი, რომ აქ, კარუელში, ხალხიც არ დაემორჩილა ტირანიასა და ტერორს, ვითარების გარდაუვალ შედეგად არ სცნო ისინი“. გიდიონმა რალფ უალდო ემერსონისთვისაც დასწერა დეპეშა, ვინძლო მოხუცს კიდევ ერთხელ აღემაღლებინა ხმა სამართლიანობის დასაცავად. დაწერის შემდეგ ყოველ დეპეშას გიდიონი მის გარშემო თავმოყრილ მამაკაცებს აძლევდა წასაკითხავად და შენიშვნების გასაკეთებლად. დაბოლოს, როცა დეპეშები გასაგზავნად მზად იყო, გიდიონმა მარკუსი განზე გაიხმო და უთხრა:

— მე მინდა, რომ ეს დეპეშები შენ წაიღო. მეტად მნიშვნელოვანი საქმეა.

მარკუსმა თავი დაუქნია.

— პირდაპირ კოლამბიაში წადი. მე მინდა, რომ ამაღამვე წახვიდე, დილით იქნები იქ, როცა „უესტერნ იუნიონის“ განყოფილებას გააღებენ. ცხენით წადი. ებნერი თავის უნაგირს გათხო-

ვებს. რაც არ უნდა მოხდეს, მარკუს, ჩემო ბიჭო, დეპეშები მაინც უნდა გაიგზავნოს. მერე აქვე დაბრუნდი.

—დაბრუნდები,—მიუგო მარკუსმა.

გიდიონი მას გარეთ გაჰყვა და გამგზავრებამდე არ მოშორებია. მარკუსს მაღალყელიანი წაღები ეცვა; ტყავის კურტაკში კოლტის დიდი რევოლვერი და დეპეშები ედო. იგი დარდიმანდულად გამოეთხოვა ყველას. აშკარად დარწმუნებული იმაში, რომ დავალებას შეასრულებდა. იგი აღტკინებული იყო და წასვლას იჩქაროდა. ნათელი, მთვარიანი ღამე იყო. მშვენიერი ღამე კოლამბიაში გასამგზავრებლად. პატარა ფაშატი ქარიგით გაქროლდება, ვერაფერი შეაჩერებს მას; ვერაფერი დაეწევა, და რამდენსამე საათში მთელი ქვეყანა გაიგებს, თუ რა ხდება კარუელში. გიდიონი უცქერდა მარკუსს და გული სიამაყით ევსებოდა. ეს ხომ მისი ვაჟი იყო, ტანადი, უშიშარი, სიცოცხლით სავსე და გოროზი ჭაბუკი—ცოცხალი დასაბუთება იმისა, რაც დღემდე მათ ცხოვრებას შეადგენდა. ამიერიდან კი ვინ იცის, რა იქნება—რაც მოსავალია, დრო მოიტანს!

— ხომ არ გეშინია?—ჰკითხა მან მარკუსს, ჭაბუკმა გაიღიმა მხოლოდ. როცა იგი ცხენზე ჯდებოდა, სახლიდან ჯეფი გამოვიდა. „გზა მშვიდობისა!“ უთხრა მას ჯეფმა, ხელი ბარძაყზე მოუჭირა და გაუღიმა.

— გმადლობთ, ექიმო,—გაიკრიჭა მარკუსმა და მის ხმაში, როგორც ყოველთვის, როცა იგი ჯეფს ელაპარაკებოდა, გამაღიზიანებელი,—ნაწილობრივ ირონიისა და ნაწილობრივ პატივისცემის გამომხატველი კილო გაისმა.—ერთ კოლოფ აბებს ჩამოგიტან,—მერე მარკუსმა ცხენი დასძრა და ნაბიჯით ჩაუყვა ფერდობს, დამპალ ნანგრევთა გვერდით, რომლებიც ერთ დროს მონების ქოხმახებს წარმოადგენდა.

ცოტა ხნის შემდეგ გიდიონი სადარბაზო ოთახში თავის ლეიბზე წამოწვა. რა უცნაური იყო ასე წოლა, როცა ირგვლივ მრავალი შამაკაცის ფშვინვა და მოუსვენარი მოძრაობის ხმა ისმოდა. მაღალ ფანჯრებიდან მთვარის ვერცხლისფერი შუქი შემოდიოდა, რაც კიდევ უფრო ფანტასტიკურს ხდიდა აქაურობას. ყველაფერმა ამან გიდიონს ის შორეული დრო მოაგონა, როცა იგი არმიაში იყო და დაქანცული გაიშოტებოდა ხოლმე სადმე ბანაკში. მაშინ იგი შორს იყო კარუელიდან, შორს იყო ახალგაზდრა და ტურფა

რეიჩელისაგან, დაშორებული იყო ბავშვებს, - რადგან ზოგჯერ ისეთი დრო დგება, როდესაც მამაკაცმა თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს. ასე ფიქრობდა გიდიონი ხან ერთ, ხან მეორე ამბავზე შორეულ წარსულიდან და ბოლოს ჩაეძინა კიდეც. რამდენიმე ხნის შემდეგ—რამდენისა თავად არ იცოდა,—იგი თოფის სროლის ხმამ გამოაღვიძა. სადღაც, ველის მეორე ბოლოდან მოისმოდა ხშირი ბათქი, მერე კი კვლავ სიჩუმე ჩამოწვა.

ტრუპერის ცოლი, კეტი, სიტყვას ვერ შეუბრუნებდა თავის ქმარს. ქალს უყვარდა ქმარი, მაგრამ ეშინოდა კიდეც მისი. ტრუპერი ყველაზე დიდი ტანისა და ყველაზე ღონიერი იყო კარუელელ ვაჟკაცთა შორის, მაგრამ მას ქალივით რბილი ხასიათი ჰქონდა. გულის აჩუყება მისთვის ისევე იოლი იყო, როგორც თავშეუკავებელი რისხვის გამოწვევა მასში. ყოველივე ამას შეჩვეული კეტი, ქმართან ცხოვრებით კმაყოფილი იყო. იგი პატარა ტანისა და სილამაზეს მოკლებული იყო, მაგრამ ტრუპერი კარგად ეპყრობოდა: არასოდეს არ მრუშობდა სხვა ქალებთან, ოჯახს კარგად ინახავდა და არც ცოლისა და არც ბავშვებისათვის ხელი არასოდეს არ შეუხია. ეს იყო მხოლოდ—თავის ჭკუაზე უყვარდა სიარული და როცა რამეს ამოიჩემებდა, ვერაფრით ვერ გადააფიქრებინებდი. მაგალითად, რაკი თქვა, გვარს არ დავირქმევო, რასაც ყველანი შვრებოდნენ, არც დაირქვა; ტრუპერი სახელია და ძალიან კარგი სახელიცო; ყოველთვის ასე ეძახდნენ მას და მომავალშიც ასე უნდა ეწოდებინათ. ესა თქვა და მორჩა—უნდა დათანხმებულიყავ, მასთან კამათი ამაო იყო. და ახლაც, რაკი თქვა ჩემს სახლ-კარში უნდა დავრჩეო, კეტიმ უხმოდ მიიღო მისი განჩინება და თავის ორ პატარა გოგონას უთხრა: „ჩვენ აქ ვრჩებით“. დიდი სახლისაკენ მიმავალ ოჯახებს რომ უყურებდა, გული დარდით ეკუმშებოდა, მაგრამ რა უნდა ექნა? როცა დაღამდა, ტრუპერის პატარა სახლი ისეთმა მირტოობამ მოიცვა, თითქოს ჯურღმულმა შთანთქაო, და კეტი თანდათან უფრო ძლიერმა შიშის ზარმა აიტანა, მაგრამ ამ შიშს იგი არ უმჟღავნებდა თავის ქმარს. კეტის თვალებს რული არ მიჰკარებია ამ ღამით. იგი სმენად გადაქცეული იწვა ტრუპერის მოდუნებული სხეულის გვერდით. ტრუპერს ეძინა,

არაფრის არ ეშინოდა—ყველაფერი ეს მისია, ვერავინ წაართმევს. კეტი კი იწვა და ფიქრობდა იმ საშინელებაზე, რომელიც საცა იყო თავს უნდა დასტყდომოდა მათ. წუთები და საათები ერთმანეთს მისდევდნენ, და უცებ მას რაღაც მოესმა.

კეტიმ ტრუპერი გააღვიძა „გესმის?!"

— რა იყო?

ტრუპერმა ყური მიუგდო და ფლოქვების ჩქარი და თანაბარი თქარა-თქური გაიგონა. იგი ადგა ლოგინიდან, შარვალი ჩაიცვა, ოთახში შემოჭრილ მთვარის შუქზე თავისი სპენსერი მოძებნა და ფეხშიშველა წავიდა კარისაკენ.

— სად მიდიხარ?—ჩურჩულით ჰკითხა კეტიმ.

— გარეთ გავალ, შენ აქ დარჩი!

იგი გარეთ გავიდა და ხელში ჩაბღუჯული შაშხანით თავისი პატარა სახლის წინ დადგა, მერე გაახსენდა, რომ ვაზნები არ ჰქონდა თან; უკან დაბრუნდა და ჯიბე ვაზნებით აივსო. ლოგინში ბავშვები შეიშმუშნენ; ტრუპერი დაიხარა, ხელი მოუთათუნა მათ და დაამშვიდა. კეტი ჩუმად იყო და თვალს არ აშორებდა ქმარს. ტრუპერი კვლავ გარეთ გავიდა. იგი მთვარის შუქში იდგა, იდგა სმენად ქცეული, წელზემოთ შიშველი გოლიათი და ყოველ მცირე მოძრაობაზე მძლავრი დაბურცული კუნთები ტალღებივით დაგორავდნენ მის ტანზე.

თქარა-თქური შეწყდა, შემდეგ კვლავ მოისმა—იმ მიმართულებით, სადაც გიდიონის ფერმა იყო, და თანდათან მინელდა, რადგან გზა ფიჭვნარზე გადიოდა. მთვარის შუქში გახვეული გზა ხრამის პირს მიჰყვებოდა, და ტრუპერმა ამ გზაზე დაინახა მხედართა რაზმი, რომელშიაც ოცდაათი კაცი მაინც იქნებოდა; ისინი ჯგუფად მიდიოდნენ თეთრი წამოსასხამებით და თავზე კლენის წოწოლა ჩაჩებით. ტრუპერმა ღრმად შეისუნთქა ჰაერი, ჩუმად შეიგინა, მაგრამ არ განძრეულა. შემდეგ გზა კვლავ ეფარებოდა თვალს და ცხენების თქარა-თქურიც შეწყდა—ალბათ ჰანიბალ უოშინგტონის სახლთან შეჩერდნენ. ისინი უკვე იმდენად ახლოს იყვნენ, რომ მათი ლაპარაკის ბუნდოვანი ხმა ტრუპერის სმენამდე აღწევდა. თქარა-თქური ისევ განახლდა. გზაზე შემდეგი უკვე ტრუპერის სახლი იყო. ტრუპერს მთელი სხეული დაჭიმული ჰქონდა და მკერდი ოდნავ ებერებოდა.

ერთი წუთის შემდეგ ტრუპერმა ისინი ხის ჩრდილებით აფო-

როჯებულ გზაზე დაინახა. მისმა მშვენიერმა სეტერმა ყეფა დაიწყო და ცხენების გუნდს გახელებით და უაზრო თავგანწირვით შეუტია. მხედრებს ფრთხილი, ნელი ნაბიჯით მოჰყავდათ ცხენები და ტრუპერის დანახვისთანავე შეჩერდნენ. მათ თვალწინ იდგა უცნაური, შავად მბზინავი ბოძი, რომელიც ნაკლებად ჰგავდა ადამიანს. მათ შეამჩნიეს მის ხელში მკერდის გასწვრივ შემართული თოფი. ისინი კარგა ხანს იდგნენ და მერე კიდევ უფრო ნელი ნაბიჯით გასწიეს წინ.

— რა გინდათ?—იკითხა ტრუპერმა და მისმა ხმამ სიძულვილითა და რისხვით დაიგუგუნა. კარის ზღურბლზე კეტი გამოჩნდა; ჩაჩიანი მხედრების დანახვაზე მას ისტერიული ქვითინი აუვარდა.

მოწინავე მხედარმა დაიძახა: „ჩვენ გვინდა ჰანიბალ უოშინგტონი, ენდრიუ შერმანი და შენ“.

— აი, მე აქა ვარ,—მიუგო ტრუპერმა.

— თოფი ძირს დასდე!

— აი, მე აქა ვარ,—გაიმეორა ტრუპერმა და მისმა ხმაჰ ახლა კიდევ უფრო მეტი სიძულვილით დაიგუგუნა, თითქოს უზარმაზარ დაფს შემოჰკრესო. „ჩემს მიწაზე დგეხართ! ღმერთმა დაგწყევლოთ, გაეთრიეთ აქედან, თქვე ძაღლის ნაშობნო!“

პატრონის ხმით წაქეზებულმა სეტერმა უფრო მეტი გახელებით დაიწყო ყეფა და ერთ-ერთ ცხენს ეძგერა. ცხენი ყალყზე შედგა. ვიღაცამ დაიძახა: „ჩააჩუმეთ ეგ სამგლე!“ უმალვე რევოლვერმა დაიჭახუნა. ძაღლი ჰაერში გადატრიალდა, მიწაზე დაეცა და კრუნჩხვა დაიწყო. ტრუპერს რისხვისაგან სახე მოეღრიცა; მან თოფი მოიმარჯვა და გაისროლა. ერთი ჩაჩიანი მხედარი უნაგირზე ჩაიკეცა, შეტორტმანდა და, ცალი ფეხით უზანგზე ჩამოკიდებული, გვერდზე გადაყირავდა. ცხენები შეჩქვიფდნენ და ტორების ცემა იწყეს. რამდენიმე თოფი გავარდა ერთბაშად. ტყვიები ჩაქუჩებივით მოხვდა ტრუპერის ტანს, მაგრამ მან მაინც წინ გადადგა ნაბიჯი. განიერ მკერდზე სისხლის ნაკადულებმა გამოჩქეფა. კეტი შეშლილივით კიოდა. ვიღაცამ დაიღრიალა: „ჩააძაღლეთ ეგ პირუტყვი, ეგა!“

კვლავ გავარდა თოფი და ტრუპერი შეტორტმანდა. მის გარშემო ცხენები ტრიალებდნენ. ტრუპერმა თოფი მოიქნია; თავდასაცავად აწეულმა კლენელის ხელმა ხმელი ტოტივით დაიტკა-

ცუნა. ტრუპერმა თოფი კვლავ მოიქნია და კონდახი მხედრის ლავიწზე ნაფოტებად იქცა, ხოლო გატეხილი ძვლის ნამსხვრევები მის მკერდში ღრმად ჩაერჭო. მხედრები ახლა ვეღარ ესროდნენ ტრუპერს, რადგან საშიში იყო, თავისიანები არ დაეშავებინათ. ტრუპერმა ყალყზე შემდგარი ცხენიდან კიდევ ერთი ჩამოათრია და ისე შეანჯღრია შიშისაგან აკანკალებული არამზადა, თითქოს ძაღლი ვირთხას აბურთავებსო. ვიღაც ცხენიდან ჩამოხტა, თოფის ლულა ტრუპერის ზურგს მიაბჯინა და გაისროლა. ვეებერთელა სხეული ჯერ გახევდა და მერე ცარიელი ტომარივით ჩაიკეცა. კაცი, რომელიც მან ცხენიდან ჩამოათრია, მიწაზე ეგდო და კვნესოდა; ხელმოტეხილმა, ლავიწდამსხვრეულმა მხედარმა ანაზდად არაადამიანური, მხეცური ღრიალი მორთო. დანარჩენები ტრუპერის უსიცოცხლო სხეულს ისევ და ისევ ახლიდნენ ტყვიებს. კლენელები ცხენებიდან ჩამოხტნენ, სახლიდან კეტი გამოვარდა და ცდილობდა ქმართან მისულიყო, მაგრამ მას ხელი სტაცეს, თხელი ღამის პერანგი შემოახიეს, მიწაზე დასცეს და ლამობდნენ ფეხები გაეშალათ. კეტი როგორღაც ხელიდან დაუსხლტა მათ და მაშინ ერთმა ჩაჩიანმა, ვნებამორეული რომ ფშლუკუნებდა, ქალს თავში თოფის კონდახი ჩაარტყა. თავის ქალა გასკდა, მკვდარი კეტი მიწაზე გაიშხლართა უაზროდ გაშლილი ხელ-ფეხით. ვიღაცამ დაიღრიალა:

— უჰ, შე რეგვენო, მამაძაღლო!

ისინი იდგნენ და დასცქეროდნენ უსულო შიშველ სხეულს, რომელიც ასე ერთბაშად საესებით უვარგისი გახდა.

კლენელები ლავიწდამსხვრეულს თავზე დაადგნენ, იგი კვდებოდა; ის კი, რომელსაც ტრუპერმა თოფი ესროლა, უკვე მკვდარი იყო. ახლა ისინი იდგნენ და დასცქეროდნენ მომაკვდავს, ხედავდნენ, როგორ მოდიოდა სისხლის სქელი ნაკადული გაგლეჯილ ვენიდან. მერე სახლისკენ მიბრუნდნენ. ირგვლივ უცხაური სიწყნარე იყო. ერთი მათგანი ბოსლისკენ გაემართა, ფიწლით თივა მოიტანა და სახლის ღია კარში შეჰყარა. მეორემ ასანთი გაჰკრა. მათ კიდევ რამდენჯერმე შეუკეთეს ცეცხლს თივა, სანამ სახლის წინა მხარე ალმა არ დაფარა.

მაშინ სახლიდან ბავშვების წივილი მოისმა. შიშმა, რომელმაც ისინი შებოჭა და აქამდე ენა ჩაუგდო, ახლა შემზარავი კივილით გადმოხეთქა; ეს იმათი კივილი იყო, ვისაც შიში იპყრობს,

მაგრამ შიშის მიზეზის შეგნება არ აქვს. კლენელები გახეევებულნი იდგნენ.

— სახლში ბავშვები არიან.—თქვა ვიღაცამ.

— ჯანაბამდისაც გზა ჰქონიათ, ისედაც ბევრი არიან წყეული ზანგის ჭონტლები,—ჩაილაპარაკა მეორემ.

— სად ჯანაბაში გადაიკარგნენ ეს შავი პირუტყვები?

— სად და მე გეტყვით,—ზემოთ, კარუელების ძველ სახლში. პირველმა თქვა:

— ჰარი, ქალაქში დაბრუნდი და ბენტლის ჰკითხე—კალჰუნის ოლქის რაზმი სად ეშმაკებში არის-თქო? ბენტლი აქ ორასი კაცის გამოგზავნას დაგვპირდა ამაღამ. სად ჯანაბაში არიან აქამდე?—შემდეგ, თითქოს სხვათა შორის, დასძინა: „უთხარი, მეტი კლარკი და ჰეპ ლოსოხი მოკლეს-თქო.

მერე კვლავ ალმოდებული სახლისკენ მიბრუნდა და ცქერა დაუწყო.

თოფის სროლის ხმამ ყველა გააღვიძა დიდ დარბაზში. მამაკაცები ფანჯრებთან შეჯგუფდნენ და მთვარის შუქით გაკაშკაშებულ ფერდობს დააცქერდნენ, საიდანაც თითქოს კიდევ და კიდევ მოისმოდა სროლის გამოძახილი. მერე თოფით ხელში გაინიერ აივანზე გაცვივდნენ და გაფაციცებით აკვირდებოდნენ მთვარიანი ღამის ნაზ ბურუსს. ზემო სართულიდან ქალების ხმა მოისმა: „რა ამბავია? რა ამბავია?..“ ბავშვებმაც გაიღვიძეს და აღელვებულნი ჩურჩულებდნენ.

რამდენიმე კაცმა სახლს შემოუარა, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინა.

გიდიონმა უმალვე მარკუსზე გაიფიქრა. მაგრამ ახლა უკვე დილის სამი საათი იყო და მან იცოდა, რომ მარკუსი უკვე შორს იქნებოდა კარუელიდან. აივანზე მდგომი გიდიონი ებნერ ლეიტს მიუბრუნდა:

— როგორ გგონია, საიდან მოისმა სროლის ხმა?

— თითქოს დაბლა ველიდან იყო, სადაც ტრუპერის კარ-მიდამოა.— ახლა ყველას ტრუპერი მოაგონდა და მამაკაცებმა ერთმანეთს გადახედეს.

— იესო მაცხოვარო,—წყნარად ჩაილაპარაკა ფრენკ კარსონმა.—აგერ იქ, შეხედეთ!—წამოიძახა ჰანიბალ უოშინგტონმა და ხელი გაიშვირა.

სადღაც ბნელში წითლად ინათა; სიწითლე თანდათან მატულობდა. ჯერ ეგონათ თავლა ან ბოსელი იწვისო, მაგრამ მერე ცეცხლის ენები კიდევ მეტად აბრიალდნენ და ისინიც მიხვდნენ, რომ რაღაც გაცილებით უფრო დიდი იწვოდა, ვიდრე თავლა. დაფიონი ცას სწვდებოდა; დაბოლოს ვიღაცამ გასაგონად წარმოსთქვა ის, რაც უკვე ფიქრად ჰქონდა ყველას.

— ტრუპერის სახლი!

— მისი ორი ბავშვი!..

ყველანი სწრაფად დაეშვნენ აივნიდან, მაგრამ ისინი გიდიონის ხმამ შეაჩერა: „შესდექით! გონს მოდით! ღვთის გულისათვის გონს მოდით! ჰანიბალ, შეგიძლია შეუმჩნეველად მიიპარო იქ და გაიგო, რა მოხდა?“

ჰანიბალ უოშინგტონმა თავი დაუქნია და მყისვე ადგილს მოსწყდა. მისმა პატარა მარდმა სხეულმა აჩრდილივით გაიელვა მთვარიან ღამეში და გაუჩინარდა. ჰანიბალის წასვლის შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა; ზოგი გიდიონს შესცქეროდა.

— ამიერიდან ერთად უნდა ვიყოთ,—თქვა გიდიონმა.—თქვენ გინდოდათ, რომ მეთაურად მე ვყოფილიყავი; მაშ ჩემს ბრძანებებს დაემორჩილეთ, ან არა და სხვა ვინმე აირჩიეთ მეთაურად.

— კარგი, გიდიონ.—წყნარად თქვა ებნერ ლეიტმა.

— ჯეიმს, ენდრიუ, ეზრა! წადით და სამი მხრიდან უდარაჯეთ სახლს; ასე ოცდაათი იარდის მოშორებით დადექით სახლიდან და, თუ რამეს მოჰკრათ ყური, ან რაიმე შენიშნოთ, მაშინვე დაგვიძახეთ.

ხალხს სამი კაცი გამოეყო და წავიდა. აივანზე რამდენიმე ქალი გამოვიდა; მათ თავიანთ ქმრებს ჩურჩული დაუწყეს. ქალები უკანვე გაგზავნეს—წადით, ბავშვები დააძინეთო. მაგრამ ამ ღამით ყველას დაუფრთხა ძილი კარუელში. დრო გადიოდა; ყველაფერი წყნარად იყო, მამაკაცები ჯგუფ-ჯგუფად დანაწილდნენ და შექმნილ მდგომარეობაზე მსჯელობდნენ ჩურჩულით. ზოგიერთი კიბის ფართო საფეხურებზე ჩამოჯდა, ზოგნი დორიულ სვეტებს მიეყრდნენ, რომლებიც ამ ღამეში მთელი სიდიადით გამწკრივებულნი მოჩანდნენ. ყველა იმ ფერდობს მისჩერებოდა, სადაც ერთი

საათის წინათ ჰანიბალ უოშინგტონი გაუჩინარდა, ბოლოს მათ შენიშნეს, რომ ფერდობზე ვიღაც მოცოცავდა.

— ჰანიბალ?

იგი აქოშინებული მოვიდა. ცვრისაგან თავით-ფეხებამდე სველი. ცოტა ხანს, სანამ სულს ამოითქვამდა, მან ლაპარაკი ვერ შესძლო. შემდეგ ყველაფერი უამბო მათ, რაც ნახა.

— ბავშვები სად არიან?

მან თავი გაიქნია. „ალბათ დაიწვნენ“, თქვა და დასძინა: „რამდენადაც შემეძლო, ახლოს მივცოცდი; მოკლულები ძალიან კარგად დავინახე. იმათი ლაპარაკიც გავიგონე“.

— რა გაიგონე?—ყრუდ ჰკითხა გიდიონმა.

— ორასამდე კაცს უცდიან კალჰონის ოლქიდან. კლენის მეორე განყოფილებაც დაჰპირებია ხალხის გამოგზავნას სამხრეთიდან, უთუოდ ჯორჯიადან. მათ იციან, რომ ჩვენ აქა ვართ, ამ სახლში.

აივანზე მდგომ ერთ ჩვიდმეტი წლის ბიჭს უცებ გული აერია; იგი აივნის მოაჯირზე გადაეყუდა, პირისღებინების მწვავე კონვულსიებით შეპყრობილი. დაფიონი უკვე ქრებოდა, მაგრამ რამდენიმე მათგანი ახლა მეორე მიმართულებით აკვირდებოდა ღამის სიბნელეს. იქ, ბნელი ხეების ზემოთ, წითელი ფერის ახალი წერტილი გამოჩნდა; ამ წერტილის ზრდასთან ერთად მამაკაცები ზედიზედ მობრუნდნენ და ებნერ ლეიტს დაუწყეს ცქერა. იგი კიბეზე იდგა, დიდი წითელი მუშტები მოეკუმშა და ქვედა ტუჩისათვის კბილები ისე დაეჭირებინა, რომ ნიკაპზე სისხლი კამკამით ჩამოსდიოდა. უცებ მან ტირილი დაიწყო, თუმცა მის გრძელ, მზისაგან გარუჯულ სახეზე ერთი კუნთიც არ შერხეულა; ცრემლები ღაპაღუპით მოგორავდნენ გამხდარ ღაწვებზე. მან ჩურჩულით წარმოსთქვა:

— არამზადები – ყველაფერი, რაც გამაჩნდა, ყველაფერი, რაზედაც ვოცნებობდი... ღმერთმა შეაჩვენოს ის არამზადები, ღმერთმა შეაჩვენოს ისინი!.. ადამიანი მუშაობს, აშენებს. მომავალზე ფიქრობს, ოცნებობს... ღმერთმა შეაჩვენოს ისინი...

— გიდიონ, რატომ არ გინდა, რომ შევაჩეროთ, სანამ ყველაფერს გადაბუგავდნენ?—იკითხა ჰანიბალ უოშინგტონმა.

— სწორედ ამიტომ გვიწვავენ სახლებს,—თავის ჩაქნევით უპასუხა გიდიონმა.—მათ უნდათ აქედან გარეთ გაგვიტყუონ.

— იქ უხდა წავიდე,— თქვა ებნერ ლეიტმა.

— არა, ვერსადაც ვერ წახვალ, ჩვენ ნება მივეცით ტრუპერს დარჩენილიყო და ახლა მკვდარი წევს იქა და ცოლიც გვერდით უწევს.

— უნდა წავიდე, გიდიონ!

— არა, ვერ წახვალ!— გიდიონის ხმა ცივი და უდრეკი იყო.

და ამ დროს რაღაც მოხდა. ეზრა გოლდენის ყვირილი გაისმა. მათ სმენას უკვე სწვდებოდა ფლოქვების ყრუ თქარა-თქური. ცხენები ბლომად უნდა ყოფილიყვნენ და ალბათ ნაბიჯით მოდიოდნენ; მალე მთვარის ბურუსში ჩაჩიანი აჩრდილები გამოჩნდნენ. ასე ასორმოცდაათი იარდის მანძილზე თეთრმოსასხამიანი ცხენოსნების რაზმი შეჩერდა. ახლა ისინი ოცზე მეტი იყვნენ, გაცილებით უფრო მეტი.

— ჰეი, თქვენ!

— რა გნებავთ?— გასძახა გიდიონმა.— ვინა ხართ?— მისი სიტყვები გუგუნით გაიბნენ ღამის სივრცეში და მერე მისწყდნენ.

— რას მიჰქარავ, ჯეკსონ! ძალიან კარგადაც იცი, ვინცა ვართ. ჩვენ ის სამი ზანგი გვინდა.

— პასუხის გაცემა ზედმეტია,— თქვა გიდიონმა.

— მათ წასაყვანად მოვედით, ჯეკსონ! უნდა ჩაგვაბაროთ, თორემ ერთ ქოხსაც არ დავტოვებთ დაუწვავს!

გიდიონმა მკვეთრი ბრძანება გასცა: „გაიშალენით სახლის ირგვლივ! ბალახებში ჩაწექით! არ ისროლოთ, სანამ ორმოცდაათი იარდის მანძილზე არ მოვლენ!“ მამაკაცთა უმეტესობა გაიფანტა და ბუჩქნარსა და შარშანდელ გამხმარ ბალახებში მიიმალა. აივანზე დარჩენილნი იატაკზე გაწვნენ. გიდიონი, ებნერი და ძმა პიტერი ერთ-ერთ სვეტს ამოეფარნენ. გიდიონმა ებნერს გადახედა; ებნერი სასროლად იმარჯვებდა თავის გრძელ შაშხანას— ძველ, მაგრამ შარპის კაპსულიან ადვილსამიზნო თოფს. იგი უძრავად იდგა გაქვავებული; ცრემლები კი ისევ მოგორავდნენ მის ღაწვებზე. „ღმერთო მოგვიტევე“, წაიჩურჩულა ძმა პიტერმა, „ღმერთო მოგვიტევე!“ გიდიონმა თავის სპენსერი შემართა და დაუმიზნა. რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც იგი ადამიანს იღებდა ნიშანში? ქვეყნად მკვლელობაზე უფრო უგუნური და სულელური არაფერი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მხოლოდ ამას შეეძლო გადაეწყვიტა, ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი. თეთრი მწკრივი

წინ წამოვიდა, ჯერ ჩქარი ჩორთით, შემდეგ კი უფრო ნელი ნაბიჯით. ასი იარდის მანძილზე ებნერ ლეიტის გრძელმა შაშხანამ იელვა და ერთმა მხედარმა ცხენიდან ძირს ზღართანი მოადინა. თეთრმოსასხმიანებმა სროლა ასტეხეს. სამოცდათხუთმეტი იარდის მანძილზე, მიუხედავად გიდიონის მიერ მიცემული გაფრთხილებისა, აქა-იქ სახლის გარშემო საპასუხო სროლის ხმა გაისმა. ცხენიდან კიდევ ერთი ჩამოვარდა, მეორემ სიმწარით დაიყვირა. თეთრი მწკრივი შეჩერდა, მხედრებმა ცხენები მიაბრუნეს, გაქუსლეს და მთვარის შუქის ბინდბუნდში გაუჩინარდნენ.

მამაკაცები აივნიდან ნელა ჩამოვიდნენ. ორი ჩაჩიანი ბალახში იწვა; ორმა კარუელელმა ჩაჩები გადახადა მათ. ორივე მკვდარი იყო. ორივე უცხო,—კარუელელებიდან თვალითაც არავის ენახა ისინი აქამდე.

ამ პირველ შეტაკებაში არც ერთი კარუელელი არ დაშავებულა, მაგრამ ის მცირე ხალისიც კი, რომელიც მათ ამის გამო იგრძნეს, მყისვე გაჰქრა, როცა ცაში ხანძრის ახალი დაფიონები აპრიალდა. სახლები და ბეღლები ზედიზედ მოგიზგიზე კოცონებად გადაიქცნენ. ყოველი კოცონი კარუელელებს ერთი მათგანის განადგურებას ამცნობდა, მეორის სასოწარკვეთილებას, მესამის ტანჯვას. ქალები და ბავშვები ერთად შეეკუჩდნენ და კოცონებს გაჰყურებდნენ. მზე ამოვიდა, სახლები კი ისევ იწვოდა და ნაცრისფერი კვამლის გრგვილები ზეცას წვდებოდა.

ქალებმა საუზმე მოამზადეს; ხალხმა ჭამა, მაგრამ სუფრასთან ყველანი ჩუმად ისხდნენ და სიცილიც არ ისმოდა. გიდიონს მხოლოდ ის აზრი ანუგეშებდა, რომ მარკუსს ახლა უკვე გაგზავნილი ექნებოდა დეპეშები.

მარკუსმა ცხენი ნაბიჯით ჩაიყვანა ფერდობზე და მერე მოკლე გზას დაადგა, რომელიც კარუელის საძოვრებზე გადიოდა, სადაც ძველად საუკეთესო ჯიშის საჯირითო ცხენებს აბალახებდნენ. ამგვარად, მარკუსმა სრულიად აუარა გვერდი ახალ გზასაც და ჭაობზე გაყვანილ ჯებირსაც და პირდაპირ გზატკეცილზე გავიდა. ჰატარა ფაშატი მწყობრი და თანაბარი ჩორთით ჰკეცავდა მანძილს; მას შეეძლო მთელი საათობით ასე ეევლო. მთვარე ანა-

თებდა ცარიელ შარას. ასეთ ღამეში, როცა სახეს გრილი სიო ელამუნება, თუნდაც ჯოჯოხეთს მოივლის მხედარი. კარუელიდან დაახლოებით რვა მილის მანძილზე, როცა მარკუსმა სადავეს მოსწია, რომ ცხენს ცოტა შეესვენებინა, მან გაიგონა მრავალი ცხენის აჩქარებული ფეხის ხმა. მარკუსი ჩამოქვეითდა, ფაშატი გზიდან მომცრო ფიჭვნარში გადაიყვანა, თანაც ალერსიანად ეჩურჩულებოდა პირუტყვს და ფაფუკ დრუნჩზე ხელს უსვამდა. მალე გზაზე მხედრების რაზმი გამოჩნდა; ოცი კაცი იქნებოდა, კლენის თეთრი ჩაჩებით თავშებურვილი. მარკუსი დაელოდა, სანამ ისინი თვალს არ მიეფარნენ და მათი ფეხის ხმაც არ მიწყდა; შემდეგ იგი კვლავ ცხენს მოახტა და გზა განაგრძო.

ამ ღამის მხედრობამ პირველად ძალზე შეაშფოთა მარკუსი. ისინი, ცხადი იყო, კარუელისაკენ მიდიოდნენ. მარკუსმა გაიფიქრა: იქნებ საჭიროა უკან დავბრუნდე, ცხენი დაუზოგავად ვაჭენო და ჩვენები გავაფრთხილოო. მაგრამ მიხვდა, რომ ოცი კაცი დიდ სახლს ვერაფერს დააკლებდა, რომ მამამისი ფხიზლად მომზადებული დახვდებოდა მათ; ხოლო თვითონ უკან დაბრუნებისას, ადვილი შესაძლებელი იყო, კლენელებს ჩავარდნოდა ხელში და მოეკლათ. ასეთ ფიქრებში გართულმა, მან ცხენს დეზი ჰკრა და უნაგირიდან წინ გადაიხარა. ცხენის ფეხმალი რონინი და ქარის ზუზუნი რულს ჰგვრიდა მარკუსს. შარაგზა მიჰქროდა ფეხქვეშ, დრო შეუმჩნეველად გადიოდა. თავისი მისიით გამოწვეულმა სიამოვნებამ მალე გადაავიწყა ჭაბუკს კარუელის მდგომარეობა და იგი საალერსო სიტყვებს უდარდელად ეჩურჩულებოდა ფაშატს: „ჩემო ლამაზო, ჩემო პატარა ტურფავ, გული ისე გიცემს, თითქოს ზარბაზანი ჰქუხსო, გული ისეთი დიდი გაქვს, თითქოს ამომავალი მზეაო...“

გარიჟრაჟზე, როცა ღამის ცას ნაცრისფერი წამოეპარა, მარკუსმა სადავეს მოსწია და ცხენი ნაბიჯზე გადაიყვანა. ცოტა ხნის შემდეგ გზიდან პატარა მდელოზე გადაუხვია. ფაშატი მძიმედ ქშინავდა; დასვენება ორივეს ესაჭიროებოდა. მარკუსიც ძლიერ დაიღალა. მან სადავე მაჯაზე დაიხვია და წამოწვა—ერთი წუთით მხოლოდ, სული რომ მოეთქვა. აქ რა დააძინებდა, ამ ხრიოკ, თანაც ნოტიო მიწაზე. მარკუსმა თვალები დახუჭა და, თითქოს ერთ წუთსაც არ გაევლო, რომ სადავის ქაჩვამ გამოაღვიძა. თაკარა მზე უკვე კარგა მაღლა ასულიყო. მარკუსი წამოიწია თუ არა, ცხენი ახლოს მოვიდა მასთან და საალერსოდ თავი დახარა.

მარკუსმა საათს დახედა; უკვე მეცხრე იყო დაწყებული, მაშასადამე მთელი ერთი საათი სძინებია. იგი ცხენზე შეჯდა და გზას გაუდგა; თითქმის ათი საათი იყო, როცა მარკუსი კოლამბიაში შევიდა.

ხალხი ცნობისმოყვარე მზერას ადევნებდა გარეუბნის ქუჩებში ცხენით მიმავალ მარკუსს. რაღაც განსაკუთრებული განწყობილება, თითქოს საფრთხის მომასწავებელი, იგრძნობოდა ქალაქში. იგი პირდაპირ „უესტერნ იუნიონის“ განყოფილებას მიადგა, ცხენი ღობეზე გამოაბა ქუჩაში და თვითონ შიგ შევიდა. მცირე ძილს იგი მაინცდამაინც ვერ გამოეცოცხლებინა; მარკუსი ძლიერ დაღლილი იყო; მას უნდოდა მალე მოეთავებინა საქმე. ქალაქიდან გასულიყო, სადმე ფიქვის ტევრში ჩრდილი მოეძებნა და ძილისთვის მიეცა თავი. ძიძიბებიანი ბიჭი იქ არ იყო; მაგიდასთან იჯდა ‹ მხოლოდ მოღუშული, შავგვრემანი, ორმოცი წლის ტელეგრაფისტი. იგი ერთი წუთით უსიტყვოდ შეაშტერდა მარკუსს, მერე ადგა და მოაჯირთან მოვიდა.

— რა გინდა ბიჭო?

მარკუსმა მას დეპეშები წინ დაუწყო.

— აი, გაგზავნეთ, გეთაყვა.

ტელეგრაფისტმა თვალი გადაავლო ქაღალდებს და თქვა: „ამას ბევრი ფული დასჭირდება“.

მარკუსმა ხუთი ათდოლარიანი ქაღალდის ფული ამოიღო და დახლზე დასდო. „სად ჯანაბაში გიშოვნია ზანგო ამდენი ფული?!“

მარკუსს მოაგონდა გიდიონის სიტყვები: დეპეშები უნდა გაგზავნო, შენი იმედი მაქვსო და მარკუსმა რაც შეიძლებოდა შემპარავი და მლიქვნელური კილოთი უთხრა: „ეს დეპუტატ ჯეკსონის დავალება გახლავთ. ფულიც მან მომცა“.

— მართლა?

— გთხოვთ, მისტერ, გეუბნებით, რომ მან მომცა,—თქვა მარკუსმა.

ტელეგრაფისტი დეპეშების კითხვას შეუდგა. მერე გამომცდელი თვალით დააკვირდა მარკუსს, მის დამტვერიანებულ, ტალახის შხეფებით დასვრილ ტანსაცმელს და შემდეგ ცხენს გახედა გარეთ. მარკუსმა ხელი კურტაკის ჯიბეში ჩაიყო და თითები კოლტის ტარს შემოაჭდო. ტელეგრაფისტმა წაიკითხა კიდევ ერთი-ორი დეპეშა. მერე ყველას ერთად ხელი დაავლო და თქვა:

— კარგი, ბიჭო, გავგზავნი,— და ხელით ფულს მისწვდა.

— ახლავე გადაეცით, სანამ მე აქა ვარ. — უთხრა მას მარკუსმა.

ტელეგრაფისტის ხმაში სიბრაზე გამოკრთოდა:

— შენ ეი, ამდენი დეპეშის გადაცემას დრო უნდა, ძალიან დიდი დრო. ზანგისაგან ჭკუის სწავლება არ მჭირდება, ჩემი საქმე მე თვითონ ვიცი. აქედან მოუსვი, დეპეშების გაგზავნასთან შენ არაფერი გესაქმება.

— მე ფული გადავიხადე. ახლავე გადაეცით,— უთხრა მარკუსმა.

— აქედან გაეთრიე!

მარკუსმა კოლტი იძრო და დახლზე დააყრდნო; ლულა ტელეგრაფისტის მუცელს რამდენიმე დუიმით იყო დაცილებული. თავისი სხეულით იგი ისე ჩამოეფარა რევოლვერს, რომ ქუჩაზე გამვლელს ან ოთახში შემოსულს ვერ დაენახა იგი. თითი ჩახმახზე ჰქონდა მოდებული.

— ახლავე გადაეცით, დაჯექით აპარატთან და დაიწყეთ გადაცემა! — თქვა მარკუსმა.

ტელეგრაფისტი ოდნავ გაფითრდა, ქვედა ტუჩი აუცახცახდა, მან ბორძიკით დაიწყო: „ბიჭო, ასეთ რამეს...“

— დაიწყეთ გადაცემა, — გააწყვეტინა მარკუსმა, — გირჩევნიათ დავიდარაბა არ ატეხოთ, რასაც გადასცემთ, მე მეცოდინება.

ტელეგრაფისტი მაგიდასთან მივიდა და სკამზე დაჯდა ისე, რომ მარკუსისათვის თვალი არ მოუშორებია. მან დეპეშები გაშალა და ხელი შეახო აპარატს. მერე აპარატმა ტაკა-ტუკი დაიწყო: „ყურადღება ცენტრალური ყურადღება ცენტრალური ლაპარაკობს კოლამბიის სადგური სამტერსტრიტი გაუწყებთ ზანგების თავდასხმას სადგურზე ტელეგრაფით აცნობეთ ვაგზალს შეატყობინეთ პოლიციას ყურადღება...“

ტელეგრაფისტი სიგნალს განუწყვეტლივ იმეორებდა. მან ისეთი სახე მიიღო, თითქოს პირველი დეპეშის გადაცემა დაამთავრა, ქაღალდი დაჭმუჭნა და კალათში ჩააგდო; მერე ვითომ მეორე დეპეშის გადაცემას შეუდგა. ოთახში ძიძიბებიანი ბიჭი შემოვიდა. მარკუსმა შეხედა მას და რევოლვერით ანიშნა: „აი იქ, კედელთან დადექ“. ბიჭი კედელთან დადგა პირდაღებული, შიშისაგან ენაჩავარდნილი... აპარატს ისევ ტაკა-ტუკი გაჰქონდა: „ყურადღე-

ბა ცენტრალური იძულებული ვარ განვაგრძო გადაცემა“... მან მესამე დეპეშაც დაამთავრა, დაჭმუჭნა და კალათში გადაისროლა. სადგურში კომერსანტის გარეგნობის ხანშიშესული კაცი შემოვიდა. მარკუსმა მასაც რევოლვერით ანიშნა და ისიც კედელთან დადგა ბიუის გვერდით. ტელეგრაფისტმა მეოთხე დეპეშაც ჩააგდო კალათში. აპარატი კვლავ ტიკტიკებდა. მალე მეხუთე და მეექვსე დეპეშაც კალათში აღმოჩნდა.

— გავათავე,—ხრინწიანად წაიბუტბუტა ტელეგრაფისტმა.

— ადგილიდან არ დაიძრათ!—უთხრა მათ მარკუსმა და უკან-უკან წავიდა გასასვლელისაკენ.—ფეხი არ მოიცვალოთ. არ გაინძრეთ!

იგი ზურგით გავიდა კარში, ქუჩაში. რევოლვერი ისევ ხელში ეჭირა. იგრიალა თოფმა და მარკუსმა მარცხენა მკლავში საშინელი ტკივილი იგრძნო. თითქოს გავარვარებული ჩაქუჩი დაჰკრესო. დამსხვრეული მკლავი უმწეოდ ჩამოეკიდა. ამ ტკივილის მაგვარი მარკუსს არაფერი განეცადა აქამდე. როგორც იყო იგი ფეხზე დარჩა, რევოლვერი კი ხელიდან გაუვარდა. ბარბაცით მივიდა თავის ფაშატთან, ახსნა იგი და შეეცადა უნაგირზე აფორთხებულიყო. ქუჩაში თოფებით შეიარაღებული ორი კაცი მორბოდა. ერთი მათგანი შედგა და თოფი მარკუსს დაუმიზნა. გახურებული შანთი ახლა ბარძაყში ეკვეთა მარკუსს. მოპირდაპირე შესახვევიდან კიდევ ოთხი შეიარაღებული კაცი გამოვარდა. ხალხი უკვე ყოველი მხრიდან მორბოდა.

მარკუსი უნაგირს ჩააფრინდა. როგორც იყო ერთი ფეხი აიტანა და შესძახა. „მოჰკურცხლე, ჭირიმე, მოჰკურცხლე“. მარკუსი უნაგირზე იყო გადაწოლილი. ცხენი ადგილს თავისი მწყობრი და მოსხლეტილი ჩორთით მოსწყდა. შაშხანებით შეიარაღებულნი შეჩერდნენ და ისე გულდასმით დაუწყეს სროლა მარკუსს, თითქოს სავარჯიშო სასროლ მოედანზე ყოფილიყვნენ. თოფები ზედიზედ სჭექდნენ და მარკუსის ტანს ტყვიები ფლეთდნენ. ერთი ტყვია ფაშატს მოხვდა; ცხენმა წაიფორხილა და დაეცა; მარკუსი მიწაზე გადაგორდა. ცხენმა გამწარებით დაიჭიხვინა, წამოხტა და წინ გაქანდა. შაშხანებით შეიარაღებულნი ნელი ნაბიჯით უახლოვდებოდნენ მარკუსს; ისინი ორი-სამი ნაბიჯის გადადგმისთანავე ჩერდებოდნენ, თოფებს სტენიდნენ და კვლავ ისროდნენ. ბოლოს მიხვდნენ, რომ ზანგი უკვე მკვდარი იყო. მაშინ ისინი

ახლოს მივიდნენ მასთან და ერთმა მათგანმა ფეხით გადმოაბრუნა ბიჭის გვამი.

* * *

დიდ სახლში პირველი საუზმის შემდეგ გიდიონმა განზე გაიხმო ბენჯამინ უინთროპი და უთხრა: „გინდათ კიდევ დარჩეთ? თქვენ იქნებ გაგიშვან“.

— მთელი ღამე ვფიქრობდი ამაზე,—უპასუხა უინთროპმა. იგი გაუპარსავი იყო და უსიცოცხლოდ გამოიყურებოდა.—დავრჩები თუ გნებავთ. მე მგონია, შემიძლია რითიმე მეც დაგეხმაროთ.

— გმადლობთ. ღმერთმა ჰქნას, სანანებლად არ დაგრჩეთ.

— მე ეს გულდასმით ავწონ-დავწონე,—თქვა უინთროპმა.— ვცდილობ არასოდეს არაფერი გავაკეთო ისეთი, რომ მერე სანანებლად დამრჩეს.

— კარგი იქნებოდა, ზემო სართულში რომ აიყვანდეთ ბავშვებს და რამე გაკეთილებს მოაწყობდეთ,—თქვა გიდიონმა.—ძმა პიტერი დაგეხმარებათ. ხომ იცით, რა ძნელია მათთვის მთელი დღე ამ გამოკეტილ კარებში ჯდომა. ასეთი ამბავი საშინელებაა ბავშვებისათვის. მათ არ ესმით, რაშია საქმე. ხომ არ შეგეძლოთ სრულიად მარტივად აგეხსნათ როგორმე მათთვის, თუ რატომ ვიმყოფებით ჩვენ აქ და რას ვაკეთებთ. ეს ძალიან კარგი იქნებოდა.

— ვეცდები.—მიუგო უინთროპმა.

— მხოლოდ ნუ შეაშინებთ, იმედი ჩაუნერგეთ გულში. ვფიქრობ, რომ ჩვენ უიმედობის საფუძველი არა გვაქვს.

უინთროპმა თავი დაუქნია და ძმა პიტერთან მოსალაპარაკებლად წავიდა. ამ დროს ქალებს თითქმის ყველას სასადილო ოთახში მოეყარათ თავი. გიდიონმა სიტყვით მიმართა მათ, მარტივად და გულახდილად აუხსნა მდგომარეობა.

— მოხდა მხოლოდ ის, რის თავიდან აცილებაც შეუძლებელი იყო,—თქვა მან.— ერთმანეთს მხარში უნდა ამოვუდგეთ. ტრუპერმა საკუთარი გზა აირჩია და თქვენ იცით, რა შედეგი მოჰყვა ამას. ჩვენი ერთადერთი იმედი ისაა, რომ ეს ამბავი ერთად გადავიტანოთ, ერთად ავაშენოთ ხელახლა ყველაფერი, ხელახლა შევქმნათ ისეთი მტკიცე და კარგი რამ, რაც ღირსი იქნება იმ საფასურისა, რომელსაც ჩვენ ახლა ვიხდით. მე მტკიცე იმედი მაქვს, რომ ჩვენ ამას მოვახერხებთ. აქ კარგ ადგილას ვართ. სურსათ-

სანოვაგის მარაგი ბლომად გვაქვს, წყალიც უხვადაა, წამლები არ გვაკლია, ექიმიც გვყავს. მისტერ უინთროპი თანახმაა ჩვენთან დარჩეს და ბავშვებს ასწავლოს. ჩემის აზრით ეს მეტად მნიშვნელოვანი საქმეა. მე ვფიქრობ, რომ სასკოლო მეცადინეობა გაგრძელდება; იგი უნდა გაგრძელდეს, რაც არ უნდა მოხდეს. კაცმა რომ თქვას, ჩვენ აქ, ამ დიდ სახლში მთელი თემი ვართ და მთავარი საკითხი ამჟამად ესაა—შევძლებთ თუ არა ჩვენ, ამდენი ოჯახი, ერთად ცხოვრებას, რამდენ ხანსაც არ უნდა გასტანოს ამ ამბავმა, და ყველა საჭირბოროტო საკითხის მოგვარებას. მე მგონია, შევძლებთ. წარსულში უფრო დიდი სიძნელეები შეგვხვედრია, ვიდრე ახლაა ჩვენს წინაშე, და ყველა ისინი ერთად გადაგვილახავს. აქ, ამ სახლში, ზანგები თეთრებს ერთი-ორად სჭარბობენ. ჩემის აზრით, ამან ხელი არ უნდა შეგვიშალოს. ჩვენ უკვე ვისწავლეთ ერთმანეთის პატივისცემა. ყველაფერი, რაც გავაკეთეთ,—მხოლოდ იმ შეგნების წყალობით, რომ რაკი ამ ჩვენს შტატში შავი და თეთრი ერთაც ცხოვრობს, ჩვენც ერთად უნდა გვემუშავნა, ერად უნდა გვეშენებინა. ჩვენი მტრები ამ ფაქტს უარყოფენ. მათ ჩვენ სახლები დაგვიწვეს იმის დასამტკიცებლად, რომ უფლებას და სამართალს ისინი ანსახიერებენ. ჩვენ ჩვენი სიმართლის დასამტკიცებლად სხვა საშუალებები. მოგვეპოვება. ჩვენ არ გვწამს ტერორი, მკვლელობა, ნგრევა. ჩვენ იარაღს მოვკიდეთ ხელი მხოლოდ იმისათვის, რომ დავიცვათ საკუთარი სიცოცხლე და საკუთარი მიწაწყალი; ჩვენ მთელს ამერიკას დავუმტკიცეთ, რომ კანონის მორჩილი, დისციპლინიანი და თავისუფლებისმოყვარე ხალხი ვართ.

გუშინ ჩვენი განზრახვა იყო მიწაზე მუშაობა არ შეგვეწყვიტა, მაგრამ ჯერჯერობით ეს შეუძლებელია. სახლიდან არავინ არ უნდა გავიდეს განსაკუთრებული ნებართვის გარეშე. მამაკაცებს თავისი საქმე ექნებათ, გარდა იმაზე ზრუნვისა, რომ ცისტერნი ყოველთვის წყლით იყოს სავსე, პირუტყვს მოვლა არ მოაკლდეს და შეშაც საკმარისად იყოს, კაცებს ევალებათ სახლის დაცვა. სახლის გამგებლობა კი თქვენ, ქალებს გეკისრებათ. საჭმელი თქვენ უნდა გაანაწილოთ და ამაში პასუხიც თქვენ მოგეთხოვებათ. ავადმყოფებსა და დაჭრილებს უნდა მოუაროთ, თუ დაჭრილები გვეყოლა. თქვენვე უნდა გააკეთოთ მრავალი სხვა საქმეც, რაც სახლის მეურნეობას შეადგენს. დასასრულ, ძალიან გთხოვთ, სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით. შესაძლებელია მოგვეჩვენოს, რომ ჩვენ აქ

მარტონი ვართ. ჩვენ მარტონი არა ვართ. ჩვენ წარმოვადგენთ ჩვენი ქვეყნის ნაწილს, იმ მრავალზე მრავალი კეთილი ადამიანების ნაწილს, რომლებიც ერთად ჩვენს ერს შეადგენენ. ისინი ჩვენ არ მიგვატოვებენ.

* * *

მთელი დღის განმავლობაში გიდიონი და სხვები თვალყურს ადევნებდნენ მინდვრის განაპირას მოფუსფუსე ადამიანთა პატარა ფიგურებს, რომლებიც ხან ტყეში იმალებოდნენ, ხან კვლავ ჩნდებოდნენ. ისინი თითქოს ყოველგვარი მიზნისა და წესრიგის გარეშე მოძრაობდნენ და სახლს კი სათოფეზედაც არ ეკარებოდნენ. რამდენიმეს ისევ თეთრი ხალათი ეცვა და თავზე ჩაჩი ეხურა, მაგრამ უმრავლესობას ეს სამოსელი უკვე გაეხადნა. წინა ღამის ნახულითა და იმის მიხედვით, რასაც ახლა კარუელელები ხედავდნენ, მათ გამოიანგარიშეს, რომ კარუელის კარ-მიდამოზე ორას ორმოცდაათი კლენელი მაინც იქნებოდა. დღეს, დილის თერთმეტ საათზე მათ კიდევ მოემატათ დაახლოებით ორმოცდაათი კაცი. ისინი სამხრეთიდან მოვიდნენ ცხენებით. ახალმოსულებიდან ბევრნი გარს უვლიდნენ გორაკს და ცნობისმოყვარეობით უთვალთვალებდნენ მის წვერზე აღმართულ სახლს.

კარუელელი მამაკაცები და მოზრდილი ბიჭები გიდიონმა ექვს ჯგუფად დაჰყო. თითოეულში რვა კაცი შედიოდა. ყოველ ჯგუფს თავისი უფროსი ჰყავდა და თითოეული ჯგუფი ოთხ საათს უნდა მდგარიყო საგუშაგოზე—ორ-ორი კაცი სახლის ყოველ მხარეზე. ყველას ერთად გიდიონი მეთაურობდა. თანაშემწეებად მას ებნერ ლეიტი—და ჰანიბალ უოშინგტონი ჰყავდა. ჯგუფების უფროსები ყველანი ყოფილი ჯარისკაცები იყვნენ. ლესლი კარსონს, რომელიც ომში მებუკე იყო და თავისი ძველი და დაჭყლეტილი სამხედრო ბუკი აქამდე შემოენახა, მოკლე საგანგაშო ნიშნის დაკვრა მიანდვეს. სახლის უკანა მხარეს, ფლიგელებს შუა, ბარიკადი ააგეს დაყირავებული ოთხთვალებისაგან; ვიწრო გასასვლელი დასტოვეს მხოლოდ პირუტყვის გამოსაყვანად.

შუადღე იქნებოდა, როცა აივანზე მდგომმა გიდიონმა და ენბერ ლეიტმა შენიშნეს, რომ გორაკის ფერდობზე ვიღაც კაცი ამოდიოდა. იგი ქვეითად იყო და ჯოხზე წამოცმული თეთრი ბალიშისპირი მოჰქონდა. სახლიდან დაახლოებით ას იარდზე იგი შედგა და დაიძახა:

— ჰეი, ვინა ხართ მანდ? ჯეკსონ, შეიძლება ამოვიდე?

— ეს ბენტლია,—თქვა ებნერ ლეიტმა.

გიდიონმა გადასძახა: „ამოდით!“

სახლიდან კაცების ჯგუფი გამოვიდა; კაცებს რამდენიმე ქალიც გამოჰყვა. ისინი აივნის ერთ მხარეზე შექუჩდნენ და მიღუშული, მაგრამ ცნობისმოყვარე სახეებით მიაშტერდნენ ბენტლის, თითქოს მკვლელობასა და ცეცხლის წაკიდებას რაღაც ახალი იერი მიეცა ამ კაცისთვის და მათ ახლა ამის გაგება უნდოდათ.

ბენტლი კიბეზე ამოვიდა და დაჯდა. ერთი ფეხი მოხარა და ცალი ხელი მუხლს შემოაჭდო. მის გამბედაობაში ვერავინ დაეჭვდებოდა: მის წინ ის ხალხი იდგა, ვისაც მან სახლები გადაუბუგა, ვისი მეზობლებიც მოჰკლა, მაგრამ იგი აქ მარტოდმარტო და უიარაღოდ მოვიდა. ბენტლიმ გიდიონს მიმართა:

— მოდი, დალაგებით, პირდაპირ და გასაგებად ვილაპარაკოთ. ომს ხომ არ დავიწყებთ, გიდიონ? აქ მხოლოდ იმისთვის მოვედი, რომ ორიოდე კაცი დამეპატიმრებინა და აბა ერთი შეხედეთ, რა ამბავი დატრიალდა.

— ვიცი, რაც დატრიალდა,—თქვა გიდიონმა.

— კარგი, მოდი ახლა ის სამი ზანგი ჩამაბარე.

— მერე?—შეეკითხა გიდიონი.

— მერე თავს დაგანებებთ,—მიუგო ბენტლიმ.

— და მერე ჩვენ სახლებში წავალთ, არა? თუ ნადირივით ტყეში ვიცხოვრებთ? თუ სულ ავიბარგოთ კარუელიდან?

— იცი რა, გიდიონ,—თამამად თქვა ბენტლიმ,—ტყუილუბრალოდ ლაპარაკობ ასე. თქვენ წუხელის ორი კაცი მოგვიკალით. მე ადვილად შემეძლო მთელი კარუელი დედაბუდიანად პასუხისგებაში მიმეცა, მაგრამ ყაბულსა ვარ, ამ ამბავს უბედური შემთხვევა ეუწოდო; ყაბულს ვარ ის სამი კაცი წავიყვანო და თავი დაგანებოთ.

— და მათ დასაპატიმრებლად სამასი კაცი დაგჭირდათ, არა? ბენტლიმ ხელები უმწეოდ გაშალა.

— კლენი სხვა საქმეა, გიდიონ. მე კლენელი არა ვარ, ეს შენ კარგად იცი. ჯესონ ჰიუგარს თავისი საქმეები აქვს. ხომ გესმის, პატარა მღელვარება საკმარისია და ბიუებს ადგილზე ვერ გაარჩევ; ჰოდა, შესაძლოა, ცოტა კიდევაც გადააჭარბეს. კარგი, რაც მოხდა, მოხდა.

— ტრუპერის ორი ბავშვი ცოცხლად დასწვეს,—პირქუშად თქვა გიდიონმა.

— ეს შემთხვევით მოხდა. ბიჭები საზღვარს გადასცდნენ.

უილ ბუნმა, რომელიც აივნის ბოლში იდგა, ხმამაღლა და გარკვევით დაიძახა: „ტყუილად რას ელაპარაკები, გიდიონ? ერთი ტყვია მაგ მამაძაღლს, მორჩა და გათავდა“.

ბენტლიმ ბუნს შეხედა. „დაგიმახსოვრებ ამას, უილ“, თქვა მან და თავი დაუქნია.

— გეტყვით, რასაც ვფიქრობ,—თქვა გიდიონმა,—მე ვფიქრობ, ბენტლი, თქვენ ამ წუთში ცოცხალი იმიტომ ხართ, რომ ჩვენ ცივილიზებული და კანონის მორჩილი ხალხი ვართ. ჩემის აზრით, როცა თქვენ აქ მოდიოდით, ეს კარგად იცოდით. თქვენი ტიპის ადამიანებს ახასიათებს რაღაც ინსტიქტური, თუმცა მეტად პრიმიტიული გაგება იმისა, თუ რა არის ცივილიზაცია. გასაგებია თქვენთვის ჩემი აზრი?

— გასაგებია,—თქვა ბენტლიმ და ნაძალადევად ჩაიცინა.

— მე მინდა, რომ თქვენ ჩემი სიტყვები გაიგოთ. იცით თუ არა, ბენტლი, ჩვენი შტატისა და ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა უფლებები? მე ძალიან კარგად ვიცი; ჩვენი შტატის კონსტიტუციის გამომუშავებაში მეც ვიღებდი მონაწილეობას. ამ სახლში თქვენ ვერავის ვერ დააპატიმრებთ. პირიქით, თქვენ და თქვენი ბანდის ყოველი მონაწილე აგებთ პასუხს. პასუხს აგებთ ტრუპერისა და მისი ცოლის მოკვლისათვის და ამ სიმხეცისათვის—ორი პატარა ბავშვის ცოცხლად დაწვისათვის, რამაც გადააჭარბა თქვენი კლენის მიერ აქამდე ჩადენილ ყველა დანაშაულს. პასუხს აგებთ მთელი სოფლის უაზრო, ვერაგული გადაბუგვისათვის. პასუხს აგებთ მისის მაკჰიუს მოკვლისათვის, ფრედ მაკჰიუს წამებისათვის, ზიკ ჰეილის მოკვლისათვის, ენი ფიშერის მოკვლისათვის—ყველა იმ ცემის, წამებისა და მკვლელობისათვის, რაც თქვენ კარუელში ჩაიდინეთ. ყველა ამ ამბებისათვის, ბენტლი, პასუხს გაგებინებთ თქვენა და თქვენს ბანდას. ჩვენ ბევრი ვითმინეთ; ჩვენ დიდ და მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებდით და თქვენ კი ამაოდ ცდილობდით აგეცდინეთ ამ გზას. ჩვენ ამ საქმეს კვლავ გავაგრძელებთ; ბოლოს მოგიღებთ არა მარტო თქვენ, არამედ ყველაფერს, რამაც თქვენ და თქვენი მეგობრები წარმოგშვათ. აი, რისი თქმა მინდოდა; ამას მე ჩემი ხალხის სახელით ვლაპარაკობ. დაბრუნდით და ეს სიტყვე-

ბი თქვენს მეგობრებს გადაეცით. უთხარით მათ, რომ ჩვენ არავის არ დავინდობთ, ვინც კი სათოფეზე მოუახლოვდება ამ სახლს. უთხარით მათ ყველაფერი.

— ესაა სულ, ჯეკსონ, რისი თქმაც გინდოდა? — შეეკითხა ბენტლი.

— დიახ, ესაა.

— ძალიან კარგი.—შერიფი წამოდგა, შარვლიდან მტვერი დაიბერტყა, აივანზე მოგროვილ ხალხს თვალი გადაავლო—თეთრ სახეებს უფრო ხანგრძლივად მიაჩერდა, მერე მიტრიალდა და ფერდობს ჩაუყვა დაბლისკენ.

საღამოხანს კლენელებმა პირველი ნამდვილი იერიში მიიტანეს. ორასამდე კაცი, რომლებსაც უკვე თეთრი ხალათები აღარ ეცვათ, გორაკის დასავლეთ ფერდობს ცოცვით შეუდგა. იერიში კარგად იყო მოფიქრებული: მათ ისეთი დრო შეარჩიეს, როცა ჰორიზონტზე დაისის წითელი თვალისმომჭრელი მზე ეკიდა; სახლი გაკაშკაშებული იყო და მის დამცველებს მზის სხივების გამო თვალის გახელა უჭირდათ. გიდიონმა სახლის ამ დასავლეთ მხარის დასაცავად სამი რაზმი გამოჰყო. ფლიგელები სწორედ ამ მხარეს იყო. დამცველები ოთხთვალებისა და ფანჯრების უკან ჩასაფრდნენ. დანარჩენი თვრამეტი კაცი სახლის სხვა სამ მხარეს იცავდა. კარუელელებმა თოფები მოიმარჯვეს და, რაც შესაძლებელი იყო, თვალებს იჩრდილავდნენ. მეორე სართულზე მყოფ ქალებსა და ბავშვებს ნაბრძანები ჰქონდათ იატაკზე გაწოლილიყვნენ. კლენელები ნელ-ნელა მიცოცავდნენ, თანაც ცდილობდნენ ბალახით მოსილი ყოველი კოლბოხი, ყოველი ბორცვი საფარველად გამოეყენებინათ.

— ნეტა რამდენი იყო ამ გმირებიდან გეტისბურგთან?—იკითხა ფრენკ კარსონმა და თვალწინ გაუელვეს ჯარისკაცთა მკვრივმა და შეუდრეკელმა მწკრივებმა, რომლებიც ალმოდებულ ჯოჯოხეთისკენ მიაბიჯებდნენ.

როცა ისინი სამასი იარდის მანძილზე მოახლოვდნენ, ჰანიბალ უოშინგტონმა თავის სპენსერს გასჭვრიტა, სამიზნე სველი ცერით მოსწმინდა და შორიდან სროლა სცადა. „დავაცილე“,

თქვა მან და თავი გაიქნია. კლენელებმა სროლა ასტეხეს, მაგრამ მათი ტყვიები მიწას ფხაჭნიდნენ ან ოთხთვალებზე და სახლის კედლებზე ცვივდნენ თითქმის ძალდაკარგულნი. მერიონ ჯეფერსონმა, რომელიც თავის გრძელ სანადირო თოფს გაუნძრევლად მიჰკროდა, გაისროლა და ვიღაცას მოარტყა. დაბლიდან დაჭრილი კაცის ყვირილი მოისმა. დანარჩენი კარუელელებიც დინჯად, დიდი სიფრთხილით ისროდნენ. ას იარდზე კლენელები წამოიშალნენ და იერიში სცადეს. მზე ახლა უკვე სულ დაბლა იყო, ძალიან დაბლა; მიმქრალ სხივებს ძალა უკვე აღარ ჰქონდა და ხელს ვეღარ უშლიდა კარუელელებს, შეტევაზე კიჟინით გადმოსულთა სილუეტები კი გარკვევით ისახებოდა ვარდისფერ ფონზე. სახლის მთელი უკანა მხარე, ორ ფლიგელს შუა მოქცეული, თოფის ცეცხლით აელვარდა. ოცი იარდიც არ გაეელოთ, რომ კლენელების იერიში მარცხით დამთავრდა. თორმეტი კაცი მაინც დაეცა. დანარჩენები ფერდობზე უკანვე დაეშვნენ; ზოგი კოჭლობით, ზოგიც ხოხვით ბრუნდებოდა.

— შესწყვიტეთ ცეცხლი! დაიყვირა გიდიონმა.—მეტი აღარ გაისროლოთ!

სიწყნარე მტკივნეული იყო. ბარიკადთან ვიღაცამ მწარედ დაიკვნესა, ვიღაც მეორემ ჯეფს მოუსმო. ფლიგელებს შუა ჩრდილი ჩამოწვა. ერთი დაჭრილი თითებს უჭერდა თავის ხელს, საიდანაც სისხლი მოსჩქეფდა. მეორეს, სახელად ლეისი დუგლასს, რომელიც კვნესოდა, ლავიწი ჰქონდა დამსხვრეული. „ხელი არ ახლოთ, იწვეს“, ბრძანა ჯეფმა და პირველ დაჭრილს მკლავზე არტახი დაადო. ახლა ყველანი ფეხზე იდგნენ და ფერდობს გადაჰყურებდნენ დაბლა.

მერიონ ჯეფერსონი ადგილზე იწვა უძრავად, თავის თოფზე ხელჩაჭიდებული. როცა უილ ბუნმა მას მხარზე ხელი მოჰკიდა, იგი უსულოდ გადაგორდა გვერდზე. ტყვიას შუბლი გაეხვრიტა მისთვის. ირგვლივ რამდენიმე კაცი მოგროვდა. ისინი იდგნენ და მდუმარედ დასცქეროდნენ მოკლულს.

ბინდბუნდში ფერდობიდან ვიღაცის ხმამაღალი გმინვა მოისმა. ჯეფმა, რომელიც მხარმოტეხილთან დაჩოქილიყო, თავი ასწია და იკითხა: „რას გაჩერებულხართ? იქ დაჭრილია. წადით და ამოიყვანეთ“. არავინ განძრეულა. მერე უილ ბუნმა კურტაკი გაიხადა და მერიონ ჯეფერსონს სახეზე გადააფარა. გიდიონმა ჰანიბალ უოშინგტონს ხელი მოჰკიდა და უთხრა: „ვინმე მოიშველიე და ის დაჭრილი აქ მოიყვანე“.

ჰანიბალმა ერთი ნაბიჯი გადასდგა და ყოყმანით შეჩერდა. „საცაა, იქ იწვეს“, თქვა ებნერ ლეიტმა.

— წადით და მოიყვანეთ,—მტკიცედ გაისმა გიდიონის წყნარი ხმა.

*

ჯეფს ერთი ოთახი წინასწარ ჰქონდა მომზადებული საავადმყოფოსათვის; რაც საუკეთესო ლამპები იყო, სულ იქ შეიტანა, ხოლო ევა კარსონი და ჰანა უოშინგტონი მომვლელებად დანიშნა. ახლა მათ ლამპები ხელში ეჭირათ და ჯეფი კლენელის ფეხში ტყვიას ეძებდა. კლენელი ორ ადგილას იყო დაჭრილი: ფეხში და მუცელში. მხოლოდ ერთადერთი შანსი თუ იყო მისი გადარჩენისა. ჯეფმა ტყვიას მიაგნო და ამოიღო. კლენელს პატარა წითური სახე და ღია, წყლისფერი თვალები ჰქონდა. იგი ლამობდა რაღაც ეთქვა ჯეფისათვის, მაგრამ მისი სიტყვებიდან აზრს ვერ გამოიტანდა კაცი.

— სადაური ხართ?—ჰკითხა მას ჯეფმა.—თქვენი გვარი?

— სკრივენი,—ამოილუღლუღა დაჭრილმა.—სკრივენი. სკრივენი,—მაგრამ ჯეფმა ვერ გაიგო, ამ სიტყვაში დაჭრილი თავის გვარს გულისხმობდა, თუ ჯორჯიის ერთ-ერთ ოლქს. ლესი დუგლასი ტკივილებისაგან იტანჯებოდა, მაგრამ ჯეფს არაფრით არ შეეძლო მისი შველა. მოტეხილობა რთული იყო; სისხლის მოწამლვაც რომ თავიდან აეშორებინა, იგი სამი-ოთხი კვირის განმავლობაში მაინც გაუნძრევლად უნდა წოლილიყო გულაღმა; მეორე მხოლოდ ხელის რბილ ადგილში იყო დაჭრილი და სისხლის დაკარგვის გარდა, სერიოზული არაფერი ემუქრებოდა.

ჯეფი დაჭრილებს თავს დასტრიალებდა, გულში კი სიმწარე და უილაჯობის გრძნობა მატულობდა. აი, გიდიონის მიერ არჩეული გზა, მაგრამ ეს გზა ხომ სიგიჟე იყო! რა შედეგი მოჰყვა ბრძოლას? რა შედეგი, თუ არა განადგურება, სიკვდილი და ნგრევა?

მერიონ ჯეფერსონი სახლის უკანა ნაწილის ერთ-ერთ პატარა ოთახში დაასვენეს. აქ მისი ცოლი, და, მოხუცი დედა და ბავშვები მოგროვდნენ; ისინი მოთქვამდნენ, მიცვალებულს დასტიროდნენ. მათი ტირილი მთელ სახლში ისმოდა. ძმა პიტერიც მივიდა მათთან ნუგეშის საცემად და ძველი ბრძნული სიტყვები უთხრა

ჭირისუფლებს: „უფალმა მოგვცა, უფალმა წაგვართვა. კურთხეულ იყოს მისი სახელი“.

მაგრამ ძმა პიტერი ვერ გიპასუხებდათ, თუ რატომ ინება უფალმა ასე. მისი მრეველი არ ჰგავდა სხვა მოქადაგეთა მრეველს. მის თვალწინ განვლო ამ ხალხის მთელმა ცხოვრებამ: დაბადებამ, ბავშვობამ, ყრმობამ, სიჭაბუკემ და მოწიფულობამ; ახლა კი იგი მათ სიკვდილსაც მოესწრო, არა ისეთ სიკვდილს, როგორიც ჩვეულებრივად მოდის ხოლმე—მშვიდი, იოლი, ბუნებრივი, როცა მომაკვდავი წყნარად, უკანასკნელად ამოისუნთქავს, სულს განუტევებს და საუკუნო განსვენებას მიეცემა, არამედ, ნაძალადევს, მრისხანესა და საშინელ სიკვდილს. ეს ძმა პიტერისათვის გაუგებარი იყო. ერთხელ მან გიდიონს უთხრა: „შენ პატარა ბალღივით ხარ გამზადებული. გავსება გინდა სახაპელასავით, ჭიდან წყალი რომ ამოაქვს. აბა დაიცადე და ნახავ“. ეს სიტყვები უთხრა მან ერთხელ გიდიონს. ახლა კი არ იცოდა. გიდიონი მკაცრი, უცნაური, ურყევი გახდა; როცა იგი ამ ოთახში შემოვიდა და მოკლულს დახედა, ერთი ნაკვთიც არ შერხეულა მის სახეზე. დაახლოებით ხუთი წუთი იდგა გიდიონი და მერიონ ჯეფერსონის ცხედარს დაშტერებოდა; მერე თავი დააქნია და ოთახიდან გავიდა. ერთი სიტყვაც არ უთქვამს ლუიზისთვის მწუხარების შესამსუბუქებლად; ერთი სიტყვაც არ უთქვამს ძმა პიტერისთვის, არც ბავშვებისათვის...

* * *

გიდიონი, ჰანიბალ უოშინგტონი და ებნერ ლეიტი აივანზე იდგნენ და ლაპარაკობდნენ იმაზე, რაც უკვე მოხდა, იმაზე, რაც მოსალოდნელი იყო, იმაზე, რაც გაკეთდა და იმაზე, რაც უნდა გაკეთებულიყო. ისევ მთვარიანი ღამე იყო, ისევ ისეთი ღამე, როცა ეზო და დიდი სახლის ირგვლივ გაშლილი მინდვრები ვერცხლისფრად ბზინავდნენ. დაბლა, ხეებს იქით, კლენელების მიერ გაჩაღებული კოცონები მოჩანდა, კოცონები დიდ სახლს რკალივით შემორტყმოდა, მაგრამ მათ შორის დიდი ბნელი შუალედებიც იყო. მთელი საღამო გიდიონი მარკუსზე ფიქრობდა. თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა და მარკუსი დასაძინებლად არსად შეჩერდა, იგი მალე უნდა დაბრუნებულიყო. მას არ გაუჭირდებოდა კლენელთა შუა გამოძრომა. მარკუსი ტყეში ნადირივით ცქვიტი და მოხერხებული

იყო. ცხენის დატოვებაც რომ მოუხდეს, შინ მაინც იოლად მოალწევს, მაგრამ, მისი ხასიათის მიხედვით, უფრო საფიქრებელი იყო, რომ იგი ჯიქურ გაარღვევდა კლენელთა რკალს და ცხენს ჭენებით ამოაგელვებდა ფერდობზე. გუშაგები გაფრთხილებული ჰყავდა გიდიონს. მარტოოდენ იმის ფიქრზე, რომ შესაძლებელი იყო მარკუსს რამე მოსვლოდა, გიდიონი გულში რაღაცნაირ სიცივესა და საშინელ სიცარიელეს გრძნობდა. ვერავის, რეიჩელსაც კი ვერასოდეს ვერ აუხსნიდა იგი თავის განსაკუთრებულ გრძნობას მარკუსის მიმართ; ისინი ერთი სისხლი და ხორცი იყვნენ. ყველაზე დიდ ბედნიერებას გიდიონი მაშინ განიცდიდა, როცა იგი მარკუსთან იყო, მასთან ერთად ნადირობდა, მასთან ერთად მუშაობდა ან კიდევ იჯდა და მისი აკორდიონის ჭყვიტინს უსმენდა. ჯეფი სხვა იყო. გიდიონმა კარგად იცოდა, ̄რამდენად სხვანაირი იყო ის გრძნობა, რომელიც მას ჯეფთან აკავშირებდა.

ახლა ებნერ ლეიტი მოჰყვა ლაპარაკს: „ჩვენ ერთი მოგვიკლეს, გიდიონ: ეს არც ისე საშინელია, რადგან მათ თოთხმეტი დაჰკარგეს!“

— ეს ერთი ოჯახის პატრონი იყო,— მიუგო გიდიონმა.

— როგორც ჩანს, მეტს აღარ შემოგვიტევენ.

— სულელები არიან,—შენიშნა ჰანიბალ უოშინგტონმა,— მაგრამ გახსოვდეს ჩემი სიტყვა, ჭკუას ისწავლიან. ისინი ახლა შეშინებული არიან. გული არ ერჩით კვლავ შემოგვიტიონ, მაგრამ, შესაძლოა, მეტ ხალხს მოუყარონ თავი. ექვსას-შვიდას კაცს მორეკავენ და რამე საშუალებას გამოძებნიან. ნახეთ, თუ ასე არ იქნეს!

— ზოგ რამეში შევცდით, თქვა გიდიონმა.—უკეთესი იქნება, მამაკაცები ზემო სართულში იყვნენ და იქიდან დაუშინონ ტყვია. მაშინ ისინი კოლბოხებს ვეღარ ამოეფარებიან. ქვემო სართულში-კი ქალები უფრო უშიშრად იქნებიან.

— მე ტყვია-წამალს ვანგარიშობ,— თქვა ჰანიბალმა.

— ვიცი.

მარკუსის შესახებ ყველანი სდუმდნენ. მხოლოდ ებნერ ლეიტმა თქვა: „მოდი, მე ვცდი კოლამბიაში გაძრომას, გიდიონ“.

— მოვიცადოთ.

— მე ვეტყვი ჩვენებს ვაზნების შესახებ,—ჩაილაპარაკა ებნერმა. იესო მაცხოვარო, რა ოხრობად უნდათ,—რომ ისვრიან, როცა

მიზანსაც ვერ ხედავენ კარგად! დღეს ისე ცლიდნენ თოფებს, თითქოს ბავშვები შეკრებილან და ოთხი ივლისის დღესასწაულს [1] ზეიმობენო.

— დღესვე უნდა დავასაფლაოთ მოკლულები, — თქვა გიდიონმა.

— მერიონი?

— არა, სხვები, არ მინდა, რომ ისინი დილით ბავშვებმა ნახონ.—და ცოტა ხნის შემდეგ გიდიონმა იკითხა:

— რამდენი ვაზნა გვაქვს სულ?

— სანადიროც რომ მივათვალოთ?

— არა. შაშხანისა მხოლოდ.

— ორი ათასამდე იქნება.

— მარკუსი ამაღამ დაბრუნდება,—თქვა გიდიონმა,—ვიცი.

* * *

ცოტა ხნის შემდეგ, როცა გიდიონი მარტო დარჩა, აივანზე რეიჩელი გამოვიდა და წაიჩურჩულა: „გიდიონ“!

— რა იყო?

— რეიჩელი გიდიონთან მივიდა და გვერდზე მიეკრო მას.—შენთან დავრჩები, გიდიონ, შეიძლება? - გიდიონმა ხელი მოხვია მას.

— მარკუსი მალე დაბრუნდება, — თქვა მან.

— რატომ გააგზავნე იგი, გიდიონ?

— იმიტომ, რომ მას საკუთარი თავივით ვენდობი.

ისინი ცოტა ხანს ჩუმად იდგნენ; მერე რეიჩელმა ჰკითხა:

— რომელი გზით უნდა მოვიდეს, თუ დაბრუნდა, გიდიონ?

— არ ვიცი, რომელიც აჯობებს.

— შენ გგონია, რომ მოვა, გიდიონ?

— მგონია, რომ მოვა.—უპასუხა მან.

— რაკი ამბობ, მოვა. რასაც შენ იტყვი, ყველაფერი სრულდება.

გიდიონმა ქალი თავისკენ მოაბრუნა და უთხრა: „რეიჩელ, გენაცვალე, მიყვარხარ“.

---

[1] ოთხ ივლისს, ა. შ. შტატებში დღესასწაულობენ 1776 წელს დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების დღეს.

რეიჩელი ხელით მისწვდა გიდიონის სახეს.

— დამიჯერე, რაც არ უნდა მოხდეს, ყოველთვის ისე მეყვარები, როგორც მიყვარდი. მე ისეთ რაღაცად ვიქეცი, რაც არასოდეს არ მინდოდა ვყოფილიყავ. ხალხს კაცი დასჭირდა და აჰა, მე გავხდი ის, ვინც მათ უნდოდათ; მაშინ კი შენთვის უცხო შევიქენ. ვერაფერი ვერ გავაწყე... შესაძლოა უკეთესი რომ ვყოფილიყავი, უფრო ძლიერი...

— შენ კარგი ხარ, გიდიონ,—წაიჩურჩულა რეიჩელმა.

— მე რა-დროებით გამოსაყენებელი რამ ვარ მხოლოდ. ხალხის ძალა ალბათ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ჩემისთანა ვინმეს ხელს ჰკიდებს და ასწავლის, როგორ უნდა მოიქცეს. მე კი მაინც არ ვიცი, არ ვიცი რომელი გზა სჯობია. დრო მოვა და ხალხს ისეთებიც ეყოლება, რომლებსაც ეცოდინებათ, რომლებიც გაიგებენ რატომ უნდა მომხდარიყო ყველაფერი ეს, რაც ახლა ხდება, რომლებიც შესძლებენ ერთად მუშაობას, მომავლის გათვალისწინებას და ისეთი რამის აშენებას, რისი ნაცრად ქცევა შეუძლებელი იქნება...

— გიდიონ, ბიჭო, გენაცვალე...—ეჩურჩულებოდა ქმარს რეიჩელი, როგორც ოდესღაც, მათი ახალგაზრდობის დღეებში.

ისინი კიდევ კარგა ხანს ისხდნენ კიბის საფეხურზე. მერე რეიჩელს გიდიონის მკლავებში ჩაეძინა. დროდადრო გიდიონიც სთვლემდა. იგი ძილში იყო უკვე, როცა ჰანიბალ უოშინგტონმა გამოაღვიძა და უთხრა:

— თენდება, გიდიონ.

მაშინ თითქოს ცივმა მახვილმა გული გაჰკვეთაო, იგი მიხვდა, რომ მარკუსი აღარ დაბრუნდებოდა.

ამ დღეს, ე. ი. ალყის შემორტყმის მეორე დღეს, კლენელებმა რკალი ახლოს მოსწიეს. ახლა მათ ხუთას-ექვსასი კაცი მაინც ჰყავდათ და უფრო ორგანიზებულად მოქმედებდნენ. ისინი თოფის სასროლ მანძილზე მოცოცდნენ, მიწაში ორმოები ამოთხარეს და განუწყვეტლივ ისროდნენ. გადაღობილში ოთხთვალების უკან, ორი ჯორი და ერთი ძროხა დაიჭრა და საჭირო გახდა მათი დაკვლა; გარდა ამისა, სხვა ზარალი არა იყო რა. ქალები და ბავშვები დაბ-

ლა, დიდ დარბაზში ჩამოიყვანეს, კედლები დოშაკებითა და ფიცრებით გაამაგრეს. გიდიონმა ბრძანება გასცა, რომ კლენელებისთვის თოფის სროლაზე არავის ეპასუხა, საუკეთესო მსროლელების —უილ ბუნისა და ჰანიბალ უოშინგტონის გარდა. ისინი სახურავზე აძვრნენ და ერთმანეთის გვერდით გაწვნენ; მათ გასწმინდეს სამიზნეები, კლენელების მიზანში ამოღებას ხუთ-ხუთ წუთს უნდებოდნენ და მერე არაჩვეულებრივი მოთმინებითა და სიფრთხილით სწევდნენ ჩახმახს. უილ ბუნი სულ თავისი პაპის მამაზე ლაპარაკობდა, რომელიც ას იარდზე ციყვს არ აცილებდა, ამასა და ამას აკეთებდა, სანამ ბოლოსდაბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა ჰანიბალ უოშინტონმა მკვახედ არ ჰკითხა მას;

— ვინ ოხერი იყო ეს შენი პაპის მამა?

— უჰ, შე სულელო ზანგო, მართლაც რომ უვიცი ხარ, ვინ უნდა ყოფილიყო? ჩემი გვარი.

მაგრამ მათმა მარჯვე სროლამ კლენელების ყურადღება მიიპყრო, ორასმა თუ სამასმა თოფმა ერთად დაუშინა ტყვია სახლის სახურავს. ლავგარდანზე ტყვიების კორიანტელი ადგა და ბუნსა და უოშინგტონს სახეში ნაფოტები ხვდებოდათ. ათი წუთის შემდეგ ჰანიბალ უოშინგტონმა ერთი სუსტად ამოიკვნესა და მოდუნებული თავის სპენსერზე დაემხო. უილ ბუნმა იდაყვი გაჰკრა, შემდეგ ხმადაბალი გააფთრებული ლანძღვა-გინებით ზედიზედ იწყო სროლა, ისე, რომ გახურებული შაშხანა თითებს სწვავდა, მაგრამ მალე მისი სროლაც შეწყდა.

კარუელელებმა მოკლულები ფლიგელებს შუა მცირე შეღობილში დამარხეს, სადაც ძროხები, ცხენები და ჯორები ებათ. უცნაური იყო, რომ არავინ არ ტიროდა. ხალხი ჩუმად იდგა, გამშრალი თვალებით და პირქუში, საოცრად მობერებული სახეებით; ბავშვებიც კი მობერებულად გამოიყურებოდნენ. ძმა პიტერმა ფსალმუნი წაიკითხა: „ხადილსა ჩემსა ესმა ჩემი ღმერთსა სიმართლისა ჩემისასა, ჭირსა ჩემსა განმივრცე-მე, მიწყალე მე და ისმინე ლოცვისა ჩემისა...“ გიდიონი ფსალმუნს ყურს უგდებდა, დაჰყურებდა საფლავს და ცდილობდა მოეგონებინა ისეთი დრო, რომ ჰანიბალ უოშინგტონი არ ყოფილიყო, არ ყოფილიყო ეს ჩია, ჯუჯა ზანგი, ნახშირივით შავი, თვინიერი, ჭკვიანი, მამაცი, დიდი და არაჩვეულებრივი ღირსების კაცი, კაცი, რომელსაც ყველაფერში მადლიანი ხელი ჰქონდა, კაცი, რომელიც მთელი თემის

ჭირ-ვარამს, ყველას დარდსა და მწუხარებას იზიარებდა. ახლა იგი კეროლაინის თბილ მიწაში იწვა თეთრი კაცის გვერდით, რომლის პაპის მამას დანიელ ბუნი ერქვა.

* * *

სროლამ მთელ ღამეს გასტანა და მხოლოდ განთიადზე შეწყდა. არაჩვეულებრივი სიჩუმე ჩამოვარდა. ამ სიჩუმეში ხალხმა ისაუზმა. სიჩუმეში ბენჯამინ უინთროპმა ბავშვებს „მძინარე ხევის ლეგენდა“ წაუკითხა. სიჩუმეში ჯეფი პატარა წითურ კლენელს ადგა თავზე და ხედავდა როგორ კვდებოდა დაჭრილი. ჯეფი ვერასოდეს ვერ გაიგებდა მის სახელს, სადაურობას, ანდა იმ უცნაურ იძულებას, რამაც იგი აქ მოიყვანა.

ამ სიჩუმეში ბენტლი თეთრი დროშით სახლს მიუახლოვდა და დაიძახა: „შეიძლება ამოვიდე?“

პასუხი არავინ გასცა. იგი ნელი ნაბიჯით აჰყვა აღმართს, სახლიდან დაახლოებით ორმოცდაათი იარდის მანძილზე იგი შეჩერდა და ყვირილით ამცნო კარუელელებს თავისი სათქმელი: „კარუელელებს ექიმი ჰყავთ, ჯეფ ჯეკსონი. მოხუცი ექიმი ლიდი ერთი კვირაა გალეშილია. კლენელებს დაჭრილები ჰყავთ. ერთს მოტეხილი ფეხი გაუსივდა. ფეხი უნდა მოიკვეთოს, თორემ კაცი მოკვდება. იქნებ ჯეფ ჯეკსონი ჩამოვიდეს და დახმარება აღმოუჩინოს მათ დაჭრილებს! ისინი სიტყვას იძლევიან, რომ ექიმს უკანვე გაუშვებენ“.

ებნერ ლეიტი გიდიონს მიაჩერდა; გიდიონმა მწარედ გაიღიმა და თქვა: „ხომ ხედავ, მათ ჩვენი ბუნება ესმით. ისინი ჩვენ უკეთ გვიცნობენ, ვიდრე ჩვენ ვიცნობთ მათ“.

ბენტლი გაბრუნდა. აივანზე ჯეფი გამოვიდა. „გაიგონე?“ ჰკითხა მას გიდიონმა. ჯეფმა თავი დაუქნია. ებნერ ლეიტმა თქვა: „ჯანაბამდისაც გზა ჰქონია, დეე დაიხოცონ“.

— თუ ის მამაძაღლი კიდევ ამოვიდა, ღმერთმანი, ტყვიით ჩავაგდებინებ ენას,— თქვა ფრენკ კარსონმა.

— მივდივარ,— თქვა ჯეფმა.

გიდიონმა მას მკლავში ხელი ჩაავლო, შემოაბრუნა და დაუყვირა: „შე ბრიყვო, შენა! ჩემი შვილი მაინც არ იყო! ნუთუ ვერ უნდა შეგაგნებინო ეს ამბავი? ნუთუ აქამდე ვერ გაიგე, რომ ჩვენ

საქმე გვაქვს აოა ცივილიზებულ ადამიანებთან, არა ისეთ მტერთან, როგორიც შენ წარმოგიდგენია, არამედ ისეთებთან, რომლებსაც ჩვენი მოსპობა უნდათ! განა ისინი ადამიანები არიან! მათი სიტყვა არაფერს არ ნიშნავს, მათთვის კეთილი და ბოროტი არ არსებობს! მათ ვერაფერს შეაგნებინებს კაცი, მათი გონება გახრწნილია! თუ დღეს ჩვენ აქ, ასეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით, სწორედ იმიტომ, რომ მათ შეფასებაში მოვტყუვდით, იმიტომ, რომ ბრიყვები ვიყავით და გვეგონა, თითქოს ჩვეულებრივ ადამიანურ წესებს ისინიც ემორჩილებოდნენ, იმიტომ, რომ ჩვენ მათ პატიოსნება, უფლება და სამართალი ვერცხლის სინზე მივართვით. ამიტომაა, რომ ახლა ისინი იმარჯვებენ! ამიტომაა, რომ მთელ ამ სამხრეთში კეთილი, პატიოსანი ადამიანები დაშინებული, დაქუცმაცებული და გზააბნეული არიან!

— მივდივარ,—გაიმეორა ჯეფმა.—მე ფიცი მაქვს დადებული, რომ ავადმყოფს ვუმკურნალო და აღვადგინო ის, რასაც ადამიანები ანგრევენ.

— არა,—თქვა გიდიონმა.—ერთი ვაჟი დავკარგე, მაგრამ მას ესმოდა მაინც, რას ვაკეთებდი, იცოდა, ვის ვებრძოდით.

— თუ მომკლავთ, თორემ სხვანაირად ვერ დამაკავებთ,—წყნარად ჩაილაპარაკა ჯეფმა.

— მაშ, ღმერთო, შენ განმსაჯე...—დაიწყო გიდიონმა, მაგრამ მას ებნერმა სიტყვა გააწყვეტინა: „გაუშვი, დეე წავიდეს, გიდიონ“.

* * *

ჯეფმა ფეხის მოკვეთა დაამთავრა; ნახევრად ცნობადაკარგული დაჭრილი ოდნავ გმინავდა; იგი წაიყვანეს. როცა ხელებს იმშრალებდა, ჯეფმა მის ირგვლივ შეგროვილ კლენელებს, რომლებიც ცნობისმოყვარეობით ადევნებდნენ თვალს ოპერაციას, უთხრა:

— ახლა მას მოსვენება ესაჭიროება. ბუნება თვითონ გააკეთებს თავის საქმეს. როცა მკვდარი ქსოვილი მოცილდება, ნაკერები ადვილი მოსახსნელი იქნება. ძაფის გამოძრობა უნდა სცადოთ სიფრთხილით, მეტისმეტი სიფრთხილით, რადგან მტკივნეულია, თუ ძაფი ადვილად გამოდის, მაშასადამე შე-

ხორცების პროცესი ძირითადად დამთავრებულია. ახლა მისი მკურნალობა ყოველ ექიმს შეუძლია, თუ სისხლის მოწამლვა არ მოხდა. მთავარ საშიშროებას ეს წარმოადგენს.

ჯეფი დაღლილი იყო; თაკარა მზის ქვეშ, მინდორში დადებული ფიცარი ოპერაციისათვის არც ისე შესაფერი ადგილია. ჯეფმა კი ათ-თორმეტ დაჭრილს გაუკეთა ოპერაცია. იგი დაღლილი იყო. „მაშ ახლა წავალ“, თქვა მან.

— ბატონო!

ჯეფი დახრილი იყო და თავის ჩანთას კეტავდა. მან თვალი შეავლო იმას, ვინც ეს სიტყვა თქვა. მხარბეჭიან, მზისგან დამწვარ კლენელს ხელი რევოლვერის ტარზე ედო.

— წავალ-მეთქი ახლა.

— ბატონო!

ჯესონ ჰიუგარმა, რომელიც შერიფ ბენტლის გვერდით იდგა, თქვა: „შენ ექიმი ხარ, ჯეკსონ, რა გაეწყობა, მოხდა ასეთი რამ. მაგრამ როცა ზანგი ექიმი ხდება, ეს ღვთისგან შეჩვენებული ამბავია და ამგვარ შფოთს იწვევს“.

ჯეფი ერთი წამით დააცქერდა მას. მერე ჩანთა დაკეტა, ხელში აიღო და წასასვლელად ნაბიჯი გადადგა. მხარბეჭიანმა მას გზა გადაუღობა.

— ბატონო! თქვა მან.

— რა გნებავთ?—ჰკითხა ჯეფმა.

— რა მნებავს და ის, რომ ისე მოიქცე, როგორც წყეულ ზანგს შეეფერება! „ბატონო“, დაატანე თან, როცა შენზე უკეთესებს ელაპარაკები!

ჯეფმა მას გაკვირვებისა და ცნობისმოყვარეობის გამომხატველი თვალები მიაპყრო. მან შიშიც და ზიზღიც იგრძნო, მაგრამ მათზე უფრო ძლიერი მასში ლოგიკური ცნობისმოყვარეობა იყო, რომელიც, მისდა უნებურად მოქმედებდა. ეს იყო სურვილი გონების თვალით შეეხედა მის წინ მდგომ ადამიანისთვის, რა კავშირში იყო იგი იმასთან, რასაც გიდიონი ამბობდა, რა კავშირში იყო იგი მთელ იმ საშინელ უგუნურებასთან, რაც კარუელში ხდებოდა.

— თქვენ გინდათ, რომ „ბატონო“ გითხრათ, არა?

— დიახ.

— ბატონო,—თავი დაუკრა ჯეფმა მას და დაუმატა:—ახლა, თუ ნებას მომცემთ, წავალ, ბატონო!

ბენტლიმ გაიცინა.

— ვერსადაც ვერ წახვალ, ჯეკსონ,— თქვა ჯესონ ჰიუგარმა.

— როგორ თუ ვერ წავალ?

— როგორ და ისე. ვერ წახვალ—მორჩა და გათავდა.

— ხვალ მაინც აღარ იქნები საჭირო, იქ, ზემოთ, ჯეკსონ,— ჩაურთო ბენტლიმ.—სჯობს აქვე დარჩე.

ჯეფი შესცქეროდა მათ; ცნობისმოყვარეობა ჯერ კიდევ შიშის გრძნობაზე ძლიერი იყო. შეუძლებელს ადგილი არ აქვს მეცნიერულ აზროვნებაში. ყველაფერს თავისი მიზეზი და თავისი საფუძველი აქვს. „მე აქ იმიტომ მოვედი", თქვა ჯეფმა, „რომ ჩემს მოვალეობად მიმაჩნდა დახმარება გამეწია დაჭრილებისა და ავადმყოფებისათვის. გესმით თქვენ ეს ამბავი? მე აქ მოვედი იმიტომ, რომ თქვენ მთხოვეთ მოვსულიყავ. მე, როგორც ექიმს, არ შემეძლო უარი მეთქვა თქვენთვის. მაშ როგორ შეგიძლიათ მომთხოვოთ, რომ აქ დავრჩე?"

— ბატონო-მეთქი, შე მამაძაღლო ეშმაკის კერძო!—შესძახა მხარბეჭიანმა კლენელმა.

ჯეფმა თავი გააქნია. „მივდივარ". მან მხარბეჭიანს ხელი ჰკრა და ნაბიჯი გადასდგა. ეს იყო და ეს: საშინელი გრიალი მისწვდა მის ცნობიერებას, რომელიც იმავე მომენტში შეწყდა კიდეც. ჯეფი მიწაზე იყო განრთხმული, ჩანთა ქვეშ მოჰყოლოდა.

— ეგ წყეული ზანგი!—თქვა მხარბეჭიანმა.

* * *

რეიჩელი და ჯენი ელენთან ისხდნენ, მაგრამ სათქმელი არაფერი ჰქონდათ მისთვის. უსინათლობამ ახლა მთელი ქვეყანა მოიცვა; წყვდიადი უსასრულო იყო.

* * *

იმ ღამეს ებნერ ლეიტმა გიდიონს უთხრა: „იცი, მარკუსს ალბათ ხიფათი შეემთხვა".

— ვიცი.

— იქნებ დეჰეშებიც ვერ გაგზავნა.

— შეიძლება,—თქვა გიდიონმა. ტანჯვასა და ტკივილს საზღვარი აქვს.

— მათი გაგზავნა კი საჭიროა,—წყნარად თქვა ებნერმა.— თუ არა და როგორ გაიგებს ვინმე, რომ ჩვენ აქა ვართ? როგორ გაიგებს ვინმე სულიერი ამ დასაქცევ ქვეყანაში, რაც აქ ხდება? განა ჩვენ ვიცით რა ხდება სხვაგან? მათ აქ ჩაგვამწყვდიეს, ისე გამოგვკეტეს, როგორც ჯოჯოხეთში. იქნებ სამხრეთში ყველაფერი ასევეა ჩაკეტილი. იქნებ არავინ არაფერი იცის.

— შესაძლოა,—თქვა გიდიონმა.

— ხელახლა დასწერე დეპეშები, მე წავიღებ კოლამბიაში და გავგზავნი.

— რომ არ გადასცენ.

— მაშინ პირდაპირ უოშინგტონში წავიღებ.

— კარგი,—თქვა გიდიონმა.—თუ შენი ფიქრით ასე აჯობებს, კარგი.

ებნერი საუკეთესო ცხენზე შეჯდა—მშვენიერ, დიდი ტანის ქურანზე, რომელიც ადრე ჰანიბალ უოშინგტონს ეკუთვნოდა. არავითარი იმედი არ იყო, რომ იგი ქვეითად შესძლებდა გაძრომას. ერთადერთი გზა რკალის ჯიქურ გარღვევა იყო ცხენით; ამის მოხერხება შესაძლებელი იყო.

ეს მოხერხდებოდა კიდეც, მაგრამ სახლიან ნახევარი მილის მოშორებით ცხენი მოუკლეს ებნერ ლეიტს და ფეხმოტეხილი მხედარი ქვეშ მოყვა. კლენელებმა იგი გამოათრიეს და ფეხზე დაყენებული გააჩერეს, რომ მას ჯესონ ჰიუგარის განაჩენი მოესმინა:

— ზანგების მოტრფიალე თეთრებისათვის ჩვენ საგანგებო წესი ვიცით. ფრედ მაკჰიუმ უკვე იგემა.

— აქედან დაიკარგე,—უთხრა მას ებნერ ლეიტმა.

ებნერ ლეიტს მეტი აღარაფერი უთქვამს. იგი ხელებით ჩამოკიდეს და მთელი ღამე მათრახებით სცემდნენ რიგრიგობით. გამათრახებაში ჯესონ ჰიუგარმაც მიიღო მონაწილეობა. „მე ამოვადგმევინებ ენას ამ მამაძაღლს“, თქვა მან. მაგრამ ებნერ ლეიტს ტუჩები მოკუმული ჰქონდა. იგი მთელ დღეს ჩამოკიდებული იყო, მაგრამ ცნობიერება უკვე აღარ ჰქონდა; აღარ გრძნობდა, რომ მისი ძალა მრავალის ძლიერების ნაწილი იყო, აღარ გრძნობდა იმ ბრძოლის სიდიადეს, რომელიც მან გადაიხადა, არც იმ კეთილ ქვეყანას, რომლის პატარა ნაპერი ჰქონდა მხოლოდ ნახული, არც კარგ ამხანაგებს, რომლებიც მას ჰყავდა.

* * *

მეორე დღეს გიდიონმა დაინახა, რომ კლენელებმა ჰაუბიცა მოათრიეს და სახლიდან მოშორებით დადგეს; პირველად გიდიონი ვერც კი მიხვდა, რა უნდა ყოფილიყო იგი. მაგრამ უკვე მარტო იმ ფაქტმა, რომ ისინი თითქმის მთელი დღე-ღამის განმავლობაში აღარ ისროდნენ, რაღაც არაჩვეულებრივი ამბის მოლოდინში ჩააგდო გიდიონი. ჰაუბიცა ერთ-ერთი იყო მრავალ შესაძლებლობიდან, რომელთა გათვალისწინება მას შეეძლო.

— ალბათ რომელიმე არსენალიდან გამოიტანეს,—თქვა ფრენკ კარსონმა.

— რა დიდი მნიშვნელობის მტერს წერმოვადგენთ თურმე,— მწარედ ჩაილაპარაკა გიდიონმა. ამის იქით უკვე აღარაფერია. მან უცნაური სიმშვიდით უთხრა ბენჯამინ უინთროპს: „ბავშვები სარდაფში ჩაიყვანეთ". ადამიანი ცდილობს დასასრული გადასდოს, ბრძოლას აგრძელებს; იმედს არ იქრობს გულში. ყველაფერი ეს ერთი განუწყვეტელი პროცესია. მთელი ამ საშინელების დროს ადამიანს წარმოუდგენია, რომ ამის იქით, ამ გარდუვალი აღსასრულის იქით, კიდევ რაღაც უნდა იყოს; ეს წარმ ოგენა მას სხვებთან აკავშირებს, ყველა იმ პატარა, გაბედულ და საფრთხის წინაშე მყოფ ადამიანებთან, მათთან, ვინც თავაწეული შეხვედრია გარდაუვალ აღსასრულს.

— დარდი ნუ გაქვთ,—მიუგო ბენჯამინ უინთროპმა.—ჩვენ ვიმღერებთ. მხნედ მეყოლებიან. —იგი ისევ რკინის ბუდიან სათვალეს ატარებდა.

— გმადლობთ,—თქვა გიდიონმა.

იგი აივანზე იდგა ფრენკ კარსონთან, ლესლი კარსონთან და ფერდინანდ ლინკოლნთან ერთად. ყველანი კლენელებს უყურებდნენ, რომლებიც ლამობდნენ ჰაუბიცა ნიშანზე დაეყენებინათ.

— უბედურუკი არტილერისტები,— ზიზღით თქვა ლესლი კარსონმა.

პირველი ყუმბარა სახლის უკან, ასი იარდის მოშორებით, და ისიც განზე გასკდა. შემდეგი ოთხი ყუმბარა ცოტა უფრო ახლოს დაეცა. გიდიონმა ყველანი სახლში შეიყვანა. ისინი დოშაკებისა და ფიცრების უკან ჩაცუცქდნენ და მეზარბაზნეებს ესროდნენ, თუმცა არავითარი იმედი არ იყო, რომ ამოდენა მანძილზე

ტყვია მიაღწევდა. ახლა ტყვია-წამალს უკვე აღარ ზოგავდნენ და ისროდნენ იმიტომ, რომ პასუხი მაინც გაეცათ როგორმე, წინააღმდეგობა გაეწიათ. პირველი ყუმბარა, რომელიც სახლს მოხვდა, ზემო სართულში გასკდა და თავზე მათ ბათქაში დააყარა.

— თეთრი დროშა გამოჰკიდეთ, — დაიყვირა გიდიონმა, — თეთრი დროშა! იქნებ ქალები და ბავშვები როგორმე გავიყვანოთ აქედან!

ჯეიკ სატერი თეთრი ზეწრით აივანზე გავიდა. იგი იდგა და ზეწარს აფრიალებდა, მაგრამ კლენელებმა მის დანახვაზე ჰაუბიცის სამიზნო კუთხე ოდნავ შესცვალეს. შემდეგი ყუმბარა აივანზე გასკდა, სწორედ იმ ადგილას, სადაც ჯეიკ სატერი იდგა.

ძმა პიტერი თავის მრევლში იდგა, იგი იდგა ქალებსა, გოგონებსა და ბავშვებს შორის, ყმაწვილ ბიჭებს შორის, რომლებიც ეს-ესაა შევიდნენ შფოთით სავსე და მშვენიერ სიმწიფის ხანში, ქალიშვილებს შორის, რომელთა ქორფა და მკვრივი ძუძუები მწიფე ვაშლებივით მიმალულიყვნენ კაბების ქვეშ, იგი იდგა ბებიებსა და ბალღებს შორის, ძუძუმწოვარ ჩვილებსა და ახლად ფეხადგმულთა შორის, რომლებიც ის-ის იყო სწავლობდნენ სიტყვების გამოთქმის იდუმალებას. ძმა პიტერი გამხნევებით ეუბნებოდა მათ: „უფალი ღმერთი სალი კლდე და ხსნაა ჩემი, მაშ ვისიღა უნდა მეშინოდეს?“

ზევით პირველი ყუმბარა გასკდა. მისტერ უინთროპმა ცალი ხელი შავ ბიჭს მოჰხვია, მეორე—პატარა გოგონას, რომელსაც თმები სიმინდის ფუჩეჩს მიუგავდა.

— მაშ ვისიღა უნდა მეშინოდეს? — იკითხა ძმა პიტერმა.

— ამინ! —უპასუხა ხალხმა.

— უფალი ღმერთი ძალაა ჩემი სიცოცხლისა...

გიდიონის უკანასკნელი ფიქრი დასაწყისის მოგონება იყო, მოგონება იმისა, თუ როგორ იყო დამონებული მთელი ხალხი, როგორ პირუტყვებივით ჰყიდდნენ და ყიდულობდნენ შავკანიან

ადამიანებს და როგორ გახრწნა ამან სხვები, რომელთა კანიც შავი არ იყო, მაგრამ რომლებიც აგრეთვე შრომაში ატარებდნენ მთელ თავის სიცოცხლეს; თუ რა მცირე იყო იმედი ამ ქვეყანაში და მაინც იმედით ცხოვრობდა ხალხი.

გიდიონის უკანასკნელი ფიქრი, როცა ყუმბარა დაეცა, როცა ყუმბარა გასკდა და ცნობიერების შეწყვეტა გამოიწვია, მისი ქვეყნის ხალხის ძალაზე ფიქრი იყო, ფიქრი შავი და თეთრი ადამიანების იმ ძალაზე, რომელმაც მათ ხანგრძლივი ომი გადაატანინა, რომელმაც შესაძლებელი გახადა, რომ მათ ძველის ნანგრევებზე მომავლის რწმენა აეგოთ—თავისებურად უმშვენიერესი რწმენა, როგორიც კი ოდესმე სცოდნია ქვეყანას. ამ ძალის უცნაური, თუმცა მარტივი შემადგენელი ნაწილები იყვნენ: მისი ვაჟი მარკუსი, მისი ვაჟი ჯეფი, მისი ცოლი რეიჩელი, მისი ასული ჯენი, მოხუცი, რომელსაც ძმა პიტერს ეძახდნენ, ახმახი და წითური თეთრი კაცი ებნერ ლეიტი, ჩია და ხმელი შავი კაცი ჰანიბალ უოშინგტონი—ისინი ბევრნი იყვნენ, მრავალნაირი ფერის კანით, ზოგი ლონიერი, ზოგი სუსტი, ზოგი ბრძენი, ზოგი ბრიყვი—და მაინც ყველა ისინი ერთად იმ მთლიანს შეადგენდა, რომელიც გიდიონ ჯეკსონის უკანასკნელი ფიქრი იყო,—იმას, რაც გამოუთქმელია და უძლეველი.

ადამიანები, რომლებიც კარუელის სახლს გარს ერტყნენ, ადამიანები, რომლებიც თეთრი ჩაჩებით იფარავდნენ სახეს მზისაგან, შესცქეროდნენ, თუ როგორ იწოდა ძველი შენობა. ფიცარი ხმელი იყო და რაკი ცეცხლი მოეკიდა, ქვეყანაზე ვერაფერი ვერ ჩააქრობდა მას. სახლი მთელი დღის განმავლობაში იწოდა და დაბინდებისას მისგან აღარაფერი დარჩა, გარდა შვიდი მაღალი საკვამლე მილისა, რომლებიც ჰანიბალ უოშინგტონის მამას აეშენებინა ოდესღაც.

ბ ო ლ ო ს ი ტ ყ ვ ა

შეგიძლიათ იკითხოთ და სამართლიანადაც: არის კი ამ ამბავში სიმართლის ნატამალი? თუ არის, რატომ აქამდე არავინ მოგვითხრო ამის შესახებ?

პირველ შეკითხვაზე შეგვიძლია ვუპასუხოთ, რომ ამ მოთხრობის ყველა ძირითადი ამბავი ნამდვილია. იმ ხანებში არა ერთი კარუელი იყო სამხრეთში, არამედ ათასი, უფრო დიდიცა და უფრო პატარაც, ყველაფერი, რაც მე კარუელში მომხდარ ამბად წარმოვადგინე, მრავალ ადგილას მეორდებოდა. თეთრი და შავი ერთად ცხოვრობდნენ, ერთად მუშაობდნენ და ერთად აშენებდნენ, სწორედ ისე, როგორც მე ავწერე. ბევრგან, ძალიან ბევრ ადგილას ისინი ერთად დაიხოცნენ იმის დასაცავად, რაც მათ აეშენებინათ. წყაროები საკმაოდაა ყველასთვის, ვინც კი ამ ფაქტების შემოწმებას არ დაიზარებს. კუ კლუკს კლანის შეთქმულების შესახებ არსებობს ჩვენებათა კრებული, მომზადებული წარმომადგენელთა შერეული კომიტეტის მიერ, რომელსაც დავალებული ჰქონდა მდგომარეობის გამოკვლევა ყოფილ მეამბოხე შტატებში. ამ ჩვენებებს შეადგენს ცამეტ ტომში თავმოყრილი გასაოცარი მასალა. არსებობს მისისიპის შტატში 1875 წლის არჩევნების გამოსარკვევად გამოყოფილი სენატის კომიტეტის მოხსენება ორ ტომად, არის აგრეთვე კარლ შურცის მიერ კონგრესისთვის წარდგენილი მოხსენება სამხრეთ კეროლაინაში, ჯორჯიაში და სხვა შტატებში არსებული მდგომარეობის შესახებ. არსებობს ჰოლოუელის წიგნი: „ზანგი, როგორც მეამბოხეთა ომის ჯარისკაცი“. არსებობს სიმკინსისა და ეუდის „სამხრეთ კეროლაინა რეკონსტ-

რუქციის პერიოდში". ეს მხოლოდ დასაწყისია; არსებობს იმდროინდელი გაზეთები, კონგრესში წარმოებული კამათის ანგარიშები, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გაზეთების სარედაქციო წერილები, რომლებიც ცხადჰყოფენ, რომ საყოველთაო ხოცვა-ჟლეტა, რაც ირგვლივ ხდებოდა, სრულებით არ წარმოადგენდა საიდუმლოებას.

რაც შეეხება გიდიონ ჯეკსონს, იგი იმდროინდელი რამდენიმე ზანგი მოღვაწის ნარევს წარმოადგენს. ყველაფერი, რაც მე მას მივაწერე, დამახასიათებელი იყო მრავალი მათგანისთვის, ანდა ზოგიერთისთვის მაინც.

კარუელი გამოგონებული სახელია. კარუელელები, რომლებსაც ამ წიგნში თავთავიანთი სახელები აქვთ, იმ ხალხიდანაა აღებული, რომელიც სინამდვილეში ცხოვრობდა. ბევრი სახეები რეალურ პიროვნებებს წარმოადგენენ, ზოგიერთს კი გამოგონილი სახელი აქვს.

პასუხის გაცემა მეორე შეკითხვაზე—თუ რატომ არ იყო აქამდე ეს ამბავი ვრცლად აღწერილი—არაა ძნელი. როდესაც სამხრეთში ზანგისა და თეთრის თავისუფლების, მათი თანამშრომლობის რვა წლის პერიოდს ბოლო მოეღო, მას სავსებით მოეღო ბოლო. არა მარტო მატერიალური დოვლათი იქნა მიწასთან გასწორებული და ხალხი გაჟლეტილი, არამედ თვით ხსოვნა იქნა აღმოფხვრილი.

ყოვლისშემძლე ძალები სთვლიდნენ, რომ ამერიკელი ხალხისთვის კარგი არ იქნებოდა ცოდნა იმისა, რომ ერთხელ ასეთ ექსპერიმენტს ჰქონდა ადგილი, და ამ ექსპერიმენტმა წარმატება მოიპოვა,—ერთხელ ამერიკაში ზანგს უფლება მიეცა თავისუფალ ადამიანად ეარსება, ადამიანად, რომელიც თავის მეზობლებთან გათანასწორებულ მდგომარეობაში იყო, რომ ზანგს უფლება ჰქონდა საკუთარი ღირსება სამხრეთის ღატაკ თეთრებთან შეერთებული შრომით მოეპოვებინა და რომ ამ ღირსების მოპოვების რვა წლის პერიოდში მან შესანიშნავი, სამართლიანი და ჭეშმარიტად დემოკრატული ცივილიზაცია შექმნა.

ჰოუარდ ფასტი

საბჭოთა მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი პროგრესული ამერიკელი მწერლის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის დაუღალავი მებრძოლის, მგზნებარე პუბლიცისტის—ჰოუარდ ფასტის სახელი. ფასტის მოთხრობები, რომანები და პუბლიცისტური წერილები გაჟღენთილი არიან იმპერიალიზმის სიძულვილით, შავი რეაქციისა და ფაშიზმის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის სულისკვეთებით. ფასტი მაღალი კალმითა და მგზნებარე სიტყვით ამხელს ამეიკელ იმპერიალისტებსა და მათ მაამებელ ტრუმენ-აჩესონის მთავრობას, რომლებიც რაც დღე გადის უფრო და უფრო მეტად ახვევენ თავიანთ ქვეყანას ფაშიზმის საშინელ წყვდიადში და მშვიდობისმოყვარე კაცობრიობას ახალი სისხლისმღვრელი ომებით ემუქრებიან. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ წერდა ფასტი: „...რეაქცია ახალ ნაბიჯსა დგამს იმ აუტანელ, უსაზღვრელს, არაადამიანურ ღამესთან მისაახლოებლად, რომელსაც ხალხი ფაშიზმს უწოდებს". მას შემდეგ ამერიკის იმპერიალიზმმა მოახერხა პროვოკაციული ომი გაეჩაღებია კორეაში და დაეწყო მშვიდობიანი კორეელი მოსახლეობის მასობრივი ჟლეტა. ამერიკელი იმპერიალისტების გეგმები უფრო ფართოა. ისინი მსოფლიო ბატონობაზე ოცნებობენ და მიზნის მისაღწევად არაფერს ერიდებიან. უპირველეს ყოვლისა, ისინი თავისავე ხალხს ებრძვიან, სისხლში ახრჩობენ ყოველ თავისუფალ და პროგრესულ აზრს, სდევნიან პროგრესულად განწყობილ ადამიანებს, ციხეში ამწყვდევენ მშვიდობის მომხრეებს, საშინელ რასიულ დისკრიმინაციას ეწევიან.

ჰოუარდ ფასტის ყველა წიგნი, პუბლიცისტური წერილი თუ გამოსვლა მგზნებარე მოწოდებაა თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ, შავი რეაქციისათვის შეუპოვარი წინააღმდეგობის გასაწევად. ამიტომაც, ისევე როგორც ყველა მშვიდობისმოყვარე და თავისუფლებისმოყვარე ამერიკელი მოქალაქე, ფასტიც სასტიკად იდევნება. იგი რამდენჯერმე იყო გამოქვეყნებული ციხის კედლებში. იმპერიალისტების ბანაკი ამით ცდილობს ჩაახშოს ფასტის მეუხარე ხმა, არ გააგონოს იგი მილიონობით ამერიკელ მშრომელ ადამიანებს. „ჩემს ხმას მაინც გაიგონებენ—წერდა ფასტი ერთ-ერთი პატიმრობის დროს, როდესაც მასთან ერთად ა. შ. შ. კომუნისტური პარტიის ათი ხელმძღვანელი იყო დაპატიმრებული,—გაიგონებენ იმ ათი მამაცი ადამიანის ხმას, რომლებიც ჩემთან ერთად

არიან ციხეში გამომწყვდეული. მე არ შემიძლია დავიუმდე, როცა არამზადების ბანდა ცდილობს ჩვენი ქვეყანა საბიზღარი გახადოს მთელი კაცობრიობის თვალში".

ფასტის დამსახურება სწორედ ის არის, რომ იგი რეალისტური ფერებით აგვისახავს ამერიკის ცხოვრებას; ერთი მხრით გვაჩვენებს იმპერიალისტური ბანაკის არაადამიანურ სიმკაცრეს და გაბოროტებას, რაც უიმედო მომავლის გათვალისწინებითა და საერთო შიშითა და შეშფოთებით არის გამოწვეული, ხოლო მეორე მხრით გვიხატავს ძლიერი ბუნების მებრძოლ ადამიანებს, რომლებიც იმედის თვალით შეჰყურებენ მომავალს და შეუპოვარ ბრძოლას ეწევიან გამბეცებული იმპერიალისტების წინააღმდეგ.

ფასტის ახალ რომანში—„კლარკტონი" ნაჩვენებია ორი ამერიკა—ამერიკა ერთი მუჭა რეაქციონერებისა და ამერიკა ნამდვილი მშრომელი ხალხისა. ნაჩვენებია ბრძოლა ამ ორ სამყაროს შორის. მწერალმა რომანში დაგვისურათა ამერიკის კომუნისტური პარტიის მუშაობის ცალკეული მხარეები, მისი დამრახზმველი როლი რეაქციისა და ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ფასტი დიდის სიმართლითა და სითბოთი ასწერს კომუნისტებს, მათს თავდადებულ ბრძოლას ხალხის კეთილდღეობისათვის. მკითხველი ხედავს, თუ როგორ თანდათან ძლიერდება ამერიკაში კომუნისტური მოძრაობა, როგორ იზრდება კომუნისტური პარტიის ავტორიტეტი მასებში. მოკმედება პატარა ქალაქ კლარკტონში იშლება, მაგრამ ის, რაც ამ ქალაქში ხდება, დამახასიათებელია მთელი ამერიკისათვის: თანდათან ძლიერდება გაფიცეების ტალღა, მუშათა კლასი უფრო და უფრო აძლიერებს ბრძოლას, მთელი ქვეყანა გაფიცებმა მოიცვა. ბურჟუაზია აშკარა ფაშისტურ მეთოდებს მიმართავს გაფიცული მუშების წინააღმდეგ. პოლიცია ციხეში ამწყვდევს და არაადამიანური მეთოდებით, ფაშისტური მეთოდებით აწამებს ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მდივანს მუშა დანი რაიანს, რომელიც წიგნში გამოყვანილია, როგორც მამაცი და შეუპოვარი ადამიანი, კარგი ორგანიზატორი.

ფასტი უმთავრესად ისტორიულ რომანებსა სწერს. მაგრამ ეს როდი ნიშნავს „ისტორიაში გაქცევას". ფასტის ისტორიული რომანები აქტუალურნი არიან, დღევანდელობას ეხმაურებიან და მკითხველს ხელს უწყობენ გაიცნონ და გაარკვიონ დღევანდელი იმპერიალისტური ამერიკის მთელი ბუნება.

ამერიკელი ბურჟუაზიული მწერლები ხშირად მიმართავენ ისტორიულ ჟანრს და ისტორიული სინამდვილის დამახინჯებითა და ფალსიფიკაციით რეაქციული იდეების პროპაგანდას ეწევიან. ცდილობენ გაამართლონ ამერიკის იმპერიალისტური რეაქცია, შენიღბონ ამერიკული „დემოკრატიზმის" სისხლიანი გზა და მისი წარსულის იდეალიზაცია მოახდინონ. ფასტმა ნიღაბი ჩამოგლიჯა ისტორიკოს-ფალსიფიკატორებს და თავის ისტორიულ რომანებში ცოცხლად და რეალისტურად დაგვიხატა ამერიკული „დემოკრატიზმის" ნამდვილი არსი, ამერიკული იმპერიალიზმის ნამდვილი გზა.

ფასტის ისტორიული რომანები ეხებიან ამერიკის იმპერიალიზმის ყველაზე ბნელსა და სამარცხვინო პერიოდებს. ამავე დროს მწერალი იმ საკითხებს აშუქებს, რომლებიც დღესაც მთელი სიმწვავით დგას ამერიკაში.

ქართველი მკითხველი ფასტს იცნობს შესანიშნავი ისტორიული რომანით „უკანასკნელი საზღვარი", რომელიც მწერალმა ს. კლდიაშვილმა თარგმნა. ამ

წიგნში ავტორს აღებული აქვს ერთი პატარა ეპიზოდი, ერთი ფურცელი ამერიკის იმპერიალიზმის სამარცხვინო ისტორიისა: ინდიელების ყაჩაღური მოსპობა და მათი მიწა-წყლის ხელში ჩაგდება.

ინდიელები აჰყარეს თავიანთი სამოსახლო ადგილებიდან, ნოყიერი მიწებიდან, სანადირო ადგილებიდან და გადაასახლეს შორს, ცხრამთას იქით, მათთვის სპეციალურად მოწყობილ „რეზერვაციებში", ხოლო მეთვალყურეებად შეუბრალებელი აგენტები მიეჩინეს. ეს ახალი ადგილი უდაბნოა, საცხოვრებლად უვარგისი და აუტანელი. ჩრდილოეთის ნოყიერი მიწა-წყლის ნაცვლად ინდიელებმა აქ მიიღეს—შიმშილი, უწყლობა, ეპიდემია, ძაღლური მოპყრობა. „რეზერვაციებში" ხალხი წყდებოდა, ნადგურდებოდა. ამერიკელმა იმპერიალისტებმა ასე გაჟლიტეს მილიონობით თავისუფლებისმოყვარე ინდიელი, გადააშენეს ეს მამაცი და თავისუფალი ხალხი. „კარგი ინდიელი—მკვდარი ინდიელია",—ვკითხულობთ ჩვენ აღნიშნულ რომანში. ეს ანდაზა ამერიკელ კოლონიზატორებს ეკუთვნით. ანდაზის „სიბრძნე" ასეთია: გაძარცვე ინდიელი, ყველაფერი წაართვი, რაც გააჩნია, სამშობლოს ჰაერიც კი, და მერე მოჰკალი, რომ დამშვიდებული იყო.

რომანი დაწერილია დიდის ექსპრესიით. ავტორი გვაჩვენებს მამაცი ხალხის თავგანწირულ ბრძოლას თავისუფლებისათვის. ინდიელთა უკანასკნელი ტომი, შიმშილ-წყურვილისგან გაძვალტყავებული და ქანცგაწყვეტილი სამასიოდე ადამიანი, გადასწყვეტს დასტოვოს სულისშემხუთველი უდაბნო და ძველ, ნამდვილ სამშობლოში დაბრუნდეს. ლტოლვილებს დაედევნენ რეზერვაციებში სპეციალურად განლაგებული ჯარის ნაწილები, მაგრამ ამაოდ, ვერაფერს გახდნენ, ვერ მოახერხეს უკანვე დაებრუნებიათ სამასი დამშეული და შიშველ-ტიტველი ადამიანისაგან შემდგარი გუნდი, რომელშიც მხოლოდ 50 კაცი თუ იქნებოდა ბრძოლის უნარის მქონე (დანარჩენები ქალები და ბავშვები იყვნენ). მაშინ საქმეში ჩაეყია ამერიკის სამხედრო სამინისტრო, შინაგან საქმეთა მინისტრი... 300 გაწამებულ, უიარაღო ადამიანს დაედევნა ამერიკის შეერთებული შტატების რეგულარული, ზარბაზნებითა და ტყვიამფრქვევებით აღჭურვილი არმია—12.000 ჯარისკაცი...

„თავისუფლების გზა" ამერიკული იმპერიალიზმის სამარცხვინო ისტორიის მეორე ფურცელია, ამ ისტორიის მეორე პერიოდს გვაჩვენებს და თავისი შინაარსით უფრო აქტუალურიც არის, უფრო მეტად ეხმაურება დღევანდელობას. რომანში დასმული საკითხები დღესაც იმავე სიმწვავითა დგას. წიგნში აღწერილია 1861-65 წწ. სამოქალაქო ომის შემდეგი პერიოდი. ეს ოთხწლიანი ომი წარმოებდა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. ჩრდილოეთის ბურჟუაზია ებრძოდა მონათმფლობელურ სამხრეთს. ომი სამხრეთმა დაიწყო, ჩრდილოეთი არ იყო კარგად მომზადებული დიდი ბრძოლისთვის, მაგრამ მაინც ჩრდილოეთმა გაიმარჯვა, რადგან მას მხარეზე იყო ხალხის ფართო მასები. გაუქმდა მონობა, მილიონობით ზანგი თითქოს თავისუფლებას ეწია, დაიწყეს მათ მშვიდობიანი მუშაობა, მშვიდობიანი ცხოვრება. თავისუფლების მოპოვებით აღფრთოვანებულებმა, არაადამიანური შრომა გასწიეს და მოახერხეს მიწის შეძენა. თითქოს ყველაფერი კარგად მიდის, ზანგი გიდიონ ჯეკსონი, რომელიც თოფით ხელში იბრძოდა მთხალისეთა რიგებში მონათმფლობელური სამხრეთის წინააღმდეგ და რომელმაც ადრე წერა-კითხვაც კი არ იცოდა, ახლა კონგრესის წევ-

რი გახდა. გულმოდგინე მუშაობითა და თვითგანვითარებით განათლებული ადამიანი შეიენა, დიდ პოლიტიკურ კარიერას მიაღწია... მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა ზანგების სიხარული. ჩრდილოეთის ბურჟუაზიამ, მიაღწია რა მონათმფლობელურ სამხრეთზე გამარჯვებას, მოლაპარაკება გამართა ძველ მონათმფლობელებთან. ჩრდილოეთის კაპიტალი სამხრეთში შეიჭრა. საკირო გახდა ზანგების იაფფასიანი შრომა. ზანგთა მონობის გაუქმება მხოლოდ ფორმალური გამოდგა. სინამდვილეში ისინი კვლავ მონებად დარჩნენ. ფასტი გვაჩვენებს, როგორ ჩამოაყალიბეს ყოფილმა მონათმფლობელებმა ხულიგნურ-ტერორისტული ორგანიზაცია—კუ-კლუს-კლენი, რომელიც პროვოკაციებისა და საიდუმლო მკვლელობის შემდეგ უკვე ზანგების აშკარა ჟლეტას იწყებს. ეს ხულიგნურ-ფაშისტური ორგანიზაცია დღეს კიდევ უფრო მეტის თავისუფლებით მოქმედებს ამერიკის შეერთებულ შტატებში და მმართველი წრეების მხარდაჭერას და პატივისცემას იმსახურებს. მკითხველი ხედავს, როგორ მალე გაჰქრა თავისუფლების ხანმოკლე პერიოდი. კონგრესის წევრს—გიდიონ ჯეკსონს უფლება აღარა აქვს თეთრებთან ერთად იმოგზაუროს, იგი უოშინგტონიდან ბრუნდება ვაგონით, რომელსაც წარწერა აქვს—„ზანგებისათვის“. გათავწედებული კუ-კლუს-კლენელები, რა თქმა უნდა, მთავრობის დავალებითა და მფარველობით, მთლიანად გასწყვეტენ პატიოსან, თავისუფლებისმოყვარულ კარუელელ ზანგებს.

ეს ისტორიული ამბებია, ერთი საუკუნის წინანდელი ამბები, მაგრამ საოცრად ჰგავს იმას, რაც დღეს ამერიკაში ხდება. ფასტის დამსახურება სწორედ ის არის, რომ მთელის სიცხადით დაგვიხატა ამერიკული იმპერიალიზმის სისხლიანი გზა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფასტის რომანი არა ჰგავს იმ მრავალრიცხოვან წიგნებს, რომლებიც ზანგების შესახებ დაწერილა. ბიჩერ სტოუს ცნობილი მოთხრობა „ბიძია თომას ქოხიდან“ დაწყებული, ამერიკულ ლიტერატურაში ზანგი ნაჩვენებია, როგორც საწყალი, დაბეჩავებული არსება. ფასტი არ მისდევს ამ სენტიმენტალურ ხაზს. იგი უარყოფს აგრეთვე მეორე მიმართულებასაც, სადაც ზანგების ცხოვრება დახატულია ეგზოტიკური განხრით. ფასტის რომანი კლასობრივი ბრძოლის გამომხატველია და მასში მძაფრად არის ნაჩვენები სოციალ-პოლიტიკური მოვლენები. წიგნში განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ ზანგებთან მხარდამხარ დგანან თეორკანიანი ღატაკები. ისინიც ზანგებთან ერთად ხდებიან კუ-კლუს-კლენელების მსხვერპლნი. ამერიკაში მხოლოდ პრივილეგიური კლასია თავისუფალი, მხოლოდ იმპერიალისტებისათვის არსებობს სიტყვისა და მოქმედების თავისუფლება.

რასობრივ და ნაციონალურ დისკრიმინაციას ეხება აგრეთვე ფასტის მოთხრობა „ბავშვები“, რომელიც რამდენიმე წლის წინად დაწერა 23 წლის ავტორმა. წიგნი მიძღვნილია იმ ბავშვებისადმი, „რომლებიც რასობრივი სიძულვილის ყველაზე უფრო უბედურ მსხვერპლს წარმოადგენენ“.

ებრაელი ბიჭი იშკი იგონებს თავის ბავშვობას, როდესაც იგი ერთ-ერთი ამერიკული ქალაქის ღარიბთა უბანში ცხოვრობდა. ამ უბანში ყველაზე პრივილეგიერნი იყვნენ იანკები, შემდეგ ირლანდიელები და იტალიელები, შემდეგ ებრაელები, ხოლო სულ უუფლებო ზანგები იყვნენ. „ქუჩის მეფის“ პატარა იანკი

ოლის გულის მოსაგებად იშკი თავისივე მეგობარს, იტალიელი მეწაღის შვილს შომაკეს ერთადერთ განძს—ვიოლინოს!მოჰპარავა. შემდეგ იშკი იგონებს, როგორ დასტიროდა საბრალო შომაკე თავისი ვიოლინოს ნამსხვრევებს.

მაგრამ ყველაზე საშინელი სიძულვილი და მტრობა იანკ�s ბავშვებს ზანგ ბავშვთა მიმართ აქვთ. დიდების წაბაძვით და წაქეზებით ბავშვები ნამდვილ ლინჩს მოუწყობენ პატარა ზანგ ბიჭს, მერე კი გათავზედებული ოლი საბრალო ბიჭს ხეზე ჩამოჰკიდებს. ბავშვებს პატარაობიდანვე აჩვენენ რასობრივ და ნაციონალურ სიძულვილს.

ფასტი მიჰყვება დიდი საბჭოთა ლიტერატურის შესანიშნავ ტრადიციებს და ეს არის მისი გამარჯვების საწინდარი. იგი მოუწოდებს ამერიკელ მწერლებს ისწავლონ საბჭოთა ლიტერატურისაგან, მსოფლიოში ყველაზე პროგრესული ლიტერატურისაგან.

„ვერ შეჰქმნი სრულფასოვან კულტურას, თუ ცხოვრებისაგან ხარ მოწყვეტილი,—წერდა ფასტი,—მოსთხოვ მწერალს პოლიტიკისაგან ჩამოშორება, ეს იმას ნიშნავს მოსთხოვო მას, თანაშედროვე ცივილიზაციას ჩამოშორდეს... განა შეიძლება მწერლის ნეიტრალობაზე ვილაპარაკოთ, როდესაც ჯერ კიდევ არ განადგურებულა ფაშიზმის დამპალი ბუდეები! იმ ბრძოლაში, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ, მხოლოდ ვარსკვლავებია ნეიტრალური".

ფასტის რომანებში იგრძნობა გამარჯვების რწმენა, დიადი მომავლის რწმენა, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით, დიადი კომუნიზმის იდეებით არის გასხივოსნებული. ამაოდ ცდილობს ამერიკის იმპერიალისტური რეაქცია ციხეში ჩამწყვდევითა და მუქარით გასტეხოს მგზნებარე მწერლის მებრძოლი სული.

ვ. ჯელიძე.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნაწილი პირველი—არჩევნები

პროლოგი 7

თავი პირველი—როგორ დაბრუნდა შინ გიდიონ ჯეკსონი არჩევნებიდან 9

თავი მეორე—როგორ ისაუბრეს გიდიონ ჯეკსონმა და ძმა პიტერმა 21

თავი მესამე—როგორ წავიდა გიდიონ ჯეკსონი ჩარლსტონს და რა გადახდა მას გზაში 29

თავი მეოთხე—როგორ შრომობდა გიდიონ ჯეკსონი ხელებით და გონებით 53

თავი მეხუთე—როგორ იყო გიდიონ ჯეკსონი ერთი დიდი წვეულების საპატიო სტუმარი 81

თავი მეექვსე—როგორ დაბრუნდა გიდიონ ჯეკსონი შინ თავის ხალხთან 120

თავი მეშვიდე—როგორ იმოგზაურა შორეთსაგიდიონ ჯეკსონმა და როგორ მოარიგა საქმე ისე, რომ არრევანი მისი იყო. 155

ნაწილი მეორე—ბრძოლა

თავი მერვე—როგორ ინახულა გიდიონ ჯეკსონმა ერთი დალლილი კაცი 203

თავი მეცხრე—როგორ დაბრუნდნენ კარუელს გიდიონ ჯეკსონი და მისი ვაჟი 228

თავი მეათე—როგორ იბრძოდა გიდიონ ჯეკსონი ყეთილი საქმისათვის . . . 268

ბოლოსიტყვა 323

ჰოუარდ ფასტი (ვ. ქელიძე) . . 325